

ჯეკ ლონდონი

სმოკ ბელიუ

ხორცის გემო

I

თავდაპირველად ის ქრისტოფერ ბელიუ იყო. კოლეჯში რომ სწავლობდა, ქრისტოფერ ბელიუ იქცა. უფრო მოგვიანებით, სან-ფრანცისკოს ბოჰემურ წრეებში, კიტ ბელიუ შეარქვეს; ბოლოს კი სმოკ ბულიუ გახდა და სხვა სახელით აღარც იხსნიებდნენ.

მისი სახელის ევოლუცია მისივე ევოლუციის გამომსახველია. მას რომ მოსიყვარულე დედა და კაჟივით მაგარი ბიძა არა ჰყოლოდა, ანდა ჯილეტ ბელემისაგან წერილი არ მიეღო – არაფერიც არ მოხდებოდა.

„ეს-ესაა „ტალღის“ ნომერს ვათვალისწინებდი, – პარიზიდან იწერებოდა ჯილეტი, – ო'ჰარა, რა თქმა უნდა, საქმეს თავს გაართმევს, მაგრამ, ჯერ კიდევ ყველა ფანდი არ იცის. – ამას მოსდევდა ვრცელი რჩევა-დარიგება, როგორ უნდა გაეუმჯობესებინათ მაღალი საზოგადოების ეს ყოველკვირეული ორგანო, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ. – წადი ო'ჰარასთან და მოელაპარაკე. მე ნუ მახსენებ, ყველაფერი შენი სახელით შესთავაზე, თორემ თავის პარიზელ კორესპონდენტად მაქცევს, ეს კი ხელს არ მომცემს. მე დიდ ჟურნალებში ვთანამშრომლობ, სადაც ნაღდ ფულს მიხდიან. ყველაზე უმაღლეს დოქტორს მთავრად, კრიტიკულ წერილებს, რომ უწერს მუსიკისა და ხელოვნებაზე, მერე, ნუ დაივიწყებს, რომ სან-ფრანცისკოს ყოველთვის ჰქონდა საკუთარი ლიტერატურა, ახლა კი აღარაფერი გააჩნია. მიიკითხ-მოიკითხეს, გამოძებნოს ვინმე ბრიყვი, რომელიც რეგულარულად მიაწვდის ახალ-ახალ მოთხრობებს, რომანტიკული გზებით აღსავსეს, მომხიბვლელსა და ჭკუმატიტად სან-ფრანცისკული კოლორიტით გაჟღერებულს“.

კიტ ბელიუმაც მაშინვე „ტალღის“ რედაქციას მიაშურა, რათა ერთგულად აღესრულებინა თავის ვალი. ო'ჰარამ მოუსმინა. ო'ჰარა შეეკამათა. ო'ჰარა დაეთანხმა. ო'ჰარამ კინწის კვრით გააგდო კრიტიკული წერილების ავტორი. მერე კი ო'ჰარამ თავისი ხასიათი გამოამჟღავნა, ის ხასიათი, რომელიც ისე აფრთხობდა ჯილეტს შორეულ პარიზში. თუ ო'ჰარა რამეს მოისურვებდა, ვერც ერთი მეგობარი უარის თქმას ვერ გაუბედავდა. თვითრჯული კაცი იყო, თავნება და წინააღმდეგობელი; ალერსითა და მოფერებით თავისი გაჰქონდა. სანამ რედაქციას თავს დააღწევდა, კუბ ბელიუ უკვე რედაქტორის თანაშემწედ იქცა, კრიტიკული სტატიების წერა იკისრა, ვიდრე ღირსეულ შემცველს მოუძებნიდნენ, და ო'ჰარას აღუთქვა, ჟურნალის ყოველი ნომრისთვის ათასნიტყვიან მოთხრობას მოგაწვდი სან-ფრანცისკოს თემებზეო. ეს ყოველივე უგასამარჯვლოდ უნდა შეესრულებინა.

ო'ჰარამ აუხსნა, „ტალღას“ ჯერ არ შეუძლია ჰონორარის გადახდა და შეუვალი კილოთი განუცხადა, მთელ სან-ფრანცისკოში მხოლოდ ერთადერთ კაცს ძალუძს ასეთი მოთხრობების წერა და ეს კაცი კიტ ბელიუაო.

– ოჰ, ღმერთო, ის ბრიყვი ხომ მე გამოვდექი! – ოხრავდა კიტი, როცა ვიწყო კიბეზე ეშვებოდა.

ასე დაიწყო მისი ოფლისდგრა ო' ჰარასათვის და „ტალღის“ გაუმადლარი სვეტებისათვის. კვირა კვირას მისდევდა, ის კი იჯდა რედაქციაში, უმკლავდებოდა კრედიტორებს, ეჩხუბებოდა ასოთამწეობებს და ყოველი ნომრისათვის ოცდახუთიათას სიტყვას აცხობდა. შრომის შემსუბუქების არავითარი იმედი არ ჰქონდა. „ტალღა“ პატივმოყვარე იყო: დაუსურათებელი დღის სინათლეს როგორ იხილავდა! დასურათება კი ძვირი ჯდებოდა. ამ მიზეზით, არც კიტის შრომის ანაზღაურება შეეძლო, ვერც სარედაქციო შტატის გაზრდაზე იოცნებებდა.

– აი, ასე ემართება გულკეთილ და ხათრიან კაცს, – წაიბუზღუნა ერთხელ კიტმა.

– ღმერთმა ამარავლოს ქვეყანაზე ასეთი ხალხი, – წამოიძახა თვალზე ცრემლმორეულმა ო' ჰარამ და კიტს მაგრად ჩამოართვა ხელი. – შენს ჩემს მსხნელად ხარ მოვლენებული კიტ. შენითაა, ფეხზე რომ ვდგევარ. ცოტაც კიდევ მოითმინე, ძმობილო, და ყველაფერს მოველება.

– ეჰ, აღარაფერი მჯერა, – ამოიგმინა კიტმა. – ჩემი საქმე წასულია. სამუდამოდ აქ ყოფნა მიწერია.

ცოტა ხნის შემდეგ გამოსავალი იპოვნა. ხელსაყრელი მომენტი მოიხელთა და ო' ჰარას თვალწინ სკამს გადააწყდა გულშეღონებული, მერე საწერ მაგიდას დაენარცხა და აცახცახებული ხელით შრეშის კოლოფი გადააყირავა.

– ცუდად გეძინა წუხელის? – გამოიძია ო' ჰარამ.

კიტმა თვალები მოიფშვინტა და, ვიდრე უპასუხებდა, დიდხანს უაზროდ იცქირებოდა აქეთ-იქით.

– არა, ძილი არაფერ შუაშია. თვალების ბრალია ყველაფერი. ღამის ბუდიდან ამომცვივდეს.

ამის შემდეგ, რამდენიმე დღეს, კიტი ხან კედლებს ეჯახებოდა, ხან რედაქციის ავეჯს აყირავებდა, მაგრამ ო' ჰარას გული მაინც ვერ მოაღბო.

– იცი, რას გეტყვი, კიტ, – უთხრა ერთხელ, – შენ ოკულისტს უნდა მიმართო. წადი ექიმ ჰასდეპლთან. დიდებული სპეციალისტია. ფულის გადახდაც არ დაგჭირდება – ჩვენ მას განცხადებას დავუბეჭდავთ. მე თვითონ ვნახავ და მოველაპარაკები.

ო' ჰარამ სიტყვა არ გასტეხა. კიტი იძულებული გახდა თვალის ექიმთან მისულიყო.

ექიმმა გულდასმის გასინჯა და ასეთი განაჩენი გამოუტანა:

– უჩვეულოდ საღი მხედველობა გაქვთ. თქვენნაირი თვალეები მილიონ კაცში ერთს თუ აღმოაჩნდება.

– ო' ჰარას ნუ ეტყვი, – შეევედრა კიტი. მე კი, ღვთის გულისათვის, შავი სათვალე გამომიწერეთ.

მთელმა ამ ამბავმა მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ ო' ჰარა თანაგრძნობით მოიკითხავდა ხოლმე და იშვიათი მჭერმეტყველებით ალაპარაკდებოდა იმ ბრწყინვალე მომავალზე. რომელიც „ტალღის“ ფეხზე დაყენებას მოჰყვებოდა.

კიდევ კარგი, კიტს საკუთარი შემოსავალი ჰქონდა. მართალია, არც ისე დიდი, როგორც შეიძლება რამდენიმე კლუბის წევრი ყოფილიყო და ლათინურ კვარტალში პატარა სტუდიაც დაექირავებინა.

კაცმა რომ თქვას, რაც რედაქტორის თანაშემწე გახდა, კიტის პირადი საგრძნობლად შემცირდა. ფულის ხარჯვისთვის დროც აღარ რჩებოდა. სტუდია თვალითაც აღარ უნახავს, აღარც ადგილობრივ ბოჰემისტებს გამასპინძლებია

თავისი განთქმული ვახშმებით, ფული კი მაინც არ ჰყოფნიდა. „ტალდა“ ერთთავად სულს დაფავდა და მის ქისასა და ტვინს ერთნაირად აცარიელებდა. ილუსტრატორები დროდადრო უარს აცხადებდნენ ჟურნალის ილუსტრირებაზე, ასოთამწეობები დროდადრო უარს ამბობდნენ აწეობაზე, პატარა ბიჭი, რედაქციის შიკრიკი, დროდადრო გასამრჯელოს თხოულობდა. ასეთ შემთხვევებში კიტს გადახედავდა და ისიც უსიტყვოდ წაიდებდა ხელს ჯიბისაკენ.

როდესაც თბომავლმა „ექსცელსიორმა“ ალიასკიდან კლონდიკის ოქროს საბადოების ამბავი ჩამოიტანა და მთელი ქალაქი გადარია, კიტს თავში გულუბრყვილო აზრი დაებადა.

– ყური მიგდე, ო' ჰარა, – უთხრა მან, – ეს ოქროს ციებ-ცხელება დიდხანს გასტანს. ორმოცდაცხრა წლის ამბები განმეორდება გამიშვი და „ტალდისთვის“ კარგ მასალებს მოგაწვდი. ჩემი ხარჯით წავალ.

ო' ჰარამ თავი გააქნია.

– შენ აქ მჭირდები, კიტ. ის მოთხრობების სერიაც დასამთავრებელია. თანაც, ერთი საათი არ არის, რაც ჯეკსონს ველაპარაკე, ხვალ კლონდაიკში მიდის და თანახმაა, ყოველ კვირას წერილები და ფოტოები გამოგვიგზავნოს. სანამ პირობა არ ჩამოვართვი, არ მოვექვი. მთავარი კი ის არის, რომ ყველაფერს უფასოდ მივიღებთ.

იმ საღამოს კიტმა კიდევ ერთხელ მოისმინა კლონდაიკის ამბავი. კლუბში შეიარა და იქ თავისი ბიძა დახვდა.

– გამარჯობა, ბიძაჩემო, – მიესალმა კიტი, ტყავის სავარძელში ჩაჯდა და ფეხები გამართა. – ხომ არ ჩამოჯდებოდი ჩემს გვერდით?

კიტმა კოქტეილი შეუკვეთა ბიძამ კი ადგილობრივი წყალწყალა კლარეტი მოითხოვა, რომელსაც ყოველთვის სიამოვნებით მიირთმევდა ხოლმე.

უკმაყოფილოდ გადახედა კოქტეილს და მერე მზერა ძმისშვილის სახეზე შეაჩერა. კიტმა იგრძნო, დაუტუქსავი ვერ დარჩებოდა.

ერთი წუთით შემოვირბინე, – სასწრაფოდ მიაგება ბიძას. – ელერის გაღერებაში უნდა მივასწრო, კეითის გამოფენაზე ნახევარი სვეტი მაინც გავაშანშალო.

– რა დაგემართა? – ჰკითხა ბიძამ, – ფერი დაგკარგვია, ავადმყოფს გავხარ. კიტმა მხოლოდ ამოიოხრა პასუხად.

– ალბათ მალე მექნება შენი დამარხვის სიამოვნება. მაგასაც მოვესწრები. კიტმა სევდიანად გადააქნია თავი.

– ჭია-ღუას ვერ შევაწუხებ, გმადლობთ, კრემაცია მირჩევნია.

ჯონ ბელიუ იმ ძველი, ძარღვმაგარი და გამობრძმედილი თაობის შთამომავალი იყო, რომელმაც ორმოცდაათიან წლებში ხარებშებმული საზიდრებით გადმოლახა თვალუწვდენელი პრერიები. მამა-პაპათა სიმტკიცეს, ძვალ-რბილში რომ ჰქონდა გამჯდარი, ზედ ერთოდა და ახალი მიწების ათვისების ხანაში მშფოთვარედ გატარებული ბავშობის დროს მიღებული წრთობაც.

– ისე არ ცხოვრობ, როგორც უნდა ცხოვრობდე, ქრისტეფორ. შენს მაგივრად მე მრცხვენია.

– ქეიფსა და დროსტარებას გადავყევი, არა? – ჩაიქირქილა კიტმა. ბიძამ მხრები აიხევა.

– ცუდი თვალით ნუ მიმზერ, ბიძაჩემო. ქეიფი მართლაც არ მაწყენდა, მაგრამ ეგ გასართობი წარსულს ჩაბარდა: დრო აღარ მრჩება.

– მაშ, რა მოხდა?

– მუშაობამ გამათავა.

ჯონ ბელიუმ უნდობლად გადაიხარხარა.

– მართლა?

ჰკითხა და ისევ გაეცინა.

– აღამიანი გარემოს პროდუქტია, – დიდის ამბით განაცხადა კიტმა და ბიძამისს ჭიქაზე მიუთითა. – თქვენი სიცილი თქვენსავე სასმელს ჰგავს, მასავით წყალწყალაა და მწარე.

– ჰმ, მუშაობამ გაათავა, – ბიძამ ხმაში ღვარძლი გაურია. – შენ ხომ შენს სიცოცხლეში ერთი ცენტის საფასურიც არ გიშრომია?

– მიშრომია, მაგრამ არ მიმიღია. კვირაში ხუთასი დოლარი მერგება, ოთხი კაცის სამუშაოს ვასრულებ.

– ალბათ სურათებს ხატავ, რომელთაც არასოდეს არავინ არ იყიდის ან რაიმე მოდური სისულელით ერთობი, არა? ცურვა იცი?

– ოდესღაც ვიცოდი.

– ცხენზე ჯდომა?

– ეგეც მიცდია.

ჯონ ბელიუმ ზიზლით ჩაიფრუტუნა.

– მიხარია, მამაშენი რომ სამარეში წვეს და ვერა გხედავს ეგრე თავლაფდასხმულს. ის ნამდვილი კაცი იყო, გესმის? კაცური კაცი! დარწმუნებული ვარ, თავიდან გამოგებერტყავდა მთელ შენს მუსიკალურ და მხატვრულ სისულელებს.

– ოჰ, ეს ჩვენი დაკნინებული საუკუნე! – ამოიოხრა კიტმა.

– რაიმე სახეირო რომ იყოს მაგ შენს აბლაუბდაში კიდევ ჰო, მაშინ ყველაფერს ავიტანდი, – გაბრაზებული განაგრძობდა ბიძა, – მაგრამ ჯერ ერთი ცენტიც არ გიშოვია, ერთი ბეწო კაცური საქმე არ გაგიკეთებია.

– გრავიურები, სურათები, მარაობები, – გულდაწყვეტით ჩამოთვალა კიტმა.

– ხოლმაცარული დილენტანტი ხარ და სხვა არაფერი. აბა, რა დაგიხატავს? რამდენიმე გატყლარჭული აქვარელი და კომმარული პლაკატები. ერთი გამოფენაც არ მოგიწყვია, თუნდაც აქ, სან-ფრანცისკოში.

– დაგავიწყდა, ძია, ჩემი ერთი სურათი ამ კლუბის დარბაზში ჰკიდია.

– კარგი რამაც არის. ახლა მუსიკას არ იკითხავ? შენი ძვირფასი, სულელი დედა ათასებს უხდიდა მასწავლებლებს. შენ კი ვერც აქ ივარგე. ისიც ვერ მოახერხე, ვისმესთან აკომპანიატორად გამოსულიყავი კონცერტზე და ხუთი დოლარი მაინც გაგეკეთებინა. შენი სიმღერები რადაა? – ჯაზური როტგა, რომელსაც არავინ ბეჭდავს და ერთი მუჭა უსაქმური ბოჭმისტების მეტი არც არავინ მღერის.

– მე ერთხელ წიგნიც გამოვეცი, სონეტების კრებული. გახსოვთ? – გაუბედავად ჩაურთო კიტმა.

– მერე, რა დაგიჯდა?

– სულ რაღაც ორასიოდე დოლარი.

– კიდევ რა დამსახურება მიგიძღვის?

– პატარა პიესა დავწერე, რომელიც საზაფხულო ესტრადაზე დაიდგა.

– მერედა, რა მოგიტანა მაგან?

– დიდება.

– ოდესღაც კი ცურვა იცოდი, ცხენზე ჯდომაც გიცდია. – ჯონ ბელიუმ გაშმაგებით დაახეთქა ჭიქა მაგიდას. – მითხარი, ბოლოს და ბოლოს, რისი გაკეთება შეგიძლია? შენს აღზრდას ზედ გადაჰყვნენ, შენ კი უნივერსიტეტშიც არ გითამაშია ფეხბურთი. ნიჩბის მოსმა არ იცი. არასოდეს არ...

– მე კრივს მივდევი და ფარიკაობას.

– როდის ივარჯიშე უკანასკნელად?

– უნივერსიტეტის შემდეგ თავი მივანებე. მეუბნებოდნენ, მშვენივრად გრძნობ დროსა და მანძილსო, მაგრამ...

– განაგრძე.

– უსისტემო მოვარჯიშედ მოვლიდნენ.

– ესე იგი, ზარმაცად, არა?

– ეგ ყოველთვის ეგვემიზნად მიმანდა.

– მამანქმმა, სერ, მოხუცმა ისააკ ბელიუმ, რომელიც თქვენ პაპად მოგხვდებოდათ, მუშტის ერთი დაკვრით მოკლა კაცი სამოცდაცხრა წლის ასაკში.

– ის კაცი იყო სამოცდაცხრა წლისა?

– კაცი კი არა, პაპაშენი იყო-მეთქი, შე ურცხვო. იმ ხნისა შენ კოლოსაც ვეღარ მოერევი ალბათ.

– დრო შეიცვალა, ბიძაჩემო, ახლა მკვლევლობისათვის ციხეში გიკრავენ თავს.

– მამაშენმა ერთხელ ას ოთხმოცდახუთი მილი შეუსვენებლივ გაიარა ჭენებით, სამი ცხენი სიკვდილის პირას მიიყვანა.

– ჩვენს დროში რომ ეცხოვრა, რბილი ვაგონის კუპეში მთელი გზა არხეინად იძინებდა.

ბიძა კინალამ ბრაზმა დაახრჩო, მაგრამ ყელს მოწოლილი ბოღმა უკანვე ჩაიბრუნა და ძმისშვილს ჰკითხა:

– რამდენი წლისა ხარ?

– თუ არ ვცდები, მე ახლა...

– ვიცი, ოცდაშვიდი შეგისრულდა. კოლეჯი რომ დაამთავრე, ოცდაორის იყავი. მთელი ხუთი წელიწადი ვითომ მხატვრობდი, მუსიკოსობდი, ცხვირაწეული დადიოდი. მოიღე მოწვალეობა, გამაგებინე, რა კაცი ხარ, რას წარმოადგენ. შენი ხნის რომ ვიყავი, ერთადერთი წყვილი თეთრეულის მეტი არა გამაჩნდა რა. კოლუზაში ფარას ვწყემსავდი. ქვასავით მაგარი ვიყავი და ქვაზე ძილიც შემეძლო. აპოხტი და დათვის ხორცი იყო ჩემი საჭმელი. სამაგიეროდ, შენზე ჯანმრთელი და მკლავმაგარი ვარ. შენ, ალბათ, ასსამოცდახუთ გირვანქას მაინც აიწონი, მაგრამ შემეძლია, ახლავე ძირს დაგცე და გვერდები დაგიზილო.

– კოქტეილის წრუპვას და ერთი ჭიქა ჩაის გამოცლას დევეკაცის ძალა არ სჭირდება, – წაიბურტყუნა კიტმა. – ვერა ხელავ, ბიძაჩემო, დროება შეიცვალა. ამას გარდა, მე ცუდად გამზარდეს. ჩემი ძვირფასი, სულელი დედა...

ჯონ ბელიუს გააჟრჟოლა.

– ...როგორ შენივე სიტყვებიდან ჩანს, ძალზე მანებივრებდა ბამბაში მხევედა, ცივ ნიავს არ მაკარებდა. მე რომ ბავშვობიდანვე შევჩვეოდი იმ ჯეშმარიტად მამაკაცურ გასართობებსა და ექსკურსიებს, რომლითაც ასე მოქავს თავი, ახლა სულ სხვა კაცი ვიქნებოდი. დღესაც ვერ გამიგია, რატომ მეც არ მიგყავდი ხოლმე თან, თუკი ჰელი და რობი გახლდნენ მექსიკასა და სიერის მთებში?

– იმიტომ, რომ აზიზ-მაზიზი ბრძანდებოდი.

– თქვენი ბრალია, ბიძაჩემო, შენი და ჩემი სათნო დედისა. სად უნდა გამომეცადა გაჭირვება? მე ხომ თავს მეველებოდნენ, აზიზად მინახავდნენ, რაღა მრჩებოდა, გარდა გრავიურებისა, სურათებისა და მარაოებისა? განა ჩემი ბრალია, რომ შრომის ოფლი არასოდეს მომიწურავს?

ბიძა დაუფარავი ზიზილით შესცქეროდა ძმისწულს. ეს ქარაფწუტული მსჯელოდა მოთმინებას უკარგავდა.

– ძალიან კარგი. მე ისევ ვაპირებ ფეშმარიტად მამაკაცის შესაფერი ექსკურსიის მოწყობას და გიწვევ მასში მონაწილეობის მისაღებად.

– დაგაგვიანდა, ბიძაჩემო, დაგაგვიანდა. მაინც, საით აპირებ?

– ჰელი და რობერტი კლონდაიკში მიდიან. მე უღელტეხილზე გადავიყვან და ტბებამდე ჩავყვები. მერე კი უკან გამოვბრუნდები.

კიტმა სიტყვის დამთავრება აღარ აცალა, სკამიდან წამოხტა და ხელში ჩააფრინდა.

– ჩემო მხსნელო! – წამოიძახა აღტაცებულმა.
 ჯონ ბელიუმ ეჭვის თვალით შეხედა. სულ არ მოელოდა, რომ მის მიწვევას მიიღებდნენ.

- მართლა გინდა წამოსვლა? – ჰკითხა უნდობლად.
- როდის გაუძღვებით გზას?
- ძალიან ძნელი საგალია, ზედმეტ ტვირთად დაგვაწყები.
- არა, მე ყველაფერს გაუძღვები. რაც „ტალის“ რედაქციაში ვმუშაობ, შრომას შევეჩვიე.
- თვითოეულმა მთელი წლის მარაგი უნდა წამოიღოს თან. ხალხი ბლომად იქნება. ინდიელი მებარგულები ყველას ვერ გასწვდებიან. ჰელსა და რობერტს თავიანთი ტვირთის ზიდვა თვითონვე მოუწევთ. მე სწორედ იმიტომ მივეყვები, რომ ხელი შევაშველო. თუ წამოხვალ, შენც მათსავით მოგიწევს ბარგის თრევა.
- ნახავ, თუ ვერ შევძლებ.
- მიხვეული არა ხარ სიმძიმის ტარებას. – შეეკამათა ბიძა.
- როდის მივდივართ?
- ხვალ.
- არ იფქრო, ბიძაჩემო, რომ შენმა ქადაგებამ მომაქცია და სხეულის წრთობის სურვილმა ამიტანა, – უთხრა კიტმა გამომშვიდობებისას. – რაღაც არ უნდა დამიჯდეს, ამ ქალაქს თავი უნდა დაავადწიო. ო'ჰარას უნდა გავექცე როგორმე, თუნდ ქვეყნის კიდემდე დამჭირდეს სიარული.
- ვინ არის ეგ ო'ჰარა? იაპონელია?
- არა, ირლანდიელი, ჩემი უგულითადესი მეგობარია და მონათფლობელი. ის არის „ტალის“ რედაქტორი, გამომცემელი და საერთოდ, ჟურნალის მთელი ავან-ჩაფანი. მისი სიტყვა კანონია, თუ მოისურვებს, სულების გამოწვევაც შეუძლია.

იმ სადამოს კიტ ბელიუმ ო'ჰარას პატარა ბარათი მისწერა.
 „მხოლოდ რამდენიმე კვირით მივემგზავრები, – ბოდიშს იხდიდა იგი, – დაიქირავე ვინმე ბრიყვი, დაე, დაამთავროს იმ მოთხრობების სერია. ძალიან ვწუხვარ, მეგობარო, მაგრამ ჩემი ჯანმრთელობა მაიძულებს ასე მოვიქცე. დაგბრუნდები და გაორკეცებული ენერგიით მოგიკიდებ საქმეს ხელს“.

II

რამდენიმე დღის შემდეგ კიტი დაიის გადარეულ ნაპირს მიადგა. აქ ბარგისა და ხალხისაგან ტევა აღარ იყო. აღჭურვილობისა და სურსათ-სანოვავის დიდძალი მარაგი, გემებით მოტანილი და ნაპირზე დახვავებული, ნელ-ნელა დაიის ხეობაში გადადიოდა ჩილკუტის გავლით. ზურგზე ტვირთაკიდებულ ადამიანებს მთელი ოცდარვა მილი ფეხით უნდა ევლოთ. ინდიელი მებარგულები, მიუხედავად იმისა, რომ ფასს აუწიეს და ყოველ გირძანქა ტვირთში ახლა რვა ცენტის ნაცვლად ორმოცს თხოულობდნენ, საქმეს მაინც ვერ ასდიოდნენ. ყველასთვის ცხადი იყო, რომ მოგზაურთა უმრავლესობას ზამთარი გზაში მოუსწრებდა და უღელტეხილს ვერ გადავიდოდნენ.

ახალბედათა შორის ყველაზე უსუსური კიტი იყო. სხვა მრავალთა მსგავსად, მასაც ქამარზე სავაზნე და ვეებერთელა რევიოლვერი ეკიდა. ამაში ბრალი ბიძამის მიუძღოდა, რომელსაც მასხიერებაში ძველი, უსამართლო წელი ჩარჩენოდა. მისგან განსხვავებით კიტ ბელიუს რომანტიკული განწყობილება დაუფლებოდა. მონუსხულივით შესცქეროდა ხალხის ჭრელ ნაკადს, ოქროს ციებ-ცხელებას რომ აეტანა, და ყველაფერს მხატვრის თვალით აკვირდებოდა. სათანადო სერიოზულობით ვერ ეკიდებოდა მის ირგვლივ მბრუნავ მორევს. ჯერ კიდევ გემზე განაცხადა, რომ ეს მოგზაურობა თავის მოსაკლავად არ წამოუწყია

და მხოლოდ მხოლოდ დასასვენებლად, გულის გადასაყოლებლად ჩამოვიდა აქ, ჩამოვიდა, რომ უღელტეხილს იქით გადაეხედა, იქაურობისთვის თვალი შეეველო და უკანვე გამობრუნებულიყო.

თანამგზავრები ქვიშიან ნაპრზე მიატოვა ბარგის გადმოტვირთვის მოლოდინში, თვითონ კი მდინარეს აღმა აუყვა და ძველ ფაქტორიას გადააწყდა. ფიქრადაც არ მოსვლია, რევოლვერით თავი მოეწონებინა, თუმცა ხედავდა, რომ ბევრი მათგანი, ვისაც იარაღი ჰქონდა, ცხვირს მაღლა იწევდა. გვერდით მაღალმა, წარმოსადგემა ინდიელმა ჩაუარა. ზურგზე ვეება ტვირთი მოეგდო. კიტი უკან აედევნა, მოხიბლული მისი წვივების მშვენიერებით და იმ გრაციოზული სიმარჯვით, რომლითაც უზარმაზარ საპარნეს მიაბრუნებდა. ინდიელმა ტვირთი ფაქტორიის კარწინ სასწორზე დააგდო, კიტა კი იმ ოქროსმადიებელთა შორის აღმოჩნდა, რომელნიც აღტაცებაში მოყვანა ინდიელის უჩვეულო ღონეს. ტვირთის წონა ას ოც გირვანქას უდრიდა. ეს ფიქრი მოწიწებით გადადიოდა პირიდან პირში.

– „ამსიმიძიმე ტვირთს მე ძვრასაც ვერ ვუზამ. წაღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია“. – გაიფიქრა კიტმა.

– ლინდერმანის ტბაზე მიდიხარ, მეგობარო? – ჰკითხა ინდოელს. მანაც ამაყად დაუქნია თავი.

– რამდენი აიღე მას საპალნის გადატანაში?

– ორმოცდაათი დოლარი.

კიტმა საუბარი ვეღარ გააგრძელა. მისი ყურადღება ახალგაზრდა ქალმა მიიპყრო, კარის ზღურბლზე რომ იდგა. ეს ქალი თავისი ჩაცმულობით სხებისგან გამოირჩეოდა. მას არც მოკლე კაბა ეცვა და არც სპორტული შარვალი იმ ქალების მსგავსად, გემებს რომ მოჰყვნენ. ისე იყო ჩაცმული, როგორც იცვამენ ქალები ჩვეულებრივი მგზავრობის დროს. კიტი იმან განაცვიფრა, რომ ეს ქალი უჩვეულოდ ეხამებოდა გარემოს, მისი აქ ყოფნა თითქოს აუცილებელიც კი იყო პეიზაჟის სრულყოფისათვის. ქალი ახალგაზრდა იყო და ლამაზი. მისმა მშვენიერებამ და სახის ფერმა თვალი მოსტაცა კიტს. ისე დაუინებით მიაშტერდა, რომ ქალმა იგრძნო მისი მზერა და მოიხედა. შავი, გრძელწამწამიანი თვალები კიტის თვალებს შეეფეთნენ. დამცინავი ნაპერწკალი შენიშნა კიტმა ამ თვალებში. ეს ნაპერწკალი ახლა ვეება რევოლვერზე აკიაფდა, მერე ისევ კიტის თვალებს გადააწყდა და აშკარა ზიზღნარევი დაცინვად იქცა. კიტს თითქოს სილა გააწნესო. ქალი გვერდით მდგომ მამაკაცს მიუბრუნდა და კიტზე მაუთითა. კაცმა მოიხედა და მის თვალებშიც იგივე ზიზღნარევი დაცინვა გამოკრთა.

– ჩეჩაკოა, – თქვა ქალმა.

კაცმა, რომელიც თავისი იაფფასიანი შარვლითა და დაფლეთილი შალის კურტკით მაწანწალას ჰგავდა, მშრალად გაიცინა. კიტმა თავი განადგურებულად იგრძნო, თუმცა კი ვერ გეტყოდათ, რატომ. ქალი და მამაკაცი წავიდნენ. კიტმა თვალი გააყოლა და გაიფიქრა – „რაც უნდა იყოს, მაინც უჩვეულოდ ლამაზია. ათასი წელიც რომ გავიდეს, მისი ნარნარი სიარული მაშინაც არ დამავიწყდება“.

– დაინახეთ ის კაცი, ქალი რომ ახლდა თან? – ჰკითხა კიტს ადელვებულმა მეზობელმა. – იცით, ვინ არის?

კიტმა თავი გააქნია.

– ჩარლი-ირემი. მეც ეს-ესაა დამანახვეს. კლონდაიკმა მაგას ძალიან გაუმართლა. ძველი მკვიდრია. თორმეტ წელიწადს იუკონზე იყო ახლახან დაბრუნდა იქიდან.

– რა არის „ჩეჩაკო“? – ჰკითხა კიტმა.

– შენც ჩეჩაკო ხარ, მეც – მიიღო პასუხად.

– დავუმვათ, რომ ვარ, მაგრამ მაინც არ მესმის, რას ნიშნავს ეს სიტყვა.

– ახალბედას.

კიტი თავისიანებისკენ გაბრუნდა. ეს სიტყვა მთელი გზა თავში უტრიალებდა – ახალბედა! ყველაზე საწყენი კი ის იყო, რომ სუსტმა არსებამ მონათლა ასე.

ტვირთის მთებს შორის გზას რომ მიიკვლევდა, კიტს უზარმაზარსაპალნიანი ინდიელი გაახსენდა ისევ. მყუდრო კუნჭული მოძებნა და საკუთარი ძაღლის გამოცდა მოინდომა. ამ მიზნის მისაღწევად ფქვილის ტომარა აირჩია, რომლის წონა დაახლოებით ას გირძანქას უდრიდა. ფეხები გაჩახხა, ტომარას დასწვდა და სცადა მხარზე მოეგდო. პირველად მოეჩვენა, რომ ასი გირძანქა მეტისმეტად მძიმე ტვირთი იყო, მერე იფიქრა, სუსტი ზურგი მაქვსო. მესამე შთაბეჭდილება გულიანი გინებით გამოხატა. გინება ხუთი წუთის ამაო ტანჯვის შედეგად აღმოხდა, როცა ძალაგამოლეული იმავე ტომარაზე აღმოჩნდა გართხმული, რომლის დაძლევისაც ასე ჯიუტად ცდილობდა.

ოფლიანი შუბლი შეიმშრალა და უეცრად ჯონ ბელიუ შენიშნა. რომელიც ტომრებს ხემოდან დამცინავად დაჰყურებდა.

– დმერთო ჩემო! – წამოიძახა ამ მკაცრი წრთობის მოციქულმა, – შენმა ძლირმა გვარმა სუსტი შთამომავლობა მოგვცა. თექვსმეტი წლის რომ ვიყავი, ასეთ ი ტომარა სათამაშოდ მიმანხდა.

– გავიწყდება, ბიძაჩემო, რომ მე დათვის ხორციით არა ვარ გამოზრდილი, – შეუღრინა კიტმა.

– და როცა სამოცი შემისრულდება. ასეთი ტომარა მაშინაც სათამაშოდ მომეჩვენება.

– კარგს იზამდი, ახლავე რომ გეჩვენებინა.

ჯონ ბელიუმაც უჩვენა. ის ორმოცდარვა წლის იყო, მაგრამ დაიხარა, ტომარა მოსინჯა, სწრაფად დასწვდა და მხარზე მოიგდო, მერე ერთხელ ამოატრიალა და წელში გაიმართა.

– ხერხია საჭირო, ბიჭიკო, ხერხი... და მაგარი ქედი.

კიტმა მოწიწებით მოუხადა ქედი.

– პირდაპირ საოცრება ხარ, ბიძაჩემო, ჭეშმარიტად საოცრება. როგორ ფიქრობ, მეც ვისწავლი ოდესმე მაგ ხერხს?

ჯონ ბელიუმ მხრები აიჩეჩა.

– ვიდრე გზას დავადგებოდეთ, უკან დაბრუნებას შემეხვეწები.

– ნუ შიშობ, უკან დაბრუნებას არ ვაპირებ, შინ ო'ჰარა მელოდება,

გამძვინგარებული ლომივით მბდღვინავი, რაც გვიან ჩაუუვარდება ხახაში, ის მირჩევნია.

III

პირველი გადასვლა კიტს არ გასჭირვებია. ფინიგენის ფონამდე მათი ბარგი, რომელიც ორიათას ხუთას გირვანქას იწონიდა, ინდიელებს მიჰქონდათ, რომელთა დაქირავება ძლივძლივობით მოახერხეს. აქედან კი უკვე საკუთარი ზურგით მოუწევდათ ტომრების თრევა. დღეში თითო მილის გავლას ფიქრობდნენ. ერთი შეხედვით ეს არც ისე საძნელო ჩანდა. მაგრამ იმის გამო, რომ ჯონ ბელიუს ბანაკში დარჩენა მოუხდებოდა საჭმლის მოსამზადებლად. მას დღეში მხოლოდ ერთი ან ორი გზის გაკეთება შეეძლო. ასე რომ, სამივე ახალგაზრდას დღეში ერთი მილის მანძილზე რვაას-რვაასი გირვანქა უნდა გადაეტანა. თუ თითო გზობაზე ორმოცდაათ გირძანქას წაიღებდნენ, დღეში ტვირთიანად თექვსმეტი მილს გავლიდნენ, უტვირთოდ კი – თხუთმეტს. ეს იმიტომ, რომ უკანასკნელ წადებაზე უკან აღარ მოვბუნდებითო, – განმარტა კიტმა თავისი სასიამოვნო აღმოჩენა. ერთ ჯერზე ოთხმოცი გირვანქის გადატანა დღეში ცხრამეტი მილის გავლას ნიშნავდა წინ და უკან, ასგირვანქიანი ტვირთით კი მხოლოდ თხუთმეტი მილს გაივლიდნენ.

– მე ფეხით სიარული მეჯავრება, – თქვა კიტმა, – ამიტომ ერთ წადებაზე ას გირძანქას გადავზიდავ.

ბიძამისს სახეზე ირონიული ღიმილი რომ შენიშნა, სასწრაფოდ შეაშველა სიტყვა:

– რა თქმა უნდა, ერთბაშად კი არ ვეცემი, ნელ-ნელა შევეჩვევი. ყოველგვარ ხერხსა და ფანდს კაცი გამოცდილებით უნდა დაეუფლოს. თავდაპირველად ორმოცდაათი გირვანქით დავიწყებ.

თქმა და ქმნა ერთი იყო. კიტმა შამოიკიდა ორმოცდაათი გირვანქა და ხტუნვა-ხტუნვით გაარბენინა. ტვირთი დასაბანაკებლად ამორჩეულ ადგილზე დააგდო და ხტუნვა-ხტუნვით უკან გამოჰრუნდა. არც ისე ძნელი ყოფილაო, გაიფიქრა. მაგრამ, ორმა მიღმა, ცოტა არ იყოს, ხალისი დაუკარგა. მეორე ტომარა სამოცდახუთ გირვანქას იწონიდა. მისი ზიდვა უფრო ძნელი გამოდგა და კიტმა ხტუნვას თავი ანება. მეზარეულთა ჩვეულებისამებრ, რამდენჯერმე დასასვენებლად ჩაიმუხლა, ზურგზე მოკიდებულ ტვირთს ხან ლოდს მიაბჯენდა, ხანაც ჯირკზე ჩამოსდებდა. მესამე გზობაზე მეტისმეტად გათამამდა და ღვედები ოთხმოცდათხუთმეტ გირვანქიან ცერცვის ტომარას შეოუჭირა. მაგრამ ასოდე იარღი გაიარა თუ არა, იგრძნო, კიდევ ცოტაც და დავეცემიო. მიწაზე დაჯდა და ოფლი შეიმშრალა.

– მოკლე მანძილის გავლა და ხანმოკლე შესვენება, აი, რა არის საჭირო.

ზოგჯერ ის იარღსაც ვერ გაივლიდა, ისე ჩერდებოდა დასასვენებლად, მაგრამ ყოველ წამოდგომაზე ოფლი სულ უფრო წურწურით ჩამოსდიოდა. ვიდრე მეოთხედ მიღს გაივლიდა, შალის პერანგი გაიძრო და ხეზე ჩამოკიდა. ცოტა ხანი რომ გამოხდა, ქუდი მოისროლა. გახევარი მილიც გაიარა და იფიქრა, ჩემი აღსასრული დადგაო. თავის დღეში ასე ცუდად არასოდეს ყოფილა, იჯდა და ქშინავდა, სულის მოთქმას ცდილობდა. უეცრად თვალი რევოლვერსა და სავაზნეს ჰკიდა.

– ათი გირძანქა უსარგებლო ხარახურაა, რისთვის მჭირდება! – წაიბურტყუნა გაჯავრებულმა და ქამრიდან შეიხსნა ზედმეტი ტვირთი.

თავი არ შეუწუხებია, რომ რევოლვერი ხეზე ჩამოეკიდა – იქვე ბუჩქებში მიაგდო. გზაზე ნელა მიაბიჯებდნენ პირქუში, ტვირთმძიმე ადამიანები და კიტმა შენიშნა, ბევრი ახალბედა მასავით იცილებდა თავიდან ცეცხლმსროლელ იარაღს.

კიტი სულ უფრო და უფრო ხშირად ისვენებდა. გაივლიდა ასოდე ნაბიჯს და გული ყელში მოეპჯინებოდა, ყურებში სისხლი მოაწვებოდა, მუხლები მოეკეცებოდა და იძულებული ხდებოდა შეჩერებულიყო, ჩამოესვენა. შესვენებები თანდათან უხანგრძლივდებოდა. გონება კი ითვლიდა და ითვლიდა. წინ კიდევ ოცდარვა მილი ედო, ოცდარვა დღის სავალი, დღევანდელი დღე კი, ყველა ნიშნის მიხედვით, მომავალ დღეებთან შედარებით უმსუბუქესი იყო.

– ჯერ სადა ხარ. ჩალკუტს მიაღწიე და ნახავ, ოთხით რომ მოჰყვები ფორთხვას, – ეუბნებოდნენ თანამგზავრები შესვენებისას.

– ჩალკუტამდის მისვლა არ მიწერია, – უპასუხებდა კიტი, – ეს საჩემო საქმე არ არის. ვიდრე ჩალკუტს მივალწევდე, მშვიდად განივსენებ ხავსის ქვეშ, მყუდრო სამარეში.

ფეხი დაუცდა და თავი რომ შეეკავებინა, არაადმიანური დაძაბვა დასჭირდა. ძალიან შეშინდა. იგრძნო, როგორ ამოუტრიალდა მთელი შიგნეულობა.

– თუ ოდესმე დავეცი ამ ჩემი ტვირთიანად, მორჩა, ვეღარ წამოვდგები. – შესჩივლა კიტმა რომელიღაც მეზარეულს.

– ჯერ რა გიჭირს, – მოესმა პასუხად, – დაიცადე, ხეობაში შევიდეთ. ბობოქარ ჩანჩქერზე მოგვიწევს გადასვლა, ზედ სამოცი ფუტის სიგრძის ფიჭვის მორია გადებული. არც თოკია ხელის წასავლებად, არც არაფერი. წყალი კი

დუღს შენს ქვემოთ, ტალღები მორს ზედ ევლებიან, მუხლებზე გეხეთქებიან. თუ ჩავარდი ტვირთიანად, შენი საქმე წასულია, ღვედებს ვერ შეიხსნი და ჩავითრევს.

– ძალიან კარგიც იქნება, – უპასუხა კიტმა და სადღაც, გულის სიღრმეში იგრძნო, რომ მართალს ამბობდა.

– აქ დღეში სამი-ოთხი კაცი მაინც იხრჩობა, – არწმუნებდა თანამგზავრი. – ერთხელ ერთი გერმანების გამოთრევაში მივეხმარე სხვებს, ოთხი ათასი ლოლარი აღმოაჩნდაა ჯიბეში. ქალაღდის ფულით.

– კარგი ამბავია, – ჩაილაპარაკა კიტმა, ძლივძლივობით წამოდგა და ლასლასით გაუდგა გზას. ის და ცერცვის ტომარა მთარულ ტრაგედიად იქცნენ. თავის თავს სინდბადს ადარებდა, კისერზე რომ ბერიკაცი აჯდა. – ესეც შენი ჭეშმარიტად მამაკაცური საქმიანობა, – წუწუნებდა კიტი. ამასთან შედარებით ო ჰარასთან მუშაობა ნამდვილი ნეტარება იყო. წამდაუწუმ გონებაში გაუეღვებდა ხოლმე მაცთური აზრი, – სადმე ბუჩქებში მიემალა ცერცვის ტომარა, ჩუმად დაპარულიყო ნაპირზე, ჩამჯდარიყო გემში და ცივილიზებულ სამყაროს დაბრუნებოდა.

მაგრამ, ასე არ მოქცეულა. სადღაც, მის არსებაში, შთამომავლობით მიღებული სიმტკიცე თვლემდა, და კიტი ჯიუტად უმუორებდა საკუთარ თავს, მეც შევძლებ იმის გაკეთებას, რისი გაკეთებაც სხვა მამაკაცს შეუძლიაო. ეს აზრი მაჯლაჯუნასავით აწვა გულზე და ხშირად თანამგზავრებსაც ფლეგმატურ, სახედარივით წვივმაგარ ინდიელებს, გაცილებით მძიმე ტვირთს რომ მიათრევედნენ შეუსვენებლივ, სულ წინ და წინ მიიწევდნენ მტკიცე, მოუღლეელი ნაბიჯით, მშვიდნი და აუღელვებელნი.

კიტი იჯდა და იგინებოდა – სიარულის დროს გინების თავიც აღარ ჰქონდა ხოლმე – და ებრძოდა ცთუნებას სან-ფრანცისკოში გაპარულიყო. ის ავადსახსენებელი ერთი მილი ჯერ არ გაეგლო, რომ გინებას თავი ანება და ტირილი დაიწყო. ეს ცრემლები უილაჯობის ცრემლები იყო და კიდევ ზიზღისა საკუთარი თავის მიმართ თუკი ოდესმე ყოფილა ვინმე პირწმინდად გაცამტვერებულ-განადგურებული, სწორედ კიტი იყო. როცა დანიშნულ ადგილამდე ცოტადა დარჩა, კიტმა ძალის უკანასკნელი ნატამალი მოიკრიბა, გაწამებული, არაქათგამოცლილი მილასლასდა ბანაკად არჩეულ ადგილზე და პირქვე დაემხო ზურგზე საპალნემოკიდებული. სიკვდილით არ მომკვდარა, მაგრამ მთელი თხუთმეტი წუთი უძრავად იწვა, ვიდრე სულს მოიბრუნებდა და შეძლებდა ტვირთის ზურგიდან მოხსნას. კიტს გულისრევა დაეწყო. ამ დღეში მყოფს შეესწრო რობი, რომელიც თვითონ უჩიოდა გულისრევას. ისიც რომ თავისებურ შეჭირვებული ნახა, კიტს ძალა მოეცა.

– თუკი სხვები აიტანენ, ჩვენც ავიტანთ, – უთხრა რობის, თუმცა თვითონაც არ იცოდა, ტრაბახობდა თუ მართალს ამბობდა.

IV

– მე ოცდაშვიდი წლისა ვარ და კაცი მქვია, – ხშირად იმეორებდა კიტი მომდევნო დღეების განმავლობაში. და ეს განმეორება მისთვის აუცილებელი იყო. ერთ კვირაში უკვე შეეჩვია ყოველდღიურ რვაასი გირვანქის ერთ მილზე გადატანას, მაგრამ, სამაგიერო; თვითონ დაიკლო თხუთმეტი გირვანქა. თვალები ჩაუცვივდა, გონება დაუჩლუნგდა და სხეულმა მოქნილობა დაკარგა. გამართულ სიარულს ვეღარ ახერხებდა და მილასლასებდა. მაშინაც კი, როცა უტვირთოდ ბრუნდებოდა უკან, ფეხს რიგიანად ვეღარ ადგამდა, ტვირთმძიმესავით მიითრევდა.

კიტი მუშა-საქონლად იქცა. ჭამის დროს ჩაეძინებოდა ხოლმე. და მისი ძილი ისეთივე ღრმა იყო და მძიმე, როგორც ცხოველისა.

ხანდახან ყვირილით იღვიძებდა, როცა ფეხებში კრუნჩხვა გაუდგებოდა და ტკივილი დააფრთხოდა. სხულის ყოველი ნაკვითი სტკიოდა. ძლივს დააბიჯებდა, ტერფებზე ბებური გასჩენოდა, მაგრამ ეს სასხენებელი არ იყო იმასთან, რაც დაიის ხეობაში ბასრ ქვებზე ორი მილის გავლის შემდეგ დაემართა – მთლად დაესერა ფეხები და დაუწყლულდა. ეს ორი მილი მთელ ოცდათვრამეტ მილს უდრიდა. პირს დღეში მხოლოდ ერთხელ იბანდა, ფრჩხილებს არ ისუფთავებდა, დამტვრეული და დუდკომორეული ჰქონდა, ღვედებს მხრები და მკერდი იარებით დაესირა. იმ იარებმა პირველად ჩააფიქრა კიტი იმ ცხენების ბედზე, ქალაქის ქუჩებში რომ ენახა მძიმე დატვირთულნი და მათ მიმართ უდიდესი თანაგრძნობით აეგსო გული.

პირველ ხანებში კიტს ყველაზე მეტად უხეში საკვები აწუხებდა. ამ მიზეზით კინაღამ სული უფალს ჩააბარა. გადამეტებული შრომა გადამეტებული კვებას მოთხოვდა. კიტის კუჭი კი შეუჩვეველი ისო ამდენი ბეკონის და შხამიანი შავი ცერცვის მონელებას. ამიტომაც, კუჭმა პროტესტი განაცხადა, რამდენიმე დღე ტკივილებით სული ამოხადა პატრონს და შიმშილისაგან ღონემიხილი სიკვდილის პირზე მიიყვანა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დადგა ის ნეტანი ხანაც, როცა კიტმა შესძლო ძღომაზედ ეჭამა. მშვიდი მგელივით დააცხრებოდა ხოლმე საჭმელს, ნადირივით თქვლეფდა და თან ხარბად იცქირებოდა აქეთ-იქით, ხომ აღარაფერი დარჩა, რასაც შეიძლება კბილი გაგკრაო.

როდესაც ხეობა უკან დარჩათ, მოგზაურებმა გეგმა შეცვალეს. ხმა გაგარდა, ლინდერმანის ტბის მიდამოებში უკანასკნელი სანავე ხეებიც კი გაუჩეხიათო.

კიტის ბიძაშვილები, საჭირო იარაღებით აღჭურვილნი, ტყის საძებრად წავიდნენ, თავიანთი ბარგი კი კიტსა და ბიძამისს დაუტოვეს.

კიტი და ჯონ ბელიუ ახლა ერთად ამზადებდნენ საჭმელს და მერე მხარდამხარ მიბიჯებდნენ ზურგზე ტვირთმოკიდებულნი. დრო მიქროდა, მთებზე ჩამოთოვა. ზამთარს რომ უღელტეხილს გადმოდმა მოესწრო, მთელი წელი ტყუილად დაეკარგებოდათ. და ბიძამ თავისი რკინის ზურგით ასი გირვანქა ასწია. კიტს გული შეუღონდა, მაგრამ რას იზამდა... კბილი კბილს დააჭირა და თავისი ღვედებიც ასგირვანქიან საპალნეს შემოუჭირა. რა თქმა უნდა, გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ახლა უკვე ყველა ხერხი იცოდა, აღარც ქონი აწუხებდა და უფრო მოქნილი და კუნთმაგარი გამხდარიყო. ამას გარდა, ირგვლივ ყველას აკირდებოდა და ახალ ხერხებს იგონებდა. შეამჩნია, რომ ინდიელები ღვედებს თევზედაც იმაგრებდნენ და თვითონაც სცადა, მხრის ღვედებს თავის ღვედებიც შეაშველა. ამან საგრძნობლად შეუმსუბუქა ტვირთი და საშუალება მისცა საპალნეზე დამატებით რაიმე მოზრდილი და არც თუ ძალიან მძიმე საგანი მიემარებინა. ასე და ამგვარად, შესძლო ღვედებით ასი გირვანქა აეწია, თხუთმეტი თუ ოცი გირვანქა ძირითადი ბარგის ზემოდან მოეთავსებინა, ცალი ხელით ცული ან ნინბები წაეღო, მეორეთი კი ერთმანეთში ჩადგმული რამდენიმე ქვაბი დაეჭირა.

მიუხედავად ამ ჯოჯოხეთური შრომისა, წინ სულ უფრო მეტი სიძნელე ხვდებოდათ. გზა თანდათან უარესდებოდა, ტვირთი მძიმდებოდა. თოვლი კი მთებზე დღითიდღე ქვევით მოიწვედა. ბარგის გადატანა ძალიან გაძვირდა, ინდიელები გირვანქაში უკვე სამოც ცენტს თხოულობდნენ. ბიძაშვილებისა არაფერი არ ისმოდა. ჯონ ბელიუ შფოთავდა, ძლივს მოახერხა და ლინდერმანის ტბიდან მობრუნებული ინდიელები დაიყოლია მათი ბარგის ნაწილი ჩილკუტის მწვერვალზე აეტანათ. გირვანქაში ოცდაათ ცენტს შეჰპირდა. ამან თითქმის მთლიანად გამოუცარიელა ჯიბე. დარჩენილი ოთხასი გირვანქა ბარგი, რომელიც ტანსაცმლისა და საბანკო მოწყობილობილობისაგან შედგებოდა, ჯონ ბელიუს საკუთარი ზურგით უნდა ეზიდა. კიტი ინდიელებს გააყოლა. მწვერვალზე ასვლისას, მებარგულებს რომ გაისტუმრებდა კიტს ბარგი ნელ-ნელა წინ უნდა

წაეწია და ბიძამის დალოდებოდა, ვიდრე ის თავისი ოთხასგირვანქიანი ტვირთით ძმისწულს არ წამოეწეოდა.

V

კიტი თავის ინდიელებიანად ნელა მიბობდავდა აღმართში. იმის გამო, რომ გზა ძნელი იყო და პირდაპირ ჩალკუტის მწვერვალისკენ მიემართებოდა, კიტმა მხოლოდ ოთხმოცი გირვანქა მოიგდო ზურგზე. ინდიელები მძიმე ტვირთქვეშ მოხრილიყვნენ, მაგრამ მაინც სწრაფად მიდიოდნენ. კიტი აღარაფერს ამბობდა. ის ახლა თავისი ამტანობით ინდიელებს არ დაუვარდებოდა.

მეოთხედი მილი რომ გაიარეს, კიტმა დასვენება ისურვა, მაგრამ ინდიელები არ შეჩერებულან. ისიც აღარ ჩამორჩა და მათთან ერთად განაგრძო გზა. ნახევარი მილი რომ გაიარეს, კიტმა იგრძნო, ნაბიჯსაც ვეღარ გადადგამდა წინ, მაგრამ პირი მაგრად მოკუმა, ფეხი არ შეანელა და მთელი მილი რომ გაიარა, გაოცებულმა აღმოაჩინა – თურმე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამის შემდეგ უცნაური რამ მოხდა. კიტი სიარულს შეჰყვა და მეორე მილი პირველზე უფრო იოლადაც კი გაიარა. მესამე მილმა კინაღამ მართლა შეიკლა და მაინც, ტკივილისა და დაღლილობისგან არაქათგამოცლილს ერთხელაც არ დაუჩივლია. მერე კი, სწორედ იმ წუთში, როცა უკვე გონებას კარგავდა, ინდიელებმა შესვენება მოინდომეს. იმის მაგივრად, რომ თეთრკანიან მებარგულთა მსგავსად ზურგზე ტვირთმოკიდებულნი მსდარიყვნენ, ინდიელებმა თავიდან და მხრებიდან დეველები მოიხსნეს, თავისუფლად წამოწვნენ, გააბოლეს და ლაპარაკს მოჰყვნენ. მთელი ნახევარი საათი გავიდა, ვიდრე ხელახლა გზას შეუდგებოდნენ. კიტის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ნახევარი საათის დასვენების შემდეგ თავი სულ სხვა კაცად იგრძნო. „გრძელი გზა და ხანგრძლივი შესვენება“ იქცა მის ახალ დევიზად.

ჩილკუტის ფერდობი სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორც სხვათა ნაამბობით წარმოედგინა. ხშირად ფეხებს ხელებსაც ახმარდა და დაოთხილი მიბობდავდა ციცაბო აღმართზე. მაგრამ, როცა თოვლსა და ქარბუქში უღელტეხილს მიაღწია, სიამაყის გრძობამ შეიპყრო ფარულად. სახუმარო საქმე როდი იყო, ინდიელებთან ერთად გამოიარა ეს ძნელი გზა და არც სიარულში ჩამორჩენია, არც თუ ჩივილი დასცდენია. ოცნებად გადაექცა, ინდიელებს არაფერში ჩამორჩენოდა.

როდესაც მებარგულს ანგარიში გაუსწორა და გაისტუმრა, მარტოდმარტო დარჩა თხემზე, ტყის ზოლიდან ათასი ფუტის სიმაღლეზე, წყვილიადით გარემოცული, მოღრიალე ქარბუქის პირისპირ მდგარი, მშიერი, დაქანცული. წელამდე დასველებული, მზად იყო მთელი წლის შემოსავალი ერთ ჭიქა ყავასა და პატარა კოცონში მიეცა. მაგრამ, იძულებული იყო ექსიოდე გამხმარი კვერით დაკმაყოფილებულიყო და გასათბობად კარვის კალთაში გამოსვეულიყო. ვიდრე ჩასთვლემდა, ჯონ ბელიუ გაახსენდა წამით და ბოროტად გაიღიმა. როცა წარმოიდგინა, როგორ ვაჟკაცურად მოათრევედა იგი თავის ოთხასგირვანქიან ტვირთს ჩილკუტის ციცაბო ფერდობზე. თვითონ ორიათასი გირვანქა ებარა, მაგრამ მისი გზა დაღმართში ჩადიოდა. ეს ახარებდა.

დილით, მთლად გათოშილი და განაწამები გამოძვრა თავშესაფარიდან, ორ გირვანქამდე უმი ბეკონი გადასანსლა, ასი გირვანქა ტვირთი ზურგზე მოიგდო და კლდოვან ბილიკზე დაეშვა.

ქვემოთ, რამდენიმე ასეული იარდის შემდეგ, გზა ვიწრო მყინვარზე გადადიოდა. მთელ იმ დღეს კიტს ბარგი მყინვარის ზედა საზღვრამდე გადაჰქონდა. მანძილის სიმოკლით გაღალტებული, თითო გზობაზე ას ორმოცდაათ გირვანქას ეზიდებოდა. თვითონვე ანცვიფრებდა თავისი ამტანობა. ვიღაც ინდიელისგან ორ დოლარად იყიდა სამი საზღვაო ორცხობილა და უმ ბეკონთან

ერთად ამ საჭმლით დღის განმავლობაში რამდენჯერმე დანაყრდა. ჭუჭყიანსა და გაყინულს, ოფლისგან დამბალტანსაცმლიანს, მეორე დამესაც კარვის კალთაში გამოხვეულს ეძინა. დილით ადრე ყინულზე ბრეზენტი გაშალა, სამი მეოთხედი ტონა ტვირთი ზედ დაყარა და გაათრია. იმ ადგილას, სადაც მყინვარი მოწყვეტით ეშვებოდა ძირს, ტვირთმა სინქარეს უმატა, კიტს ფეხებში ეცა, ზემოდან მოიქცია და თავის მხედრიანად წინ გაქანდა. ასობით მძიმედ დატვირთული მეზარგული გაოცებული ჩერდებოდა და თვალს ადევნებდა კიტის სრბოლას. კიტი მთელი ხმით ღრიალებდა, მომერიდეთო, და ისინიც სასწრაფოდ გვერზე ხტებოდნენ, გზას უთმობდნენ. ქვევით, მყინვარის ზედ ნაპირთან, პატარა კარავი მიყუჟულიყო. ეს კარავი ისე სწრაფად იზრდებოდა მის თვალწინ, რომ კიტს ეგონა, ჩემს შესახვედრად მოისწრაფისო. ბრეზენტი ასცდა გზას, რომელიც მკვეთრად უხვევდა მარცხნივ და გაუკვალავ თოვლზე კორიანტელი ააყენა. თოვლმა მისი გიჟური სრბოლა შეანელა, კიტმა ხელახლა მოჰკრა თვალი კარავს და იმავე წუთში მთელი ძალით ზედ შეენარცხა. ხის პალოები მიწიდან ამოცვივდა, კარვის წინა კალთები გაიხსნა და კიტი ტომრებიანად შიგნით შევარდა. კარავი მთვრალივით ბარბაცებდა და ყინულოვან ნისლში კიტი შეშინებული ახალგაზრდა ქალის პირისპირ აღმოჩნდა. ქალს საბნებიდან თავი წამოეყო. ეს სწორედ ის ქალი იყო, დაიაში ჩენაკო რომ უწოდა კიტს.

– დამინახეთ, როგორ მოექროდი? – მხიარულად შესძახა კიტმა.

ქალი გაჯავრებული შესცქეროდა.

– ესეც თქვენი მფრინავი ხალიჩა, – განაგრძობდა კიტი.

– ხომ არ ინებებთ ფეხებიდან ამაცალათ თქვენი ტომარა? – ცივად ჰკითხა ქალმა.

კიტი სასწრაფოდ წამოდგა.

– ეს ტომარა კი არა, ჩემი ნიდაყვია, გთხოვთ მაპატიოთ.

ამ ახსნა-განმარტებამ ქალზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ისევ ცივად და გამომწვევად უთხრა:

– მადლობელი ვარ, რომ ღუმელი არ გადაგვიბრუნეთ.

კიტმა იქით გაიხედა, საითაც ქალი იმზირებოდა და თუნუქის ღუმელი დაინახა. ღუმელზე ყავადანი იდგა. ახალგაზრდა ინდიელი ქალი ყავას ხარშავდა. კიტმა ყავის სურნელი შეიყნოსა და ისევ ქალს მიუბრუნდა.

– მე ჩენაკო ვარ. – განუცხადა დიდი ამბით.

ქალის გამომეტყველებამ აგრძობინა, რომ ახალი არაფერი უთქვამს, ისედაც ეტყობოდა, რომ ჩენაკო იყო, მაგრამ კიტი არ შემკრთალა.

– ჩემი ცეცხლსასროლი იარაღი გზაში გადავაგდე, – დაუმატა მან.

ქალმა ახლად იცნო და თვალეებში ნაპერწკალმა გაუელვა.

– არ მეგონა, თუ აქამდე მოაღწევდით, – გულახდილად უთხრა კიტს.

კიტმა კვლავ ხარბად შეიყნოსა ჰაერი.

– ჭეშმარიტად ყავის სურნელი მომდის, – პირდაპირ შეტევაზე გადავიდა იგი. – აი ჩემი ნეკი. თუ გინდათ, ახლავე მომაჭერთ. ყველაფერზე თანახმა ვარ.

წელიწადი და ერთი დღე თქვენი მონა ვიქნები, თუ გინდათ, უფრო მეტ ხანსაც, ოღონდ იმ საყავედან ერთი ფინჯანი დამალევენეთ. – ყავას რომ მიირთმევდა, კიტმა თავი გააცნო და ქალის სახელიც შეიტყო – ჯოი გასტელი. ისიც გაიგო, რომ ამ მხარის მკვიდრი ყოფილა, ფაქტორიაში დაბადებულია, „მონათა ტბაზე“.

ბავშვობისას „კლდოვანი ქედი“ გადაუძლია და იუკონამდე ჩასულა. ახლაც მამასთან ერთად მოგზაურობს, მაგრამ მამა სიეტლში საქმეებმა დააბანდა. ეს კაცი იმ ბედუკუღმართი „მაგალობელის“ მგზავრთა შორის აღმოჩნდა, ამას წინათ რომ ჩაიძირა, და ახლა სხვა გადარჩენილებთან ერთად სრუტეში იმყოფებოდა, სადაც მათმა მხსნელმა გემმა მიიყვანა.

იმის გამო, რომ ქალი კვლავ საბნებში იფუთნებოდა და წამოდგომას არ აპრებდა, კიტს საუბარი აღარ გაუგრძელებია, გმირულად უარყო მეორე ფინჯანი ყავა და თავისი მეოთხედი ტონა ტვირთი და საკუთარი თავი კარავს განაშორა. ცოტა მოგვიანებით რამდენიმე დასკვნა გამოიტანა:

– ამ ქალიშვილს მშვენიერი თვალები და მშვენიერი სახელი აქვს; ოცი-ოცდაორი წლისა იქნება, მეტის არა; ძლიერი ნებისყოფის და მგზნებარე ტემპერამენტის პატრონი ჩანს; მამა ფრანგი უნდა ჰყავდეს, განათლება კი შეიძლება ყველგან მიეღო, სადაც გინდათ, ოღონდ არა ამ ადგილებში.

VI

ბილიკი მოყინულ კლდეებს გასდევდა, ტყის ზოლის ზემოთ, გარს უვლიდა „კრატერის ტბას“ და კლდოვან ხეობაში შედიოდა, აქედან კი პირდაპირ „ბედნიერი ბანაკისკენ“ მიემართებოდა, სადაც პირველი ჯუჯა ფიჭვები ხარობდნენ. ამ გრძელ გზაზე ტვირთის გადატანა რამდენიმე დღის ქანცვაწყვეტ შრომას ნიშნავდა. ტბაზე იალქანიანი ნავი დაცურავდა, ბარგი გადაბქონდა. სულ ორიოდ საათი იყო საჭირო, რომ ამ ნავით კიტი, მთელი თავისი ტვირთიანად მეორე ნაპირზე გასულიყო. მაგრამ კიტი ქესატად იყო, ნავის პატრონმა კი ტონაში ოთხასი დოლარი მოსთხოვა.

– ეგ შენი კოხტა ნავი ოქროს საბადო ყოფილა, ძმობილო, – უთხრა კიტმა მენავეს. – გინდა, მეორე საბადოც გიჩვენო?

– მიჩვენე, – მოესმა პასუხად.

– იმ პირობით გიჩვენებ, თუ ბარგიანად იქით ნაპირზე გამიყვან. დიდებული აზრი მაქვს, ჯერ უპატენტოა, და როგორც კი მოისმენ, მაშინვე შეგიძლია საქმეს შეუდგე. თანახმა ხარ, თუ არა?

მენავემ თანხმობა უთხრა და კიტმაც ირწმუნა მისი სიტყვა.

– ძალიან კარგი. იმ მყინვარს ხედავ? წერაქვი აიღე და მიაღექი. ერთ დღეში მშვენიერი ღარს გათხრი ზემოდან ძირამდე. მიხვდი, რა გამოდის? „ბარგის კოტრიალით გადამტანი ჩილკუტ-კრატერის ტბის სააქციო კომპანია“. შენი ღარით შეგიძლია დღეში ასი ტონა ჩაასრიალო, ყოველ ას გირვანქაზე ორმოცდაათ ცენტს მოითხოვ; სიხარულით გადაგიხდიან, საქმე კი არაფერი გექნება იმის მეტი, რომ ფულები ჯიბეში ჩაიხსრიალო.

ორი საათის შემდეგ კიტი უკვე გაღმა ნაპირზე იყო და მთელი სამი დღე მოიგო. როცა ჯონ ბელიუ წამოეწია, უკვე „უძირო ტბას“ უახლოვდებოდა. ეს ტბაც ვულკანურ ტაფობში ჩამდგარიყო და მყინვარის წყლით იკვებებოდა.

VII

გზის უკანასკნელი მონაკვეთი სამი მილის სიგრძისა იყო. ბილიკი, თუკი შეიძლება ამას ბილიკი ეწოდოს, ათასი ფუტის სიმაღლის ქედზე ადიოდა, მერე კლაკნით ჩასდევდა მოყინულ კლდეებს და ვრცელ ჭაობს სერავდა. კიტმა ასი გირვანქა მოიგდო ზურგზე, ზემოდან კი ორმოცდაათგირვანქიანი ფქვილის ტომარა დაადო. გაოცებული ჯონ ბელიუ პირდაღებული შესცქეროდა.

– აბა, გამობრძმედილო კაცო! – შეუძახა კიტმა. – გაიხსენე, რომ დათვის ხორცი გიჭამია და ერთი წყვილი თეთრეულით იოლად გასულხარ. გვიჩვენე, რა შეგიძლია.

ჯონ ბელიუმ თავი გადააქნია.

– უკვე დავბერდი, ქრისტეფორ.

– რა დროს სიბერეა, ჯერ მხოლოდ ორმოცდარვა წლისა ხარ. პაპანქემა, სერ, მოხუცმა ისააკ ბელიუმ, რომელიც თქვენ მამად მოგხვდებოდათ, მუშტის ერთი დაკვრით კაცი მოკლა, როცა სამოცდაცხრა წლისა იყო.

ჯონ ბელიუმ გაიღიმა და ეს მწარე აბი უსიტყვოდ გადაყლაპა.

– ბიძაჩემო, ძალიან მნიშვნელოვანი რამ მინდა გითხრა. როგორც მოგეხსენებათ, აზიზად მზრდიდნენ. ცივ ნიავს არ მაკარებდნენ, მაგრამ ახლა ტვირთის თრევაში გჯობნი და სიარულშიც, შემოიძლია ორივე ბეჭით მიწას გაგაკრა და გვერდებიც დაგიზილო.

ჯონ ბელიუმ ხელი ასწია და საზეიმო კილოთი წარმოთქვა:

– ქრისტეფერ, შვილო, მჯერა, რომ ყოველივე ამის გაკეთება შეგიძლია. ისიც მჯერა, რომ ჩემი მიწაზე გაკვრა და გვერდების დახელება ზურგზე ტვირთმოკიდებულსაც არ გაგიჭირდება. შენ ძალიან ბევრი რამ შესძელი, იმდენად ბევრი, რომ დაჯერება მეძნელება.

ამ უკანასკნელად კიტმა ტვირთიანად დღეში ოთხი გზა გააკეთა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ოცდაოთხი მილი გაიარა. ამათგან თორმეტი მილი მძიმედ დატვირთულმა; თითო წადებაზე ას ორმოცდაათი გირვანქა მიჰქონდა. ძალიან დაიქანცა, მაგრამ გული სიამაყით ევსებოდა და თავს მშვენივრად გრძნობდა. ისე ჭამდა და ეძინა, როგორც არასოდეს არც უჭამია და არც უძინია. ხოლო, როცა ნახა, რომ მძიმე სამუშაო მალე დასრულდებოდა, ცოტა გულიც კი დასწყდა.

ერთი რამ აწუხებდა. იცოდა, თუ ასი გირვანქა ტვირთით დაეცემოდა, ცოცხალი გადარჩებოდა და ფეხზედაც წამოდგებოდა; მაგრამ ისიც სჯეროდა, თუ ას გირვანქას კიდევ ორმოცდაათს მიუმატებდა და მაშინ წაიფორთხილებდა, ეს ხედმეტი ტვირთი აუცილებლად კისერს მოატეხინებდა. ჭაობებში ბილიკი ათასი ფეხის ქვეშ მალე იშლებოდა და უძირო ჭინჭრობში ინთქმებოდა. მებარგულებს სულ ახალ-ახალი ბილიკების გაკვალვა უხდებოდათ. სწორედ ასეთი ბილიკის გაკვალვისას იყო, კიტმა რომ პრაქტიკულად გადაჭრა გამატებითი ორმოცდაათი გირვანქა ტვირთის საკითხი.

რბილი, ბლანტი ზედაპირი მის ფეხქვეშ შეტორტმანდა. კიტი წაბარბაცდა და პირქვე დაეცა. ორმოცდაათმა გირვანქამ ცხვირი ჭყანტში ჩააყოფინა, მაგრამ კისერი არ მოუტეხინებია. კიტს ზურგზე ასი გირვანქა დარჩა წამოუკიდებელი. მოახერხა და რთხზე წამოდგა. წელში გასწორება კი ვერ შესძლო. ცალი ხელი მხრამდე ჩაეფლო ჭაობში და ტვირთმა ლოყა ტალახზე დაადებინა, როგორც ბალიშზე. ეს ხელი რომ გაითავისუფლა, ახლა მეორე ჩაეფლო. ასეთ მდნომარეობაში შეუძლებელი იყო ღვედების შეხსნა. ზურგზე მოკიდებული ტვირთი ეი წამოდგომას უშლიდა. ასე მუხლებზე დაჩობილი ხან ერთ ხელს ამოიღებდა საფლობიდან, ხან მეორეს და ცდილობდა იქით გაჩოჩებულიყო, სადაც ფქვილიანი ტომარა გადაუვარდა. მაგრამ მისი ყოველი ცდა ამას იყო. ტყუილად დაიქანცა და ბალახის თხელი საფარველიც ჩაგლიჯა. ნაპრალიდან წყალმა ამოხეთქა სახეში შეესხა. მდგომარეობა რთულდებოდა.

ზურგზე გადაბრუნება სცადა, რომ ტვირთი საყრდენად გამოსდგომოდა, მაგრამ ამას უარესი შედეგი მოჰყვა. კიტი ორივე ხელით ჩაეფლო ღიაში და აშკარად იგრძნო, რომ იხრჩობოდა. სამაგალითო მოთმინებით, ნელ-ნელა ამოიღო ჯერ ერთი ხელი, შემდეგ მეორე, წყლის ზედაპირზე ბრტყლად გააღა და ზედ ნიკაპით დაეყრდნო. მერე კი ხმამაღლა ითხოვა შეველა. ცოტა ხნის შემდეგ ფეხის ხმა მოესმა. ვიღაც მოტოპავდა მისკენ.

– მომეხმარე, ძმობილო, – შესძახა კიტმა. – თოკი რამე გადმომიგდე.

პასუხად ქალის ხმა მოესმა და ეს ხმა მაშინვე იცნო.

– თუ ღვედებს შემხსნით, ადგომას შევძლებ.

ასმა გირვანქამ ტალახში ტყაპანი მოადინა და კიტი ნელ-ნელა ფეხზე წამოდგა.

– მშვენივრად გამოიყურებით. – გაეცინა მის გასტელს, კიტის ტალახში ამოგანგლულ ცხვირ-პირს რომ შეხედა.

– არაფერია, – მხიარულად გაეპასუხა იგი, – ეს ჩემი საყვარელი ფიზიკური ვარჯიშია. თქვენც სცადეთ როდისმე, საუცხოოდ ანვითარებს მკერდის კუნთებს და ხერხემალს.

კიტმა სახე მოიწმინდა და ხელი გაიქნია ტალახის მოსაშორებლად.

– ო, ეს ხომ მისტერ სმოკ ბელიუა, – ახლავა იცნო ქალიშვილმა.

– მაღლობას მოგახსენებთ დროული დახმარებისათვის და ახალი სახელისათვისაც, – უთხრა კიტმა. – დღეს ხელმეორედ მოვინათლე. ამირიდან ყველამ სმოკ ბელიუ უნდა მიწოდოს. ძლიერი და მრავლისმთქმელი სახელია. ძალიან მომწონს.

კიტი გაჩქმდა. მერე უეცრად მძინვარე გამომეტყველება მიიღო და ხმაშიც რისხვა გამოერია:

– იცით, რის გაკეთებას ვაპირებ? – მკაცრად ჰკითხა ქალიშვილს, – უკან, შტატებში უნდა დავბურნდე. ცოლი უნდა შევიერთო. დიდი ოჯახი მეყოლება, ბევრი შვილები. ერთ მშვენიერ სადამოს შევეყრი ბავშვებს, გარს შემოვისხამ და ვუმაბობ, რა ტანჯვა, რა ვაი-ვარამი გამოვიარე ჩილკუტის გზაზე. და თუ ეს ჩემი ნაამბობი მათ ცრემლს არ მოჰგვრის, – ვიმეორებ, – თუ ცრემლს არ მოჰგვრის. ცემით სულს გავაფრთხობინებ.

VIII

პოლარული ზამთარი ახლოვდებოდა. თოვლმა უკვე ექვსი გოჯის სისქეზე დაფარა მიწა. პატარა ტბებიც ყინულმა შეკრა, მიუხედავად მძაფრი ქარებისა. ერთ სადამოს, როცა ქარიშხალმა ცოტა ხნით იყუჩა, კიტი, ჯონ ბელიუსთან ერთად, ბიძაშვილებს მიეხმარა ნავის დატვირთვაში, მერე კი ნაპირზე იდგა და გასცქეროდა, ვიდრე ისინი ქარბუქში არ გაუჩინარდნენ.

– ეს ერთი ღამეც აქ გავითენოთ, დილით ეი ადრიანად გავუდგეთ გზას, – თქვა ჯონ ბელიუმ. – თუ უღელტეხილზე ქარიშხალი არ დაგვაბრკოლებს, ხვალ სადამოს დაიას მივადწევთ. ხოლო, თუ ბედი გავვიღიმებს და გემზეც მოვხვდებით, ერთ კვირაში სან-ფრანცისკოში ამოვეყოფთ თავს.

– კმაყოფილი ხარ გასეირნებით? – უგულისყუროდ ჰკითხა კიტმა.

ამ უკანასკნელ ღამეს მათი ბანაკი ლინდერმანის ტბასთან ნაღვლიანად გამოიყურებოდა. ბიძაშვილებმა თან წაიღეს ყველაზე უფრო საჭირო ნივთებიც კი, მათ შორის კარავიც. დაფლეთილი ბრეზენტო ძლივს იფარავდა ქარბუქისგან. ვახშამი ღია ცისქვეშ დანთებულ ცეცხლზე მოიმზადეს, დაჟეჟილ, უვარგის კარდალებში. მხოლოდ საბნებიდა და საჭმელი – რამდენიმე დღის სამყოფი.

იმწუთიდან, რაც ნავი ნაპირს მოსცილდა, კიტი როგორღაც დაბნეული და მოუსვენარი გახდა. ბაძამისმა შენიშნა ეს და ყველაფერი მძიმე შრომასა და დაქანცულობას მიაწერა. ვახშმობისას კიტმა მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა:

– ბიძაჩემო, – წამოიძახა უადგილოდ, – ვთხოვ, ამიერიდან სმოკი* (*სმოკი – (ინგ.) კვამლი, მური.) დამიძახო. მე ხომ გვარიანად გავიმეორე ამ მოგზაურობაში.

ნავახშმევს კიტი წამოდგა და ოქროსმადიებელთა კარვებისკენ გაემართა. იქ მუშაობა გაჩაღებულიყო. ვინ ნავს აგებდა, ვინ კიდევ ტვირთავდა. რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა და საბანქვეშ შეძვრა. ჯონ ბელიუს უკვე ეძინა.

ქარიანი, მოქუფურული დილა გათენდა. კიტი საბნიდან ამოძვრა. ფეხთ არ ჩაუცვამს, ისე გააჩაღა ცეცხლი, ზედ მიუფიცხა თავისი გათოშილი ფეხსაცმელები, ყავა მოადულა და ბეკონი შებრაწა. უგემურად ისაუზმეს ქარსა და ბუქში. მერე თავიანთი საბნები შეკრეს და, ის იყო, ჯონ ბელიუ ჩილკუტის გზას უნდა დასდგომოდა, რომ კიტმა შეაჩერა და ხელი გაუწოდა.

- ნახვამდის, ბიძაჩემო. - უონ ბელიუმ შეხედა და გაოცებულმა შეიგინა.
- ნუ გავიწყდება, რომ სმოკი მქვია, - შთამაგონებლად წარმოთქვა კიტმა.
- კი მაგრამ, რა აპირებ?

კიტმა ჩრდილოეთისკენ, ბობოქარი ტბისკენ გაიშვირა ხელი.

- აზრი აღარა აქვს უკან დაბრუნებას, რაკი ამისშორეზე წამოვსულვარ. გარდა ამისა, ხორცს გემო გვეუსინჯე და მომეწონა, გადავწყვიტე, გზა განვაგრძო. მივდივარ.

- მერე, ფული რომ არა გაქვს? - შეახსენა ჯონ ბელიუმ, - არც აღჭურვილობა გაგაჩნია.

- სამუშაო ვიშოვე. შენმა ძმისწულმა, ქრისტეფერ სმოკ ბელიუმ, სამუშაო იშოვა. ის ახლა ჯენტლმენის მსახურის. თვეში ას ორმოცდაათი დოლარი და მზამზარეული საჭმელ-სასმელი ექნება. ახლა დოუსონში მიემგზავრება ორ ბატონთან და კიდევ ერთ მსახურთან ერთად, როგორც მზარეული, მენავე და კიდევ რა ვიცი რა. თ' ჰარას კი თავის „ტალღიანად“ ჯანდაბამდის გზა ჰქონია. ნახვამდის.

გაოგნებულმა ჯონ ბელიუმ ვერაფერი მოახერხა და ესღა ჩაილაპარაკა:

- არაფერი არ მესმის.
- ამბობენ, იუკონის მიდამოებში დათვები ბლომად არიანო, - განუმარტა კიტმა. - მე მხოლოდ ერთი წყვილი თეთრეული მაქვს და დათვის ხორციც მინდა ვიგემო. ეს არის და ეს.

ხორცი

I

ძლიერი ქარი ქროდა და სმოკ ბელიუმ ძლივს გამოაღწია ნაპირზე. განთიადის ბინბუნდში თორმეტიოდე ნავს ტვირთავდნენ იმ ძვირფასი აღჭურვილობით, ჩილკუტზე რომ გადმოატარეს. ეს ტლანქი თვითნაკეთი ნავეები იმ ადამიანებს შეეკოწიწებინათ, რომელთაც ამ საქმისა არა გაეგებოდათ-რა. ნავეები ახლად მოჭრილი ნედლი ხეებისაგან იყო შეკრული. ერთი უკვე დაეტირთათ და ნაპირს სცილდებოდა, კიტი შეჩერდა და დააკვირდა.

ქარი, გაშლილ ტბაზე რომ ზურგში სცემდათ და გზას უადვილებდათ, აქ ნაპირს აწყდებოდა, თავთხელზე ტალღებს ყალყაზე აყენებდა. გასასვლელად გამზადებულ ნავეებს ვიღაც კაცები დასტრიალებდნენ. მაღალყელიანი რეზინის ჩექმებით დააბოტებდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, როგორმე ნავი ღრმა წყალში გაეყვანათ. ორჯერ სცადეს და არაფერი გამოუვიდათ. ორჯერ ჩასხდნენ ნავში, ნიხები მოუსვეს, მაგრამ ორჯერვე ქარმა უკან, ნაპირზე გამორიყა. კიტმა შენიშნა, რომ წყლის მხეფები ნავის ფერდობზე წამსვე ყინულად იქცეოდა. მესამე ცდას მეტი წარმატება მოჰყვა. ორი კაცი წელამდე შევიდა წყალში და ნავი ღრმად შეაცურა. ძლივს მოიმარჯვეს მძიმე ნიხები და ნელა მოსცილდნენ ნაპირს. მერე საბნის აფრა დააყენეს, მაგრამ ქარმა მოგლიჯა და ნავი მესამედ გამორიყა გაყინულ ნაპირზე.

კიტმა ჩაიციხა და გზა განაგრძო.

მასაც ეს დღე მოელოდა. კიტს ახლა ახალი როლი ჰქონდა - ჯენტლმენის მსახური იყო და იმავე დღეს, ისეთივე ნავით უნდა გასცლოდა იმავე ნაპირს.

ყველგან მუშაობა იყო გაჩაღებული. ხალხი გაშმაგებით, ძალ-ღონის დაუზოგავად მუშაობდა. იმიტომ, რომ ზამთარი გულდაგულ მოიწევდა, მათ კი

ტბების მთელი ჯაჭვი უნდა გადაელახათ, ვიდრე წყალს ყინვა შებოჭავდა. მაგრამ, მისტერ სპრაგისა და მისტერ სტაინის კარავს რომ მიაღვა, ვერავითარი სამზადისი და ფაციფუცი ვერ შენიშნა.

ცეცხლის პირას, ბრეზენტის საარქვეშ პატარა, სქელი კაცუნა ჩაცუცქულიყო და უხეშ ქაღალდში გახვეულ თვითნაკეთ სიგარეტს ეწეოდა.

– გამარჯობათ, – უთხრა მან კიტს, – თქვენ მისტერ სპრაგის ახალი მსახური ხართ?

კიტმა შენიშნა, რომ ამ კაცმა სიტყვები „მისტერ“ და „მსახური“ განსაკუთრებული საზგასმით წარმოთქვა. თვალში ჩაუკრა თითქოს კიტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– მე კი დოქტორ სტაინის მსახური ვარ, – განაგრძო კაცუნამ. – სიმაღლით ხუთი ფუტი და ორი დიუმი გახლავართ, სახელად შორტის მეძახიან, ჯეკ შორტის*, (*შორტი – (ინგ.) დაბალი, მოკლე.) თუმცა, ზოგჯერ ხელმარჯვე ჯონისაც მიწოდებენ.

კიტმა ხელი ჩაოართვა და გამოიძია:

– დათვის ხორციით ხართ გამოზრდილი?

– რა თქმა უნდა, – მოესმა პასუხად, – თუმცა, ჩემი პირველი საზრდელი კამეჩის რქე იყო, რამდენადაც მახსოვს. ჩამოჯექით და ცოტა წაიხემსეთ. ბატონებს ჯერ ისევ ძინავთ.

კიტი ნასაუზმევი იყო.

მაგრამ მაინც სიამოვნებით მიუჯდა ცეცხლს და მეორედაც გემრიელად ისაუზმა. მრავალი კვირის მძიმე შრომამ კიტს მგლის მადა გაუღვიძა. კუჭიც მგლისა გაუხდა. რაც არ უნდა ეჭამა, რამდენიც არ უნდა ეჭამა – სულ ერთი იყო, იოლად მოინელებდა.

შორტი კარგი მოლაყბე აღმოჩნდა, მაგრამ პესიმისტურად განწყობილი. ბატონები დაწვრილებით დაუხასიათა და მომავალ ექსპედიციასაც რამდენიმე აგებდითი წინასწარი დასკვნა გააკეთა. თომას სტენლი სპრაგი ახალგაზრდა სამთო ინჟინერი გამოდგა, და, ამავე დროს, მილიონერის ვაჟიშვილი. დოქტორი ადოლფ სტაინიც წელმაგარი ოჯახის შვილი იყო. თავიანთი მამების წყალობით ერთ-ერთი სინდიკატორისაგან სუბსიდია მიეღოთ კლონდაიკში საძიებო სამუშაოების საწარმოებლად.

– ფული ორივეს თავზე საყრელი აქვს, – უთხრა შორტიმ, – როცა დაიის ნაპირზე გადმოსხდნენ, ბარგის გადატანა სამოცდაათი ცენტრი ღირდა, მაგრამ ინდიელი მებარგულები აღარსად იყვნენ. სწორედ იმ დროს იქ აღმოსავლეთ ორიგონიდან მოსული ხალხი შეესწრო, ჭეშმარიტი მადაროელები, რომელთაც სამოცდაათ ცენტად რამდენიმე ინდიელი დაექირავებინათ – ინდილებს უკვე დევები შემოეჭირათ სამი ათასი გირძანქა ტვირთისათვის და ის იყო ადგილიდან დაძვრას აპირებდნენ, რომ სპრაგი და სტაინიც მოვიდნენ. მათ ჯერ ოთხმოცი ცენტრი შესთავაზეს ინდიელებს, მერე ოთხმოცდაათი, ბოლოს კი მთელი დოლარი. ინდიელებმაც უკან მიუყარეს ტვირთი ორიგონელებს და სპრაგსა და სტაინს გამოჰყვნენ. ახლა, სპრაგი და სტაინი უკვე ტბებამდე მოვიდნენ, თუმცა ეს მგზავრობა სამი ათასი დოლარი დაუჯდათ. ორიგონელი მადაროელები კი დღესაც ნაპირზე სხედან და ასე ისხებიან გაისამდე.

ო, ეს ჩვენი ბატონები დიდი მფლანგველი ხალხია. ფულის ფანტევაში ბადალი არა ჰყავთ. არაფერს დაგიდევენ, ყველა ფეხებზე ჰკიდიათ. აქ რაღა ჰქნეს, არ იტყვი, ლინდერმანზე? დურგლები სანფრანცისკოდან ჩამოსულებისათვის ნავს აგებდნენ, ექვსას დოლარად. ის იყო ამთავრებდნენ კიდევ, რომ სპრაგი და სტაინი ეცნენ, ათასი დოლარი ჩაუჯობეს დურგლებს და იმათაც სან-ფრანცისკოელებს ქვა მიაგორეს, ხელშეკრულება დაარღვიეს.

მშენიერი ნავია, მაგრამ იმათ რაღა ჰქნან, იმ სან-ფრანცისოელებმა, ბარგი აქამდე მოუტანიათ. კიდევ დალიე ერთი ფინჯანი ყავა. მერწმუნე, ამ ღორებს ახლოსაც არ გავეკარებოდი, ასე ძალიან რომ არ მინდოდა კლონდაიკის ნახვა. უსულგულო ხალხია. მიცვალებულის გაძარცვასაც არ ითაკილებენ, თუ დასჭირდათ. ხელშეკრულებას ხელი მოაწერე თუ არა?

კიტმა თავი გააქნია.

– მაშ, შენ მაგიერად მე ვწუხვარ, ძმობილო. ამ მხარეში საჭმელი არც ისე ბევრია, შიმშილი დანავარდობს, ჰოდა, როგორც კი დოუსონს მივადწევთ, ბედის ანაბარად დაგაგდებენ. ზამთარში აქ ბევრს ამოხდება შიმშილით სული.

– ჩვენ შევთანხმდით, – დაიწყო კიტმა.

– სიტყვიერად, – შეაწყვეტინა შორტიმ, – სიტყვას იმათ თვალში ფასი არა აქვს. შენ ერთს იტყვი, ისინი მეორეს დაგიმტკიცებენ. რას გახდები? შენი სახელი მითხარი. ძმობილო.

– სმოკი დამიძახე, – უთხრა კიტმა.

– აი, რას გეტყვი, სმოკ. მაგ შენი სიტყვიერი შეთანხმებით იმდენს გამუშავებ, სულ თავბედს გაწყვევლინებ. სხვას არაფერს უნდა მოელოდე. ფულის ფლანგვა კი იციან, მაგრამ მუშაობის შნო არა აქვთ. დილით ლოგინიდან ვერ ააღწევენ ხოლმე. ერთი საათის წინ უნდა დაუძრულიყავით, ისინი კი ისევ ხვრინავენ. ყველას მაგიერად მე და შენ გავგვძვრება ზურგზე ტყავი. საცაა გაიღვიძებენ და მაშინვე ყავას მოგთხოვენ, ლოგინში უნდა მიართვა. გაგონილა ასეთი რამე? ვაჟკაცებად კი მოაქვთ თავი. ნიჩბების მოსმა ან ნავის მართვა შეგიძლია?.. ხმელეთზე მე კოვბოი ვარ და ოქროსმაძიებელი, წყალზე კი რა მოგახვენო – ნამდვილი დონდლო ვარ. არც პატრონებს გაეგებათ ამ საქმისა რამე. შენ? შენ კი იცი?

– რა უნდა ვიცოდე, – თქვა კიტმა და უფრო ახლოს მიჩოჩდა ბრეზენტთან, რადგან ქარმა ძლიერად ამოუბერა და თოვლი შეაყარა. – ნავში ბავშვობისას თუ ვმჯდარვარ, მეტად არა. მაგრამ, იმედი მაქვს, მაგასაც ვისწავლი.

ბრეზენტის ერთი კალთა ქარმა ააფრიალა და შორტის კისერში თოვლი ჩაუცვივდა.

– სწავლით კი ვისწავლით, – წაიბურტყუნა გამწარებულმა, – მაშ რას ვიზამთ. რა დიდი რამე მაგას უნდა, ბავშვიც კი ისწავლის. მაგრამ, თუ გინდა დაგენიძლავები, რომ დღეს აქედან ფეხსაც ვერ მოვიცვლით.

რვა საათი იქნებოდა, როცა კარვიდან ყავა მოითხოვეს, ცხრა საათისთვის კი ბატონებმა აბრძანება ინებეს.

– აბა, – თქვა სპრაგმა, ლოყაწითელმა, ჩასუქებულმა ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდამ. – დროა წასასვლელად მოვემზადოთ. შორტი, შენ და... – მან კიტს გადახედა. – მაპატიეთ, გუშინ კარგად ვერ გავიგონე თქვენი სახელი.

– სმოკი.

– მაშ, აი რა, შორტისა და თქვენ, მისტერ სმოკ, გირჩევთ, ნავის დატვირთვის შეუდგეთ.

– მხოლოდ სმოკი დამიძახეთ, უმისტეროდ, – უთხრა კიტმა.

სპრაგმა თავი დაუქნია და დოქტორ სტაინთან ერთად იქაურობას გაშორდა. დოქტორი სტაინი ხმელ-მელი ახალგაზრდა კაცი იყო. სულ მალე ისინი თვალს მიეფარნენ.

შორტიმ მრვალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი კიტს.

– ნახევარ ტონზე მეტი ტვირთია და თვითონ თითხაც არ გასძრავენ. აი ნახავ.

– ეგენი ფულს იმიტომ გვიხდიან, რომ მათ ნაცვლად ვიმუშაოთ, – მხიარულად შეეპასუხა კიტი, – მე მგონია, ამას უნდა შევეგუოთ.

სამი ათასი გირვანქა ტვირთის ზურგით გადათრევა, თუნდაც ას ნაბიჯზე, თავისთავად ძნელი საქმეა. ხოლო, ქარსა და გრიგალში ეს საქმე კიდევ უფრო ძნელი შესასრულებელია. რეზინის მძიმე ჩექმები ნამქერში გეფლობა. ფეხს ძლივს მითრევ. მსახურებმა კარავი აკეცეს, სამზარეულო ჭურჭელი შეკრეს და ნავის დატვირთვა დაიწყეს. რაც უფრო მძიმედ ტვირთავდნენ, ნავი მით უფრო ღრმად უნდა შეეცურებინათ წყალში. შესაბამისად, მანძილი ნაპირსა და ნავს შორის თანდათან იზრდებოდა. ორი სათისათვის მუშაობას მორჩნენ და კიტი, მიუხედავად იმისა, რომ დილით ორჯერ ისაუზმა, შიმშილისაგან ფეხზე ძლივს იდგა, მუხლები უცახცახებდა. არც შორტი გრძობდა თავს უკეთესად. ქოთნები და ქვაბები მოჩხრიკა და ერთ კარდალაში ცერცვში არეული ღორის ხორცის მოზრდილი ნაჭრები აღმოაჩინა. კოვზი მხოლოდ ერთი ჰქონდათ, ისიც ვეებერთელატარიანი. რიგრიგობით ჰყოფდნენ ქვაბში. კიტი დარწმუნებული იყო, რომ ამაზე გემრიელი საჭმელი თავის დღეში არ ეგემნა.

– სინდისს გეფიცები, – ძლივს ამოიღუღლულა პირგამოტენილმა, – მხოლოდ ამ მოგზაურობის დროს გავიგე, რა არის ჭეშმარიტი მადა.

სპრაგმა და საინმა სწორედ ამ საამო საქმიანობით გართულებს მოუსწრეს.

– რაღა გვაბრკოლებს? – უკმაყოფილოდ იკითხა სპრაგმა, – დავიძვრებით თუ არა ოდესმე?

პასუხის ნაცვლად შორტიმ ქვაბიდან სავსე კოვზი ამოიჯო, კარგად გალოკა და კიტს გადასცა. სიტყვაც არ დასცდენიათ, ვიდრე ქვაბი საფუძვლიანად არ ამოფხიკეს.

– რა თქმა უნდა, ჩვენ აქ მხარ-თეძოზე ვნებივრობდით, – თქვა შორტიმ და ხელის ზურგით პირი მოიწმინდა, – არაფერი გაგვიკეთებია. თქვენც მშვივრები დაიხოცეთ. ყველაფერი ეს კი ჩემი ბრალია.

– ჩვენ ერთ კარავში ვისაუზმეთ, მეგობრებთან, – ჩაილაპარაკა სტაინმა.

– ასეც ვიცოდი, – წაიბურტყუნა შორტიმ.

– ახლა ხომ გაძეხით, როგორც იქნა, შეგვიძლია წავიდეთ. – აჩქარებდა სპრაგი.

– ნავი დატვირთულია, წყალში ჩაშვებულია, – უპასუხა შორტიმ, – თქვენი აზრით, კიდევ რა არის საჭირო იმისათვის, რომ გავემგზავროთ.

– ნავში ჩაჯდომა და წყალში შეცურება. წავიდეთ.

ტბაში შეტოპეს, ბატონები ნავში ჩასხდნენ, მსახურები კი ნავს მიაწვნენ. როცა წყალი მაღალყელიან ჩექმებში ჩაუვიდათ, ისინიც ნავში აცოცდნენ, მაგრამ შიგ მსხდომთ ნიხბებს ხელიც არ ახლეს და, ვიდრე კიტი და შორტი რამეს მოახერხებდნენ, ნავი ისევ ნაპირს მიეხეთქა. ბარე ექვსჯერ განმეორდა ერთი და იგივე. კიტსა და შორტის არაქათი გამოეღიათ. შორტი ლანძღვა-გინებით ჩამოჯდა კიჩოზე და საღეჭი თამბაქო ჩაიტენა პირში. კიტი ნავიდან წყალს ხაპავდა, ბატონები კი გაბოროტებულნი ბუზღუნებდნენ.

– თუ გამოგონებთ, ნავს მე შევაცურებ, – თქვა სპრაგმა.

კარგი განზრახვა იყო, მაგრამ ასრულება არ ეწერა. ვიდრე ნავიდან გადავიდოდა, ტალღამ წელამდე დაასველა.

– ისევ ნაპირზე დაბანაკება და ცეცხლის დანთება მოგვიწევს. – თქვა სპრანგმა, როცა ნავი ხელახლა გამოირიყა. – ვიყინები.

– ხეირიანად არც კი დასველებულა და უკვე შეშინდა, – დასცინა სტაინმა, – დღეს ბევრი წავიდა აქედან თქვენზე უფრო დასველებული. ახლა მე ვცდი.

ამჯერად ის გაიღუმბა და მაშინვე ცეცხლის დანთება მოინდომა, რადგან კბილს კბილზე აცემინებდა სიცვიისაგან.

– ორიოდე მსხვი რას გიზამთ! – ახლა სპრაგმა გამოურია ღვარძლი, – წავიდეთ.

– შორტი, გადმოიღე ჩემი ტანსაცმლის ჩანთა და ცეცხლი დაანთე, – უბრძანა სტაინმა.

– ამას ვერ გაბედავთ, – დაუყვირა სპრანგმა.

შორტიმ ჯერ ერთს გადახედა, მერე მეორეს, გადააფურთხა და აღვილიდან არ დაიძრა.

– ეგ მე მემსახურება და ვალდებულია ჩემს ბრძანებას დაემორჩილოს, – გაცხარდა სტაინი, – შორტი, გადმოიღე ჩანთა.

შორტი დაემორჩილა, სპრაგი კი ნავში დარჩა, თუმცა სიცივისაგან მთლად გაღურჯებულიყო და ცახცახებდა.

კიტს არაფერს უბრძანებდნენ და ისიც სიამოვნებით ისვენებდა.

– როცა ნავს ვერ იყოფენ, ის უძრავად დგას. – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა კიტმა.

– რა თქვით? – შეუღრინა სპრანგმა.

– არაფერი, ისე, ჩვეულებად მაქვს საკუთარ თავთან საუბარი.

ბატონმა თვალები გადაუბრიალა, კიდევ რამდენსამე წუთს გულმოსული იჯდა, მერე კი დანებდა.

– ჩემი ჩანთაც გადმოიღეთ, სმოკ, – უბრძანა კიტს, – და ცეცხლის დანთებაში მოეხმარეთ. დილაამდე აქ დავრჩებით.

II

დილით ქარი ისევ ქროდა. ლინდერმანის ტბა კლდეებს შორის ჩაკარგულ წყლით სავსე ვიწრო ხეობას წარმოადგენდა. მთებიდან ასხლეტილი ქარი აქ უთანაბროდ უბერავდა. ხან გრიგალივით ქროდა, ხანაც უწყინარ ბრიზად იქცეოდა.

– თუ კარგად მოაწვებით, მე შევძლებ ნავის გაყვანას, – თქვა კიტმა, როცა უკვე ყველაფერი მზად იყო გასამგზავრებლად.

– ამ საქმისა რა გაგეგებათ, – პირში ეცა სტაინი.

– მაგასაც ნახავთ, – უპასუხა კიტმა და გაჩუმდა.

თავის სიცოცხლეში პირველად უხდებოდა მოჯამაგირეობა, მაგრამ დისციპლინას სწრაფად ეჩვეოდა. მორჩილად და ხალისით მონაწილეობდა ყოველგვარ ცდაში, რომ როგორმე ნავი ნაპირისთვის მოეშორებინათ.

– რა გინდათ გააკეთოთ, – თითქმის ტირილით ჰკითხა სპრანგმა.

– ჯერ დავსხდეთ და კარგად დავისვენოთ. როცა ქარი მიყუჩდება, ერთბაშად მივაწვეთ, როგორც რიგია, და დავძრავთ.

უბრალო აზრი იყო, მაგრამ კიტმა პირველმა მოიფიქრა. პირველი ცდისთანავე სასურველი შედეგი მიიღეს. საბნების იალქნები გამართეს და ნავი გაცურდა. სპრაგი და სტაინი წამსვე გამხიარულდნენ. შორტი, მისი ქრონიკული პესიმიზმის მიუხედავად, მხიარული კაცი აღმოჩნდა, კიტს კი ისე აინტერესებდა ყოველივე, რაც მის გარშემო ხდებოდა, რომ მოსაწყენად აღარ ეცადა. სპრაგი თხუთმეტობდე წუთს უმკლავდებოდა საჭეს, მერე კი მუდარით შეხედა კიტს და იმანაც მაშინვე ისხნა ტანჯვისაგან.

– კინალამ ხელები დამაწყდა, – მოიბოდიშა სპრანგმა.

– ალბათ, არასოდეს გიჭამიათ დათვის ხორცი, არა? – თანაგრძნობით ჰკითხა კიტმა.

– დალახვროს ეშმაკმა, ვითომ მაგით რისი თქმა გინდათ?

– ო, არაფრის, ისე უბრალოდ მაინტერესებდა.

თავისი ბატონის ზურგს უკან კიტმა შორტის შეასწრო თვალი, გამამხნეველად უღიმოდა, ხუმრობას მიუხვდა.

კიტს ისეთი ბრწყინვალე მონაცემები აღმოაჩნდა ნავის მართვაში, რომ ფულიანმა უქნარებმა ჭეშმარიტი მესაჭე უწოდეს. არც შორტი იყო ნაკლებად აღტაცებული. მთელი სანაოსნო საქმეები კიტს გადააბარა, თვითონ კი მზარეულობა იკისრა.

ლინდერმანისა და ბენეტის ტბებს შორის ხმელეთის ვიწრო ზოლი იყო და გზის ამ პატარა მონაკვეთზე ბარგი ზურგით უნდა გადაეტანათ. კიტმა და შორტიმ ნავში მცირე ტვირთი ჩატოვეს და თავიანთი ხომალდი ბენეტის ტბაბმდე პატარა, მჩქეფარე ნაკადზე დააცურეს, რომელიც ამ ორ ტბას ერთმანეთთან აერთებდა. როცა საქმე ბარგის გადატანაზე მიდგა, სტაინი და სპრაგი სადღაც გაქრნენ და კიტმა და შორტიმ მთელი ორი დღე ტვირთის ზიდვით კინალამ წელი მოიწვიტეს. ესე გაგრძელდა შემდეგაც. კიტსა და შორტის მძიმე შრომით არაქათი ელეოდათ, მათი ბატონები კი თავს არ იწუხებდნენ და მოითხოვდნენ, მსახურებს მათთვის ეამებინათ.

პოლარული ზამთარი თავისი რკინის მარწუხებით სულ უფრო ძალუმაღდ მოიწვედა. მოგზაურები კი ძლივს მიჩანხალდებდნენ წინ. უამრავ დროს კარგავდნენ ტყუილზურალოდ. უინდი არმში სტაინმა თვითნებურად ჩამოართვა კიტს საჭე და ერთ საათში ნავე ნაპირს მიახეთქა, რომელსაც გამძვინვარებით აწყდებოდნენ ქარისაგან აყრილი ტალღები. ორი დღე დასჭირდა ნავის შეკეთებას, ორი უგუნურად დაკარგული დღე. და იმ დღით, როცა ხელახლა გზას უნდა გასდგომოდნენ, ნაპირზე გამოსულმა ბატონებმა და მსახურებმა ნავის ცხვირსა და კიბოზე იხილეს ნახშირით გამოყვანილი წარწერა „ჩეჩაკო“.

კიტმა ჩაიციხა ამ შეურაცხყოფელი მეტსახელის დანახვაზე.

– რას ბრძანებთ, – წამოიძახა შორტიმ, როცა სტაინმა მასზე მიიტანა ეჭვი, – მე, რა თქმა უნდა, წერა-კითხვა ვიცი, ისიც ვიცი, რომ „ჩეჩაკო“ ახალბედან ნიშნავს, მაგრამ ჩემი მეცნიერება იმ სიმაღლეზე არა დგას, რომ მაგ ენისმოსატეხი სიტყვის დაწერა შეუძლო.

ბატონებმა გამგვირავი მზერა სტყორცნეს კიტს – შეურაცხყოფა მეტისმეტად მწარე იყო. კიტს არ დასცდენია, რომ წინა საღამოს შორტიმ სთხოვა ესწავლებინა როგორ იწერებოდა ეს უცნაური სიტყვა.

– შენი დათვის ხორცისა არ იყოს, ამ ჩემმა ხუმრობამაც მაგრად მოსწვათ კუდი, – უხაროდა შორტის.

კიტმა ჩაიქირქილა. მას დღითი დღე ემატებოდა საკუთარი ძაღვების რწმენა, და სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას გრძნობდა ბატონების მიმართ. მათი საქციელი, გარდა იმისა, რომ აღიზიანებდა, ზიზღსაც გვრიდა და გულს ურევდა. თვითონ უკვე იგემა დათვის ხორცი და კიდევ მოსწონდა, ისინი კი ცდილობდნენ, მისთვის ჭამის ხალისი დაეკარგათ. კიტი ღმერთს მადლს სწირავდა, რომ იმათ არ დაამსგავსა. მისი ზიზღი უკვე სიძულვილში გადაიზარდა. მათი თვალთმაქცობა უფრო ნაკლებ აბრაზებდა, ვიდრე მათი უნიათობა. რაც არ უნდა ყოფილიყო, ის მაინც მოხუცი ისააკი ბელიუს და მისი ფესვმაგარი გვარის ნაშიერი იყო.

– შორტი, – უთხრა ერთხელ კიტმა ჩვეულებრივი საგზაო შეფერხების დროს, – რა იქნება, ამ ნიხბით თავი გავხუთქო მაგ არამზადებს და წყალში გადავუძახო.

– ურიგო არ იქნებოდა, – დაეთანხმა შორტი, – მაგ მყრალებს ხორცის ჭამის შნო სადა აქვთ, თეზიჭამიები არიან.

III

პირველი ჭორომები „ყუთის ხეობაში“ შეხვდათ, შემდეგ კი რამდენიმე მილის ქვემოთ, „თეთრ რაშთან“. „ყუთის ხეობას“ სწორედ შესაფერი სახელი ერქვა.

მართლაც რომ ყუთი იყო, ნამდვილი ხაფანგი. ორივე მხრივ შერეულ კედლებიდან აღმართულიყვნენ კლდეები. ამ ყუთიდან გამოსვლა მხოლოდ ფორომების გამოვლით შეიძლებოდა. მდინარის კალაპოტი ამ ადგილას ვიწროვდებოდა, გაცოფებული წყალი შემზარავი ღრიალით აწყდებოდა ლოდებს. დუღდა და ქაფდებოდა, კლდის ძირიდან რვა ფუტით მაინც იწვევდა ზევით. მოვარდნილი წყალი ყალყზე შემდგარ ზვირთებს ეხეთქებოდა, მორევში უკუიქცეოდა, ბუებუებდა და ბღღინავდა.

ეს ხეობა შიშის ზარს სცემდა ოქროსმაძიებლებს. სიკვდილი აქ ბარაქიან მოსავალს იძიებდა.

ციცაბო ნაპირზე გადასხდნენ, აქ უკვე თავი მოეყარა ოცამდე ნავს, რომელთა პატრონებს ვერაფერი გადაეწვიტათ, კიტი და მისი თანამგზავრები ფეხით გაემართნენ ჭორომების დასახვერად. ხრამის პირს მიცოცდნენ და ჩახედეს აღრიალებულ მორევს. სპრავს გააურქოლა, უკუიქცა შეძრწუნებული.

– ღმერთო, – აღმოხდა, – ფეხის განძრევასაც ვერ მოასწრებ, ისე ჩაგიორევს.

შორტიმ მრავამნიშვნელოვნად წაჰკრა მუჯღჯგჯნი კიტს და წასწურწულა:

– მშიშრები. თუ გინდა, დაგენიძლავები, მანდ გასვლას ვერ გაბედავენ.

კიტი არ უსმენდა. ნავით მოგზაურობისას შეიცნო ბუნების სტიქიათა სიჯიუტე და უღმობელოება და ახლა ქვემოთ მოღრიალე უფსკრულის ნახვამ მათთან შესაბამელად წააქეზა.

– იმ ტალღას უნდა მოგექცეთ ქეჩოზე, – უთხრა შორტის, – თუ ავცდით, ნავი კლდეს შეასკდება...

– და ვერც კი გავიგებთ რას დავეჯახეთ, – დაასკვნა შორტიმ. – ცურვა იცი, სმოკ?

– თუ უბედურება შეგვემთხვევა, მირჩევნია არც ვიცოდე.

– მეც მაგას ვამბობ, – თქვა შეწუხებულმა უცნობმა, რომელიც იქვე იდგა და ხეობას ჩასცქეროდა, – ნეტა კი ეს ადგილი გავლილი გექონდეს.

– რაც არ უნდა მოეცათ, ასეთ შემთხვევას ხელიდან ვერ გავუშვებდი, – უპასუხა კიტმა.

გულწრფელად ლაპარაკობდა, თან უცნობის გამხნევებაც ეწადა. კიტი ნავისკენ გაბრუნდა.

– მაშ, გადაწვიტეთ? – ჰკითხა კაცმა. კიტმა თავი დაუქნია.

– მე კი გამედლობა არ მყოფნის, – აღიარა მისმა მოსაუბრემ, – უკვე რამდენიმე საათია აქ ვტრიალებ. რაც უფრო დიდხანს დავცქერი მდინარეს, მით უფრო მიპყრობს შიში. არც ნიჩბის მოსმა ვიცი რიგიანად. თან კი ცოლი მახლავს და პატარა ძმისშვილი. თუ მშვიდობით გადარჩით, ხომ ვერ დამეხამარებით?

კიტმა შორტის გადახედა. ის პასუხს აყოვნებდა.

– ცოლი ახლავს, – შეახსენა კიტმა და მეგობარმაც არ უმტყუნა.

– კარგი, – დაეთანხმა შორტი, – მეც სწორედ მაგაზე ვფიქრობდი. უნდა დაეხმარო კაცს გაჭირვებაში.

ისევ გაბრუნდნენ წასასვლელად, მაგრამ სტაინი და სპრავი ადგილიდან არ დაძრულან.

– ღმერთმა ხელი მოვიმართოს, სმოკ, – მიაძახა სპრავმა. – მე... მე აქ დავრჩები და გიყურებთ.

– ნავში სამი კაცი გეჭირდება, ორი ნიჩბებს მოუსვამს, მესამე კი საჭეს მიხედავს, – წყნარად უთხრა კიტმა.

სპრავმა სტაინს გადახედა.

– არასადაც არ წავალ, – თქვა ამ ჯენტლმენმა, – თუ შენ არ გაშინებს აქ დგომა და ცქერაქ არც მე მეშინია.

– ვის ეშინია? – გაცხარდა სპრაგი. არც სტაინმა დაახანა. გაცეცხლებულმა უპასუხა რაღაც და შეიქნა ერთი აყალმაყალი. კიტი და შორტი მარტონი წაივიდნენ.

– უმაგათოდაც იოლად გავალთ, – თქვა კიტმა, – შენ ნინბები მოუსვი, მე კი საჭესთან დავდგები. ეცადე, სულ პირადპირ გეჭიროს ნავი. იმ ხმაურში ველარაფერს გაგაგონებ, ჰოდა, იცოდე, არამცდარამც სწორ გეხს არ ასცდე.

ნავი ახსნეს და მდინარის შუაგულში გავიდნენ. დინება სულ უფრო სწრაფი ხდებოდა. ხეობიდან ყურთასმენის წამლები ღრიალი მოისმოდა. გამდნარ მინასავით გლუვი წყალი წყნარად მიემართებოდა ხეობისაკენ. როცა ნავი პირქუშ კედლებს შორის აღმოჩნდა, შორტიმ პირი თამბაქოთი გამოიტენა და ნინბები მოუსვა. ნავი პირველ ჭორომებზე შეხტა, შიგ მსხდომნი გააყრუა გაცოფებული წყლის ხმაურმა, რომელსაც კიდევ უფრო აძლიერებდა კლდეებიდან არეკლილი ექო. წყლის შხეფები გაეხვივნენ. კიტი ზოგჯერ ველარც კი არჩევდა ნავის ცხვირზე მჯდარ შორტის სულ ორიოდე წუთი დაჭირდა სამი მეოთხედი მილის გავლას საზარელ ჭორომებზე და ნაოსნები მშვიდობიანად მიაღწენ დაბალ, ქვიშიან ნაპირს.

შორტიმ თამბაქოს წვენი გადმოაფურთოხა და ალაპარაკდა.

– ესეც შენი დათვის ხორცი, ნამდვილი ხორცი! – გაიძახოდა აღტაცებული, – სიმართლე რომ გითხრა, ვიდრე ნავში ჩავსხდებოდით, სული ფეხებში გამეპარა. ახლა კი დათვის ხორცი მიგემნია და რაღა შემაშინებს. წამო, ის მეორე ნავიც გამოვიყვანოთ.

ნაპირზე რომ მიაბიჯებდნენ, თავიანთ ბატონებს გადაეყარნენ, რომელნიც ზვეიდან დასცქეროდნენ მათ წვალებას.

– ავერ ისინიც. თევიჭამიები, – თქვა შორტიმ. – სიმყრალე მეცა.

IV

უცნობ მგზავრებს ბრეკს ეძახდნენ. როცა კიტმა და შორტიმ მისი ნავიც სამშვიდობოს გაიყვანეს და ნაპირზე ავიდნენ, იქ მისის ბრეკი გაიცნეს. გამხდარი, სუსტი ქალი იყო. გოგონას წააგავდა. ლურჯ თვალეში მადლიერების ცრემლები უბრწყინავდა. ბრეკმა კიტს ორმოცდაათი დოლარი შესთავაზა, უარი რომ მიიღო, ახლა შორტის გაუწოდა.

– ბატონო ჩემო, – შორს დაიჭირა შორტიმ, – მე ამ მხარეში იმიტომ მოვსულვარ, რომ მიწიდან ამოვხვეტო ფული და არა ჩემი ძმაკაცების ჯიბიდან.

ბრეკმა ნავში მოაფათურა და ბოცით ვისკი ამოათრია. შორტიმ ერთი კი გაიწოდა ხელი, მაგრამ მაშინვე უკან წაიღო და თავი გააქნია.

– არა, წინ წყეული „თეთრი რაში“ გველოდება. ამბობენ, ის „ყუთზე“ უარესიაო. ახლა ამის დრო არ არის.

რმადენიმე მილი იცურეს და მერე ისევ ნაპირზე ავიდნენ, რომ ახალი ჭორომი დაეთვალიერებინათ. ამ ადგილას კლდოვანი რიფი წყლის ნაკადს მარჯვენა ნაპირისკენ გზავნიდა. წყლის ვეება მასა გამძვინვარებული აწყდებოდა ვიწრო გასასვლელს, ჯოჯოხეთური სისწრაფით მიჰქროდა, დუღდა და ბორბავდა, ქაფს იყრიდა გაცოფებული. ეს იყო „თეთრი რაშის“ საზარელი ფაფარი. სიკვდილი აქ უფრო მეტი გამძაფრებით იქნევა ცელს, უფრო დიდ ხარკს იღებდა ოქროსმადიებელთაგან.

„ფაფარს“ აქეთ გოლიათი ტალღები ბობოქრობდნენ, იქით უძირო მორევი ტრიალებდა. სხვა გზა არ იყო, ამ ავბედით „ფაფარს“ გვერდს ვერ აუძლიდი.

– ეს „ფაფარი“ ცხრა „ყუთს“ აჯობებს, – დაასკვნა შორტიმ.

ვიღაცას ნავი მიუახლოვდა საბედისწერო ჭორომს, მოზრდილი ნავი იყო, ოცდაათი ფუტი მაინც იქნებოდა სიგრძით, დატვირთულიც მძიმედ იყო. ექვსი

კაცი იჯდა შიგ. ჯერ „ფაფარამდე“ არც კი მიედწიათ და ნავი უკვე აქეთ-იქით ეხეთქებოდა, ქაფსა და შხეფებში იკარგებოდა. შეშფოთებულმა შორტიმ კიტს გადახედა.

– ხედავ, როგორ აბურთავენს, მთავარი საფრთხე კი ჯერ ისევ წინა აქეთ. ნიბებს ხელი უშევს!.. გათავებული საქმეა. ღმერთო, შენ დაიფარე! ჩაიძირა, ჩაიძირა!.. არა, ისევ ამოიყვინთა!..

გაშმაგებული ტალღებმა ჩაიხვიეს ვეება ნავი, თავინთი წიაღში ჩამარხეს, ერთი წამის შემდეგ ისევ ამოისროლეს, ზედ „ფაფარზე“ შეაგდეს. გაოცებულმა კიტმა ნავის ფსკერსაც კი შეველო თვალი. წამით ნავი თითქოს ჰაერში დაეკიდა. ხუთი კაცი ისევ უძრავად იჯდა, მეექვსე კი კიჩოზე იდგა, საჭესთან. მერე ნავმა ხელახლა ჩაყვინთა და გაუჩინარდა. სამჯერ ზედიზედ შთანთქეს და ისევ ამოისროლეს იგი მოღრიალე ზვირთებმა. როგორც იქნა, გასცდა „ფაფარს“, და მაშინ ნაპირზე მყოფთ დაინახეს, როგორ ჩაჰყო ნავმა ცხვირი მორევში.

მესაჭე მთელი ძალით დააწვა საჭეს, უნდოდა ნავი მოებრუნებინა, მაგრამ ყველა ცდა ამაო იყო. ნავი მორევმა ჩაითრია. სამჯერ შემოატარა ირგვლივ, სამჯერვე ისე ახლოს მიაგდო ამ კლდესთან, რომელზეც კიტი და შორტი იდგნენ, რომ ორივეს შეეძლო ნავში ჩამხტარიყო. მესაჭემ, რომელსაც მოკლე, უღალი წვერი ჰქონდა, ხელიც კი დაუქნია მათ. მორევიდან თავის დახსნის ერთადერთი საშუალება ისევ „თეთრი რაშის ფაფარი“ იყო მაგრამ როცა ნავი ისევ მის შმაგ ზვირთებში მოხვდა, მესაჭემ, რომელიც მორევმა დაფრთხო, დროზე ვერ უმარჯვა, საჭე ვერ გაასწორა. როცა გონს მოვიდა, უკვე გვიანი იყო. ნავი ხან ჰაერში შეხტებოდა, ხან წყლის საღრმეში დაინთქმებოდა „ფაფარის“ გაშმაგებულ დინებას აყოლილი. მერე უძირო უფსკრულმა შთანთქა. წყლის ზედაპირზე ამოტივტიდა ყუთები და ტომრები. გადაბრუნებული ნავის ფსკერმაც გაიელვა უკანასკნელად და ყველაფერი გათავდა. ექვსი კაცი მორევში ფართხალებდა. მათი თავები მოჩანდა მხოლოდ. ორმა შესძლო ნაპირზე გამოსვლა, დანარჩენები კი გაუმაძღარმა „თეთრმა რაშმა“ შეიწირა. ტალღებზე მოტივტივე ყუთები, ტომრები, ფიცრები მდინარის მოსახვევში თვალს მიეფარნენ.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

შორტიმ პირველმა დაარღვია დუმილი.

– წამოდი, – უთხრა კიტს, – ახლა ჩვენც ვცადოთ ბედი, თორემ თუ კიდევ შევეყოვნდით, შიში ამიტანს და ადგილიდან ფეხს ვეღარ მომაცვლეულებინებ.

– წავიდეთ, ჩვენც ვადინოთ „თეთრი რაშს“ ზურგზე ბოლი, – ჩაიციხა კიტმა.

– ჰოდა, შენს სახელსაც გაამართლებ, – უპასუხა შორტიმ და ბატონებს მიუბრუნდა, – ჰა, მოდიხართ? – მაგრამ მათ აღბათ წვლის ხმაურმა შეუშალა ხელი, მისი ძახილი ვერ გაიგეს.

შორტიმ და კიტმა მუხლამდე თოვლი გაარღვიეს, ნავთან დაბუნდნენ და ასხნეს.

კიტს ერთის მხრივ თავისი ამხანაგის სიმტკიცე და თავის გამეტება აქეზებდა, მეორეს მხრივ, წინაპრების ვაჟკაცურ საქმეთა ხსოვნა მატებდა ვალს. ღრმად სწამდა, რომ მოხუცი ისააკ ბელიუ და მისი გვარის სხვა წარმომადგენლები არაერთხელ მდგარან მსგავსი საფრთხის წინაშე, როცა დასავლეთისკენ მიიკვლევდნენ გზას, მაგრამ წარბიც არ შეუხრიათ. ის, რაც უკვე ნამდვილი ხორცი ედო წინ, ხორცი, რომლის მონელებას მხოლოდ უძლიერესნი თუ შესძლებდნენ.

დინებას აყოლილი ნავი სულ უფრო სწრაფად უახლოვდებოდა ჭორომს.

– პირადაპირ ქეჩოზე გეჭიროს, – დაუყვირა შორტიმ და თამბაქო პირისკენ გააქანა. კიტმა დაუქნია და მთელი ძალით საჭეს დააწვა. რამდენიმე წუთის შემდეგ მათი ნავი ნაპირს მიადგა „თეთრი რაშის“ ქვით. თვით ფეხამდე გაწუწული შორტი თან თამბაქოს იფურთხებოდა, თან კიტს ხელს ართმევდა.

– ხორცი, ხორცი! – გაჰყვიროდა აღტაცებული, – ჩვენ მას უმად ვჭამთ, ცოცხლივ ვსანსლაავთ, ცინცხლივ.

ნაპირზე ბრეკი დაინახეს. მისი ცოლი მოშორებით იდგა კიტმა მაგრამ ჩამოართვა ხელი ბრეკს.

– ვშიშობ, თქვენი ნავი ვერ გაუძლებს, – უთხრა ბრეკს, – ჩვენსაზე ბევრად პატარაა, თანაც მორყეულია.

ბრეკმა მთელი დასტა ფული ამოიღო ჯიბიდან.

– ას-ას დოლარს მოგცემთ, თუ ჩვენს ნავსაც გაიყვანთ.

კიტმა ერთხელ კიდევ გადახედა „თეთრი რაშის“ ქაფოდებულ ფაფარს.

ყინვა მატულობდა. ჩამოწოლილ ბინდბუნდში ყველაფერი უფრო პირქუში და საშიში ჩანდა.

– თქვენი ფული ჩვენ არ გეჭირდება, – უთხრა შორტიმ, – ჩემს ამხანაგს ნახბოსნობაში ბადალი არა ჰყავს და თუ ის ამბობს, თქვენი ნავი ვერ გავაო, მაშასადამე, მართლაც ვერ გავა.

კიტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ მისი მზერა მისის ბრეკის თვალებს გადააწყდა ანაზდად. ქალი მას მისჩერებოდა, თვალეში უსახლვრო ვედრება ეხატებოდა. შორტიმაც გასდია კიტის მზერას და მერე, შეცბუნებულებმა, ერთმანეთს გადახედეს. ერთნაირი გრძნობა ელემბრა ორივეს, ერთიმეორეს თავები დაუქნიეს და ჭორომისკენ დაეშენენ. ასი ნაბიჯიც არ გაეგლოთ, რომ მათკენ მომავალი სპრაგი და სტაინი დაინახეს.

– საით გაგიწევიათ? – ჰკითხა სპრაგმა.

– ერთი ნავი კიდევ უნდა გავიყვანოთ, – უპასუხა შორტიმ.

– დაანებეთ თავი, უკვე ბინდდება. წადით და კარავი დადგით, ვახშამი მოგვიმზადეთ.

კიტმა ისეთი ზიზღი იგრძნო, რომ სიტყვის თქმაც ვეღარ მოახერხა.

– იმ კაცს ცოლი ახლავს თან, – თქვა შორტიმ.

– ჰოდა, თავის ცოლზე თვითონ იზრუნოს, თქვენი რა საქმეა? – შეეკამათა სტაინი.

– სწორედ რომ ჩვენი საქმეა, – უპასუხა შორტიმ.

– ნებას არ გაძლევთ, – დაუყვირა სპრაგმა, – სმოკ, თუ ერთ ნაბიჯს კიდევ გადადგამ, შეგიძლია სულაც აღარ დაბრუნდე.

– შენც დაგიტხოვ, შორტი, – დაუმატა სტაინმა.

– მერე უჩვენოდ რა გეშველებათ; დოუსონამდე როგორ მიათრევთ ამ თქვენს საცოდავ ნავს? ვინ მოგარეთმევთ ყავას ლოგინში, ვინ დაგაჭრით ფრჩხილებს? წამოდი, სმოკ, ჩვენს დათხოვნას ეგენი ვერ გაბედავენ. ამას გარდა, ხომ შევთანხმდით თავის დროზე, რომ თუ დაგვითხოვდნენ, მთელი ზამთარი უფასოდ უნდა ეჭმიათ ჩვენთვის.

ის იყო ბრეკის ნავი ახსნეს და ნაპირს მოსცილდნენ რომ ტალღებმა ნავს თავზე გადაუარეს. ესენი ჯერ პატარა ტალღები იყვნენ და თითქოს აფრთხილებდნენ მოგაზაურთ, შავი დღე მოგელით. შორტიმ პირში თავისი განუყრელი თამბაქო ჩაიტენა და მხიარულად შეხედა კიტს. კიტს უცნაური სინაზით აეგსო გული ამ კაცისადმი, რომელმაც ცურვა არ იცოდა და მაინც უკან არ დაიხია.

ჭორომი სულ უფრო გააფთრებით უტევდა. შხეფები სქელ ფარდად შემოერთებენ გარს, საღამოს ბინდში კიტის თვალწინ თეთრმა „ფაფარმა“ გაიელვა. კიტმა ამ კლაკნილ ნაკადს უმარჯვა ნავი და როცა შიგ უშაგულ ტალღებში შეაგლო, უდიდესი კმაყოფილილება იგრძნო. ნავმა ტალღაზე იწყო ხტუნვა, ხან ქეჩოზე მოექცეოდა, ხან ჩიყვინთავდა. კიტი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, საჭეს აწვებოდა. იგვლივ ვეღარაფერს არჩევდა შხეფების ნისლში და მხოლოდ ერთი ნატვრად ჰქონდა: ბიძამის დაენახა ამ ყოფაში. მთლად

გალუმპულებმა, აქოშინებულებმა „ფაფარს“ ქვემოთ ამოყვინთეს. ნავი წყლით იყო სავსე. მსუბუქი ტვრთი წყალში ტივტივებდა. შორტიმ რამდენჯერმე ფრთხილად მოიქნია ნიჩაბი, მორევში ნავი დინებამ აიტაცა და თათხელში გარიყა. ნელა მიადგნენ ნაპირს. ზემოდან მისი ბრეკი გადმოსცქეროდა. უფალმა ისმინა მისი ვედრება, სიხარულის ცრემლები უსველებდა სახეს.

– აუცილებლად უნდა გამომართვით ფული, ბიჭებო, აუცილებლად! – იძახდა ბრეკი და მათკენ გამორბოდა.

შორტი წამოღება და წაბარბაცდა, ნავი გადაიხარა, მან კი წყალში ზღართანი მოადინა.

– ჯანდაბას თქვენი ფული, – იყვირა წყლიდან ამოსულმა, – მოიტათ ვისკი. ყველაფერი გათავდა, მე ფეხები დავისველე და მეშინია არ გავცივდე.

V

მეორე დღით მათი ნავი, ჩვეულებისამებრ, ყველაზე ბოლოს მოსცილდა ნაპირს. ბრეკმა, მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ზღვაოსანი იყო და ნავის მართვისა ბევრი არა გაეგებოდა რა, უთენია აიკრა გუდა-ნაბადი და გზას გაუდგა, თუმცა, მთელი მისი ეკიპაჟი ცოლისა და ძმისწულისგან შედგებოდა.

სპრაგი და სტაინი კი სულაც არ ჩქარობდნენ, მათ შეგნებამდე ვერ მიდიოდა უბრალო ჭეშმარიტება, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ტბის გაყინვა. ზოზინობდნენ, ფეხს ითრევდნენ, წარამარა კინკლაობდნენ და კიტსა და შორტის ხელს უშლიდნენ.

– ამათ შემხედვარეს, სულ დამეკარგა ღვთის რიდი, – ჩიოდა შორტი, – რა გასაჩენი იყვნენ ამისთანა უქნარები და დონდლოები.

– სამაგიეროდ, შენ გამოსხვედი შედევი, – იცინოდა კიტი, – რაც მეტს გიყურებ, მით უფრო მეტ პატივისცემას ვგრძნობ შემოქმედებისადმი.

– მაშ, შენი აზრით, მართლა რამედ ვღირვარ? – ეკითხებოდა ქათინაურით დარცხვენილი შორტი.

მათი გზა ლე-ბარჟის ტბაზე გადიოდა. ამ ტბაში სწრაფი დინებები არ იყო და მთელი ორმოცი მილი ნიჩბებით უნდა გაეველოთ, თუ ზურგის ქარი არ შეესწრებოდათ. მაგრამ, ზურგის ქარის დროს დიდი ხანია წავიდა, ახლა ტბაზე ჩრდილოეთის სუსხიანი ქარაშოტი ბატონობდა ტალღები ყალყზე დგებოდნენ, ნიჩბის მოსმა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. ყველაფერ ამას თოვლიც ზედ დაერთო. ნიჩბები ყინულის ფენით იფარებოდა და ერთ-ერთ მენიჩბეს გამუდმებით ცუდი უნდა სჭეროდა ხელში ამ ყინულის მოსაშორებლად. სტაინი და სპრაგი იძულებული იყვნენ ნიჩბებს მისხდომოდნენ, მაგრამ თავს მაინცა და მაინც არ იწუხებდნენ და მხოლოდ მოსაჩვენებლად იქნევდნენ ხელს. კიტმა კარგად იცოდა, როგორ უნდა მოესვა ნიჩაბი მთელი ძალით და მშვენივრად ხედავდა, რომ კეთილშობილი ბატონები მხოლოდ ოდნავ ასველებდნენ ნიჩბებს წყალში.

სამი საათის შემდეგ სპრაგმა ნიჩაბი ნავში ჩააგდო და განაცხადა, ღამის გასათევად უკან, მდინარის შესართავში უნდა დავბრუნდეთ. სტაინმაც მხარი აუბა და ამდენი შრომა და ვაი-ვაგლახი ტყუილად ჩაიყარა წყალში. მეორე და მესამე დღესაც ამაოდ დაშვრნენ. მდინარის შესართავში მთელი ფლოტილია გაჩნდა. „თეთრი რაშიდან“ წამოსული ნავეები აქ იყრიდნენ თავს. მათმა რიცხვმა ორასს მიაღწია. ყოველდღიურად ორმოც-ორმოცდაათი ნავი ემატებოდათ, და მხოლოდ ორი ან სამი თუ აღწევდა ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირს. ნაპირის გასწვრივ ტბაზე ყინული გაჩნდა, თავთხელებს ყინულის არშიები შემოეველო, დღეს თუ არა ხვალ – ტბა მთლიანად გაიყინებოდა.

– ესენი რომ ასეთი უსუსურები არ იყვნენ, აქამდე ჩვენც გავიდოდით გაღმა, – უთხრა კიტმაშორტის, როცა, მესამე საღამოს, მოკასინებს აშრობდნენ ცეცხლზე!

– დღესაც გავიდოდით, უკან რომ არ დავებრუნებინეთ. ერთი საათიც რომ გაგვეძლო, უკვე იქით ნაპირზე ვიქნებოდით. ნამდვილი აკენის ბავშვები არიან, არაფრისმაქნისები.

– მართლაც, – დაეთანხმა შორტი, თავისი მოკასინები ცეცხლს მიუფიცხა და ჩაფიქრდა. – იცი, რას გეტყვი, სმოკ, დოუსონამდე, კიდევ მრავალი ასეული მილია. თუ არ გვინდა აქ დავრჩეთ და მთელი ზამთარი ვიკავკავოთ, რამე უნდა ვიღონოთ.

კიტმა შეხედა და არაფერი უპასუხა.

– ნეტა რა გვრჯიდა, ამ ძუძუმწოვრებს რომ გავეკიდეთ, – ბურტყუნებდა შორტი, – განკარგულებების გაცემა და ფულების ფლანგვა კარგად ეხერხებათ, მაგრამ, შენი თქმისა არ იყოს, საქმე საქმეზე თუ მიდგა, მართლა აკენის ბავშვებად იიქცევიან. თუ დოუსონამდე მიღწევა გვინდა, მაგათ ყური აღარ უნდა ვათხოვოთ.

მათ ერთმანეთს გადახედეს.

– კარგი, – თქვა კიტმა და თავისი სიტყვა ხელის ჩამორთმევით განამტკიცა.

მეორე დღით შორტი უთენია ადგა და ყვირილით იქაურობა გააყრუა:

– ადექით, ადექით! ღრიალებდა იგი, – გაინძერით, თქვე ძილისგუდებო, აი, თქვენი ყავა, დროზე შესვლიპეთ, საცაა გზას გავუდგებით.

სპრაგი და სტაინი ბუზღუნით წამოიზღაზნენ – მთელი ორი საათით ადრე მოუხდათ ადგომა. ქარი კიდევ უფრო გაძლიერებულიყო, სულ მალე ყველას სახე დაეთრვილა, ნიჩბები კი ტყვიასავით დამძიმდნენ ყინულისაგან. სამი თუ ოთხი საათის განმავლობაში ებრძოდნენ გრიგალს. ერთი საჭესთან იდგა, მეორე ნაჯახით ყინულს ამტვრევდა, ორნი ნიჩბებს უსვამდნენ. რიგრიგობით იცვლიდნენ ადგილს. ჩრდილო-დასავლეთი ნაპირი თანდათან ახლოვდებოდა. ქარი უფრო მომძლავრდა და სპრაგმა ვეღარ გაუძლო, ნიჩაბი დააგდო. შორტიმ სტაცა ხელი და აიღო, თუმცა ის-ის იყო ამ პოსტზე შეცვალეს.

– ყინული ამტვრიე, – უთხრა სპრაგს და ნაჯახი მიაწოდა.

– რისთვის? სულ ერთია არაფერი გამოგვივა, მაინც უკან დაბრუნება მოგვიწევს. – კურსუნებდა სპრაგი.

– წინ, წინ გაეწიოთ, – ყვიროდა შორტი, – ამტვრიე ყინული, როცა დაისვენებ, შემცვლი.

როგორც იქნა, ნაპირს მიაღწიეს, მაგრამ იქ შიშველი კლდეების მეტი არაფერი დახვედრიათ. ტალღები ლოკავდნენ ლოდებს. არსად ჩანდა მყუდრო ადგილი ნავის მისადგომად.

– აკი გეუბნებოდით, – ნიშნი მოუგო სპრაგმა.

– ჭუვიანური არაფერი გითქვამს, – შეედავა შორტი.

– დავბრუნდეთ უკან.

ხმა არავის ამოუღია, კიტმა საჭე მიაბრუნა და პირქუშ ნაპირს გაუყვა. თითო ნიჩბის მოსმა ნავს თითო ფუტით თუ წასწევდა წინ. მეტით არა. ზოგჯერ სამი ან ოთხი მოქნევა სჭირდებოდათ, რომ ნავისთვის წონასწორობა შეენარჩუნებინათ.

კიტი ცდილობდა როგორმე ენუგეშებინა ყურებჩამოყრილი ბატონები.

გაახსენა, რომ ნაგები, რომელთაც ამ ნაპირს მიაღწიეს, უკან აღარ დაბრუნებულან. მაშასადამე, სადღაც იპოვეს მყუდრო ნავსაყუდელი.

კიდევ ორ საათს უსვამდნენ ნიჩბებს.

– ლოგინში რომ ყავა მიირთვიოთ და ძლა მოიკრიბეთ, იმ ძალით დასწოლოდით ნიჩბებს და აქამდე უკვე იქით ნაპირზე ვიქნებოდით, – ამხნევებდა შორტი, – თავის შეწუხება არა გნებავთ, თვალის ასახვევად იქნევთ ნიჩბებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ სპრაგმა ხელი უშვა ნიხებს.

– მეტი აღარ შემიძლია, გავთავდი კაცი, – თქვა და ხმაში ცრემლი გამოერია.
– აღარც ჩვენ შეგვიძლია, – უპასუხა კიტმა და იგრძნო, ცოტაც და ატირდებოდა ან კაცისმკლელი გახდებოდა, ისე იყო არაქათგამოცლილი, – მაგრამ მაინც ძალას ვატანთ თავს და წინ მივიწვეთ.

– ახლავე უკან დავბრუნდებით. მოაქრიალე საჭე.

– შორტი, თუ მაგას არ შეუძლია ნიხბის მოსმა, შენ გამოართვი, – უბრძანა კიტმა.

– ძალიან კარგი, – უპასუხა შორტიმ, – ამან კი ყინული ამტვრიოს.

მაგრამ სპრანგმა ნიხაბი არ დაანება. აღარც სტაინმა დაიყვენა ჯაფა და ნავი ნელ-ნელა უკან წავიდა. აღარც სტაინმა დაიყვენა ჯაფა და ნავი ნელ-ნელა უკან წავიდა.

– მოაბრუნე, სმოკ, – დაუყვირა სპრანგმა.

– უმაღ ჯანდაბას გაგეზავნი, – უპასუხა კიტმა და თვითონვე ეოცა თავისი ნათქვამი; თავის დღეში არავინ გაელანძლა, – აიღეთ ნიხები და მოუსვით!

არის ხოლმე ისეთი წუთები, როცა მეტისმეტად დაქანცულობის გამო, ადამიანი ივიწყებს ცივილიზაციის მონაპოვართ.

სწორედ ასეთი წუთი იყო ახლაც. დაძაბულობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. სპრაგმა ხელთათმანი წაიძრო, რევოლვერი ამოიღო და მესაჭეს დაუმიზნა. ამგვარი რამ კიტს არასოდეს განეცადა, არასოდეს ყოფილა მიზანში ამოღებულნი. მაგრამ, თავისდა გასაოცრად, ოღნავი შიშშიც კი არ უგრძენია, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

– თუ მაგ რევოლვერს არ მომაშორებ, წაგართმევ და კარგა მაგრად დაგიხელ გვერდებს.

– თუ ახლავე არ მოაბრუნებ ნავს, სულს გაგაფრთხობინებ, – დაუღრიალა სპრაგმა.

აქ კი საქმეში შორტი ჩაერია. ყინულის მტვრევას თავი ანება და ნაჯახით ხელში სპრაგს ზურგსუკან ამოუდგა.

– ერთი გაბედე და ესროლე, – უთხრა და ნაჯახი აღმართა, – გულისწადილს ავისრულებ, კაკლის ნაჭუჭივით გაგინეხავ მაგ თავს. ესროლე, რაღას უცდი, შამოიწყე კომედია.

– ეს ხომ ამბობებაა, – წამოიძახა სტაინმა, – თქვენ ჩვენი ხელკვეითები ხართ და კიდევ უნდა დაგვემორჩილოთ.

– თუ არ გაჩუმდები, შენც მიიღებ შენს კუთნილს, როგორც კი ამას ანგარიშს გაუწვწვორებ. ხედავ, რა ვაჟკაცი ყოფილა ეს უბადრუკი მეტამეტე გოჭი, ესა.

– სპრაგ, – უთხრა კიტმა, – გადააგდე რევოლვერი და ახელი მოჰკიდე ნიხას, მოსაფიქრებლად მხოლოდ ოცდაათ წამს გაძლე.

სპრაგი შეყოყმანდა, მერე ისტერიულად გადაიხარხარა, რევოლვერი დამალა და ნიხები მოუსვა.

კიდევ ორი საათი იწვალეს, თითო გოჯით მიიწვედნენ წინ, კლდოვანი ნაპირის გასწვრივ. კიტი შემოფოთდა, ვაითუ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი, ნავი რომ არ მივაბრუნეო. და როცა ყველა იმედი გადუწყდა, ვიწრო შესასვლელი დაინახა, სიგანით ოცი ფუტი თუ იქნებოდა, მეტი არა. ამ გზით პატარა, მყუდრო უბეში შევიდნენ, სადაც ქარი აღარ მძვინვარებდა. ეს ის ნავსაყუდელი იყო, ადრე მოსულმა ნავეებმა რომ შეაფარეს თავი. ჩვენმა მოგზაურებმა თავიანთი ნავი ფლატეს მიაყენს. ვიდრე ქანცვაწვეტილი ბატონები ნავში ისვენებდნენ, კიტმა და შორტიმ კარავი დადგეს, ცეცხლი დაანთეს და საჭმლის მომზადება დაიწყეს.

– რას ნიშნავს უბადრუკი მეტამეტე გოჭი? – დაინტერესდა კიტი.

– ღმერთი გამიწერეს, თუ ვიცოდე, – უპასუხა შორტიმ, – მაგრამ მაგისტოვის სწორედ შესაფერისი სახელია.

სადამოს ქარმა იკლო, ჰაერი დაიწმინდა და ყინვამ მოუჭირა. ფიგჯანში დასხმული და გასაგრძელებლად დადგმული ყავა რამდენიმე წუთში ყინულის სქელი ფენით დაიფარა. რვა საათისათვის სპრაგი და სტაინი საბნებში გაეხვივნენ და ფრმა ძილს მისცეს თავი. კიტი ნავის დასახედად წავიდა.

– ტბა იყინება, – აუწყა შორტის, – უკვე მთელი ზედაპირი ყინულმა დაფარა.

– რა გვეშველება?

– ერთი გამოსავალი არსებობს მხოლოდ. ტბა უფრო ადრე იყინება, მდინარე კი რამდენიმე დღეს კიდევ გაუფლებს სწრაფი დინების წყალობით. თუ რომელიმე ნავი ხვალ ამ დროს კიდევ ლებარჯის ტბაზე იქნება, მთელი ზამთარი აქვე მოუწვევს ყურყუტი.

– მაშ, ამაღამ უნდა ავიკრათ გუდა-ნაბადი, ახლავე, არა?

კიტმა თავი დაუქნია.

– ადექით, ადექით, მძინარებო, – დაიღრიალა შორტიმ და კარვის ახსნა დაიწყო.

ბატონებმა ოხვრა-კვნესით გაიღვიძეს – გახვევებული კუნთები სტკიოდათ და ძილის დათმობაც ეგნელებოდათ.

– რომელი საათია?

– ცხრის ნახევარი.

– სტყუი, ჯერ ისე ბნელა, – შეეკამათა სტაინი.

შორტიმ ორიოდე პალო ამოადრო და კარავი ცალი მხრით მიწაზე დაეშვა.

– ახლა დილა კი არ არის, სადამოა, – აუხსნა ბატონებს შორტიმ, – ადექით.

ტბა იყინება. ამაღამვე უნდა გავასწროთ აქედან.

გაბრაზებულმა სტაინმა საწოლზე მოიკეცა.

– იყინება და გაიყინოს, ჩვენ აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით.

– ნუ მოიცვლით, ძალიან კარგი, – უპასუხა შორტიმ. – მე და სმოკი ნავს წავიყვანთ და წავაღებ.

– ჩვენ ხომ შეთანხმება გვაქვს.

– იმ შეთანხმების თანახმად დოუსონში უნდა ჩავიყვანეთ, ჰოდა, კიდევ მოგყავხართ. განა ასე არ არის? – მოუჭრა შორტიმ და თავისი სიტყვების დასტურად მთელი კარავი თავზე წამოამხო ბატონებს.

პატარა უბე თხელ ყინულს დაეფარა. ამ ყინულის მტვრევით ძლივს გაიკვლიეს გზა და ტბაში გაივდნენ, გამდნარ მინასავით მძიმე და ბლანტი წყალი ყოველ მოსმაზე ნიჩბებს ზედ ეყინებოდა. მალე წყალი სქელი ფაფის მსგავს მასად მქცა, ნიჩბები ძლივს სჭრიდა ამ მასას. შხეფები ჟაერშიძე იყინებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ტბის ზედაპირს ყინულის ქერქი გადაეკრა და ნავი სულ უფრო ნელა და გაჭირვებით მიიწევდა წინ.

შემდეგ, როცა იმდამინდელ ტანჯვა-წამებას იხსნებდა, კიტი ამაოდ ცდილობდა, სრულიად აღედგინა მესსიერებაში მაშინდელი თავგადასავალი. ნეტა რას განიცდიდნენ საბრძალო სპრაგი და სტაინი იმ ჯოჯოხეთურ დამეს, – ფიქრობდა კიტი. თვითონ კი, გაყინულ წყალში რომ იკაფავდა გზას, ეჩვენებოდა, თითქოს ათას წელზე მეტი იყო, რაც ამ მსუსხავ ყინვას და აუტანელ დაქანცულობას ებრძოდა.

გამთენიისას ნავი დადგა და ადგილიდან აღარ იძვროდა. სტაინს თითები მოეყინა, სპრაგს – ცხვირი, კიტი ლოყებსა და ცხირში გროძობდა ტკივილს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ყინვამ მასაც გაჰკრა კლანჭი.

ცოტა რომ მოდღევედა, ირგვლივ მიმოიხედეს. სადამდისაც თვალი მიუწვდებოდათ, ყინულის ველი გადაშლილიყო. ტბა საბოლოოდ გაიყინა. ასოდე იარდის იქით ჩრდილო ნაპირი მოჩანდა. შორტი ამტკიცებდა, იქ მდინარის

სათავეა და წყალსაც ვხედავო. მუშაობის თავი მხოლოდ მასა და კიტსდა ჰქონდათ. ნახვებით ყინულის მტკრევა დაიწყო და ნავი ნელა დაძრეს ადგილიდან. როცა უკანასკნელ ძაღვს ჰკარგავდნენ, უეცრად იგრძნეს, მდინარის სწრაფმა დინებამ აიტაცა ნავი და წაიღო. უკან მოიხედეს, ღამით წამოსული ნავების მთელი გუნდი უიმედოდ ჩარჩენილიყო ყინულის მარწუხებში. მეჩქნს აუქციეს და მდინარეს მიჰყვნენ საათში ექვსი მილის სისწრაფით.

VI

ღლითი დღე სულ უფრო ქვევით მიჰყვებოდნენ სწრაფ დინებას და ღლითი დღე ნაპირებიდან დაძრული ყინული წყლის სულ უფრო მეტ მასას ბორკავდა. ღამის გასათევად რომ ჩერდებოდნენ, ნავის მისადგომად ყინულს ამოჭრიდნენ, მერე კი საჭირო ნივთები ნაპირზე გაჰქონდათ. ღლით ნავს ისევ ათავისუფლებდნენ ყინულისაგან და წყლისკენ მიათრევდნენ. შორტიმ ნავში თუნუქის ღუმელი ჩადგა და სპრაგი და სტაინი გრძელ, მოსაწყენ საათებს ამ ღუმელის გვერდით ატარებდნენ. მათ ფარ-ხმალი დაყარეს, ბედს შეურიგდნენ. ბრძანებებს აღარ იძლეოდნენ და მხოლოდ ერთი სურვილია გააჩნდათ – ჩქარა მიედწიათ დოუსონამდე. შორტი, მარად მოუღლეელი მხიარული პესიმისტი, წამდაუწუმ წამოიმდერებდა ხოლმე სამ სტრიქონს რომელიც დავიწყებული სიმღერის პირველი სტროფიდან. რაც უფრო მატულობდა ყინვა, მით უფრო ხშირად მღეროდა შორტი.

ვით უწინ არგონავტებმა,
სახლი დედ-მამის, და-მმისი,
დავაგდეთ, რათა ტუმ-ტუმ-ტუმ,
ხელთ გიგდოთ ოქროს საწმისი.

პუტალინგვას, „ღიღი“ და „პატარა ორაგულების“ შესართავეებს რომ ჩაუარეს, ნახეს, ამ ნაკადებს იუკონში ყინულის ფაფა ჩაჰქონდათ. ეს ფაფა ნავს ეკვროდა, და ღამით, ყინულის რკალში რომ არ მოქცეულიყვნენ, ნავს წვლიდან ამოათრევდნენ ხოლმე და უკვე გამკვირვებულ ყინულზე სტოვებდნენ. ღლით ისევ წყლის ნაკადისკენ მიათრევდნენ.

უკანასკნელი ღამე „თეთრი მდინარის“ და სტიუარტის შესართავეებს შორის გაათენეს. ღლით იუკონი მთლად თეთრი იხილეს; ერთიანად ყინულით იყო შეკრული ერთი ნაპირიდან მეორემდე, ნახევარი მილის სიგანეზე. შორტიმ წვევლა-კრულვა აღავლინა მთელი ქვეყნის მიმართ და კიტს შეხედა.

– ჩვენი ნავი უკანასკნელი იქნება მათ შორის, ვინც წელს დოუსონს მიაღწევს, – თქვა კიტმა.

– მდინარეში წვეთი წყალი აღთ დარჩა, სმოკ! – უთხრა შორტიმ.

– ჩვენც ავდგეთ და ყინულზე დავცურდეთ.

სპრაგი და სტაინი, მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, ნავში ჩასვეს. ნახევარი საათი დასჭირდათ კიტსა და შორტისკენ ვიდრე ნაპირის ყინულს გაარღვევდნენ და სწრაფ, ყინულოვან ნაკადს შეუერთდებოდნენ.

როცა, ბოლოს, მიაღწიეს მიზანს, მცურავმა ყინულებმა ნაპირის გასწვრივ ასი იარღის მანძილზე გაათრიეს ნავი, ცალი გვერდი გაუფატრეს და კინაღამ ძავირეს. მოსახვევში ნავი სწრაფმა ნაკადმა გაიყოლა და ნაპირიდან გაიტაცა. მოგზაურები ცდილობდნენ მდინარის შუაგულისკენ აეღოთ გეზი. ყინულის ფაფა მათს გარშემო უკვე მკვრივ ზოდებად იქცა. აქა-იქ დარჩენილი ნაპრალები მათს

თვალწინ იყინებოდა. ნიჩაბი უკვე ყინულს ებჯინებოდა, ზოგჯერ ამ ყინულზე უხდებოდათ გადასვლა, რომ ნავს ხელით მისწოლოდნენ და წინ წაეწიათ. ერთი საათის შემდეგ მდინარის შუაგულს მიაღწიეს. ხუთი წუთის შემდეგ კი ნავი გაჩერდა, ყინულებით შებოჭილი მდინარე თვალსა და ხელს შუა იყინებოდა. ყინულის ერთი ზოდი მდინარეს ეყინებოდა, ვიდრე ნავი ვეება ხორგის შუაგულში არ აღმოჩნდა, რომლის დაიმეტრი სამოცდათხუთმეტი ფუტი მაინც იქნებოდა. ხან გვერდულად მიიწვედა წინ, ხან ცხვირით, ირგვლივ კი წყალი ბორკილებს ებრძოდა, ხან აქ ამოხეთქავდა, ხან იქ, მაგრამ თანთადან უფრო მტკიცე მარწუხებში ექცეოდა.

საათი საათს მისდევდა, შორტი ღუმელს ასხურებდა, საჭმელს ამზადებდა და თავის საბრძოლო სიმღერას აგუგუნებდა.

დადამდა, ყოველი ღონე იხმარეს, რომ ნავი ნაპირზე მიეყენებინათ, მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა. უსასოონი ბედს მიენდვნენ და ღამის წყვლიადში დაჰყვნენ მდინარეს.

– რა სერი იქნება, დოუსონი რომ კან დაგვრჩეს?

– თქვა შორტიმ.

– ფეხით დავბრუნდებით, – უპასუხა კიტმა, – თუ მანამდე ყინულებმა არ გაგვსრისა და სული შეგვრჩა.

კრიალა ცა დასდგომოდათ თავზე. ცივად მოკაფე ვარსკვლავების შუქზე ხანდახან თვალს მოჰკრავდნენ მთების ბუნდოვან კონტურებს. თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა ქვემოდან ყრუ გრგვინვა მოესმათ. ნავმა სვლას უკლო. ყინულის ხორგები ერთმანეთს ეხლებოდნენ, იზარებოდნენ და იმსხვრეოდნენ. მდინარე ჩაიხერგა. ერთი ყალყზე შემდგარი ვეება ხორგი იმ ხორგს დაეჯახა, რომელშიც მათი ნავი იყო ჩაყინული, შუა გაგლიჯა ნავი და მისი ერთი ნახევარი თან გაიყოლა. მეორე ნახევარი არ ჩაძირულა, ძველმა ხორგმა დაიმაგრა, მაგრამ წამით შათი წყლის უძირო სიღრმე დალანდეს იქვე, ფეხებთან. მდინარე შეჩერდა, ნახევარი საათის შემდეგ კი ძალა მოიკრიბა და ისევ დაიძრა. ასე გაგრძელდა თითქმის ერთ საათს. მერე ისევ ჩაიხერგა და გაჩერდა. ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, გამწარებული ღრიალით მოსწყდა ადგილს და გაქანდა. ნაპირზე შუქი გამოკრთა. ყინვამ იმძლავრა და ისევ შეაჩერა დინება. იუკონი დანებდა, ექვსი თვით შეიბოჭა ყინულის არტახებში.

დოუსონში, ნაპირზე ცნობისმოყვარენე შეყრილიყვნენ – თვალს ადევნებდნენ, როგორ იყინებოდა მდინარე წყვლიადში მათ სმენას სწვდებოდა შორტის საბრძოლო სიმღერა:

ვით უწინ არგონავტებმა,
სახლი დედ-მამის, და-ძმისი,
დავაგდეთ, რათა ტუმ-ტუმ-ტუმ,
ხელთ გიგდოთ ოქროს საწმისი!

VII

სამი დღე იშრომეს კიტმა და შორტიმ, სამ დღეს მოუნდნენ ტონანახევარი ტვირთის გადატანას მდინარის შუაგულიდან გორაკზე წამომდგარ სახლამდე, რომელიც სპრაგსა და სტაინს ეყიდათ. სადამოს, ახალშებინდებულზე, როცა მორჩნენ, კიტი სპრაგმა მიიწვია თბილ ოთახში.

გარეთ თერმომეტრი სამოცხდახუთ გრადუსს უჩვენებდა ნულს ქვემოთ.

– თვე ჯერ გასულა, რაც მემსახურები, სმოკ, – უთხრა სპრაგმა, – მაგრამ მთლიანად გისწორებ ანგარიშს და კარგად ყოფნას გისურვებ.

– მერე, ჩვენი შეთანხმება? – ჰკითხა კიტმა, – კარგად იცით, ამ მხარეში მიმშილობაა. მადარობებში კი ვერ იშოვი სამშუაოს, თუ საკუთარი სურსათი არ გაგჩნია. ჩვენ შევთანხმდით, რომ...

– არავითარი შეთანხმება არ მახსოვს, – შეაწყვეტინა სპრაგმა, – იქნებ შენ გახსოვს, სტაინ? ჩვენ დაგიქირავეთ ერთი თვით, გასამრჯელოს გიხდით, სხვა რაღა გინდათ? კეთილი ინებეთ და ფულის მიღებაზე ხელი მომიწერეთ.

კიტმა მუშტები შეკუმშა. სპრაგი და სტაინი შეკრთნენ და უკან დაიხიეს. კიტს არასოდეს გაერთყა კაცისათვის, ამას გარდა, სპრაგთან შედარებით იმდენად ძლიერად გრვნობდა თავს, რომ მასზე ხელის გასვრა კიდევ ერცხებინებოდა.

შორტიმ შენიშნა მისი ყოყმანი და მიეშველა.

– ყური მიგდე, სმოკ, აღარც მე ვაპირებ ამ ბედასლებთან დაჩენას. მე და შენ ერთმანეთს ნუ დაგკარგავთ, ერთად წავიდეთ, გინდა? აიღე შენი საბანი და „ილმის რქაში“ დამელოდე. მე ავიკრავ გულა-ნაბადს, მივიღებ რაც ამათგან მერგება, მერე საკადრის მადლობას ვეცყვი, სრულიად მივაგებ, რაც ჩემგან ერგებათ და მოგაკითხავ. ნაოსნობისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ რაკი ფეხი მყარ მიწაზე დავადგი, გიჩვენებ, რა კაციც ვარ.

ნახევარი საათის შემდეგ შორტი „ირმის რქაში“ გამოცხადდა ხელები და ცალი ლოყა სისხლით ჰქონდა შესერილი, აშკარად ეტყობოდა, რომ ბატონებს საკადრისი მადლი მიაგო.

– უნდა გენახა, რა ამბები დატრიალდა იმ თბილ ოთახში, – ხითხითებდა შორტი, – ვერც კი ავიწერ, რა მოხდა. დაგენიძლავები, რომ ერთ კვირაზე ადრე ვერც ერთი ვერ გამოჰყოფს ცხვირს გარეთ. ახლა სხვა გზა აღარ დავგრჩენია. ერთი გირძანქა საჭმელი დოლარნახევარი ღირს. თუ საკუთარი სურსათი არ გაქვს, სამუშაოს არსად მოგცემენ. ცხენ-ირმის ხორცი გირძანქა ორ დოლარად იყიდება, მაგრამ იმის შოვნაც არ არის. ჩვენი ფული ერთ თვეს ძლივს გვეყოფა საჭმლისა და ამუნიციის შესაძენად. ამიტომ კლონდაიკს უნდა გავწიოთ, რაც შეიძლება შორს აქედან. თუ ცხენ-ირმებს ვერ გადავეყრებით, ინდიელებს მივეკედლებით. მაგრამ, პირობას გაძლევ, თუ ექვს კვირაში ხუთი არას გირძანქა ცხენ-ირმის ხორცს არ მოვიმარგებთ, უკან ვეახლები კეთილშობილ ბატონებს, ფეხქვეშ ჩავუვარდები და პატიებას გამოვთხოვ. რას იტყვი, თანახმა ხარ?

კიტმა ხელი გაუწოდა და მაგრად ჩამოართვა.

– კი მაგრამ, მე რომ ნადირობისა არაფერი გამეგება? – უთხრა შეწუხებულმა. შორტიმ ჭიქა აწია.

– სამაგიეროდ ხორცის ჭამა იცი და შენი გაწვრთნა არ გამიჭირდება.

არიქა, სკვო კრიკისაკენ!

I

ორი თვე გაივდა მას შემდეგ, რაც სმოკ ბელიუ და შორტი ცხენ-ირემზე სანადიროდ წაივდნენ და აი, ახლა ისევ სამიკტნო „ირმის რქას“ ეწვივნენ დოუსონში. საქმე უკვე მოთავებულნი ჰქონდათ – ნანადირევის ჩამოტანასაც მორჩნენ და გავიდეს კიდევაც ორნახევარ დოლარად გირძანქა. საბოლოო ჯამში სამი ათასი დოლარი ოქრო ჩაიჯიბეს და ერთი შებმა გვარიანი ძაღლებიც გაიჩინეს. ბედი რომ ექნება კაცს! მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ციებ-ციხელებამ ნადირი დააფრთხო და ბარე ას მიღზე და უფრო შორსაც არეკა მთებში, ჩვენი

მონადირეები ჯერ შუა გზამდე და უფრო შორსაც მისული, რომ ოთხ ცხენ-ირემს გადაეყარნენ და იქვე ამოხოცეს.

მაგრამ ამ გზააბნეული ცხოველების გამოჩენას ამბავი მოსატანიც კი არ არის მონადირეების საკვირველ ბედ-იღბალთან – სწორედ იმ დღეს მათ გვერდით დაბინავებული ინდიელთა ოთხი დამშვეული ჯალაბი იფიცებოდა – სამი დღეა გზას ვადგავართ და ნადირის მნახველები არა ვართო. სმოკმა და შორტიმ ხორციტ შეისყიდეს ინდიელთა გაძვალტყავებული ძაღლები, ერთ კვირას მაძღარისად კვებეს, მერე მარხილებში უკრეს თავი და ნანადირევი დოუსონის დამშვეულ ბაზარზე გადაზიდეს.

ახლა ეს ორნი იმის ფიქრშიდა იყვნენ, როგორ გაეცვალათ ოქროს ქვიშა საჭმელში. იმხანად გირვანქა ფქვილი და ცერცვი ერთნახევარ დოლარად ფასობდა, მაგრამ სად იპოვიდი ან ვინ იყო მათი გამყიდველი. დოუსონი შიმშილით დაფავდა სულს. ასობით იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ფული ჰქონდათ, მაგრამ ლუკმა-პურს ვერსად შოულობდნენ და იძულებული ხდებოდნენ, გაცლოდნენ იქაურობას. ბევრმა დროზე უშველა თავს და ვიდრე მდინარე ყინულებით ჩახერგებოდა, ნაგებში ჩახხდნენ და მოუსვენეს. უფრო მეტი კი, ბაიბარად სამყოფი საგზლით ფეხდაფეხ გაუდგა დაიასაკენ მიმავალ ექვსმილიან მოყინულ გზას.

სმოკი გამთბარ სამიკიტნოში დახვდა შორტის. ახალმოსული ჩინებულ გუნებაზე გახლდათ.

– კაპიკია ცხოვრების ფასი უძისკოდა და უშაქროდ, – ამ სიტყვებით მიესალმა შორტი, თან ყინულის დიდრონი ნატეხები ჩამოიძრო უღვაშიდან და ხმაურით დაყარა იატაკზე, – ეს წუთია თვრამეტი გირვანქა შაქარი ვიშოვე. ბებრუსუნას სამ დოლარად დავადრე გირვანქა. შენ რა ქენი?

– არც მე ვყოფილვარ უქმად, – ამყად მიუგო სმოკმა, – ორმოცდაათი გირვანქა ფქვილი ვიყიდე. ერთი კაციც ვნახე ადამ კრიკზე, დამპირდა – ხვალ კიდევ ორმოცდაათ გირძანქას გაშოვნინებო.

– აი, ეს მესმის! აბა, თავი ქუდში გვქონია გაზაფხულამდე. არა, მართლა კაი ძაღლები გვყავს, სმოკ, რას იტყვი? მუშტარი შემხვდა, თანაც რა მუშტარი – ხუთი ძაღლი უნდოდა, ორასი დოლარი მაძლია თითოეულში. ვუთხარი – არაფერი შეგეშალოს-მეთქი. ისე გვარიანად კი გასისინდნენ, რაც ხორცის ჭამა დაიწყეს. თუმცა ვერაფერი სასიამოვნოა, ამ ძაღლის ნაშირებს რომ ასეთი ძვირფასი სანოვაგით ვუმასპინძლებით. ესუძრები – ორნახევარი დოლარი ღირს გირვანქა. მოდი, თითო გადავკრათ. ჩემი თვრამეტი გირვანქა შაქრისა იყოს...

რამდენიმე წუთის შემდეგ, ანგარიშის გასაწორებლად ოქრო რომ გადაწონინა, შორტის ერთბაშად რაღაც გაახსენდა.

– კინალამ არ დამავიწყდა, რომ ერთი კაცი მყავს სანახავი „ტივოლიში“! საიდანღაც გაფუჭებული ბეკონი ეშოვია და ერთნახევარ დოლარად მაძღვეს გირძანქას. ავიღოთ და ის ვაჭამოთ ძაღლებს. ჰოდა, დღეში დოლარი დაგვეზოგება თითოეულ მათგანზე გამარჯვებით.

– კარგად იყავი, – უთხრა სმოკმა, – მე შინ წავალ და ცოტას წავიძინებ.

ის იყო შორტიმ დატოვა იქაურობა, რომ ორფა კარში ვიღაც ბეწვის ქურქში გამოხვეული კაცი შემოვიდა. სმოკის დანახვაზე სახე გაუბრწყინდა. სმოკმაც იცნო. ეს ბრეკი იყო, ვისი ნავიც სმოკმა „ყუთის ხეობაში“ და „თეთრი რაშის ფაფარზე“ გამოატარა.

– ქალაქშიაო, მითხრეს, – სულმოუთქმელად მიაყარა ბრეკმა, როგორც კი ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, – საათნახევარია დაგეძებო. გარეთ გამო, სათქმელი მაქვს.

სმოკმა დანანებით შეავლო თვალი ალაპლაპებულ ღუღუნა ღუმელს.

– აქ ვერ მეტყვი?

– ვერა დიდი საქმეა გარეთ გავიდეთ.

გარეთ რომ გავიდნენ, სმოკმა ცალი ხელჯაგი გაიძრო, ასანთი გაკრა და კარზე დაკიდებულ თერმომეტრს შეხვდა. მაგრამ შიშველი ხელი სუსხმა აუწვა და ისევ სასწრაფოდ წამოიცივა ხელჯაგი.

ცას თალივით შედგომოდა გაბღღვრიალებული ჩრდილოეთის ციალი. დოუსონის ყველა უბნიდან ათასობით ნაგაზის გულისწამლები ყმუილი მოისმოდა.

– რაო, რამდენია? – შეეკითხა ბრეკი.

– მინუს სამოცია, – კიტმა საცდელად გადააფურთხა, ნერწყვი ჰაერშივე გაქვავდა, – თანაც თერმომეტრი ჯერ არ გაჩერებულა, სინდისი სულ დაბლა-დაბლა იწვეს. ამ ერთი საათის წინ მინუს ორმოცდათორმეტი იყო. იცოდე, არ თქვა ახლა, სარბენი საქმეა, ვინჩაროთო!

– სწორედ რომ ეგრეა, – ფრთხილად, ჩურჩულით უთხრა ბრეკმა და გაფართოებული თვალებით მიმოიხედა გარშემო, სხვა ხომ არავინ გვისმენსო, – სკეო კრიკი გაგიგონია? აი, გაღმიდან რომ ერთვის იუკონს, ოცდაათიოდე მიღს იქით?

– აჰ, მანდ სახეირო არაფერია, – თქვა სმოკმა და დაასაბუთა, – მაგ მიდამოებს კარგა ხანია გაუსინჯეს კბილი, დავლილიც არის, შესწავლილიც და შემოწმებულიც.

– აგრე ყველა მდინარის პირი გაჩითულია. მერე? ყური მიგდე! კარგი რამეა. ასე, რვა-ოცი ფუტი თუ იქნება ოქროს ფენამდე. და, ალბათ, ნახევარ მილიონზე ნაკლებ მოგებას არც ერთი ნაკვეთი არ მოგვცემს. იცოდე, ეს დიდი საიდუმლოებაა. მე ორმა-სამმა ახლობელმა კაცმა გამანდო. ჰოდა, მაშინვე ცოლს ის ვუთხარი, სანამ წავიდოდე, სმოკი უნდა ვნახო-მეთქი. აბა, ნახვამდის. ზურგჩანთა წყლისპირზე მაქვს გადამალული. ჰო, მართლა, ეს ამბავი რომ მითხრეს, თან პირობა ჩამომართვეს – ფეხი არ გაადგა, ვიდრე ქალაქი ძიღს არ მიეცემო. ხომ იცი, ამ სალაშქრო აღჭურვილობით რომ ვინმემ დაგვინახოს, მორჩა. შენი ამხანაგიც შეაგულიანე და მოგვეყვით. იცოდე, თქვენი იქნება მეოთხე-მეხუთე ნაკვეთი პირველის შემდეგ. მაშ ასე, დაიმახსოვრეთ – სკეო კრიკი. შვედ კრიკს გაცდებით თუ არა, იქიდან მესამეა.

II

როცა სმოკი დოუსონის მომალლო თხემზე წამოდგმულ პატარა ქოხში შეივდა, ნაცნობი ხვრინვა შემოესმა.

– მომეშვი, დაიძინე – ჩაიბურტყუნა შორტიმ, როცა სმოკმა მხარში ჩაავლო ხელი და შეანჯღღრია. მერე რომ ნახა, ძალზე მოდის და არ მეშვებაო, დაუმატა – ღამის ცვლაში ხომ არა ვარ, მომეშვი. ლაპარაკის იშტაზე თუ ხარ, წადი და ისევ იმ შენს მედუქნეს მიაკითხე.

– ტანსაცმელს მოჰკიდე ხელი, – უთხრა სმოკმა, – ორი ნაკვეთი გვაქვს მოსაზომი, პატარა საქმე ხომ არ რაის!

შორტი წამოჯდა და ის იყო უნდა აჯუჯღუნებულიყო, რომ სმოკმა ხელი ააფარა პირზე და გააფრთხილა:

– შშ! იცი რამოდენა საბადოა! მეზობელი არ გააღვიძო. მთელ დოუსონს ძინავს.

– ჰმ! ჩემი გაცურება მოინდომა. თავიდან აგრეა ხოლმე – არავინ არავის არაფერს უმხელს, მაგრამ, მოიხედავ და, ჰოი საკვირველებავ, ყველა გზას არის გაკრული.

– სკვო კრიკს წყალი არ გაუვა, – ჩასწურულება სმოკი, – ეს ამბავი ბრეკმა მითხრა. თურმე სულ ოქროს ფენა, ზედ ბალახის ფეხებქვეშ. ჰე, რას შვები. თითო მსუბუქი ფუთა მოვიკიდოთ და ჰაიდა.

შორტიმ თვალები მილულა და ისევ ძილს მისცა თავი, მაგრამ იმავე წამს საბანი გადაადგურეს.

– შენ თუ უარს იტყვი, იცოდე, მე მაინც წავალ, – არ ეშვებოდა სმოკი.

შორტიმ საბანი აკეცა და და ჩაცმას შეუდგა.

– ძაღლებიც მიგვყავს? – იკითხა მან.

– არა. ვიცო, გზა გაუკვალავი იქნება, ჰოდა, ძაღლები მეტ დროს წავგართმევენ.

– რაკი ეგრეა, გავალ, საჭმელს მივუგდებ, რომ ჩვენს მობრუნებამდე ეყოთ. ჰო, მართლა, ცოტაოდენი არყის ხის ქერქი და კვარი გამოიყოლე.

შორტიმ კარი გამოაღო, მაგრამ სუსხი იგრძნო, აიბუზა, სასწრაფოდ ყურსაფენები ჩამოიფხატა და ხელჯაგები წამოიცვა.

ხუთ წუთში მობრუნდა – ლამის მოეგლიჯა, ისე ისრესდა ცხვირს.

– სმოკ, მართალი ვითხრა, სულაც არ მეპიტნავენა ეს წანწალი. ახლა გარეთ იმაზე უარესი სიცივეა, ვიდრე ჯოჯოხეთში იყო პირველი ცეცხლის დანთებამდე, ათასი წლის წინათ. თანაც პარასკევია და ცამეტი რიცხვი. იცოდე – ნაღდად დავითარსებით.

პატარა სალაშქრო ზურგჩანთები მოიგდეს, კარი გამოიხურეს და დაღმართზე დაეშვნენ. ჩრდილოეთის ციალი გაფერმკრთალდა. მორეთში მხოლოდ ვარსკვლავები ციმციმებდნენ ობლად და მათი უღიმღამო შუქი ყოველ ნაბიჯზე მახეს უგებდა ჩვენს მგზავრებს. მოსახვევში შორტის ფეხები აებლანდა, ღრმა თოვლში ჩაეფლო და წყველით ამოაგდო თავისი გაჩენის დღე, თვე და წელი.

– ჩუმად ვერ ვიქნები? – უსაყვედურა სმოკმა, – მოეშვი მაგ კალენდარს. თორემ მთელი დოუსონი გაიღვიძებს და უკან დაგვედევნება.

– ერთი შენცა ხარ რაღა. ვერ ხედავ ამ გაბდღვიანებულ ხოხს? ან იქეთას? არც კარის ჯახუნი გესმის? ჰო, ბიჭო, მთელ დოუსონს ძინავს, როგორ არა! აბა, ეს სინათლეები რაღაა? იქნება მიცვალებულს ტირიან, ვინ იცის. აჰ, ისინი სულ არ ფიქრობენ წამოსვლას, სულ არა. კისერს მოვიჭრი, თუ ფიქრობდნენ.

და როცა ჩვენმა მგზავრებმა მთის ძირს ჩააღწიეს და შუაგულ დოუსონში ამოყვეს თავი, სინათლეები უკან გარკვევით ესმოდათ მარად დატკეპნილ თოვლზე მომავალი ადამიანების მოკასინების ჭრაჭაჭრუჭი. შორტი ისევ ალაქლაქდა.

– ვაჰ, ვაჰ, მაინც რამდენი ჭირისუფალი მიჰყვება იმ ცხონებულს!

ერთ კაცს ჩაუარეს, კაცი გზის პირას იდგა და დაბალი, შემფოთებული ხმით ემუდარებოდა ვიღაცას:

– ჰე, ჩარლი, გამოადგი ფეხი.

– დაინახე, სმოკ, ზურგჩანთა რომ ეკიდა? ალბათ, სასაფლაო შორს იქნება, რაკილა ჭირისუფლებს საბნებიც თან მიაქვთ.

მთავარ ქუჩაზე რომ გავიდნენ. მათ უკან უკვე ასიოდე კაცი მაინც მოაბიჯებდა ერთიმეორის მიყოლებით, ხოლო, სანამ ჩვენი მგზავრები ვარსკვლავთა მაცთურ შუქზე გაფაციცებით ეძებდნენ ჭალაში ჩასავლელ გზა-ბილიკებს, ადევნებულმა ხალხმა უფრო იმრავლა. შორტის რბილ თოვლზე ფეხი აუცურდა და თითქმის ღცდაათი ფკტის სიმაღლის ხრამში გადაიჩეხა. მას სმოკიც მიჰყვა და ვიდრე შორტი ფეხზე წამოღებოდა, ზემოდან დაასკდა ამხანაგს.

– ჩემია, ჩემი, პირველმა მე ვიპოვე, – აბუყბუყდა შორტი, და თან ხელჯაგები გაიძრო, რომ თოვლი გადმოებერტყა.

წუთიც და ისინი გამაღებით გაბობდნენ გვერდზე, რათა გზა მიეცათ ზემოდან პარტყა-პურტყით ჩამოცვენილ მღვერებისათვის. ამ ადგილას ყინვისაგან თოხშერგილი გაჩენილიყო, ერთმანეთზე აჩხორილ ყინულის ლოდებზე კი თოვლი იდო კაცის თვალის მოსატყუებლად. რამდენჯერმე ზედიზედ რომ ზღართანიმოადინა, სმოკმა კვარი ამოიღო და გაანათა. უკანანი მოწონების ღრინცელით შეხვდნენ ამ აბავს. გარინდულ ჰაერში კვარს ძალა მიეცა და სმოკმაც უფრო სწრაფად გაიკვალა გზა.

– ნამდვილად მოლაშქრეები არიან, – დაიჟინა შორტიმ, – აბა, ყველა მთვარეული როგორ იქნება!

– ყოველ შემთხვევაში, ამ პროცესიას ჩვენ ვუდგავართ სათავეში, – მიუგო სმოკმა.

– ჰოო, შეივლება. აი, წინ რომ ანათებს, მგონი ციციცნათელაა. შეხე, შეხე, რამდენია – ერთი, მეორე... ალბათ, ყველა ციციცნათელებია, არა? მერწმუნე, წინ კაი ბლომად ხალხი მიდის რამდენიმე ჯგუფად.

იუკონის დასავლეთ სანაპირომდე ერთი მილის სავალი კიდეც იყო დარჩენილი, სადაც სულ თოშხერგილიანი და მთელ ამ მიხვევულ-მოხვეულ გზაზე კვარები ციმციმებდნენ, მაგრამ მეტი კვარი კიაფობდა ჩვენი მგზავრების მიერ უკვე ჩათავებულ დაღმართზე.

– შენ თვითონ თქვი, სმოკ, ეს საქმეა? ეს უფრო ებრაელთა განსვლაა ეგვიპტედან. წინ ბარე ათასი კაცი მაინც იქნება, ერთი ათი ათასამდე კიდეც ჩვენს უკან. ჰოდა, დაუჯერე ბიძაშენს, უებარ წამალს გთავაზობ – გულისთქმა არასოდეს არ მატყუებს ხოლმე – ამ ლაშქრობას სახეირო პირი არ უჩანს, დავბრუნდეთ უკან და კაი ძილი გამოვაცხოთ.

– გირჩევნია, მაგ ყანყრატოს გაუფროთხილდე, ეგებ ბოლომდე გეყოს ძალა, – უხეშად მოუჭრა სმოკმა.

– ჰაი გიდი! მოკლე კანჭები კი მაქვს, მაგრამ მუხლი მერჩის და კუნთების დაღლა სულ არ მაჭფიქრებს. რომ იცოდე, ამ გლახაკებს ყველას გადავასწრებ, თუ მოვინდომე.

შორტი რომ არა ტყუოდა ეს სმოკსაც კარგად მოეხსენებოდა – დიდი ხანია იცოდა, რა საოცარი მოსიარულეც იყო მისი ამხანაგი.

– მე კი ფეხს ვითრევე, ეგებ ცოტა შეღავათი მივცე-მეთქი, – გამოაჯავრა სმოკმა.

– მაშ, მაშ! იმიტომაც ვერ გაბიჯებ ქუსლებზე. თუ მეტის თავი არა გაქვს, წინ გამიშვი და გაჩვენებ, როგორ უნდა სიარული.

სმოკმა ნაბიჯს უმატა და მალე მოლაშქრეთა უახლოეს ჯგუფსაც წამოეწია.

– მიდი, მიდი, სმოკ, – აჩქარებდა ამხანაგი, – გააწარი მაგ ზეზეული მკვდრებს, მაგათ! მართლა დასაფლავება ხომ არ არის. სულ ბდღვირი ადინე, სადაც ხელი მიგიწვდეს.

ამ ჯგუფში სმოკმა რვა კაცი და ორი ქალი დაითვალა, ხოლო ვიდრე თოშხერგილებს გაივლიდნენ, მან და შორტიმ მეორე, თითქმის ოცკაციანი ჯგუფიც ჩამოიტოვეს უკან. დასავლეთი ნაპირიდან რამდენიმე ფუტის დაშორებით გზა სამხრეთისაკენ უხვევდა და ხევილებიდან გლუვ ყინულზე გადადიოდა, ყინულს კარგა მოსქო ფენად ქათქათა თოვლი ჰქონდა წაფარებული. აი, ამ თოვლზე მიიკლაკნებოდა სავალი გზა – ვიწრო, სულ მარხილებით დაკვალებული, ორიოდ ფუტის სიგანის ზოლი. საკმარისი იყო ერთი ნაბიჯის გადადგმა ბილიკის რომელიმე მხარეს და მუხლამდე, შეიძლება უფრო ღრმადაც, ჩაფლულიყავით თოვლში. მოლაშქრეებს, რა თქმა უნდა, არ ეხალისებოდათ სხვისთვის გზის დათმობა, ჰოდა, ჩვენი მგზავრებიც წამდაუწუმ ვფლობდნენ ღრმა თოვლში და რის ვაი-ვაგლახით მიიწევდნენ წინ.

ბოდმამორეულმა შორტიმ სულ აიწყვიტა. კაი შვილი იყო და რომელიმე უკან ჩამოტოვებული მგზავრი გულისწყრომას ვერ დაფარავდა. სიტყვა რა არის, სიტყვას არ შეარჩენდა.

– ნეტავი სად მიიჩქართ? – ჰკითხა ერთმა.

– შენ რაღად იწუხებ თავს? – მიუგო შორტიმ, – გუშინ ნაშუადღევს ინდიან რივერიდან მთელი ჯამაათი აიშალა დ აშენზე ადრე ჩავიდა იქ. ერთ მტკაველ მიწას ვერ ნახავ მოუზომავს.

– კარგი და, თუ აგრეა, ვერ გამიგია, მაშ რაღა მიგაჩქარებს?

– ვისა, მე? მე მოლაშქრე ხომ არა გგონივარ. მთავრობის კაცი ვარ, სამსახურებრივ საქმეზე გამოგზავნილი. უნდა ჩავიდე სკვო კრიკში და აწერა ჩავატარო.

მეორეს, რომელმაც მიაძახა: – საით, ჩია-კაცო, მართლა ნაკვეთის დასაკუთრებას ხომ არ აპირებო, შორტიმ უპასუხა:

– ჰმ, მე? მე სკვო კრიკის აღმომჩენი ვარ. კანონით უკვე დავიმტკიცე და ახლა უკან ვბრუნდები, თვალი უნდა დავიჭირო, რომ ჩემს ნაკვეთს რომელიმე წყეული ჩენაკო არ წაეპოტინოს.

მოლაშქრეები სწორ გზაზე საშუალოდ სამნახევარ მილს გადიოდნენ საათში, ხოლო სმოკი და შორტი ოთხნახევარ მილს, თუმცა ხანდახან თუ ცოტა ნაბიჯს აჩქარებდნენ, უფრო მარდადაც მიიწვევდნენ წინ.

– შორტი, ისე უნდა გარბენინო, რომ ფეხები აღარ შეგერჩეს, – სულ აბუჩად აიგდო სმოკმა.

– ჰმ! ოჩაფეხებზე შემდგარმა რომ ვიარო, მაინც გაგაყრევენებ მოკასინის ძირებს, მაგრამ რად გინდა – კრიკზე თვითეული ნაკვეთი არ შეივლება ხუთას ფუტზე მეტი იყოს. ვთქვათ, ერთ მილში ათი ნაკვეთი გამოვიდა. ჩვენზე წინ ათასამდე მლაშქრეა, კრიკი კი ასი მილიც არ იქნება სიგრძით. თქმა არ უნდა, ვილაც უნდა დარჩეს მშრალზე, და, მგონი, მათ შორის შენც იქნები და მეც.

ვიდრე უპასუხებდა, სმოკმა ერთბაშად მიუშვა სადავე და ექვსი ფუტით მაინც ჩამოიტოვა შორტი.

– აი, ცოტა ყანყარატოს რომ შეახვევებდე და ჩემსავით ივლიდე, ცოტათი მაინც შევამცირებდით მაგ ათასეულს, – უსაყვედურა სმოკმა.

– ვინა, მე? თუ ბიჭი ხარ, გვერდზე გადექი და მერე ჩემი ნახე – როგორია მარდი სიარული.

სმოკს გაეცინა და ისევ მიუშვა სადავე. ამ თავისებურ შეჯიბრებას იგი სულ სხვა თვალთ უყურებდა. სმოკს სულ ერთი ჭკუანადრძობი ფილოსოფოსის ნათქვამი სიტყვები: „ფასეულობათა გადაფასება“ უტრიალებდა თავში. მართლაც, ახლა იგი ნაკლებად ფიქრობდა სიმდიდრის დაჩემებაზე და უფრო მეტად შორტის დაჯანსაღებას ლამობდა. ბოლოს და ბოლოსო, დაასკვნა მან. მთავარი ის კი არ არის რა შედეგს იძლევა თამაში, არამედ მთავარია თვით თამაშიო. ამიტომაც მთელი თავისი გონება, ძალა, გამძლეობა და სულისკვეთება დაუპირისპირა შორტის – კაცს, რომელსაც თავის დღეში წიგნი არ გადუფურცლა და რომელიც ვერც კეთილსმოვან ოპერას ანსხვავებდა ვირის ყროყინისაგან და ვერც ეპიურ პოემას – მოყინული თითებისაგან.

– სიქას გაგაცლი, იცოდე, შორტი, სიქას. როგორც კი დაიას მიდამოებში შემოვდგით ფეხი, სხეულის ყველა უჯრედი გადავახალისე. ახლა ძარღვები დაგრეხილი ბაწარივით მაქვს, ხორცი კი ჩხრიალა გველის ნაკბენივით უგემური და მავნე. ეჰ, რამდენიმე თვით ადრე რომ ასეთი ლამაზი სიტყვები მომსვლოდა თავში, კაი ბიჭი ვიქნებოდი, მაგრამ ვაი რომ ასე არ მოხდა. ასე ლამაზად პირველად გამოვთქვი ჩემი გულისთქმა, მაგრამ ახლა ამას აზრი აღარა აქვს. დღეს მე ერთი ვინმე მუავე ხასიათის, უგულო ხეპრე ვარ და ვერც ერთი უქნარა მთიელი ვერ დამაკარებს ხელს ისე, რომ საკადრისი პასუხი არ მიიღოს ჩემგან.

ახლა ასე მოვიქცეთ – ჯერ შენ წადი წინ, ნახევარი საათი იარე, მაჩვენე ერთი, რა ბიჭი ხარ, მერე მე გამიშვი და მე ჩაგიტარებ ნახევარსაათიან გაკვეთილს.

– ჰაი, დედასა! – ალაღად გაეჭილიკა შორტი, – ჯერ არ გიჩანხალია ზურგს უკან და გულზე ხარ, ხომ? ჩამოდექ გზიდან და აცალე მამაშენს – ის გასწავლის სიარულს.

ყოველ ნახევარ საათში ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს და ხმის ამოუღებლად გაშმაგებით მიაბიჯებდნენ წინ. გამაღებელი მოძრაობა სხეულს სიმხურვალეს უნარჩუნებდა, მაგრამ სუსხისაგან მაინც სუნთქვა ჰქონდათ შეკრული. ყინვა ისე იკბინებოდა, რომ იძულებული იყვნენ გამუდმებით ხელჯაგებით ესრისათ ცხვირი და ლოყები, არადა პირისახე უხევდებოდათ და მერე უფრო მაგრად უნდა დაეზიდათ კანი, რათა კვლავ აღედგინათ სისხლის მოვრაობა და მისი მწველი ჩხვლეტა ეგრძნოთ სახეზე.

სმოკსა და შორტის ხშირად ეჩვენებოდათ – მორჩა, უკვე ყველას გადაგასწარიტო, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდნენ ახალ-ახალ მოლაშქრეებს, იმათ, ვისაც დაესწროთ და ადრევე დადგომოდნენ შორ გზას.

ზოგჯერ ზოგიერთი ჯგუფი ცდილობდა ფეხდაფეხ მიჰყოლოდა ჩვენს დაწინაურებულ წყვილს, მაგრამ, როგორც წესი, ერთი-ორი მილის შემდეგ, საქციელწამხდარნი, სადღაც ზურგს უკან, წყვილიაღში უჩინარდებოდნენ ხოლმე.

– ჩვენ მთელ ზამთარს არ ჩაგვიმუხლავს, – შენიშნა შორტიმ. – ქონმახებში გორაობით დაჩაჩანაკებულ ამ ბებრუხანებს კი ჰყოფნით თავხედობა და ფიქრობენ, რომ გვაჯობებენ, რასაც ვერ წაართმე აქაურ კაცს, ის არის, რომ კარგი მოსიარულეა.

ერთხელ სმოკმა ასანთი გაკრა და დახედა საათს, მაგრამ შემდეგ აღარ გაუმეორებია ასეთი რამ, რადგან სუსხმა ისე მშწარედ აეწვა შიშველი ხელები, რომ ნახევარ საათს მაინც მოუნდა მათ დაშოშმინებას.

– ოთხი საათია, – თქვა მან, როცა ხელჯაგებს იცვამდა, – მე ვითვლი, განა. ეი, მანდ, რომელი ხარ, ჩამომეცალე გზიდან. დაე იაროს იმან, ვისაც სიარულის თავი აქვს.

ეს სტყევები არაქათგამოცლილი ადამიანის გასაგონად იყო ნათქვამი. კაცი ძლივძლივობით მილასლასებდა და ღობავდა გზას. კარგა ხანს ამ კაცისა და კიდევ ერთი, ასეთი ცოცხალ-მკდარი კაცის მეტს არავის შეხვედრიან ჩვენი მგზავრები, რადგან თითქმის უკვე სათავეში მმოქცეოდნენ ოქროსათვის აწრიალებულ ამ მიღეთ ხალხს. ამიტომაც იყო, რომ მათ ბოლოს შეიტყვეს იმ დამის ყველა საშინელება. თურმე გზის პირას სულის მოსათქმელად სამომსხდარი ძალაგამოღებული ადამიანები ამოდლა ლამობდნენ ზეზე წამოდგომას. სასიკვდილოდ მხოლოდ შვიდი კაცი გაიყინა, მაგრამ დოუსონის სააადმყოფოებში რაღაც სასწაულად გადარჩენილ უამრავ ხალხს მოკვეთეს ფეხები, ფეხისა და ხელის თითები. ოქროს ციებ-ცხელების დამეებიდან ყველაზე ცივი დამე სკვო კრიკზე ლაშქრობისას დაიჭირა – გათენებისას სპირტის თერმომეტრებმა დოუსონში სამოცდაათი გრადუსი აღნიშნეს ნულს ქვემოთ. თანაც ოქროსმაძიებლები, ზოგიერთებს გარდა, უცხოოდ იყვნენ ამ მხარეში და არ იცოდნენ, რა ვერაგი მტერიც ჰყავდათ ყინვის სახით.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ჰორიზონტიდან ზენიტამდე პროექტორივით ატყორცნილი ჩრდილოეთის ციალის შუქზე, სმოკმა და შორტიმ კიდევ ერთი გასავათებული კაცი შენიშნეს, რომელიც გზის პირას იჯდა, ყინულის ხორგზე.

– აბა, ასკინკილა, ბიძაჩემო, – მსიარულად შესძახა შორტიმ, – ცოტა გაინძერი,, რორემ გაყინულ გვამად გაიქცევი.

– კაცს ხმა არ ამოუღია, და გამვლელებიც შეჩერდნენ – ვნახოთ, რაშია საქმეო.

– ქარცახივით მოუდრეკავია, – დაასკვნა შორტიმ, – ოდნავ განძრევა და გადატყდება კიდევაც.

– მოდი ერთი, ვნახოთ, სუნთქავს თუ არა, – თქვა სმოკმა, შიშველი ხელი შეაცურა იმ კაცის ტყავ-შაღის სამოსელში და გული მოუძებნა.

შორტიმ ცალი ყურსაფარი აიკეცა და კაცის ყინულივით ცივ ტუჩებთან დაიხარა.

– არ სუნთქავს, – თქვა მან.

– არც გული უცემს, – დაუმატა სმოკმა, ხელჯაგი წამოაცვა, ერთ ხანს გამეტებით ირტყამდა ხელზე ხელს, მერე მიუხედავად საშინელი სუსხისა, ისევ გაბედა ხელჯაგის წაძრობა და ასანთი გაკრა.

სიკვდილის კერძი გამხდარიყო საცოდავი ბერიკაცი. შეჭარხლულ სახეზე სულ გაერთიანებული ჰქონდა გრძელი თეთრი წვერიც, შეყინული ცხვირიც, დამზრალი ღოყებიცა და მიღულული თვალებიც, ქუთუთოებიც კი ყინვას შეეწებებინა. ამასობაში ასანთი ჩაქრა.

– წავიდეთ, – თქვა შორტიმ, და თან ყური მოისრისა, – საბრალო მოხუცს ჩვენ ვერაფერს ვუშველით, მე კი ნამდვილად მომეყინა ყური. ახლა ეს წყველი კანი ამძვრება და მთელ კვირას გამაწამებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნათელმა სვეტმა მთელს ცის კაბადონს შეაფრქვია ციმციმა შუქი და ჩვენმა მგზავრებმა ასე მეოთხედი მილის დაშორებით მოყინულ ველზე კიდევ ორი ადამიანი შენიშნეს. მათ გარდა თვალსაწიერზე აღარაფერი იძროდა.

– აი, თურმე ვინ ყოფილა ყველაზე წინ, – თქვა სმოკმა, როცა კვლავ უკუნი ჩამოწვა, – აბა, ჰე, ეგება გადავასწროთ როგორმე.

თითქმის ნახევარი საათი გავიდა, მაგრამ მაინც ვერ დაეწიენ წინმიმავალთ. შორტი უკვე სირბილზე გადავიდა.

– დაწვეით შეიძლება დავეწიოთ, გადასწრებისა კი რა მოგახსენო, – ქოშინებდა შორტი, – დმერთო, მაინც რას მიერეკებიან. ჩეჩაკოები რომ არ არიან, ნადლია. აქაურები იქნებიან, კისერს მოძიჭრი, თუ გინდა.

ბოლოს, როგორც იქნა, წამოეწიენ იმ ორს. წინ სმოკი იყო. უნდა გენახათ, როგორ გაიბადრა სიამოვნებისაგან, როცა დარწმუნდა, უკვე ფეხდაფეხ მიყვები დაწინაურებულებსო. იმ წუთშივე გაიფიქრა, ჩემს წინ მიმავალი მგზავრი უთუოდ ქალიაო. რატომ იფიქრა ასე, თვითონაც ვერ გეტყოდით. როგორც ყველა სხვა, ეს ცოცხალი არსებაც თავიდან ფეხებამდე ბეწვის ქურქში იყო გახვეული. და მაინც, რაღაც აკივატებული გუმანით მიხვდა, რომ ახლობელ ადამიანთან ჰქონდა საქმე. მერე დაუცადა ჩრდილოეთის ციალის მორიგ გაელვებას და მის შუქზე შენიშნა მოკასინებიანი პატარა ფეხები. უფრო მეტიც – ნაბიჯს დააკვირდა და მიხვდა, რომ არა ცდებოდა – განა შეიძლებოდა ამ მტკიცე ნაბიჯის დავიწყება!

– აი, ამას ჰქვია სიარული, – ხრინწიანი ხმით თქვა შორტიმ, – სანაძლეოს ვდებ, რომ ეს ქალი ინდიელია.

– სალამი, მის გასტელ! – მიმართა სმოკმა.

– სალამი! – თავი მოაბრუნა და უცბად შეავლო თვალი სმოკს ქალმა, – ბნელა, ვერაფერს ვხედავ, რომელი ხარ?

– სმოკი.

ქალის სიცილმა სუსხიანი ჰაერი გაჰკვეთა.

სმოკის ღრმა რწმენით, ეს იყო უმშვენიერესი სიცილი, რომელიც კი ოდესმე გაეგონა.

– რა ქენი, ცოლი ითხოვე თუ არა. სულ რომ იქაღნიდი, დავწვრილშვილდებო? – ქალს პასუხისათვის არ დაუცდია, თვითონვე განაგძო: – რამდენი ჩეჩაკი იქნება ჩვენს უკან?

– მე მგონი, რამდენიმე ათასი. სამასზე მეტი კაცი ჩვენ ჩამოვიტოვეთ, მაგრამ ისინი წუთს არ კარგავენ უქმად.

– ისევ ძველი ამბავი მეორდება, – გულისტკივილით ჩაილაპარაკა ქალმა, – მდიდარ საბადოებს ახლოსულები ეპატრონებიან, ხოლო ძველებს, იმათ, ვინც მამაცურად, დიდი წვალების ფასად შექმნა ეს ქვეყანა, აღარაფერი რჩებათ. განა ძველებმა არ აღმოაჩინეს სკვო კრიკის სიმდიდრე – მაინც როგორ გაიგო ამ ხალხმა ეს ამბავი, საოცარია პირდაპირ, – და მათვე არ შეატყობინეს „ზღის ლომის“ ყველა მკიდრს? მაგრამ „ზღვის ლომი“ ათი მილითაა დაშორებული დოუსონს, და სანამ იქაურები სკვო კრიკს ჩაადწევდნენ, მთელი საბადოს დაისაკუთრებენ დოუსონელი ჩეჩაკები, ასეთ უიღბლობაში არც სამართალია და არც სირცხვილ-ნამუსი.

– მართალია, ეს ძალიან ცუდია, თანაუგრძნო სმოკმა, – მაგრამ კისერი მომჭერი, თუ რაიმე გამოსავალს ვხედავდე ამ მდგომარეობიდან. ხომ იცით, ნათქვამია, – ნაპოვნი მპოვნელსო.

– ო, ხიფათს გადაეყრებოდნენ და სხვა არაფერი მინდა, – ქალი დაფუთქულივით მოუბრუნდა სმოკს, – ოღონდ კი „ზღვის ლომის“ მოლაშქრენი ჩაასწრებდნენ სხვებს და დანარჩენები თუნდაც სულ გაყინულან გზაზე, ჭირსაც წაუღია მაგათი თავი და ტანი, მე ეგ არ ვიღარდო.

– განა შეიძლება ადამიანების ასე გამეტება? – გაუცინა სმოკმა.

– არა, მაგიტომ არა, – სხაპასხუპით მიაყარა ქალმა, – მე ვიცნობ „ზღის ლომის“ ხალხს, ყოველ მათგანს. ვაჟკაცი ხალხია. იყო დრო, ეს ადამიანები შიმშილით იხოცებოდნენ და მაინც გოლიათურად შრომობდნენ ამ ქვეყნის განვითარებისათვის. მეც, თითოტოლა გოგომ, მათთან ერთად გადავიტანე კოიოკუკის მძიმე წლები, მათთან ერთად ვშიმშილობდი „არყის ხის წყაროზე“, ვშიმშილობდი მეორმოცე მილზე. ისინი გმირები არიან, ისინი ჯილდოს ღირსნი არიან, არა და, აგერ რამდენიმე მილით მათზე წინ მიიღტვის ათასობით პირტიტველა ღლაპი, ვისაც არაფრით არ დაუმსახურებია რაიმე სიმდიდრის დასაკუთრების უფლება. ახლა კი მომიტყვევო, ქადაგად დავეარდი – ფილტვებს უნდა გაუფრთხილდე, თორემ ვინ იცის, როდის მოგეპრიანებათ თქვენ და თქვენისთანებს ჩემი და მამაჩემის გადასწრება.

ამის შემდეგ, თითქმის ერთი საათი ჯოის და სმოკს კრინტი აღარ დაუძრავთ, თუმცა სმოკს არ გამოპარვია, რომ ქალი და მამამისი ხანდახან ხმადაბლა რაღაცას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

– ახლა უკვე მივხვდი ვინც არის, – უთხრა შორტიმ სმოკს, – ეს ხომ მოხუცი ლუის გასტელია, ვაჟკაცი კაცი. ეს კი მისი ქალიშვილი უნდა იყოს. გასტელის ჩამოსვლა ჩვენს მხარეში თითქმის აღარავის ახსოვს – დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ – ჰოდა, თან ჩამოიყვანა გოგონა, სულ თოთო ბაღლი. ლუისსა და ბეტლზს ერთი საზიარო საქმე ჰქონდათ აღებული, პირველი პაწია ორთქლის გემიც მათ გაუშვეს კოიოკუკზე.

– მე მგონი, არა ღირს მათი გადასწრება, – თქვა სმოკმა, – ჩვენ ოთხნი ისედაც ყველაზე წინა ვართ.

შორტი დაეთანხმა, რასაც ისევ ერთსაათიანი დუმილი მოჰყვა მგზავრები კვლავ თანაბარი, სწრაფი ნაბიჯით ფარავდნენ გზას. შვიდ საათზე ჩრდილოეთის ციალმა უკანასკნელად გაიელვა, გაკვეთა სინელე და დასავლეთით, თოვლით დაფარულ მთებს შორის მოქცეული ფართო გასავლელი გაანათა.

– ესეც, სკვო კრიკი! – შესძახა უოიმ.

– ბიჭოს, მოვსულვართ! – აღმოხდა შორტის. – მე მეგონა, ნახევარი საათი მაინც დაგვჭირდებოდა კიდევ. მუხლის გამართვაც ამას ჰქვია!

ამ ადგილას დაიას გზა ყინულებს ჩახერგა, ამიტომ იგი ერთბაშად უხვევდა, კვეთდა იუკონს და მისი აღმოსავლეთი ნაპირისაკენ მიემართებოდა. ახლა ჩვენს

მგზავრებს უნდა მიეცოვებინათ ეს კარგად გატკეპნილი მთავარი გზა, გადაეღახათ ჩინულგრეხილები და დადგომოდნენ ძნელად სავალ ბილიკს, რომელიც დასავლეთ ნაპირს მიუყვებოდა.

წინ მიმავალ ლუის გასტელს სიბნელეში უეცრად ამობურცულ ყინულზე დაუცდა ფეხი. მოხუცი ჩაიკეცა და ორივე ხელი კოჭზე იტაცა. მერე რის ვაი-ვაგლახით წამოდგა, ძლივს წალასლასდა კოჭლობით, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ერთბაშად შედგა და ქალიშვილს უთხრა:

– ამას აღარაფერი ეშველება, მყესი მაქვს დაჭიმული. წადი და შენ მოზომე ორივე ნაკვეთი.

– ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებით? – ჰკითხა სმოკმა.

ლუის გასტელმა თავი გააქნია.

– ჩემი ქალიშვილიც მოახერხებს ორი ნაკვეთის მოზომვას. მე აგერ ნაპირზე აწიხდები, ცეცხლს დავანთებ და შევიხვევ კოჭს. არაფერი მიშავს. წადი, ჯოი, წადი. ჩვენთვის დისკავერის ზემოთ მონიშნე ნაკვეთები. ზემოთ უფრო ხვავიანი მიწაა.

– აი, თქვენ, ცოტადენი არყის ხის ქერქი, – უთხრა სმოკმა და თანაბრად გაუნაწილა თავისი მარაგი, – თქვენს ქალიშვილს ჩვენ მივხედავთ.

ლუის გასტელმა უგემურად გაიცინა.

– მაღლობის მეტი რა მეთქმის, – თქვა მან, – მაგრამ ჩემი ქალიშვილი თვითონაც კარგად უპატრონებს თავის თავს. თქვენც გაჰყევით უკან და თვალი გეჭიროთ.

– თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მე გაგიწევთ მეგზურობას, – უთხრა ქალმა სმოკს და ნაბიჯი გადადგა, – თქვენზე უკათ მე ვიცნობ აქაურობას.

– მიბრძანდით, – თავაზიანად მიუგო სმოკმა, – მეც გეთანხმებით – აშკარა უსინდისობაა, რცა ჩვენ, – მიბრძანდით, – თავაზიანად მიუგო სმოკმა, – მეც გეთანხმებით – აშკარა უსინდისობაა, როცა ჩვენ, ჩეჩაკოები, ვცდილობთ, რომ პირში ჩალა გამოვავლოთ ხოლმე „ზღვის ლომის“ ხალხს, მაგრამ იქნებ სხვა გზით ვიაროთ და გავაცუროთ ისინი?

ქალმა თავი გააქნია.

– კვალის დაფარვა შეუძლებელია, ისინი ცხვრებივით მოგეყვებიან ყველგან.

მეოთხედი მილი რომ გაიარეს, ქალმა ერთბაშად დასავლეთისაკენ იბრუნა პირი. სმოკმა შენიშნა, რომ გაუკვალავ თოვლზე მიდიოდნენ, მაგრამ ვერც მან და ვერც შორტიმ ვერ იაზრეს, რომ ძლივს შესამჩნევი ბილიკი, რომელსაც ისინი მიჰყვებოდნენ, ისევ სამხრეთისკენ მიემართებოდა. ვერც ის შენიშნეს, რა მოიმოქმედა ლუის გასტელმა მათი წასვლის შემდეგ, თორემ, შესაძლოაქ სულ სხვაგვარად დაწერილიყო კლონდაიკის იცტორია. ჯერ ერთი, რომ ამ მიდამოების ბებერ მკიდრს სულ გადავიწყდა თავისი კოჭლობა და, მეძებარი ძალღვივით გზას გაკრული, სირბილით დაედევნა მათ. მერე მოტკეპნა და მოფართოვა ის ადგილი, საიდანაც სამეულმა დასავლეთისაკენ შეუხვია და ბოლოს, სამხრეთისაკენ მიმავალ ძველ ბილიკს გაჰყვა.

ბილიკი მდინარის შენაკადს მიუყვებოდა ზემოთ, მაგრამ ისე იყო წაშლილი, რომ სიბნელეში წამდაუწუმ კარგავდნენ კვალს. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ჯოი გასტელმა ისურვა, რომ თვითონ უკან ევლო და წინ მამაკაცები გაუშვა – რიგრიგობით გაკვალეთ გზაო. შემოკლების საშუალება მისცა და როცა ინათა – გათენებით კი ცხრა საათზე გათენდა – უკან, თვალსაწიერზე, უკვე მოჩანდა ადამიანთა დაბმული რიგი. ამის დანახვაზე ჯოის მუქ თვალებში სიხარულის ნაპერწკალმა იელვა.

– რამდენ ხანს მოვდივართ ხევ-ხევ? – იკითხა ქალმა.

– სრული ორი საათია, – მიუგო სმოკმა.

– ორი საათიც უკან, იქნება ოთხი, – სიცილით თქვა ჯომი, – მაშ, „ზღვის ლომის“ მოლაშქრეებს შველებიათ და ეგ არის.

სმოკს რაღაც ეჭვმა გაჰკრა, შეჩერდა და თვალებში შეხედა ქალს,

– არაფერი მესმის, – თქვა სმოკმა.

– აჰ, არ გესმით? მაშინ მე ავიხსნით. ეს ნორვეი კრიკია, სკვო კრიკი უფრო სამხრეთითაა.

სმოკს ერთი წამით ენა ჩაუვარდა.

– ეს რა, განგებ გააკეთეთ? – ჩაჰკითხა შორტიმ.

– დიახ, განგებ, ხომ უნდა დავხმარებოდი როგორმე ჩემს თანამოძმეებს!

ქალმა ნიშნის მოგებით გაიცინა. მამაკაცებმაც კბილები გამოაჩინეს, აჰყვნენ ქალს და სიცილი დაიწყეს.

– აი, ახლა კი ხართ ღირსი გაგიდოთ კაცმა მუხლებზე და ხემით გაგაბრტყელოთ. თქვენი ბედი, რომ ქალი ასეთი იშვიათი ხილია ამ მხარეში, – სერიოზულად განუცხადა შორტიმ.

– მაშ, მამათქვენს მყესი არ დაჭიმვია, დაელოდა, სანამ თვალს მივეფარებოდით და მერე თავისი გზით წავიდა, ხრმ? – იკითხა სმოკმა.

ჯომი თავი დაუქნია.

– და თქვენც მახე დაგვიგეთ, არა?

ქალმა ისევ დაუქნია თავი, რასაც სმოკს უფრო რიხიანი და გულიანი სიცილი მოჰყვა. ეს აშკარად გაცურებული კაცის ალალი სიცილი იყო.

– რატომ არ მიბრაზდებით? – იკითხა გაოცებულმა ქალმა, – თუ... თუ მართლა გალახვას მიპირებთ?

– ჰე, რაღას ვუყურებთ, დავბრუნდეთ უკან, – აჩქარდა შორტი, – ერთ ადგილზე დგომით ფეხები გამეყინა.

სმოკმა თავი გააქნია.

– ეს ნიშნავს, რომ წყალში გადაყაროთ ოთხი საათი დრო. ჩვენ, ალბათ, უკვე რვა მილი მაინც გვექნება ამოვლილი, თანაც წინ, თუ თვალი არ მატყუებს, ნორვეი ძალიან შორიდან უვლის სამხრეთისაკენ. ამიტომ ცოტა კიდევ გავყვით ამ გზას, მერე წყალგამყოფი გადავჭრათ და სკვო კრიკზე სადმე დისკავერის ზემოთ გავალთ, – სმოკმა ჯოის შეხედა, – თქვენ რას იზამთ, წამოგყვებით თუ არა? მამათქვენს ჩვენი იმედი აქვს – ქალიშვილს მიმიხედავენო.

– მე... – ქალმა ყოყმანი დაიწყო, – მე წავალ, თუ თქვენ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, – ჯოი პირადპირ სახეში შესცქეროდა სმოკს, გოროზობის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა, – მისტერ სმოკ, მე ნამდვილად ვნანობ ჩემს საქციელს, მაგრამ ვიდაც ხომ უნდა გამოქომაგებოდა ამ საწყალ ხალხს.

– ახლავა მივხვდი, რომ ეს ლაშქრობა სპორტული შეჯიბრებაა და მეტი არაფერი.

– მეც ახლავა მივხვდი, რომ თქვენ ნაღდი სპორტსმენები ხართ, – შეაგება სიტყვა ქალმა, მერე ნაღვლიანად ამოიოხრა და დაუმატა: – აფსუს, აქაურები მაინც იყოთ!

სამეულმა ორ საათზე მეტ ხანს ნორვეის გაყინული კალაპოტით იარა, მერე მის ვიწრო და ოდრო-ჩოდრო სამხრეთ ტოტზე შეუხვია, შუადღისას კი წყალგამყოფზე დაიწყო ასვლა. უკან, მთელი შენაკადის დაყოლებით, მოჩანდა კვალდაკვალ მომავალ მოლაშქრეთა გრძელი რიგი. ალაგ-ალაგ ავარდნილი კვამლის წვრილი სვეტები იმაზე მეტყველებდა, რომ ზოგიერთ ჯგუფს უკვე დაეხანაკებინა.

ჩვენს მგზავრებსაც უჭირდათ სიარული. ისინი წელამდე თოვლში ეფლობოდნენ და იძულებული ხდებოდნენ ხანდახან შეჩერებულიყვნენ სულის მოსათქმელად. შორტიმ პირველმა მოითხოვა – შევისვენოთო.

– უკვე თორმეტი საათია გზას ვადგავართ, – თქვა მან, – სმოკ, უნდა გამოვიტყდე, არაქათი აღარა მაქვს. ისევე ხარ შენც. მე სრული უფლებით და ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ისე ჩავეჭიდები ამ ადგილს, როგორც მშვიერი ინდიელი დათვის უმი ხორცის ნაჭერს. დანაც, იცოდე, ეს საბრალო გოგო ნაბიჯსაც ვეღარ გადადგამს, თუ არ წაიხემსა. ერთი სიტყვით, აქ უნდა დავანთოთ ცეცხლი. თქვენ რას იტყვით?

მამაკაცები ისე სწრაფად, ოსტატურად და ისეთი გულმოდგინებით შეუდგნენ დროებითი სადგომის მოწყობას, რომ ჯოიმ, რომელიც მოშურნე თვალით უცქერდა მათ, გულში აღიარა – აქაურებიც ვერ მოახერხებდნენ ამაზე უკეთესად. ნაძვის ხის კაპებზე გაჭიმული საფარველი უკვე იძლეოდა დასვენებისა და სამზარეულო თადარიგის საშუალებას, მაგრამ, ვიდრე კარგა მაგრა არ დაიხილეს ცხვირები და ლოყები, მგზავრები ახლოს არ გაკარებინან დატრიალებულ სიბოლს.

სმოკმა გადააფურთხა ჰაერში, მაგრამ გაყინულმა ნერწყვმა ისე სწრაფად და ისეთი ხმაურით მოაღინა ძირს ტკაცანი, რომ გაკვირვებისაგან თვითონვე გააქნია თავი.

– არა, ძმაო, – თქვა მან, – ასეთი სიცივის მომსწრე არა ვარ.

– ერთ ზამთარს კოიოტუკზე ოთხმოცდაექვსი გრადუსი იყო ნულს ქვემოთ, – მიუგო ჯოიმ, – ახლა, ალბათ, სულ ცოტა სამოცდაათი ან სამოცდათხუთმეტი იქნება, და მე მგონი, ლოყებიც მოყინული მაქვს უკვე, ისე ცეცხლივით მიხურს.

წყალგამყოფის ციცაბო ფერდობზე ყინული არ იდო. მათ ბუშელით აიღეს შაქრის ფხენილივით წმინდა, მკვრივი და გამჭირვალე თოვლი და იმდენი ჩაყარეს ქვაბში გასაღლლად, რომ ყავის მოსახარშად ყოფნოდათ. სმოკმა ბეკონი ააშიშხანა და ბისკვიტები შეათბო. შორტიმ ფიჩხს მოუყარა თავი და ცეცხლს შეუკეთა, ხოლო უიმი სუფრა გაშალა, სუფრაზე ორი თევში, ორი ტოლჩა, ორი კოვზი და ორი თუნუქის კოლოფი იდო – ცალში მარილიანი პილპილი ეყარა და მეორეში – შაქარი. პურობას რომ შეუდგნენ, ჯოიმ და სმოკმა ერთი ჯამ-ჭურჭელი მიიჩოჩეს საზიაროდ: ერთი თევშიდან ჭამდნენ და ერთი ტოლჩიდან სვამდნენ.

ნაშუადღევს ორი საათი იქნებოდა, როცა ჩვენმა მგზავრებმა წყალგამყოფი ქელი გადალახეს და სკვო კრიკის ერთ-ერთი შენაკადისაკენ დაეშენენ. რომელიღაც მონადირეს ზამთრის პირზე ხშირად ევლო ამ ხეობაში, თანაც ეტყობოდა, აღმა-დაღმა სიარულისას სულ ძველ ნაფეხურებს მიჰყვებოდა. ამის შემდეგ კი, ადრინდელსა და უფრო მოგვიანებით მოსული თოვლის ქვეშ ყინულის ხორაგების ვთანაბრო რიგი გაჩენილიყო. და თუ ვინმეს ამ ხორაგებზე აუცურდებოდა ფეხი, მაშინვე გაუკვალავ თოვლში ეფლობოდა და, როგორც შესი, ვირს ენარცხებოდა. ამასთან მონადირეს რაღაც უჩვეულოდ გველი კანჭები უნდა ჰქონოდა, ისე შორი-შორს იყო ნაფეხურები, უიმი, რომელსაც ახლა უკვე გულით ეწადა, მის თანამგზავრებსაც რგებოდათ საბადოების ნაწილი, და თანაც შიშობდა – ვაითუ ამათ დადლილი ვგონივარ და ჩემს გამო ანელებენ ნაბიჯყო, წინ გამიშვითო, აიჩემა. ქალი ისეთი საოცარი სისწრაფით, ისე მოხდენილად არიდებდა თავს ამ მაცთურ ნაფეხურებს, რომ შორტიმ ვეღარ დაფარა აღტაცება.

– უცქირე, უცქირე! – ყვიროდა იგი, – აი, ქალი, აი, ჯიგრის ყაურმა. ნახე, როგორ მიასრიალებს მოკასინებს. მაღალი ქუსლები რომ ჰქონდეს, კიდევ ჰო, მაგრამ არა – ღვთის ნაწყალობევი ფეხებით დადი ასე კარგად. არა, ძმაო, ვერც ერთი მონადირე ვერ დაიშუნებს საპატარძლოდ, ნადლი ინდიელია.

მაღლობის ნიშნად ქალი მობრუნდა და გაიღიმა. გაუღიმა სმოკსაც, სმოკმა იგრძნო კეთილი დამოკიდებულება, თუმცა ამავე დროს მწარედ მიხვდა, რომ ქალმა ზომიერად მეტი გულუხვობა რომ გამოიჩინა, რაკი მასაც უწილადა ტკბილი ღიმილი.

როდესაც სკვო სრიალ-სრიალით ჩაეშენენ მდინარის კალაპოტისკენ. ფსკერამდე გაყინული მდინარე, ალაგ ოცი, ალაგ კი ოცდაათი ტერფის დადგმაც იქნებოდა სიგანეში და ექვსი-რვა ფუტის სიმაღლის ნარიყ ფერდობებს შორის მიედინებოდა. გაყინულ წყალზე ფეხდაუკარებელი თოვლი იდო, და მიხვდნენ, რომ დისკავერის ზემოთ იყვნენ. სანიშნო პალოები არსად ჩანდა – ცხადია, ზღის ლომის“ ოქროს მაძიებლებს აქამდე ვერ ამოელწიათ.

– წყალს ერიდე, წყალს, – აფრთხილებდა ჯოი სმოკს, რომელიც მდინარის დაყოლებით მიიკვლევდა გზას, – თორემ ამ სამოცდაათი გრადუსი ყინვის დროს წყალში თუ ამოყავი თავი, მერე – მშვიდობით, ფეხებო.

აქაური ნაკადულები, კლონდაიკის უმრავლესი მდინარეების მსგავსად, დიდი ყინვების დროსაც არ წყვეტენ დინებას. ფერდობებიდან კალაპოტში ჩაწურული წყალი გუბებედა დგება. შემდგომ ყინულის თხელი ფენა ეკერის ზემოდან და ზედ ათოვს. აი, ამიტომ, ადამიანი შეიძლება შემთხვევით მშრალ თოვლზე დადგეს, ნახევარ დუიმზე ჩაუტყდეს ყინულის აფსკი და მუხლებამდე ჩავარდეს წყალში. და თუ მან ხუთ წუთში ვერ მოახერხა სველი მოკასინების გამოცვლა, უქვევლია, ორივე ფეხს დაკარგავს.

ჯერ დღის სამი საათი იყო, მაგრამჩრდილოეთის ხანგრძლივი ნაცისფერი ნისლი უკვე წვებოდა გარშემო. ჩვენმა მგზავრებმა გაღმა-გამოღმა დაუწყეს ძებნა იმ ნაჭდევებთან ხეს, რომელიც უკვე დასაკუთრებული ბოლო ნაკვეთის მთავარი სანიშნო უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით მოწადინებულმა ჯოიმ პირველმა მიაგნო მას. ქალმა ტყვიასავით გადასწრო სმოკს და შეჰყვირა:

– ვიდაც უკვე ყოფილა აქ – ხედავთ თოვლს! აგერ ნაჭდევიც ნაღლია! აი, ნაძვის ხეც!

ერთბაშად ჯოი წელამდე თოვლში ჩაეფლო.

– სხვას ვასწავლიდი ჭკუას და... – თქვა მან შესაბრალისად. მერე შეჰყვირა, – არ მომეკაროთ! მე თვითონ ამოვად!

ჯოი ამტკრევედა მშრალ თოვლქვეშ შეფარებულ ყინულის თხელ ფენას და ასე თანდათან მიიკვლევდა გზას უფრო მკვრივი საყრდენისაკენ, სმოკს აღარ დაუყოვნებია, გადახტა ნაპირზე, სადაც დაბალ ბუჩქნარში გაზაფხულის წყალდიდობისას მდინარის მიერ ჩამოხიდული ხმელ-ხმელი ფიჩხი და შროები ასანთის გაკვრასდა ელოდნენ. და ვიდრეჯოი სმოკამდე მიადწევდა, მას უკვე გვარიანი კოცონი გაეჩაღებინა, და ცეცხლის ენები მალლა-მალლა მიიწვედნენ.

– დაჯექით! – უბრძანა სმოკმა.

ჯოი მორჩილად დაეშვა თოვლზე. სმოკმა ხელდახელ მოიძრო ზურგჩანთა და ქალს საფენი დაუგო ფეხქვეშ.

ზემოდან უკვე მოისმოდა კვალდაკვალ მომავალი ოქროსმაძიებლების ხმები.

– ახლავე წაივდეს შორტი და მოზომოს ნაკვეთი, – ურჩია ჯოიმ.

– აგრე ვქნათ. წადი შორტი, – უთხრა სმოკმა და თან ჯოის გახევებულ მოკასინებს ჩაჭიდა, – გადაზომე ათასი ნაბიჯი და ჩაასვი ორი მთავარი სანიშნო პალო. კუთხის პალოების დასმა მერეც შეიძლება.

სმოკმა დანით დასერა ჯოის მოკასინები. მოკასინები ისე გაეხევებინა ყინვას, რომ სულ ჭრაჭრაჭრუჭი გაჰქონდა დანის ყოველ დასმაზე.

სივაშურ წვივსაცვამებსა და უხეში შალის წინდებს ისე ჰქონდა შემოკრული ყინულის საღტეები, იტყოდი, ქალს ფეხები და კანჭები რკინაში აქვს ჩასმულიო.

– როგორა გაქვს ფეხი? – ჰკითხა მუშაობით გათულმა სმოკმა.

– სულ გათოშილია. ვერც ვანძრევ და ვერც ვგრძნობ, სადა მაქვს ფეხი. მაგრამ ყველაფერს მოევლება. მშვენიერი ცეცხლი გაგჩაღებიათ. თქვენს ხელებსაც მიხედეთ, არ მოგეყინოთ. ისე უშნოდ ხმარობთ. ალბათ, უკვე დამზრალიცა გაქვთ.

სმოკმა ხელჯაგები წაიძრო და ერთ წუთს მაინც შიშველი ხელის მტკვნებს გაშმაგებით იცემდა ბარძაყებზე. და როცა კვლავ სისხლის ჭიანჭველებმა დაურბინა თითებში, ისევ წამოიცივა ფეხსამოსის გახალვათებას. ამ სამოცდაათ გრადუს ყინვაში ჯერ ერთი ფეხის ქათქათა კანი გამოჩნდა, შემდეგ მეორისა.

მერე სმოკმა თოვლით დაუზილა ფეხები. მანმა უზილა, სანამ ქალი არ დაიგრიხა სიმწირასაგან, არ აამოძრავა თითები და სიხარულით არ დაინივლა, მეტკინაო.

აქეთ სმოკი, იქით თვითონ, და რის ვაივაგლახით ჯოი კოცონს მიუჩონდა. სმოკმა ცეცხლის პირას გაშალა თავისი საფენი და ქალს ზედ დააწყო ბინა ფეხები.

– ახლა თქვენ მოუარეთ თქვენს ფეხებს, – უთხრა სმოკმა.

ჯოიმ გაიძრო ხელთათმანები და თვითონვე დაიწყო თითებისა და ტერფების ზელა, თანაც ნაცადი სიფრთხილით ირჯებოდა, ფეხებს ნელ-ნელა აჩვენდა სითბოს, სმოკმაც ცეცხლს მიუფიცხა თავისი ხელები. მაგრამ სალასავით მკვრივი თოვლი არც დნებოდა და არცა ღლებოდა. გაფშეკილ ხელებს თანდათან დაუარა სისხლმა და როცა სმოკმა თითებში მტკივნეული ჩხვლეტა იგრძნო და აამოძრავა, ისევ ცეცხლს შეუკეთა, ჯოის ზურგიდან ჩამოხსნა მსუბუქი ჩანთა და იქიდან მეორე წყვილი ფეხსაცმელი ამოიღო.

ამასობაში შორტიც მობრუნდა და აცოცდა ნაპირზე.

– სრული ათასი ფუტი მოვზომე, – განაცხადა მან, – ოცდამეშვიდე და ოცდამერვე ნაკვეთები გვერგო. ოცდამეშვიდე ნაკვეთზე ბოლო პალო რომ ჩავახვე, გავიხედოთ და ერთი ვიღაც მომადგა ჩვენს უკან მომავალი მაჩანჩალებიდან. არც აცხელა, არც აცივა პირდაპირ განმიცხადა – ოცდამერვე ნაკვეთ თავი გაანებე, ტყუილად ნუ იზომავო. მე ვუთხარი...

– ჰო, აბა, რა უთხარი? – შეეკითხა ჯოი.

– რა და, პირდაპირ ვუთხარი. თუ შენ ახლავე ერთ ხუთას ფუტზე მაინც არ გამეცლები, იცოდე, მაგ მოთოშილ ცხვირს ისე მაგრად მოგინაყავ, სისხლში აგიზელ და ამასლა გამომრჩები-მეთქი. ადგა და წავიდა, ავიღე და ჩავსვი მთავარი სანიშნო ბოძები ალაღად მოზომილ ხუთას-ხუთას ფუტიან ორ ნაკვეთზე. ჩვენმა ძმამ მეზობლად მოიზომა მიწა. მე მგონი, სკო კრიკი ახლა უკვე მთლიანად, სათავიდან ქვემო წელამდე, დანაწილებული იქნება. ჩვენ თავი ქუდში გვაქვს. ახლა ისე ბნელა, თვალში ვეღარ ვიხედები, არაფერია – კუთხის პალოების დასმა დილითაც შეივლება.

როცა გამოეღვიძათ, ნახეს, რომ ღამე ამინდი საგრძნობლად შეცვლილიყო. ახლა ისე თბილოდა, რომ ჯერ კიდევ საბნებში გახვეულმა შორტიმ და სმოკმა ივარაუდეს – ტემპერატურა მინუს ოც გრადუსზე მეტი არ იქნებაო. უცვარი ყინვა მოტყდა. მათ საბნებზე თითქმის ექვსი დუიმი სისქის ყინულის კრისტალების ფენა იდო.

– დილა მშვიდობისა! როგორ გაქვთ ფეხები? – გადასძახა სმოკმა ჩაფერფლილი ცეცხლის იქით, სადაც ჯოი გასტეული წამომჯდარიყო თავის საძილე ტომარაში და გულმოდგინედ იქერტყავდა თოვლს.

შორტიმ ცეცხლი დაანთო და ყინულის ნატეხები ამოიტანა ხევიდან. ამასობაში სმოკი საუზმის თადარიგს შეუდგა. დანაყრდნენ და ინათა კიდევ.

– სმოკ, წადი შენ და დასვი კუთხის პალოები, – უთხრა შორტიმ, – ყავისთვის რომ ყინული მოგტყხე, მის ქვეშ ოქროს ქვიშას წავაწყდი, ჰოდა, წავალ, ცოტა თოვლს გავადნობ და ერთ ციცხე ქვიშას გავრეცხავ სიფთაზე.

სმოკმა ნაჯახი აიღო და წავიდა სანიშნო პალოებზე ნაჭდევების გასაკეთებლად. ოცდამეშვიდე ნაკვეთს ქვედა მთავარ ბოძს რომ გაშორდა, ხელმარჯვნივ გაუხვია, ვიწრო ჭალის გადასვრივ კუთხეების მოსანიშნავად. გულდაგულ, თითქმის უაზროდ მიაბიჯებდა. გონებით ისევ წინა ღამის

მოგონებებს დასტრიალებდა. ისეთი გრძობა დაეუფლა, თტქოსდა უკვე მისი იყო არა მარტო იმ ფეხთა ნატიფი ხაზები და მკვრივი კუნთები, რომლებსაც წუხელ ზეღდა თოვლით; თითქოსდა უკვე მისი იყო არა მარტო იმ ფეხთა ნატიფი ხაზები და მკვრივი კუნთები, რომლებსაც წუხელ ზეღდა თოვლით; თითქოსდა მისი იყო ყველა სხვა ქალიც. ამ რაღაც ბუნდოვანმა და მწველმა მესაკუთრულმა გრძობამ მთლიანად მოიცვა იგი. ასე მოეჩვენა, თითქოს მხოლოდ ისღაა საჭირო, რომ მივიდეს, ჯოი გასტელს ხელი ხელს ჩავკიდო და ვუთხრა, წამომყევი-თქო.

აი, ასეთ საამო ოცნებაში იყო სმოკი, მაგრამ ერთბაშად ისეთი რამ აღმოაჩინა, რამაც სულ გადაავიწყვა ქალის თეთრი ფეხები. ველის კიდეზე აღარ დაუსვია სანიშნო პალოები და არც მისულა იქამდე. მოულოდნელად სულ სხვა მდინარის პირისპირ აღმოჩნდა. დაიმასხოვრა გამხმარი ტირიფი და დიდი ნაძვის ხე. მერე მიბრუნდა იმ მდინარისაკენ, სადაც მთავარი სანიშნო პალოები ჰქონდათ დასუმილი, ვაკე-ვაკე იარა, შემოუარა მის ფართო, ნალისებურ კალაპოტს და მიხვდა, რომ ორი მდინარე, სინამდვილეში ერთი და იგივე მდინარე იყო. შემდეგ, ორჯერ სწრაფი ნაბიჯებით გარდიგარდმო გადაჭრა დათოვლილი ველი „ოცდამეშვიდე“ ნაკვეთის ქვემოთა პალოდან „ოცდამერვის“ ზემოთა პალომდე და დარწმუნდა, რომ ამ უკანასკნელის ზემოთა სანიშნო პალო პირველის ქვემოთა სანიშნო პალოსთან არის დასმული. იმ ნაცრისფერ ნისლსა და საღამოს ბინდბუნდში შორტის ორივე ნაკვეთი ერთ ნალისებურ რკალზე მოეზომა.

სმოკი წელმოწყვეტილი დაბრუნდა პატარა ბანაკში შორტის უკვე მოემთავრებინა ერთი ცაცხვი ქვიშრობის რეცხვა და მის დანახვაზე სიხარულით გადაიღრია.

– აი, სიმდიდრე! – გაუწოდა ცაცხვი და თან შეჰყვირა შორტის უკვე მოემთავრებინა ერთი ციცხვი ქვიშრობის რეცხვა და მის დანახვაზე სიხარულით გადაიღრია.

– აი, სიმდიდრე! – გაუწოდა ციცხვი და თან შეჰყვირა შორტიმ, – შეხედე ერთი, შეხედე! ქვეყნის ოქროა. ორასი დოლარისა მაინც იქნება. აქედანვე ბარაქიანი პირი უჩანს. რამდენი ქვიშრობისათვის გამიცლია ქონი, მაგრამ ამ ციცხვში რომ კარაქია, ასეთი ჯერ ამ მინახავს.

სმოკმა გულგრილად გადახედა მიწანარევი ოქროს, მივიდა ცეცხლთან, ერთი ჭიქა ყავა დაისხა და დაჯდა. ჯოს ცუდად ენიშნა ეს და სმოკს ცნობისმოყვარეობით აღსავსე თვალებით შეხედა. შორტი კი ნაწყენი დარჩა, რომ მისი მეგობარი აღფრთოვანებით არ შეხვდა მის აღმოჩენას.

– შენ რაღაც სიხარულს ვერ გატყობ, ხასიათზე ვერა ხარ მგონი, არა? – ჰკითხა შორტიმ, – ჩვენ უნდა გავკეთდეთ, შენ კი ავიწვივა ეგ ცხვირი და ორასდოლარიანი ციცხვის დანახვაც გეზარება...

ვიდრე პასუხს გასცემდა, სმოკმა ერთი ყლუპი ყავა გადაუშვა ყელში.

– შორტი, რატომ ჰგავს ჩვენი ნაკვეთები პანამის არხს?

– რაო, რა მითხარი?

– რა და, პანამის ერხის აღმოსავლეთი კარიბჭე მის დასავლეთ კარიბჭეზე დასავლეთითაა, მეტი არაფერი.

– თქვი, თქვი, – უთხრა შორტიმ, – ჯერჯერობით სასაცილოს ვერაფერს ვხედავ.

– ერთი სიტყვით შორტი, ჩვენი ორივე ნაკვეთი ერთ დიდ ნალზე გვაქვს მოზომილი.

შორტიმ თოვლზე დაუშვა სილით სავსე ცაცხვი და წამოდგა.

– ჰო, მერე! – თქვა მან.

– ოცდამერვის ზემოთა პალო ათი ფუტით დაბლაა ოცდამეშვიდის ქვემოთა პალოზე.

– შენ გინდა თქვა, სმოკ, რომ ხელცარიელები ვრჩებით, ხომ?

– უფრო უარესი, ხელცარიელები მინუს ათი ფუტი.

შორტი სირბილით დაეშვა ქვემოთ. ხუთი წუთის შემდეგ მობრუნდა უკან. ჯლი თვალებით შეეკითხა – როგორ არის საქმეო. შორტიმ თავი დააქნია. კრინტი არ დაუძრავს, წავიდა, ხის მორზე ჩამოჯდა და გაოგნებული დააშტერდა თოვლს თავისი მოკასინების წინ.

– დროა ავიბარგოთ და დოუსში დავბრუნდეთ, – თქვა სმოკმა და საბნები აკეცა.

– ეს რა დაგვემართა, სმოკ, – თქვა ჯლიმ, – ჩემი ბრალია ყველაფერი.

– ნუ ჯავრობ, – უპასუხა სმოკმა, – რაც მოვივა დავითაო, ხომ გაგიგონია.

– ჩემი ბრალია, ჩემი, – დაიჟინა ჯლიმ, – დისკავერის ქვემოთ მამანემს ჩემთვისაც ექნება ნაკვეთი მოზომილი. იმ ნაკვეთს თქვენ მოგცემთ.

სმოკმა თავი გააქნია.

– შორტი, – ახლა მას შეევედრა ჯლი.

შორტიმაც თავი გააქნია და მერე სიცილი აუტყდა. ეს საოცარი სიცილი იყო. ყრუ თახთახი ენაცვლებოდა გულის სიდრმიდან ამოხეთქილ ხარხარს.

– ეს ისტერია არ გეგონოთ, – განმარტა შორტიმ, – მე ზოგჯერ ძალიან კულიანი სიცილი ვიცი. ახლაც გულიანად მეცინება.

შემთხვევით მისი ყურადღება ოქროს სილიანმა ცაცხვმა მიიპყრო. შედგა ზედ და იმდენი ურტყა ფეხი, სანამ ოქრო სულ არ მოფანტა გარშემო.

– ეს ჩვენი არაა, – თქვა მან, – ეს ოქრო იმ ბებრუხანასია, წუხეღ რომ ხუთას ფუტზე ვიფრინე. მე მგონი, ოთხას ორმოცდაათი ფუტი ამ ხუთასიდან მას ნამვდილად გამოდგა. წაივდეთ, სმოკ, წაეჩანჩალდეთ დოუსონისკენ. თუმცა არა, თუ შენ გულით გწადია ჩემი მოკვლა, იყოს ნება შენი. იცოდე, თითსაც არ გავანძრევ თავის დასაცავად.

შორტის სიზმრები

I

– საკვირველია, რომ არასოდეს თამაშობ, – უთხრა ერთხელ შორტიმ სმოკს, – როგორ შეგიძლია გულგრილად აუქციო გვერდი სათამაშო მაგიდებს?

– ჯერჯერობით სტატისტიკითა ვარ გართული, წაგებ-მოგების საკითხები მაინტერესებს, – მიუგო სმოკმა.

ისინი „ირმის რქაში“ სიხდნენ. უზარმაზარ ბარში ათიოდე სათამაშო მაგიდას ქურქმოსხმული, მოკასინებიანი მამაკაცები შემოხდომოდნენ და ბედსა სცდიდნენ ირგვლივ რულეტების განუწყვეტელი ტკაცატკუცი და ჭრიალი ისმოდა.

სმოკმა მოთამაშეებს გადახედა და თითით შემოხაზა:

– აი შეხედე ამ ხალხს, განა საკითხავია, რომ ესენი ამაღამ უფრო მეტს წააგებენ, ვიდრე მოიგებენ?

– არითმეტიკაში შენ ვინ გაჯობებს, – რილით ჩაილაპარაკა შორტიმ, – და, საერთოდ, მგონი მართალი უნდა იყო, მაგრამ ფაქტებსაც ხომ ანგარიში უნდა გაუწვიოთ. საქმე ისაა, რომ ზოგჯერ კაცს ბედი წყალობს, თუმცა ისიც დასაშვებია, რომ ყველა მოთამაშემ ერდროულად მოიგოს. მართალს გეუბნები, მეც ბევრჯერ მითამაშია და მინახვს, როგორ გაკოტრებულა ბანკი. ადამიანი ყოველთვის გრძნობს, როდის უდიმის ბედი, ჰოდა, თუ ყიმათი მიკენ შეტრიალდა, რამდენიც უნდა, იმდენი ითამაშოს, აღარ წააგებს.

– სულ ავიღი საქმე ყოფილა, – დაცვივით თქვა სმოკმა, – მაშ შენი აზრით, ეს ამოდენა ხალხი რატომღა აგებს?

– ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრს წინათგრძნობა დაღატობს. მეც არა ერთხელ შევმცდარვარ. დიდი დაკვირვებაა საჭირო, რომ ეშმაკმა მხარი არ მოგიქციოს.

სმოკმა თავი გააქნია:

– ესეც სტატისტიკაა, ჩემო ძმაო, ბედი ყველას როდი უდიძის.

– კი მაგრამ, ასეც ხომ ხდება: მიუჯდები სათამაშო მაგიდას. სრულიად დარწმუნებული, ნამვილად მე უნდა მოვიგოშ, განა ასეთი რამ არ განგიცდია?

– როგორ არა, როგორ არა! თუმცა იცი, რას გეტყვი? ახლავე ჩამოვალ დოლარს, და ვნახოთ, მოგვიტანს თუ არა იგი იმდენს, რომ ამ საღამოს მე და შენ ყელი გავისველოთ, – გაიცინა სმოკმა და ბანქოს სათამაშო მაგიდისაკენ გაემართა.

– მოიცა, მოიცა, სმოკ, რატომღაც ვგრძნობ, რომ ამ საღამოს კოჭი აღჩუზე დამიჯდება, მოდი, ეგ დოლარი რულეტზე გაითამაშე.

სმოკი დაეთანხმა და ორივენი რულიტის მაგიდისაკენ წავიდნენ.

– ვიდრე არ განიშნებ, არ ითამაშო, – გააფრთხილა შორტიმ.

– რომელ ნომერზე ჩამოვედი?

– შეეკითხა სმოკი.

– ეგ უკვე თვითონ იცი, მაგრამ უჩემოდ ნუ ითამაშებ.

როგორ ფიქრობ, ამ მაგიდასთან მეტი შესაძლებლობა მექნება რომ მოვიგო?

– შენ იმდენივე შესაძლებლობა გაქვს, რამდენიც ყველა სხვას.

– მაგრამ არა იმდენი, რამდენიც კრუპიეს, ხომ?

– დაიცა, ნუ ლაპარაკობ, – შეუტია შორტიმ, – აჰა, ახლა კი ჩამოდი.

კრუპიემ სწორედ ამ დროს გააგორა სპილოს ძვლის პატარა ბურთი. სმოკი მაგიდის კიდესთან იჯდა. მან ხელი გაიწვდინა და დოლარი მაგიდაზე ბრმად დააგდო ფული მწვანე მაუდის გლუვ ზედაპირზე გასრიალდა და სწორედ „34“-ის წინ გაჩერდა.

ბურთიც გაჩერდა და კრუპიემ გამოაცხადა, ოცდაათოთხმეტმა მოიგო. მერე ფული მოხვეტა და სმოკს წინ ოცდათხუთმეტი დალარი დაუწყო. სმოკმა ჯიბისაკენ გააქანა. შორტიმ აღტაცებით დაჰკრა მხარზე ხელი.

– ხედავ, ბედმა არ მიმტყუნა, სმოკ, ვგრძნობდი, უნდა მომეგო. ეგ ფული სხვა გომერზე რომ დაგედვა, მაინც შენ მოიგებდი. თუ ბედი გიჭრის, არ შეიძლება არ მოიგო.

– ვთქვათ, ჩემი დოლარი „ორ ნულს“ დასცემოდა, მაშინ? – შეეკითხა სმოკი, როცა ისინი ბუფეტისაკენ მიდიოდნენ.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მაშინ „ორი ნული“ მოიგებდა. ბედი ბედია. დავბრუნდეთ უკან. წელან შენ მოგაგებინე, ახლა მინდა მეც ვითამაშო. ეს საღამო ჩემია.

– რამე განსაკუთრებული წესით ხომ არ თამაშობ? – კითხა სმოკმა რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა შორტიმ ასიოდე დოლარი წააგო.

შორტიმ ბრაზით გაიქნია თავი. სათვალავებს „3“-ზე, „11“-ზე და „17“-ზე ჩამოვიდა, რამდენიმე კი „მწვანე ფერზე“ ითამაშა.

– ჯანდაბა და ჯოჯოხეთი ყველა წესს, – თქვა მან, როცა კრუპიემ მაგიდიდან ფული მოხვეტა.

სმოკი თავდაპირველად ზანტად ადევნებდა თვალს თამაშს, მაგრამ თანდათანობით დაინტერესდა და ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს: ბორბლის ტრიალს, ფსონებს, წაგებ-მოგებას და ბოლოს და ბოლოს ისე გაერთო, რომ შორტიმ ძლივძლივობით მოაშორა მაგიდას.

კრუპიემ შორტის დაუბრუნა ოქროს ფხვნილით სავსე ტოპრაკი, თამაშის დაწყებისას გირაოდ რომ დაატოვებინა და გაუწოდა ქაღალდი. ზედ ეწერა: „აიღეთ სამას ორმოცდაათი დოლარი“.

შორტიმ ტოპრაკი გამოართვა და დარბაზის კუთხისაკენ წავიდა. იქ იჯდა მწონავი, რომელმაც ოქრო გადაწონა და რკინის სკივრში ჩაყარა.

– მაშ, დღეს ბედი სცადე, არა? – ჰკითხა სმოკმა.

– ეს იმიტომ მომივიდა, ჩემს სიმართლეში რომ დამერწმუნებინე, – მიუგო შორტიმ.

– არა უშავს, ჩემო კარგო. ბედმა ახლა ჩემკენ გადმონაცვლა, – გაიცინა სმოკმა.

– არა უშავს, ჩემო კარგო. ბედმა ახლა ჩემკენ გადმონაცვლა, – გაიცინა სმოკმა.

შორტის თვალები გაუბრწყინდა.

– მერე რაღას უცდი, ითამაშე! – სიხარულით წამოიყვირა მან.

– არა, ახლა არ ვითამაშებ, მაგრამ ბედის წყალობით ერთ მშვენიერ დღეს მივაგნებ ისეთ წესს, რომელიც ამ სათამაშო მაგიდებს თავდაყირა დააყენებს.

– ისევ წესზე მელაპარკები? – ამოიოხრა შორტიმ და მეგობარს სინანულით გადახედა, – დამიჯერე, სმოკ, თავი დაანებე მაგ წესს, წესები მხოლოდ წაგებისთვის არსებობს, ბედის ხელი მანდ არ ურევია.

– მეც მანდა ვარ, – მიუგო სმოკმა, – ეს სტატისტიკაა, თუ ნამდვილ წესს მიაკვლევ, აღარასოდეს წააგებ. ბედს კი რას გაუგებ, რა იცი, როდის გადმოგხედავს წყალობის თვალით და როდის არა!

– მე ბევრი უკუღმართი წესი მინახავს, სწორი და უტყუარი კი არასოდეს შემხვედრია. – შორტი შეჩერდა და ამოიოხრა, – ყური მიგდე, სმოკ, ვხედავ, მაგ შენმა წესებმა თავგზა აგიბნია, იმიტომ აქ ნუღარ შემოვალთ, საერთოდ კი ვფიქრობ, უკვე დროა, გზას გაუღდე.

II

ორი მეგობარი რამდენიმე კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ დავობდა და კამათობდა. სმოკი „ირმის რქას“ აღარ შორდებოდა, საათობით უჯდა სათამაშო მაგიდას, შორტი კი დღე და ღამე ჩანჩინებდა, სამოგზაუროდ წავიდეთო. მალე ხმა გავარდა, იუკონზე ლაშქრობა უნდა მოეწყოსო, აქ კი სმოკმა გადაჭრით განაცხადა უარი წასვლაზე.

– გამიგონე, შორტი, – უთხრა მან მეგობარს, – მე არ წამოვალ, ხუმრობაა ორასი მილის გავლა? ეს მოგზაურობა ათ დღეს წაართმევს, მე კი დროს ვერ დავკარგავ, ცოტა რაღაც კიდევ დამრჩა გასარკვევი, არ მესმის, რად მიმართევ ამ სიშორეზე, რა დაგრჩენია იქ?

– სმოკ, შენ განსაკუთრებული ყურადღება გჭირდება, – მიუგო შორტიმ, – იმიტომ რომ თანდათანობით შეშლილს ემსგავსები. მზად ვარ წავატრიო ჩრდილო პოლუსზე, ჯოჯოხეთში, ათას ქაჯთან და ეშმაკთან, ოღონდ მაგ მაგიდას მოგაცილო.

– ძალიან კარგი, ჩემო ძმაო, მაგრამ ნუ გავიწყდება, რომ მე დიდი ხანია სრულწლოვანი გავხდი. თანაც თუ საქმე წათრევაზე მიდგა, სულ მალე გექნება წასათრევი ოქროს ქვიშა, რომელსაც მე აქ, ამ მაგიდებთან მოვიგებ. ამასთან გირჩევ, ძაღლებიც დაიხმარო, თორემ მარტოკას ზიდვა გაგიჭირდება.

შორტიმ პასუხად მხოლოდ ამოიოხრა.

– არ მინდა, რომ ამ თამაშში შენც მიიღო მონაწილეობა, – განაგრძო სმოკმა, – რასაც მოვიგებ, შუაზე გავიყოთ, ჯერჯერობით კი მთელი ჩვენი ფული მე დამჭირდება, რადგან თამაშის ეს წესი ახალია და ხანდახან შეიძლება ხელიც მომეცაროს.

III

დღე დღეს მიჰყვებოდა, საათი საათს, სმოკი კი სათამაშო მაგიდას არ სცილდებოდა. ბოლოს, ერთ საღამოს, როგორც იქნა განაცხადა, ახლა კი თამაშს ვიწყებო. წარბშეკრული და ჭირისუფალივით დამგლოვიარებული შორტი ამხანგს „ირმის რქაში“ წაჰყვა.

სმოკმა მთელი გროვა სათვალავი იყიდა და მაგიდის ბოლოში, კრუპიეს გვერდით დაჯდა. დაიწყო თამაში. ბურთმა რამდენჯერმე შემოირბინა წრე. ზოგმა მოიგო, ზოგმა ააგო, სმოკს კი ვერა და ვერ გაებედა ფსონს ჩამოეყულიყო. შორტის მოუთმენლობისაგან ცეცხლი ეკიდებოდა.

– ჩემოდი, ჩამოდი, – აძალებდა იგი, – მოვრჩეთ და მოვათავოთ ეს პანაშეიდი. რას გაშეშებულხარ, რა დაგემართა?

სმოკმა უარის ნიშნად თავი გააქნია. სხვებმა უკვე ათ-ათი ხელი ითამაშეს, როცა სმოკი მოულოდნელად ჩამოვიდა ათ თითო დოლარიანს „ოცდაექვსზე“.

ნომერმა მოიგო და კრუპიემ სმოკს სამას ორმოცდაათი დოლარი გადაუთვალა.

– ის არის, ის, – ამაყად წასწურულა შორტიმ სმოკს, – ბედია, ბედი, მიდი, მისცხე!

ნახევარი საათის განმავლობაში სმოკს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, შემდეგ ათი დოლარი „ოცდაათოთხმეტზე“ დადო და მოიგო.

– ბედია, ბედი, – კვლავ დაუწურულა შორტიმ.

– არა, ძმაო, არა ეს ჩემი წესის წყალობით ვიგებ ასე, – წურწულითვე მიუგო სმოკმა.

– ნუ ამბობ მაგას, – გაცხარდა შორტი, – ბედი სხვადასხვა გზას ირჩევს, შენ კი რაც გინდა, ის უწოდე.

სმოკმა თამაშის წესი შეცვალა. ახლა ხშირ-ხშირად ჩამოდიოდა ფსონს, სხვადასხვა ნომერზე თითო-თითო სათვალავს დებდა და უფრო მეტად აგებდა, ვიდრე იგებდა.

– თავი დაანებე თამაშს, – ურჩია შორტიმ, – აიღე ფული და წადი, შენ უკვე ათას დოლარამდე მოიგე, შეუძლებელია ასე გაგრძელდეს.

სწორედ იმავე წუთს კრუპიემ ისე გააგორა ბურთი და სმოკი ათ სათვალავს ჩამოვიდა „ოცდაექვსზე“. ბურთიც სწორედ „26“-თან შეჩერდა და კრუპიემ სმოკს კვლავ სამას ორმოცდაათი დოლარი დაუდო წინ.

– რაკი საქმე ასე კარგად მიდისქ რაღას უცდი? შემდეგ სლაზე ოცდახუთ დოლარს ჩამოდი და დაამთავრე თამაში! – მოუთმენლად უწურულა შორტიმ.

გავიდა კიდევ თხუთმეტი წეტი. ამ ხნის განმავლობაში სმოკმა რამდენჯერმე მოიგო და წააგო მცირე თანხა. მერე მოულოდნელად ჩამოვიდა ოცდახუთ დოლარს „ორ ნულზე“ და კრუპიემ რვაას სამოცდათხუთმეტი დოლარი გადაუთვალა.

– სმოკ, გამაღვიძე, მგონი სიზმარში ვარ, – დაიკვნესა შორტიმ.

სმოკმა პასუხად მხოლოდ გაიღიმა. უბის წიგნაკი გადაშალა და გამოთვლას შეუდგა. იგი დროდადრო იღებდა ხოლმე ამ წიგნაკს ჯიბიდან და რაღაცას იწერდა ან ანგარიშობდა.

ხალხი მაგიდას შემოეხვია. მოთამაშეები ცდილობდნენ იგივე ნომრებს ჩამოსულიყვნენ, მაგრამ სმოკმა კვლავ შეცვალა თამაშის წესი. ათჯერ ხედიხედ დადო ათ-ათი დოლარი „18“-ზე და ყველა წააგო, მერე ერთბაშად შეცვალა ნომრები და კვლავ სამას ორმოცდაათი დოლარი მოიგო. სხვებიც იგივე ნომრები შეარჩიეს, მაგრამ ხელი მოეცარათ და სმოკისთვის აღარავის მიუბაძავს.

– კმარა, სმოკ, კმარა, – ურჩევდა შორტი, – კოკა ყოველვის წყალს არ მოიტანს. ვგრძნობ, ვეღარაფერს მოიგებ.

- ერთხელ კიდევ ჩამოვალ და დავამთავრებ კიდევ თამაშს.
- რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი აქა-იქ დებდა სათვალავს. მერე კი „ორ ნულზე“ ოცდახუთდოლარიანს ჩამოვიდა და ერთბაშად მოიგო.
- ახლა კი წავიღებ, რაც მეკუთვნის, - უთხრა მან კრუპიეს.
- ნუ მეტყვი, რამდენი მოიგე, - შევედრა შორტი, როცა საწორისკენ მიდიოდნენ, - ვითლიდი, შენ სამი ათას ექვსასი დოლარი მოიგე. მართლაც ვამბობ, თუ არა?
- არა, სამი ათას ექვსას ოცდაათი დოლარი, - შეუსწორა სმოკმა, - ახლა კი წამო, ოქროს ქვიშა წაიღე შინ, აკი ასე შევთანხმდით!

IV

- ბედს ნუ ეთამაშები, - უთხრა მეორე დღეს შორტიმ სმოკს, როცა დაინახა, რომ იგი კვლავ „ირმის რქაში“ წასასვლელად უმზადებოდა. - ბედი ყოველთვის როდი გაგიღიმებს, იცოდე, რაც მოიგე, ხელაღვე წაგაგებინებს.
- კი მაგრამ აკი გითხარი, ეს ბედი კი არა, თამაშის წესია-მეთქი. დამიჯერე, არ მიმტყუნებს.
- ჯანდაბას შენი თავი, არავითარი წესები არ არსებობს. ერთხელ ჩვიდმეტჯერ ზედიზედ მოვიგე. რის წესი, რა წესი! ბრმა ბედის წყალობა იყო, და სხვა არაფერი. შემეშინდ და თამაში შევწყვიტე, თორემ ოცდაათი ათასჯერაც მოვიგებდი.
- რაც გინდა თქვი, ჩემო კარგო, მე მაინც ჩემსას დავინებებ.
- ძალიან კარგი, მაშინ უნდა ამიხსნა, რა ხდება.
- აკი გუშინ საკუთარი თვალთ ნახე. წამოდი ახლა „ირმის რქაში“ და კიდევ დააკვირდი ჩემს თამაშს.
- როცა მეგობარი „ირმის რქაში“ შევიდნენ. ყველა იქ მყოფი სმოკს მიაჩერდა. სმოკმა იმავე მაგიდასთან, კრუპიეს გვერდით მოინდომა დაჯდომა და მოთამაშებმა ხელად დაუცაღეს ადგილი. ახლა სხვა ხერხებს ხმარობდა, საათ-ნახევარის განმავლობაში მხოლოდ ოთხჯერ ჩამოვიდა ფსონს, მაგრამ ყოველ თამაშზე ოცდახუთ-ოცდახუთ დოლარს დებდა. ამჯერად სამი ათას ხუთასი დოლარი მოიგო და შორტიმ ქვიშა შინ წაიღო.
- ახლა კი დროა შეწყვიტო თამაში, - თქვა შორტიმ, როცა შინ დაბრუნდნენ. იგი ტახტის კიდზე ჩამოჯდა და მოკასინების გახდა დაიწყო, - შვიდი ათასი დოლარი მოიგე. ასე მხოლოდ სულელი თუ ცდის ბედს.
- მე კი გეუბნები, რომ ასეთ მომგებიან წესს სულელის გარდა ხელიდან არავინ გაუშვებს.
- სმოკ, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, კოლეჯშიც სწავლობდი, ერთ წუთში შეგიძლია მოისაზრო ის, რასაც ჩემი გონება ორმოცი ათას წელიწადს ვერ ჩაწვდება, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ ძალზე ცდები, როცა ბედს და რაღაც წესს ერთმანეთში ურევ გულახდილად გეუბნები, რულეტზე მოთამაშისათვის არავითარი წესი არ არსებობს.
- კი მაგრამ, აკი ერთხელ უკვე დაგიმტკიცე.
- არა, არა, სმოკ, ეს უთოდ სიზმარია. მე მძინავს, თუმცა ახლავე გავიღვიძებ, ცეცხლს დავანთებ და საუზმეს მოვამზადებ.
- კარგი, კარგი, ჩემო ურწმუნო მეგობარი. აჰა, ჩამომართვი ეს ოქროს ქვიშა, აბა, ასწიე, მძიმეა?
- ამ სიტყვებით სმოკმა ოქროს ქვიშით სავსე ტოპრაკი მუხდებზე დაუდო მეგობარს, ტოპრაკი ოცდათხუთმეტ გირძანქას იწონიდა და, რასაკვირველია, შორტის გვარიანად ემძიმა.

– ხომ მიხვდი, რომ ცხადია და არა სიზმარი? – ნიშნის მოგებით ჰკითხა სმოკმა.

– უჰ, ძილში ათასი რამ დამსიზმრებია. სიზარში ყველაფერი ხდება, მაგრამ თუ ეს სიზმარი არაა, მაშინ შეუვლელია ეს შენი წესი მართლა არსებობდეს. კოლეჯში არასოდეს მისწავლია, და ბევრი არაფერი ვიცი, იმას კი დაბეჯითებით გეტყვი, რომ ახლა მძინავს და ყველაფერს სიზმარში ვხედავ.

– ეს „ჰამილტონის მომჭირნეობის კანონია“ – გაიცინა სმოკმა.

– არ ვიცი, ვინაა ჰამილტონი, მაგრამ მართალი კი უნდა იყოს. სიზმარში ვარ, სმოკ, და შენ ახლაც არ მასვენებ, მაწამებ მაგ შენი წესებით. თუ გიყვარდე, თუ ოდნავ მაინც ხათრი გაქვს ჩემი, დამიძახე, შორტი, გაიღვიძე-თქო, მეც დავიღვიძებ და საუზმის თადარიგს შევუდგები.

V

მესამე დამეს, როცა სმოკი თამაშში ჩაება, კრუპიემ ოცდახუთი დოლარიდან თხუთმეტი უკან გამოუბრუნა და უთხრა:

– ათზე მეტს ვერ ჩამოხვალთ, ლიმიტი შემცირებულია.

– შეგეშინდათ? – გესლიანად ჰკითხა შორტიმ.

– ვისაც არ სურს ამ მაგიდასთან თამაში, ნურც ითამაშებს, – მიუგო კრუპიემ, – შულახდილად გეტყვით, ჩვენთვის სჯობდა, თქვენი ამხანაგი ამ არ დამჯდარიყო.

– წესმა შეგაშინათ, არა? – გამომწვევად იკითხა შორტიმ, როცა კრუპიემ სმოკს სამას ორმოცდაათი დოლარი გადაუთვალა.

– მე არ მწამს არავითარი წესი. რუდეტზე ან თუნდაც სხვა აზარტულ თამაშში არ შეიძლება რამე მაგდაგვარი არსებობდეს, მაგრამ ვხედავ, ამ ადამიანს რაღაც საოცრად წყალობს ბედი და მინდა, რამდენადაც შევძლებ, ჩვენი ბანკი გაკოტრებას გადავარჩინო.

– შიშს დიდი თვალები აქვს.

– აზარტული თამაში, ჩემო კარგო, ისეთივე საქმიანი წამოწყებაა, როგორც ყველა სხვა. ჩვენ ფილანტროპები არ ვახდავართ.

საღამო საღამოს მისდევდა, სმოკს კი ერთხელაც არ უმტყუნა ბედმა. იგი ხშირ-ხშირად ცვლიდა თამაშის წესს. მაგიდას ექსპერტები ეხვივნენ. იწერდნენ სმოკს ნომრებს და ფსონს, ცდილობდნენ ამოეცნოთ მისი საიდუმლო, მაგრამ ამაოდ. და რაკი უძღურნი იყვნენ რამე გაეგოთ, თავს იმართლებდნენ და ამბობდნენ, ამ კაცს, უბრალოდ, ბედი სწყალობსო.

თავგზას უბნედა ისიც, რომ სმოკი წამისწამ იცვლიდა თამაშის წესს. ზოგჯერ თავის უბის წიგნაკს ამოიღებდა და მთელი საათი რაღაცას ანგარიშობდა. ზოგჯერ კი სამჯერ ჩამოვიდოდა ფსონს და ხუთ-ათ წუთში ათას დოლარზე კი სამჯერ ჩამოვიდოდა ფსონს და ხუთ-ათ წუთში ათას დოლარზე მეტს ჩაიჯიბებდა, ან არადა, გულუხვად ჩამოამწკრივებდა თითო-თითო სათვალავს მაგიდაზე და სხვადასხვა ნომრებზე დებდა, ასე გრძელდებოდა ათი წუთი ან ნახევარი საათი და უეცრად, როცა ბურთი უკანასკნელად ჩამოუვლიდა წრეს, „ფერზე“, „სვეტზე“ და „ნომრებზე“ ჩამოვიდოდა ფსონს და სამივეზე ერთბაშად მოიგებდა. ერთხელ კი მოთამაშეთათვის მხარი რომ მოექცია, ორჯერ ზედიზედ წააგო ათ-ათი დოლარი. მაგრამ როგორც არ უნდა ეთამაშა, შორტის უქველად მიჰქონდა შინ სამი ათას ხუთასი დოლარი.

– არა-მეთქი, არა, წესი აქ არაფერ შუაშია, – თქვა ერთ საღამოს შორტიმ, როცა ისინი დასაძინებლად ემზადებოდნენ, – თვალს არ გაცილებ, მაგრამ მსგავსი ვერაფერი ვნახე. შენ არასოდეს ჩამოდიხარ ერთსა და იგივე ნომერზე. შენს ნებაზე თამაშობ, გინდა მოიგებ და გინდა წააგებ.

- არც კი იცი, რამდენად ახლოს ხარ სინამდვილესთან, შორტი, ზოგჯერ განზრახ ვაგებ ხოლმე, ესეც ჩემი საიდუმლოა.
- ჯანდაბას შენი წესი. ამ ქალაქში მოთამაშე არ დამიტოვებია, ყველას ველაპარკე და ყველა ამ აზრისაა, შეუვლებელია, რამე წესი არსებობდესო.
- კი მაგრამ მე ხომ ყოველ საღამოს საწინააღმდეგოს გიმტკიცებთ.
- მომისმინე, სმოკ, - თქვა შორტიმ, დაიხარა და სანთელი ჩააქრო, - მე ნამდვილად დაგკარგე გონი, იქნებ ფიქრობ, რომ აი, ეს - სანთელია? არა და არა! არც მე ვარ - მე; სადღაც გზაში ვიმყოფები და ეს ყველაფერი მესიზმრება. შენ - შენ არა ხარ და სანთელიც სანთელი არაა.
- მერე განა საოცარი არ არის, რომ მე და შენ ერთნაირ სიზმრებს ვხედავთ?
- საოცარი რად იქნება, მე ხომ შენ სიზმარში ვხედავ. სიზმარში კაცი ვის არ ნახავს და ვის არ დაელაპარაკება! იცი, რას გეტყვი, სმოკ? მგონი ჭკუიდან ვიშლები. თუ ეს სიზმარი ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდაქ უთუოდ კბენას დავიწყებ და ყმუილსაც მოვყვები.

VI

თამაშის დაწყებიდან მეექვსე საღამოს „ირმის რქაში“ უმაღლესი ფსონი ხუთ დაღარამდე დავიდა.

- ძალიან კარგი, - უთხრა სმოკმა კრუპიეს, - მე ჩვეულებრივად, სამი ათას ხუთასი დოლარი უნდა წავიღო შინ, თქვენ მხოლოდ მაიძულებთ დღეს უფრო ხანგრძლივად ვიჯდე აქ, ეს არის და ეს.

- რატომ სხვა მაგიდებთან არ ჯდებით? - ბრაზით შეეკითხა კრუპიე

- იმიტომ რომ ეს უფრო მომწონს, - გამომწვევად მიუგო სმოკმა და გახედა მოგუზგუზე ღუმელს, მისგან რამდენიმე ნაბიჯზე რომ იდგა. - გარდა ამისა, აქ გამკრავი ქარი არ არის, თბილა და სიწყნარეა.

მეცხრე საღამოს შორტის კინალამ ბნელამ მოუარა, როცა ოქროს ქვიშა კვლავ შინ წასადები გაუხდა.

- აღარაფერი მესმის, სმოკ, - დაიწყო მან, - ახლა აღარ მძინავს, და მაინც ვერაფერი გამიგია საეთროდ, არავითარი წესი არ არსებობს, შენ კი ნამდვილად გაქვს რაღაც ამის მსგავსი. აღარ ვიცი, რა ხდება; კალენდარი მოისპო, ქვეყნიერება ნაცარტუტად იქცა. ყველაფერი თავდაყირა დადაგა. გამრავლების ცხრილი ჯანდაბაში გაყირავდა; ორი უდრის რვას, ცხრა უდრის თორმეტს, ორჯერ ორი კი - რვაას ორმოცდააქვს და... და... ნახევარს, ყველაფერი - არაფერია, არაფერი კი - ყველაფერი. ორჯერ ყველაფერი უდრის კოლდკრემს. ნაღებს და კოლენკორის ცხენებს. შენ შეიმუშავე წესი, არსებობს ის, რაც არასოდეს ყოფილა; მზე ამოდის დასავლეთით, მთვარე კი ფსონია. ვარსკვლავები დამარილებული ხორცია, სურავანდი - ღვთის წყალობაა, მკვდრები - ცოცხლებია, ლოდები დაფრინავენ, წყალი - ჰაერია, მე - მე არა ვარ, შენ ვიღაც სხვა ხარ, შესაძლოა, მე და შენ ტყუპებიც ვიყოთ, თუ ქანგაროში შემწვარი კარტოფილი არა ვარ. გააღვიძეთ ვინმემ, გვედრებით, გამაღვიძეთ!

VII

მეორე დღით სტუმარი ეწვიათ, სმოკი იცნობდა მას. ეს იყო პარვეი მორანი, „ტივოლის“ სათამაშო მაგიდების პატრონი, მორანმა მოკრძალებით აუხსნა მასპინძლებს, რისთვის მოვიდა:

– საქმე ისაა, – თითქმის მუდარით დაიწყო მან, – რომ თქვენ ყველანი საგონებელში ჩაგვაგდეთ. თქვენთან ქალაქის სათამაშო მაგიდების პატრონებმა გამომგზავნეს. ჩვენ არაფერი გვესმის ვიციით მხოლოდ, რომ რულეტისთვის არ შეიძლება არსებობდეს რაიმე წესი. ყველა ცნობილი მათემატიკოსიც ამას გვიმომწმებს. ისინი ამბობენ, რულეტზე ვერავითარი წესი ვერ იმოქმედებს, წინააღმდეგ შემთხვევაში არითმეტიკა სიგიჟე იქნებოდაო.

შორტიმ გააფთრებით დააქნია თავი.

– თუ წესს შეუძლია დაამარცხოს მეორე წესი, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ, არავითარი წესი არ არსებობს. – განაგრძო მოსუღმა, – ეს იმას ემსგავსება, რომ ერთი და იგივე საგანი ერთდროულად ორ სხვადასხვა ადიგალას იდოს, ან ორი სხვადასხვა საგანი ერთდროულად მოვათავსოთ ერთ ადგილზე, რომელსაც მხოლოდ ერთი საგანი შეუძლია დაიტოს.

– თქვენ თვალყურს ადევნებდით ჩემს თამაშს, – გამომწვევად უთხრა სმოკმა, – და თუ ფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ბედის წყალობაა, მაშინ რაღა გაწუხებთ?

– საქმეც ისაა, რომ თვითონაც ვერ გავრკვეულვართ. ხან გვგონია, რომ არსებობს რაღაც წესი, რომელიც თქვენ შემთხვევით ჩაიგდეთ ხელში, ხან კი დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეუვლელია. ხუთი საღამო ზედიზედ ვაკვირდებოდი თქვენს თამაშს, და ჯერჯერობით მხოლოდ ის შევნიშნე, რომ თქვენ გაქვთ ამოჩემებული რამდენიმე ნომერი, რომელთა წყალობით მუდამ მოგებული რჩებით. ახლა ჩვენ გვინდა მეგობრაულად შემოგთავაზოთ ერთი რამ, რულეტის მაგიდას „ირმის რქაში“ უკანა ოთახში დავდგამთ და თქვენთან ერთად ვითამაშებთ. რამდენჯერაც გნებავთ, იმდენჯერ მოგვიგეთ. უცხო არავინ შემოვა, მხოლოდ თქვენ, შორტი და ჩვენ, სათამაშო მაგიდის პატრონები, ვიქნებთ. რას იტყვით ამაზე?

– მე ცოტა სხვანაირად ვფიქრობ, – თქვა სმოკმა, – ამ საღამოსაც ჩემს ამოჩემებულ მაგიდასთან ვთამაშობ, თუ გნებავთ, მობრძანდით და დააკვირდით ჩემს თამაშს, მგონი ეს ძნელი არ უნდა იყოს.

VIII

საღამოს, როცა სმოკმა მაგიდასთან მიჩნეული ადგილი დაიკავა, კუპიემ თამაში დახურულად გამოაცხადა.

– თამაში დამთვარდა, – თქვა მან, – პატრონმა ასე ბრძანა.

მაგრამ სხვა მაგიდების პატრონები ამაზე არ დათანხმდნენ, რამდენიმე წუთში შეკრიბეს ფული და თამაში განაგძეს.

– გულით, – უთხრა პარვეი მორანმა სმოკს, როცა კრუპიემ წრეში ბურთი გააგორა.

– ჩამოვიდვარ, ფსონი ოცდახუთი დოლარია, – წინადადება მისცა სმოკმა.

– იყოს, ჩამოდით!

სმოკი იმწამსვე ჩამოვიდა ოცდახუთ ფსონს „ორ ნულზე“ და მოიგო.

მორანმა შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

– განაგრძეთ, – თქვა მან, – ბანკში ათი ათასი დოლარი გვაქვს.

საათ-ნახევრის შემდეგ იმ ათი ათას დოლარს სმოკი დაეპატრონა.

– ბანკი გაკოტრდა, – განაცხადა კრუპიემ.

– საკმარისია? – იკითხა სმოკმა.

სათამაშო მაგიდის პატრონებმა ერთმანეთს გადახედეს.

ბედის კანონების ეს ჩასუქებული მფარველები დამარცხებულნი იყვნენ. ისინი დაამარცხა ადამიანმა, რომელიც ან უფრო კარგად იცნობდა ამ კანონებს, ან სვა, უმაღლესი კანონების დამაარსებელი იყო.

– ჩვენ აღარ ვთამაშობთ, – თქვა მორანმა, – ასე არ არის, ბერკ?
 დიდმა ბერკმა, რომელსაც სათამაშო მაგიდები რამდენიმე სამიკიტნოში
 ჰქონდა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– მოხდა შეუვლებელი რამ, – თქვა მან, – სმოკს ნამდვილად მიუგნია რაღაც
 წესისათვის. ჩვენ რომ ეს ასე უყურადღებოდ მივატოვეთ, ყველანი გავკოტრდით.
 თუ გვინდა, ჩვენმა მაგიდებმა კვლავ იმუშაონ, უმაღლესი ფსონი დოლარამდე ან,
 თუ გნებავთ, ათ ცენტრამდე უნდა დავიყვანოთ. მაშინ ეგ ბევრს ვერაფერს
 მოიგებს.

ყველამ სმოკს შეხედა, მან მხრები შეიმუშნა!

– ამ შემთხვევაში, ჯენტლმენებო, ვიქირავებ რამდენიმე კაცს, რომ ჩემი
 ხელმძღვანელობით თქვენს მაგიდებთან ითამაშონ, თვითუფლს ოთხ საათში ათ-
 ათ დოლარს გადაუხადონ და ფული მაინც დამრჩება.

– მაშინ ჩვენ ამ მაგიდებზე ხელი უნდა ავიღოთ, – თქვა დიდმა ბერკმა, –
 თუ... – იგი წამით შეყოყმანდა და ამხანაგებს გადახედა.

– თუ, რასაკვირველია, საერთო ენას ვერ გამოვნახავთ. რას აფასებთ თქვენს
 წესს?

– ოცდაათ ათას დოლარს, – მუგო სმოკმა, – ათნი ხართ, თითო მაგიდას
 სამი ათასი დოლარი მოუწევს.

მაგიდის პატრონებმა ხმადაბლა მოითათბირეს და მერე თანხმობის ნიშნად
 სმოკს თავი დაუქნიეს.

– აგვისხენით, რაში მდგომარეობს ეგ თქვენი წესი?

– რასაკვირველია, – მიუგო სმოკმა.

– პირობაც უნდა მოგვცეთ, რომ დოუსონში კვლავ არასოდეს დაჯდებით
 სათამაშო მაგიდასთან.

– არა, სერ, – მტკიცედ თქვა სმოკმა, – მე მხოლოდ იმის პირობას მოგცემთ,
 რომ თამაშის დროს ამ წესს აღარასოდეს გამოვიყენებ.

– ღმერთო ჩემო, – წამიძახა მორანმა, – იქნებ თქვენ კიდევ სხვა წესიც
 გაქვთ, ა?

– მოითმინეთ, მოითმინეთ, – დაიყვირა და ამ დროს შორტიმ, – მე მინდა ჩემს
 ამხანაგს მოველაპარაკო, სმოკ, აბა ერთი წუთით აქედ მოდექ!

სმოკი კუთხისაკენ გაჰყვა შორტის, ასიოდე თვალი ცნობისმოყვარეობით
 მიაჩერდა მათ.

– მისმინე, სმოკ, – აჩურჩულდა შორტი, – იქნებ ეს მართლაც არ არის
 სიზმარი, მაშინ შენ საოცრად იაფად ჰყიდი შენს წესს. მაგის წყალობით
 შეგეძლო ყველაფერი თავდაყირა დაგეყენებინა. აქ საქმე მილიონს ეხება, მაგათ
 რაც შევიძლება მეტი უნდა დააძრო.

– მაგრამ თუ ეს სიზმარია? – დაყვავებით ჰკითხა სმოკმა.

– მაშინ ამ სიზმრის ხატრით მაინც დააყაჭინე ფული. რა თავში ვიხლი
 სიზმარს, თუ კეთილად არ დასრულდება?

– საბედნიეროდ, ეს სიზმარი არაა, შორტი!

– მაშ იცოდე, არასოდეს გაპატიებ, შენი წესი ოცდაათი ათსად რომ გაჰყიდო.

– როცა მაგ ფასად გაყვიდი, სიხარულით ხელებს გამიკონი, სულ ორიოდ
 წუთში დარწმუნდები, რომ ყველაფერი ეს ცხადლივ მოხდა და არა სიზმარში.
 ამასთან, უნდა გითხრა, რომ რაკილა ვყიდი, ეს იმას ნიშანვს, რომ სხვა გზა არა
 მაქვს.

ისინი ისევ მაგიდასთან დაბრუნდნენ, სმოკმა გამოუცხადა მაგედიების
 პატრონებს, თანახმა ვარ, ჩემი წესი გავყიდო, და ყველამ დაუწერა ხელწერილი
 სამი ათას დრლარზე.

– ოქროს ქვიშა მოითხოვე! – გააფრთხილა სმოკი შორტიმ.

– მერჩინა, ხელწერილების ნაცვლად ოქრო მიმეღო. – თქვა სმოკმა.

„ირმის რქის“ პატრონმა ხელწერილები შეაგროვა და შორტის ოქროს ქვიშა გადაუწონეს.

– არა, სულაც არ მინდა, რომ გამეღვიძოს, – ჩაიხითხითა მან და ტოპრაკები ერთიმეორეზე დააწყო. – ეს სიზმარი სამოცდაათი ათასი დოლარი ღირს. უსამართლობა იქნება, ახლა რომ გავიღვიძო, ქურქებიდან გამეძვრე და საუზმის დამზადებას მივეყო ხელი.

– აბა, აგვიხსენით, რაში მდგომარეობს თქვენი წესი, – თქვა დიდმა ბერკმა, – აკი ფული გადავიხადეთ!

სმოკი მაგიდას მიუახლოვდა:

– ახლა კი, ჯენტლმენებო, მოთმინებით მოისმინეთ, რასაც გეტყვით. ჩემი წესი ჩველებრივი არ არის და არც რაიმე კანონზომიერება სემორჩილება, მაგრამ იგი მეტად ეფექტურია. მაქვს კრუპიე, მოამზადეთ ბურთი, მე „ოცდაექვსეზე“ ჩამოვიდავარ, კრუპიე, მხად ხართ? აბა ვიწყებ!

ბურთმა წრე შემოირბინა.

– ხომ დაინახეთ, – განაგრძო სმოკმა, – ცხრა ნომერი ოცდაექვსის პირდაპირ იყო.

ბურთი „ოცდაექვსის“ წინ შეჩერდა.

დიდმა ბერკმა მაგრად შეუკურთხა. სხვები ჩუმად ისხდნენ და ელოდნენ.

– „ორმა ნულმა“ რომ მოიგოს, მაშინ მის პირდაპირ თეთრთმეტი უნდა იყოს, აბა, სცადეთ და თვითონვე ნახავთ.– კი მაგრამ წესი? – მოუთმენლად შეეკითხა მორანი. – ჩვენ ვიცით, რომ თქვენ შეგიძლიათ არჩიოთ სასურველი ნომერი და მოიგოთ კიდევ, მაგრამ როგორ ახერხებთ ამას?

– მე ყურადღებით ვაკვირდებოდი თამაშს და რაღაც შემთხვევის წყალობით ორჯერ შევნიშნე, სად გაჩერდა ბურთი, როცა მის პირდაპირ მეცხრე ნომერი იყო. ორჯერვე ოცდაექვსმა მოიგო. სხვა ნომრებსაც დავაკვირდი და დავაზუსტე კიდევ, რომ „ორი ნული“ „ოცდათორმეტის“ წინ ჩერდება, ამ ნომრებმა რომ მოიგოს, მის პირდაპირ უსათუოდ „თერთმეტი“ უნდა იყოს. ეს ყოველთვის როდი ხდება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მეორდება.

უეცრად დიდ ბერკს თავში რაღაც აზრმა გაუელვა. წამოხტა, ბოხალი გააჩერა და ყურადღებით დააკვივრდა. სხვებიც გარს შემოეხვივნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბერკი გასწორდა და გვერდით მდგარ ღუმელს დააშტერდა.

– დალახვროს ეშმაკმა, – თქვა მან, – არავითარი წესი არ არსებობს. მაგიდა ძალიან ახლოს დგას ცეცხლთან და ეს წყველი ბოხალი ცოტა გვერდზე გადახრილა. ტყუილუბრალოდ ვეწამეთ. აკი მიკვირდა, სმოკი ამ მაგიდას რომ არ შორდებოდა. დიახ, დიახ, სხვა მაგიდებთან მუავე პანტასაც ვერ მოიგებდა.

პარვეი მორანმა ამოისუნთქა და შუბლი მოიწმინდა.

– რაც იყო, იყო, – თქვა მან, – ახლა უკვე ყველაფერი ნათელია, სულაც არ ვნანობ, ფული რომ გადავიხადე.

მან გადაიხარხარა, დაიდმიჭა და სმოკს მხარზე დაჰკრა.

– კარგა ხანს კი გაგვაწვალეთ, სმოკ, ჰა, ჰა, ჰა, ჩვენ კი გვიხაროდა, სხვა მაგიდებს ახლოს რომ არ ეკარებოდით! მომისმინეთ, ჯენტლმენებო, წავიდეთ „ტივოლში“, საუცხოო ღვინო მაქვს.

უფრო მოგვიანებით, როცა შინ დაბრუნდნენ, შორტიმ ხელში აწონა ოქროს ქვიშით სავსე სხვადასხვა ზომის ტოპრაკები, ბოლოს ისინი მაგიდაზე დააწყო, თვითონ ტახტის კიდეზე ჩაოჯდა და მოკასინები წაიძრო.

– სამოცდაათი ათასი, – თქვა მან, – ესე იგი სამას ორმოცდაათი გირძანქა ოქროს ქვიშა. ყველაფერ ამას კი დაბრეცილ ბარბალს და მახვილ თვალს უნდა ვუმაღლოდეთ. სმოკ, შენ ისინი ცოცხლად შეახრამუნე! სულ ერთია, დარწმუნებული ვარ, ეს სიზმარია, როცა კარგ სიზმარს ვხედავ, არ მინდა,

გავიღვიძო, ვშიშობ, ყველაფერი გაქრება-მეთქი. იმედი მაქვს, არასოდეს გავიღვიძებ.

– გამხნევდი, უთხრა სმოკმა, – არიან ფილოსოფოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ადამიანის ცხოვრება სიზმარია. შენ კარგ საზოგადოებაში მოხვედი.

შორტი წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, ყველაზე მძიმე ტოპრაკი აარჩია, ხელში აიღო, მკლავზე გადაიწვინა და პატარა ბავშვივით დაუწყო რწევა.

– შეივლება მართლაც მძინავს, – თქვა მან, – მაგრამ შენი თქმისა არ იყოს, მეტიხმეტად კარგ საზოგადოებაში მოხვედი.

კაცი გაღმა ნაპირზე

I

ეს ამბავი მანამდე მოხდა, ვიდრე სმოკ ბელიუ ხუმრობით დააარსებდა ყმადაღებულ ახალშენს – დარი-დარა-რას, შეისყიდდა კვერცხებს, რომ მერე ბილ სვიფტუოტერისათვის მოგებით მიეყიდა ისინი, ან გაიმარჯვებდა იუკონში გამართულ შეჯიბრებაში და მილიონამდე დოლარს დაისაკუთრებდა.

სმოკი და შორტი ერთმანეთს ზემო კლონდაიკში დაშორდნენ. შორტი ისევ დოუსონში უნდა დაბრუნებულიყო და რეგისტრაციაში გაეტარებინა განაცხადები მიწის ნაკვეთებზე.

სმოკმა კი ძაღლები აიყვანა და სამხრეთის გზას გაუყვა, გადაწყვეტილი ჰქონდა „საოცარი ტქისა“ და მითიური „ორი ძელურისათვის“ მიეგნო. უნდოდა, გაჰყოლოდა მდინარე ინდიანას სათავეებს, შადაეჭრა მთების იქით უცნობი მხარე და მდინარე სტიურტებს, გადაეჭრა მთების იქით უცნობი მხარე და მდინარე სტიუარტებს, გადაეჭრა მთების იქით უცნობი მხარე და მდინარე სტიურტამდე ჩამოსულიყო. გადმოცემით, სწორედ აქ, სადღაც უნდა ყოფილიყო ოქროსფერკერიანი ტბა, გარგემორტყმული ჩამოფხავებული მთებითა და მყინვარებით. ამბობდნენ, ძველად ამ ადგილებს ხშირად ეწვეოდა ხოლმე ხალხი, რომელთა ასავალ-დასავალი ახლა აღარავის ახსოვსო. ისინი თურმე ყვინთავდნენ ყინულივით ცივ წყალში და ფსკერიდან ოქროს მსხვილი ნატეხები ამოჰქონდათ. მრავალჯერ მოსულან აქ ადამიანები, რომ მოესინჯათ ქბის ოქროს ფსკერი, მაგრამ წყალი გაუვლისად ცივი იყო და იმ მიზეზით ზოგი ტბაშივე იღუპებოდა, ზოგს კი ჭლექი უღებდა ბოლოს. გადარჩენილთა შორის ბევრი ფიქრობდა ხელახლა მობრუნებულიყო და დაეპყრო ტბა, მაგრამ მათი განზრახვა განზრახვამდე რჩებოდა, რადგან შინ მიმავალნი უთუოდ რაიმე უბედურებას უნდა გადააჰყროდნენ: ერთი სადმე, მეორემოცე მილთან, ყინულებში ჩაიხეხებოდა, მეორეს მისივე ძაღლები დაფლეთდნენ, მესამეს წამოქცეული ხე მიაჭყლექდა, ასე რომ „საოცარი ტბის“ მისადგომები ჭეშმარიტად კაცთა შემშუსვრელ. ჯადოქმნელ ადგილად იქცა და მისი გზაც თანდათანობით მიივიწყეს, მიუხედავად იმისა, რომ ტბის ფსკერი კვლავ ოქროთი იყო მოფენილი.

ამ ტბაზე არანაკლებ საოცარი „ორი ძელურის“ ადგილსამყოფელი უფრო გარკვეული იყო. ეს ძელურები მდინარე სტიურტიდან მდინარე მექ ვეშნენის აყოლებით „ხუთ ღამისსათევზე“ იღვა. ისინი უხსოვარ დროს, ჯერ კიდევ ოქროსმადიებლების იუკონში მოსვლამდე აეგოთ. მოხეტიალე მონადირეები უმტკიცებდნენ სმოკს, დიდი ხნის წინათ „ორ ძელურამდე“ მივალწიეთ, მაგრამ ისეთი ვერაფერი ვნახეთ, რაც დაგვიმოწმებდა, ოქროს ამოღებაზე იქ ვინმეს ემუშაოსო.

– გერჩინა, ჩემთან ერთად წამოსულიყავ, – უთხრა შორტიმ სმოკს, – შენ რომ ინდიელივით უგზო-უკვლოდ ხეტიალი გიყვარდეს, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თავი საფრთხეში უნდა ჩაიგდოთ. იქ ყოველი გოჯი მიწა ჯადოთია შეკრული, ეს შენც კარგად იცი, და მეც.

– მაგაზე ნუ სწუხხარ, ექსიოდე კვირის შემდეგ ისევ დოუსონში ვიქნები, იუკონზე გზა გატკეპნილია, სტიუარტზედაც ასიოდე მილი გაკვალული იქნება; ჰენდერსონში მითხერს, ყინვები რომ დაიწყო, ოქროსმაძიებლების ერთი ჯგუფი იქით წავიდაო. ჰოდა, მათ კვალს რომ მივყვებ, დღეში ორმოც-ორმოცდაათ მილს მაინც გავივლი. თუ იქამდე მივაღწიე, ერთ თვეში უკანვე გამოვბრუნდები.

– დიახ, დიახ, თუ მიაღწიე! მეც სწორედ ეგ მაწუხებს, მიაღწიე თუ არა. კარგი, სმოკ, ნახვამდის, იცოდე, ერთდღე იმ ჯადოს და შინ ხელცარიელი მობრუნებისა ნუ შეგერცხვება.

II

ერთი კვირის შემდეგ სმოკი მდინარე ინდიანას სამხრეთით მდებარე ქედებს შეუყვია. კლონდიაკის საზღვარზე მარხილი მიატოვა და ტვირთი ძაღლებს აჰკიდა. ექვსი უზარმაზარი ძაღლი წამოეყვანა თან და ახლა ყოველ მათგანს ორმოცდაათი გირვანქა ტვირთი მიჰქონდა. თვითონაც ამდენივე დაიტოვა საზიდად, სმოკი ნახვავში გზას მიიკვლევდა და რბილ თოვლს თხილამურებით ტკეპნიდა. უკან კი მძიმე-მძიმედ მიჰყვებოდნენ ძაღლები.

სმოკს უყვარდა ჩრდილოეთის სუსხიანი ზამთარი, უდაბური ადგილები მდუმარება, თოვლით გადაპენტილ უსაზღვრო სივრცე, სადაც კაციშივლს ჯერ ფეხი არ დაედგა, მაღლა აზიდული ყინულოვანი მთები, რომელთაც ჯერ არც სახელები ჰქონდათ და არც სადმე რუკაზე იყვნენ აღნიშნულნი. ხეობის მჭვირ ჰაერს არსად სერავდა მონადირეთა კარვებიდან ამომავალი კვამლის ზოლი. სმოკი მარტოდმარტო მიაბიჯებდა ამ უკაცრიელ, უდაბურ მხარეში. მარტობა არ უმძიმდა, ახალისებდა შრომა, ძაღლების ჩხუბი, გივან ბინდ-ბუნდი დაკარვება, მაღლით მოციმციმე ვარსკვლავები და ჩრდილოეთის ციალი.

მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა ის წეთუბი, როცა დამის სათევად ემზადებოდა, ამასურათს ხომ ვერასოდეს დაივიწყებდა და ოდესმე შეჭველად დახატავდა კიდევ: დამის წყვილია, დატკეპნილი თოვლი და მოგიზიგზე კოცონი, ახლად მოჭრილი ნაძვის ტოტები, ზედ დაფენილი კერდელის ტყავის ქურქები, კოცონის წინ გაჭიმული ტილო – სითბოს რომ იტყერდა და უკუაგდებდა, გამურული ყავადანი, კუნძზე შემოდგმული ბადია, ჯოსზე გასაშრობად წამოცმული მოკასინები, თოვლში აყირავებული თხილამურები, კოცონის მეორე მხარეს მიყრილი ძაღლები, სითბოსკენ რომ მიიწვევდნენ, დიახ, ჭკვიანი და ქედფიცხელი ძაღლები, დაჭირხლული ბეწვი და ფეხებზე გადმოფენილი ბანგურა კულები რომ ჰქონდათ.

ასეთ წეთებში სან-ფრანცისკო, „ტაღლა“ და ო'ჰარა ბურუსში ვხვეოდა, ასე ეგონა, ყველაფერი ეს მხოლოდ სიზმარში ნახა ვერ წარმოედგნა, რომ ოდესმე სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა. უფრო ძნელი იყო შერიგებოდა იმ აზრს, რომ ქალაქის ბოჰემური ყოფის წუმპეში ოდესღაც სხვებივით ფორთხავდა და ჭყუშპალაობდა. რაკი მარტოკა იყო და ხმის გამცემი არავინ ჰყავდა, ისევ ფიქრს მისცა თავი. ღრმა და უბრალო იყო მისი ფიქრები. სინანულით იგონებდა ქალაქში უქმად გატარებულ წლებს, ფიქრობდა სხვადასხვა ფილოსოფიურ სკოლებსა და წიგნების უბადრუკობაზე, სამხატვრო სალონებისა და რედაქციების მზაკვრულ ცინიზმზე და კლუბებში თავშეყრილი საქმოსნების ფარისევლობაზე, მათ ხომ არ იციან წესიერად ჭამა, არც ძილი, არც ჯანი

შესწევთ საამისოდ. არ გამოუცდიათ რა არის ნამდვილი შიმშილი ან დაღლა. არასოდეს შეუგრძენიათ სისხლის მძაფრი ჩქოლა ძარღვებში მუშაობის დროს.

ეს საუცხოო ბრძენი მხარე, მკაცრი ჩრდილოეთი ხომ მუდამ არსებობდა. სმოკმა კი მის შესახებ დღემდე არაფერი იცოდა. აოცებდა, რომ მისთვის შექმნილს აქამდე არ ესმოდა მისი ჩუმი მოწოდება, მისი ჩუმი ჩურჩული. ხომ არც თვითონ უძებნია იგი, მაგრამ მოსახდენი მაინც დროზე მოხდა.

– მოიხედე, თვაყვითელავ, ახლა უფრო გარკვევით მესმის მისი ძახილი.

ძაღლმა, რომელსაც სმოკი გამოელაპარაკა, სწრაფი მოძრაობით ჯერ ერთი თათი ასწია, შემდეგ – მეორე, მერე ბანგურა კული ისევ ფეხებზე წაიფარა და შესცინა.

– ჰერბერტ სნენსერი თითქმის ორმოცი წლისა იყო, როცა მიხვდა, რა იყო მისი ცხოვრების მიზანი, მე კი ამისათვის ოცდაათ წელსაც არ დაველოდე. ჩემი სიცოცხლის არსი აქ ამ ყინულებშია. მაგრამ, თვაყვითელავ, მერჩინა მგლის ლეკვად გავჩენილიყავ და შენი და შენიანების მკვიდრი ძმა ვყოფილიყავი.

სმოკი რამდენიმე დღე დაეხეტებოდა ღრმა ხეობებსა და უღელტეხილებს შორის, რომლებიც ისე იყვნენ ერთმანეთში არეულ-დარეულნი, რომ თავს და ბოლოს ვერ გაუგებდი, გეგონებოდათ, ვიღაც კოსმოსურმა ხუმარამ თავშესაქცევად მიყარ-მოყარა ესენი აქეთ-იქითო. სმოკი ამოდ დაეძებდა ნაკადულს ან მდინარეს, რომლებიც სამხრეთისაკენ, მექ ქვეშენისა და სტიუარტისაკენ მიედინებოდნენ.

შემდეგ ქარიშხალი ამოვარდა. მაღე მას ქარბუქი მოჰყვა. ტყეების ზემოთ, მაღალ მთებში, შეშა არსად იყო, ამიტომ სმოკი ცეცხლსაც კი ვერ დაანთებდა. ორი დღე ბრძალ ებრძოდა მძვინვარე სტიბიონს. ცდილობდა, როგორმე უფრო დაბლა, ტყისკენ ჩასულიყო. მეორე დღეს ერთ უზარმაზარ ციცაბო კლდეს მიაღწა, მაგრამ ისე უმოწყალოდ თოვდა, კლდის ძირი ვერ დაინახა. ვერც დაბლა ჩასვლა გაბედა. რაღა დარჩენოდა, მაგრად გაეხვია ქურქში, ძაღლებს უხმო და მათთან ერთად თოვლში ჩაწვა. თუმცა მილი წუთითაც არ მიჰკარებია. დილით ქარბუქი ჩაღვა. სმოკმა მოათვალიერა იქაურობა და დაბლა, ასე, მეოთხე მილის დაშორებით, გაყინული, თოვლით დაფარული ტბა დაინახა. ტბის გარშემო ჩამოფხავებული მთები აზიდულიყო. სწორედ ასე აუწერეს მას „საოცარი ტბა“. სმოკი ბრმა შემთხვევის წყალობით მოხვდა ამ ადგილებში.

– სახელი კი სწორედ შეურქმევიათ, – წაიბუტბუტა მან ერთი საათის შემდეგ, როცა ტბის ნაპირს მიუახლოვდა. მოშორებით რამდენიმე ბებერი ნაძვი მოჩანდა, სმოკი მათკენ გაემართა და თოვლით დაფარულ სამ სამარეს წააწყდა. ნამქერიდან მხოლოდ ბოძებს ამოეყოთ თავი, ზედ გაურკვეველი ხელით რაღაც წარწერები იყო ამოკვეთილი. ნაძვების გვერდით პატარა, დაბრეცილი ქოხი იდგა. სმოკმა ხელი ჰკრა კარს და შიგ შევიდა. კუთხეში, ძველ ტახტზე, ნაჭერ-ნაჭერ ეფინა დამპალი ტყავები, ტყავებზე ადამიანის ჩონჩხი იდო. „საოცარი ტბის“ „უკანასკნელი სტუმარი“, – გაიფიქრა სმოკმა, დაიხარა და იატაკიდან მუშტისოდენა ოქრო აიღო. იქვე იდგა მოზრდილი თუნუქა სავსე კაკლისხელა, გაურეცხავი ოქროს ნატეხებით.

ადგილის აღწერილობა ისე საოცრად დაემთხვა სინამდვილეს, რომ სმოკს ეჭვი არ ეპარებოდა, ეს ოქრო ტბის ფსკერიდან არის ამოღებულიო. მაგრამ ახლა ტბას სქლად ეფარა ყინული.

შუადღისას სმოკმა უკანასკნელად მოავლო თვალი იქაურობას.

– კარგი და პატიოსანი, ბატონო ტბაო, – გადმოსძახა მან მაღალი კლდიდან. – მე მაღე დავბრუნდები შენს საშრობად, რა თქმა უნდა, თუ იმ ჯადომ მეც სხვებივით სადმე არ ჩამჩუმქრა. არ ვიცი, როგორ მოვხვდი აქ, მაგრამ უკან გაბრუნებისას ამას უეჭველად შევიტყობ.

III

ოთხი დღის შემდეგ მოკმა პატარა ხეობაში, ყინულით დაფარული ნაკადულის პირას, მომცრო ნაძვის ქვეშ ცეცხლი დაანთო. სადღაც იმ თეთრ ქაოსში, უკან რომ მოიტოვა, იყო „საოცარი ტბა“. დიახ, სადღაც, მაგრამ სად? ეს უკვე აღარ იცოდა. ამდენი ხნის უგზო-უკვალოდ ხეტიალმა და ქარბუქთან ბრძოლამ თავგზა აუბნია და ახლა ვეჯარ გაერკვია, საიდან მოვიდა, ან საით მიდიოდა. თუმცა იმ საზარელ ქარბუქს თავი დაადწია, მაგრამ დაბეჯითებით ვერ იტყოდა, მხოლოდ ოთხმა დღემ განვლო მას შემდეგ თუ მთელმა კვირამ. სმოკს ძაღლებთან ერთად ეძინა, ერთი უღელტეხილიდან მეორეზე გადადიოდა, მიჰყვებოდა უცნაურად დაგრეხილ ხეობებს, ღრანტეებით რომ მთავდებოა. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მოახერხა ცეცხლის დანთება და ირმის გაყინული ხორცის გაღებობა. ახლი კი უკვე მაძღარი იყო და, ასე თუ ისე, კარგადაც დაბინავდა. ქარიშხალი ჩადგა. ირგვლივ კვლავ სინათლე იყო. ამ პატარა ნაკადულსაც გეზი სამხრეთ-დასავლეთით აეღო, მაგრამ სმოკმა, ისე როგორც ყველა მისმა წინამორბედმა, სამუდამოდ დაკარგა უცნაური ტბისკენ მიმავალი გზა.

იგი თავქვე დაჰყვა ნაკადულს და შუადღისას უფრო დიდ მდინარეს მიადგა. ეჭვიც არ შებპარვია, რომ ეს მდინარე მექ ქვეშენი იყო. აქ ირემს ჩაუსაფრდა და ძაღლებს კვლავ მძიმე ტვირთი აჰკიდა.

კარგა ხნის სიარულის შემდეგ მარხილის კვალს წააწყდა. კვალი ზემოდან ნამქერს დაეფარა, ქვეშ კი თოვლი გატკეპნილი იყო. ალბათ მექ ქვეშენზე სადმე ორი ბანაკია და ეს გზა მათ ერთმანეთთან აერთიანებსო, დაასკვნა სმოკმა. მაშ :ორი ძელურისათვის“ ვიდაცას უკვე მიეგნო! სმოკი ქვემო ბანაკისკენ გაუყვა გზას, „ორი ძელური“, რატომღაც სწორედ იქით ეგულებოდა.

როცა ღამის სათევად დაეძინებოდაქ სულ იმის ფიქრში იყო, ვინ არის ის ადამიანები „ორ ძელურში“ რომ ჩასახლებულან, ან ხვალ იქამდე მივადწევ თუ არაო. გუთუნებისას ისევ გზას დაადგა. მიჰყვებოდა ნახევრად გადაშლილ კვალს და დაწნული თხილამურებით თოვლს მაგრად ტკეპნიდა, რომ ძაღლები შიგ არ ჩაფლულიყვნენ.

ის მოულოდნელი რამ სწორედ მდინარის საქცევთან დაატყდა თავს. სმოკმა ერთდროულად იგრძნო მწვავე ტკივილი და გაიგონა თოფის მჭახე ხმა. ტყვიამ პარკა და შალის პიჯაკი გახვრიტა, სმოკი დარტყმის ძაღამ შეატრიალა. იგი დატორტმანდა და შეეცადა როგორმე წონასწორობა შეენარჩუნებინა. ამ დროს თოფმა მეორედ იგრილა. ამჯერად ტყვია აცდა. აქ დგომა სახიფათო იყო. სმოკი თოვლში ჩაწვა და მდინარის პირად ამართული ხეებისკენ გაცოცდა. ზურგი თბილი სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. თოფი კი ისევ და ისევ ჭექდა.

სმოკი მომადლო ნაპირზე აცოცდა. ძაღლები გაჭირვებით მიჰყვნენ უკან. მერე ბუჩქებში შეიმალა, თხილამურები მოიხსნა, ოდნავ გაჩონდა წინ, ბუჩქის ტოტები გადასწია და ფრთხილად გაიხედა. არაფერი ჩანდა, თავდამსხმელი წყნარად იწვა გაღმა ნაპირზე.

– თუ ამ ცოტა ხანში არაფერი მოხდა, – წაიბუტბუტა სმოკმა ნახევარი საათის შემდეგ, – აქედან უნდა გავიდეთ და ცეცხლი დავანთო. თორემ ფეხები მომიყინება. თავყვითელავ, შენ როგორღა მოიქცეოდი, ჩემსავით ყინულზე რომ იყო გაშოტილი, ძარღვებში სისხლი გეყინებოდეს და ვიდაც გარეწარი სასიკვდილოდ ტყვიებს გიშენდეს?

სმოკი რამდენიმე იარდით გაცოცდა უკან, შემდეგ წამოდგა; თოვლი დატკეპნა და მოჰყვა ზედ ცეკვას. ამით კარგად შეხურდა. ახლა შეეველო ნახევარი საათი კიდევ წოლილიყო ბუჩქებში.

მოულოდნელად ექვნების წკარაწკური შემოესმა. მდინარის საქცვეისკენ გაიხედა და მარხილს თვალი ჰკიდა. გვერდით კაცი მოსდევდა და ძაღლებს მოერეკებოდა. შეკრთა. ამდენი ხნის შემდეგ დღეს პირველად დაინახა ადამიანი. სამი კვირის წინათ, შორტის რომ დაშორდა, მერე ძეხორციელი არსად შეხვედრია, მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო. იქ, გაღმა, ხომ ავაზაკი იწვა!

სმოკმა გამაფრთხილებლად დაუსტვინა. კაცს არ გაუგონია სტვენა. იგი სწრაფი ნაბიჯით მიეშურებოდა წინ. ახლა უფრო ხმამაღლა გაისმა სტვენა. კაცმა ძაღლებს შეუტია. შეჩერდა, სმოკისკენ შეტრიალდა, მაგრამ ამ დროს თოფმაც იტყუა. იმავე წამს სმოკმა თოფი შემართა და მისმა ნასროლმა ტყვიამ გაღმა ნაპირზე ბუჩქი შეარხია.

კაცი დაჭრილი იყო და ტორტმანებდა. მარხილისკენ დაიხარა, თოკებთან თოფი ამოაძრო, ჩახმახი შეაყენა, და დაუმიზნებლად დასცალა, შემდეგ უკან გადავარდა და მარხილზე გულაღმა გაიშოტა. ახლა სმოკი მხოლოდ მის მუცელსა და ფეხებს ხედავდა.

ქვემოდან კვლავ მოისმა ექვნების წკარუნი, კაცი უძრავად ეგდო მარხილზე. მდინარის საქცვეიდან სამმა მარხილმა გადმოუხვია, მათ ექვსი კაცი მოჰყვებოდა.

სმოკმა დაიყვირა, უნდოდა გაეფრთხილებინა ისინი, მაგრამ კაცებმა უკვე დაინახეს, რა დღეში იყო მათი ამხანაგი და მისკენ გამოქანდნენ. გაღმიდან სროლა შეწყდა, სმოკმა დაუძახა ძაღლებს და საფარიდან გამოვიდა. მის დანახვაზე კაცებმა შეჰყვირეს. ორმა მათგანმა ხელთათმანები წაიძრო და სმოკს თოფი დაუმიზნა.

– მოდი აქ, შე ავაზაკო, შე სულწაწყმედილო, შენა! – უბრძანა სმოკს მალაღმა, შავწვერიანმა კაცმა; – ეგ თოფი კი ძირს დააგდე.

სმოკი ერთი პირობა შეყოყმანდა, მერე თოფი დააგდო და უცნობებისკენ წავიდა.

– ლუი, მიდი, გაჩხრიკე და იარაღი აართვი! – ბრძანა ისევ შავწვერიანმა.

სმოკი მიხვდა, რომ ეს კანადელი ფრანგი, ლუი და სხვა დანარჩენებიც მარეკები იყვნენ. ჩხრეკის დროს ლუიმ მხოლოდ სანადირო დანა იპოვა, რომელიც სმოკს მაშინვე ჩამოართვეს.

– აბა, უცნობო, ვიდრე ჩაგაძაღლებდე, თქვი, რით შეგიძლია თავი იმართლო? – იკითხა შავწვერიანმა.

– სცდებით, თუ ფიქრობთ, რომ ეგ კაცი მე მოვკალი, – თქვა სმოკმა.

ამ დროს გაისმა ყვირილი. ერთი გამყოლთაგანი სმოკის კვალს გაჰქოლოდა, მდინარის პირას მისი საფარისათვის მიეგნო და ახლა ამ ამბავს თავისიანებს ატყობინებდა.

– რისთვის მოკალი ჯო კინედი? – კვლავ შეკითხა შავწვერიანი.

– აკი, გითხარით, არ მომიკლავს-მეთქი... – დაიწყო სმოკმა.

– ბევრს ნუ ლაპარაკობ! ისედაც ყველაფერი ცხადია. ექვნის წკარუნი რომ შემოგესმა, მარჯვნივ გადაუხვიე, ბუჩქებში გაწექი და ისროლე. მანძილი მოკლე იყო, ვერ ააცდენდი! პიერ, მიდი, აიღე ამის თოფი!

– კი მაგრამ მათქმევინეთ, რა მოხდა, – შეეკამათა სმოკი.

– ემანდ ენა ჩაიგდე! – შეუღრინა კაცმა, შენი თოფი თავისთავად იტყვის ყველაფერს.

მათ დაუწყეს სმოკის თოფს სინჯვა, გამოყარეს და დათვალეს ვაზნები, დაათვალიერეს ლულა და საკეტი.

– ერთხელ გაუსვრია, – დაასკვნა შავწვერიანმა.

პიერმა დაყნოსა საკეტი. ნესტოები ირემივით დაებერა და უთრთოდა.

– სულ ახლახან უხვრია, – თქვა მან.

– თქვენს ამხანაგს ტყვია ზურგში მოხვდა, – შეესიტყვა სმოკი მათ, – კაცი კი ჩემკენ მოდიოდა. განა ცხადი არ არის, რომ გაღმიდან ესროლეს?

შავწვერა ნათქვამს ჩაუფიქრდა და მერე თავი გააქნია.

– არა, ეგ არ გაგივა, ის შებრუნდა და შენც მაშინ დაახალე ზურგში ტყვია. ბიჭებო, აბა ნახეთ, თუ ჩანს კვალი გაღმა ნაპირზე!

მას მოახსენეს, იმ მხარეს თოვლი გაუტყხავია, ზედ ჯერ კურდღელსაც კი არ გადაურბენიაო. შავწვერიანი მიცვალებულისაკენ დაიხარა და როცა კვლავ გასწორდა, ხელში ვაზნის ტყავსაცობი ეჭირა. ტყავსაცობი გაჭრა და გამოაგდო ტყვია, რომელსაც ცხვირი მიჭყლეტოდა და ნახევარდოლარიანისოდენა გამხდარიყო. ფოლადში ჩასმული ბოლო კი დაუზიანებელი ჰქონდა. ეს ტყვია სმოკის ტყვიებს შეადარეს.

– ყველაფერი ნათელია, უცნობო, – თქვა შავწვერიანმა, – ამას ბრმაც კი დაინახვს. ტყვია რბილცხვირიანია და ფოლადშია ჩასმული, შენი ტყვიებიც სწორედ ასეთივეა. ესეც „ოცდაათ-ოცდაათია“ და შენიც, ქარხნის ნიშნებიც ერთიდაიგივეა, – „ჯ. და ტ.“ ახლა ნაპირზე წავიდეთ, იქ უფრო კარგად შეიტყობთ ყველაფერს.

– მე თვითონაც დაჭრილი ვარ, – თქვა სმოკმა, – აი ნახეთ, პარკა გახვრეტილია.

ვიდრე შავწვერა სმოკს ზურგზე ნატყვიარს ათვალიერებდა. ერთ-ერთმა გამყოლმა მოკლულის თოფის საკეტი გახსნა. აშკარა იყო, თოფი ერთხელ გაესროლათ, რადგან ცარიელი ვაზნა ჯერ კიდევ შიგ იდო.

– ვნანობ, რომ საბრალო ჯომ სული არ გაგაფრთხობინა, – მწარედ ჩაილაპარაკა შავწვერამ, – მაგრამ კიდევ კარგად მოუხერხებია, ხუმრობა ხომ არაა, ამოდენა ხერხი ჰქონდა ზურგში! წამოდით!

– ჯერ გაღმა ნაპირი დაათვალიერეთ, – გაჯიუტდა სმოკი.

– ხმა გაკმინდე და მომყევი, საქმე გვიჩვენებს ყველაფერს.

ისინი მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც სმოკმა გზიდან გადაუხვია, მის კვალს მდინარის ნაპირამდე მიჰყვნენ და ხეებთანაც მივიდნენ.

– აი, ამ ადგილას უცეკვია, რომ ფეხები გაეთბო, – თქვა ლუიმ, – აქ კი მუცლით გახოხებულა, მერე ნიდაყვს დაყრდნობია, ალბათ მაშინ, როცა თოფი ისროლა.

– ღმერთო ჩემო, აგერ ცარიელი ვაზნაც! – წამოიყვირა შავწვერიანმა, – ბიჭებო, ჩვენ ახლა ერთიდა დაგვრჩენია...

– მერე რატომ არ მეკითხებით, ვის ვესროლე ტყვია? – გააწყვეტინა სმოკმა.

– თუ კიდევ კრინტი დაგივრავს, კბილებს ჩაგილეწავ. კითხვებზე მერეც მოასწრებ პასუხს. ბიჭებო, ჩვენ პატივს ვდებთ კანონს, ამიტომ ჩვენი განაჩენი სწორი და მიუდგომელი უნდა იყოს. პიერ, როგორ ფიქრობ, რა მანძილი გვექნება? გამოვილილი?

– მე მგონია, ოციოდე მილი იქნება.

– ძალიან კარგი, წავიდეთ ყველაფერი და წავასვენოთ საბრალო ჯო „ორი ძელურისკენ“. ვფიქრობ, საკმაო საბუთი გვაქვს იმისათვის, რომ ამ ვაუბატონს თოკით კიოკი და სერი დავუგრძელოთ.

IV

მზის ჩასვლიდან სამი საათი იქნებოდა გასული, სმოკი და მისი მცველები მიცვალებულით „ორ ძელურს“ რომ მიუახლოვდნენ. ვარსკვლავების ციმციმა შეუქზე სმოკმა დაინახა თაიოდე ახლად აგებული ქოხი, რომლებიც გარსშემორტყმოდნენ უფრო მოზრდილსა და უფრო ძველ ქოხს, მდინარის პირას რომ იდგა. სმოკი სწორედ ამ ქოხში შეაგდეს. აქ დახვდა ახალგაზრდა ახმახი მამაკაცი, მისი ცოლი და ერთი ბრმა მოხუცი, ქალიც მაღალ=მაღალი და

მოსული იყო. ქმარი მას ლუსის ეძახდა! ის მოხუცი კი, როგორც სმოკს შემდეგ უთხრეს, სტიურდელი მონადირე ყოფილა. დიდი ხანია თურმე, რაც აქ ცხოვრობდა, გასულ ზამთარს კი დაბრმავებულიყო. სმოკმა ისიც შეიტყო, რომ „ორი ძელურის“ ბანაკს მოდგომოდა ათამდე კაცი. აქ მათ ბრმა მონადირე ანახათ და მსი ქოხის გვერდით საკუთარი ქოხები ჩაედგათ. მერე სხვა ახალმოსულებიც შემატებოდნენ და მოსახლეობა ერთისამად გაზრდილიყო. ამ ადგილებში ნადირი ბევრი იყო, ალაგ-ალაგ ოქროც აღმოჩნდა და ცოტ-ცოტას მუშაობდნენ კიდევ.

ხუთ წუთში ქოხი ხალხით აივსო. სმოკს ტყავის ფვედებით ხელ-ფეხი შეუკრეს, კუთხეში მიაგდეს და ახლა ზედაც აღარ უყურებდნენ. სმოკმა ოცდათვრამეტი კაცი დათვალა, ტლანქი გარეგნობა ჰქონდათ და ჯან-ღონით სავსენი ჩანდნენ. ყველანი შტატების მკვიდრნი ან ზემოკანადელი მარეკები იყვნენ. სმოკის შემპყრობლები უსასრულოდ ყვებოდნენ, რა გადახდათ თავს. ყოველ მათგანს გარს შემოხვეოდა ადელეგებული და გაბრაზებული ხალხი. ისმოდა ყვირილი, ღინჩი მოვუწყოთ, რადას ვუცდითო. ერთი ზონზროსა ირლანდიელი ძლივს შეაჩერეს, რომ არ სცემოდა უმწეო ტყვეს და რამე არ აეტეხა მისთვის.

სმოკი ოთახში მყოფთ რომ ითვლიდა, თვალი მოჰკრა ერთ ნაცნობს. ეს ბრეკი იყო, ერთხელ სმოკმა მისი ნაგი ფორომებში დაღუპვას გადაარჩინა.

სმოკს გაუკვირდა, ბრეკი მასთან რომ არ მივიდა და არ გამოელაპარაკა, მაგრამ თვითონ არ უგრძობობინებია, გიცანიო. ცოტა მოგვიანებით ბრეკმა გვერდით ჩაუარაქ სახე მიიბრუნა და სხვების შეუმჩნეველად თვალი ჩაუკრა. მაშინ სმოკი ყველაფერს მიხვდა.

შეგწვერიანმა კაცმა, რომელსაც ელი ჰარდინგს ეძახდნენ, ჩააჩუმა ყველა, ვინც მოითხოვდა, დამნაშავე ახალავე ჩამოვახრჩოთო.

– წყნარად-მეთქი! – დაიღრიალა მან, ყველამ ხმა გაკმინდა, – ეგ კაცი მე მეკუთვნის, მე დავიჭირე და აქაც მე მოვიყვანე; როგორ ფიქრობთ, ეს ამოდენა გზა იმიტომ გამოვატარე, რომ ღინჩი მომეწყო? არავითარ შემთხვევაში! ეს ხომ იქაც შემეძლო. ეგ აქ მოვიყვანე, რომ პირუთვნელად და მიუკერძოებლად გაგვესამართლებინა და, ვფიცავ ღმერთს. ეს ასეც იქნება. გაკოჭილია და ვერსად გაგვექცევა. ეგდოს დიღამდე, აქ, ამ ტახტზე, დილით კი აქვე გავასამართლებთ.

V

სმოკს გაედვიდა, სახე კედლისკენ ჰქონდა მიქცეული. ყინულივით ცივი ჰაერის ჭავლმა ბეჭი აუწვა. ოთახში ცხელოდა. გარედან კი ორმოცდაათგრადუსიანი ყინვა იჭრებოდა; ეს საკმარისი საბუთი იყო იმისა, რომ ძვლებშუა ვილაცას ხავსი გამოეძრო.

სმოკი დაიბაბა, მიუხედავად გაკრული ხელ-ფეხისა, მაინც შეძლო კედლისაკენ მიჩოჩება, კისერი წაიგრძელა და ტუნებით ჭუჭრუტანას შეეხო.

– ვინა ხარ მნად?

– ბრეკი ვარ, – გაისმა პასუხად, – ფრთხილად იყავით, არ იხმაუროთ, მინდა დანა გადმოგცეთ.

– დანა ვერაფერს მიშველის, – მიუგო სმოკმა, – ხელები ზურგზე მაქვს გაკრული, ღვედი კი ტახტის ფეხზეა მიბმული. გარდა ამისა, ასეთ ვიწრო ჭუჭრუტანაში დანას ვერც შემოატევეთ, თუმცა რამე კი უნდა იღონოთ. ამ ვაჟბატონებს ჩემი ჩამოხრჩობა უნდათ. ვფიქრობ, გჯერათ, რომ ის კაცი მე არ მომიკლავს.

– რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი, სმოკ, თუ მოკალით ალბათ საამისო მიზეზიც გექნებათ. საქმე ეგ როდია. მე მ ინდა გასაჭირიდან გიხსნათ. აქ ძალიან ტლანქი და უხეში ხალხია, აკი თვითონაც ნახეთ. ყველას და ყველაფერს მოწვევტილნი არიან, ამიტომაც ცდილობენ თავიათი კანონ-სამართალი შემოიღონ. ამ მოკლე ხანში უკვე ოასწრეს ორი კაცის დასჯა. ორივეს სურსათის ქურდობა ბრალდებოდა. ერთი მათგანი ბანაკიდან გააგდეს, ნამცეცი საჭმელი და ღერი ასანთიც არ მისცეს. მან ორმოციოდე მილი გაიარა, ორი დღე იტანჯა, მერე კი გაიყინა. ამ ორი კვირის წინათ მეორე ქურდი დაიჭირეს და არჩევანი მისცეს; ან სულ არ მოგცემთ საჭმელს, ან თუ მოგცემთ ყოველი იჯრისათვის ათჯერ დაგკრავთ როზგსო. იმ საბრალომ ორმოც დარტყმას გაუძლო და მერე სული განუტევა. ახლა კი თქვენ ჩაუვარდით ხელში. თანაც ეჭვი არავის ეპარება, რომ კინედი თქვენ მოკალით.

– კინედის მკვლელობა ხომ მეც მესროლა. მისმა ტყვიამ ზურგზე ტყავი გადამაყველივა. ეცადეთ გადაადებინოთ სასამართლო და ვინმე გაგზავნოთ იმ ავაზაკის ხელში ჩასაგდებად.

– მე ვარაფერს გავხდები, მათ ეჭვი არ ეპარებათ ჰარდინგის და მისიმხლებლების სიტყვებში. ესეც არ იყოს, ჯერ არავინ ჩამოუხრჩვიათ და ამით უკმაყოფილონი არიან. თანაც მოწვენილობა ჰკლავთ. ჯერჯერობით აქ სახეირო ვერაფერი ნახეს და „საოცარი ტბის“ ძებნითაც მოიქანცნენ. დაზამთრებამდე ლაშქრობებს აწყობდნენ, ახლა ესეც მობეზრდათ, თანაც ბანაკში სურავანდი გაჩნდა და ამით ძალზე აღელვებულნი არიან.

– გამოდის, რომ მაგათ მხოლოდ ჩემი სიკვდილი დააწყნარებთ, – თქვა სმოკმა, – მითხარით, ბრეკ, როგორ მოხვდით ამ გარეწრებში?

– მე განაცხადი მქონდა სკვო კრიკში, იქ რამდენიმე კაცი დავეტოვე და სტუარტით ორ ძელურამდე ამოვედი. აქ ამათთან ვერ მოვრიგდი. ასე რომ სტიურტს უფრო მალლა ავეყვი, სწორედ გუშინ დავბრუნდი სანოვაგისათვის.

– იპოვეთ რამე?

– ბევრი არაფერი, მაგრამ ერთი ოქროს გასარეცხი დრაგა ავაგე. დიდი მუშაობა მოუწევს, როცა გზები გაიხსნება.

– მოიცადეთ, ბრეკ, – გააწყვეტინა სმოკმა, – ახლავე მოვიფიქრებ, როგორ მოვიქცეთ.

სმოკი განუძდა და მიჰყვა ფიქრს. წუთის წინათ თავში რომ გაუეღვა.

– მითხარით, ბრეკ, გახსნეს თუ არა მათ ჩემი ტოპრაკები, ძაღლებს რომ ეკიდათ?

– ჰო, ორიოდე გახსნეს, მე ვუყურებდი, ისინი ჰარდინგის ქოხში შეიტანეს.

– იპოვეს რამე?

– ხორცის გარდა არაფერი.

– ძალიან კარგი, თქვენ უნდა მონახოთ ყავისფერი ტილოს ტოპრაკი, მას თავი ირმის ტყავის თასმით აქვს მოკრული, იმ ტოპრაკში რამდენიმე გირვანქა ოქროა. ასეთი ოქრო აქ ჯერ არავის უნახავს. მისმინეთ, აი, როგორ უნდა მოიქცეთ...

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ბრეკმა სმოკს შესჩივლა, ფეხები მომეყინაო, და წავიდა. სმოკსაც მოაყინა ცხვირი და ლოყა ჭუჭრუტანიდან შემოსულმა ცივმა ჰაერმა. იგი მთელი ნახევარი საათი უხახუნებდა სახეს საბანზე, ვიდრე ცხვირპირი არ გაუხურდა და სისხლი კვლავ არ აოძრავდა.

– ყველაფერი დავაზუსტე. ეჭვი არ მეპარება, რომ კინედის მკვლელი სწორედ ეს არის. ამაზე გუშინ სადამოსაც ვილაპარაკეთ. გამეორება რა საჭიროა? ვუყრი კენჭს, ვინ არის მომხრე, რომ ეს კაცი დამნაშავეა?

ასე და ამგვარად დაიწყო სმოკის გასმართლება.

ეს სიტყვები წარმოსთქა ერთმა კოლორადოელმა აყლაყუდამ. იგი ძალიან განაწყენებული დარჩა, როცა ჰარდინგმა უარყო მისი წინადადება და მოითხოვა, სასამართლოს ძიება კეთილსინდისიერად უნდა წარიმართოსო. მოსამართლედ და კრების თავმჯდომარედ მანვე დაასახელა შენკ ვილსონი. „ორი ძელურის“ ბინადარნი კი მსაჯულები იყვნენ, თუმცა, ცოტაოდენი კამათის შემდეგ, ლუსის, როგორც ქალს, ხმის უფლება ჩამოართვა.

ვიდრე ქოხში ეს ამბავი ხდებოდა, სმოკი ტახტზე მიკუნჭულიყო და შუმნეველად უთვალთვალებდა ბრეკს, ერთ-ერთ ოქროსმაძიებელს რაღაცას რომ უჩურჩულებოდა.

– ხომ ვერ მომყიდით ორმოცდაათიოდე გირძანქა ფქვილს? – ეკითხებოდა ბრეკი.

– განა გაქვთ კი იმდენი ქვიშა, ფქვილით რომ მომცეთ?

– ორასს მოგცემთ.

კაცმა თავი გაიქნია.

– სამასს, სამას ორმოცდაათს.

კაცი ოთხასზე დათანხმდა ეს ბრეკს უთხრა, ჩემს ქოხში წავიდეთ, ოქრო გადამიწონეთო.

მათ გაჭირვებით გაიკვლიეს ხალხში გზა და ეზოში გავიდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბრეკი მარტო დაბრუნდა უკან.

ჰარდინგი სასამართლოს ჩვენებას აძლევდა, როცა კარი ოდნავ გაიღო და ფრიტოში შემოიჭრიტა კაცმა, რომელმაც ბრეკს ფქვილი მიჰყიდა. მან რაღაცა ანიშნა თავის ამხანაგს, ღუმელთან რომ იჯდა. კაცი წამოდგა და გასაველელისაკენ გაემართა.

– საითქ სემ? – შეეკითხა შენკ ვილსონი.

– ახლავე დავბრუნდები, საჭირო საქმე მაქვს, – მიუგო სემმა.

ის იყო სმოკს ნება დართეს, მოწმეებისათვის შეკითხვები მიეცა და ჰარდინგიც ჯვარედინ დაკითხვას შეუდგა, რომ გარედან ძაღლების ყეფა-ყმუილი და მარხილის კაგების ჭრიალი მოისმა. ერთ-ერთმა ოქროსმაძიებელმა გარეთ გაიხედა.

– ეს ჩემი და მისი ამხანაგია, ძაღლებს სტიუარდისკენ მიერეკებიან, – ამცნო მან დანარჩენებს.

თითქმის ნახევარი წუთი ხმა არავის ამოუღია. შემდეგ ყველამ გაკვირვებით გადახედა ერთმანეთს და ოთხი ხმაურით აივსო. სმოკი ცალი თვალით ხედავდა, როგორ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს ბრეკი, ლუსი და მისი ქმარი.

– ჰო, განაგრძე, – უკმეხად უთხრა სმოკს შენკ ვილსონმა, – მოათავე შეკითხვები. ვიცით, ბრალს გდებ, მდინარის მეორე ნაპირი რომ არ დაგვითვალიერებია. ამაში ყველანი გეთანხმებით – მოწმეებიც და ჩვენც, მაგრამ ეს არ იყო აუცილებელი, იქ კვალი არსად ჩანდა და თოვლიც გაუტეხავი იყო.

– მიუხედავად ამისა, იმ ნაპირზე მაინც იყო კაცი, – ჯიუტად გაიმეორა სმოკმა.

– ეგ ლიტონი სიტყვებია, ყმაწვილო, თვალს ნუ გვიხვევთ, ჩვენ აქ არცთუ ისე ბევრნი ვართ და, მადლობა ღმერთს, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ.

– ვინ იყო ის კაცი, ამ ორი კვირის წინათ ბანკიდან რომ გააძევეთ?

– ალხსო მისაძორი – მექსიკელი, მაგრამ თქვენ ეს რაში გესაჭიროებათ?

– თქვენ ის სათვალავში არ ჩაგიგდიათ, ბატონო მოსამართლე.

– ის მდინარეს დაღმა დაჰყვა, ზემოთ კი არ წასულა.

– რა იცით, საით წავიდა?

– ვხედავდი, ბანაკიდან რომ გადიოდა.

– და იმ კაცზე სხვა არაფერი იცით?

– არა, ყმაწვილო, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მან ოთხი დღის საგზაო წაიღო, კარგა ამისა, თოფი არ ჰქონდა. მაშასადამე, ვერც ინადირებდა და თუ სადმე, დასახლებამდე ვერ მიაღწევდა, უკვე კაი ხანია, მკვდარი იქნება.

– თქვენ აქ ალბათ ყველა თოფსაც სცნობთ, არა? – მრავალმნიშვნელოვანად იკითხა სმოკმა.

შენკ ვილსონი გაბრაზდა.

– შენ ვილსონი გაბრაზდა.

– შენ ისე მამღვე შეკითხვებს, თითქოს ბრალდებული ვიყო. აბა, შემდეგი მოწმე! სად არის ფრანგი ლუი?

ვიდრე ფრანგი ლუი ხალხში გზას მიიკვლევდა, ლუსიმ კარი გამოაღო.

– სად მიდიხარ? – დაუყვირა შენკ ვილსონმა.

– მგონია, შემოიძლია წასვლა, – გაცხარებით ესროლა ქალმა, – მე ხმის უფლება არა მაქვს. გარდა ამისა, ჩემი ქოხი ისეა ბოლით გაჭედილი, რომ სუნთქვა მიჭირს.

რამდენი წუთის შემდეგ ლუსის ქმარიც უკან მიჰყვა. მოსამართლე მაშინდა მიხვდა ამას, როცა კარი ისევ მიიხურა.

– ვინ იყო? – სიტყვა გააწყვეტინა მან პიერს.

– ბილ ჰიბოლი, – წამოიძახა ვილსონმა, – ასე თქვა, ცოლს რაღაცას ვკითხავ და ახლავე დავბრუნდებიო.

მაგრამ ბილის ნაცვლად ქოხში ლუსი შემობრუნდა. მან ქურქი გაიხადა და ღუმელთან დაჯდა.

ვფიქრობ, საჭირო არ არის სხვა მოწმეების დაკითხვა, – თქვა შენკ ვილსონმა, როცა პირემა ჩვენება დაასრულა. – ისინი იმასვე გაიმეორებენ, რაც უკვე ითქვა. სორინსონ, აბა, ერთი „გადი და ბილ ჰიბოლი შემოიყვანე, ახლავე კენჭი უნდა ვყაროთ. უცნობო, ადექი და თავი იმართლე, ამასობაში კი ჩვენ შესადარებლად ორივე თოფს, ვაზნებსა და ტყვიებს ჩამოვატარებთ.

სმოკი მოყვა, როგორ მოვიდა აქ, როგორ დაჭრეს და როგორ მიაღწია მდინარის ნაპირამდე. უცებ შენკ ვილსონმა უხეშად გააწყვეტინა სიტყვა:

– ყმაწვილო, რა აზრი აქვს ლაპარაკს? – მკაცრად უთხრა მან. შენ უბრალოდ დროს გვართმევ, რასაკვირველია, უფლება გაქვს აცხო ტყუილები, იმისათვის, რომ თავი ყულფში არ გაგაყოფინონ. კმარა, მოგბეზრდა ამდენი სისულელე! თოფის ვაზნებიქ ტყვია, რომელმაც ჯო კინედი მოკლა, ყველაფერი შენ საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. რა ამბავია მანდ? გააღეთ ვინმემ კარი.

ყინვა შიგნით შემოიჭრა და ცხელ ოთახში ორთქლად დატრიალდა. ღია კარიდან კი ძაღლების ყმუილი მოისმა და მერე სადღაც შორს მიწყდა.

– ეს სორენსონი და პიბოლი არიან, – წამოიყვირა ვილსონმა, – ძაღლებს მდინარისკენ მიერეკებიან.

– ეშმაკმა ნუ იცის მაგათი თავი... – დაიწყო შენკ ვილსონმა, მაგრამ სათქმელი აღარ დაასრულა, შეჩერდა და პირდაღებული ლუსის შეაჩერდა. – ვფიქრობ, ამიხსნით რა ამბავია, მისის პიბოლი?

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია და ტუნები მოკუმა; შენკ ვილსონმა ახლა ბრეკზე შეაჩერა მრისხანე, იჭუნეული მზერა.

– დიახ, ახალმოსულო, ვერ მეტყვიოთ, რა ხდება? მე დავინახე, პიბოლი თქვენ გეჩურჩულებოდათ.

ყველა ბრეკს მიაჩერდა. იგი უხერხულად შეიშმუნა.

– სემიც ხომ მაგას ელაპარაკებოდა, წამოიძახა ვილსონმა.

– მისმინეთ, მისტერ ბრეკ, – განაგრძო შენკ ვილსონმა, – თქვენ გასამართლება შეგვაწყვეტინეთ და ახლა უნდა გვითხრათ, რა იყო ამის მიზეზი, რაზე ჩურჩულებდით?

ბრეკმა მორიდებულად ჩაახველა და თქვა:

– მინდოდა ცოტაოდენი ფქვილი მეყიდა.

– მერე რით ყიდულობდით?

– ოქროს ქვიშა მქონდა, რასაკვირველია.

– ქვიშა ვინ მოგცათ?

ბრეკი დუმდა.

– ეგ ზემოთ, სტიურტზე ჩაღიხოვს, – წამოიყვირა ვილსონმა, – ამ ერთი კვირის წინათ იქით ვნადირობდი, მაგასაც გავუარე. უნდა გითხრათ, როგორღაც... უცნაურად იქცეოდა...

– ოქროს ქვიშა იქ არ მივოპია, – თქვა ბრეკმა, – იქ მხოლოდ ჰიდრაულიკური დრაგა მიდგას.

– ახლავე მოიტანეთ თქვენი ტოპრაკები და ქვიშა გვიჩვენეთ, – ბრძანა ვილსონმა.

– აკი მოგახსენეთ, ქვიშა აქ არ მიპოვია-მეთქი.

– სულ ერთია, მაინც უნდა ვნახოთ.

ბრეკი შეეყოყმანდა, თითქოს უარს ამბობსო, მაგრამ როცა ირგვლივ მუქარით სავსე სახეები დაინახა, უხალისოდ ჩაიყო ხელი კურტკის ჯიბეში, თუნუქი ამოსწია და განზრახ რაღაც მაგარ საგანს მოახვედრა.

– ამოალაგეთ ყველაფერიქ რაც ჯიბეში გაქვთ, – დაიღრიალა შენკ ვილსონმა.

ბრეკმა კარგა მოზრდილი ოქროს ნატეხი ამოიღო. ისეთი ოქრო იქ მყოფთ თვალთ ან ვნახათ. შენკ ვილსონმა ამოიხენეშა, ექვსიოდე კაცმა ერთმანეთს გადახედა და გასასვლელისკენ გაქანდა. კარს ყველა ერთბაშად მიაწყდა და წყველაკრულვითა და მუჯღლეგენებით ძლივს გააღწიეს გარეთ. მოსამართლემ თუნუქა მაგიდაზე გამოაპირქვავა, ოქროების დანახვაზე კიდევ ექვსიოდე კაცი გაიქცა კარისკენ.

– სად მიდიხართ? – ჰკითხა ელი ჰარდინგმა შენკ ვილსონს, რომელიც სხვებს უკან გაჰყვა.

– ძაღლები უნდა გამოვიყვანო.

– ამ კაცის ჩამოხრჩობას არ აპირებთ?

– ეს ახლა დიდ დროს წაგვართმევს, დაიცადოს, ვიდრე დავბრუნდებოდეთ, ჩემი აზრით, სხდომა უნდა გადავდოთ. ჩვენი დაჩენა შეუვლებელია.

ჰარდინგი ყოყმანობდა. მან კუშტად გადახედა სმოკს. მერე კართან თვალი მოჰკრა პიერს, ლუის რაღაცას რომ ანიშნებდა და გადაწყვიტა.

– გაქცევაზე არც იფიქრო, ეგ სისულელე იქნება, – უთხრა სმოკს, – გარდა ამისა, შენი ძაღლები მე უნდა წავიყვანო.

– რა ამბავია, ისევ ოქროს ციებ-ცხელება დაიწყო? – წვრილი ხმით იკითხა მოხუცმა, როცა ძაღლების ყვამ, ხალხის შეძახილებმა და თხილამურების ჭრიალმა ოთახში გამეფებული სიჩუმე დაარღვია.

– ჰო, მსგავსი რამ ჯერ არსად მინახვს, აბა, ხელი შეახე, მოხუცო! – მიუგო ლუისიმ და ოქროს მოზრდილი ნატეხი ხელში ჩაუდო.

მაგრამ მოხუცი დიდად არ დაინტერესებულა.

– ამ მმარეში საუცხოო ბეჭეული იცოდა, – ნაღვლიანად თქვა მან, – მერე კი წყეული ოქროსმადიებლები მოვიდნენ და ნადირი დააფრთხეს.

კარი გაიღო და ქოხში ბრეკი შემოვიდა.

– საუცხოოა, – გაიცინა მან, – ყველანი წავიდნენ, მხოლოდ ჩვენ ოთხნი დავრჩით. აქედან ჩემს ბანაკამდე ოთხმოცი მილია: აქ წასვლა-მოსვლას, სულ ცოტა, ოთხი დღე მაინც დასჭირდება, მაგრამ თქვენ ახლავე გაიქცით, სმოკ. ბრეკმა თავისი სანადირო დანით გადაჭრა ტყვის ღვედები, რომლითაც სმოკი იყო გაკრული და ქალს შეხედა;

– იმედი მაქვს, საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მისის, – ზრდილობიანად ჰკითხა მან.

– თუ სროლას აპირებთ, ჯერ ქოხიდან გამიყვანეთ, – თქვა მოხუცმა.

– მე სათვალავში ნუ ჩამაგდებთ, – მიუგო ლუსიმ, – თუკი ადამიანის ჩამოსახრჩობად არ გამოვდგები, არც მის მცველად ვივარგებ...

სმოკი წამოდგა და დაბუჩბული ხელფეხის ზელას მოჰყვა.

– მე ყველაფერი გაგიმზადეთ სამგზავროდ, სმოკ, – უთხრა ბრეკმა, – ათი დღის საგზალი, საბანი, ასანთი, თამბაქო, ნაჯახი და თოფიც კი.

– გაიქცით, უთხრა ლუსიმ, – რაც შეიძლება სწრაფად მოიტოვეთ უკან ის წყეული მაღალი მთები.

– ჯერ ცოტას დაგნაყრდები, – თქვა სმოკმა, – წასვლით კი პირდაპირ მექ ქვეშენისკენ წავალ, მინდა, თქვენც წამომყვეთ, ბრეკ, მკვლელი უნდა მოვიძიო.

– დამიჯერეთ, თქვენ სტიუარტით იუკონში უნდა გახვიდეთ, – დაბეჯითებით თქვა ბრეკმა, – თორემ ეს ბრბო უკან რომ მობრუნდება. კარგი დღე არ დაგადგებათ.

სმოკმა გაიცინა და თავი გაიქნია.

– ჯერჯერობით აქედან არსად წავალ, ბრეკ, ძალიან დამაინტერესა ამ მხარემ, არ ვიცი, ირწმუნებთ თუ არა ჩემს სიტყვას, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ მივაგენი „საოცარ ტბას“. ეს ოქროც სწორედ იქიდანაა. გარდა ამისა, ჰარდინგმა ჩემი ძაღლები წაიყვანა და მათ უნდა დაველოდო. დამიჯერეთ, გაღმა ნაპირზე კაცი იყო დამალული. ცოტა გაწყდა, ტყვიით კინალამ დამცხრილა.

ნახევარი საათის შემდეგ სმოკს წინ ედგა თეფშით ირმის ხორცი ფინჯნით ყავა და გემრიელად იღუკებოდა.

უცებ რაღაც ხმაური შემოისმა და სკამიდან წამოიწია.

ლუსიმ კარი გამოაღო და ყინვით შეჭირხლული ორი მამაკაცი დაინახა. ისინი მარხილიდან რაღაც მოგრძო საგანს იღებდნენ.

– სპაიკ, მეთოდი, რაზე მობრუნებულხართ? – შეეკითხა იგი.

– ჩვენ ზემო სადგომიდან დავბრუნდით, – თქვა ერთმა მათგანმა, როცა ორივენი ქოხში შევიდნენ და თან ტყავებში გახვეული რაღაც საგანი შემოიტანეს, – აი, გზაში ამას წავაწყდით, საცაა სული ამოხდება.

– აგერ, იმ ტახტზე დააწვინეთ, – უთხრა მათ ლუსიმ.

იგი დაიხარა და ტყავი გადასწია, გამონჩნდა ყინვისაგან აქერცლილი, ჩაღურჯებული ახე და დიდრონი შავი თვალები.

– ღმერთო ჩემო, ეს ხომ ალონსოა! – დაიყვირა ქალმა, – ეს უბედური ალბათ შიმშილით კვდება.

– სწორედ ეგ იწვა იქ, გაღმა ნაპირზე, – ხმადაბლა გადაულაპარაკა სმოკმა ბრეკს.

– ჰო, ჰარდინგის სურსათის სამალავისთვის მიეგნო, – თქვა მეთოდიმ, – ჩვენ რომ მივედით, ფქვილსა და ღორის გაყინულ ხორცს ჭამდა, თან ქორივით გაჰკიოდა. შეხედეთ, ეტყობა დამშეულია, თანაც ერთიანად გათოშილა. წუთი წუთზე შეიძლება სული ამოხდეს.

ნახევარი საათის შემდეგ, როცა ტახტზე უძრავად გაშეშებულ სხეულს კვლავ ტყავი წააფარეს, სმოკი ლუსის მიუბრუნდა.

– თუ არ შეწუხდებით, მისი ჰიბოდი, ხორცი კიდევ შემიწვით, მხოლოდ გეთაყვა, ცოტა მოზრდილი ნაჭერი იყოს და მეტისმეტად ნუ შებრაწავთ.

შეჯიბრება

I

– ოჰო, მწვიდობაში ახალი ტანსაცმელი... – შორტიმ ეშმაკურად ახედ-დახედა ამხანაგს, ვითომდა, ჩაცმულობას გიწუნებო.

სმოკმა ის-ის იყო ჩატცვა ახალი შავალი, ახლა ნაკეცებს ხელით ასწორებდა და მაინცდამაინც გუნებაზე ვერ იყო.

– საუცხოოდ გადგას, მიუხედავად იმისა, რომ სხვის ტანზეა შეკერილი, – განაგრძო შორტიმ, – რა დაგიჯდა?

– მთლიანად კოსტუმში ას ორმოცდაათი დოლარი მივეცი, – მიუგო სმოკმა, – გამყიდველი დაახლოებით ჩემი სიმაღლისა იყო, მეგონა, იაფად მოვურიგდი-მეთქი. ერთი მითხარი, რას იკბინები?

– ვინ, მე ვიკბინები? პირიქით, ვფიქრობ, რომ ეს კოსტუმი შენთვის ზედგამოჭრილია, მით უმეტეს, როცა გამახსენდება, როგორ მოვევლინე დოუსონს, გათოშილ-გაყინული, უსურსათოდ. გზაში უმ ხორცს აღეჭებოდი, გაწყალბული საცვლები, დაფლეთილი წყვილი მოკასინებისა და შარვლის გარდა არაფერი მოგყოლია, კაცი იფიქრებდა, ჩაძირული გემიდან ემოუთრევიათო. კარგია-მეთქი, კარგი, დამიჯერე.

– ჰოდა, რა გნებავეს ახლა? – შეუტია სმოკმა.

– რა ჰქვია იმ ქალს?

– ვინ ქალს, რა ამბობ? თუ ძალიან გაინტერესებს, პოლკოვნიკმა ბოვიმ სადილად მიმიწვია. სწორედ რომ ხათაბალა ხარ, შორტი, გეტყობა, ეჭვიანობ, რაკი მე მთხოვეს მისვლა და არა შენ.

– ხომ არ იგვიანებ? – მზრუნველობით შეეკითხა შორტი.

– სად უნდა დაგიგვიანო?

– სად და სადილზე, შენ რომ მიხვალ, ისინი ალბათ უკვე ვახშმად ისხდებიან.

სმოკმა დააპირა მწარედ ეპასუხა, მაგრამ ამ დროს მეგობრის თვალებში რაღაც ეშმაკური ნაპერწკალი შენიშნა და ჩაცმა განაგრძო. მის თითებს ძველებური მოქნილობა დაკარგვოდა, ამიტომ საკმაოდ გაწვალდა, ვიდრე ჩითის პერანგზე ყელსახვევს მოირგებდა და მარყუჟს გამოსკვნიდა.

– ნეტავ ჩემი გახამებული პერანგები სამრეცხაოში არ გამეგზავნა, – თანაგრძნობით ჩაიბუტბუტა შორტიმ, – გათხოვებდი რომელიმეს.

სმოკმა მატყლის წინდა ჩაიცვა, ვიწრო ფეხსაცმელში ფეხი ვეღარ ჩაატიდა და ახლა საშინლად წვალობდა. ვედრებით გადახედა შორტის, მაგრამ მან თავი გააქნია.

– არა, არა, რომ მქონდეს კიდევ, თხელ წინდას მაინც არ გათხოვებდი, ისევ მოკასინი ჩაიცვი, მაგ ჩახიმახოებში ფეხი მოგეყინება.

– მაშ რაში მივეცი ორმოცდაათი დოლარი? ნახმარი მაინც არ იყოს, – გულისაკლავად თქვა სმოკმა.

– დარწმუნებული ვარ, იქ ყველას მოკასინები ეცმევა, – მაინც თავისას გაიჯახოდა შორტი.

- კი მაგრამ იქ ხომ ქალები იქნებიან. ნამდვილი, ცოცხალი ქალები! მაგალითად, მისის ბოვი და სხვები. პოლკოვნიკმაც ასე მითხრა.
- ნუ გეშინია, მოკასინის დანახვაზე მადა არ წაუხდებათ, - დაამშვიდა შორტიმ, - მაინც ვერ გამივია, რა საქმე უნდა ჰქონდეს პოლკოვნიკს შენთან.
- ეგ მეც არ ვიცი, ალბათ შეიტყო, რომ „საოცარი ტბა“ აღმოვაჩინე, მის დაშრობას მილიონები დასჭირდება, გუგენჰაიმებს კი ალბათ საქმეში ფულის დაბანდება სწადიათ.
- ახლა კი ნამდვილად მოკასინი უნდა ჩაიცივა. ჰმ, ეს პიჯაკი მართლაც ვიწროდ გადგას, შეხე, როგორ ნაოჭდება. თუ საჭმელს მიაძეხი, შეიძლება ნაკერებზე დასკდეს კიდევ. გაფრთხილება, ვინცობაა ქალებს ცხვირსახოცი დაუვარდეთ, ასაღებად არ დაიხარო, დამიჯერეკ ვიცი, რასაც გეუბნები.

II

- პოლკოვნიკი ბოვი, როგორც ეს მაღალხელფასიან სპეციალისტსა და გუგენჰაიმის ცნობილი ფირმის წარმომადგენელს შეეფერებოდა, დოუსონში ყველაზე დიდსა და ყველაზე კარგს სახლში ცხოვრობდა.
- ძველებისაგან ნაგებ ამ ორსართულიან შენობას ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი სასადილო ოთახი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ სასადილოდ იყენებდნენ. ხის იატაკზე დათვის ტყავები დაეფინათ, კედლებზე კი ირმისა და დომბას რქები ეკიდა. ბუხარში და დიდ ღუმელში გუგუნი გაჰქონდა ცეცხლს. აწორედ აქ შეხვდა სმოკი დოუსონის რჩეულ საზოგადოებას. არა უბრალო მილიონერებს, არამედ ქალაქის ნამდვილ ნადებს. ქალაქისა, რომლის მოსახლეობა ქვეყნის ყველა კუთხიდან იყო თავმოყრილი.
- პოლკოვნიკთან სტუმრად იყვნენ ჯონსი - არქტიკის მკვლევარი და ლიტერატორი, კაპიტანი კონსადაინი - ცხენოსანთა პოლიციის წარმომადგენელი, ჰასკელი - ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიის ოქროს საქმეთა კომისარი და ბარონი ფონ შრედერი, იმპერატორის დაახლოებული პირი, დუელების დიდი მოყვარული.
- აქვე იყო ჯოი გასტელიც. ქალს ახლა სამეჯლისო კაბა ეცვა. აქამდე სმოკს იგი მხოლოდ ქურქსა და მოკასინებში ენახა. სუფრასთან გვერდი-გვერდ ისხდნენ.
- თავს წყლიდან ამოგდებული თევზივით ვგრძნობ, - აღიარა სმოკმა, - ყველას ისე მედიდურად უჭირავს თავი. გარდა ამისა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ კლონდაიკში ვინმე ასე ცხოვრობდა. ეს ხომ ნამდვილი აღმოსავლეთური ფუფუნებაა. აბა, ერთი ფონ შრედერს შეხედეთ. რა ძვირფასი კოსტუმი ჰქონია. კონსადაინს კი გახამებული პერანგი ჩაუცვამს, თუმცა შევამჩნიე, რომ ფეხზე მოკასინი აცვია. მართლა, როგორ მოგწონთ ჩემი ტანსაცმელი?
 - სმოკმა მხრები შეატოკა, თითქოს ჯოისგან შექებას ელისო.
 - გეტყობათ, გასუქდით მას შემდეგ, რაც ეგ კოსტუმი შეიკერეთ.
 - შეცდით. აბა, კიდევ იფიქრეთ.
 - ეგ კოსტუმი სხვისია.
 - გამოცანა გერგებათ, ერთი კლერკისაგან ვიყიდე, საკმაოდ ძვირი კი დამიჯდა.
 - სამწუხაროა, რომ კლერკებს ასეთი ვიწრო მხრები აქვთ, - თანაგრძნობით თქვა ჯოიმ. - ახლა თქვენნი ჯერია. ჩემს ტანსაცმელზე რაღას იტყვი?
 - რა უნდა ვთქვა? - შეაგება სმოკმა, - სიტყვა მიწყდება... საკმაოდ დიდხანს დავეხეტებოდი აქეთ-იქით და ახლა თქვენმა დანახვამ თავგზა ამიბნია. აღარც კი მახსოვდა, თუ ქალს მკლავები და მხრები ჰქონდა, თუმცა ხვალ დილით, როცა გამეღვიძება, ჩემი მეგობარი შორტისა არ იყოს, აღმოჩნდება, რომ ყველაფერი ეს

მხოლოდ და მხოლოდ სიზმარში ვნახე. ბოლო დროს სკვო კრიკზე ერთმანეთს რომ შევხვდით...

– მაშინ მეც ინდიელ ქალს ვგავდი, – გააწყვეტინა ჯოიმ.

– არა, მაგას არ გეუბნებით, სკვო კრიკზე აღმოვაჩინე, რომ თქვენ ფეხები გქონდათ.

– მე კი არასოდეს დამავიწყდება, რა გასაჭირიდან მიხვევით. მას შემდეგ დაგეძებდით, მინდოდა, მადლობა გადამეხადა თქვენთვის (სმოკმა მხრები შეიშმუშნა), სწორედ ამიტომაც ხართ დღეს აქ...

– თქვენ სთხოვეთ პოლკოვნიკს, სადილად მოვეწვიე?

– არა, პოლკოვნიკს კი არა, მის ცოლს. ისიც ვთხოვე, სუფრასთან ერთად შეგვესვით-მეთქი. ახლა ყველა საუბარშია გართული, მომისმინეთ და ნუ შემაწყვეტინებთ, იცით, სად არის მონო კრიკი?

– ვიცი.

– გამოირკვა, რომ ეს ადგილი საოცრად მდიდარია. ყოველი განაცხადი მილიონად და მეტადაც არის შეღასებული, განცხადება მხოლოდ ამ რამდენიმე დღის იმ შეიტანეს.

– დიახ, მასსოვს, როგორ მიაწყდა იქაურობას ხალხი.

ჰლდა, მთელი მდინარე დამიჯნულია. ბოძებს გვერდს ვერ აუქცევ, მთავარ შენაკადზე დისკავერის მესამე ნაკვეთი ახლაც თავისუფალია. ეს მდინარე დოუსონიდან იმდენად შორსაა, რომ კომისარმა უფლება დართო განაცხადები ნაკვეთების შემომიჯვნიდან სამოცი დღის შემდეგ გაეტარებინათ რეგისტრაციაში. რეგისტრაციაში გატარდა ყველა განაცხადი. გარდა მესამე ნომრისა, ეს ნაკვეთი საირუს ჯონსონმა შემომიჯნა, მაგრამ თვითონ კი სადღაც გაქრა. არავინ იცის, მდინარეს მალა აჰყვა, დაბლა დაუყვა, თუ საერთოდ სული განუტევა, ექვსი დღის შემდეგ რეგისტრაციის ვადა იწურებოდა და ამ ნაკვეთს იმას მიაკუთვნებენ, ვინც მოასწრებს დაასოს ბოძები, პირველი დაბრუნდეს დოუსონში და განაცხადი რეგისტრაციაში გაატაროს.

– ხუმრობა ხომ არ არის მილიონი დოლარი! – ჩაიბუტბუტა სმოკმა.

– შემდეგი ნაკვეთი იქ გილკრაისტს ეკუთვნის. ჰოდა, მან ერთი ციცხვიდან ექვსას დოლარამდე ოქრო მიიღო. სხვა ნაკვეთები კი, როგორც ვიცი, უფრო მდიდარი უნდა იყოს.

– კი მაგრამ, ეს ამბავი აქამდე არავინ იცის? – დაეჭვებით ჰკითხა სმოკმა.

– მალე გაიგებენ. დიდხანს ინახავდნენ საიდუმლოდ, ახლა კი ყველაფერი გამჟღავნდება. ოცდაათხ საათში ძაღლები ზღაპრულ ფასად გაიყიდება. როგორც კი სადილი დამთავრდება, აქედან უნდა წახვიდეთ, მაგრამ ისე კი, რომ მასპინძლები ნაწყენი არ დარჩნენ. მე ყველაფერი მოვიგვარე: ერთი ინდიელი ბარათს მოგიტანთ, თქვენ წაიკითხავთ, შეწუხდებით, ბოდიშს მოიხდით და წახვალთ.

– არა, არა, მე ახლა არსად წამსვლელი არა ვარ!

– სისულელეა! – ჩურჩულით უთხრა ჯოიმ, – ამდამვე უნდა იშვოთ ძაღლები. კარგი შებმა ორგან იყიდება. ერთი პენსონს ჰყავს – შვიდი უზარმაზარი, ჰუძონური ძაღლია, თვითეულში ოთხას დოლარს თხოულობს. შეიძლება დღეს ეს ძალიან ძვირად გეჩვენოთ, მაგრამ ხვალ ასე აღარ იფიქრებთ. მეორე შებმა სიტკა სარლის საკუთრებაა – რვა მელიმუტია. სამი ათას ხუთას დოლარს აფასებს. ხვალ იგი სიცილით გაიგუდება ხუთი არასი დოლარიც რომ შესთავაზოთ. გარდა ამისა, ძაღლები თქვენცა გყავთ. ეს ყველაფერი ამდამვე უნდა მოაგვაროთ, მონომდე ას ათი მილი გექნებათ გასავლელი და ძაღლები რაც შეიძლება ხშირად უნდა შეცვალოთ.

– ვატყობ, გინდათ, ამ საქმეში ჩამაბათ, – ყვებ-სვენებით თქვა სმოკმა.

– თუ ძაღლებისათვის ფული არ გეყოფათ, მე... – ჯოი შეეყოყმანდა, მაგრამ სათქმელი სმოკმა დაასწრო:

– ძაღლების ყიდვა ჩემთვის ძნელი არ იქნება, მაგრამ... მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ... ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ აზარტული თამაშია?

– აზარტული თამაში „ირმის რქაში“ რულეტზე თქვენი წარმატებების შემდეგ არ უნდა გაშინებდეთ, ეს ერთგვარი სპორტული შეჯიბრება იქნება. შეჯიბრება მილიონი დოლარისათვის. თქვენი მეტოქეები იქნებიან აქაური საუკეთესო მარეკები და მოგზაურები. მათ ჯერჯერობით არაფერი იციან, მაგრამ ხვალ ამ დროისათვის უკვე გაიგებენ და ძაღლებიც წარმოუდგენლად გაძვირდება. დიდი ოლაფი ახლა ქალაქშია. ერთი თვის წინათ დაბრუნდა სირკლ სიტიდან. ამ შეჯიბრებაში ყველაზე მეტად მისი უნდა გეშინოდეთ. მეორე – არიზონა ბილია. მას წლების განმავლობაში მიჰქონდა-მოჰქონდა ტვირთი და ფოსტა. ჩემი აზრით, ყურადღების ცენტრში ეს ორი ადამიანი იქნება.

– ბა თქვენ გინდათ, მე მეცამეტე გოჭის როლი ვიკისრო?

– დიახ, დიახ, ამაშია თქვენი უპირატესობაც, თქვენ მეტოქეობას არაფრად ჩააგდებენ, რადგან ჯერ კიდევ ჩენაკოდ გთვლიან, წელიწადიც არ შესრულებულა, რაც ამ ქალაქში ხართ, ჰოდა, თქვენზე ვინ რას იფიქრებს.

– მაშ მეცამეტე გოჭმა, ბოლოს და ბოლოს, თავი უნდა გამოიჩინოს, არა?

ჯოიმ თავი დაუქნია და გულწრფელად განაგრძო:

– გახსოვდეთ, თუ ამ შეჯიბრებაში ვერ გაიმარჯვებთ, მე არასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს სკვო კრიკზე მომხდარ ამბავს. თქვენს გარდა, არც ერთ ჩენაკოს არ ვაპატიებდი ჩვენი ძველი მცხოვრებლების დაჩაგვრას.

ჯოიმ ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, რომ სმოკს ტანში ცხელ ტალღად დაურბინა სისხლმა და გული აჩქარებით აუძგერდა. მცდელად შეხედა ქალს და მის თვალებში ბევრი რამ ამოიკითხა.

– მე მივიღებ მონაწილეობას ამ შეჯიბრებაში და გავიმარჯვებ კიდევ, – თქვა მან.

ჯოის თვალებში აკიაფებული სიხარულის ნაპერწკალი სმოკისათვის მონო ქლეიმის მილიონებზე უფრო დიდი ჯილდო იყო. იგრძნო, სუფრის ქვეშ ჯოი მის ხელს დაეძებდა, სწრაფად შეაგება მარჯვენა და როცა ქალმა მაგრად შემოაჭლო ხელზე თითები, ტანში კვლავ ჟრუანტელმა დაურბინა.

„შორტი რას იტყვის?“ გაუეღვა თავში, როცა ჯოის ხელს ხელი შეუშვა. იგი უკვე ეჭვით შეყურებდა ფონ შრედერს და ჯონსს და უკვირდა, ნუთუ ვერ ამჩნევენ, რა ღვთაებრივი სილამაზითაა დაჯილდოებული ეს ქალიშვილი, გვერდით რომ მიზისო.

ფიქრიდან ჯოის ხმამ გამოარკვია.

– არეზონა თეთრკანიანი ინდიელია, – ამბობდა ქალი, – დიდი ოლაფი კი – დათვების მტერი, ყინულეთის მბრძანებელი და ძაღლონით სავსე ველური, იგი ინდიელზე ამტანია, მთელი სიცოცხლე ყინულოვან უდაბნოში გაატარა.

– ვიზე ლაპარაკობთ? – იკითხა კაპიტანმა კონსოდაინმა, რომელიც სუფრაზე მათ პირდაპირ იჯდა.

– დიდ ოლაფზე, – მიუგო ჯოიმ, – ეს-ეს არის ვეუბნებოდი მისტერ ბელიუს, რა დაუღალაფი მოსიარულეა ეს კაცი-მეთქი.

– მართალი ბრძანდებით, – ბოხი ხმით თქვა კაპიტანმა, – დიდი ოლთფი იუკონში საუკეთესო მოსიარულეა. ათას რვაას ორმოცდათხუთმეტ წელს მხოლოდ მან შეძლო მოეტანა დოუსონში მთავრობის სასწრაფო დეპეშები, მაშინ როცა ჩილკუტში ორი კურიერი გაიყინა, მესამე კი „ოცდამეათე მილთან“ წყალში დაიხრჩო.

III

სმოკი ნელა მიდიოდა მონო კრიკისაკენ, ეშინოდა, ძაღლები არ დადლილიყვნენ, ვიდრე შეჯიბრი გახურდებოდა. ამასთან ეცნობოდა გზას და იმასსოვრებდა ადგილებს, სადაც დასვენებული ძაღლები ეყენა. შეჯიბრებაში იმდენი ხალხი მონაწილეობდა, რომ მთელი ას ათი მილი, მონო კრიკამდე ფართოდ გადაშლილ სოფელს წააგავდა. მთელ მანძილზე ჩარიგებული იყო მათი ბანკები. ფონ შრედერს, რომლისთვისაც ეს შეჯიბრება მხოლოდ და მხოლოდ სპორტული გართობა იყო, ძაღლების თერთმეტი შებმა ჰყავდა, არიზონა ბილი რვა შებმით უნდა დაკმაყოფილიყო. დიდ ოლაფს კი შვიდი შებმა ჰყავდა, იმდენივე, რამდენიც სმოკს. მათთან ერთად მონაწილეობდა ორმოციოდე სხვა კაცი. ოქროთი მდიდარ ჩრდილოეთშიც კი ვოველდღე როდი ეწყობა ძაღლების შეჯიბრება მილიონი დოლარისთვის. ძაღლები თითქმის აღარსად დარჩა, მათ ორჯერ და თითქმის ოთხჯერ ძვირად ჰყიდდნენ.

უბანი ნომერი სამი მონო კრიკის შესართავად ათი მილის დაშორებით იყო. დანარჩენი ასი მილი იუკონის გაყინულ მკერდზე უნდა გაეველოთ. მესამე ნომერთან ორმოცდაათი კარავი იდგა და სამასზე მეტი ძაღლი იყო. საირუს ჯონსონის მიერ სამოცი დღის წინათ სასმული ბოძები ისევ ისე იდგა. შეჯიბრების ყოველ მონაწილეს რამდენჯერ უნდა შემოირბინა ნაკვეთი, რადგან ძაღლების შეჯიბრების წინ უსწრებდა რბენა დაბრკოლებების გადალახვით. ყოველ მათგანს უნდა დაესო ბოძები – ორი ცენტრში და ოთხი კუთხეებში, ორჯერ გასულ-გამოსულიყო მდინარეში და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდა უფლება მარხილით დოუსონისკენ წასულიყო.

უბანი ხელახლა პარასკევს, შუაღამისას, უნდა დაემიჯნათ. მანამ კი არავის ჰქონდა უფლება, ბოძები ჩაეყარა. ასეთი იყო კომისრის ბრძანება დოუსონში და კაპიტანმა კონსადანმა ამ ბრძანების შესასრულებლად ცხენოსანი პოლიციის ერთი ჯგუფი მონო კრიკზე გაგზავნა. კამათი ატყდა, პოლიციელების საათი მზის საათისაგან განსხვავებულ დროს ხომ არ უჩვენებსო. კაპიტანმა კონსადანმა დროის დანიშვნა ლეიტენანტ პოლოკს დაავალა.

მონოზე მარხილის სავალი ბილიკის სიგანე ორ ფუტს აღწევდა. ბილიკი თხრილივით იყო ჩატრილი აქეთ-იქით აღმართულ თოვლის მაღალ კედლებს შორის. ყველა დაეჭვებული იყო, ასე ვიწრო გზაზე ორმოცი მარხილი და სამასი ძაღლი როგორ უნდა გაეციოსო.

– ჰმ, – თქვა შორტიმ, – ჯერ არნახული ჯგლეთა და ზედახორა იქნება, მე ვერ ვხედავ გამოსავალს, სმოკ, გარდა იმისა, რომ ძალით გავიჭრეთ წინ. მდინარის მთელი ზედაპირი ყინვისაგან სარკესავით რომ იყოს გადალესილი, ათამდე მარხილი გვერდი-გვერდ მაშინაც კი ვერ გაივლიდა. გული მიგრძნობს, სანამ აქედან გააღწევდნენ, ერთი ვაი-უშველებელი დატრიალდება, ჰოდა, თუ ვინმემ გზა გადაგვიჭრა, ნება მომეცი, ჩემი მუშტრის ძალა ვაგემო.

სმოკმა მხრები შეიშმუშნა და ორაზროვნად გაიცინა.

– არა, არა, – შემფოთებით იყვირა შორტიმ, – შენ ჩხუბში არ უნდა გაერიო, ხელი რომ წაიმტვრიო, როგორღა გინდა, ძაღლებით ასი მილი გაირბინო? ხელს კი უსათუოდ წაიმტვრევ, თუ დააპირებ ვინმეს ყბა მოუსინჯო.

სმოკმა თავი დაუქნია.

– მართალი ხარ, შორტი, მე უფლება არ მაქვს თავი საფრხეში ჩავიგდო.

– დაიხსოვებ კიდევ ერთი რამ, – განაგრძო შორტიმ, – პირველ ათ მილზე მარხილს მე წავიყვან, მანამდე რაც შეიძლება მშვიდად იყავი, მერე კი შენ იცი და შენმა ძაღლებმა, ყური ხომ არ მოგიკრავს რას აპირებს შრედერი?

– მან ძაღლების პირველი შებმა მდინარეს დააყოლა და აქედან მეოთხედი მილის დაშორებით დატოვა. თავის მარხილს მწვანე ფარნის შუქზე იცნობს. მაგრამ ჩვენ რას გაგვაცურებს? ყოველ შემთხვევაში მე წითელი შუქი მირჩევნია.

IV

ნათელი და ყინვიანი დღე იყო, მაგრამ მერე თანდათან შეიდრუბლა და ბნელი, თბილი ღამე ჩამოწვა. თითქოს თოვასაც აპირებდა. თერმომეტრი თხუთმეტ გრადუს ყინვას უჩვენებდა. ეს კი კლონდაიკისთვის გვარიან სითბოს ნიშნავს.

შუალამეს რამდენიმე წუთიდა აკლდა, როცა სმოკმა მდინარის დაყოლებით ხუთას იარდაზე ჩააცილა შორტი, თვითონ კი შეუერთდა ხალხს მესამე უბანზე. ორმოცდახუთი კაცი ელოდა ნიშანს, რომ უფლება მოეპოვებინათ მილიონ დოლარზე, საირუს ჯონსონმა გაყინული მიწის ქვეშ რომ დატოვა. ყოველ ოქროსმადიებელს ტიკის მძიმე პარკა ეცვა და თან ექვს ბოძს და ხის მძიმე ჩაქუნს მიათრევდა.

ლეიტენანტმა პოლოკმა, დათვის ფართო ქურჭი რომ ეცვა, ცეცხლის შექმნა დახედა საათს: თორმეტს ერთი წუთი უკლდა.

– მოემზადეთ! – დაიყვირა მან. მარჯვენა ხელით რევილვერი შემართა, მარცხენაში კი საათი დაიჭირა და გაფაციცებული დააცქერდა ისარს.

ორმოცდახუთი კაპიშონი გადასრიალდა უკან, ორმოცდახუთი წყვილი ხელი გაშიშვლდა, ორმოცდახუთი წყვილი მოკასინი მაგრად ჩაეჭიდა დატკეპნილ თოვლს და ჰაერში ორმოცდახუთი ჩაქუჩი აღიმართა.

გაისმა სროლა, აკაკუნდა ჩაქუჩები და საირუს ჯონსონმა დაკარგა უფლება თავის მილიონზე. ლეიტენანტმა პოლოკმა არეგ-დარევის თავიდან ასაცილებლად განკარგულმა გასცა, პირველად დაესოთ ქვემო ცენტრალური ბოძი, შემდეგ – სამხრეთ აღმოსავლეთის, სულ ბოლოს კი – ზემო ცენტრალური.

სმოკმა ბოძი დაასო და ათიოდე კაცთან ერთად წინ გაიჭრა. კუთხეებში კოცრნები ენთო და ყოველ კოცონთან თითო პოლიციელი იდგა. მათ ხელში ეჭირათ ქაღალდის ფურცლები, რომლებზედაც შეჯიბრების მონაწილეთა გვარები ეწერა. ვინც გვერდით გაურბენდა, ვაღდებული იყო სახე გამოეჩინა და გვარიც ეთქვა, მაშინ პოლიციელი მის გვარს სიიდან ამოშლიდა.

ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ შეიძლებოდა, ბოძები მიოტყუებით სხვა ვინმეს დაესო, შეჯიბრების ნამდვილი მონაწილე კი ამასობაში დოუსონისაკენ გაქანებულიყო.

პირველ კუთხეში ფონ შრედერმა და სმოკმა გვერდი-გვერდ დაასვეს ბოძები, ისინი ჯერ კიდევ ჩაქუჩებს უკაკუნებდნენ, რომ მოიჭრნენ სხვა ოქროსმადიებლები. ერთმნეთს ფეხებში ებლანდებოდნენ, ძიძგილაობდნენ და ყვიროდნენ.

სმოკი დიდი გაჭირვებით გაძვრა მათ შორის და ის იყო, პოლიციელს თავისი გვარი მიაძახა, რომ ბარონს ვიდაც კაცი დაეჯახა და თოვლში გადააყირავა. სმოკი არ შეჩერებულა, უკვე რამდენიმე კაცმა გაუსწრო წინ, ცეცხლის მკრთალ შექმნე თვალი ჰკიდა დიდი ოლაფის უზარმაზარ ზურგს.

სმოკმა და ოლაფმა სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ერთდროულად დაასვეს ბოძები.

არცთუ ასე ადვილი იყო ეს ეშმაკის მოგონილი სირბილი დაბრკოლებებით; მესამე უბანი თითქმის ერთ კილომეტრზე იყო გაჭიმული. ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდათ ოდრონოდრო და ღრანტე ადგილები, რომლებიც ახლა თოვლს დაეფარა. ყველა ბორძიკობდა და ეცემოდა. რამდენჯერმე სმოკსაც აუსხლტა

ფეხი, თავდაყირა დაეშვა და ნამქერში ჩაიმუხლა. ერთხელაც ოლაფი ზედ მის წინ გაიშხლართა, სმოკი წამოედო მის ფეხს და თვითონაც ზღართანი მოიღო.

ზემო ცენტრალური ბოძი უნდა დაესოთ მდინარის ციცაბო კიდეზე. ოქროსმადიებლები ჩაჰყვნენ დამრეც ფერდობს და მეორე ნაპრისკენ გაქანდნენ. სმოკი ფორხილით მიჰყვებოდა აღმართს, რომ უეცრად ვიღაცამ წვივში ხელი სტაცა და დაბლა დაითრია. კოცონის შორეული შუქი ოდნავ ანათებდა იქაურობას და სმოკმა ვერ გაარჩია, ვინ იყო ეს არამზადა. ამ დროს უცნობმა არიზონა ბილიც დასცდა ძირს. ბილი წამოდგა და უცნობს მაგრად გაუქანა მუშტი ყბაში. ამასობაში სმოკი გაჭირვებით წამოდგა, მაგრამ ვიდრე ფეხს გადაადგამდა, ვიღაცამ მასაც უთავაზა მუშტი და დარეტიანებული უვლავ ძირს დაეხეთქა. ბარბაცით გასწორდა, უცნობი თვალთ შეზომა და მუშტი დასარტყმელად შემართა, მაგრამ შორტის დარიგება გაახსენდა და თავი შეიკავა, იმავე წამს ვიღაც ღეხებში გაებლანდა და სმოკი კვლავ მოწყვეტით დაეხეთქა ძირს.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი იმისა, რაც მოხდა წემდეგ, როცა ოქროსმადიებლებმა თავის მარხილებს მიაღწიეს. ადამიანები ფრიალო ნაპირზე მიფორთხავდნენ, ერთმანეთზე ეცემოდნენ, მერე წამოდგებოდნენ, ყველა ერთად მიიწვედა ზემოთ, მაგრამ მოწინააღმდეგეები კვლავ დაბლა აგდებდნენ. იყო ერთი თავპირისმტვრევა და მუშტი-კრივი, აქლოშინებული, ძაღლონეგამოცლილი ხალხი წყველა-კრულვით ავსებდა აქაურობას. სმოკს უცებ ჯოი გასტელის სახე დაუდგა თვალწინ და გაიფიქრა, ნეტავ ამ ჯოჯოხეთში ერთმანეთს ჩაქუჩები არ დასცხონო. იგი კიდევ რამდენჯერ დაანარცხეს ძირს, მაგრამ ყოველთვის ფეხზე დგებოდა. იმ ჯგლეფთაში ერთ-ორჯერ ბოძები გაუვარდა ხელიდან და ფოთხვითა და ხელის ცეცებით ძლივს მოძებნა თოვლში. ბოლოს, როგორც იქნა, თავი დაადწია ერთმანეთში ახლართულ-დახლართულ სხეულებს და ისევ აჰყვა ნაპირს. მას სხვებიც მიჰყვნენ, მაგრამ მათთვის კარგა ბლომა ხალხს გაესწრო წინ. ყველანი ჩრდილო-დასავლეთისაკენ გარბოდნენ. სმოკი მეორე კუთხისაკენ გაქანდა, მაგრამ შუა გზაზე დაეცა და უკანასკნელი ბოძი დაეკარგა. ხუთი წუთი მაინც ეძებდა სიბნელეში. აქეთ-იქიდან კი აქლოშინებული ადამიანები მორბოდნენ. უკანასკნელი კუთხიდან მდინარისკენ დაეშვა და სხვები თანდათან ჩამოიტოვა. მდინარესთან ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ათამდე მრხილი გაძარცვათ, გადაებრუნებინათ და ასამდე ძაღლი ერთმანეთს მისეოდა. ხროვაში გააფთრებული ადამიანები ჩამდგარიყვნენ, ხელკეტებს იქნევდნენ და ცდილობდნენ, ძაღლები დაეცილებინათ. სმოკმა ამ სურათზე წამით თვალი შეაჩერა და გაიფიქრა, მსგავსი რამ დორეს გროტესკებზეც არ შემხვედრიაო.

იგი ვიწრო გასასვლელით დაეშვა დაბლა, ბილიკზე გააღწია. მარხილის ნაკვალევზე სიარული უფრო გაუადვილდა. აქ, ვიწრო გზაზე, გატკეპნილ თოვლში ძაღლები ელოდნენ შეჯიბრების მონაწილეებს, რომლებიც ჯერ კიდევ სადღაც შორს იყვნენ. ჯცებ გაისმა ძაღლების ყმუილი, ფეხის ხმა და სმოკმა ძლივს მოასწრო ღრმა თოვლში გადამხტარიყო. მარხილმა სწრაფად ჩაიქროლა და სმოკმა დაინახა ზედ დაჩოქილი კაცი, გაათრებული რომ ღრილებდა. მაგრამ უეცრად მარხილი შეჩერდა, ატყდა საოცარი ხმაური. მარხილებთან მდგარი ლოდინით გაბეზრებული ძაღლები ხელიდან დაუსხლტნენ პატრონებს და ახალმოსულებს დაერივნენ. სმოკმა გვერდი უაურა მათ, წინ გაიქცა, თვალი მოჰკრა ფონ შრედერის მწვანე ფარანს და იქვე მოციმციმე წითელ შუქსაც, მის მარხილზე რომ ენთო. ფონ შრედერის მარხილს ხელკეტებით შეიარაღებული ორიკ კაცი იცავდა.

– სმოკ, სმოკ, იჩქარე! – შემფოთებული ხმით დაუძახა შორტიმ.

– მოვდივარ! – ხმა მიაწვდინა სმოკმა.

წითელი ფარისი შუქზე დაინახა აჩიქნილ-დაჩიქნილი, ზოგან კი დატკეპნილი თოვლი და რაკი შორტიც მძიმედ სუნთქავდა, მიხვდა, აქ ხელჩართული ბრძოლა ყოფილაო. სმოკი მარხილში ჩაჯდა. შორტიმ მათრახი გაატკაცუნა და დაიყვირა:

– გასწით, თქვე გასაწყვეტებო, გასწით!

ძაღლები დაიძაგრნენ და მარხილი ადგილს მოწყდა. ეს შებმა სმოკმა ჰედსონისაგან შეიძინა, ჰუძონური უზარმაზარი ძაღლები იყვნენ. სმოკმა ისინი პირველი გადასარბენისათვის შეარჩია, მათ უნდა გაეველოთ ათი მილი მონოდან და ათი მილი იუკონზე. ეს მეტად მძიმე, თოხშერგილებით დაფარული გზა იყო.

– რამდენი კაცია ჩვენს წინ? – იკითხა სმოკმა.

– მოკუმე პირი, სუნთქვა დაზოგე, – მიუგო პასუხად შორტიმ.

– აბა, ჰე, მხეცებო, გასწით წინ, წინ!

შორტის ბაწრისათვის ჩაველო ხელი და მარხილს უკან მისდევდა. სმოკი ვერ ხედავდა მას, ვერც მარხილს, რომელზედაც მთელ სიგრძეზე გაწოლილიყო. კოლონები უკან ჩამოიტოვეს და ახლა მთელი სისწრაფით მიარღვევდნენ წყვდიადს ბნელ კედელს. დამე როგორღაც სქლად დასწოლოდა მიწას, როგორც ხელშესახები რამ საგანი.

სმოკმა იგრძნო, რომ მარხილმა სადღაც გადაუხვია, რაღაცას დაეჯახა, დაფერადდა და შედგა. წინიდან მოისმა ძაღლების ყმუილი და ადამიანების ლანძღვა-გინება. შემდეგში ამ ადგილს ბარნასლოკუმის ზედახორა უწოდეს. ბარნის და სლოკუმის მარხილები პირველი დაეჯახნენ ერთმანეთს და სმოკის უზარმაზარი ძაღლები, ეს ნახევარად მოშინაურებული მგლები, მთელი სისწრაფით შეიჭრნენ მათ შუა. მონო კრიკზე იმ დაის მღელვარებამ ბრძოლის ჟინი გაუღვიძა ძაღლებს. კლონდაიკელი ძაღლებისათვის ჩვეულებრივად, ადვილს არ ხმარობენ, მათ ყვირილით და შეძახილებით აჩერებენ, ამიტომ ახლა არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდათ შეეწვივით ეს საზარელი ბრძოლა ვიწრო ბილიკზე. მათ უკან კი მარხილი მარხილს აწყდებოდა და ამ ორომტრიალს უფრო აძლიერებდა. კაცებმა, როგორც იყო, გააშველეს ძაღლები, მაგრამ მათ ირგვლივ სწრაფად იზრდებოდა საუცხოოდ მოვლილი, კარგად დასვენებული, საჩხუბრად გამზადებული ქოფაკების ხროვა.

– როგორმე ესენი აქეთ-იქით უნდა მივეყარ-მოვეყაროთ, გზა გავიკაფოთ და მოვეუსვათ, – ჩაუჩურჩულა შორტიმ სმოკს. – შენ ხელი არ გამოიღო, მუშტი-კრივი ჩემზე იყოს.

შემდეგში სმოკი ამაოდ ცდილობდა გაეხსენებინა, ნახა, რომ ვიღაცის მუშტის წყალობით ყბა შესიებული ჰქონდა, მეორეს მხარზე ხელკეტი დაერთყა და ახლა უმოწყალო ტკივილი აწუხებდა, ფეხზე იმ ადგილას, სადაც ძაღლმა კბილი დაასო, თბილი სისხლი მოწანწკარებდა, პარკას ორივე სახელო შემოფხრეწილი ჰქონდა, სმოკი დაეხმარა შორტის და მათ ხელახლა შეაბეს ძაღლები, მაგრამ თავი სიზმარში ეგონა. ერთი ძაღლი სიკვდილის პირას მიეყვანათ, ამიტომ შებმიდან გამოსხნეს და დაწყვეტილი ღვედები და მოსართავი სიბნელეში ძლივსძლივობით გადააბეს ერთმანეთს.

– ახლა კი მარხილზე გაწექი და ცოტა მოითქვი, – უბრძანა სმოკს შორტიმ.

ძაღლები დაჰყვნენ წყვდიადით მოცულ გზას ქვემოთ, მონო კრიკზე, ფართო ველი გადაჭრეს და იუკონზე გავიდნენ. აქ პატარა ნაკადულის და მდინარის შესართავთან ვიღაცას ცეცხლი გაეჩაღებინა. კოცონთან შორტი დაემშვიდობა სმოკს. ძაღლები სირბილით გაუყვნენ გზას და მარხილიც სწრაფად გასრიალდა წინ. ცეცხლის შუქზე სმოკის მესხიერებაში აღიბეჭდა ჩრდილოეთის კიდევ ერთი დაუვიწყარი სურათი: ეს იყო შორტი, ტორტმანით რომ მოდიოდა წინ, წამისწამ ღრმა თოვლში ეფლობოდა და სმოკს გამამხნეველ სიტყვებს მისძახოდა,

მიუხედავად იმისა, რომ ცალი თავლი ჩაღურჯებოდა, თითები გადამტკვროდა, ხელზე კი ძაღლის ნაკბენიდან სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა.

V

– რამდენი კაცი მიდის ჩემს წინ? – იკითხა სმოკმა, როცა პირველ შეჩერებაზე ჰენსონისეული დაღლილი ძაღლები შეცვალა და ჩახტა ახალ მარხილში, რომელიც იქვე ელოდა.

– მე თერთმეტი დავთვალე, – მიაძახა კაცმა სმოკს.

მარხილს ახლა ცხრა ძაღლი ეწეოდა, მაგრამ ეს ყველაზე სუსტი შებმა იყო, თეთრი მდინარის შესართავთან სმოკს კვლავ უნდა შეეცვალა ისინი.

თოშხერგილებით დაფარული ძნელადსავალი მილი “თეთრ მდინარესა” და “მესამოცე მილს” შორის სმოკმა ორად გაჰყო და იქ ყველაზე ძლიერი შებმა დატოვა.

სმოკი გულადმა იწვა და ორივე ხელი მარხილის კიდებისათვის ჩაეკლო. როგორც კი ძაღლები სვლას უკლებდნენ, მუხლებზე წამოიჩოქებდა და ყვირილით აგულიანებდა მათ და ზურგზე შოლტებს უტყლაშუნებდა. თუმცა ძაღლები ღონივრები არ იყვნენ, მაგრამ სმოკმა “თეთრ მდინარემდე” მაინც ორ მარხილს გაუსწრო.

“თეთრი მდინარე” რომ გაიყინა, თოშხერგილებმა ნახევარი მილის მანძილზე შემოზღუდა ყინულჭრილი. მერე ყინულჭრილშიც თანდათანობით გაიყინა წყალი და ახლა ამ თანაბრად გადატკეცილ, სწორ ზედაპირზე ოქროსმადიებლებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, შეუჩერებლად შეეცვალათ ძაღლები, ამიტომაც აქ ყველგან ჩამწკრივებული იყო მარხილები დასვენებული ძაღლებით.

სმოკმა თავზე გადაუარა მარალ თოშხერგილს, სწორზე გავიდა და ხმამაღლა დაიყვირა:

– ბილ, ბილ!

ბილმა გაიგო ხმა, შეეხმაურა და ყინულზე დანთებულ კოცონების შუქზე სმოკმა დაინახა მარხილი, რომელმაც საიდანაც გადმოუხვია და მისკენ გამოქანდა, ძაღლები დასვენებული იყვნენ, ამიტომ ადვილად წამოეწიენ სმოკის ძაღლებს. როცა მარხილები ერთმანეთს გაუსწორდა, სმოკი ბილის მარხილში გადახტა, ბილმა კი სმოკის მარხილზე გადმოინაცვლა და ძაღლებს გვერდზე გადაახვევინა.

– სად არის დიდი ოლაფი? – დაიყვირა სმოკმა.

– პირველი მიდის! – მოესმა ბილის ხმა.

კოცონები უკან დარჩა. სმოკი წყვილიაღში მიექანებოდა წინ.

გადასასვლელზე თოშყინულები გაუთავებელ დაბრკოლებებს ქმნიდნენ. ამიტომ სმოკი მარხილიდან გადმოვიდა. მეწინავე ძაღლს თოკით ხელში უკან მიჰყვა და კიდევ სამ მარხილს გაუსწრო. ამ უსწორმასწორო გზაზე ხშირი იყო უბედური შემთხვევა, და სმოკს ბნელში ესმოდა, როგორ ჭრიდნენ მოსართავებს, რომ მკვდარი ძაღლები გამოეხსნათ.

შემდეგ მოკლე გადასასვლელზე, რომელიც „მესამოცე მილამდე“ აღწევდა და სულ თოშხერგილებით იყო მოფენილი, სმოკმა კიდევ ორ მარხილს გაუსწრო, და თითქოს იმისათვის, რომ უფრო კარგად ეგრძნო, თუ რა დღე ადგათ იმ ადამიანებს, უკან რომ ჩამოიტოვა, ერთ-ერთ მის ძაღლს ფეხი ეღრძო, სიარული ვეღარ შეძლო და იგი შებმამ გაითრია. ძაღლები გაბრაზდნენ და დასაგლეჯად მიეტანენ. სმოკი იძულებული გახდა მათრახის მძიმე ტარი აემუშავებინა. ის იყო,

დაშავებული ძაღლი შებმიდან გამოხსნა, რომ ზურგს უკან ძაღლების ყეფა და კაცის ყვირილი მოესმა. სმოკმა ხმაზე იცნო ფონ შრედერი და მარხილი რომ არ დასჯახებოდა, გამაფრთხილებლად დაიყვირა. ბარონმა შუძახა ძაღლებს, ჭოკი გადასწია და ათიოდე ფუტის დაშორებით, გვერდზე ჩაიქროლა. ისეთი უკუნი დამე იდგა, რომ სმოკი ხმაურზე მიხვდა ამას, დანახვით კი ვერაფერს ხედავდა.

მესამოცე მილთან სმოკმა ორი მარხილი ჩამოიტოვა უკან. აქ ხუთიოდე წუთი თითქმის ყველანი გუერდიგუერდ მოქროდნენ, რადგან ძაღლები ახალი დაცვლილი ჰყავდათ. კაცებს მარხილზე წამოეჩოქათ და დაფეთებულ ძაღლებს უყვავებდნენ და მათრახს წამეტებით უტყლაშუნებდნენ. სმოკს კარგად ჰქონდა შესწავლილი ეს ადგილები. შორიდანვე დაინახა კლცლნების შუქით განათებული ფიჭვი. იქიდან გზა ისე ვიწროვდებოდა, რომ ზედ მხოლოდ ერთი მარხილი თუ გავილიდა. სმოკმა წინ წიაწია. თოკს ხელი წაავლო, თავისკენ მოხიდა და მარხილი ძაღლზე მიაგდო. მერე ძაღლს უკანა ფეხში სწვდა და ძირს დასცა. სბოლო პირუტყვი გაშმაგებით ყმუოდა და იკბინებოდა, მაგრამ ძაღლებმა წინ გაითრიეს. მისმა სხეულმა შეაჩერა მარხილის სრბოლა, ორი მარხილი, აქამდე მათ გვერდით რომ მოქროდა, წინ გაიჭრა და ვიწრო გასასვლელთან ბნელში ჩაინთქა.

უცებ გაისმა ჭახანი. მარხილები ერთმანეთს დაეჯახნენ. სმოკმა ძაღლს ხელი შეუშვა, ჭოკს დაწვდა და მარხილი მარჯვნივ, ფიჭვ თოვლში გადაიყვანა. ძაღლები კისრამდე ჩაფლნენ თოვლში. სმოკი საოცრად მოიქანცა, მაგრამ სამაგიეროდ უკან მოიტოვა ერთანეთში არეული ძაღლები, ორი მარხილი და სწორ გზაზე გავიდა.

მესამოცე მილიდან თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე გზა საუცხოო იყო, ამიტომ სმოკს აქ ყველაზე სუსტი ძაღლები ელოდა.

დანარჩენ ორ შებმას იგი დოუსონში, კანტორამდე უნდა მიეყვანა. ამ ორიწებმისათვის საუკეთესლ ძაღლები შეარჩია – სიტკა ჩარლი თავისი რვა მეილმუტით ელოდებოდა. ამ ძაღლებს ოცი მილი უნდა გაერბინათ, დანარჩენი თხუთმეტი მილი, სულ ბოლო გადასასვლელიქ სმოკს საკუთარი ძაღლებით უნდა გაეველო. ამ ძაღლებთან ერთად მოიარა „საოცარი ტბის“ მისადგომები და ახლა აღარ იშორებდა მათ.

ორი ოქროსმადიებელი, რომელთა მარხილები „მესამოცე მილთან“ ეთრმანეთს დაეჯახა, ამოდ ცდილობდა, სმოკისათვის გაესწრო. მაგრამ ვერც სმოკმა გაუსწრო მის წინ მიმავალ სამ მარხილს, მისი ჯაღლები ხალისიანად მიიწევდნენ წინ, თუმცა მათ გამძლეობა და სიჩქარე აკლადთ და ხშირ-ხშირად სჭირდებოდათ შეძახილი, რომ ფეხი აეჩქარებინათ. სმოკს ახლა საქმე აღარ ჰქონდა. გელდაღმა იწვა და ხელები მარხილისთვის ჩაეჭიდებინა. აქა=იქ ბნელში გამოკრთებოდა ხოლმე მოციმციმე აღის შუქი, ძაღლები, მარხილთან მდგარი, ქურქში გახვეული გაცები და ირგვლივ კვლავ წყვდიადი გამეფდებოდა. მილი მილს მისდევდა. სიჩუმე იყო. ისმოდა მხოლოდ შეუახილები და კავების ჭრიალი. მარხილი ჰაერში შეხტებოდა, ირწეოდა და მოსახვევში გვერდზე აყირავდებოდა ხოლმე, მაგრამ სმოკი თავისუფლად გაწოლილიყო. თვალწინ მისდაუნებურად სამი ადამიანი ედგა: მოცინარე, გაბეღული ჯოი გასტელი, მონო კრიკზე მომხდარი ჩხუბის შემდეგ ნაცემ-ნაბეგვი, ღონემიხილი შორტი და ჯონ ბელიუს თითქმის ლითონისაგან ჩამოსხმული, დაღარული, მკაცრი სახე. ხოგჯერ ველური გრძნობა იპყრობდა, უნდოდა ხმამაღლა ყვიროდა, ემჯერა. ეს მაშინ, როცა მოაგონდებოდა „ტალღის“ რედაქცია, უქმად გატარებული დღეები და მოთხრობების სერია სან-ფრანცისკოზე, რომელთა დამთავრება ველარ მოასწრო.

აღიონი იწყებოდა, როცა სმოკმა თავისი დაღლილი დასვენებული მეილმუტით შეცვალა. ეს ძაღლები ჰუძონურ ძაღლებზე ნაკლებს იწონიდნენ და

მათზე უფრო სწრაფად შეეძლოთ სირბილი, ამასთან მგლის ამტანობა ჰქონდათ და არასოდეს იღლებოდნენ. სიტკა ჩარლიმ ჩამოთვალა, ვინ უსწრებდა სმოკს წინ: დიდი ოლაფი პირველი მიდიოდა, მას არიზონა ბილი მიჰყვებოდა, მესამე კი ფონ შრედერი იყო. ისინი საუკეთესო მარეკები იყვნენ. ვტდრე სმოკი დოუსონიდან გაემგზავრებოდა, ხალხი სწორედ ამგვარი თანმიმდევრობით ასახელებდა მათ გვარებს. სანამ ისინი ერთმანეთს მილიონისათვის ეჯიბრებოდნენ, სხვებმა ნახევარი მილიონი მაინც დადეს სანაძლეოდ, ამ სამში ვინ ვის აულობებსო. სმოკის სახელი არავის უხსენებია, თუმც მან მრავალჯერ დაამტკიცა, რომ გამბედავი იყო ჩენაკოდ თვლიდნენ და ფიქრობდნენ, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოსო.

როცა ინათა, სმოკმა თვალი მოჰკრა წინ მიმავალ მარხილს და ნახევარ საათში მეწინავე ძაღლი ამ მარხილს უკვე ფეხუფეხ მისდევდა.

კაცმა თავი მოაბრუნა, მიესალმა და სმოკმა მაშინდა იცნო არიზონა ბილი. ფონ შრედერს აბათ გაესწრო მისთვის. მაგრად გატკეპნილი გზა ძალიან ვიწრო იყო და სმოკი ივულებული შეიქნა მთელი ნახევარი საათი ბილის მარხილს მიბყოლოდა უკან. ბოლოს ყინულის უზარმაზარ თოშს გადაუარეს და სწორ, ფართო გზაზე გავიდნენ. აქ ძაღლების რამდენიმე შებმა იდგა და თოვლიც დიდზე იყო დატკეპნილი. სმოკმა წაიმოინოქა, ძაღლებს მათრახი გადაუჭირა, დასტყვივლა და ბილის მარხილს გვერდით მიჰყვა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ბილს მარჯვენა ხელი მოწყვეტილივით ეკიდა და იძულებული იყო მარცხენა ხელი ეხმარა. რაკიდა ძაღლებს მიერეკებოდა და მარხილს მართავდა, არ შეეძლო ჭივოს ჩასჭიდებოდა, რომ არ გადმოვარდნილიყო, ზოგჯერ იძულებული ხდებოდა მათრახი დეგდო და ხელი ჭივოსთვის ჩაეველო. სმოკს თვალწინ დაუდგა მდინარის პირად, დისკავერის ქვემოთ, მესამე უბანზე წუხანდელი მუშტი-კრივი და ყველაფერს მიხვდა, შორტიმ დროზე ურჩია, ჩხუბში არ ჩაერიო.

– რა დაგემართათ? – მიამახა სმოკმა და ბილის მარხილი უკან ჩამოიტოვა.

ფონ შრედერს ყოველ ამ მიღზე ჰყავდა დაყენებული ძაღლებბის ახალი შებმა. ახლა მარხილი მილის შემდეგ უნდა შეეცვალა. იგი შეუჩერებლად მიჰქროდა წინ. დიდი ოლაფი და სმოკი თვალის დახამხამებაში ახალ მარხილებში გადახტნენ და დასვენებული ძაღლები უმაღლ წამოეწივნენ წინ მიმავალ ბარონს. ოლაფი ვიწრო გზაზე მიჰქროდა, სმოკი უკან მიჰყვებოდა.

„კარგია, მაგრამ უკეთესია საჭირო“, – გადაასხვაფერა სმოკმა სპენსერის სიტყვები.

ფონ შრედერი თანდათანობით ჩამორჩა. სმოკს ახლა მისი შიში აღარ ჰქონდა, მაგრამ წინ იმ მხარეში განთქმული მარეკი მიდიოდა და მისი უკან ჩამოტოვება თითქმის შეუძლებელი იყო. სმოკმა ბევრჯერ აიძულა თავისი მეწინავე ძაღლი ოლაფის მარხილისათვის გვერდი აეველო, მაგრამ ოლაფი ხან მარჯვნივ გადაუხვევდა, ხან მარცხნივ, გზას მარჯვედ მოუჭრიდა ხოლმე და აისევ წინ მიჰქროდა. სმოკი ჯერჯერობით იმითაც კმაყოფილდებოდა, რომ სწრაფად მიერეკებოდა ძაღლებს და ჯიუტად მიიწვევდა წინ. ბოლოს და ბოლოს, ვიდრე ერთი არ გაიმარჯვებდა, მეორე დამარცხებულად არ ჩაითვლებოდა. წინ კიდევ თხუთმეტი მილი ედოთ, ვინ იცის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

მოსახდენი მართლაც მოხდა და მერე როდის? როცა დოუსონამდე სამი მილიდა დარჩა. სმოკი ძაღზე გაოცდა, როცა დიდი ოლაფი ზე ჭამოიჭრა, ძაღლებს დასტყვივლა და მათრახი გააფთოებით აატყლაშუნა. ძაღლებმა თავს ძალა დაატანეს და ფეხს აჩქარეს. ასეთი უკიდურესი ზუმისთვის კაცს შეიძლებოდა მაშინ მიემართა, დოუსონიდან ასიოდე იარდით რომ ყოფილიყვნენ დაშორებული. სმოკი კვალდაკვალ მიჰყვა დიდი ოლაფის მარხილს, ეს იმას

ნიშნავდა, რომ ძაღლები საკუთარი ხელით დაეხოცა. ასეთი გამძლე ძაღლები მთელს იუკონში არავის ჰყავდა, სმოკი დაუზოგავად ამუშავებდა მათ მაგრამ მათთან ერთად ჭამდა, მათთან ეძინა, თვითეულ მათგანს იცნობდა და იცოდა, როგორ მოქცეოდა.

მარხილებმა მომცრო თოშყინულს დაგაურბინეს და სწორ ბილიკს გაჰყვნენ. დიდი ოლაფი მხოლოდ ორმოცდაათი ოდნე ფუტით თუ იქნებოდა წინ. უეცრად მოსახვევიდან შურდულივით გამოიჭრა მარხილი და პირდაპირ მათკენ წამოვიდა. სმოკმა იმწამსვე მოისაზრა, რა ხდებოდა: დიდ ოლაფს აქ დაახვედრეს დასვენებული ძაღლები, რომლებიც მას დოუსონისაკენ გააქროლებდნენ. ეს ოლაფის საიდუმლო იყო და ამის შესახებ არც მისმა მომხმრებებმა იცოდნენ რამე.

სმოკმა დაუზოგავად გარეკა ძაღლები, რომ როგორმე გაესწრო ოლაფისათვის, როცა ის მარხილის შეცვლას დააპირებდა. პირუტყვებმა უკანასკნელი ძაღ-ღონე მოიკრიბეს და ოლაფის მარხილს წამოეწიენ. შეძახილებითა და მათრახის ტყლაშუნით სმოკმა შეძლო ის, რომ მისი მეწინავე ძაღლი დიდი ოლაფის ხელნის ძაღლს გაუსწორდა. დიდ ოლაფს გვერდით მისდევდა მარხილი, რომელშიც დასვენებული ძაღლები იყო შებმული, მაგრამ ყველანი ისეთი სისწრაფით მიქროდნენ, რომ ოლაფმა ვერ გაბედა ახალ მარხილში გადახტომა: ვინიცობაა ფეხი აცდენოდა და დაცემულიყო, სმოკი წინ გაიჭრებოდა და მაშინ მას გამარჯვება აღარ ეწერა.

დიდი ოლაფი შეეცადა გაესწრო მოწინააღმდეგისათვის და ძაღლებს შეუბრალებლად მიერეკებოდა, მაგრამ მანძილი მათ შორის არ იცვლებოდა. სამი მარხილი მთელი ნახევარი საათის განმავლობაში გვერდი-გვერდ მიქროდა, მერე გზა თანდათანობით დაეწროვდა, ამით ისარგებლა ოლაფმა და როცა მეორე მარხილი მიუახლოვდა, თვალის დახამხამებაში ჩახტა შიგ, ზედ გაიშოტა და ღრიალით და მათრახის ზაპაზუპით ააჩქარა ძაღლები. სმოკი მთელი იარდით ჩამორჩა უკან.

„ადამიანი არ არის დამარცხებული, ვიდრე მას არ დაამარცხებენ“, – გაუელვა თავში სმოკს და ძაღლებს შეუძახა. დიდმა ოლაფმა მოწინააღმდეგე ვერაფრით ვერ ჩაოიტოვა უკან.

ძაღლების ვერც ერთი შებმა, რომლებიც სმოკს იმ დამით მიჰყავდა, ვერ გაუძლებდა ასეთ სირბილს და დასვენებულ ძაღლებთან შეჯიბრებას. თუმცა, ეტყობოდა, რომ ეს მათ ძაღ-ღონეს აღემეტებოდა და, როცა კლონდაიკ სიტის კლდეს შემოურბინეს, სმოკმა ინრძნო, რომ საბრალო პირუტყვებს ძაღ-ღონე მთლად გამოლეოდათ. მერე შეუმჩნევლად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩამორჩნენ და დიდი ოლაფი მთელი ოცი იარდით დაწინაურდა.

კლონდაიკის მცხოვრებლებმა, რომლებიც ყინულზე შეკრებილიყვნენ, ამის დანახვაზე ყიჟინა დასცეს. ამ ადგილზე მდინარე კლონდაიკი იუკონს ერთვოდა, ნახევარი მილის დაშორებით, ჩრდილო ნაპირზე კი დოუსონი მოჩანდა. უცბად ყიჟინამ იმატა და სმოკმა თვალი მოჰკრა მარხილს, პირდაპირ მათკენ რომ მოჰქროდა. წამსვე იცნო მარხილში შებმული საუცხოო ძაღლები, ისინი ჯოი ტყავის პარკას კაპიშონი უკან გადაეგდო და მოგრძო ნაზი სახე და სქელი თმა გარკვევით ჩანდა. ხელთათმანები წაძრო. ცალ ხელში მათრახი ეჭირა, მეორეთი კი მარხილს ჩასჭიდებოდა.

– გადმოხტით! – დაყვირა მან სმოკს, როცა მათი მარხილები ერთმანეთს გაუთანაბრდა. სმოკი თითქოს გადაფრინდა მარხილიდან და სწორედ ჯოის ზურგს უკან მოექცა. მარხილი საშინლად შეტოკდა, მაგრამ ჯოი მაგრად იღვა მუხლებზე და მათრახს ჰაერში ატრიალებდა.

– ჰო, ჰო, ჰო, გასწით, გასწით! – ყვიროდა იგი. ძაღლებმა მთელი ძაღ-ღონე მოკირიბეს და ყეფა-ყმუილით გაქანდნენ წინ, რომ დიდი ოლაფისათვის გაესწროთ.

როცა მეწინავე ძაღლი ოლაფის მარხილს გაუსწორდა და მერე ნელ-ნელა გაუსწრო კიდევ, დოუსონის ნაპირზე შეგროვილი ხალხი თითქოს გაგიჟდა. ხალხი კი მართლაც უამრავი იყო, რადგან პატარ-პატრა მდინარეების პირად მომუშავე ოქროსმადიებლებს მიეცოვებინათ თავისი იარაღები და აქ მოეყარათ თავი, რომ გაეგოთ, ვის დარჩებოდა გამარჯვება მილიონისათვის გამართულ შეჯიბრებაში.

– როცა ოლაფის მარხილს გაუსწრებთ, მე გადავხტები, – მხარიღლიძე გადმოსძახა ჯოიმ.

სმოკი შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია.

– არ დაგაგიწყდეთ, იქ, ნაპირთან გზა მკვეთრად უხვევს განზე, – გააფრთხილა ჯოიმ.

ორივე მარხილი გვერდი-გვერდ მიჰქროდა. დიდმა ოლაფმა ყვირილითა და მათრახის დახმარებით წუთით შეძლო დაწინაურება, მაგრამ შემდეგ ჯოის მეწინავე ძაღლმა, თუმცა გაჭირვებით, მაინც გაუსწრო მას.

– მოემზადეთ! – დაუყვირა ჯოიმ სმოკს, – დაიჭით ეს მარახი, მე ახლავე გადავხტები!

სმოკმა ის იყო, მათრახისათვის ხელი გაიწვდინა, რომ გაისმა გამაფრთხილებები ყვირილი, თუმცა გვიანდა იყო. დიდი ოლაფის მეწინავე ძაღლი, ნაბრაზებული, რატომ გამისწრესო, შეტევაზე გადავიდა და ჯოის ძაღლს ვერდში კბილები ჩაასო. ძაღლები გააფრთხილდნენ დაეძგერნენ ერთმანეთს. მარხილი ჩხუბში გართულ პირუტყვებს მიეხეთქა და გადაბრუნდა. სმოკი მყისვე წამოხტა და ჯოისკენ დაიხარა, რომ მიშველებოდა, მაგრამ ქალმა ხელი უბიძგა და დაუყვირა:

– გაიქეცით!

ამასობაში დიდ ოლაფს ორმოცდაათიოდე ფუტის გარბენა მოესწრო. იგი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა.

სმოკი დაემორჩილა ჯოის ბრძანებას, გაიქცა და ოლაფს დოუსონის ნაპირთან წამოეწია, მაგრამ როცა აღმართს შეუყვანენ, დიდმა ოლაფმა უკანასკნელი ღონე მოკირიბა და ათიოდე ფუტით გაუსწრო სმოკს. ინჰექტორის კანტორამდე ხუთი კვარტალიდა რჩებოდა. ახლა მთავარ ქუჩაზე გარბოდნენ. გზა ხალხით იყო გაჭედილი, თითქოს ადღუმზე გამოფენილანო. ამჯერად სმოკს გაუჭირდა დასწვოდა თავის დოლიათ მოწინააღმდეგეს, ბოლოს, როგორც იქნა, წამოეწია, მაგრამ მაინც ვერ გაუყწრო. ისინი გვერდი-გვერდ მორბოდნენ ვიწრო გასასვლელში, ქურქებში ჩაცმულ ადამიანებს შორის რომ იყო დატოვებული. ხალხი შეძახილებით ხვდებოდა მათ, დიდი ძაღლატანებით ხან ერთი წაიწვევდა ხოლმე წინ, თითო დუიმით ან მეტით, ხან მეორე.

თუ ამ ცოცხალი ხნის წინათ ლამის სული ამოხადეს თავის ძაღლებს, ახლა საკუთარ თავს და სიცოცხლესაც ადარ ზოგავდნენ.

საქმე ის იყო, რომ ეს ორი ადამიანი ერთმანეთს ეჯიბრებოდა. მილიონი დოლარისათვის და აგრეთვე იმ დიდი პატივისათვის, რაც გამარჯვებულს იუკონში მოელოდა.

სმოკი გააოცა ამ ზღვა ხალხის ერთად დანახვამ, არასოდეს იფიქრებდა, რომ კლონდაიკში ამდენი ადამიანი ცხოვრობდა. ეს იყო გარესამყროდან მიღებული მისი უკანასკნელი შტაბბეჭდილება.

შემდეგ უნებურად ისევ უკან ჩამორჩა და დიდი ოლაფი წინ გაიჭრა.

სმოკს გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ფეხებს არ აჩერებდა და გარბოდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ შეეძლო არ ჩამორჩენოდა თავის უზარმაზარ მეტოქეს, და მის გვერდით ერბინა.

მათ წინ კონტორის ღია კარი გამოჩნდა. სმოკმა და ოლაფმა კიდევ სცადეს გაესწროთ ერთმანეთისთვის, მაგრამ ამაოდ. ისინი ერთად შეცვივდნენ ღია კარში, ერთმანეთს დაეჯახნენ და იატაკზე გაიშხლართნენ. შემდეგ წამოჯდნენ, მაგრამ ასადგომად ძალა აღარ ეყოთ.

დიდი ოლაფი ოფლში გაწუწულიყო, აჩქარებული სუნთქავდა, სულთქმა ეკვროდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მაშინ ხელი გაიწვდინა და სმოკმაც უმაღლ შეაგება მარჯვენა. ორივემ მაგრად მოუჭირეს ერთმანეთს ხელი.

– აი, ეს კი მესმის, – ჩაესმა სმოკს ინსპექტორის ხმა. მაგრამ ხმა მეტად წვრილი იყო და სადღაც შორიდან მოდიოდა. სმოკს თავი სიზმარში ეგონა, – შემძლია მოგილოცოთ, ორივემ გაიმარჯვეთ, თქვენ ახლა კომპანიონები ხართ და მილიონი შუაზე უნდა გაიყოთ.

სმოკმა და დიდმა ოლაფმა ხელები მაღლა ასწიეს, ნიშნად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება უცვლელი იყო. ოლაფმა დიდი გაჭირვებით დააქნია თავი, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ენა ებმოდა და სათქმელს ვერ ამბობდა, ბოლოს, როგორც იქნა, სძლია დაღლილობას:

– წყევლო ჩეჩაკო! – თქვა მან და მის ხმაში აღტაცება ისმოდა, – არ ვიცი, როგორ შეძელით ეს, მაგრამ შეძელით კია.

გარედან ხალხის ყვირილი ისმოდა. ოთახშიც ტევა არ იყო სმოკი და ოლაფი ერთმანეთს დაეხმარნენ წამოდგომაში. სმოკს ფეხები უცახცახებდა და მთვრალივით ბარბაცებდა. დიდი ოლაფი მისკენ შებრუნდა.

– ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემმა ძაღლებმა ასეთ დღეში ჩაგაგდეს.

– რა ვუყოთ, ასე მოხდა, თქვენ აკი დაიყვირეთ, გაფრთხილდითო, – მიუგო სმოკმა.

– მითხარით, – განაგრძო დიდმა ოლაფმა და თვალეები გაუბრწყინდა. – ჯოი საოცრად კარგი გოგონაა, არა?

– მართალი ხართ, ძალიან კარგი გოგონაა, – დაეთანხმა სმოკი.

სმოკი და შორტი

პატარა კარსონი

I

– რა თავის ნათქვამა ხარ, – ბრაზობდა შორტი, – ძალიან მაეჭვებს ეგ მყინვარი. მარტო კაცი, ტყუილია, მაგრამ ვერ დაძლევეს.

სმოკმა მხიარულად გაიცინა და შორს, ხეობის თავში მოელვარე მყინვარს თვალი შეველო.

– უკვე აგვისტოა, ორი თვეა, რაც დღე იკლებს, – თქვა პასუხად, – კვარცის მე არფერი გამეგება, შენ კი კარგად სცნობ, ამიტომ შენ მთავარი ძარღვი ეძიე, მე კი ამასობაში საჭმელს მოგართმევ. აბა, ნახვამდის, ხვალ სადამოსათვის დავბრუნდები.

სმოკი შებრუნდა და გზას გაუდგა.

– გული მეუბნება, ფათერაკი მოხდება რამე, – საწყალობლად მიაძახა შორტიმ.

პასუხად სმოკმა მხიარულად გაიცინა და ვიწრო ხეობას დაუყვა – ფეხით მითველავდა მთის მწიფე ქოლოს, ჩრდილოვან ადგილებში შემორჩენილი ყინულის ირგვლივ ამოსულ გვიმრის ნაზ ფოთლებს და დროდადრო შუბლზე ოფლს იწმენდა.

ადრე გაზაფხულზე სმოკი და შორტი მდინარე სტიუარტის კალაპოტს აყენენ და „საოცარი ტბის“ რაიონში დახლართულ ხეობათა ქაოსში ჩაიკარგნენ. მთელი გაზაფხული და ნახევარი ზაფხული ამოდ დაეხეტებოდნენ და უკვე უკან დაბრუნებას აპირებდნენ, რომ მათ თვალწინ პირველად გაიელვა უცნაურმა ოქროსფსკერიანმა ქბამ, რომელიც ნუსხავდა და თავგზას უბნევდა ოქროსმადიებელთა მთელ თაობებს. იმ ქონში დაიდეს ბინა, რომელსაც სმოკმა აქ თავისი პირველი მოსვლისას მიაგნო და მალე სამი რამ აღმოაჩინეს: ერთი, რომ ტბის ფსკერი მსხვილი ოქროს ზოდებით იყო მოფენილი; მეორე, თავთხელ ადგილებში თავისუფლად წვივებოდა ოქროსთვის ჩაყინთვა, ასე მომაკვდინებლად ცივი წყალი რომ არა; და ბოლოს, ზაფხულის დარჩენილ დღეებში ორი კაცი ქბას ვერ დააშრობდა, მაგრამ გული არ გაუტეხიათ, ოქროს ზოდების წყლისგან გაუღესავმა, ხორკლიანმა ზედაპირმა აფიქრებინათ, რომ შორიდან არ ჩაოტანა ისინი წყალს და ოქროს მთავარი ძარღვის საძებნელად გაემართნენ. მდინარის სამხრეთ ნაპირზე გადმოწოლილი დიდი მყინვარი გადაიარეს და ხეობების თავგზასაბნევე დაბირინთში გაიხლართნენ; ამ ხეობებს მათა კანონების საწინააღმდეგოდ ქბაში ჩაჰქონდათ წყალი, ანდა ტბაში ოდესღაც ჩადენილი ნაკადების კალაპოტი აჩნდათ.

ხეობა, რომელსაც სმოკი მიჰყვებოდა, თანდათან ფართოვდებოდა, როგორც ყველა ჩვეულებრივი ხეობა, მაგრამ ქვემოთ ორი მაღალი ციცაბო კედელი ბოჭავდა, მესამეს კი სულ გადაეხერგა. მის ძირში კლდის ნაჩეხ ლოდებს შუა ნაკადი ქრებოდა, როგორც ჩანს, მიწის ქვეშ მიედინებოდა. სმოკი გარდიგარდმო გახერხილ კლდეზე აცოცდა, და იქიდან გადმოხედა ტბას. ბევრი ტბა ენახა მთებში, მაგრამ ეს არც ერთს არ ჰგავდა. ლურჯი კი არ იყო, ფარშავანგის ფრთის სიმწვანე გადაჰკრავდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ ტბა ღრმა არ იყო და მისი დაშრობა შესაძლებელი იქნებოდა. ირგვლივ ყინულოვანი მწვერვალებით დასერილი მთები და გასაოცარი მოხატულობისკ უსწორმასწოროდ დაჯგუფებული პიტალო კლდეები იყო შემოჯარული. თითქოს ყალყზე გემდგარიყო მიწა, თითქოს გაცოცხლებულიყო დოდეს საზარელი, დამეულ ზმანებათა მსგავსი ნახატები. ასეთი ფანტასტიკური, ისეთი დაუჯერებელი სანახაობა იყო, რომ სმოკს კოსმიურ ბოდვად უფრო უჩვენა ყველაფერი, ვიდრე ჩვენი გონიერი დედამიწის ნაწილად. ხეობებში აუარებელი მყინვარი იყო, უმეტესად პატარები, და სმოკმა იცოდა, ასე ხუთი მილის იქით, მოჩანდა ნაძვების რიგი და პატარა ქონი. სმოკი დააკვირდა, რომ დარწმუნებულიყო აშკარა იყო, საკვამურიდან ნელა ამოდოდა კვამლი. ეტყობა, ჩვენს გარდა სხვაც ასე მოულოდნელად წააწყდა ტბასო, – დაასკვნა სმოკმა და სამხრეთ კედელს ფოფხვით შეუდგა.

კედელი რომ გადაიარა, პატარა ხევში ჩავიდა; იგი ყვავილებით იყო მიჩითული, ჰაერში ფუტკრების ზუზუნნი იდგა და საერთოდაც ეს ხევი ჭკვიანურად იქცეოდა; როგორც ყველა წესიერ ხევის შეჰფერის, ტბაზე გადიოდა ეს იყო მხოლოდ, რომ სულ ასიოდე იარდის სიგრძე ჰქონდა, მერე კი ათასი ფუტის სიმაღლის ციცაბო კედელს ებჯინებოდა, რომელზეც მთის ნაკადი ისმხვრეოდა და შხეფების კორიანტელს აყენებდა.

აქ სმოკმა კიდევ ერთი კვამლის ბოლქვი შენიშნა, რომელიც ზანტად იზიდებოდა მზის შუქში კლდის პატარა შვერილს იქიდან. სმოკმა კლდის

შეერილს შემღუარა და ლითონის წყნარი კაკუნი და მხიარული სტვენა შემოესმა. მერე კი კაცი დაინახა, რომელსაც მუხლებს შუა ფეხსაცმელი მოექცია და ქუსლზე ტრიკონებს აჭედებდა.

– ჰელო! – მიესალმა უცნობი და სმოკს მაშინვე გულმა გაუწია მისკენ, – სწორედ დროზე მოხვედი. აგერ ჯამში ყავაა, ორი ცალი ცივი მაჭკატი და ცოტა ხორციც მაქვს.

– სიამოვნებით დაგეწვევი, – უპასუხა სმოკმა და ჩამოჯდა, – ამ ბოლო ხანს გვარიანად შემოგვაკლდა საჭმელი, მაგრამ აგერ იმ ქოსში, ალბათ ექნებათ რამე.

– ტბის გაღმა? მეც იქით ვაპირებდი.

– ხედავ, „საოცარი ტბა“ ხალხმრავალი ხდება, – შესჩივლა სმოკმა და ჯამი გამოცალდა.

– კარგი ერთი! ხუმრობ? – უცნობს უზომო გაკვირვება გამოეხატა სახეზე, სმოკს სიცილი აუტყდა.

– ყველას აგრე უკვირს ხოლმე. ხედავ, იქით, ჩრდილო დასავლეთისკენ მაღალ-მაღალ ბორცვებს. პირველად იქიდან დავინახე, სრულიად მოულოდნელად. ასე უცბად მთელი ტბა გადამეშალა, ფეხქვეშ, როცა ძებნაზე უკვე ხელი მქონდა აღებული.

– მეც აგრე დამემართა, – დაეთანხმა მოსაუბრე, – უკვე უკან ვიბრუნე პირი და გუშინ სადამოს, ჩემი ფიქრით, მდინარე სტიარტზე უნდა გავსულიყავი, რომ უცტრად ტბა დავინახე. თუ ეს მართლა „საოცარი ტბაა“, სტიუარტი საითლა არის? ან მთელი ეს ხანი სად მივდიოდი! შენ საიდანლა მოხვედი ან რა გქვია?

– ბელიუ, კიტ ბელიუ.

– ო, გამიგონია. – სიამოვნების ღიმილმა გაუბრწყინა სახე უცნობს და მაგრად ჩამოართვა ხელი სმოკს. – ბევრი რამ გამიგონია თქვენზე.

– ეტყობა, სასამართლო ქრონიკას კითხულობთ, არა? – ხუმრობაში ჩაუტარა სმოკმა.

უცნობმა გაიცინა და თავი გადააქნია.

– სასამართლო ქრონიკას არა და კლონდაიკის ახალ ამბებს კი ვადევნებ თვალს. დიდი ხნის გაუპარსავი რომ არ იყოთ, უსათუოდ გიცნობდით. „ირმის რქაში“ მთელი ჯარი ხალხი რომ გააცურეთ რულეტში, მეც გიყურებდით. მე კარსონი მქვია, ენდი კარსონი; ვერ აგიწერთ, რა კმაყოფილი ვარ თქვენთან შეხვედრით.

კარსონი ჩია ტანისა იყო, მაგრამ დაძარღვული, ცოცხალი შავი თვალები ჰქონდა, მიმზიდველი, საამხანაგო კაცი ჩანდა.

– მაშ, ეს არის „საოცარი ტბა?“ – ეჭვით წაიბურღლუნა მან.

– ნამდვილად.

– და ფსკერს ოქრო კარაქით ადევს?

– კარაქით, თითქოს კარაქის სადღეები იყოს შიგ. – სმოკმა ჯიბე მოიქექა და რამდენიმე ოქროს ზოდი ამოიღო, – აი, შეხედეთ. მხოლოდ უნდა ჩაყვინთო და თუ გინდა, თვალდახუჭული მოხვეტავ ასეთ კარაქს. მაგრამ მერე ნახევარი მილი მაინც უნდა გაირბინო, რომ სისხლის მიმოქცევა აღიდგინო.

– დალახვროს ეშმაკმა, დამასწართ, – უბოროტოდ შეუკუთხა კარსონმა, მაგრამ აშკარად დაეტყო, რა გულნაკლული დარჩა, – მე კი მეგონა, სულ მე ამოხვეტავდი. ასეა თუ ისე, აქ ყოფნაც გართობაა, რას იზამ.

– გართობაო! – წამოიძახა სმოკმა, – ერთი ხელი რომ მივაწვდინოთ ფსკერს, როგველერის სიმდიდრე გროშეად მოგეჩვენებოდა.

– მაგრამ ეგ ყველაფერი თქვენია, – უპასუხა კარსონმა.

– არა-მეთქი, ძმობილო. გაიგე, რომ ოქროსმადიებლობის მთელი ისტორიის მანძილზე ამდენი ოქროსათვის არავის მიუგნია. თელ ამ მარაგს რომ მოვერიოთ, არა კმარა არც ჩემი და თქვენი ხელები, არც ჩემი კომპანიონის და არც ყველა

ჩვენი მეგობრისა. მთელი ბონანზა და ელდორადო ერთად რომ აიღოს გაცმა, ამდენ სიმდიდრეს ვერ მოძებნის, რაც აქ ნახევარ აკრზე იქნება. ტბა უნდა დავაშროთ, ეს არის საჭირო. ამას მილიონები მოუნდება, ერთადერთი რამის მეშინია მხოლოდ, აქ იმბენი ოქროა, შეუზღუდველად რომ ვიხმაროთ, გაუფასურდება.

– ესე იგი მიმიღებდით – კარსონს სიტყვა გაუწყდა გაცემისგან.

– სიამოვნებით, ერთი ან ორი წელიწადია საჭირო ვტბის დასაშრობად და, ამას გარდა, ზღვა ფულის შოვნა. მე უკვე ყველაფერი დავათავალიერე, ტბის დაშრობა შეივლება, თუმცა ამისათვის, მთელ ამ მხარეში ვინც კია და ვინც მოინდომებს ქირით მუშაობას, ყველამ უნდა იმუშაოს. მთელი ჯარი ხალხი დაგვჭირდება, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, დასაწისათვის სანდო ხალხი იქნება საჭირო, გიგულოთ?

– გიგულოთო! როგორ მატყობ? თავი უკვე მილიონერი მგონია და იმ მიწისგარის გადავლაც კი მაშინებს. განა ახლა შეიძლება კისერი მოიტყოს ცაცმა? ცლტა მეტი ტრიკონები მაინც მქონდეს. უკანასკნელი მაშინ ჩავაჭედე ფესსაცმელში, როცა შენ მოხვედი. შენ როგორღა გაქვს საქმე, აბა?

სმოკმა ფეხი ასწია:

– საციგურაო მოედანივით გადალესილი! – წამოიძახა კარსონმა, – კარგა მანძილი გამოგივლია, გეტყობა. პატარა ხანს მაცალე, ახლავე რამდენიმე ტრიკონს ამოვაძრობ ჩემს ფესსაცმელს და შენსას გავეუკეთებ.

მაგრამ სმოკმა ყურიც არ ათხოვა.

– რა საჭიროა, – უთხრა კარსონს, – ორმოცი ფუტი სიგრძის თოკი მაქვს დატოვებული იმ ადგილას, რომელიც მე და ჩემმა ამხანაგმა გადავიარეთ, ფიქრი ნუ გაქვს.

II

ასასვლელი მძიმე და დამქანცავი იყო. მზე ალაპლაპებდა ყინულის ზედაპირს და თვალსა სჭრიდა მათ, ოფლი ღზარად ჩამოსდიოდათ და დაძაბულობისაგან სულ ვერ ითქვამდნენ. დროდადრო ხედებოდათ აურაცხელი ნაპრაღითა და უფსკრულით დასერილი ადგილები, და აეთ ადგილებში ერთი საათის მძიმე მუშაობის შემდეგ სულ ასოდე იარღით იწვედნენ წინ. ნაშუადღევს ორ საათზე, ყინულებში ჩაწოლილი მცირე ტბის მახლობლად, სმოკმა დასვენება შესთავაზა კარსონს.

– ერთი ეგ ხორცი მოიტა, – უთხრა ამხანაგს, – ამ ბოლო დროს იძულებით ვმარხულობდი და მუხლები მეკეცება. გარდა ამისა, ყველაზე ძნელი ადგილი უკვე გადავლახეთ. სამასი იარღიც და კლდეზე გავალთ; თან ადვილი სავალია, გარდა ორიოდე საძაგელი ნაპრაღისა და კიდევ აი იმ კლდის ქიმს აქეთ ჩაზნექილი ნაპრაღისა. ძალიან სუსტი ყინულის ხიდია იქ, მაგრამ მე და შორტი მაინც გადავედით.

ხორცს რომ შეექცეოდნენ, გული გადაუშალეს ერთმანეთს. ენდი კარსონმა თავისი თავგადასავალი უამბო სმოკს.

– ნამდვილად ვიცოდი, რომ სალცარი ტბას ვნახავდი, – პირგამოტყინილი, სულმოუთქმელად ლაპარაკობდა კარსონი, – უნდა მენახა. ფრანგული ბოცკერებიც ხელიდან გავუშვი, დიდი სკუკუმიც, მონტე კრისტოც. ერთადერთი „საოცარი ტბაღა“ რჩებოდა; თუ არა, გათავებული იყო ყველაფერი, და აი აქა ვარ. ჩემი ცოლი დარწმუნებული იყო, რომ გამიმართლებდა. მეც მჯეროდა,

მაგრამ იმასავით მტკიცედ არა. წარმოუდგენელი ვინმეა – სულით ხორცამდე ვაუკაცი, მხნე, მხიარული, ნამდვილი მებრძოლი, საიმედო, სწორედ საჩემო ქალი. აი ნახეთ.

მან ხუფი ახადა საათს, და საათის შიდა კედელზე სმოკმა დაინახა პატარა ფოტოსურათი, ქერათმიან ქალს აქეთ-იქით მოცანარე ბავშვები უსხდნენ.

– ბიჭები არიან? – ჰკითხა სმოკმა.

– ქალ-ვაჟი, – სიამაყით უპასუხა კარსონმა, – ბიჭი წლინახერით უფროსია. შეიძლებოდა ჯფრო დიდებიც გეყოლოდა, მაგრამ მოცდა დაგეჭირდა, – ეს თქვა და მოიოხრა, – ცოლი ავად იყო ფილტვებით. მაგრამ ჰბრძოლაზე ხელი არ აუღია. რა გვესმოდა მაშინ! არაფერი. მე რკინიგზის მოხელედ ვმუშაობდი ჩიკაგოში, როცა შევუღლდით. მის ნათესაობაში ყველა ჭლექიანი იყო. ექიმებმა მაშინ ბევრი არაფერი იცოდნენ. მემკვიდრეობითი სენი ეგონათ. მთელ ოჯახს ჰქონდა მოდებული. ერთიმეორეს ასწავლებდნენ, მარამ ვერ ხვდებოდნენ, რომ ასე იყო. ფიქრობდნენ, თანდაყოლილიაო, ბედისწერად თვლიდნენ. პირველი ორი წელიწადი ცოლის ოჯახში არასდროს ჰქონია ვინმეს. მიაგრამ მეც ავად გავხდი და ამან დამაფიქრა. გამოდის, რომ გადამდებია და ამიტომ გადამედო, რომ მათთან ერთად ერთ ჭერქვეშ, ერთი ჰაერით ვსუნთქავდი.

მე და ჩემმა ცოლმა მოვითათბირეთ. მე მათი ოჯახის ექიმითვის არ მიმიმართავს. ერთ-ერთ უახლოეს სპეციალისტს ვკითხე რჩევა. ექიმმა ეჭვი დამიმოწმა და მითხრა, არიზონაა თქვენთვის საჭირო. მე სამუშაო ვიშოვე – მეცხვარედ დაგდექი, ცოლი კი ქალაქში დავტოვე – ჭლექიანების ქალაქში. მთელი ქალაქი ჭლექიანებით არის სავსე.

რაკი დღე და ღამე სუფთა ჟაერზე ვისავი, სწრაფად დავიწყე გამოჯანსაღება. ზოგჯერ თვალით ვერმ ჩავდიოდი შინ, მაგრამ როცა ვბრუნდებოდი, ვხედავდი, რომ ცოლი უფრო და უფრო უარესად ხდებოდა. ვერაფერით ვერ გამობრუნდა; მაგრამ ამასობაში ჭკუა ვისწავლე. ცოლი ქალაქიდან წამოვიყვანე და ჩემთან ერთად სამწყემსურში დავაყენე. ოთხი წლის მანძილზე, ზამთარ-ზაფხულ, სიცხესა და სიცხეში, წვიმასა და ქარში, თოვლსა და ყინვაში, ერთხელ არ გვიძინებია ჭერქვეშ და თან გამუდმებით გადავდიოდით ერთი ადგილიდან მეორეზე.

უნდა გენახათ, როგორ შევიცვალეთ – გავშავდით კი არა გავიტრუსეთ, ინდიელებით ხმელ-ხმელი და მოუქნელი ტყავით გამძლენი გავხდით. როცა წარმოვიდგინეთ, რომ განვიკურნეთ, სანფრანცისკოში დავბრუნდით. მაგრამ თურმე ნაჩქარევად მოგვივიდა. მეორე თვეზე ორივეს სისხლისღებინება დაგვაწყებინა. ისევ არიზონაში და ცხვარში გავქანდით. ორ წელიწადზე მეტ ხანს ვიყავით და ამან გვიხსნა, სრულიად განვიკურნეთ. ჩემი ცოლის ოჯახიდან კი ყველანი დაიხოცნენ. არ გავვიგონეს.

შემდეგ ქალაქზე საბოლოოდ ავიღეთ ხელი. წყნარი ოკეანის მთელი სანაპირო შემოვიარეთ, მაგრამ განსაკუთრებით თვალში მოგვივიდა სამხრეთ ორეგონი. „ცელქი მდინარის“ ვეოზე დავსახდით და ვაშლები ჩაყვარეთ. დიდი მომავალი აქვს ამ საქმეს, მაგრამ ვერავინ ხვდება. სწორედ დროზე ვიშოვე მიწა, რა თქმა უნდა, იჯარით – ორმოც დოლარად აკრი. ათი წლის შემდეგ თითო აკრი ხუთასი დოლარი ეღირება.

მართლაც რომ დიდი საქმე გავიკეთეთ. ასეთ რამეს ბევრი ფული მაქვს, ჩვენ კი თავიდან ერთი ცენტრიც არ მოგვეძებნებოდა, ხომ იცით, სახდიც ასაშენებელი იყო და საჯინიბოც, ცხენებიც საყიდელი, გუთანიც და სხვა ათასი რამე. ჩემი ცოლი ორი წელიწადი მასწავლებლობდა. მერე ბიჭი შეგვეძინა. მაგრამ ჩვენი მაინც გავიტანეთ. უნდა ნახოთ, რა ხეხილი ჩაყვარეთ – ასი აკრი ვაშლის ბაღი, აგერ-აგერ უკვე მოისხამს. მაგრამ ფული იმდენი წავიდა, რომ ვალი დაგვედო. ამიტომ ვარ აქ. ცოლი ბავშვებისათვის და იმ ხეხილისთვის უნდა დანჩენილიყო,

იქ ის წვალობს, აქ მე – მომავალი მილიონერი, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ტანი.

თვალებგაბრწყინებულმა გახედა ტბის მწვანე წყალს მზეზე აელვარებულ ციურ ხეებს, ერთხელ კიდევ დაეხდა სურათს და წაილაპარაკა:

– აი ქალი ამას ქვია, მისი თქმა და ქმნა ერთია. ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი, როცა ცხვირის სამწყემსავად წამოვიდა, მაგრამ გულში ისეთი ნაპერწკალი ენთო, რომ შეუძლებელი იყო მომკვდარიყო. ახლაც გამხდარია, და არც არასოდეს იქნება მსუქანი. მაგრამ ეს ყველაზე მშვენიერი სიგამხდრეა ქვეყანაზე, და როცა მე შინ დავბრუნდები, როცა ჩვენი ვაშლები ნაყოფს მოისხამენ და ბავშვები სკოლაში დაიწყებენ სიარულს, მე და ჩემი ცოლი პარიზში წავალთ, მე დიდი არაფერი წარმოდგენა მაქვს ამ ქალაქზე, მაგრამ ცოლს მთელი თავისი სიცოცხლე გულით სწადია პარიზის ნახვა.

– რა გინდა, აქაური ოქრო პარიზშიაც თავისუფლად წაგიყვანო, – დაარწმუნა სმოკმა, – ოღონდ ხელი მივაწვდინოთ.

თვალებგაბრწყინებულმა კარსონმა თავი დაუქნია.

– უნდა გითხრა კი, რომ ჩვენი ხეხილის ბაღის ფასს მთელი წყნარი ოკეანის სანაპიროზე ვერაფერს ნახავ. ჰავაც მშვენიერია. ჩვენს ფილტვებს, ტყუილია, არაფერი საშოშროება არ ელის იქ, ვინც ფილტვებით ავად ყოფილა, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს, ხომ იცი. თუ გადაწყვეტ სადმე მოიკიდო ფეხი, თავდაპირველად უსათუოდ ჩვენს ველს ესტუმრე, უსათუოდ. მერე რა სათევზაო ადგილია, რომ იცოდე! აბა დაგიჭერია ოდესმე ოცდახუთმეტგირვარქიანი ორაგული ექვსგრამიანი ანკესით? უკეთესს ვერაფერს ნახავ, ჩემო ძმაო, ვერაფერს!

III

– მე ორმოცი გირძანქით შენზე მსუბუქი ვარ, – თქვა კარსონმა, – წინ წავალ.

ისინი ნაპრალის პირას იდგნენ, უზარმაზარი და ძველი, ასიოდე ფუტის სიგანის ნაპრალის პირას, რომლის კიდეები მახვილი და წახნაგოვანი კი არ იყო, არამედ დრო-ჟამისაგან ჩამორეცხილ-ჩამომდნარი. ამ ადგილას, ნაპრალის კიდიდან კიდემდე ხილივით იყო გადებული თოვლის უზარმაზარი ჩატკეპნილ-ჩამტკიცებული მასა, რომელიც ნახევრად ცინულად ქვცეულიყო. ამ თოვლის ფენის ძირასაც კი ვერ უწვდენდნენ ისინი თვალს, არა თუ ნაპრალის ფსკერს. ხიდი თანდათან დნებოდა, თანდათან ტყდებოდა და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მისი ჩატკევა. ზოგ ადგილას, ეტყობოდა, სულ ცოტა ხნის წინ ჩამოტეხოდა დიდ-დიდი ლოდები, ხოლო ვიდრე სმოკი და კარსონი ყურადღებით ათვალიერებდნენ ამ მასას, ერთი დაახლოებით ნახევარტონიანი ხოლგი ჩამოწყდა და გრუხუნით ჩაიქცა ძირს.

– ვერაფერი საიმედოა, – თქვა კარსონმა პირქუშად და თავი გადაიქნია, – მით უფრო, რომ თავი უკვე მილიონერი მეგონა.

– უნდა მოვერიოთ, – თქვა სმოკმა, – თითქმის მისული ვართ და უკან დაბრუნება არ იქნება. ამის გარდა კი აქ სხვა გზა არ არის. მე და შორტის ერთი მილის მანძილზე ირგვლივ ყველაფერი დათვალიერებული გვაქვს. მართალია, როცა გადმოვიარეთ, გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა აქაურობა.

– რიგრიგობით უნდა გადავიდეთ, მე პირველი მივდივარ, – და კარსონმა სმოკს რგოლებად დაკეცილი თოკი გამოართვა ხელიდან. – შენ მერე! თოკს და წერაყინს მე წავიღებ. ხელი მომაშველე, რომ ადვილად ჩაივიდე.

ნელა, ფრთხილად ჩაცურდა კარსონი რამდენიმე ფუტით დაბლა თოვლის ხიდისაკენ და გაჩერდა, რომ საბოლოოდ მომზადებულიყო სახიფათო გადასვლისათვის. ზურგზე საგზაო ზურგჩანთა ეკიდა. კისერზე თოკი გადაიდგო, მხრებზე მოირგო და ბოლო მაგრად შემოიკრა წელზე.

– ჩემი მილიონების მეტ ნაწილს მივცემდი, რომ აქ ერთ კარგ ხიდს გადავდგეს ვინმე, – მხიარული და უშმაკური ღიმილით თქვა მან და დასძინა, – ყველაფრეი რიგზეა; მე კატა ვარ.

წონასწორობის დასაცავად წერაყინი და გქელი ჯოხი, რომელიც ალპენშტოკობას უწევდა, ჯამბაზივით მოიმარჯვა, ფრთხილად წადგა ფეხი, მაგრამ მაშინვე უკან გამოსწია და აშკარად თავს ძალა დაატანა, რომ გამბედაობა მოეკრიბა.

– მერჩია ღატაკი ვყოფილიყავი, – გაიღიმა მან, – თუნდაც ამჯერად გამიმართლოს და მილიონური გავხდე, აღარასოდეს დავაპირებ გამდიდრებას. სწორედ ძალიან მოუხერხებელი ყოფილა სიმდიდრე.

– ნუ გეშინია, – გაამხნევა სმოკმა, – მე უკვე ერთხელ გამივლ-გამომივლია მანდ, და მოდი, პირველი მე ვცდი.

– ორმოცი გირვანქით მძიმე რომ ხარ ჩემზე? – წამსვე გასცა პასუხი პატარა კაცმა. – წუთიც და ძალას მოვიკრებ. აი უკვე კარგად ვარ, – მან ღონე მოიკრიბა და თავს მოერიდა. – ნაბიჯი წინ ცვლქი მდინარისა და ვაშლის ხევის სადღეგრძელოდ, – თქვა და ფრთხილად, მსუბუქად შედგა ფეხი ხიდზე, შემდეგ კი მეორე ფეხიც გადმოიტანა და ძალიან ნელა, გამოზომილი ნაბიჯით განაგრძო გზა. გზის ორი მესამედი რომ გალია, შეჩერდა და შეათვალიერა პატარა ორმო, რომელიც გადასასვლელი ჰქონდა, რომლის ძირში ახლად გახსნილი ნაპრალი მოჩანდა. სმოკმა დაინახა, რომ კარსონს თვალი მოსტაცა ნაპრალმა და წაბარბაცდა.

– ზევით აიხედე! – შეუძახა სმოკმა, – ახლა წადი! იარე!

პატარა კაცი დაემორჩილა და ისე გალია მთელი გზა, რომ მეტად აღარ შემერთალა. ნაპრალის გაღმა ნაპირი მზეზე იყო ჩამომდნარი და ზედ ფეხი სხლტებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ციცაბო არ იყო და კასონი ვიწრო შვერილზე გავიდა, შემობრუნდა და ჩამოჯდა.

– ახლა შენი რიგია, – გადმოსძახა სმოკს, – მაგრამ იცოდე, არ შეჩერდე და ვირს არ ჩაიხედო. აი მაგან იყო, რომ კინაღამ დამღუპა. იაერ, ეგ არის და ეგ. არ შეჩერდე, თორემ აგერ-აგერ მთლიანად ჩაირღვევა.

სმოკს ჰორიზონტალურად ეჭირა ჯოხი. და წონასწორობას იცავდა. აშკარა იყო, რომ ხიდი ბეწვზე ეკიდა, აი, თოვლის ფენა სმოკის ფეხქვეშ შეინძრა, გაქანდა, მერე ჯფრო ძლიერად შეირყა. მერე კი ერთიანი საშინელი გრიალი მოისმა. სმოკი მიხვდა, რომ მის უკან რაღაც მოხდა; სხვა რომ არაფერი, კარსონის დაძაბული, გაქვავებული სახე ეუბნებოდა ამას ქვემოდან ამოაღწია ნაკადის შორეულმა, სუსტმა ჩუხჩუხმა და სმოკს უნებურად თვალი მყისვე მოსწყვიტა მას თვალი და გზა განაგრძო. მხოლოდ წინ იყურებოდა და როცა გზის ორი მესამედი გალია, იმავე ორმოს მიაღწა. ნაპრალის წახნაგოვანი, მზისაგან ოდნავ შემდნარი კიდევები მოწმობდა, რომ იგი სულ ახალი გაპობილი იყო. სმოკმა ფეხი ასწია, რომ გადაეხიჯებინა და გაბმით ატკაცუნდა. სმოკი აჩქარდა, გადააბოტა, მაგრამ ორმოს იქითა ნაპირზე გაცვეთილი ტრიკონები დაუსხლტა, პირქვე დაეცა და შეუჩერებლად ჩაცურდა ქვევით, ნაპრალისაკენ; ფეხებით უკვე უფსკრულის თავს დაეკიდა, მკერდით კი ვარდნისას გარდიგარდმო გადავლულ ჯოხს დაეყრდნო.

პირველად გულისფრიალი და გულისრევა იგრძნო, ხოლო პირველი აზრი, რომელმაც თავში გაუელვა, ეს იყო: უფრო დაბლა რატომ არ ჩავვარდიო. მის უკან რაღაც ტკაცუნობდა, იძროდა, და სმოკის ჯოხიც ირხეოდა. დაბლიდან, მყინვარის გულიდან, უფსკრულში ჩანარცხებულნი, ჩაქცეული ლოდების ყრუ გრიალმა ამოაღწია. თოვლის ხიდის შორეულ კიდევ საყრდენი გამოეცალა, და შუაშიც ჩატყდა ხიდი, მაგრამ მაინც იდგა, თუმცა სმოკმა რომ გადაიხრა, ის ნაწილი ოცგრადუსიანი კუთხით იყო ჩაზნექილი უფსკრულისაკენ. სმოკი ხელავდა კარსონს, იგი ყინულოვან ქიმზე იჯდა, ფეხებით ყინულის ჩამდნარ ზედაპირს ებჯინებოდა და მხრებზე მოგდებულ თოკს სწრაფად იხვევდა ხელზე.

– მოიცა, არ გაინძრე! თორემ მთელი ეგ ასანთის დეროებით ნაგები შენობა ჩაგექცევა, – გამოსძახა მან სმოკს, მერე სწრაფად გაზომა თვალით მანძილი, ჭრელი ყელსახვევი მოიხსნა და თოკს მიაბა, შემდეგ ხელსახოცი ამოიჯო ჯიბიდან და კიდევ უფრო დააგრძელა თოკი; ერთიმეორეს მტკიცედ გადაბმული ხელსახოცების და მოუქნელი ტყავისაგან დაწნული, მოკლე-მოკლე ნაგლეჯებისაგან შეკრული თოკი მსუბუქიც იყო და მკვიდრიც. კარსონმა მარჯვედ და მოხერხებულად გამოსტყორცნა თოკი და სმოკმა მაშინვე თითებით ჩაბღუჯა იგი.

იმწამსვე აპირებდა ხელებს დაყრდნობოდა და ნაპრალიდან ამოფოფხებულყო, მაგრამ კარსონმა შეაჩერა, თოკი წელზე შემოაკრა და სმოკს უბრძანა:

- შენც ასევე მჭიდროდ შემოაკარი.
- რომ ჩავვარდე, შენც წაგიყოლებ, – შეეპასუხა სმოკი.
- პატარა კაცი დიდ ბრძანებელს დაემსგავსა.
- ჩუმად, თორემ შენმა ხმამ შეიძლება ყველაფერი ჩაანგრის.
- კი მაგრამ, რომ ჩავვარდე – დაიწყო ისევ სმოკმა.
- ჩუმად! არ ჩავარდები. ახლა მისმინე და როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი.

სწორია, იღლიებქვეშ ამოიკარი, მაგრამ. ახლა კი დავიძრათ, ფეხი ამოდგი, ოღონდ რაც შეიძლება მსუბუქად. მე თოკს ამოვახვევ, შენ კი არ შეჩერდე, იარე, ოღონდ მსუბუქად, მსუბუქად, აი აგრე!

სმოკს სულ ათიოდე ნაბიჯიდა ჰქონდა დარჩენილი ამოსასვლელი, რომ ხიდს ბოლო მოეღო; ირყეოდა, უხმაუროდ იშლებოდა და დაბლა იზნიქებოდა.

– ჩქარა! – შესძახა კარსონმა და სასწრაფოდ გადაიხვია ხელზე მოშვებული თოკი.

როცა ხიდი ჩაინგრა, სმოკი თითებით დაებღაუჭა ნაპრალის ყინულოვან კედელს. ტანით კი ჩაქცეული ხიდის უკან ჩაეკიდა.

კარსონმა, რომელიც კლდის ქიმზე იჯდა და ფართოდ გადგმულ ფეხებს ებჯინებოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოქანა თოკი და სმოკი გვერდით კედელზე გაიყვანა, მაგრამ თვითონ თავის ნიშიდან გამოსხლტა; კატასავით გადატრიალდა ჰაერში და დაბლა ჩამოცურდა; თავგანწირული ცდილობდა ყინულზე ფეხის მოკიდებას, მაგრამ ამაოდ, მის ქვევით კი, ორმოცფუტნიანი თოკის ბოლოში სმოკიც ისევ თავგანწირულად ცდილობდა რაიმეს მოსჭიდებოდა, ვიდრე დაბლიდან საშინელი გრუხუნის აუწყებდათ, რომ თოვლის ხიდი უფსკრულის ძირს მიაღწია, ორივემ მოიკიდა ფეხი, პირველად კარსონმა მოახერხა შეჩერება, რამდენჯერმე თავგამეტებულად მოქანა თოკი და სმოკიც შეაჩერა.

ორივენი პატარ-პატარა ნიშებში მოხვდნენ, მაგრამ სმოკი ისე ვიწრო მოედანზე იწვა, რომ თუმცა მთელი ტანით გაერთხა ყინულს და საშინელი დაძაბულობით იკავებდა თავს, უსათუოდ ჩავარდებოდა, რომ თოკი არა, რომელიც მცირედ მაინც იცავდა. იგი კლდის შვერილის კიდევ გაკვროდა, და ვერ ხელავდა რა იყო მის ქვევით. რამდენიმე წუთს ორივე გამოსავალს ეძებდა

და სწრაფად ეუფლებოდა სველ და სრიალა ყინულის კედელზე გაკერის საიდუმლოებას. პატარა კარსონი პირველი ალაპარაკდა.

– მისმინე, – თქვა მან და წუთის შემდეგ დასძინა, – თუ შეგიძლია, ცოტა ხანს წინით გაჩერდი, რომ თოკი ცოტა მოვუშვა; შემოვბრუნდები. აბა სცადე. სმოკი დაიძაბა, შეეცადა უთოკოდ გაჩერებულიყო. მერე ისევ თოკზე დაისვენა.

– შემიძლია, უთხრა კარსონს, – ოღონდ მითხარი, როდის იქნები მზად, იჩქარე!

– სამიოდე ფუტის ქვევით ფეხის მოსაკიდებელია, – უპასუხა კარსონმა, – უცბად ჩავალ, აბა მზად ხარ?

– მიდი.

ძნელი იყლ მთელი იარდით დაბლა ჩამოცურება, შემოტრიალება და ჩამოჯდომა, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი იყო სმოკისათვის ყინულოვან შევრილზე გართხმულს წინასწორობა შეენარჩუნებინა კუნთების უფრო და უფრო ძნელი, უფრო და უფრო საშინელი დაძაბვით. ის უკვე ვეღარ უძლებდა და უნდა ჩასრიალულიყო, რომ თოკი დაიჭიმა და სმოკმა მაღლა აიხედა. მის ამხანაგს მხემოკიდებულ სახეზე მიწისფერი დასდებოდა და სმოკი მიხვდა, რომ არც თვითონ გამოიყურებოდა უკეთესად, მაგრამ, როცა დაინახა, რომ კარსონი აკანკალებული ხელით ქარქაშიდან დანას იღებდა, იფიქრა, ყველაფერი გათავდა, შიშისაგან გონდაკარგული კარსონი თოკის გადაჭრას აპირებდა.

– მძე ნნუ მიყურებ, – კბილების კაწკაწით ამოთქვა კარსონმა, – შეშინებული არ გეგონო, ნერვების ბრალია, ეშმაკსაც წაუღია ეს ნერვები. ახლავე მოვერევი.

სმოკი უყურებდა მას და ხედავდა, მუხლებშუა თავჩარგული აცახცახებული კარსონი რა მოუხეობებლად ჭიმავდა ცალი ხელით თოკს. მეორეთი კი ყინულს ჩეხავდა და ფეხის მოსაკიდებლად საფეხურებს კვეთდა.

– კარსონ, – წყნარად თქვა სმოკმა, – ლომი ხარ, ნამდვილი ლომი.

პასუხად საწყალობელი, უფერული ღიმილი მიიღო.

– ვერასოდეს ვერ ვიტანდი სიმაღლეს, – გამოტყდა კარსონი, – მუდამ თავბრუს მიხვევდა. ერთ წუთს გაძლებ, რომ გავჩერდე და სული მოვითქვა? მერე უფრო ღრმა საფეხურებს ამოვკვეთავ, უკეთ მოვიკიდებ ფეხს და ამოვიყვან.

სმოკს გულს მოეფინა.

– ჟური მიგდე, კარსონ, ახლა ერთადერთი გზა გვაქს – თოკი უნდა გადაჭრა, მე ვერაფრით ვერ ამომიყვან, და ვის რაში სჭირდება, ორივე დავიღუპებით, დანა ხომ გაქვს, აიღე და გადაჭერი.

– ხმა გაიკმინდე! – აღშფოთდა კარსონი, – ვინ გეკითხება, რას ვიზამ!

სმოკმა შეამჩნია, რომ გაჯავოებამ არგო მისი ამხანაგის ნერვებს. თვითონ სმოკს კი ნერვების დიდ დაძაბვად უღირდა ის, რომ ყინულზე გართხმულს მოთმინება უნდა მოეკრიბა და თავის შესამაგრებლად ყოველი ღონე ეხმარა.

გმინვამ და დაძახილმა, თავი შეამაგრეო, – გააფრთხილა სმოკი, ყინულზე პირქვე გაწოლილმა უკიდურესობამდე დაძაბა ძალ-ღონე, რომ მთელი სხეულით ჩაფრენოდა კედელს, იგრძნო, როგორ მოეშვა თოკი და მიხვდა, რომ კარსონი დაბლა, მისკენ მოსრიალებდა. მაღლა ახედვა ვერ გაბედა, ვიდრე კვლავ არ იგრძნო თოკის დაჭიმვა – ესე იგი კარსონმა ისევ როგორღაც მოიკიდა ფეხი.

– დალახვროს უშმაკმა, ცოტაც და წასული იყო ჩვენი საქმე, – ძლივს ამოთქვა კარსონმა, – მთელი იარდით დაბლა ჩამოვსრიალდი, ახლა მოითმინე. ახალ საფეხურებს გამოვჭრი. ეს ოხერი ყინული ასე შემდნარი რომ არ იყოს, უკვე სამშვიდობოს ვიქნებოდით.

კარსონმა მარცხენა ხელით მჭიდროდ გაიხვია თოკი, რომ სმოკს შემველებოდა, მარჯვენათი კი ყინულის ტეხვა და საფეხურების ჭრა განაგრძო. ასე გაიარა ათმა წუთმა.

– ახლა გეტყვი, რა გავაკეთე – ჩასძახა დაბლა, – ჩემს გვერდით შენთვის ფეხისა და ხელის მოსაჭიდებელი გამოვკვეთე. ახლა თოკს ნელ-ნელა ამოვქაჩავ, შენ კი ფრთხილად და აუჩქარებლად ამოფოფხდი. მანამდე კი, აი რას გეტყვი. მე თოკით დაგიმაგრებ და შენ ეგ ზურგჩანთა მოიშორე. გესმის?

სმოკმა თავი დაუქნია და ფრთხილად შეხსნა ზურგჩანთის თასმები. შემდეგ მხრები შეანძრია, რომ მოეცილებინა, კარსონმა დაინახა, როგორ ჩასრიალდა ზურგჩანთა კლდის ქიმს იქით და თვალს მიეფარა.

– ახლა ჩემსას მოვიშორებ, – ჩასძახა მან სმოკს. – ერთ ხანს თოკი ოდნავ მოეშვება და გაუძვლი.

ხუთი წუთის შემდეგ უმვიმესი ასდა დაიწყო. სმოკმა სახელოების სახელოების სარჩულზე შეიმშრალა ხელები, ციცაბოს მოეკიდა და თოკის შემწვობით ეჭიდებოდა, ეწებებოდა, ეკროდა ყინულის კედელს. მარტო რომ ყოფილიყო, ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწვევდა წინ, თუმცა ღონიერი, დაკუნთული სხეული ჰქონდა, მაგრამ კარსონზე ორმოცი გირძანქით მეტს იწონიდა და მასავით ვერ ეჭიდებოდა ყინულს. გზის ერთი მესამედი რომ ალია, უფრო ციცაბო და ნაკლებად დაჭმულ ყინულის კედელს მიადგა და იგრძნო, რომ თოკი ოდნავ მოეშვა. იგი უფრო და უფრო ნება მოძრაობდა, გაჩერება და შესვენება კი არსად შეეძლო. მაგრამ უკიდურესი, თავგანწირული ძალ-ღონის დანახვა ამო გამოდგა, სმოკი იძულებული გახდა შეჩერებულიყო და იმავე წამს იგრძნო, რომ დაბლა დაცურდა.

– ჩავსრიალდი! – ასძახა ზემოთ.

– მეც, – კბილებიდან გამოსცრა კარსონმა.

– თოკი გადაჭერი.

სმოკმა იგრძნო, რა ამოდ ეჭიდებოდა თოკს კარსონი, მერე კი უფრო და უფრო სწრაფად დაცურდა ქვევით, სრიალით ჩასცდა იმ ნიშს, სადაც ამის წინ იყო და კლდის ქიმს იქით ჩაეშვა, აქედან უკანასკნელად მოჰკრა თვალი კარსონს. კარსონი თავგამეტებით ცდილობდა ხელებით და ფეხებით მოჰკიდებოდა რაიმეს, რათა ვარდნა როგორმე შეეჩერებინა. კლდის შვერილს იქით რომ ჩაცურდა, სმოკს ეგონა, უფსკრულში ჩაიჩეხებოდა, მაგრამ მისდა გასაოცრად თოკი დაიჭიმა, და ციცაბოზე დადმასვლა შეჩერდა; მერე კი იგი მეორე ყინულოვანი შვერილის კიდეზე, სხვა მყუდრო ნიშში, მოხვდა. კარსონი არ ჩანდა, იგი იმ ადგილზე შეჩერდა, რომელიც მანამდე სმოკს ეჭირა.

– ჰეი! – მოესმა სმოკს კარსონის ხმა, – ჰეი!

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კი სმოკმა იგრძნო, რომ თოკი შეირხა.

– რას აკეთებ! – ასძახა კარსონს.

– საფეხურებს – ხელის და ფეხის მოსაკიდებლად, – ხმის კანკალით გასცა პასუხი კარსონმა, – ცოტა მოითმინე, – დასძინა შემდეგ, – ახლავე ამოვიყვან. ყურადღებას ნუ მიაქცევ, რომ ენა მებმება. ვღელავ და იმიტომ, მაგრამ კარგად ვარ. მოითმინე და დამელოდე.

– მთელ ძალ-ღონეს მე მაღეგ, – შეეპასუხა სმოკი. – ხომ ხედავ, ყინული დნება, და, ადრე თუ გვიან, შენც ჩემკენ ჩამოცურდები. ახლა თოკი უნდა გადაჭრა, ეგ არის გამოსავალი. ყური მიგდე! რა აზრი აქვს ორივეს დაღუპვას. გესმის თუ არა? შენ ამქვეყნად ყველაზე დიდი სულის მქონე პატარა კაცი ხარ, მაგრამ თავს იქით ძალა არ არის. გადაჭერი.

– ხმა ჩაიკმინდე. ახლა იმოდენა საფეხურებს გამოვჭრი, რომ შიგ უღელი კამჩი ჩადგეს თავისუფლად.

– საკმაოდ დიდ ხანს მათრიე, – არ ეშვებოდა სმოკი, – დამტოვე.

– რამდენჯერ ამოვიყვანე? – გაავებით თქვა კარსონმა

– ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ამოდ. შენ თვითონ არე რამდენზე ჩამოცურდი დაბლა!

– სამაგიეროდ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვსწავლობდი ამ თამაშს. იმდენ ხანს ვაპირებ ვათრიო, ვიდრე აქედან არ ავალწევთ. გაიგე? მაღალმა ღმერთმა ეტყობა კარგად იცოდა, რატომ შემქმნა მსუბუქი წონისა. ახლა გაჩუმდი. ხელს ნუ მიშლი.

რამდენიმე წუთმა მდუმარედ განვლო. სმოკს ესმოდა, როგორ ჩახავდა დანის ფოლადის პირი ყინულს, დროდადრო კლდის ქიმის იქიდან ყინულის ნამსხვრევები ცვიოდა მისკენ და ისიც, მწყურვალი, ხელ-ფეხით ყინულს ჩაკიდებული, პირით იჭერდა ამ ნაფშვენებს, აღნობდა და ყლაპავდა.

უცებ ამოოხვრა მოესმა, ოხვრა სასოწარკვეთილ კენესად გადაიქცა, და სმოკმა იგრძნო, რომ თოკი მოეშვა, მაგრამ მყისვე დაიჭიმა. მან ზევით აიხედა, ციცაბო კედლისაკენ, წამის შემდეგ დაინახა, რომ ყინულოვანი შევრილის კიდეზე დანა ჩამოსრიალდა და მისკენ ჩამოცურდა; მან ლოყით დაიჭირა დანა, ტკივილისაგან დაიმანჭა, მაგრამ მწვავე ტრილობა არაფრად ჩააგდო და უფრო მჭიდროდ მიაჭირა ლოყა, რომ დანა ყინულზე დაეკავებინა. დანა გაჩერდა.

ნაპრალში ჩივლის ხმა ჩამოიჭრა:

– ნამდვილი დოყლაპია ვარ, ნამდვილი.

– გამხნევედი! – ასძახა სმოკმა, – დავიჭირე.

– მართლა? მოიცა ჯიბეში თოკი მაქვს, ჩამოგიგდებ და ამომიგზავნე.

სმოკმა პასუხი არ გასცა, უეცრად მოძალებულმა ფიქრებმა გაიტაცა.

– ჰეი, გესმის! აგერ თოკს ვუშვებ. დამიძახე, როდის მოაღწევს შენთან.

ყინულზე ნელა ჩამოცურდა პატარა ჯაყვა, რომელიც კარსონს სიმძიმისთვის მიება თოკზე. სმოკმა ჯაყვა დაიჭირა, მისი დიდი პირი კბილებით და ცალი ხელით გახსნა და თითი დაუსვა, რომ ბარწმუნებულებიყო ალესილი იყო თუ არა. შემდეგ თოკის ბოლოს მერე, დიდი დანა მიაბა და კარსონს ასძახა:

– ასწიე!

დაძაბულად ადევნებდა თვალს, მაღლა-მაღლა როგორ მიიწევდა დანა, მაგრამ დანის გარდა სხვა რამესაც ხედავდა აკანკალებულ და ათრთოლებულ პატარა კაცს, შეშინებულს, მაგრამ შეუპოვარს; მათ თავბრუ ეხვეოდა, სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ სულმოკლეობას და დაღლილობას სძლეოდა და ნამდვილ გამირივით იქცეოდა. შორტისთან შეხვედრის შემდეგ ეს პირველი ადამიანი იყო, ვიზეც ასე ერთბაშად შეუვარდა გული. ეს ჭეშმარიტი ხორცისმჭამელი იყო, ნამდვილი მეგობარი, თავგანწირულობამდე ერთგული, დიდსულოვანი, ისეთი მტკიცე და ურყევი, რომ ვერავითარი ხიფათი ვერ შეაძრწუნებდა. მაგრამ სმოკმა გულგრილად აწონ-დაწონა მდგომარეობა, ორივეს გადარჩენის იმედი არ იყო, ისინი ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლად მიცურავდნენ დაბლა, მყინვარის გულისაკენ, და მთავარი ის იყო, რომ პატარა კაცს სმოკის სიმძიმე მიათრევდა ქვევით. მარტო რომ ყოფილიყო, კარსონი ბუზივით აფრინდებოდა მაღლა; მარტო რომ ყოფილიყო, უსათუოდ გადარჩებოდა.

– ვაჟკაცები ვართ! – ყინულოვან შევრილს ჩამოსცდა ხმა ზემოდან. – ახლავე ავალო.

კარსონი ცდილობდა თავისი ხმისთვის სიმხნევე და იმედიანობა მიეცა და ამან მიაღებინა სმოკს გადაწყვეტილება.

– ყური მიგდე, – თქვა მტკიცედ, თან ამოდ ცდილობდა მოეშორებინა ჯრი გასტელის სახე, რომელიც თვალწინ დაუდგა, – ეგ დანა იმისთვის ამოგიგზავნე, რომ აქედან გახვიდე როგორმე, გესმის თუ არა? ჯაყვით კი თოკს გადავჭრი. ერთ-ერთი ჩვენგანი უნდა გადარჩეს, თუ არა ორივე დავიღუპებით. გესმის?

– ან ორივე უნდა გადავრჩეთ, ან ორივე დავიღუპოთ, – ხმის კანკალით, მაგრამ გადაჭრით უპასუხა კარსონმა, – კიდევ ერთ წუთს რომ გაუძლებდე!..

– ისედაც მეტისმეტად დიდი ხანია ვუძღვებ. რატომ? მე მარტოხელა კაცი ვარ. არც სათაყვანო სუსტი ქალი მელოდება, არც შვილები, არც ვაშლის ხეები. გამიგონე! წადი აქედან, გააღწიე როგორმე და წადი!

– მოიცადე! თუ ღმერთი გწამს, ცოტა ხანს მოიცადე! – ჩასძახა კარსონმა, – ნუ იზამ მაგას! საშუალება მომეცი ამოგიყვანო, მშვიდად იყავი, ძველო, და იცოდე, თავს დავიძვრენტ. ნახავ თუ არა! ახლა იმოდენა საფეხურების გამოჭრას ვაპირებ, რომ სახლი და ბოსელიც ჩაიდგმება შიგ.

სმოკმა პასუხი არ გასცა და და აუჩქარებლად, მონუსხულივით გარინდებულმა გადაუსვა დანა თოკს; ტყავის თასმებისგან დაწნული თოკის რამდენიმე თასმა გასკდა და გაიშალა.

– რას შერები? – სასოწარკვეთილებით შეჰყვირა კარსონმა. – იცოდე, რომ გადაჭრა, არასოდეს არ გაპატიებ მაგას, არასოდეს. ხომ გითხარი, ან ორივე გადავრჩებით, ან არც ერთი. ახლა სულ მალე ავალთ! ოღონდ დაიცადე, ტუ ღმერთი გწამს, დაიცადე!

და სმოკმა, რომელიც თვალნათლივ ხედავდა თოკის დამსკდარ თასმებს, შიში იგრძნო, ძალაგამოცდილი, საზარელი შიში. არა, სიკვდილი არ უნდოდა. მან თვალი მოსწყვიტა დაბლა მოციმციმე უფსკრულს და პანიკური შიშით მოცული წყალწადებულის იმედს ჩაეჭიდა. შიშმა უკარნახა დანებებულიყო.

– კარგი, – ასძახა კარსონს, – დავიცდი. რაც შეგიძლია, ცადე, მაგრამ გეუბნები, თუ კიდევ კიდევ ერთხელ დაცურდით, უსათუოდ გადავჭრი.

– გაჩუმდი! და ნუ ფიქრობ მაგაზე, თუ გავიძვრებით, მხოლოდ ზევითკენ. მე ტკიპასავით ვარ. ორჯერ უფრო ციცაბოც რომ იყოს, ფეხს მოვიკიდებ. გავჩერდები. აი უკვე კარგა მოზრდილი საფეხური მაქვს გამოჭრილი ცალი ფეხისთვის. ახლა გაჩუმდი და მუშაობას ნუ მშლი.

დრო ნელა მიიზღახნებოდა. სმოკმა მთელი გულისყური დუდკოგადატყავებული თითის ყრუ ტკივილზე გადაიტანა; დილასვე მაწუხებდა და მაშინვე უნდა მომეჭრაო, – იფიქრა და გადაწყვიტა, როგორც კი ამ ნაპრალიდან ამოვადწევ, მოვიჭრიო. შემდეგ კიდევ დააცქერდა თითს და სულ სხვა თვალთ დაინახა ყველაფერი. წუთის ან, უკეთეს შემთხვევაში, სულ ათიოდე წუთის შემდეგ, ეს გადატყავებული დუდკო, ეს ღონიერი, მოქნილი, მოძრავი თითი შეიძლება უფსკრულში ჩაღეწილიყო, დასახინჩრებული, უსულო სხეულის ნაწილად იქცეს. ეს შიში რომ იგრძნო, თავი შეზარდა. ხორცის მჭამელები სხვა, უფრო ვაჟკაცური მასალისაგან არიან შექმნილიო. ბრაზმა და ზიზღმა უკარნახა მაშინვე დანით გადაესერა თოკი, მაგრამ შიშმა ხელი უკან წაადებინა და აცახცახებული და ოფლად გაღვრილი უფრო მჭიდროდ აეტმასნა მოსიპულ კედელს. თავს ირწმუნებდა, იმიტომ ვკანკალებ, რომ გამდნარ ყინულზე გაკრული და მთლად გალუმპული ვარო. მაგრამ გულის სიღრმეში იცოდა, რომ ეს მართალი არ იყო.

უცაბედად შეძახილმა და კენესამ შეაკრთო, თოკი მოეშვა და სმოკი დაცურდა, დაცურდა ძალიან ნელა; თოკი ისევ დაიჭიმა, მაგრამ სმოკი კვლავ დაბლა მიცურავდა. კარსონი ვეღარ იჯერდა და მასთან ერთად მიცურავდა ქვევით. მერე სმოკის ფეხი სიცარიელეში ჩაეკიდა და იგი მიხვდა, რომ საცაა უფსკრულში ჩაეკანებოდა. ისიც ნათელი იყო მისთვის, რომ წამის შემდეგ მისი სხეული კარსონის სხეულს ჩაიყოლებდა თან. იმწამს მან თვალისმომჭრელი სიცხადით იგრძნო, რის გაკეთება იყო საჭირო, მთელი თავისი სიცოცხლის სიყვარული და სიცოცხლისაკენ სწრაფვა უკუაგლო და თვალდაბინდულმა, სასიმოხდილმა თოკს დანა გადაუსვა; დაინახა, როგორ გადასკდა თასმები, იგრძნო, რომ უფრო სწრაფად დაცურდა, მერე კი მოწყდა და ჩავარდა. არ იცოდა, რა მოხდა შემდეგ. გონება არ დაუკარგავს, მაგრამ მეტისმეტად სწრაფად, მეტისმეტად მოულოდნელად მოხდა ყველაფერი. უფსკრულში გადაჩვევის

ნაცვლად, თითქმის მაშინვე წყალში ჩაენარცხა და შეეფებმა სახე დაუსველა. პირველად იფიქრა, ნაპრაღი გაცილებით უფრო პატრია, ვიდრე მეგონა და უვნებლად მივალწიე მის ფსკერსო. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ცდებოდა. მოპირდაპირე კედელი მისგან ათიოდე ფუტით იყო დაშორებული. თვითონ კი ყინულის კედლის შეერილში წარმოქმნილ პატარა აუზში მოხვედრილიყო. ზემოთ, ათიოდე ფუტის სიმაღლეზე ყინული დნებოდა, წყალი წვეთ-წვეთად თუ პატარა ღარებად ჩამოდინდა დაბლა და აქ მცირე გუბურას ბმნიდა. იმ ადგილას, სადაც სმოკი ჩავარდა, ორი ფუტის სიღრმე ჰქონდა წყალს და პირამდე ავსებდა ღრმულს. სმოკმა გუბის იქით გადაიხედა და დაინახა რამდენიმე ასეული ფუტის სიღრმის ვიწრო ნაპრაღი, რომლის ფსკერზეც გიჟი ნაკადი ბობოქრობდა.

– რა ჰქენი? – მოესმა სასოწარკვეთილი შეყვირება ზემოდან და ასძახა:

– დაწენარდი და ყური დამიგდე, მე საღი ვარ და უვნებელი, მხოლოდ ყელამდე წყალში ვზივარ. ჩვენი ზურგჩანთებიც აქ არის გუბეში. აი, ახლა თუ ჩამოცურდი, ეცადე კლდეს არ მოწყდე და უსათუოდ აქ ჩამოვარდები. მაგრამ ჯობს, წახვიდე, ადი, იმ ქოხში მიდი. იქ უსათუოდ კიდაც არის. ჩემი თვალით დავინახე კვამლი. თოკი ან რაიმე თოკისმაგვარი წამოიდე, დაბრუნდი და ამომქაჩე.

– არ მატყუებ? – უნდობლად შეეპასუხა კარსონი.

– ცოცხალი აღარ გენახო, თუ გატყუებდე. არა, აბა, იჩქარე, თორემ ვაითუ გავცივდე.

რომ გამთბარიყო, სმოკმა აუზის კიდეზე ქუსლით ამოტეხა წყლის სადინარი, როცა წყალი მთლიანად გადაიწრიტა, იმ წუთს ზემოდან ხმა მოესმა, კარსონი ატყობინებდა, მადლა ავედიო.

ამის შემდეგ სმოკმა ტანსაცმლის გაშრობა გადაწყვიტა. ნაშუადღევის თბილი მზე პირდაპირ სცემდა მას. სმოკმა ტანსაცმელი გაიძრო და გარშემო დაფინა. წყალგამძლე ასანთის კოლოფი ჰქონდა ჯიბეში და სიგარეტების გასახვევად საკმარისი თამბაქოს და ქაღალდის გაშრობაც მოახერხა.

ორი საათის შემდეგ, როცა ორ ზურგჩანთაზე დედიშობილა მჯდარი სმოკი სიგარეტს აბოლებდა, მადლიდან ჩამოესმა ხმა, რომელსაც ყოველთვის ცნობდა.

– სმოკ! სმოკ!

– ჯოი გასტელს ჩემი სალაამი! – ასძახა სმოკმა, – საიდან გაჩნდით?

– დაშავებული ხართ?

– ფრჩხილიც არ მტკენია!

– მამა თოკს უშვებს დაბლა. ხედავთ?

– ვხედავ კი არა, უკვე დავიჭირე. ახლა ერთი-ორიოდე წუთი მომიცადეთ, თუ შეიძლება.

– რა ამბავია? – შემფოთებით იკითხა ჯოიმ რამდენიმე წუთის შემდეგ, – უსათუოდ დაშავებული იქნებით, არა?

– არა, ვიცვამ, ღმერთმანი.

– იცვამთ?

– ჰო. ვიბანავე და ახლა ვიცვამ. აი უკვე მზადა ვარ. თქვენ? აბა, ამწიეთ!

თავდაპირველად მან ზურგჩანთები მოაბა თოკს, რითაც, რა თქმა უნდა, ჯოი გასტელის გულისწყრომა გამოიწვია მეორე გზად კი თვითონ ავიდა.

ჯოი გასტელი გაბრწყინებული თვალებით უყურებდა მას, ვიდრე მამამისი და კარსონი საქმიანად ახვევდნენ თოკს.

– გაბედვა არ უნდოდა თოკის გადაჭრას? – რა შესანიშნავია, რა დიდებული. სამოკმა ხელის აქნევით აარიდა თავი ქებას.

– ყველაფერი ვიცი, – არ იშლიდა ჯოი გასტელი, – კარსონმა მიამბო. თქვენ თავი გასწირეთ, რომის გადაგერჩინათ.

– მსგავსი არაფერი ყოფილა, – იცრუა სმოკმა, – მთელი დრო ვხედავდი იმ აუზს ჩემს ქვემოთ და საბანაოდ ჩავედი.

როგორ უპირებდნენ ჩამოსხრობას კალტუს ჯორჯს

I

გზა ციცაბო ფერდობზე მიიმართებოდა ღრმა, ფიფქ თოვლში, არც მარხილის, არც მოკასინის კვალი არ ჭრიდა სპეტაკ სითეთრეს. სმოკი წინ მიდიოდა და თავისი ფართო, მოკლე თხილამურებით თოვლის ფაფუკ კრისტალებს ტკეპნიდა. ამ საქმეს კარგი ფილტვები და ღონიერი კუნთები სჭირდებოდა და სმოკიც თავგამეტებით მუშაობდა. უკან, მის გაკვალულ ბილიკს მწკრივად შებმული ექვსი ძაღლი მისდევდა; ვაღლების სუნთქვა ორთქლად ადიოდა და მოწმობდა, როგორ უძიძდათ მათ სიარული და როგორ ძლიერ ყინავდა. წინამძღოლ ძაღლსა და მარხილს შორის შორტი წვალობდა – მთელი სიძიმით აწვებოდა ჭოკს, და თან ძაღლებს ერეებოდა, თან მარხილის გაწევაში ეხმარებოდა მათ. ყოველ ნახევარ საათში სმოკი და შორტი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, რადგან თხილამურებით თოვლის ტკეპნა კიდევ უფრო ძნელი იყო, ვიდრე ჭოკით მარხილის მართვა.

ისინი დასვენებული და მოღონიერებულნი დაადგნენ გზას, ძაღლებიც დასვენებული ჰყავდათ და ამიტომ მარჯვედ უმკლავდებოდნენ მძიმე სამუშაოს – შუა ზამთარში უღელტეხილისკენ ბილიკს მიკვალავდნენ. ამ უღმობელ გზაზე დღეში ათი მილის გავლას სინი დიდ საქმედ თვლიდნენ და თუმცა ვაჟკაცურად იტანდნენ სიძნელეს, ღამ-ღამობით მძიმედ დაქანცული ძვრებოდნენ ბეწვის საძილე ტომრებში. ექვსი დღე იყო, რაც ისინი იუკონზე მდგარი ხალხმრავალი და მხიარული ბანაკიდან – მუკლუკიდან გამოვიდნენ. ორი დღე კარგად გაკვალული ბილიკით იარეს და მძიმედ დატვირთული მარხილით ორმოცდაათი მილი აჭრეს „ირმის წყაროს“ აყოლებით. მერე უფრო სწორად, თოვლთან კი არა, ცალკეული გაყინული ფიფქების სქელ, და იმ ზომამადე შეუმტკიცებელ ფენასთან, რომ ფეხის წაკვრაზე ეს ყინული შაქრის ფხვნილივით შრიალით იფშენებოდა. სამ დღეში, როგორც იქნა, გააღწიეს; ოცდაათი მილი იარეს „ჭიჭყინას მდინარის“ პირს, უკან მოიტოვეს რამდენიმე წყალგასაყარი, რომლებიც მიმდინარე პატარა ნაკადულებს; და ახლა შიშველი გორების გადაღმა, დიდი მთაგრეხილისკენ მიდიოდნენ. აქედან კი „მაჩვის ნაკადულის“ ჩავლით „რძის მდინარის“ შუაწელთან გავიდოდნენ. გაგონილი ჰქონდათ, რომ “ რძის მდინარის” სათავისკენ სპილენძის საბადოები იყო. და სწორედ იქით, სუფთა სპილენძის მთისკენ მიემართებოდნენ; უნდა გაეგლოთ ის ადგილი, სადაც “ რძის მდინარე” თავს აღწევდა და დაბურულ ტყეში იკარგებოდა, მერე კი მარჯვნივ გაეხვიათ და გზაზე შეხვედრილ პირველივე ნაკადულს ნახევარი მილით აღმა აჰყოლოდნენ. ცალთვალა მაკარტნიმ ისე ცოცხლად აღწერა ეს ადგილი, რომ უსათუოდ იცნობდნენ; შეუძლებელი იყო შემლოდათ თუ, რა თქმა უნდა, მაკარტი არ ტყუოდა.

სმოკიწინ მიდიოდა, აქა-იქ გაფანტული ნაძვის ხეები უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა, და უცებ დაინახა პირდაპირ გზაზე მდგარი ხმელი ნაძვი. სიტყვა ხედმეტი იყო. სმოკმა ამხანაგს გადახედა და მის მზერას შორტის რიხიანი შეძახილი მოჰყვა.

– სდექ! – იღრიალა შორტიმ და როგორც კი ძაღლები დადგნენ, სწრაფად დაიწყო მათი გამოსხნა მარხილიდან, სმოკი ნაძვს მიადგა ნაჯახით, ძაღლები კი გამოსხნისთანავე თოვლში მოიკუნტნენ, თათებზე კუდი მოიხვიეს და მოთოშილი დრუნჩიც ბეწვში ჩამალეს.

შორტი და სმოკი ნაცადი კაცის ჩვეული სისწრაფით მუშაობდნენ. ოქროს სარეცხ ციცხვში, საყავეში და სადილის მოსამზადებელ ქვაბში უკვე ყინული უნებოდა. სმოკმა მარხილიდან ცერცვი გადმოიღო, ცერცვი უკვე მოხარშული იყო საგზლად. ზედ ოთხკუთხად დაჭრილი მსუქანი ღორის ხორცისა და ბეკონის ნაჭრები ეწყო და ისე იყო გაყინული, სმოკმა, თითქოს შეშაო, ცუღით ჩამოჩეხა რამდენიმე ნაჭერი და ტაფაზე დადო გასალღობად. გაქვაგებული ორცხოვნილიც ასე გაათბეს, და ოც წუთში საუზმე მზად ჰქონდათ.

– ორმოცი გრადუსი იქნება – წაიბურტყუნა ცეოცვით პირგამოტენილმა შორტიმ, – ნეტავი არ აცივდებოდეს, თუმცა არც დათბობა ივარგებდა; სწორედ გზის გასაკვალად საჭირო ამინდია.

სმოკს პასუხი არ გაუცია; თვითონაც ცერცვით ჰქონდა პირი სავსე და ღონივრად იქნევდა ყბას, ამ დროს მან თორმეტოდე ფუტის მანძილზე მწოლიარე წინამძღოლ ძაღლს მოჰკრა თვალი. მოვერცხლისფრო რუხი ქოფაკი სმოკს გესჩერებოდა და თვალეში ესაზღვრო სევდა ედგა, ესაზღვრო ფიქრი და ნაღველი, რაც ასე უბინდავევს ხოლმე მზერას ჩრდილოურ ძაღლებს. სმოკს ხშირად შეენიშნა ეს, მაგრამ ვერასოდეს ვერ ჩასწვდომოდა ამ განუსაზღვრელი, გამოუცნობი მზერის სიღრმეს. ახლაც მონუსხულივით იჯდა, მერე, თითქოს გარინდებისაგან უნდა გამოერკვიოსო, თავისი თევში და ყავა გადადგა, მარხილთან მივიდა და ხმელი თევზით სავსე ტომრის გახსნა დაიწყო.

– ეს, რას აკეთებ? – გაწყრა შორტი.

– ყოველგვარ საგზაო წესს, კანონოს, ადათს და ჩვევას ვარღვევ, – უპასუხა სმოკმა, – მინდა ახლავე, დღისითვე ვაჭამო ძაღლებს. მარტო ამ ერთხელ უღელტეხილამდე, გარდა ამისა, ახლა მარდი მელაპარაკებოდა და ენით უთქმელი ათასი რამ მითხრა თვალებით.

შორტიმ უნდობლად გაიცინა.

– მიდი, მიდი, გარყვენი. სულ მალე თათებზე მანიკურის გაკეთებას დაუწყებ ალბათ. ჩემი ფიქრით არც კოლდკრემი და ელექტომასაჟები იქნებოდა ერიგო. ძალიან მოუხდებოდათ მარხილის ძაღლებს. დროდადრო კი თურქული აბანოც არ აწყენდათ.

– როდის მიჭმევია სხვა დროს, – თავს იცავდა სმოკი, – და მეტად აღარც ვიზამ. მარტო ამ ერთხელ! რა ვიცი, რამ წამომიარა.

– თუ გული გეუბნება რამეს, მაშინ შენ იცი, – უცბად მოლბა შორტი, – წინათგრძნობას არ შეიძლება არ აყვეს კაცი.

– წინათგრძნობას კი არა, შორტი, უცნაურად იმოქმედა ახლა ჩემზე მარდის გამოხედვამ. ერთ შუთში იმდენი რამე მითხრა თვალებით, რომ ათას წელიწადსაც ვერ ამოვიკითხავდი წიგნებში. არსებობის ყველა საიდუმლო თვალებში ედგა, უთიმთიმებდა, და მე შემომცქეროდა, რომ ჩავწვდომოდი, რომ შემეცნო, მაგრამ მერე გამისხლტა, ამცდა, და ისევ ისა ვარ, რაც აქამდე ვიყავი, თუმცა ასე ახლოს ვიდექი სიბრძნის კართან. – სმოკი წამით გაჩუმდა და შემდეგ დასძინა, – ვერც კი აგისხნი წესიერად, მაგრამ მისი თვალები თითქოს ყოფნის საიდუმლოს მანდობდა, მანდობდა სიცოცხლის განვითარების საიდუმლოს, ვარსკლავეთის მტვრის და კოსმოსურ ძალთა, სასიცოცხლო, და ამქვეყნად არსებული ყველა სხვა ძალის საიდუმლოს.

– მოკლედ, უბრალო ამერიკელის ენით რომ ვთქვათ, გული გეუბნება რაღაცას, – არ იშლიდა შორტი.

სმოკმა ძაღლებს თითო ხმელი ორაგული გადაუგდო და თავი გააქნია.

– დამიჯერე, რომ ასეა, – არწმუნებდა შორტი, – წმინდა წყლის წინათგრძნობაა. რაღაც ესათუოდ მოხდება დღეს. ნახავ თუ არა, მაშინ გავიგებთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ხმელ თევზს.

– კარგი იქნება შენ თვითონ გამაგებინო! – უთხრა სმოკმა.

– არ შემიძლია. დღე მიილევა და თავისთავად აშკარა გახდება ყველაფერი. ახლა ყური დამიგდე, რას გეტყვი, შენი წინათგრძნობა ჩემს გულსაც რაღაცას ეუბნება, დაგენიძლავები, რომ მე მართალი ვარ. თუ შავაგე, თერთმეტ უნცია ოქროს ვიდრე, თუ არა და სამი კბილის საჩიქნი შენზე იქნება. მე თუ გული რამეს მიგრძნობს, აყოლა არ მეშინია.

– გირჩევნია პირიქით დაგენიძლავდეთ, კბილის საჩიქნი შენზე იყოს, ოქრო – ჩემზე, – მიუგო სმოკმა.

– რას ამბობ? ეგ გაძარცვას უდრის. ამიტომ, რომ მე მოვიგებ, როცა გული რამეს მიგრძნობს, წინათგრძნობა თითქოს მთელ ტანში მიღიტინებს. რაღაც მოხდება-მეთქი დაღამებამდე და მაშინ მიგხვდებით, რა აზრი ჰქონდა მაგ ხმელ თევზს.

– ჯოჯოხეთი ნუ გამიჩინე, – ავლებულად შეაწვევტინა სიტყვა სმოკმა.

– მართლაც ნამდვილი ჯოჯოხეთი გაგვიჩნდება. – არ ეშვებოდა შორტი, – კიდევ სამ კბილის საჩიქნზე დაგენიძლავები, რომ ნამდვილ ჯოჯოხეთში ამოყოფთ თავს. მოდის?

– მოდის.

– მე მოვიგებ, – ზეიმობდა შორტი, – და ქათმის ფრთის საჩიქნები შენზე იქნება.

II

ერთი საათის შემდეგ მათ დაუბრკოლებლად გადაიარეს უღელტეხილი, მიშველგორებიან მახვილ კუთხედ ჩაკიდებულ ხეობაში დაეშვნენ და ფართო, ციცაბო ფერდობზე გავიდნენ, ფერდობი „მაჩვის წყაროსკენ“ ეშვებოდა. უცებ წინ მიმავალი შორტი შედგა; სმოკმა ძაღლებს შეუყვირა და გააჩერა. ქვევით, თითქმის მეოთხედ მიღზე გაჭიმულიყო მძიმედ, ბარბაცით მომავალი ადამიანების პროცესია.

– თითქოს ვიღაცას ასაფლავებდნენქ – შენიშნა შორტი.

– ძაღლები არა ჰყავთ, – თქვა სმოკმა.

– ჰო, აგერ ორი კაცი მიათრევს მარხილს.

– ხედავ, ვიღაც წაიქცა? უსათუოდ რაღაც ამბავია მაგათ თავს, შორტი, რამდენი იქნებიან? ალბათ ორასი მაინც.

– მთვრალეებით არ მობარბაცებენ ყველანი?! აგერ მეორეც ეცემა.

– მთელი ტომია. ბავშვებიც ახლავთ.

– სმოკ, მოვიგე, – გამოაცხადა შორტი, – იცოდე, წინათგრძნობა წინათგრძნობაა და ვერსად გადაუხვალ. აი, თუ არა! შეხედე ერთი, თითქოს მიცვალებულები წამოშლილან.

სმოკისა და შორტის დანახვაზე ინდიელები სიხარულისაგან არაადამიანური ხმით აბლავდნენ და ნაბიჯს მოუჩქარეს.

– კარგად არიან გამოლესილები, – დაასკვნა შორტი, – უყურე, პანტაპუნტით ეცემა.

– სახეზე შეხედე, – ვთხრა სმოკმა, – მშვივრები არიან, გესმის? აი რა არის მაგათ თავს. ძაღლები იმიტომ არა ჰყავთ, რომ შეუჭამით.

– ახლა რა ვქნათ! გავიქცეთ?

– მერე მარხილი და ძაღლები უპატრონოდ დავაგდოთ? – უსაყვედურა სმოკმა.

– თუ არ გავასწართ, დმერთმანი, შეგვასრამუნებენ, ნახე, მშიერი მგლებივით არიან. საღამი, მეგობარო! რა გჭირთ, რა ამბავია თქვენს თავს? მაგ ძაღლს ასეთი თვალებით ნუ უყურებ, მოსახარმად არავინ მოგცემს, გაიგე?

წინმაგალნი უკვე მოუახლოვდნენ სმოკსა და შორტის და კვნესით და ჩივილით გარს შემოეხვივნენ. რაღაც უცნობ ენაზე მოთქვამდნენ და წუწუნებდნენ, სახარელი, შემადრწუნებელი სანახავეები იყვნენ. ეჭვი არ იყო, შიმშილი დასტყდომოდათ თავს. ლოყებჩაცვივნულნი და გაძვალტყავებულნი საფლავებიდან წამომდგარ აჩრდილებს უფრო ჰგავდნენ. ბრბო მატულობდა და ბოლოს სმოკი და შორტი ამ გამხეცვებული ადამიანების წრეში მოხვდნენ. მოსულებს ტყავისა და ბეწვის სამოსი ჩამოფლეთ-ჩამოხეოდათ და სმოკი ამის მიზეზს იმწამსვე მიხვდა; მან დაინახა, რომ ერთ-ერთი ქალის ზურგზე მიკრული დამდნარი ბავშვი ხან წოვდა, ხან წუწნიდა ჭუჭყიანი ტყავის ნაგლეჯს; მერე კი მეორე ბავშვიც შეამჩნია, რომელიც მძიმედ ღეჭავდა ტყავის თასმას.

– უკან! აბა უკან დაიწიეთ! – ისევ ინგლისურად აღრიალდა შორტი, რადგან თავისი ინდიურით ვერავის ვერაფერი გააგებინა.

მამაკაცები, ქალები და ბავშვები დასუსტებულ ფეხებზე ველარ იდგნენ, ირწოდნენ, ბარბაცებდნენ, იკეცებოდნენ, მაგრამ უფრო მჭიდროდ ეხვეოდნენ შემხვდურებს; შეშლილი თვალები უილაჯობისაგან ეცრემლებოდათ და მშიერი ნადირის ცეცხლით ენთებოდათ. ერთმა ქალმა ამოიგმინა, შორტისკენ ნაბიჯი გადმოდგა, პირქვე გაიშხოართა და ხარბად ჩააფრინდა მარხილს. მერე მოხუცებული დაემხო მარხილს; სუნთქვა ეკვროდა, სულს ძლივს იბრუნებდა. ქმინავდა და აცახცახებელი ხელებით მარხილის თასმების გახსნას ცდილობდა, რომ სანოვავის ფუთებისთვის მიეგნო. ერთმა ახალგაზრდამ დანა იშიშვლა და დანით დააპირა თასმების გადაჭრა. მაგრამ სმოკმა ხელის კვრით მიაგლო უკან. ბრბო უფრო და უფრო უტევდა. ატყდა ერთი შფოთი და აურზაური.

ერთ ხანს სმოკი და შორტი ხელის კვრით იშორებდნენ და უკუაგდებდნენ შიმშილისაგან გადარეულ მოსხვდურთ, მერე მათრახის ტარი და მუშტები დაატრიალეს. გარშემო ქალები და ბავშვები ქვითინებდნენ და მოთქვამდნენ. მამაკაცები კი არაფრად აგდებდნენ მუშტებისა და მუჯლუგუნების სეტყვას. მარხილისკენ მიფოფხავდნენ. თასმებს ჭრიდნენ და სანოვავის გადმოჯებას ცდილობდნენ. სმოკი და შორტი უკან ერეკებოდნენ მათ. საცოდავებს ხელის ოდნავი მიკარებაც ჰქოფნიდათ, ისე იყვნენ დასუსტებულნი, წამდაუწუმ ეცემოდნენ, მაგრამ ხელის გამოღებას არც ცდილობდნენ, ისევ და ისევ ეტანებოდნენ ორ უცნობს, რომლებიც მარხილს იცავდნენ. სმოკი და მისი მეგობარი მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ ინდიელები სრულიად დაძაბუნებულები იყვნენ და თოვლში ჩაიქცა. მოცველილი ინდიელები გმინავდნენ, ტიროდნენ, რაღაცას ბუტბუტებდნენ, ფართოდ გახელილ, ცრემლით სავსე თვალებს ვერ აშორებდნენ მარხილზე დაწყობილ სანოვავის ფუთებს და ნერწყვი ადგებოდათ პირზე. ამ ფუთებს და ნერწყვი ადგებოდათ პირზე. ამ ფუთებს შეიძლებოდა სიცოცხლე ეჩუქებინა მათთვის. გარშემო ქალებისა და ბავშვების გოდება ისმოდა.

– გაჩემდით! სმა ჩაიკმინდეთ! – ღრიალებდა შორტი, ყურებში თითებს იცობდა და დაღლილობისგან მძიმედ სუნთქავდა. მერე ყვირილით წინ გაფოფხებულყო და წინამძღოლ ძაღლს ყელში დანის გაყრას უპირებდა.

– რას შერები, რას?

– საშინელებაა, – წაიბუტბუტა სმოკმა.

– რა დამცხა, – შესჩივლა შორტიმ სმოკს, – მარდი კი გადავარჩინე, მაგრამ მთლად გავიხვითქე. ახლა ამ საპყრებს რა ვუყოთ?

სმოკმა თავი გადააქნია, და სშორედ ამ დროს გამოჩნდა ამ ამოცანის გადაწყვეტის საშუალება. მათთან ინდიელი მოფოფხდა, ცალი თვალი

ჩასისხლიანებული ჰქონდა, შორტის გაახსენდა, რომ ეს მისმა მუშტმა უყო. მეორე თვალი კი მარხილის ნაცვლად სმოკისთვის მიეპყრო, და სმოკმა ამ თვალში აზრის მოკრების წყურვილი ამოიკითხა. ინდიელი ნიდაყვზე წამოიმართა და ალაპარაკდა.

– მე კარლუკია. მე კარგი სივაში. მე ბევრი თეთრი კაცი ნახე, მე ბევრი მშიერია. ყველა ხალხი მშიერია. ყველა ხალხი არ ნახე თეთრი კაცი. მე ნახე. მე ახლა ჭამე. ყველა ხალხი ახლა ჭამე. მე საჭმელი იყიდებ. ბევოტ-ბევრი ოქრო გაქ. საჭმელი არა გაქ. ზაფხული – რძის მდინარე არ არი. მე ზადხი უთხარი, ბევრი თეთრი კაცი მოვიდა იუკონზე. თეთრი კაცი ბევრი საჭმელი აქ. თეთრი კაცი ოქრო უყვარს. ჩვენ ოქრო აიღე, იუკონზე წადი, თეთრი კაცი საჭმელი მოგცემს. ბევრი ოქრო წაიღე. მე იცი, თეთრი კაცი ოქრო უყვარს.

ინდიელმა ქამარზე ქისა მოიხსნა და გამხმარი თითებით გახსნა დაუწყო.

– რა ამბავია! – შეშლილივით აღრიალდა შორტი, – მაგ მტირალა დედაკაცებს და ბავშვებს უთხაპი, ხმა გაიკმინდონ.

კარლუკი ქალებს მიუბრუნდა და რაღაც უთხრა. სხვა მამაკაცებმაც ხმას აუმაღლეს, ქალები თანდათან მიწინარდნენ და ბავშვებიც დააშოშმინეს. კარლუკი წამით ქისას მოეშვა ხელები ასწია, რამდენჯერმე გაფარჩხა თითები და თქვა:

– აი ამდენი ხალხი მოკვდა!

სმოკმა დაითვალა, – ტომში სამოცდათხუთმეტი კაცი მომკვლარიყო შიმშილით.

– მე საჭმელი იყიდებ, – კარლუკმა ქისა გახსნა და მძიმე ლითონის ზოდი ამოიღო. დანარჩენებმაც მის მაგალითს მიბაძეს და ახლა ყოველი მხრიდან იწვდიდნენ ასეთივე ზოდებს.

– ღმერთო მაღალო, – შესძახა ბოლოს, – სპილენძის დაუმუშავებელი წითელი სპილენძი! ამათ კი ოქრო ჰგონიათ!

– ოქროა, – დარწმუნებით გაიმეორა კარლუკმა, რომელმაც სწორად გაიგო შორტის შეძახილის აზრი.

– ამ საცოდავებსამისი იმედი ჰქონდათ, – ჩაილაპარაკა სმოკმა. – შეხედე ერთი. ორმოცი გირვანქა იქნება და რამდენი აქვთ კიდევ. ფეხზე ძლივს დგანან და ამოდენა სიმძიმეს მოათრევენ. რაღაც უნდა ვიღონოთ შორტი, ვაჭამოთ რამე.

– ჰო! ადვილი სათქმელია, ოღონდ სათვალავში არ შეცდე! მე და შენ ერთი თვის საგზალი გვაქვს. ოცდაათჯერ ექვსი იჯრა რამდენი იქნება? ას ოთხმოცი იჯრა ხომ? ესენი კი ორასი არიან და ყველას საუცხოო მადა აქვს. რანაირად დავაპურებთ, თუნდაც თითოჯერ, დასწყევლოს ღმერთმა!

– ძაღლების საჭმელი დაგავიწყდა! – მიუგო სმოკმა. – ორასი გირვანქა ხმელი ორაგული ძალიან შემოგვეშველება. უსათუოდ უნდა დავაპუროთ. ხომ ხედავ, სჯერათ, რომ თეთრკანიანები დაეხმარებიან.

– რა თქმა უნდა, ასე ვერ დავყრით. – დაეთანხმა შორტი, – ორი დიდი საქმე გვაქვს მე და შენ გასაკეთებელი, და ორივე ერთი-მეორეზე უარესი. ერთ-ერთი მუკლუკში უნდა გაქანდეს და მაშველი გამოგზავნოს, მეორე აქ უნდა დარჩეს და ამ საპყრობს უპატრონოს, მაგრამ საფიქრებელია, რომ შეახრამუნებენ! ხომ გახსოვს, აქვთ ექვს დღეს მოვდიოდით, ისე რომ ცარიელი მარხილით რომ იარო კაცმა და სიქა გაიძრო სიჩქარით, სამ დღეზე ადრე ვერ ჩახვალ.

სმოკი ერთ წუთს დაფიქრდა, გამოთვალა მუკლუკიდან გამოვილილი მიღები, გაიანგარიშა თავისი ძაღლები და მანძილსა და დროს შეუჯერა, მერე გამოაცხადა:

– ხვალ საღამოს ჩამოვალ.

– კარგი, – მხიარულად დაეთანხმა შორტი, – მე კი დავრჩები, რომ შემყლაპონ.

– მაგრამ თითო თვეში უნდა წავიღო ძაღლებისათვის და ერთი იჯრა ჩემთვის.

– ხვალ სადამომდე მუკლუკში ვერ ჩახვალ, რა თქმა უნდა, დაგჭირდება. სმოკმა კარლუკის მეშვეობით თავისი გეგმა გააცნო ინდიელებს.

– კოცონები გააჩადეთ, გრძელი კოცონები, ბევრი კოცონები, – თქვა ბოლოს, – მუკლუკში ბევრი თეთრკანიანია; თეთრკანიანები კარგი ხალხია; ბევრი საჭმელი აქვთ: ხუთი მილის გადავლის შემდეგ მოვალ და ბლომად საჭმელს მოგიტანთ. ეს კაცი ჩემი დიდი მეგობარია, შორტი ჰქვია. ეს აქ დარჩება; თქვენი დიდი უფროსი იქნება, გასაგებია?

კარლუკმა თავი დაუქნია და სხვებსაც გადაუთარგმნა მისი ნათქვამი.

– მთელი ეს სანოვაგე აქ დარჩება და შორტი მოგცემთ ხოლმე საჭმელს, თქვენი უფროსია, გასაგებია?

კარლუკმა კვლავ გადათარგმნა და ინდიელებმა თავის ქნევით და ხრინწიანი წამოძახილებით გამოხატეს თავისი მოსაზრება.

სმოკი ერთ ხანს დარჩა და თვითონაც მიდგმა-მოდგმა, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ ყველაფერი აეწყო. ვისაც კი ასე თუ ისე მოძრაობა შეეძლო, ვინ ბარბაცით, ვინ ფორთხვით ფიხის შეგროვება დაიწყო და მალე ინდიელთა გრძელი კოცონები გაჩადდა. ყველამ მონახა ადგილი ცეცხლთან. შორტი კი ათიოდე თანაშემწესთან ერთად საჭმლის მზადებას შეუდგა. ხელთ ჰქონდა მოკლე ჯოხი, რომ თუ დამშეულებიდან ვინმე იწუწუკებდა თითებში ჩაერტყა. ქალებმა თოვლის გაღნობა დაიწყეს ათასნაირ ჭურჭელში, რაც კი საამისოდ გამოდგებოდა. ამ გამგებლებულ მადაზე შიმშილის ჭია რომ მოეკლა ხალხისთვის, შორტიმ ყველას პატარ-პატარა ბეკონის ნაჭრები და თითო კოვზი შატარი ჩამოურიგა. მალე წრედ გაჩადებულ კოცონებზე შედგმულ ქვაბებში ცერცვმა დაიწყო დუღილი. შორტი კი სასწრაფოდ აცხობდა და ანაწილებდა თხელ-თხელ მაჭკატებს. თან თვალებს უბრიალებდა ყველას, ვინც კი ზედმეტ ულუფას წაეპოტინებოდა.

– მე აქ სამზარეულოს გაგხსნი, შენ კი გაუტევი; იჩქარე, – ასე გამოეთხოვა იგი სმოკს, – აქედან სულ ჭენებით წადი და იქიდან სულ ფრენით დაბრუნდი. დღეს და ხვალ ჩასვლას მოანდომებ და მერე სამი დღე უკან დასაბრუნებლად უნდა გეყოს. ხვალ ძაღლების საჭმელსაც მოათავებენ და სამი დღე გასაკვნეტი არაფერი ექნებათ. იჩქარე, სმოკ, იჩქარე.

თუმცა მარხილი ცარიელი იყო, სულ ექვსი ხმელი ორაგული, ორიოდ გირვანქა გაყინული ცერცვი, ბეკონი, და ბეწვის საბანი ეწყო ზედ, – სმოკს ძალიან გაუჭირდა სწრაფი სიარული, იმის მაგივრად, რომ მარხილზე დამჯდარიყო და ძაღლები გაერეკა, ჭოკით მოუხდა მარხილის მართვა. გარდა ამისა, თვითონაც და ძაღლებიც მოქანცული იყვნენ მთელი დღის შრომით, ჩრდილოეთის ხანგრძლივი ბინდი უკვე ჩამომდგარიყო, როცა სმოკმა უღელტეხილი გადალახა და შიშველი გორებიც უკან მოიტოვა.

დადმართზე უფრო გაუადვილდა გზა. ცოტა-ცოტა ხნით, მაგრამ ხშირად ახერხებდა მარხილზე შეხტომას და საათში ექვსი მილის სიჩქარით მიაქროლებდა ძაღლებს. ასე შეუმჩნეველად შემოადამდა და ჩამომძიმებულ ბინდში შეცდომით ვრცელ ველზე გავიდა, სადაც უცნობი ნაკადული მიედინებოდა. ნაკადული ფართო, ცხენის ნალივით დაგრეხილ კალაპოტში მიიკლაკნებოდა; დრო რომ მოეგო, სმოკი კალაპოტს კი არ გაჰყვა, პირდაპირ გადაჭრა ველი. უკვე კარგა დადამებელი იყო, რომ მას უკან მოუხდა დაბრუნება და გზის ძებნა. ერთი საათი ამოდ დაეკარგა და უფრო ძალიან რომ არ აბნეულიყო, ცეცხლი დაანთო, ძაღლებს ნახევარ-ნახევარი თვეში აჭამა, თავისი ულუფაც ორად გაყო და მერე ბეწვის საბანში გაეხვია; მაგრამ ვიდრე მაშინვე მორეული რული თვალებს დაუხუჭავდა, მიხვდა, სადაც იყო. იმ ფართო ველზე, რომელიც სმოკმა გადაჭრა,

ნაკადული ორად იტოტებოდა, ახლა სმოკი მთავარ ტოტზე იყო გასული, ესე იგი სულ ერთი მილით ასცდენოდა გზას, ცოტა ზევით იყო ბილიკი, რომელსაც წინადლით ისა და შორტი მიუყვებოდნენ და რომელიც ველს სჭრიდა, აღმა ჰკვეთავდა პატარა რუს და იქით ნაპირზე მცირე ფერდობს გასდევდა.

ირიჟრაჟა თუ არა, სმოკი გზას დაადგა, რაც შეიძლება ჩქარა რომ გასულიყო მილიკზე, დინებას მაღლა აჰყვა, არც თვითონ ჩაუდევს პირში ლუკმა, არც ძაღლებისთვის უჭმევია რამე და ასე მშვივრები შეუსვენებლად მიდიოდნენ რვა საათის განმავლობაში. გადაჭრეს რამდენიმე პატარ-პატარა ნაკადული, გადაიარეს რამდენიმე გორაკი და „ჭიჭყინას ნაკადულზე ჩაივდნენ. ნაშუადღევს ოთხ საათზე როცა უკვე ბინდი ჩამოდგა, სმოკი „ირმის ნაკადულზე“ გავიდა; აქედან კარგდა დატკეპნილი, ადვილად სავალი ბილიკით ორმოცდაათი მილიდა რჩებოდა მუკლუკამდე; მარხილი გააჩერა, ცეცხლი დაანთო, ძაღლებს თავ-თავისი ულუფა ნახევარ-ნახევარი თევზი გადაუგდო, დარჩენილი ცერცვიც გააღლო და შეჭამა. მერე მარხილზე ახტა, დაიღრიალა – აბა, გასწით! – და ძაღლებიც გაქანდნენ.

– ცოცხლად, ლომებო! – გაიძახობა სმოკი, – აბა, ყოჩაღად! მუკლუკში ბლომად საჭმელი გელით! მიდით, მიდით! გაქანდით, მგლებო!

III

შუადამე გადასული იყო. „ენის საბადოს“ დარბაზში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ღუმელები გუგუნებდა და დიდ ჩახუთულ ოთახში აუტანლად ცხელოდა. სათვალავების ჩხაკუნი და კამათლების ჩხრიალი ჯგუფ-ჯგუფად ან ორ-ორად და სამ-სამად შეყრილი მამაკაცების ერთფეროვან გუგუნად შეერთებულ ხმას ერწყმოდა. ოქროს მწონავები სასწორებთან ტრიალებდნენ, აქ ოქროს ქვიშა ფულის მთავარი ერთეული იყო და დახლთან რომ მიყულიყო ადამიანი და ჭიქა ვისკი დაეღია, ერთი დოლარის ოქროს ქვიშა უნდა გადაეხადა მწონავებისათვის.

ოთახის კედლები გაუქერქავი მორებით იყო აყვანილი, და მორებს შორის დარჩენილი ადგილები არქტიკული ხავსით ამოგმანული. საცეკვაო ოთახის ღია კარიდან საცეკვაოს თავაწყვეტილი ჰანგი ისმოდა, პიანინოსა და ვიოლინოზე სწრაფ „ვირჯინულს“ უკრავდნენ. ახალი გათამაშებული იყო ჩინური ლატარეა, გამარჯვებულ მოთამაშეებს უკვე მიეღოთ მოგება და ახლა მეგობრებთან ერთად სასმელში ფლანგავდნენ ფულს. ფარაონისა და რულეტის სათამაშო მაგიდებთან ყველა წყნარად და საქმიანად იჯდა. ასევე ჩუმად იყვნენ პოკერის სათამაშო მაგიდებთანაც, თუმცა თითოეულს გარს შემოხვეოდა მაყურებელთა წრე, იქით ყურადღებით თამაშობდნენ სერიოზულ და დარბაისლურ „შავ ჯეკს“. მხოლოდ კამათლების სათამაშო მაგიდასთან იყო ხმაური და ღრინაცელი. მაცთური ბედის მადევარნი მოჩვენებითი და დაგვიანებული მოგების იმედით მუჭში მოიგდებდნენ კამათელს, ღონიერად შეაჩხარუნებდნენ და აგორებდნენ, თან ხმამაღლა აყოლებდნენ: – ო, ჯო კოკტონ! ო, ჯო! მიდი, ჯო! მოგება მომეც! სახლი ამივსე! ო, ჯო!

ოთახის ძელურ კედელთან იდგა კალტუს ჯორჯი, ახოვანი, ღვედივით მოქნილი სერკლელი ინდიელი, იდგა პირქუში და გულჩახვეული. კალტუს ჯორჯი ცივილიზებული ინდიელი იყო, თუკი თეთრკანიანების წაბაძვით ცხოვრებას ცივილიზაცია დაერქმევა, და უზომდ იყო თეთრკანიანთაგან შეურაცხყოფილი, თუმცა კი დიდი ხანი იტანდა ამ შეურაცხყოფას. წლების მანძილზე იგი იმავე სამუშაოს ასრულებდა, რასაც თეთრკანიანები, წლების მანძილზე მათ გვერდით და ხშირად მათზე უკეთესადაც მუშაობდა, ისეთსავე

შარვალს იცვამდა, ისეთსავე ნაქსოვ პერანგებს და თბილ ხალათს, როგორც თეთრკანიანები, ისეთივე საათი ჰქონდა და ისევე იყოფდა მოკლედ შეკრუჭილ თმას, იმასვე ჭამდა, რასაც ისინი – ბეკონს, ცერცვსა და ორცხობილას. და მიუხედავად ამისა, იგი მოკლებული იყო თეთრკანიანთა უდიდეს სიამოვნებას და საუკეთესო გართობას – ვისკის. კალტუს ჯორჯი ბევრ ფულს აკეთებდა. თავდაპირველად მიწის ნაკვეთებს ყიდულობდა და ისევ ყიდდა; ოქროს მაძიებლებს წილში უდგებოდა ან წილში იყენებდა. ახლა კი საუკეთესო ძაღლების პატრონი იყო და ტვირთი გადაჰქონდა ხოლმე მესამოცე მილიდან მუკლუკისაკენ; თითო გირვანქის გადაზიდვაში ოცდარვა ცენტს იღებდა, ბეკონში კი, როგორც დაწესებული იყო, ოცდარვა ცენტს იღებდა, ბეკონში კი, როგორც დაწესებული იყო, ოცდაცამეტს. მისი ქისა ოქროს ქეიშით იყო გატენილი; ბევრ სასმელზე ეყოფოდა ფული, მაგრამ არც ერთ ბარში ვისკის არ აძლევდნენ. ეს მსურვალე, სისხლის ამჩქროლებელი სასმელი, ცივილიზაციის ეს ყვალაზე სრულყოფილი ნეტარება მას აკრძალული ჰქონდა. თუ იშოვიდა, ისიც ცეცხლის ფასად უნდა ეშოვა, ქურდულად ეყიდა და ქურდულად დაეღია. ეს მწარედ შეურაცხყოფდა და აგულისებდა მას წლების მანძილზე. იმ დამეს კალტუს ჯორჯს განსაკუთრებით სწყუროდა და განსაკუთრებით იყო გააგულისებული. თეთრკანიანებიც, რომლებსაც მუდამ ასე გულმოდგინედ ეჯიბრებოდა, იმ დამეს განსაკუთრებით სძაგდა. ისინი მოწყალედ რთავდნენ ხოლმე ნებას თავისი ოქრო მიეფშვნა მათ სათამაშო მაგიდებთან, მაგრამ არც ფული გადიოდა, არც მეგობრობა, როცა მათ ბარში ვისკი უნდა ეყიდა, ამიტომ იყო კალტუს ჯორჯი ასე უზომოდ ფხიზელი, უზომოდ გონიერი და უზომოდ პირქუში.

საცეკუაო ოთახში ვირჯინიული ცეკვა ყოყინით დამთავრდა, მაგრამ ამ ხმაურს არ შეუწუხებია სამი ლოთი, რომლებიც პიანინოს ქვეშ ხერინავდნენ.

– წყვილები ბარში! – გამოაცხადა ცეკვების გამრიგებელმა, როგორც კი მუსიკა შეწყდა, და ფართო კართ წყვილები დარბაზში შემოვიდნენ – მამაკაცებს ბეწვის ტანსაცმელი და მოკასინები ეცვათ, ქალებს კი – მსუბუქი თივთიკის კაბები, აქრეშუმის წინდები და საცეკვაო ფესსაცმელი. სწორედ ამ დროს ორმაგი შემოსავლელი კარი გაიღო და ოთახში დაღლილობისაგან ქანცვაწყვეტილი სმოკ ბელიუ შემობარბაცდა.

ყველა მას მიაშტერდა. თანდათან სიჩუმე ჩამოვარდა. სმოკს ხმის ამოდება უნდოდა, მაგრამ პირი ყინულით ჰქონდა შეკრული. და ჯერ ხელჯაგი გაიძრო, რომ ყინული მოეფშვნა. ბოლო ორმოცდაათი მილის მანძილზე, როცა შეუსვენებლად მოერეკებოდა ძაღლებს, ამონასუთქი ჰაერის ორთქლი პირზე შეყვივნოდა. სმოკი ერთ ხანს შეჩერდა, მერე მივიდა და ნიდაყვით დაეყრდნო დახლს.

მთელ დარბაზში ერთადერთი კამათელის მოთამაშე არ შემობრუნებულა მისკენ; კამათელს აგორებდა და გაიძახოდა: – ო, ჯო კოტონ! მოდი, ჯო! მოგება მომეც, სახლი ამივსე! ო, ჯო! მაგრამ რაკი ბანკირი სმოკს მისჩერებოდა, კაცმაც შეწყვიტა თამაში და შემობრუნდა.

– რა მოხდა, სმოკ! – ჰკითხა „ენის საბადოს“ მფლობელმა მატსონმა.

სმოკმა, როგორც იქნა, გაითავისუფლა პირი ყინულისაგან.

– ძაღლებს სული ამოეხადე, – თქვა ხრინწიანი ხმით, – ვინმე გავიდეს და მიხედოს, და ახლავე გეტყვით, რაც მოხდა.

რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებებით სოკმა იქ მყოფთ მშიერ ინდიელთა მდგომარეობა გააცნო. კამათლის მოთამაშემ ფული მაგიდაზე დატოვა და ჯო კოტონის ძახილსაც მოეშვა, სმოკთან მივიდა და პირველმა ამოიღო ხმა.– რაღაც უნდა ვიღონოთ. აშკარაა მაგრამ რა! შენ ფიქრის დრო გქონდა. რას აპირებ? გვითხარი.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა სმოკი, – აი, რა გადავწყვიტე. მე ვფიქრობ, თავდაპირველად, რაც შეიძლება ჩქარა. რამდენიმე მსუბუქი მარხილი გავაგზავნოთ. ვთქვათ, ას-ასი გირვანქა სანოვაგით დატვირთული. მარეკისთვის საჭირო საჭმელი და მოწყობილობა და ძაღლების საკვებიც კიდევ ორმოცდაათი გირვანქა იქნება. ასეთი მარხილები უცბად მივა. ვთქვათ, გავაგზავნოთ ხუთი მარხილი – საუკეთესო ძაღლები შევუბათ, საუკეთესო მარკები და მეგზურები გავაყოლოთ, ფიფქ თოვლში გზის გაკვლევისას ერთმანეთს შეენაცვლებიან. დაუყოვნებლივ უნდა დაადგინოთ გზას, რადან საუკეთესო შემთხვევაშიც კი ინდიელები სამი დღის უჭმელ-უსმელი დახვდებოთ. როგორც კი ამ მარხილებს გავისტუმრებთ, ჩვენ მვიძე მარხილებით უნდა გავყვეთ. აბა წარმოიდგინეთ, თითო ინდიელს ორ გირვანქაზე ნაკლები რომ მივცეთ დღეში, ვერ ივლიან. ეს დღეში ოთხასი გირვანქაა; ისიც იანგარიშეთ, რომ მოხუცები და ბავშვები ჰყავთ; ისე რომ სულ ცოტა ხუთი დღე მოუვნდებით მუკლუკამდე მათ ჩმოყვანას. რას იტყვიან?

– ფული დავდოთ და საჭმელი ვიყიდოთ, – თქვა კამათლის მოთამაშემ.

– საჭმელს მეც ვიყიდი, – მოუთმენლად წამოიწყო სმოკმა.

– რატომ? – შეაწყვეტინა მოთამაშემ, – შენ რატომ უნდა იყიდო? ყველა აქა ვართ! აბა ერთი ოქროს გასარეცხი ციცხვი მოიტანოს ვინმემ. უცათ მოვრჩებით. მე პირველი ვარ.

მან სქელი ქისა ამოიღო ჯიბიდან, პირი მოხსნა და ოქროს ქვიშა და პატარ-პატარა ზოდები მიუშვა ტაშტში. გვერდით მდგარმა ხელი სტაცა, შეიკურთხა და ქისა ზევით ასწია, რომ ოქროს ნაკადი შეეწყვიტა. ერთი შეხედვითაც მიხვდებოდა კაცი, რომ ციცხვში უკვე ექვსი-რვა უნცია ოქრო იქნებოდა.

– რა სინდისია! – აყვირდა ის, – შენს მეტს ფული არავისა აქვს? ახლა მე მიმიში.

კამათლის მოთამაშემ გაიცინა.

– ისე იქაჩები, დასწყევლის ღმერთი, თითქოს გიშლიდეს ვინმე-ყველა წინ მიიწევდა, რომ თვითონაც შეეწირა რამე. როცა ყველამ თავისი წილი ოქრო ჩაყარა, სმოკმა ორივე ხელით მაღლა ასწია მძიმე ციცხვი და გუღლიად გაიცინა.

– ეს მთელ ტომს გამოკვებავს გაზაფხულამდე, – თქვა მან და განაგრძო, – ახლა ძაღლების ამბავი გადავწყვიტოთ, ხუთი მსუბუქი მარხილისათვის სწრაფი ძაღლები გვჭირდება.

თხუთმეტიოდემ შესთავაზა სმოკს თავისი ძაღლები და მთელი მუკლუკი, თითქოს პირი შეკრეს და დახმარების კომიტეტში გაერთიანდნენ, მსჯელობდა, დავობდა, იღებდა ან უარყოფდა ამა თუ იმ წინადადებას.

– შენი მუხლუხა ძაღლები ვის რად უნდა! – ასე უთხეს, მაგალითად, აყლაყუდა ბილ ჰასკელს. ბილ ბასკელს ეწვინა.

– რატომ, მშვენივრად ეწევიან.

– კი ეწევიან, ვიცით, მაგრამ ახლა სისწრაფეა საჭირო. ნუ გეშინია, როცა მძიმე მარხილებს გავამზადებთ, გამოდგებიან.

როგორც კი რომელიმე შებმაზე შეჩერდებოდნენ, პატრონი მაშინვე გადიოდა მარხილის მოსამზადებლად და თან ხეთი-ექვსი კაცი მისდევდა დახმარედ.

ერთი შებმა ძაღლები იმიტომ დაიწუნეს, რომ იმ დღეს იყვნენ დაბრუნებული გზიდან. ერთმა თავისი შებმა შესთავაზა, მაგრამ თითქოს დამნაშავე ყოფილიყოს, ბოდიშობა დაიწყო, მტკივანი ფეხი აჩვენა, მე ვერ გავრეკავო. ეს შებმა სმოკმა აიყვანა, თუმცა ყველა არწმუნებდა, ქანცვაწვეტილი ხარ და ნულარ წამოხვალ.

აყლაყუდა ბილ ჰასკელმა სქელი ოლსენის შექმა დაასახელა. ყოჩაღი ძაღლები ჰყავს, მაგრამ თვითონ სპილოსავით მოუქნელიაო. სქელი ოლსენის ორასორმოგირვანქიანი სხეული აღშოთებისა და გულისწყრომისაგან აძაგაძაგდა.

თვალეზე ჯავრის ცრემლი მოადგა და სკანდინავურ გინებას მოხსნა პირი; იმდენ ხანს ჩხუბობდა, ვიდრე ერთ-ერთ მიძიმე მარხილზე არ დააყენეს. კამათლის მოთამაშემ კი შემთხვევით ისარგებლა და ოლსენის მსუბუქი შებმის მარეკობა ითავა.

სუთი შებმა გადაირჩა, სუთი მარხილი დაიტვირთა და გასაგზავნად გამზადდა, მაგრამ კომიტეტმა მარტო ოთხი მარეკი გეარჩია, მეხუთე ვერ გამონახა.

– კალტუს ჯორჯი აქ არ არის? – იყვირა ამ დროს ერთმა, – ჩინებული მეგზურია და დეს დასვენებულიც არის.

ყველამ ინდიელს შეხედა, მაგრამ მას ერთი ნაკვთიც არ შეძვრია სახეზე, ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

– შენ წაიყვანე, – უთხრა სმოკმა. ინდიელმა პასუხი არ გასცა. ელექტროდენივით დაუარა ყველას ტანში რაღაც ავის მოლოდინმა. ყველა ამოძრავდა, წინ წამოდგა და სმოკსა და კალტუს ჯორჯს შემოეხვია. სმოკი მიხვდა, რომ ამხანაგების თანხმობით და სურვილით იგი დღეს მათი ნების გამომხატველი იქნებოდა იმ საქმეში, რაც ახლა მწიფეობდა, რაც ახლა უნდა მომხდარიყო. გარდა ამისა, ის გაჯავრებული იყო. ვერც წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ასეთ დროს ვინმეს უკან დაეხია, ასეთ დროს, როცა ყველა თავგადაკლული ცდილობდა გაჭირვებულთა შევლას. ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა, გაუგებარი იყო სმოკისათვის. იგი ვერაფრით ვერ ჩასწვდა კალტუს ჯორჯის ფიქრებს. რადგან ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, რომ მას შეიძლებოდა სხვა რამე მიზეზით დაეხია უკან, გარდა ანგარებისა.

– რა თქმა უნდა, წაიყვან, – თქვა სმოკმა.

– რამდენს იძლევი? – იკითხა კალტუს ჯორჯმა.

ერთიანი დრტვინვა ამოსკდა ყველას მკერდიდან და ბოლმისაგან სახე მოედრიცათ. ვინ მუშტებით წაიწია, ვინ ხელებით სწვდა იმას, რომელმაც ასე შეურაცხყო ამხანაგობის წესი.

– მოიცათ, ბიჭებო! – შესძახა სმოკმა, – იქნებ ვერ გაიგო. დამაცალეთ, გავარკვიო. ყური დამიგდე, ჯორჯ, ხომ ხედავ, არავინ საფასურს არ ითხოვს. პირიქით, ყველა თავისას იძლევა, რომ ის ორასი ინდიელი შიმშილით სიკვდილისაგან იხსნას.

სმოკი გაჩქმდა, რომ კალტუს ჯორჯს კარგად შეესმინა მისი ნათქვამი.

– რამდენს იძლევი?

– დაცათ, ძმებო! ჯორჯ, შენ გეუბნები. ჩვენ გვინდა, რომ ყველაფერი კარგად გაიგო. ეს მშვიერი ადამიანები შენსავით ინდიელები არიან; მართალია, სხვა ტომის შვილები, მაგრამ – ინდიელები, ხომ ხედავ, თეთრკანიანები თავიანთ ძაღლებს იძლევიან, თავიანთ ოქროს არ იშურებენ, თავს იკლავენ, რომ თვითონ პირველნი წავიდნენ საშველად. მხოლოდ საუკეთესოები გაჰყვებიან პირველ მარხილებს. შეხედე, რა ჰქნა სქელმა ოლსენმა, როგორ თუ არ მიგყავართო, კინაღამ ჩხუბი ატეხა. უნდა გეამაყებოდეს, საუკეთესო მარეკად გთვლიან. აქ ფულზე კი არ არის საქმე, სიწრაფეა მთავარი.

– რამდენს იძლევი? – გაიმეორა კალტუს ჯორჯმა.

– მოკალით! თავი გაუხეთქეთ! კუპრი და ფრთები მოიტანეთ! – აყაყანდა და აირია ყველა; კაცთმოყვარეობისა და მეგობრობის სული წამში გაქრა და მხეცურ გააფთრებას დაუთმო ადგილი.

კალტუს ჯორჯი მშვიდად და აუღელვებლად იდგა ამ ორომტრიალში; სმოკმა მიყარ-მოყარა ყველაზე გაცოფებულები და იყვირა:

– დაწყნარდით-მეთქი! თქვენ ვინ რას გეკითხებათ!

ხმაური მიწყდა და სმოკმა წყნარად დასძინა:

– თოკი მომიტანეთ.

კალტუს ჯორჯმა მხრები აიჩეხა, სახეზე პირქუშმა და უნდო ღიმილმა გაუელვა. თეთრკანიანთა მოდგმას ის კარგა იცნობდა. მათ მხარდამხარ მძიმე გზა გაუვლია და ბევრჯერ გაუტეხია პური მათთან. თეთრკანიანები კანონის ხალხი იყო, – შესანიშნავად იცოდა კალტუს ჯორჯმა, – და თუ ვინმე კანონს გადაუხვევდა, ისჯებოდა. კალტუს ჯორჯს კი კანონი არ დაურღვევია. მათი კანონები კარგად იცოდა და იცავდა კიდევ. არავინ მოკლავს, არავინ გაუძარცვავს, არავინ მოუტყუებია. თეთრკანიანების კანონი არავის უკრძალავდა საფასურის მოთხოვნას, – ვაჭრობას ან გარიგებას, თეთრკანიანები თვითონაც იღებდნენ ქირას, ევაჭრებოდნენ ან ურიგდებოდნენ ვინმეს. რა გააკეთა იმაზე მეტი, რაც თვითონ თეთრკანიანებმა ასწავლეს. და გარდა ამისა, თუ ღირსი არ არის მათთან ერთად სვემდეს, არც იმის ღირსია, რომ მათთან ერთად გულმოწყალება გამოიჩინოს ან მათ სულელურ დროსტარებაში გაერთიოს.

ვერც სმოკი, ვერც რომელიმე იქ მყოფი ვერ მიმხვდარიყო, რა ემართებოდა კალტუს ჯორჯს. რა საქციელი იყო ეს და რით იყო გამოწვეული. ურთიერთგაგება შეუძლებელი იყო, რადგან მათაც ისევე ჰქონდათ გონება დანისლული და გულსწყური დახშული საამისოდ, როგორც კალტუს ჯორჯს, თუმცა ვერც კი ხვდებოდნენ ამას. მათთვის კალტუს ჯორჯი თავკერძი პირუტყვი იყო, კალტუს ჯორჯისთვის ისინი იყვნენ თავკერძი პირუტყვები.

როცა თოკი მოიტანეს, გრძელმა ბილ ჰასკელმა, სქელმა ილსენმა და კამათლის მოთამაშემ ბრაზისაგან აკანკალებული ხელებით, მოუხერხებლად და მოუქნელად გააყოფინეს თავი მარყუჟში ინდიელს, და თოკის მეორე ბოლო ჩაღანგრის ძელს გადასდეს; თოკის ამ ბოლოს ათიოდე კაცმა მოჰკიდა ხელი, რომ როგორც კი საჭირო გახდებოდა, გაეწიათ.

კალტუს ჯორჯს წინააღმდეგობა არ გაუწევია. კარგად იცოდა, რომ ეს წმინდაწყლის ბლეფი იყო. თეთრკანიანებმა მარჯვედ იციან თვალის ახვევა. განა ტყუილად არის პოკერი მათი საყვარელი თამაში! განა ყველა საქმეში, ყიდვა-გაყიდვაში თუ ათასგვარ გარიგებაში ისინი თვალს არ უხვევენ ადამიანებს?

კალტუს ჯორჯს გაახსენდა ერთი თეთრკანიანი, რომელსაც თამაშის დროს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ოთხი ტუზი ჰქონოდა ხელთ, სინამდვილეში კი გაკოტრების საშიშროება ელოდა.

– მოიცათ, – შეაჩერა სმოკმა, – ხელები შეუკარით, არ იფართხალოს.

კალტუს ჯორჯმა ესეც ბლეფდ ჩათვალა და მორჩილად შეაკვრევინა ხელები ზურგს უკან.

– უკანასკნელად გეკითხები, ჯორჯ, წახვალ? – ჰკითხა სმოკმა.

– რამდენს იძლევით? – იყო პასუხი.

ინდიელის უსახდვრო სიხარბემ გააცოფა სმოკი, მან ხელი აიქნია და თვითონვე გაოცდა, ეს რა შემძლებიაო. არანაკლებ გაოცდა კალტუს ჯორჯი, როცა იგრძნო, რომ მარყუჟმა უცბად მოუჭირა და იატაკს მოსწყვიტა. მისი უდრტვინველობა წამში გაქრა. სახეზე საშიელი გაოცება, შიში ტკივილი გამოეხატა.

სმოკი შემფოთებული შესცქეროდა. თვითონ არასოდეს ყოფილა ამ დღეში, მთელ ამ საქმეშიც გამოცდელად გრძნობდა თავს. ინდიელის სხეული იგრინებოდა, იკრუნჩხებოდა, შეკრული ხელები თოკის გაწყვეტას ლამობდა; ყელიდან კი სულშეხუთული ადამიანის საზარელი ხრიალი ამოსდიოდა.

უეცრად სმოკმა ხელი ასწია.

– მოუშვით!

კალტუს ჯორჯი იატაკზე დაუშვეს, ხალხი აბუზღუნდა იმის გამო, რომ ინდიელის დასჯა ამით დამთავრდა.

ინდიელს თვალები გადმოეკარკლა, ფეხზე ველარ იდგა, ქანაობდა და ისევე ცდილობდა ხელების განთავისუფლებას. სმოკი მიხვდა, რაც ემართებოდა,

თითები თოკსა და კისერს შორის ჩაუყო და ღონივრად მოსწია. მარყუეი შეიხსნა და კალტუს ჯორჯმა პირველად ამოისუნთქა მთელი მკერდით.

– წაიყვან მარხილს? – ჰკითხა სმოკმა.

კალტუს ჯორჯს პასუხი არ გაუცია. ღრმად სუნთქავდა.

– ო, ჩვენ, თეთრკანიანები ღორები ვართ, – წამოიწყო სმოკმა, გულმოსული იყო: ეს რა როლის თამაში მომიხდაო, – ჩვენ ფულზე ვყიდით სულს და სინდისს, და სხვა ათას რამეს ვკადრულობთ, მაგრამ ზოგჯერ, ათასში ერთხელ ყველაფერს ვივიწყებთ, და მოგებაზე წუთითაც არ ვფიქრობთ, ისე ვაკეთებთ საქმეს. და როცა ასეთი დღე დგება, კალტუს ჯორჯ, მაშინ წინ ვერავინ გადაგვიდგება; მაშინ ყველა გვიფროთხილდეს, ახლა გვითხარი – წაიყვან მარხილს?

კალტუს ჯორჯი ყოყმანობდა, თუმცა მშიშარა არ იყო. ახლა ფიქრობდა, იქება თეთრკანიანები ისევ განაგრძობენ თამაშს და თუ ახლა დავუთმე, მოტყუებული დაგრჩებიო. ვიდრე კალტუს ჯორჯს ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, სმოკს გული უწუხდა შიშით, რომ ამ უნიაგ ინდიელს თავის სიკერპით მართლა თავი არ ჩამოეხრჩობინებინა მათთვის.

– რამდენს იძლევი? – იკითხა ისევ კალტუს ჯორჯმა.

სმოკმა ხელი ასწია, მაგრამ ვიდრე მარყუეს მოუჭერდნენ, კალტუს ჯორჯმა საჩქაროდ თქვა:

– წავალ!

– როცა მაშველმა ექსპედიციამ მომაგნო, – ყვებოდა მერე შორტი „ენის საბადოში“, – სწორედ ეს კალტუს ჯორჯი მოფრინდა პირველი, სამი საათით დაასწრო სმოკის მარხილს. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, სმოკი მაინც მეორე მოვიდა. ისე სწორედ დროზე კი მომისწრეს. როცა ზემოდან, უღელტეხილის მხრიდან მომსმა როგორი ღრიალით მორეკავდა ძაღლებს კალტუს ჯორჯი, იმ წყეულ სივაშებს უკვე მომთავრებული ჰქონდათ ჩემი მოკასინების, ხელჯაგების, ტყავის თასმების და ტყავის ქარქაშის ჭამა, და ზოგიერთი უკვე მე მიყურებდა მშიერი თვალებით, – მოგეხსენებათ, იმათზე მსუქანი ვარ!..

სმოკი? სმოკი ცოცხალ-მკვდარი იყო. მაგრამ ერთ ხანს მაინც იტრიალა, იმ საცოდავი სივაშებისათვის საჭმლის მომზადებაში მომეხმარა და ცეცხლთან ჩაცუტკებულს ჩაეძინა; ალბათ ეგონა, რომ ისევ თოვლს ყრიდა ქვაბში გასადნობად. მე ჩემი ლოგინი გაუშალე და, სინდისს გეფიცებით, ჩემი ხელით ჩავაწვინე, ისე იყო არაქათგამოცლილი. კბილის საჭიჭქნები კა, რა თქმა უნდა, მოვიგე. გამოდის, რომ იმ დღეს ძაღლებს ნამდვილად სჭირდებოდათ ის ექვსი თევზი, სმოკმა რომ მისცა!

მამაზეციერის შეცდომა

I

– სდექ! – შეუყვირა სმოკმა ძაღლებს და მთელი სიმძიმით დააწვა ჭოკს, რომ მარხილი გაეჩერებინა.

– რამ გიკბინა? – უკმაყოფილად ჰკითხა შორტიმ, – აქ ყინულქვეშ ხომ წყალი აღარ არის!

– არა, უპასუხა სმოკმა, – მაგრამ შეხედე, მარჯვნივ ბილიკი უხვევს. მე კი მეგონა, რომ ამ ადგილებში არავინ ზამთრობდა.

ძაღლები გაჩერებისთანავე თოვლზე დაეყრდნენ და თითებს შუა მიკრული ყინულის კვებტა დაიწყეს. ჯერ კიდევ ხუთი წუთის წინ ეს ყინული წყალი იყო. ძაღლებს თოვლით დაფარული ყინულის ზედაპირი ჩაუტყდათ, ამ ადგილას

მდინარე ნორდბესკას ნაპირიდან წყაროს წყალს გამოეკონა და პატარა ტბა შეექმნა სამი ფუტის სისქე სინულით შებოჭილ მდინარეზე.

– პირველად მესმის, რომ ნორდბესკაზე ხალხი იყოს, – თქვა შორტიმ, თან თითქმის წაშლილ ბილიკი მდინარის კალაპოტს სწორი თოვლის ფენით დაფარული ბილიკი მდინარის კალაპოტს სწორი კუთხით კვეთდა და იმ პატარა ნაკადულის შესართავში იკარგებოდა, რომელიც ნორდბესკას მარცხნიდან ერთვოდა. – იქნებ აქ ნადირობდნენ და უკვე კარგა ხანია გუდა-ნაბადი აიკრეს.

სმოკმა ხელჯაგის გაუძრობლად მოხვეტა ბილიკიდან ფიქი თოვლის ფენა, ერთ წამს გაჩერდა და დააკვირდა, მერე კიდევ ცოტა თოვლი გადაყარა და ისევ შეჩერდა.

– არა, – გადაჭრით თქვა ბოლოს, – კვალი ორივე მიმართულებით მიდის, მაგრამ უკანასკნელად ნაკადულის პირას აუვლიათ. არ ვიცი, ვინ არიან, მაგრამ ახლა დანამდვილებით ზევით იქნებიან. რამდენიმე კვირა იქნება, აქ მათ მეტს არავის გაუვლია. მაგრამ რატომ შერჩნენ ამდენ ხანს, ნეტავი ეს გამაგებინა.

– მე კი ნეტავ ის გამაგებინა, ამდამ სად გაჩერდებით ღამის გასათევად, – თქვა შორტიმ და დაღთრემილმა გახედა ჩაბნელებულ ცისკიდურს სამხრეთ-დასავლეთისკენ, სადაც თანდათან მძიმდებოდა საღამოს ბინდი.

– ამ ბილიკს აუყვეთ ნაკადულის სათავისკენ, – შესთავაზა სმოკმა, – გამხმარი ხეები და ფიხი თავსაყარად არის. რა დროსაც მოგვინდება, შევისვენებთ.

– შესვენება, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება, მაგრამ თუ არ გვინდა შიმშილით დავიხოცოთ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა ვიაროთ და არსით არ უნდა გადავუხვიოთ.

– მე ვფიქრობ, რამეს ვიპოვით ამ ნაკადულზე, – არ იშლიდა სმოკი.

– ერთი ჩვენი საგზალი იკითხე! ან ძაღლები რას გვანან! – შესძახა შორტიმ, – შეხედე ერთი თუმცა ჯანდაბას. რაც არი, არი! სულ ერთია, შენსას გაიტან.

– დიდი, დიდი ერთი დღე დაგკარგოთ, – არწმუნებდა სმოკი, – იქნებ სლ ერთი ზედმეტი მილის გავლა მოგვიხდეს.

– ერთი მილსაც მოუკლავს კაცი, – უპასუხა შორტიმ და პირქუში მორჩილებით გაიქნია თავი, – რა გაეწყობა, წავიდეთ ფათერაკის საძებნელად. აბა ფეხებმომტვრეულებო, აიშალეთ! ჩქარა! ჰეი, მარდო! აბა, ადექი!

წინამძღოლი ძაღლი დაემორჩილა და მთელი შებმა მძიმედ დაიძრა ფიფქ თოვლში.

– დადექით! – დაიდრიალა შორტიმ და სმოკს მიუბრუნდა, – ბილიკი გასაკვალია.

სმოკმა მარხილიდან თხილამურები გამოიღო, მოკასინებზე დაიმაგრა და დაწინაურდა, რომ ძაღლებისთვის ფიფქი თოვლი დაეტუკანა და ბილიკი გაეკვალა.

ეს მძიმე სამუშაო იყო. ძაღლებსაც და ადამიანებსაც უკვე დიდი ხანია მაძღრისად არ ეჭამათ და ძალა თითქმის გამოლეულ ჰქონდათ. თუმცა ნაკადულის კალაპოტს მიუყვებოდნენ, მაგრამ იმდენად დაქანებულ ფერდობზე იყო ეს კალაპოტი, რომ გაჭირვებით ძღვედნენ მძიმე, გაუთავებელ აღმართს. მაღალი კლდეები ორივე მხრიდან უფრო და უფრო მჭიდროდ ებჯინებოდნენ ბილიკს, ისე რომ მალე სმოკი და მისი თანამგზავრი უკვე ვიწრო ხეობის ფსკერზე მიაბიჯებდნენ. ჩრდილოეთის ხანგრძლივი, გელი მიმწუხრის სუსტი შუქი მაღალი მთებით გადმოსურულ ხეობაში ვერ აღწევდა და თითქმის ბნელოდა.

– ნამდვილი ხაფანგია, – თქვა შორტიმ, – მარტო სანახავად ნახე! ქვესკნელს არა ჰგავს? სწორედ რომ ჯურღმულია, ფათერაკებით სავსე ხარო.

სმოკმა პასუხი არ გასცა და ნახევარ საათს მდუმარედ მიდიოდნენ. სიჩუმე ისევ შორტიმ დაარღვია.

– გული მეუბნება, – წაიბურღლუნა მან. – ნამდვილად მეუბნება გული, რომ თუ მომისმენ, გეტყვი

– თქვი, რას ამბობ, – გაეპასუხა სმოკი.

– იმას მეუბნები, რომ გული მიგრძნობს, უბრალოდ და აშკარად მიგრძნობს, რომ ჯურღმულიდან დიდხანს ვეღარ გავაღწევთ. ხიფათს წავაწყებით და მთელი საუკუნით და კიდევ ცოტა მეტი მოვემწვედებით აქ.

– საჭმლის თაობაზე რას მეუბნება გული? – არცთუ მანცდაიმაინც თავაზიანად შეეკითხა სმოკი, – საჭმლის მარაგი მთელი საუკუნე და კიდევ მეტი რომ არ გაგეწვდება!

– არაფერს. საჭმლის თაობაზე არაფერს მეუბნება. ალბათ როგორმე გავიტანთ თავს. მაგრამ ერთ რამეს კი პირდაპირ და პატიოსნად გეტყვი, სმოკ. თუ გაჭირდა, ყველა ჩემს ძაღლს შეეჭამ, ოღონდ მარდს – ვერა. მარდზე თუ მიდგა ჯერი, მორჩა. ეგრე ვერ ავიგდებ.

– გამხნევდი, თუ ღმერთი გწამს, – დასცინა სმოკმა, – მეც მიგრძნობს რაღაცას გული. მიგრძნობს, რომ ძაღლების შეჭმა არ მოგვიხდება. არ ვიცი ცხენ-ირმის, არ ვიცი ირმის ხორცი, არ ვიცი შემწვარი კაკბებით, მაგრამ კიდევაც გავსუქდებით.

შორტიმ აგდებულად ჩაიფრუტუნა და კიდევ ერთი თხუთმეტიოდე წუთი ზმა აღარ ამოულიათ.

– აგერ შენი ხიფათებიც იწყება, – თქვა სმოკმა, როცა თხილამურებით რაღაცას წამოედო ბილიკის პირას, გაჩერდა და დააკვირდა.

შორტიმ ჭოკს თავი მიანება და სმოკთან მივიდა. ორივემ დაინახა, რომ ბილიკთან მამაკაცის უსულო გვამი ეგდო.

– ნამშიშილევს არა ჰგავს, – თქვა სმოკმა.

– ტუჩებზე შეხედე, – უთხრა შორტიმ.

– მთლად გაფიჩხულია, – თქვა სმოკმა, როცა ხელი მოჰკიდა, უცნობის გაშეშებული ხელი არც მოღუნულა, ისე წამოსწია მაღლა მთელი სხეული.

– რომ აიღო და დააგდო, დაიფშენება, – შენიშნა შორტიმ.

კაცი გვერდზე იწვა, ყინვისაგან გაფიჩხული, ზემოდან თოვლი არ ეყარა, ეტყობა დიდი ხანი არ გასულიყო, რაც აქ ეგდო.

– გუშინწინ არ იყო, ძალიან რომ თოვდა? – იკითხა შორტიმ.

სმოკმა თავი დაუქნია, დაიხარა, მკვდარი გულაღმა გადმოაბრუნა და დაინახა, რომ საფეთქელი ტყვიით ჰქონდა გახვრეტილი, მერე მიიხედ-მოიხედა და შორტიმ თავით მიანიშნა თოვლზე დაგდებულ რევოლვერზე.

კიდევ ასოდე იარღი რომ გაიარეს, თოვლში პირქვე დაგდებულ მეორე გვამს წააწყდნენ.

– ორი რამ ცხადია, – თქვა სმოკმა. – ჯერ ერთი: ორივე ჩასუქებულია; ესე პგი, არ უშიმშილიათ, და მეორე – ოქრო ვერ უპოვიათ, თორემ თავს არ მოიკლავდნენ.

– ვითომ თავი მოიკლეს კი? – შეეპასუხა შორტიმ.

– უეჭველია, აქ მხოლოდ თითო ნაკვალევია, – მათი საკუთარი, და ორივეს თოფისწამლის ნამწვარი ეტყობა, – სმოკმა მეორე გვამი განზე გადაათრია და მოკასინის ცხვირით გადააგდო რევოლვერი, რომელიც ზედ დაცემულ სხეულს თოვლში ჩაეტანა. – აქაც რევოლვერი, ხედავ? ხომ ვამბობდი, რამეს ვიპოვით-მეთქი.

– ეტყობა საპოვნი ჯერ კიდევ წინ არის. რატომ უნდა ეკრათ შუბლში ტყვია თუ მაფლრები იყვნენ?

– როცა ამას შევიტყობთ, ყველა ის ფათერაკიც გვეცოდინება, რასაც გული გიგრძნობდა, – უპასუხა სმოკმა, – წაივიდეთ, თორემ გვალამდება.

უკვე მთლად ბნელოდა, როცა სმოკი თხილამურით უსულო გვამს წამოედო და მარხილზე დაეცა. აქ კიდევ ერთი უსულო გვამი ეგდო; ხოლო როცა სმოკმა კისერში ჩაცვინული თოვლი დაიბერტყა და ასანთს გაჰკრა, მან და შორტიმ დაინახეს ნახევრად ამოთხრილი საფლავის პირას დაგდებული და საბნებში გახვეული მესამე გვამი. სანამ ასანთი ჩაქრებოდა, კიდევ ხუთი, თუ ექვსი საფლავი შეამჩნიეს.

– უ-უ-უ, გააჟრუოლა შორტის, – თვითმკვლევლობის ბანაკია. მერე მადღვრები რომ არიან! ალბათ ყველანი გაწყდნენ.

– არა... შეხედე, – და სმოკმა შორტის შორს მოციმციმე სუსტი სინათლე დაანახვა, – აი კიდევ შუქი აგერ კიდევ წავიდეთ, აბა, ცოტა ჩქარა.

მეტი გვამი აღარ შეხვედრიათ, და კარგად დატკეპნილი ბილიკით რამდენიმე წუთში ბანაკში მივიდნენ.

– მთელი ქალაქია, – წასწურწულა შორტიმ, – სულ ცოტა ოცი ქოხი იქნება და ერთი ძაღლიც არა ჩანს. აი, სერი ამას ქვია!

– სწორედ ამან მიმახვედრა, ეს ღორა სიბლის ხალხია. – აღელვებული ჩურჩულითვე უპასუხა სმოკმა. – არ გახსოვს? შემოდგომაზე „პორტ-ტაუნსენდ მეექვსით“ ასტრეს იუკონი, შეუჩერებლად ჩაუარეს დოუსონს და, ეტყობა, პირდაპირ ამ ნაკადულის შესართავთან გადმოსხდნენ.

– როგორ არა, მახსენდება. მორმონები არიან, არა?

– არა, ვეგეტარიანები, – და სმოკმა სიბნელეში ჩაიცინა, – ხორცს არა ჭამენ და ძაღლებით არ მოგზაურობენ.

– სულ ერთია, რა არიან! ეს კი ვიცი, რომ რაღაც რიგზე ვერ არის, მუდამ ოქროს ეტანებიან. თითქოს ეგ ღორა სიბლი დაჰპირებიათ, ისეთ ადგილას მიგიყვანთ, სადაც ყველა მილიონერები გახდებითო.

– მართალია. ეს ქალი მაგათი წინასწარმეტყველია – აჩრდილები და ათასგვარი უბედურება ევლინება. მე მეგონა, ნორდენსჯოლის ზედა წელისკენ წავიდნენ.

– სუ! ყური დაუგდე!

სიბნელეში შორტიმ მკერდზე ხელი დაადო სმოკს. ორივემ ყური მიუგდო და ერთ-ერთი ქოხიდან ყრუ, გაბმული კვნესა შემოესმათ.

კვნესა ჯერ მიმწყდარიყო, რომ მას მეორე ქოხში, შემდეგ კი მესამე ქოხშიც აჰყვინენ... თითქოს ადამიანის უსახლვრო ვაება მოთქვამდა – საზარელი, შემადრწუნებელი, ჟრუანტელის მომგვრელი.

– უ-უ-უ, – გააჟრუოლა შორტის, – პირდაპირ ტანში მზარავს. შევიდეთ ერთი, ვნახოთ, რა ჰკლავთ.

სმოკმა განათებული ქოხის კარზე დააკაკუნა. „შემოდი“, – გამოეხმაურა ის, ვინც ახლა კვნესოდა, სმოკი და შორტი შევიდნენ. ეს უბრალო, მორებით ნაშენი ქოხი იყო, კედლები ხავსით ბქონდა გამოგმანული, მიწურ იატაკზე ნახერხი და ბურბუმელა მოეყარათ. ნავთის ლამპის წუქზე ოთხი საწოლი მოჩანდა, სამზე ადამიანები იწვნენ, მათ კვნესა შეწყვიტეს და შესულთ მიაშტერდნენ.

– რა გჭირთ? – ჰკითხა სმოკმა ერთ-ერთს. საბანი ვერ ფარავდა მის გონიერ მხარ-ბეჭს, ზორბა და ღონიერ ტანს, მაგრამ თვალები ტკივილით ჩამუქებოდა და ლოყები ჩასცვინოდა, – ყვავილი ხომ არ შეგეყარათ?

პასუხად კაცმა თავისი პირი დაანახვა – რის ვაი-ვაგლახით გახსნა დასიებული, ჩაშავებულ ბაგე და სმოკმა უნებურად უკან დაიხია.

– სურავანი, – ხმდაბლა უთხრა შორტის და ავადმყოფმა თავის დაქნევით დაუდასტურა ნათქვამი.

– საჭმელი გეყოფათ? – ჰკითხა შორტიმ.

– კი, – გამოეხმაურა ავადმყოფი მეორე საწოლიდან, – თტკვენც მიირთვით საჭმელი თავსაყარი გვაქვს. მეზობელ ქოხში არავინ არის. გვერდით საკუჭნაოა, გადით და რაც გინდათ, აიღეთ.

II

რომელ ქოხშიც კი შევიდნენ იმ საღამოს, ყველგან ერთი და იგივე სურათს წააწყდნენ. სურავანდი მთელ ბანაკს მოსდებოდა. ბანაკში თორმეტი ქალი იყო, მაგრამ სმოკმა და შორტიმ ყველა ვერ ნახეს. თავდაპირველად ოთხმოცდაცამეტი კაცი ყოფილა, მაგრამ ათი მომკვდარა, ორი კი ამ ცოტა ხნის წინ უგზო-უკვლოდ გამქრალა, სმოკმა უამბო, როგორ ნახეს მან და შორტიმ იმ ორის გვამი აქედან სულ მცირე მანძილზე და გააკვირვება გამოთქვა, რომ ბანაკიდან არავის წასულა მათ საძებრად. სმოკსა და შორტის ყველაზე მეტად ამ ადამიანების უმწეობა აოცებდათ. მათი ქოხები ჭუჭყითა და ნაგვით იყო სავსე. ხის მაგიდეებზე გორად ეწყო გაურეცხავი ჭურჭელი. არავინ ეხმარებოდა ერთმანეთს. თითოეულ ქოხს თავისი საკუთარი უბედურება ჰქონდა, და თავს აღარავინ იწუხებდა, რომ მიცვალებულები დაემარხა.

– პირდაპირ სასწაულია, – გამოუტყდა სმოკი შორტის, – ზანტები და უქნარები მინახავს, მაგრამ ამდენი ერთბაშად არასოდეს! გაიგონე, რას ამბობდნენ? მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე ხელიც არავის გაუნძრევია. სანაძღვოს დავდებ, პირსაც არ იბანენ. გასაკვირველი არც არის, რომ სურავანდი შეეყარათ.

– კი მაგრამ, საიდან გაუჩნდათ სურავანდი ვეგეტერიანებს? – წამოედავა შორტი. – სურავანდი ხომ იმას დაერვს ხოლმე ხელს, ვინც შაშხსა ჭამს. ესენი კი საერთოდ არ ჭამენ ხორცს – არც დამარილებულს, არც უმს, არც შემწვარს, არც მოხარშულს, სულ არ ეკარებიან ხორცს.

სმოკმა თავი დაუქნია.

– ვიცი. სურავანდს სწორედ ბოსტნეულის დიეტით მკურნალობენ. სხვა წამალი არ შეეღის. ბოსტნეული, მეტადრე კი კარტოფილია ერთადერთი საშუალება. მაგრამ ერთი არ დაგავიწყდეს შორტი, აქ ჩვენს წინაშე თეორია კი არ არის, ფაქტებია& ფაქტია, რომ ეს ბალახის მჭამელები უკლებლივ ყვლანი სურავანდით არიან ავად.

ეტყობა, გადამდებია.

– არა, ეს ექიმებმა ზუსტად იციან. სურავანდი გადამდები არ არის. თვითონ წარმოიშობა ორგანიზმში, გამოფიტვისა თუ სისხლის ცუდი შემადგენლობისაგან. არა, კი არ შეიძინეს რაღაც, არამედ რაღაც, არამედ რაღაც აკლიათ. სურავანდი მაშინ ემარება ადამიანს, როცა სისხლში რაღაც ნივთიერება აკლია, და ეს ნივთიერება შუშებსა და ფხვნილებში კი არ არის, ბოსტნეულსა და მწვანილშია.

– მაგრამ ესენი ხომ მარტო მწვანილეულსა ჭამენ, – მიუგო შორტიმ – და თანაც თავსაყარად. ეტყობა, მაინც ცდები, სმოკ. რაღაც თეორიას თხზავ. ფაქტები კი მაგ შენს თეორიას აცამტვერებენ. სურავანდი გადამდები სენია; ამიტომ არის, ყველას რომ გადაედო და ცოცხლით ღპებიან. ჩვენც გადაგვედება, თუ ამ ჯურღმულში დავეყვებით. უ-უუ! ასე მგონია, უკვე ტანში მიძვრებიან ეს ბაცილები!

სმოკმა ჩაიციხა და სხვა ქოხის კარზე დააკაკუნა.

– ალბათ აქაც იგივე დაგვხვდება, – თქვა მან, – შედი, უნდა საბოლოოდ გავერკვეთ, რა ხდება?

– რა გინდათ? – მოისმა ქალის მჭახე ხმა.

– თქვენი ნახვა, – უპასუხა სმოკმა.

– ვინა ხართ?

– ქიმები დოუსონიდან, – დაუფიქრებლად წამოაყრანტალა შორტიმ და მაშინვე სმოკის მაგარი მუჯღუგუნი იგემა.

– ექიმი ჩვენ არ გვჭირდება, – მკვასედ მიუგო ქალმა; ტკივილისა და ბრაზისაგან ხმა უწყდებოდა, – წადით აქედან. დამე მშვიდობისა. ექიმებისა არაფერი გვჯერა.

სმოკმა საგდული გადასწია, კარს ხელი ჰკრა, შევიდა და სუსტად მბჟუტავ ნავთის ლამპას პატრუქი აუწია. საწოლებზე მწოლმა ოთხმა ქალმა კვნესა და ოხვრა შეწყვიტა და დაუპატიუებელ სტუმრებს მიაშტერდა. ორი მათგანი ახალგაზრდა იყო, სახე გაღეული ჰქონდათ სიგამხდრისაგან, მესამე – ხანში შესული იყო და ძალიან სქელი, მეოთხე კი, რომელიც სმოკმა მაშინვე იცნო ხმით, ისე გაძვალტყავებულიყო, რომ სმოკს კაცთა მოდგმაში არაფერი ენახა ამის მსგავსი. მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ ეს იყო ღორა სიბლი, ცნობილი წინასწარმეტყველი და გულთმისანი, რომელმაც ღოსანუელოში ექსპედიცია ჩამოაყალიბა და ხალხი აქ, ნორდბესკაზე, ამ სიკვდილის ბანაკში მოიყვანა. სმოკის და შორტის შესვლას გესლიანი, მტრული საუბარი მოჰყვა. ღორა სიბლი ექიმებს არ ცნობდა. და ყველა უბედურებასთან ერთად საკუთარი თავის რწმენაც დაჰკარგვოდა.

– რატომ არავინ გაგზავნეთ, რომ მაშველი მოგეხმოთ? – ჰკითხა სმოკმა, როცა თავისი პირველი მრისხანე ტირადის შემდეგ ქანცგაწყვეტილი ღორა სიბლი სულის მოსათქმელად შეჩერდა, – მდინარე სტიუარტზე დიდი ბანაკია, დოუსონამდეც სულ თვრამეტი დღის სავალია.

– რატომ ემოს უენტვორტი არ წავიდა? – თითქმის ისტერიულად წამოიყვირა ღორა სიბლიმ.

– მე მაგ ჯენტლმენს არ ვიცნობ, – უპასუხა სოკმა, – ვინ არის, რას აკეთებს?

– არაფერს. მაგრამ ჩვენგან ეგ ერთადერთია, ვისაც სურავანდი არ შეაყრია. მერე რატომ არ შეეყარა? გეტყვით, თუმცა არა, არ გეტყვით – დაღორა სიბლიმ მაგრად მოკუმა თხელი ტუჩები, ისე იყო გამხდარი, რომ სინათლე გასდიოდა, და სმოკს ეჩვენებოდა, თითქოს მისი სიფრიფანა სახის შივნით კბილებს ხედავდა ფესვებამდე, – ან რომ წასულიყო კიდევ, რა გამოვიდოდა? განა არ ვიცი! სულელი ხარ არა ვარ. ჩვენი საკუჭნაოები სავსეა ათასგვარი ხილის წვევნებითა და დაკონსერვებული ბოსტნეულით. მთელ ალიასკაში არც ერთი ბანაკი არ არის, რომ შეეძლოს ჩვენსავით გაუმკლავდეს სურავანდს. ყოველნაირი, ხმელი თუ დაკონსერვებული ბოსტნეული, ხილი და კაკალი გვაქვს და თანაც თავსაყარი.

– ხომ გამტყუნდი, სმოკ! – ნიშნის მოგებით წამოიძახა შორტიმ, – აქაც ფაქტია და არა თეორია. შენ ამბობ, ბოსტნეული კურნავსო? ესეც შენი ბოსტნეული, აბა ერთი განკურნებული მაჩვენე ვინმე.

– როგორ ავხსნა, არ ვიცი, – გამოტყდა სოკი, – მთელ ალიასკაში ხომ მეორე ასეთი ბანაკი არ იქნება. მინახვს სურავანდის თითო-ოროლა შემთხვევა, იფეთქებდა აქა-იქ, მაგრამ არასოდეს მინახავს, რომ მთელ ბანაკს მოსდებოდა, თან ასე მძვინვარედ. ვერაფერი გამიგია, რაც კი შეიძლება, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამათთვის, მაგრამ უწინარეს ყოვლისა დამის გასათეუზე და ძაღლებზე ვიზრუნოთ. ხვალ დილით გინახულებთ, ე-ე... მისი სიბლი.

– მის სიბლი, – მიახალა ქალმა, – და გარდა ამისა, იცით რას გეტყვით, ემაწვილო: თავი არ აიგდოთ და წამლებით არ მომაგდეთ, შემოვლა დაიწყეს.

ეტყობოდა, ცოტა ხნის წინათ აქ ორი კაცი ცხოვრობდა; და მეგობრები უნებურად ეკითხებოდნენ თავს, იმ თვითმკვლელობების ქოხი ხომ არ არის, გზაზე რომ ვნახეთო. დაათვალიერეს საკუჭნაო და იმდენი და იმდენნაირი

სანოვაგე აღმოაჩინეს, რომ არც ეს დაესიზმრებოდათ – დაკონსერვებული გნებავთ თუ ფხვნილი, სმელი თუ შებოლილი.

– მაინც როგორ მოახერხეს სურავანდით დაავადება? – წამოიძახა შორტიმ და კვერცხის ფხვნილისა და იტალიური სოკოს პატარა პარკებზე მიუთითა, – ამას შეხედე! შეხედე ერთი! – ახლა ტომატით, სიმინდის მარცვლითა და გამოხდილი ზეთისხილით სავსე ქილები აიღო და ნჯღრევა დაუწყო, – თვითონ წინამძღოლსაც რომ გადასდებია! რით უნდა ავსხნათ ეს?

– წინასწარმეტყველს, – გაუსწორა სმოკმა.

– წინამფლოლს, – ჯიუტად გაიმეორა შორტიმ, – განა ის არ მოუძღვა დანარჩენებს ამ ჯერღმულში?

III

მეორე დღით, უკვე კარგად იყო გათენებული, რომ სმოკს ქუჩაში შეხვდა კაცი, რომელიც ფიხით მძიმედ დატვირთულ მარხილს მიათრევდა. ეს ტანმორჩილი, სუფთად ჩაცმული და მკვივრცხლი კაცი, მიუხედავად მარხილის სიმძიმისა, მხნედ და სწრაფად მიაბიჯებდა.

სმოკს თავიდანვე არ მოეწონა იგი.

– რა დაგემართათ? – ჰკითხა სმოკმა.

– არაფერი, – უპასუხა მან.

– მეც ვიცი, – უთხრა სმოკმა, “ იმიტომაც გეკითხებით. თქვენ ემოს უენტვორტი ხართ. საინტერესოა, როგორ მოხდა, რომ სხვებივით სურავანდით არ გახდათ ავად?

– როგორ და ვმუშაობდი, – ფიცხლავ მიუგო უენტვორტმა, – არც ერთი არ გახდებოდა ავად, გარეთ რომ გამოსულიყვნენ და ხელი განძრათ! ესენი კი, როგორ გგონათ, რას აკეთებდნენ? წუწუნებდნენ და ბუზღუნებდნენ, უზიოდნენ სიცივეს, გრძელ ღამეებს, გასაჭირს, ტკივილს და სნეულებას, ერთი სიტყვით ყველაფერს ამქვეყნად. ლოგინში ყვარნენ, სანამ ისე არ დასივდნენ, რომ ადგომა ვეღარ შეძლეს, ეს არის და ეს. აბა მე შემომხედეთ. მე ვმუშაობდი, შემოდით ჩემს ქოხში.

სმოკი შეჰყვა.

– მიიხედ-მოიხედეთ, როგორ კრიალებს აქაურობა. აბა, რა გეგონათ.

ყველაფერი თავის ადგილზეა. ეს ნახერხიც და ბურბუშეღა მარტო სითბოსათვის მაქვს, თორემ გავხვეტავდი. თან სუფთაა. ერთი განახათ რა დღეშია სხვების იატაკი. საღორე გეგონებათ. მე გაურეცხავ თეფწზე ერთხელაც არ მიჭამია, სერ, არც ერთხელ, ამისათვის მუშაობა იყო საჭირო და მეც ვმუშაობდი, იმიტომ სურავანდი არ შემეყარა, სულ ეს არის და ეს, თუ გინდათ იცოდეთ.

– სურლი ყიმართლეა, – დაეთანხმა სმოკი. – მაგრამ მე ვხედავ, რომ თქვენ მხოლოდ ერთი საწოლი გიდგათ. მარტობა რატომ გადაგიწვევიათ?

– იმიტომ, რომ მომწონს. ერთის მოვლა-მიხედვა უფრო ადვილია, ვიდრე ორისა; აი რატომ! აქ ყველანი ზანტები და არაფრის მაქნისები არიან. როგორ გგონიათ, რა გამაძლებინებდა ასეთ ადამიანებთან? ან რა გასაკვირია, რომ სურავანდი შეეყარათ.

ყველაფერი ეს თითქოს დამაჯერებელიც იყო, მაგრამ სმოკს ამ კაცისადმი მტრული გრძნობა არ შორდებოდა.

– რას გერჩით ლორა სიბლი? – მოულოდნელად ჰკითხა უენტვორტი.

უენტვორტმა სწრაფად შეავლო თვალი სმოკს.

– ღორა სიბლი ახირებული ქალია, – თქვა და დასძინა, – ჩვენ ყველანი ახირებულივართ, მაგრამ დამიფაროს ხეციერმა ისეთი ახირებისაგან, როცა კაცი თავის ნახმარ თეფშს არ გარეცხავს. ეგენი კი ყველანი ასეთები არიან.

რამდენიმე წუთის შემდეგ სმოკი ღორა სიბლის ესაუბრებოდა, ორ ოჯახზე დაყრდნობილმა ქალმა კოჭლობით ჩაიარა და მის ქოხთან შეჩერდა.

– რას ერჩით უენტგორტს? – მოულოდნელად მიახადა სმოკმა. ამ უეცარმა კითხვამ დააბნია ღორა სიბლი. მწვანე თვალები ბრაზით აენთო, ჩამომხმარი სახე მოედრიცა, გასიებულ ბაგეს კინაღამ მოსწყდა რაღაც ანგარიშიუცემელი, მოუფიქრებელი სიტყვები, მაგრამ ტკივილითა და გაავეებით დადმეჭილ ბაგეს მხოლოდ გაურკვეველი, დაუნაწევრებელი ბგერა აღმოხდა და მაშინვე, ნებისყოფის ადაადამიანური დამაბვით, ღორა სიბლიმ შეძლო თავის შეკავება.

– იმას, რომ ჯანმრთელია, – ძლივს ამოიქმინა მან, – იმას, რომ სურავანდი არ შეეყარა, რომ მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს და ხელს არ გაანძრევს ვინმეს დასახმარებლად. იმას ვერჩი, რომ ცოცხლივ დასაღპობად გაგვიმეტა, და ჩვენც ცოცხლივ ვლპებით, ეგ კი თავს არ შეიწუხებს, რომ ან წყალი მოგვაწოდოს ან ერთი კონა ფიხი; პირტუყვია ნამდვილი, პირუტყვი! მაგრამ საკადრისი მიეზღება, ჯერ სად არის, უსათუოდ მიეზღვება საკადრისი!

ღორა სიბლი სულს ძლივს ითქვამდა. მერე კოჭლობით განაგრძო გზა. ხუთი წუთის შემდეგ, როცა სმოკი გარეთ გავიდა ძაღლების დასაპურებლად, დაინახა, რომ იგი ემოს უენტგორტის ქოხში შევიდა.

– აქ რაღაც ამბავია, შორტი. რაღაც ამბავია, – უთხრა ამხანაგს და პრქუშად გადააქნია თავი, როცა შორტი ჭურჭლის ნარეცხი წყლის გადასადვრელად გარეთ გავიდა.

– ცხადია, – მხიარულად გეეპასუხა შორტი, – და ეგ ამბავი, არც მე და შენ აგვცდება, იცოდე.

– მე სურავანდზე არ გეუბნები.

– ჰაა, წინამძღოლზე ლაპარაკობ? ეგ ყველაფერს იკადრებს, მკვდარსაც კი გაძარცვავს. ისეთი გამგელებული ქალი ჩემს დღეში არ მინახავს!

IV

– მუშაობამ გადაგვარჩინა, შორტი, გესმის? უენტგორტიც ამიტომ არის ჯანსაღად. სხვებს კი, ხომ ხედავ, რა დაემართათ, ხელის განძრევა რომ არ უნდათ, ახლა ჩვენ ამ ცოცხალ ლეშებს ფიზიკური შრომა უნდა გამოვუწეროთ. შენ გევალება თვალყური ადევნო, რომ ყველას რაღაც სამუშაო მიეცეს. ა საავადმყოფოში მთავარ მომვლელ ქალად გნიშნავ.

– რაო? – იყვირა შორტიმ, – მეე? ცოცხალი თავით!..

– გეუბნები, გნიშნავ-მეთქი, მე კი შენი თანაშემწე ვიქნები, იმიტომ რომ ეს სახუმარო საქმე არ არის. უნდა შევანჯდროთ ეს ხადხზი. უპირველეს ყოვლისა, მიცვალებულები უნდა დამარხონ. ყველაზე მაგრები დამკრძალავ ჯგუფში დავინიშნოთ. სხვები, რომლებსაც ჯერ კიდევ შეუძლიათ ფეხზე დგომა, მაგრამ შეშას ზოგავენ და იმიტომ ყრიან ლოგინში, სათბობის შემგროვებელთა ჯგუფში. უფრო სუსტებს კი უფრო მსუბუქი სამუშაო გაუუჩინოთ. ჰო, წიწვის ნახარში არ დაგვავიწყდეს. ალიასკის მკვიდრნი პირდაპირ ლოცულობდენ ამ ნახარშზე, ამით კი არც იციან მისი არსებობა.

– აბა, ჩვენი საქმე ცუდად იქნება. – ჩაიციხა შორტიმ, – უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ტყვიას დაგვიშენენ.

– სწორედ ამით დავიწყებთ, – თქვა სმოკმა, – წამო.

ერთ საათში მათ ოცივე ქოხი შემოიარეს და ქოხების ბინადრებს მთელი ტყვია-წამალი და უკლებლივ ყველა თოფი, ფილთა და რევოლვერი ჩამოართვეს.

შორტის თავისი მეთლი ჰქონდა;

– აბა საპყრებო, – შეუძახებდა დამხვდურებს, – ამოალაგეთ თქვენი ზარბაზნები და დაიბანები. გამოგვადგება.

– თქვენ ვინა ხართ? – შეეკითხნენ პირველსავე ქოხში.

– ექიმები დოუსონიდან, – მიუგო შორტი. – და რასაც გეტყვით, ნუღა გაგვიგონოთ. აბა-აბა, მოიტათ. ვიზნები და თოფის წამალიც.

– რისთვის გინდათ?

– იერიშის მოსაგერიებლად. ხორცის კონსერვებშია ომი გამოგვიცხადეს, აგერ, ნახევარი ხეობა უკვე ხელთ იგდეს. იცოდეთ, მალე წიწვის ნახარშიც შემოგვსევათ. აბა ცოცხლად!

ასე დაიწყო ეს დღე. სმოკმა და შორტიმ ლოგინიდან წამოყარეს სნეულები – ზოგს არწმუნებდნენ, ზოგს ურჩევდნენ, ზოგს ემუქრებოდნენ და ზოგს ხელის კვრითაც კი აიძულებდნენ წამომდგარიყვნენ და ტანთ ჩაეცვათ. სმოკმა უფრო იოლი ფორმით დაავადებულები გადაარჩია და დამკრძალავი ჯგუფი შეადგინა. მეორე ჯგუფი შეშახე გაგზავნა, რომ კოცონებით გაელღოთ გაყინული მიწა და საფლავეები გაეთხარათ. კიდევ ერთ ჯგუფს დაევალა შეშა დაეპო და თვითეული ქოხი მოემარაგებინა. ვინც მეტისმეტად დასასუტებული იყო და სახლიან გამოსვლა არ შეეძლო, იმათ ქოხები უნდა დაესუფთავ-დაეღაგებინათ და საცვლები დაერეცხათ. კიდევ ერთმა ჯგუფმა ნაძვის წტოების კონები მოიტანა, და ყველა ღუმელზე წიწვი შეიღვა მოსახარშად.

თუმცა სმოკი და შორტი ცდილობდნენ ისე ეჩვენებინათ თავი, თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მდგომარეობა მაინც ძალიან მძიმე და რთული იყო. საზარელ, შემადრწუნებელ დასკვნამდე მივიდნენ ისინი. სულ ცოტა ოცდაათი კაცი უიმედოდ მდგომარეობაში იყო და ლოგინად მათი წამოყენება არ შეიძლებოდა. ღორა სიბლის ქოხში მყოფთაგან კი ერთი მოკვდა. მაგრამ მაინც აუცილებელი იყო ამ მკაცრი ზომების მიღება.

– სულ არ მეხალისება, ავადმყოფს ვურტყა, – ამბობდა მქარით მუშტმოდერებული შორტი, – მაგრამ თავს გავუხეთქავ, თუ ეს მისთვისავე იქნება სასარგებლო, თვქენ ყველს მოგიხდებიდათ ერთი კარგად გაბურტყვა, უსაქმურებო. აბა, აბა, ცოცხლად, წამოდექი და შენი კონკები ჩაიცვი. ჩქარა, თორემ ცხვირ-პირს ამოგინაყავ.

საცოდავები მუშაობისას კვნესოდნენ, ოხრავდნენ, ტიროდნენ, ცრემლები ჩამოსდიოდათ და ლოყებზევე ეყინებოდათ. აშკარა იყო, ძალან იტანჯებოდნენ. მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო და სმოკის მიერ მიღებული ზომები – ჭეშმარიტად გამირული.

როცა მომუშავენი შუადღისას შინ დაბრუნდნენ, მშვენიერი სადილი დახვდათ, რომელიც სმოკისა და შორტის ზედამხვედველობითა და ხელმძღვანელობით დაემზადებინათ მათი ქოხების უფრო სუსტ ბინადართ.

– ჯერჯერობით კმარა, – თქვა სმოკმა დღის სამ საათზე. – მორჩით და ჩაწექით. ახლა ძალიან ცუდად ხართ, ვიცი, მაგრამ, სამაგიეროდ, ხვალ უკეთ იქნებით. რა თქმა უნდა, თქვენი მორჩენა ადვილი არ არის, მაგრამ ვეცდები მოგარჩინოთ.

– გვინდა, – უღიმღამოდ ჩაიცინა ემოს უენტვორტმა, – ჯერ კიდევ შემოდგომაზე უნდა ეხმარათ ჭკუა.

– წამომყევით, – უთხრა პასუხად სმოკმა, – და ეს ორი ბადია წამოიღეთ. თქვენ ხომ არა ხართ ავად.

და სამივემ დაიწყო ქოხების შემოვლა; თვითეულ ავადმყოფს მთელი პინტი წიწვის ნახარში დაალევინეს, თუმცა ძალიან გაუჭირდათ.

– დაიმახსოვრე, რომ ჩვენ არა ვხუმრობთ, – გამოუცხადა სმოკმა პირველსავე ავადმყოფს, რომელიც გულადმა იწვა, ჯიუტად დაეჭირა კბილი კბილზე და კვნესოდა.

– შორტი, აბ მოდი, – სმოკმა ცხვირში ხელი წაავლო სწულს და მზისწულში ხელი ჩაართვა, რომ პირი გაედებინებინა, – აბა, ჩაასხი! ახლავე გადაყლაპავს.

და ავადმყოფმა მართლაც გადაყლაპა წამალი, თუმცა კინაღამ დაიხრჩო.

– მეორედ უფრო გაგიადვილდება, – უთხრა სმოკმა თავის მსხვერპლს და ახლა მეზობელ საწოლზე მწოლ ავადმყოფს სწვდა ცხვირში.

– მართალი გითხრა, მე სასაქმებელი ზეთის დაღვევას ვამჯობინებდი, – საიდუმლოდ გაანდო მეგობარს შორტიმ, თავისი წილი ნახარშის დაღვევის წინ. მაგრამ როგორც კი გადაჰკრა მწვანე ნაყენი, ყველას გასაგონად გამოაცხადა, – მათუსალას ვფიცავ, ეს ერთი პინტი მთელ კასრ ჯანს აჩუქებს ადამიანს.

– ამ წიწვის ნახარშით დღეში ოთხჯერ ჩამოგივლით, ყოველ ჩამოვლაზე ოთხმოც კაცს უნდა დავაღვეინოთ, – მოახსენა სმოკმა ლორა სიბლის, – ისე, რომ დროს ფუჭად ვერ გავკარგავთ. დაღვევთ, თუ ცხვარში მოგიჭიროთ ხელი? – და ცხირზე ხელის მოკიდება დაუპირა, – ეს მცენარეული ნაყენია, ისე, რომ სინდისი ნუ შეგაწუხებთ.

– სინდისიო! – ჩაიფრუტუნა შორტიმ, – რატომ უნდა შეგაწუხოთ, საუცხოო სასმელია!

ლორა სიბლი ყოყმანობდა, თავს ვერ მორეოდა.

– აბა! – მკვახედ თქვა სმოკმა.

– მე... მე თვითონ დავღვევ, – ცახცახით უპასუხა ლორა სიბლიმ, – მოიტათ მალე!

იმ საღამოს სმოკი და შორტი ისე ქანცვაწყვეტილები იყვნენ, როგორც არასოდეს. მთელი დღის მოგზაურობითაც არ დაღლილან. საბნებში რომ გაეხვივინენ, სმოკი გამოტყდა:

– გული მიწუხს, რომ ვუყურებ, რა საშინლად იტანჯებიან, მაგრამ მუშაობის გარდა მაგათი ხსნის სხვა საშუალებას ვერ ვხედავ. ბოლომდე უნდა ვსინჯოთ, რა გამოვა. აი, ერთი ტომარა უმი კარტოფილი რომ მოგვცა!..

– სპარკინსს ჭურჭლის რეცხვა აღარ შეუძლია, – უთხრა შორტიმ, – ცივ ოფლს ასხამს ტკივილისაგან. იძულებული გაეხდი ლოგინში ჩამეწვინა. სულ გამოეცალა ღონე.

– აი უმი კარტოფილი რომ მოგვცა, – გაიმეორა სმოკმა, – ამ მზა სანოვაგეს რაღაც კმთავრესი, რაღაც ყველაზე საჭირო რამ აკლია. გამოფიტულია, გამომშრალია, სიცლცხლეგამქრალი!

– მე მგონია, ის ახალგაზრდა, ჯონსი, ბრაუნდაუს ქოხში რომ წვეს, დილაზე ვერ გაატანს.

– თუ ღმერთი გწამს, ნუ დამჩხავი, – უსაყვედურა სმოკმა.

– ჩვენი დასამარხი არ არის? – გაჯავრდა შორტი, – გეუბნები, რაღაც საშინელება ემართება-მეთქი.

– გაჩუმდი ერთი, – უთხრა სმოკმა.

შორტიმ კიდევ რამდენჯერმე გაჯავრებით ჩაიფრუტუნა, მერე კი სმოკს მისი მძიმე, ღრმა სუნთქვა შემოესმა.

V

დილით ჯონსი მოკდა, და კიდევ ერთ-ერთმა ყველაზე ღონიერმა მამაკაცმა, რომელიც წინა დღეს ხისმჭრელთა ჯგუფში მუშაობდა, თავი ჩამოიხრჩო.

ერთმანეთს მიჰყვა საზარელი, დამეული ზმანებების მსგავსი დღეები. მთელი კვირის განმავლობაში ქანცს იწვევდა სმოკი და აიძულებდა სწულებს ემუშავათ და წიწვის ნახარში ესვათ. მაგრამ იძულებული ხდებოდა ხან თითო-თითოდ, ხან კი ორნი ერთად ან სამნიც კი გაეთავისუფლებინა ხოლმე სამუშაოდან. იგი დარწმუნდა, რომ ფიზიკური შრომა ცუდი წამალი გამოდგა სურავანდით დაავადებულთათვის. დამკრძალავმ ჯგუფი დნებოდა. სამუშაო კი არ კლებულობდა, და კოცონებით შემღვალ მიწაში მუდამ მზად იყო ყოველი შემთხვევისათვის გათხრილი ხუთი-ექვსი საფლავი.

– ბანკისათვის უფრო ცუდი ადგილის ამორჩევას ვერ მოახერხებდით, – უთხრა სმოკმა ერთხელ ლორა სიბლის, – განა შეიძლება დაბანაკება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი ვიწრო ხეობის ფსკერზე, სადაც შუადღისასაც კი არ ჩამოიხედავს მზე. აქ ხომ თვეობით ვერ ხედავთ მზის სინათლეს.

– აბა, არ ვიცოდი.

სმოკმა მხრები აიჩეჩა.

– უნდა გცოდნოდით, რაკი ამდენი რეგენი მოგყავდათ ოქროს საძებრად.

ქალმა გაბოროტებით შეხედა და კოჭლობით განაგრძო გზა. სმოკმა კი მომუშავეთა ერთი ჯგუფისკენ გასწია, რომელიც კენესით აგროვებდა ნაძვის შტოებს. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ბრუნდებოდა, მან დაინახა, რომ ლორა სიბლი ემოს უენტვორტის ქოხში შევიდა, და თვითონაც შეჰყვა. ზღურბლზევე შემოესმა ქალის წუწუნი და ვედრება.

– მარტო ჩემთვის, – იხვეწებოდა იგი სწორედ იმ წუთს, როცა სმოკი ქოხში შევიდა, – ძეხორციელს არ ვეტყვი.

ორივე შეცბუნდა. სმოკი მიხვდა, რომ აქ რაღაც საიდუმლო იფარებოდა, მიხვდა და თავის თავზე გული მოუვიდა, რატომ ყური არ მიეუგდებო.

– აბა, ამოყაჭეთ! – მკვახედ უბრძანა დამხვდურებს, – რას ჰგავს ეს.

– რაზე ამბობთ, – კუმტად იკითხა ემოს უენტვორტმა.

და სმოკმა ვერაფერი უთხრა პასუხად.

VI

მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმე, უფრო და უფრო გამოუვალი ხდებოდა. ამ პირქუშ ხეობაში, სადაც არასოდეს ატანდა მზის სხივი, უღმობელი სიკვდილი დათარეშობდა.

დაშინებული სმოკი და შორტი ყოველდღე პირში ჩახედავდნენ ხოლმე ერთიმეორეს, რომ არ გამოჰპარვოდით სურავანდის პირველი, უეჭველი ნიშანი, – ღრძილებისა და ლორწოვანი გარსის გათეთრება.

– კმარა, – გამოაცხადა ერთ საღამოს შორტიმ, – ყველაფერზე ვიფიქრე და გადავწყვიტე, კმარა, იქნებ მონების ზედამხედველი როგორმე გამოსულიყო ჩემგან, მაგრამ ხეობების ზედამხედველობა მეტისმეტია. მერე დღითიდღე რომ უარესად ხდებოდა! ახლა ოცი კაციც კი ვერ გამოვიდა სამუშაოზე. დღეს ჯაკსონი ჩავაწვინე ლოგინში. ვატყობდი, უკვე მზად იყო თავი მოეკლა. სახეზე ეწერა. მუშაობით, აშკარაა არაფერი არ გამოდის.

– მეც მაგას ვფიქრობ, – თქვა სმოკმა. – ათიოდე კაცის გარდა ყველა გავათავისუფლოთ სამუშაოდან. ათი ჩვენ უნდა დაგვეხმაროს. ერთმანეთს შევენაცვლოთ ხოლმე და წიწვის ნახარშს არ მოვეშვათ.

– რის მაქნისია!

– იქნებ არც არაფრის, მაგრამ არც ვნებთ.

– კიდევ ერთმა მოიკლა თავი, – აცნობა შორტიმ სმოკს, მეორე დილით, – იცი, რომელმა? ფილიპსმა. უკვე რამდენიმე დღეა, ვგრძნობდი, რომ საამისოდ იყო საქმე.

– ისევ! – ამოიგმინა სმოკმა, – რა უნდა ვქნათ, შორტი, რასმ ირჩევ?

– ვინა, მე? არაფერს არ გირჩევ. ყველაფერი დინებას მიანდე.

– მაშინ ხომ ყველანი გაწყდებიან?

– უენტვორტის გარდა, – დაიღრინა შორტიმ, მასაც უკვე დიდი ხანია გადაეღო სმოკის სიძულვილი ამ ადამიანისადმი.

უენტვორტის ჯანის ასე ხანგრძლივი, ასე სასწაულებრივი სიმრთელე უზომოდ აოცებდა სმოკს. რატომ მოხდა, რომ იგი ერთადერთი კაცი იყო ბანაკში, ვისაც სურავანდი არ შეპყრია? ასე რატომ ერთი კაცი იყო ბანაკში, ვისაც სურავანდი არ შეპყრია? ასე რატომ სძულდა იგი ლორა სიბლის და ამავე დროს შესწუწუნებდა და რაღაცას ეხვეწებოდა, მომეციო? რასა თხოვდა იგი უენტვორტს, რაზე ეუბნებოდა უენტვორტი უარს?

რამდენჯერმე სმოკი განზრახ მიადგა უენტვორტს სადილობისას, მხოლოდ ერთი რამ მოეჩვენა საეჭვოდ – უენტვორტი ყოველთვის ყურდაცქვეტილი ხვდებოდა. შემდეგ იგი შეეცადა ლორა სიბლისთან მოესინჯა ნიადაგი.

– უმი კარტოფილი ყველას მოგარჩენდათ, – უთხრა ქალს, – მე ვიცი, როგორ უხდება სურავანდს.

ლორა სიბლის თვალები იმედით აენტო, შემდეგ იმედი სიმწრით და მიძულვარებით შეიცვალა, და სმოკი მიხვდა, რომ კვალს მიაგნო.

– ახალი კარტოფილი რატომ არ ჩამოიტანეთ თან? – ჰკითხა მან.

– მოგვქონდა, მაგრამ ფორტ იუკონში ძალიან ხელსაყრელად გავიყიდეთ.

გამხმარი კარტოფილი თავსაყრად გვქნდა, ისიც ვიცოდით, რომ ის უკეთ ინახება, არც კი იყინება.

სმოკმა ამოიხვნეშა.

– ახალი სულ გაყიდეთ. – ჰკითხა ქალს.

– სულ, აბა რა ვიცოდით?

– სულ არაფერი არ დარჩენილა? იქნებ ერთი-ორი ტომარა შემთხვევით შემორჩა სადმე გემის კუნჭულში?

აფორიაქებული სმოკი ფიქრს აჰყვა, ლორი სიბლიმ კი თავი გააქნია და თქვა:

– ჩვენ არაფერი გვიპოვია.

– იქნებ მაინც იყო ცოტა? – დაუინებით ჩაეკითხა სმოკი.

– მე რა ვიცი. – ბრაზით ხმა ჩაეხლინა ლორა სიბლის, – სურსათი ჩემ ხელში არ ყოფილა.

– ემოს უენტვორტის ხელში იყო, არა? – მიხვდა სმოკი, – ძალიან კარგი.

ახლა თქვენი აზრი გამანდეთ, ჩვენს შორის დარჩება. როგორ გგონიათ,

უენტვორტი ცოტაოდენ უმ კარტოფილს ხომ არსად გადაამალავდა?

– არა, რა თქმა უნდა, არა. რატომ უნდა დაემალა?

– რატომ არა?

ქალმა მხრები აიჩეხა.

ბევრს ეცადა სმოკი, მაგრამ ვერასგზით ვერ დააცდევინა, რომ შეიძლებოდა ასე მომხდარიყო.

VII

– უენტვორტი ღორია, – ასეთი განაჩენი გამოიტანა შორტიმ, როცა სმოკმა თავისი ეჭვები გაუზიარა.

– ღორა სიბლიც, – დაუმატა სმოკმა, – დარწმუნებულია, რომ უენტვორტს კარტოფილი აქვს, მაგრამ არ ამხელს და ცდილობს, როგორმე მარტო თავისთვის გამოსტყუოს.

– უენტვორტი კი არ აძლევს, არა? – შორტიმ ერთი ლაზათიანი გინებაით მოსრა ადამიანთა უძღური მოდგმა და სული მოითქვა.

– ორივე ბინძური პირუტყვია, და ღმერთსა ვთხოვ, სასჯელად სურავანდით დაღპობა მიუზღოს ორივეს. მეტი რაფერი მაქვს სათქმელი. ახლა კი წავალ და უენტვორტს ცხვირ-პირს ამოვუნაყავ.

მაგრამ სმოკი დიპლომატიური მოლაპარაკების მომხრე იყო. ამ ღამეს, როცა ბანაკს ეძინა და ძილში კვნესოდა ან, შესაძლოა, კვნესოდა, მაგრამ არ ეძინა, სმოკმა უენტვორტის ჩაბნელებული ქოხის კარზე დააკაკუნა.

– ყური მიგდგე, უენტვორტ, – უთხრა ხმადაბლა, – აგერ ქისაში ათასი ღოღარი ოქროს ქვიშა მაქვს. ამ მხარეში მე ერთადერთი უმდიდრესი კაცი ვარ, ამიტომ შემიძლია თავს ნება მივცე და დიდი ხარჯი გავიჯო. ვშიშობ, რომ სურავანდი მეწყება. ერთი ცალი უმი კარტოფილი მომეცი და ეს ოქრო შენი იქნება. აი, ხელით მოსინჯე.

სმოკი სიხარულით ათრთოლდა, როცა ემოს უენტვორტმა სიბნელეში ხელი გამოიწოდა და ოქროს ქისის წონა მოსინჯა. შემდეგ შემოესმა, როგორ ააფათურა უენტვორტმა ხელი საბანქვეშ, და იგრძნო, რომ ხელში ჩაუდგეს უკვეარა მძიმე ქისა, არამედ კარტოფილი, ნამდვილი კარტოფილი, ქათმის კვერცხისხელა და თბილი, იმის გამო, რომ უენტვორტს ღოგინში ელო.

სმოკი დილას აღარ დაელოდა. ორი ყველაზე მძიმე ავადმყოფი ყოველ წუთს შეიძლებოდა მომკვდარიყო, შორტისთან ერთად მაშინვე ქოხისკენ გაემართა. თასით მიჰქონდა ათსდოღარიანი კარტოფილი გაუთლელად და გაურცხავად გახეილი. მეგობრებმა წვეთ-წვეთობით ჩაასხეს კარტოფილის ფიფინა საზარელ შავ ხვრელებში, რომლებიც ოდესღაც ამ ადამიანების პირი იყო. მთელი ღამე მორიგეობით აძლევენ ავადმყოფს წვენს, აზელდნენ დასიებულ ღრძილებში, და აიძულებდნენ წვეთ-წვეთობით გადაეყლაპათ ეს ძვირფასი წამალი.

მეორე საღამოსათვის ორივე ავადმყოფს საოცარი, პირდაპირ დაუჯერებელი გაუმჯობესება დაეტყო. ისინი უკვე აღარ იყვნენ ყველაზე მძიმე ავადმყოფები ბანაკში. ორმოცდარვა საათის შემდეგ, როცა კარტოფილის წვენი გამოილია, ორივე გადარჩენილი იყო საფრთხეს, თუმცა სრული განკურნება ჯერ კიდევ შორს იყო.

– აი რას გეტყვი, – უთხრა სმოკმა უენტვორტს, – მე რამდენიმე ძვირფასი ნაკვეთი მაქვს, ჩემს თამასუქს სადაც გინდა, იქ გაგინადლებენ. თითო კარტოფილში ხუთას ღოღარს მოგცემენ, ასი ცალი კარტოფილიდან მინდა, ორმოცდაათი ათასისა.

– ოქროს მტვერი აღარ გაქვს? – შეეკითხა უენტვორტი.

– მე და შორტიმ მთლად შემოვჩხრიკეთ, რაც თან გვქონდა, მაგრამ გეფიცები, რამდენიმე მილიონი ვღირვართ ერთად.

– ერც ერთი კარტოფილი აღარა მაქვს, – გადაჭრით უთხრა უენტვორტმა ბოლოს, – ნეტავი მქონდეს, ერთადერთი ცალი მქონდა და ისიც თქვენ მოგეცით. მთელ ზამთარს ვინახავდი, მუშინოდა, ავად არ გავმხდარიყავი. არც არაფრით გავიყიდდი, მაგრამ ყინული რომ დაიძვრის, შინ წასვლას ვაპირებ და ფული მჭირდება.

თუმცა კარტოფილის წვენი გათავდა, მესამე დღეს ცხადი გახდა, რომ ისინი, ვისაც წვენითმკურნალობდნენ, მომჯობინდნენ, ვისთვისაც წვენი არ მიუციათ, ისინი კი სულ უარესად და უარესად ხდებოდნენ. მეოთხე დღით კიდევ სამი საზარელი გვამი დაასაფლავეს. ეს საშინელება რომ გამოიარა შორტიმ სმოკს უთხრა:

– შენ ხომ შენებურად სინჯე, ახლა მე ჩემებურად ვცდი, – და პირდაპირ უენტვორტთან გასწია. რა მოხდა უენტვორტის ქოხში, მას არ უამბია, მაგრამ იქიდან რომ გამოვიდა, თითების სახსრები დასიებული ჰქონდა ცხვირ-პირი და თავი კიდევ დიდხანს როგორღაც გვერდულად და მრუდედ ეჭირა გაშეშებულ კისერზე. ამ უცნაური მოვლენის ახსნა ძნელი არ იყო: უენტვორტს ხორხის აქეთ-იქით თითების შავლიბრი ანაბეჭდები ემჩნეოდა – ოთხი ლაქა ცალ მხარეს და ერთიც – მეორე მხარეს.

შემდეგ სმოკი და შორტი შინ შეუვარდნენ უენტვორტს, პირდაპირ თოვლში გამოტყორცნეს და ქოხში ყველაფერი გადააბრუნეს. ღორა სიბლიც მობარბაცდა და მანაც თავგამოდებით დაიწყო ფათური.

– ვერაფერს მიიღებ დედაბერო, მთელ ტონაც რომ გამოეჩხრიკოთ სადმე, – უთხრა შორტიმ.

მაგრამ არც თვითონ გასცრუებით ღორა სიბლიზე ნაკლებად იმედი, იატაკიც კი გადათხარეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

– ნელ ცეცხლზე დაუწვებდი ხრაკვას და ხელად ენას ამოვადგმევიებდი, – გულით თქვა შორტიმ.

სმოკმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– ეს ხომ კაცისკვლაა, – თავისას არ იშლიდა შორტი, – ეს მხეცი ხოცავს საცოდავებს. ბარემ ცული აელო და ტვინი დაენტხევიებინა, ასე აჯობებდა.

გაივდა კიდევ ერთი დღე. სმოკი და შორტი უენტვორტის ყოველ ნაბიჯს ადევნებდნენ თვალს. რამდენჯერმე, როგორც კი მან ხელში ბადია აიღო და ნაკადულზე წყლის ასადებად წასვლა დააპირა, ისინი თითქოს შემთხვევით მისი ქოხისაკენ გაემართნენ, მაგრამ უენტვორტი საჩქაროდ დაბრუნდა უკან, უწყლოდ.

– კარტოფილი აქვე, ქოხში აქვს დამალული, – თქვა შორტიმ, – მაგას წყალი არ გაუვა. მაგრამ რა ადგილას? თითქოს ყველაფერი გადაეაქოთეთ, – იგი ადგა, ხელჯაგი წამოიცივა, – მაინც ვიპოვი, ამ უბადრუკი ქოხის დაშლაც რომ დამჭირდეს, – თქვა და სმოკს შეხედა.

სმოკი ყურს არ უგდებდა, სახე დაძაბოდა, მისი გონება სხვაგან ჰქროდა.

– რა დაგეტაკა? – ჰკითხა გულმოსულმა შორტიმ. – სურავანდი ხომ არ გეცა?

– რაღაც მინდა გავიხსენო, შორტი დაიცა!

– რა?

– თვითონაც არ ვიცი, ეგ არის უბედურება. მაგრამ რაღაც ძალიან საჭირო, ოღონდ კი გამახსენდეს როგორმე.

– იცი, რა ძმალ, ნეტავი კი ჭკუაზე არ შეიშალო, – ვედრებით უთხრა შორტიმ, – ჩემზე არ უნდა იფიქრო? ერთი ცოტა ტვინი გაასვენე, მოდი და ქოხის დაშლაში მომეხმარე, ცეცხლს წაუუკიდებდი, მაგრამ მეშინია, კარტოფილი შეიწვება.

– მივაგენი! – წამოიძახა სმოკმა და ფეხზე წამოვარდა, – აი, რისი გახსენება მინდოდა, სადა გაქვს სანაგოთე, შორტი? ხელი, ძმობილო, კარტოფილი ჩვენია!

– რანაირად?

– დაინახავ, თავგზა აუბნია სმოკმა, – ყოველთვის მითქვამს შენთვის, შორტი, მხატვრულ ლიტერატურას უნდა იცნობდეს-მეთქი კაცი! მხატვრული ლიტერატურა კლონდაიკშიც კი გამოგადგება. აი, ახლა რასაც გავაკეთებთ, ისიც წიგნი წერია. პატარა რომ ვიყავი, მაშინ წამიკითხავს, და ვიცი, ძალიან გამოგვადგება. წამო, წავიდეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩრდილოეთის ციალის მქრსალად მოციმციმე-მომწვანო შუქში ისინი ემოს უენტვორტის ქოხთან მიიპარნენ. ფრთხილად, უხმაუროდ გადაასხეს ნავთი ძელურ კედლებს და განსაკუთრებით გულმოდგინედ

– კარისა და ფანჯრის ჩარჩოებს. შემდეგ ასანთს გაჰკრეს. ალი ავარდა და ირგვლივ ყველაფერი განათდა. ისინი კი ჩრდილში მიდგნენ და ელოდნენ.

ქოხიდან უენტვორტი გამოიჭრა, შემლილივით მიაშტერდა ავარდნილ ხანძარს და ქოხშივე შევარდა. წუთიც არ გასულა, რომ კვლავ გამოჩნდა ზღურბლზე; ამჯერად ნელა, წელში მოხრილი მოდიოდა, ზურგზე ვეებერთელა ტომარა ეკიდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რა იყო შიგ. სმოკი და შორტი მშიერი მგლებივით ეძებნენ უენტვორტს. ერთდროულად დააცხრნენ აქეთ-იქიდან და უენტვორტი კინადამ ქვეშ მოიყოლა მძიმე ტომარამ. სომა შესამოწმებლად საჩქაროდ მოსინჯა ხელით კარტოფილი. უენტვორტი მუხლებზე შემოეხვია სმოკს და მკვდრისფერი სახე მიაპყრო.

– ათი ცალი დამიტოვე, მხოლოდ ათი ცალი!.. ან ხუთი მაინც დანარჩენი თქვენი იყოს, – აღრიალდა უენტვორტი, სიმწრისაგან გონებადაკარგულმა კბილები დაადრტინა და ფეხზე კბენა დაუპირა სმოკს, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ ხვეწნა არჩია, – მხოლოდ ხუთი ცალი! – ზმუოდა ის, – ხუთი ცალი მაინც დამიტოვეთ! ხვალ სულ თქვენთვის ვაპირებდი მოცემას. დმერთმანი, ვაპირებდი. ეს სიცოცხლეა! სიცოცხლეა! ყულ ხუთი ცალი მაინც!

– მეორე ტომარა სად არის? – სიტყვა გაწყვეტინა სმოკმა.

– სულ შევჭამე, – უპასუხა უენტვორტმა, და, ეტყობოდა, მართალს ამბობდა, – სულ ერთი ტომარა დარჩა. თქვენი იყოს. მხოლოდ რამდენიმე ცალი კარტოფილი არა აქვთ. აი შენ! აი! აი! ესეც შენ! შე ღორო! პირუტყვო!

პირველმა წიხლმა უენტვორტი სმოკს მოსწყვიტა, რომელსაც ის მუხლებზე ეხვეოდა. იმეორემ თოვლში გადაისროლა. მაგრამ შორტი ისევ გამეტებით ურტყამდა.

– თითებს გაუფრთხილდი, – მხოლოდ ეს უთხრა სოკმა.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა შორტიმ, – ქუსლსა ვცემ, ყველა ნეკნს ჩავუღეწავ, ყბას მოვუფშენი, ნახავ თუ არა. აი ესეც შენ! ნეტავ მოკასინების მაგივრად ჩექმები მცმოდა. ესეც შენ, შე ღორო, შენა!

VIII

იმ ღამეს ბანაკში არავის ეძინა. სმოკი და შორტი ყოველ საათში ჩამოუვლიდნენ ავადმყოფებს და საზარელ, მთლად დაიარებულ პირში მეოთხედ-მეოთხედ კოვზ ცხოველმყოფელ წვეს ასხამდნენ მეორე დღესაც, ვიდრე ერთს ეძინა, მეორე საქმეს განაგრძობდა.

სიკვდილიანობა მეტი აღარ ყოფილა. ყველაზე უიმედო ავადმყოფებმა საოცარი სისწრაფით იწყეს გამოჯანმრთელება. მესამე დღეს ისინი, ვინც თვეების განმავლობაში ლოგინად იყვნენ ჩავარდნილნი, საწოლებიდან ჩამოფრთხდნენ, ჩავარჯნებს დაეყრდნენ და სიარული დაიწყეს. იმ დღეს ხეობაში პირველად ჩაიხედა მზემ, რომელიც ორითვის წინ დასდგომოდა ზამთრის გზას ჩრდილოეთისაკენ და ახლა კლდოვანი ქედის იქიდან მხიარულად იცქირებოდა.

– ერთსაც არ მოგცემ, – უთხრა შორტიმ უენტვორტს, რომელიც წუწუნებდა და იხვეწებოდა, – შენ სურავანდი ახლოსაც არ წაგკარებია. მთელი ტომარა ხომ ხეთქე, ახლა ოცი წელიწადი დაზღვეული ხარ, სურავანდი აღარ დაგემაართება, შენმა შემხედვარემ მე ახლა უკეთ გაუგე მამაზეციერს, მუდამ მიკვირდა, სატანას რატომ იტანს-მეთქი. ახლა კი მესმის. მან შეიწყნარა სატანა, როგორც მე შენ შეგვიწყნარე, მაგრამ სულ ერთია, ყოველად სამარცხვინო ამბავია, რომ არ მიხარხვე.

– ერთს რამეს გირჩევ, – უთხრა უენტგორტს სმოკმა. – ავადმყოფები ძალიან მალე გამოკეთდებიან. ერთი კვირის შემდეგ მე და შორტი აქედან წავალთ და ამ ხალხისაგან ვერავინ დაგიცავს. აი გზა, დოუსონამდე თვრამეტი დღის სავალია.

– მოუსვი, ემოს, – დაუმატა შორტიმ, – თორემ გამოჯანსაღდებიან და ისეთ დღეს დაგაყრიან, რომ ჩემი მუშტები არაფრად მოგეჩვენება.

– ბატონებო, გევედრებით, მომისმინეთ, – წუწუნებდა უენტგორტი, – მე ამ მხარეში უცხო ვარ, აქაურ ჩვეულებებს არ ვიცნობ. გზა არ ვიცი. ნება მომეცით თქვენთან ერთად წამოვიდე. ათას დოლარს მოგცემთ, ოღონდ ნება მომეცით თქვენთან ერთად წამოვიდე. ათას დოლარს მოგცემთ, ოღონდ ნება მომეცით თქვენთან ერთად წამოვიდე.

– კეთილი, – ეშმაკურად ჩაილაპარაკა სმოკმა, – შორტი თუა თანახმა.

– ვინა? მე? – შორტი ამაყად გაიმართა წელში, – მე არარაობა ვარ. ტყის ტიპაზე საცოდავი არსება, უბრალო მატლი, პატარა ქინქლა, ბაყაყის ძმა და ბუხის შვილი ვარ. არც ქვეწარმავლები, არც მცოცავები, არც ყველაზე მყრალი არსება არ მიზიზღება, მაგრამ ეს რომ სიახლოვეს გავიკარო?! ეს მამაზეციერის შეცდომის ნაყოფი? წადი აქედან! ამპარტავანი არა ვარ, მაგრამ შენს დანახვაზე გულ-მუცელი მიბრუნდება.

და ემოს უენტგორტი წავიდა, წავიდა მარტო, თან იმოდენა სანოვაგით დატვირთულ მარხილს მიათრევდა, რომ დოუსონამდე ეყოფოდა საგზლად. ერთი მილიც არ გაეგლო, რომ შორტი დაეწია და შეუძახა:

– აქ მოდი, აბა ჩქარა! ჩქარა-მეთქი! მოიტა, გესმის?

– არ მესმის, რა უნდა მოგცეთ, – აკანკალებული ხმით უპასუხა უენტგორტმა, რადგან გაახსენდა, შორტის მუშტებისა და წიხლების გემო.

– ათასი დოლარი! ათასი დოლარი! ერთ უბადრუკ კარტოფილში რომ წაჭვლიჯე სმოკს! აბა, ჩამოდი-მეთქი!

და ემოს უენტგორტმა ოქროთი სავსე ქისა გაუწოდა.

– მყრალსაც დაუტბენიხარ და ცოფსაც ჩაუძაღლებიხარ, – ასე დაულოცა მას გზა შორტიმ.

ალიაქოთი კვერცხის გამო

I

კაშკაშა ყინვიან დილით, დოუსონში, ალიასკის სავაჭრო კომპანიის მაღაზიაში, ღუსილ ეროლმა, რომელიც საგალანტერიო დახლთან რადაცას ირჩევდა, თავისთან იხმო სმოკ ბელიუ. ნოქარი საწყობში გავიდა, ღუსილმა კი ისევ წამოიცივა ხელჯაგები, თუმცა უზარმაზარი ღუმელები წითლად ვარვარებდა.

სმოკი ფიცხლავ გაეშურა მის დაძახილზე. დოუსონში კაცი არ იყო, რომ სასიამოვნოდ არ დარჩენოდა ღუსილ ეროლის ყურადღება. იგი იმ პატარა დასის მომღერალი იყო, რომელიც სადამოლობით წარმოდგენებს მართავდა დოუსონის საოპერო თეატრში.

– სული ამომხდა მოწყენილობით, – კეკლუცი ჭირვეულობით დაიჩვილა ღუსილმა, როგორც კი სმოკმა და მან ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, – უკვე მთელი კვირაა არაფერს ავუფორიაქებივართ. სიფ მატჩის თითქოს მასკარადი უნდა გაემართა, მაგრამ გადასდო. ოქროსაც ნაკლებად ფანტავს ხალხი და თეატრშიც ნაკლებად დადის. ფოსტაც მთელი ორი კვირაა არ მოსულა. ერთი სიტყვით, ქადაქი თითქოს ბუნაგში შეძვრა და ძილს მიეცა. რადაც უნდა ვიღონოთ. გამოცოცხლება სჭირდება დოუსონს და მე და თქვენ უნდა გამოვიცოცხლოთ. ჩვენსავით ვერავინ შეძლებს მის ახმაურებას. იცით, მე და შმაგი ერთმანეთს დაეშორდით.

სმოკის თვალწინ ერთბაშად ორმა ჩვენებამ გაიყვანა: პირველი იყო ჯოჯოხეთის სახე, მეორე – თვითონ სმოკი. იგი დათოვლილ ტრიალ მინდორზე, ჩრდილოეთის ცივი მთვარის სხივებში ეგდო ზემოხსენებული ჩარლი შმაგის ტყვიით განგმირული. სმოკს აშკარად არ ეხალისებოდა ლუსილ ეროლთან აქმაურობინა დოუსონი და ქალს ეს არ გამოჰპარვია.

– მადლობას მოგახსენებთ, – სიცილით უსაყვედურა მან სმოკს და გაბუტულმა ტუჩები აიბზუა; – გეშლებათ, მე მაგას არ ვფიქრობდი, ცოტა მეტად უნდა მოგდიოდეთ თვალში, რომ კისერზე ჩამოგეკიდოთ.

– კაცს შეიძლება გული გაუსკდეს მოულოდნელი ბედნიერებისაგან, – შვებით წაილულულა სმოკმა.

– მატყუარა, – კეკლუცად გაიღიმა ქალმა, – უფრო სწორად, შიშისაგან გაგისკდათ გული. ახლა იმას მოგახსენებთ, მისტერ სმოკ ბელიუ, რომ თქვენი გამიჯნურება არ მქონია გადაწყვეტილი, და თუ თქვენ გაბედავთ ჩემი გამიჯნურება, შმაგი მოგივლით, როგორც საჭიროა. კარგად იცნობთ, როგორია და გარდა ამისა.. გარდა ამისა, მე საბოლოოდ არ დავშორებივარ.

– განაგრძეთ, განაგრძეთ, სულ ამიბნეით გზა-კვალი, – გაიცინა სმოკმა, – იქნებ ოდესმე მივხვდე, საით უმიზნებთ?

– მისახვედრი არაფერია, სმოკ, პირდაპირ გეტყვით. შმაგს ჰგონია, რომ მე საბოლოოდ დავშორდი, გესმით?

– ერთი სიტყვით, დაშორდით თუ არა?

– რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ეს ჩვენს შორის დარჩეს. შმაგს ჰგონია, რომ დავშორდი იმიტომ, რომ ყველას ასე ვეუბნები. ღირსია და იმიტომ.

– მე მაინც რისთვის გინდივართ? თვლის ასახვევად თუ საფრთხობელად?

– არც ერთი და არც მეორე. აქედან აუარებელ ფულს იშოვით, შმაგს სასაცილოდ ავაგდებთ და დოუსონს გავამხიარულებთ, მაგრამ, რაც მთავარია, და რისთვისაც ეს ამბავი წამოვიწყებ, იქნებ ცოტა დადინჯდეს. მოთოკვა სჭირდება, თორემ... როგორ გითხრათ... მეტისმეტად აიწყვიტა. რაკი ამოდენა ვაჟკაცია, და რაკი იმდენი მდიდარი საბადო აქვს. რომ სათვალავი დაეკარგა...

– და რაკი მთელს ალიასკაში უმშვენიერს პატარა ქალზეა დანიშნული, – ჩაურთო სმოკმა.

– ჰო, მაგიტომაც, მადლობელი გახლავართ, თავს ხომ არ უნდა გავიდეს? აი წუხელაც გადაირია. „მ. და მ.“-ს დარბაზში ოქროს ქვიშა მობნია იატაკზე. ალბათ ერთი ათასი დოლარისა. არც აცივა, არც აცხელა, აიღო ქისა და პირდაპირ მოცეკვავეების ფეხებში დაფანტა ოქრო. გაიგებდით, რა თქმა უნდა.

– დიახ, ამ დღით მითხრეს. არ დავიწუნებდი იქაური დამლაგებელი ვყოფილიყავი. მაგრამ მაინც ვერ გაგიგეთ, მე რისთვის გჭირდებოდა?

– ყური მიგდეთ, წუხანდელი ამბავი უკვე მეტისმეტად იყო, წავიხსნებ და ვუთხარი, ნიშნობა ჩაშლილად ჩავთვალე-მეთქი. ახლა დადის და მოთვამს, როგორც გულმოკლულ ადამიანს შეეფერება. მთავარს კი ახლავე გეტყვით; მე ძალიან მიყვარს კვერცხი!

– კვერცხი?! – სასოწარკვეთილებით შესძახა სმოკმა, – რა შუაშია კვერცხი ან თქვენი მადა? – ჰკითხა სმოკმა ისევ.

– ახლავე გაიგებთ, ოღონდ მომისმინეთ.

– გისმენთ.

– მაშ, მომისმინეთ, თუ ღმერთი გწამთ. მე კვერცხი მიყვარს, მაგრამ დოუსონში კვერცხი ნაკლებად იშოვება.

– ვიცი, მართალია, ისიც უმეტესად სლავოვიჩის რესტორანში აქვთ. ღორი ერთი კვერცხის ერბო-კვერცხით სამი დოლარი ღირს, ორი კვერცხით – ხუთი დოლარი, ანეროლებს და შმაგებს შეუძლიათ თავს ნება მისცენ და კვერცხი მიირთვან.

– შმაგსაც უყვარს კვერცხი, – განაგრძო ქალმა, – მაგრამ ეგ არ არის მთავარი. მთავარია, რომ მე მისვარს. მე ყოველ დღით თერთმეტ საათზე სლავოვინთან ვსაუბრობ, და როგორც წესი, ორ კვერცხს ვჭამ, – ქალი მრავალისმეტყველად დადუმდა, შემდეგ განაგრძო, – წარმოიდგინეთ, ერთ წუთს წარმოიდგინეთ, რომ ვიღაცამ მთლიანად შეისყიდა კვერცხი.

იგი გაჩუმდა, სმოკი კი ალტაცებით შეჰყურებდა და გულში ფიქრობდა – რა ქალი ამოირჩიაო შმაგმა!

– თქვენ არ მისმენთ, – უთხრა ქალმა.

– განაგრძეთ, – მიუგო სმოკმა, – ფარ-ხმალი დამიყრია, მერე რა მოხდება?

– რა მიუხვედრელი ხართ! შმაგს არ იცნობთ? რაკი დაინახავს, რომ კვერცხის უქონლობა ძალიან მაწუხებს (მოგეხსენებათ, ხუთი თითივით ვიცნობ და ვიცი, როგორ გავითამაშო უგუნებობა), როგორ გგონიათ, რას იზამს?

– თქვენ მითხარით, როგორ გგონიათ?

– რას იზამს და თავიქუდმოგლეჯილი დაუწყებს ძებნას იმას, ვინც კვერცხი შეისყიდა. მოძებნის და რაც არ უნდა უღირდეს, კვერცხს სულ გამოართმევს. ახლა წარმოიდგინეთ: თერთმეტ საათზე მე სლავოვინთან შევედივარ. შმაგი გვერდით მაგიდას უზის. ნამდვილად იქ იქნება, იცოდეთ. – ორი თოხლო კვერცხი, ვეუბნები ოფიცინანტს. – ძალიან ვწუხვარ, მის ეროლ, კვერცხი აღარა გვაქვს – ამ დროს ლაპარაკში ერევა შმაგი და დათვივით ბურღლუნებს: – ექვსი თოხლო კვერცხი მომიტანეთ. – ახლავე ბატონო, – ეუბნება ოფიცინანტი და მოაქვს...

შემდეგი სურათი: შმაგი ქვეშ-ქვეშ შემომცქერის, მე საშინლად მედიდურად და ყინულივით ცივი თვალებით ვუყურებ და ოფიცინანტს ვუხმობ. – მაპატიეთ, მის ეროლ, – ამბობს ის, – ეს კვერცხი ბატონმა შმაგმა შეისყიდა; მაგის საკუთრება გახლავთ.

ამ დროს შმაგი, გამარჯვებულის იერით, მაგრამ უდარდელად, თითქოს ვერაფერი შეამჩნია, თავის ექვს კვერცხს შეექცევა.

ახლა შემდეგი სურათი: თვით სლავოვინს პირადად მოაქვს ჩემთვის ორი კვერცხი და მეუბნება:

– მისტერ შმაგი სალამს გითვლით, მის. რა უნდა ვქნა ამ დროს? მეტი რა გზა მექნება, უნდა გაუვლიმო შმაგს; შემდეგ, რა თქმა უნდა, შევრიგდებით და ის ჩათვლის, რომ იაფად შეისყიდა მთელი კვერცხი, გინდაც ათ-ათი დოლარი დასჯდომოდა თითო.

– განაგრძეთ, განაგრძეთ, ოღონდ ისიც მითხარით, რომელ სადგურზე მომიწევს მაგ მატარებელში ჩაჯდომა, ან რომელ წყალსატუმბავთან გადმომსვამენ?

– უტვინო! ვინ უნდა გადმოგსვათ! ამ კვერცხისაგან აშენებული მატარებლით პირადად დათქმულ სადგურში მიხვალთ. კვერცხი უნდა შეისყიდოთ. ახლავე, დღესვე დაიწყეთ. რაც დოუსონში კვერცხია, შეგიძლიათ თითო სამ-სამ დოლარად იყიდოთ და შმაგს რა ფასადაც გინდათ, მისცეთ. მერე კი როცა ყველაფერი დამთავრდება, დაფარულს გამოააშკარაბეთ. შმაგს სასაცილოდ აიგდებენ, და ცოტა დაცხრება. ამ გამარჯვების დიდებას მე და თქვენ გავინაწილებთ. ფულს ბლომად იშოვით და დოუსონში გამოაფხიზლებთ. გაგიხარია, ამ ამბავზე იხარხარებენ. მაგრამ თუ... თუ ფიქრობთ, რომ მეტიმეტად სარისკო სპეკულაციას გთავაზობთ, ოქროს ქვიშას კვერცხის შესასყიდად მე მოგცემთ.

ეს უკვე მეტიმეტი იყო. სმოკს, როგორც დასავლეთიდან მოსულ ყველა უბრალო მოკვდავს, ფულზე და ქალებზე თავისი გაკვეული აზრი ჰქონდა, ამიტომ მან უარყო ლუსილ ეროლის ოქრო.

II

– ჰეი, შორტი! – გასძახა სმოკმა კომპანიონს, რომელიც თავისებური ჩქარი და მორყეული ნაბიჯით მიაბოტებდა მთავარ ქუჩაზე, იდლიაში ბოთლი ჰქონდა ამოწრილი, ბოთლში რაღაცა სითხე ჩაყინულიყო. სმოკმა ქუჩა გადაჭრა.

– სად დადიხარ მთელი დილა? მოგკვდი შენი ძებნით. წუხელის ვაჭმეველი და შევაძინე, რომ კუღზე და ფერდებზე ბალანი სცვივა. ექიმმა მითხრა...

– ეგ არაფერი, – მოუთმენლად გააწყვეტინა სიტყვა სმოკმა. – მე მინდოდა...

– რამ გადაგრია? – გაოცებითა და აღშფოთებით შესძახა შორტიმ, – შალი ამ ყინვაში ლამის სულ გაიქუცოს! გეუბნები, ავად არის-მეთქი! ექიმმა მითხრა...

– სალის არაფერი უჭირს. ყური დამიგდე...

– გეუბნები, უჭირს-მეთქი. ეს რა გულქვაობაა. ყინვამ რომ დაჰკრას! მაინც რა ციებ-ცხელება აგიტყდა? მონტე-კრისტოს ოქროს ამგაი ხომ არ გამართლდა?

– არ ვიცი, შორტი. მე სათხოვარი მაქვს შენთან.

შორტი დამშვიდდა და მოლბა:

– გისმენთ! – წარმოსთქვა თავაზიანად, – რა ამბავია? დროზე თქვი და ჩემი თავი შენ გენაცვალოს.

– კვერცხი უნდა მიყიდო.

– რა თქმა უნდა; იქნებ ფლორიდის სურნელოვანი წყალი და პუდრიც ინებოთ? საწყალი შალი კი თუ გინდა სულ გაფცქვნილა, არა?! იცი, რას გეტყვი, სმოკ, თუ მაინცდამაინც განცხრომით ცხოვრება მოგსურვებია, შენი კვერცხი შენ თვითონ იყიდე. მე ცერცვი და ბეკონიც მეყოფა.

– ყიდვით მეც ვიყიდი, მართალია, მაგრამ მინდა, შენც დამეხმარო, ახლა გაჩუმდი, შორტი. სიტყვა ჩემზეა. პირდაპირ სლაგოვიჩთან წადი. სამ-სამი დოლარიც რომ გთხოვოს თითო კვერცხში, მიეცი, ოღონდ რაც კვერცხი აქვს, სულ შეისყიდე!

– სამ-სამიო! – გაოცდა შორტი, – არა და სწორედ გუშინ მოგკარი ყური, შვიდასი ცალი ჰქონია. ოცდაეთრი ათასი დოლარი ქათმის ნაყოფში?! იცი, რას გეტყვი? მე მგონია, შენ ახლავე ექიმთან უნდა წახვიდე, სმოკ. მზრუნველობით მოგეკიდება. და სულ ალბათ ერთ უნცია ოქროს გამოგართმევს. კარგად იყავი! მე მივდივარ.

შორტიმ წასვლა დააპირა, მაგრამ სმოკმა ფეხი არ გადაადგმევინა. მხარში ხელი სტაცა და თავისკენ შემოაბრუნა.

– სმოკ, რას არ გავაკეთებ შენთვის, – გულმხურვალედ წამოიძახა შორტიმ, – სურდო რომ შეგეყაროს, ან ორივე ხელი რომ მოიმტერიო და ლოგინად ჩავარდე, დღე და ღამეს გავასწორებ შენს სასთუმალთან, ცხვირს მოგწმენდ. მაგრამ აწ და მარადის წყეული ვიყო, გინდა შენი, გინდა ვინმე სხვა სულიერის გულისათვის.

– შენს დოლარებს ხომ არ ყრი, შორტი, ეგ ჩემი დოლარებია ერთი საქმე წამოვიწყე. უნდა შევისყიდო რაც დოუსონში, კლონდაიკში, მთელს იუკონზე კვერცხი მოიძებნება. შენ უნდა მიშველო. ახლა დრო არა მაქვს ამ საქმის არსი გაგაგებინო. მერე გეტყვი, და თუ მოინდომებ, წილშიც ჩაგიყენებ. ჯერ კი მთავარია კვერცხი ვიყიდოთ. წადი ახლა, სლაგოვიჩთან გაეშურე, და რაც აქვს, სულ გამოართვი.

– კი მაგრამ, რა ვუთხრა? მე მგონია მიხვდება, რომ ამოდენა კვერცხის შემჭმელი არა ვარ.

– ნურაფერსაც ნუ ეტყვი. ფული იტყვის, რაც სათქმელია. თვითონ მოხარშულ კვერცხს ორ-ორ დოლარად ყიდის, შენ სამ-სამი მიეცი უმში და თუ მაინცდამაინც გაუკვირდეს, უთხარი, რომ წიწილების მოშენებას აპირებ.

მოკლედ, მე კვერცხი მჭირდება. მაგას არ დასჯერდე. მიიხედ-მოიხედე, გაიგე.

ვისა აქვს კიდევ დოუსონში კვერცხი და ისიც იყიდე. გესმის? მთლიანად! სლავოვიჩის პირდაპირ რომ პატარა რესტორანია, იქაც უნდა ჰქონდეთ ცოტაოდენი. მე კი კლონდაიკ-სიტიში წავალ. ერთი ფეხმტკივანი გადატაკებული მოხუცია, იმასაც აქვს ექვსიოდე დუჟინი. მთელი ზამთარი ინახავდა, რომ უფრო ძვირად გაეყიდა: უნდოდა იმდენი აელო, რომ სიეტლში დასაბრუნებლად ჰყოფნიდა. ახლა გზის ფულს მე მივცემ და კვერცხებს გამოვართმევ. აბა, შენ იცი, იჩქარე. ამბობენ, ხე-ტყის სახერხის იქით რომ ქალი ცხოვრობს, მოკასინების მკერავი, იმასაც აქვს ოციოდეო.

– კარგი, რაკი დაგიუენია, სმოკ. მაინც ეტყობა მთავარია სლავოვიჩს გამოვცინცლოთ. ისეთ დახატულ კონტრაქტს გამოვძალავ. რკინის ბეჭედი ესვას. მანამდე კი წვრილ-წვრილად ვისაც აქვს, იმათში მოვაგროვებ.

– ძალიან კარგი, ოღონდ ჩქარა. ამდამ კი მთელ ჩემს გეგმას გაგანდობ.

შორტიმ ბოთლი დაუქნია.

– ჯერ შალი უნდა მოვარჩინო. კვერცხი ცოტა ხანს მოიცდის. თუ აქამდე ვერ შეჭამეს. ახლაც ვერ მოერევიან ერთ ხანს. მე კი ამასობაში საცოდავ ავადმყოფ ძაღლს მივხედავ; ხომ არ გავიწყდება, რამდენჯერ ვუხსნივარ სიკვდილისაგან მეცა და შენც.

III

ასე სწრაფად არასოდეს არ გაყიდულა საქონელი. სმოკმა და შორტიმ სამ დღეში ხელთ იგდეს დოუსონში არსებული კვერცხის მთელი მარაგი, რამდენიმე დუჟინის გამოკლებით. სმოკი ფასს არ დასდევდა – უხვად ფანტავდა ოქროს. ერთ კლონდაიკელ ბერიკაცს სამოცდათორმეტი კვერცხი თითო ხუთ-ხუთ დოლარად გამოართვა, და ისე ყვებოდა ამას, რომ არც კი წითლდებოდა.

შორტიმ გაცილებით მეტი კვერცხი იყიდა და კარგადაც ივაჭრა. მოკასინების მკერავ ქალს თითო კვერცხში მხოლოდ ორ-ორი დოლარი მისცა, სლავოვიჩს კი ძალიან ხელსაყრელად გაურიგდა და ძალიან ამაყობდა ამით – შვიდას თხუთმეტ კვერცხში ორ-ორ-ნახევარი დოლარი გადაუხადა თითოში. სამაგიეროდ გული მისდიოდა, რომ სლავოვიჩის პირდაპირ პატარა რესტორანში სულ რაღაც საცოდავი ას ოცდათორმეტი კვერცხი იყიდა და თითოში ორიდოლარი და სმოცდათხუთმეტი ცენტი წაჰგლიჯეს.

კიდევ რამდენიმე დუჟინი კვერცხი ჰქონდა დარჩენილი ორ ადამიანს, ერთი, რომელთანაც შორტი აწარმოებდა მოლაპარკებას, ინდიელი ქალი, საავადმყოფოს უკან, გორაკზე პატარა ქოხში ცხოვრობდა.

– დღეს მოვრჩები, – გამოუცხადა შორტიმ სმოკს მეორე დილით, – შენ ჭურჭელი დარეცხე, მე კცბად დავბრუნდები, თუ სული არ ამომხდა ოქროსთან ერთად. ყოველთვის მამაკაცთან მირჩევნია ხოლმე საქმის დაჭერა. ეს წყვეული ქალები რა უბედურებად ჩამოეკიდებიან ხოლმე მყიდველს. კიდევ არა ჯჭირს-რა, თუ მისაყიდი გაქვს რამე. არა და ამ ქათმის კვერცხს ისე უჭერენ ხელს, თითქოს ოქროს ზოდები იყოს.

სადამოს, როცა სმოკი შინ დაბრუნდა, შორტი იატაკზე იყო ჩაცუცქული და სალის კუდზე რაღაც მაღამოს უსვამდა; მაგრამ ისეთი გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა, რომ სმოკმა რაღაც ეჭვი აიღო.

– როგორ არის საქმე? – უდარდელად იკითხა შორტიმ რამდენიმე წუთის შემდეგ.

– არაფერი არ გამომივიდა, – უპასუხა სმოკმა. – შენ რა ქენი, როგორ მოურიგდი სკვოს?

შორტიმ დიდის ამბით გადახედა გვერცხით სავსე პატარა ბაღიას მაგიდაზე. ერთი წუთი მღუმარედ უსვამდა მაღამოს საღისს. მერე გამოტყდა.

– შვიდ-შვიდი წკრიალა დოღარი კი დამიჯდა.

– მე ბოლოს ათ-ათი დოღარი ვაძლიე, – თქვა სმოკმა, – მაგრამ მითხრა, უკვე გავყიდეო. ეს ვერ არის სასიამოვნო, შორტი, აშკარაა, ვიღაც შემოგვეცილა. იმ ოცდარვა კვერცხს შეუძლია უსიამოვნებას გადაგვეყაროს. ხომ იცი, მთელი ამ საქმის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რომ ყველა კვერცხი ჩვენს ხელში...

სმოკს სიტყვა გაუწყდა და ამხანაგს შეაშტერდა. შორტის უეცრად შეეცვალა სახე, – აშკარა იყო, რაღაცამ ააღელვა და დაძაბულად დააფიქრა, მაღამოს თავი დაახურა, აუჩქარებლად და გულმოდგინედ შეაწმინდა ხელები საღისს ბეწვს, წამოდგა, კუთისკენ გაემართა და თერმომეტრს შეხედა. მერე უკან დაბრუნდა და დაბალი ხმით, წყნარად და უაღრესად ზრდილობიანად წარმოთქვა:

– მოწყალება მოიღეთ და გაიმეორეთ, რამდენი კვერცხი არ მოგვიდათ იმ კაცმა?

– ოცდარვა.

– ჰმ, – თავისთვის ჩაილაპარაკა შორტიმ, თან მადლობის ნიშნად ოდნავ დაუკრა თავი სმოკს. შემდეგ დკმელს შეავლო ფიქრით დანისღული თვალი.

– სმოკ, ახალი ღუმელის დადგმა დაგვეჭირდება. თორემ საცეცხლე სულ მთლად გამომწვარი აქვს და ნამცხარს ანახშირებს.

– მაგ ღუმელს თავი დაანებე და მითხარი, რა მოხდა? – გაჯავრდა სმოკი.

– სიამოვნებით, კეთილი ინებე და ეგ შენი ლამაზი თვალები იმ ბაღიას მიაპყარი მაგიდაზე. ხედავ?

სმოკმა თავი დაუქნია.

– ჰოდა, მე მარტო ის მინდოდა მეთქვა, რომ მაგ ბაღიაში ზუსტად ოცდარვა კვერცხია, არც მეტი, არც ნაკლები; და თითოეული, ეშმაკსაც წაუღია სულ ყველა, შვიდ-შვიდი დიდი, მრგვალი დოღარი ღირს. თუ მაინცდამაინც გინდა შემდგომი ცნობები შეიტყო, სიამოვნებით და ხალისით მოგახსენებ.

– თქვი, თქვი! – ვეღარ ითმენდა სმოკი.

– ეს მითხარი, ის კაცი ვისგანაც კვერცხი უნდა გეყიდა, მაღალი ბებერი ინდიელია, ხომ?

სმოკმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია და მერე ყველა კითხვაზე თავს უქნევდა.

– ცალ ლოყაზე ნაიარევი აქვს, არა? გრიზლის დაუგლეჯია ოდესღაც. ძაღლებით ვაჭრობს და სახელად დაჩეხილი ჯიმი ჰქვია. ხომ მართლა, ჰა? მიხვდი, რასაც ვგულისხმობ?..

– შენ ფიქრობ, რომ მე და შენ...

– ჰო, ერთმანეთს ვეცილებოდით. ნაღდი ამბავია. ის მაგ ჯიმის ცოლია; საავადმყოფოს უკან, გორაკზე ცხოვრობენ. ორ-ორ დოღარად მომცემდნენ ცალს, შენ რომ არ ჩაჩხერილიყავი.

– მეც, შენ რომ არა. ჯანდაბას შენი თავი და ტანი, – გაეცინა სმოკს, – მაგრამ ეგ არაფერი; მთავარია, რომ მთელი კვერცხი ჩვენს ხელთაა. ეს არის, რაც არის.

შემდეგ შორტი მთელი საათი სამი წლის წინანდელი გაზეთის ამიაზე ჯახირობდა ფანქრის ნარჩენით და რაც უფრო იზრდებოდა მისი ნაჯღაბნი იეროგლიფების მწკრივი, მით უკეთეს ხასიათზე დგებოდა თვითონ.

– ესეც ასე! – თქვა ბოლოს, – როგორ მოგწონს? მე ვუფიქრობ, უნდა მოგეწონოს. ნახე, რა ვიანგარიშე! მე და შენ ზუსტად ცხრაას სამოცდაცამეტი კვერცხი გვაქვს. დაკარგული დრო რომ არ ვიანგარიშოთ და თითო უნცია ოქროს ქვიშა თექვსმეტ დოღარად ჩავთვალოთ, ეს კვერცხები ზუსტად ორი ათას შვიდას სამოცი დოღარი გაგვიჯდა. ახლა ყური დამიგდე. შმაგს რომ თითო

კვერცხში ათ-ათი დოლარი წაგვლიჯოთ, სუფთა მოგება ზუსტად ექვსი ათას ცხრასს სამოცდაათი დაგვრჩება. ვისაც კი ოდესმე მარხილში ძაღლები შეუბამს, ის მიხვდება, რა ფასი აქვს ამ მოგებას! აი სარფა ამას ჰქვია! და ნახევარი ჩემია! აგერ აქ ჩაწერე, სმოკ, ისეთი მადლობელი ვარ შენი, რომ სიტყვა არ მყოფნის! ვის გაუჩარხავს ასეთი საქმე! დღეიდან ცხენების მაგივრად წიწილებზე დავდებ სანაძღვოს.

IV

იმ დამეს, თერთმეტ საათზე, სმოკს უკვე მაგრად ეძინა, რომ შორტიმ გაიღვიძა, ყინულივით ცივი ხელი დაადო ლოყაზე და ქურქით მწვავე სუსხის სუნთქვა შემოისოლია.

– რა დაგემართა? – წაიბურტყუნა სმოკმა, – ალბათ საღის შერჩენილი ბალანიც დასცვივდა, არა?

– არა, აამიანო, კარგი ამბავი მოგიტანე. სლავოვიჩი ვნახე, უფრო სწორად, სლავოვიჩმა მნახა, იმიტომ რომ თვითონ პირველმა დაიწყო ლაპარაკი, და ასე მითხრა:

– მე მინდა იმ კვერცხზე მოგელაპარაკო, შორტი. მე კრინტი არსად დამიძრავს. არაფერ იცის, რომ შენ მოგიყიდე. მაგრამ თუ სარფიანად აპირებ გასაღებას, ერთი განძი შემიძლია მიგასწავლოთ. და მიმასწავლა კიდევ. აბა, თუ მიხვდები, სმოკ, რა არის ეს განძი?

– თქვი, თქვი, კარგი.

– იქნებ დაუჯერებელი გეჩვენოს, მაგრამ ეს განძი ჩარლი შმაგია. კვერცხების ყიდვას აპირებს თურმე. სლავოვიჩთან მისულა, ცალში ხუთი დოლარი შეუძღლეია, მერე ვიდრე პასუხს მიიღებდა, რვაზე ასულა. მაგრამ სლავოვიჩს უთქვამს, აღარც ერთი კვერცხი აღარა მაქვსო, შმაგი გაჯავრებულა, ერთი გავიგო, რომ კვერცხი სადმე გადამაღლე, თავს გაგიხეთქავო. და სლავოვიჩი იძულებული გამხდარა ეთქვა, რომ მთელი კვერცხი გაყიდა, მაგრამ ვის მიყიდაქ საიდუმლოდ უნდა შეინახოს.

ახლა სლავოვიჩმა მითხრა, ნება მომეცი შმაგს ვუთხრა, რომ შენ იყიდე კვერცხებით.

– შორტი, შმაგი სირბილით მოვა შენთან. შეგიძლია თითოში რვა დოლარი დააძრო.

– მაგისმა მზემ, რვა დოლარი! თუ მოვთხოვე, ათსაც კარგად მომცემს-მეთქი, – ვუპასუხე, მერე უი ვუთხარი, მოვიფიქრებ და პასუხს ხვალ დილით გაგცმ-თქო. მე მგონია, გააგებინოს წმაგს, ვინც შეისყიდა, არა? რას იტყვი?

– რა თქმა უნდა, შორტი. დილით ადრევე სლავოვიჩს მიაშურე და მიახვედრე, უთხრას შმაგს, რომ ამ საქმეში მე და შენკომპანიონები ვართ.

ხუთიოდე წუთის შემდეგ შორტიმ ისევ გააღვიძა სმოკი.

– სმოკ! გესმის? სმოკ!

– ჰო.

– ცალში ათი დოლარი! ერთი ცენტით ნაკლები, გესმის?

– რა თქმა უნდა, უსათუოდ! – ძილბურანში წაიბურტყუნა სმოკმა.

* * *

დილით ალიასკის სავაჭრო კომპანიის მაღაზიაში საგაღანტერო დახლთან სმოკი ისევ შეხვდა ლუსილ ეროლს.

– საქმე განარხულია! – აცნობა სიხარულით, – საქმე განარხულია. შმაგი სლავოვიჩთან მისულა, დიდი ფული უძღვებო კვერცხში, დაუშინებო კიდევ. სლავოვიჩს ახლა ალბათ უკვე ნათქვამი ექნება, რომ კვერცხები მე და წლრტიმ შევისყიდეთ.

ლუსილ ეროლს სიხარულით თვალები აუციმციმდა.

– ახლავე მივდივარ სასაუზმოდ, – წამოიძახა მან, – კვერცხს მოვითხოვ და რომ არ აღმოჩნდება, ისეთ საცოდავ სახეს მივიღებ, ქვა გული რომ ჰქონდეს ადამიანს, მოლბება. შმაგი, რა თქმა უნდა, მიაღება სლავოვიჩს და ეცდება მთელი პარტია შეისყიდოს, თუნდაც ეს თავის ერთ რომელიმე საბადოდ დაუჯდეს. კარვად ვიცნობ, როგორია, მაგრამ არამც და არამც არ დაუთმობ. ათ დოლარზე ნაკლებ არ მიჰყიდობ, სმოკ, თორემ არასოდეს გაპატიებთ.

შუადღისას სმოკი და შორტი თავის ქოხში იყვნენ. შორტი სუფრის გაშლას შეუდგა. მაგიდაზე დადგა ერთი კარდალა ცერცვი და პატარა ქვაბი ყავა, ტაფით კვერები მოიტანა, თუნუქის ქილებით ერთბო და შესქელებული რძე. ხის ლანგარზე დააწყო ირმის ხორცი და ბეკონი, ატმის ჩირის კომპოტი თეფშზე დაასხა და სმოკს დაუძახა:

– სადილი მზად არის. მაგრამ ჯერ სალის გახედე, როგორ არის.

სმოკი მარხილის აკაზმულობას ჩაჰკირკიტებდა: მან კარი გააღო და დაინახა, რომ შალი და მარდი მეზობელ ეზოდან საკბილოს საძებნელად შემოსულ ძაღლებს ერეკებოდნენ, მაგრამ დაინახა კიდევ სხვა რაღაც, რამაც აიძულა საჩქაროდ მიეჯახებინა კარი და ღუმელთან მივარდნილიყო. ტაფა, რომელზეც ორმის ხორცი და ბეკონი იხრაკებოდა, ჯერ არ გაცივებულყო. შმოკმა სწრაფად დადმოდგა ის წინა სადგარზე, ზედ კარვა მოზრდილი ნაჭერი ერბო დაღო, ხელი დასტაცა ევერცხს, გატეხა და აშიშხინებულ ტაფაზე დაახალა, მაგრამ როცა მეორე კვერცხს წაეტანა, შორტი ეცა და აღელვებულმა ხელი დაუჭირა.

– ეე, რას აკეთებ? – შესძახა გაჯავრებულმა.

– ერბო-კვერცხს, – უთხრა სმოკმა, შორტის ხელი მოიშორა და ახლა მეორე კვერცხი გატეხა, – შენ რა, თვალები გებლანდება? გეგონა, რომ თმას ვივარცხნიდი?

– ცუდად ხომ არა ხარ? – შემფოთებით ჰკითხა შორტიმ, როცა სმოკმა ტაფაზე მესამე კვერცხი დაახალა და მუჯღუგუნით მოიშორა იგი, – ან იქნებ გაგიჟდი? ქ ხომ უკვე რცდაათი დოლარის კვერცხია!

– ახლავე სამოცისა გახდება, – უპასუხა სმოკმა და მეოთხე კვერცხი გატეხა, – მომშორდი შორტი. შმაგი ამოდის გორაკზე. ხუთ წუთში ჩვენთან იქნება.

როგორც კი მიხვდა, რა ხდებოდა, შორტიმ შვებით ამოისუნთქა და მაგიდას მიუჯდა. Xოლო როცა კარზე დააკაკუნეს სმოკი უკვე მის პირდაპირ იჯდა მაგიდასთან და ორთავეს წინ ედგა ცხელ-ცხელი, სამ-სამი კვერცხის ერბო-კვერცხი.

– მობრძანდით! – გაეხმინა სმოკი მომსვლელს.

ოთახში შემოვიდა ჩარლი შმაგი, ახალგაზრდა დაძარღვული დეგ-კაცი. ექვსი ფუტი სიმაღლე ექნებოდა და ასოთხმოცდაათი გირვანქა წონა. შემოვიდა და ორივეს ხელი ჩამოართვა.

– დაბრძანდით, საუზმეზე დაგვეწვიე, – შეეპატიუა შორტი, – სმოკ, აბა, ხელდახელ ერბო-კვერცხი მოუწვი. სანაძლეოს დავდებ, რომ ადამის დღიდან კვერცხი არ გაუსინჯავს.

სმოკმა კიდევ სამი კვერცხი დაახალა ცხელ ტაფაზე და რამდენიმე წუთში სტუმარს ერბო-კვერცხი მიართვა. იგი ისე გაოცებული და დაძაბული დააშტერდა ერბო-კვერცხს, რომ შორტი მერე ამბობდა, შემეშინდა, ჯიბეში არ ჩაიდოს და არ მოკურცხლოსო.

– მე მეგონა, შტატებში ყველაზე მდიდარი ბობოლებიც ვერ ჭამენ ჩვენსაგით, – სიხაურულით ფეხზე აღარ იდგა შორტი.

– აგერ ახლა ჩვენ, მე, თქვენ და სმოკი ოთხმოცდუათი დოლარის კვერცხს ისე შევექცევით, თვალს არ ვახამხამებთ.

შმაგი გაოგნებული უყურებდა, რა სწრაფად ქრებოდა ერბო-კვერცხი.

– მიირთვი, მიირთვი, ნუ გერიდება, – გაამხნევა სმოკმა.

– არა... ათ-ათი დოლარი არა ღირს კვერცხი! – წამოლერდა შმაგმა. შორტიმ მიიღო გამოწვევა.

– ყოველი ნივთი იმდენი ღირს, რამდენიც შეიძლება აიღო მასში, ასე არ არის? – ჰკითხა შმაგს.

– კი მაგრამ...

– რა მაგრამ, რის მაგრამ? მე ვამბობ იმდენი ღირს, რამდენიც შეგვიძლია მათში ავიღოთ-მეთქი. ზუსტად ათ-ათ დოლარს მოგვცემენ ცალში.

მხედველობაში იქონიე, მე და სმოკი კვერცხის ტრესტი ვართ. რაკი ვამბობთ,

რომ ცალში ათ დოლარს მოგვცემენ, მოგვცემენ კიდევ, – შორტიმ

გულმოდგინედ მოასუფთავა თეფში კვერით და ამოიხვნეშა, – ერთ-ორ კვერცხს კიდევ შევჭამდი, – და ახლა ცერცვი გადაიჯო თეფშზე.

– როგორ შეიძლება კვერცხის ასე ჭამა, – საყვედურის თქვა შმაგმა, – არა... ასე არ შეიძლება!

– ვგიჟდებით, ისე გვიყვარს კვერცხი, – მოიბოდიშა შორტიმ.

შმაგმა უგულოდ მოათავა თავისი ერბო-კვერცხი და გაუბედავად შეხედა ორ მეგობარს.

– იცით, ბიჭებო, თქვენ შეგიძლიათ დიდი სამსახური გამიწიოთ, – ნიადაგი მოსინჯა მან, – იქნებ მომყიდოთ, ან მესესხოთ, ან სულაც მაჩუქოთ

თორმეტიოდე კვერცხი.

– სიამოვნებით, – უპასუხა სმოკმა, – მეც გამომიცდია, რომ გორ იცის ზოგჯერ კვერცხმა მონატრება. მაგრამ არც ისე დატაკები ვართ, რომ ჩვენი მასპინძლობა გავყიდოთ. ფულს როგორ გამოგართმევთ.

ამ დროს მაგიდის ქვეშ შორტიმ მაგრად მოარტყა ფეხი; ეტყობოდა ნერვები დაღატობდა.

– რამდენი გინდა, როგორა თქვი? თორმეტი, არა?

შმაგმა თავი დაუქნია.

– შორტი, შეუწვი, – განაგრძობდა სმოკი, – ძალიან კარგად მესმის შენი. იყო დრო, როცა მეც შემეძლო თვალის დახამხამებაში გადამესანსლა მთელი დუჟინი.

შორტი სასწრაფოდ წამოხტა, მაგრამ შმაგმა ხელით გააჩერა.

– მე შემწვარი არ მითქვამს. მე უმი კვერცხები მინდა, თავის ნატუჭიანად.

– თან უნდა წაიღო?

– დიახ, თან.

– ეს რაღა გამასპინძლებათ! – უკმაყოფილოდ თქვა, შორტიმ, – ეგ უკვე ალებ-მიღემობა გამოდის.

სმოკმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ეგ სულ სხვა საქმეა, ძმაო. მე მეგონა, შეჭმა გინდოდა. საქმე ისაა, რომ ჩვენ ეგ კვერცხები ერთი მოსაგები საქმისათვის გვჭირდება.

მრისხანე ლურჯი თვალები შმაგს კიდევ უფრო მრისხანედ აუელვარდა.

– ფასს გადავიხდი, – თქვა მკვახედ, – რა მოგცეთ?

– ო, დუჟინი არც აცსენლ, – მიუგო სმოკმა, – დუჟინს ვერ გავყიდით.

ცალობით ვაჭრობა რა სათქმელია, როცა დიდი სარფიანი საქმე გვაქვს

განზრახული. თვითონვე ხომ არ გავიმრუდებთ საქმეს. ჩვენ ერთიანად

შვეისყიდეთ მთელი კვერცხი, და თუ გავყიდით ან მთლიანად გავყიდით ან არც ერთს.

– რამდენი კვერცხი გაქვთ და რამდენად გინდათ გაყიდოთ?

– რამდენია შორტი? – იკითხა სმოკმა.

შორტიმ ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და ხმამაღლა ზეპირი ანგარიში დაიწყო.

– დამაცადე, ცხრაას სამოცდაცამეტს გამოვაკლოთ ცხრა, დარჩება ცხრაას სამოცდაათი, თითოში ათი დოლარი! სულ იქნება ზუსტად ცხრა ათას ექვსას ოცი სრულფასოვანი დოლარი. ეს იცოდე ოღონდ, რომ პატიოსნად მიგყავს საქმე. ლაყე კვერცხში ფულს უკან ვაბრუნებთ, თუმცა ლაყე აქ არც ერთი არა ქვაქვს. ერთადერთი რამ, რაც კლონდაიკზე არასოდეს არ მინახავს, ლაყე კვერცხია. რეგვინი უნდა იყოს ადამიანი, რომ აქ ლაყე კვერცხი ჩამოიტანოს.

– სწორია, – დასძინა სმოკმა, – ლაყე კვერცხში ფულს უკან დავაბრუნებთ. ასე რომ ჩვენი წინადადებაა – ცხრა ათას ექვსას ოცი დოლარი, და უკლებლივ ყველა კვერცხი კლონდაიკზე შენი იქნება.

– მერე შეგიძლია ცალი ოც-ოც დოლარად გაყიდო და ორმაგი ფასი ამოიღო, – ურჩია შორტიმ.

შმაგმა ნაღვლიანად გააქნია თავი და ცერვი გადაიღო.

– მეტისმეტად ძვირი დამიჯდება, შორტი! მე ხომ სულ ცოტა მინდა. ერთ-ორ დუეინს გამოგართმევდით ათ-ათ დოლარად; ბოლოს და ბოლოს ოცსაც მოგცემდით, მაგრამ მთლიანად ვერ ავიღებ.

– ან მთლიანად ან არც ერთი, – გზა მოუჭრა სოკმა.

– ფური დამიგდეთ ორივემ და ყველაფერს გულახდილად გეტყვით, – გულის გადახსნის სურვილი მოერია შმაგს, – ოღონდ რასაც გეტყვით, წინ ნუ დამხვდება. თქვენ ხომ იცით, რომ მის ეროლი ჩემი დანიშუნლი იყო. ახლა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ჩემთან და დამემდურა. ესეც იცით, რა თქმა უნდა. ყველამ იცის, ჰოდა, ეს კვერცხი მისთვის მინდა.

– ეე! – გაბოროტებით თქვა შორტიმ, – ახლა სრულიად აშკარა და ნათელია, რისთვის გინდოდა მაინცდამაინც თავის ნაჭუჭიანად! არაფრით არ მოველოდი შენგან ამას.

– რას არ მოველოდი?

– ასეთი მდაბალი აზრები თუ გექნებოდა. – შორტი კეთილშობილურმა აღშფოთებამ შეიპყრო, – არ გამიკვირდებოდა, რომ ვინმემ ცხელი ტყვია მოგაჭედოს; ღირსი იქნები.

შმაგი აენტო. ცოტადა დააკლდა, თავისებური წრეგადასული რისხვა არ დაატეხა თავს მასპინძლებს, ხელები ისეთი ძალით მომუშტა, ცალ ხელში რომ უბრალო ჩანგალი ეჭირა, გაღუნა. მისი ღურჯი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ.

– მოიცა, შენ რა გგონია? იქნება ფიქრობ, რომ რომ რაღაც ცუდი მიღვეს გულში და ვმალაგ...

– რასაც ვფიქრობ, ის მე ვიცი, – ჯიუტად მიუგო შორტიმ, – და შენს სულზედ უტკბეს სიცოცხლეს ვფიცავ, ფარული განზრახვა არაფერში არ მეჩვენება. თუმცა მაგის დამალვა ან სადა თქმულა. მალულად ხომ ვერ ესვრი.

– რას ვესვრი?

– კვერცხს, ქლიავს, ბურთულებს, რა ვიცი, რას არა. მაგრამ, იცოდე, გემლება, ჯერ თეატრში ისეთი საზოგადოება არა მჯდარა, რომ ეგ მოითმინოს. აქაო და მსახიობიაო, შენ გგონია უფლება გაქვს საჯაროდ კვერცხები დაუშინო?

ერთ წუთს კაცი იფიქრებდა, წმავს აგერ-აგერ დამბლა დაეცემო. მან საჩქაროდ მოსვა მღუღარე ყავა, პირი ჩაითუთქა და ნელ-ნელა გონს მოეგო.

– ცდები, შორტი, – თქვა ცივად და აუნქარებლად, – ეგ არცმიფიქრია, – მერე გაცხარებით წამოიძახა, – გაიგონე, ადამიანო! მინდა კვერცხი მივართვა, თოხლო კვერცხი მინდა მივართვა თეფით, ძალიან უსვარს.

– ვიცოდით, რომ ვცდებოდი, – დიდსულოვნად წარმოთქვა შორტიმ, – ვიცოდით, რომ ასეთ სისაძაგლეს შენ არ ჩაიდენდი!

– ძალიან კარგი, შორტი, – აპატია შმაგმა, – მაგრამ მოდი საქმეზე გადავიდეთ. ახლა უკვე იცით, რისთვისაც მჭირდება ეგ კვერცხები, ძალიან მჭირდება.

– ისე ძალიან, რომ ცხრა ათას ექვსას ოცი გიღირს? – ჰკითხა შორტიმ.

– ეგ ნამდვილად ძარცვაა და მეტი არაფერი, – თქვა გულმოსულმა შმაგმა.

– რატომ? გარიგებაა! – მოუჭრა სმოკმა. – როგორ გგონია, იმისთვის ხომ არ შევისყიდეთ კვერცხი, რომ ჯანი გაგვემაგრებინა.

– გამიგონეთ, ადამიანებო! – შეევედრა შმაგი, – ორად-ორი დუჟინი მჭირდება. ცალში ოც-ოც დოლარს მოგცემთ. დანარჩენები აბა, რა ჭირად მინდა? წლების განმავლობაში აქ მე კვერცხი არ მიჭამია და მერეც როგორმე გააძლევ უკვერცხოდ.

– ნუ ცხარობ, – ურჩია შორტიმ. – თუ არ გინდა, კარგად იყავი, ხომ არ გააძლევთ.

– როგორ არ მინდა! მინდა! – საცოდავად ამოიგმინა შმაგმა.

– აბა, ფასი უკვე იცი! ცხრა ათას ექვსას ოცი დოლარი დაგიჯდება. იქნება ანგარიშში შევცდი, მაშინ თავიდან დავითვალთ.

– კარგი და რომ არაფერი გამოვიდეს, – შეშინდა უცებ შმაგი, – იქნებ ამასობაში მის ეროლს კვერცხის გემოც შესჯავრდა.

– მე რომ მკითხო, მის ეროლი ღირს მაგ კვერცხის ფასად, – მშვიდად ჩაურთო სმოკმა.

– ღირსო! – შმაგი აღეზნებული წამოვარდა და თავის მჭევრმეტყველებას პირი მოხსნა. – მილიონად კი არა ღირს? მთელ ჩემს ქონებად ღირს, კლონდაიკის მთელ ოქროდ! – მერე დაჯდა და ჯრო მშვიდად განაგრძო, – მაგრამ ამიტომ მის საუზმეზე ათი ათასი დოლარი ხომ არ ჯნდა გავანიავო. აი რას გეტყვით, ორი დუჟინა კვერცხი მასესხეთ, რომ სლაგოვისს მივცე, ის კი ჩემი სახელით ლუისლს მიართმევს. მთელი საუკუნეა არ გაუღიბია ჩემთვის. და თუ მაგ კვერცხმა მისი ღიმილი მაღირსა, მთლიანად შევისყიდი, რაც კი გაქვთ.

– მაგ შინაარსის კონტრაქტს ხელს არ მოაწერ? – მაშინვე ჰკითხა სმოკმა, რადავან წინასწარ იცოდა, რომ ლუილ ეროლი გაიღიმებდა.

შმაგი სახტად დარჩა.

– ჩქარა-ჩქარა კი აჭახრაკებთ ამ საქმეებს, – ჩაილაპარაკა გავულისებით.

– ჩვენ მხოლოდ შენს წინადადებას ვიღებთ, – მიუგო სმოკმა.

– კარგი! მოიტა ქაღალდი და ხელშეკრულება შეადგინე, ჩქარა! – გაავდა შმაგი, რაკი გასაქანი არსაით მისცეს.

სმოკმა დაუყოვნებლივ შეადგინა საბუთი, რომლის მიხედვითაც შმაგი კისრულობდა მისთვის შეთავაზებულ თვითეულ კვერცხში ათ-ათი დოლარი გადაეხადა, იმ პირობით თუ მისთვის წინასწარ მიცემული ორი დუჟინი კვერცხი შეუწყდებოდა მას შერიგებოდა ლუისლ ეროლს.

შმაგს ის იყო ხელი უნდა მოეწერა საბუთისათვის, რომ შეჩერდა.

– დაიცა, – თქვა მან, – თუ ვყიდულობ, კარგი კვერცხი უნდა ვიყიდო.

– კლონდაიკზე ძველი კვერცხი არც არის, – ჩაიფრუტუნა შორტიმ.

– ასეა თუ ისე, რამდენი ლაყე კვერცხიც შემხვდება, იმდენ ათ დოლარს უკან დაიბრუნებთ.

– სწორია, – დაეთანხმა სმოკი, – სწორია და სამართლიანი.

– რამდენ ლაყე კვერცხსაც დაგვიბრუნებ, მე შეეჭამ, – განაცხადა შორტიმ.

სმოკმა ხელშეკრულებაში სიტყვა „ახალი“ ჩაუმატა, შმაგმა პირქუშად მოაწერა ხელი საბუთს. საცდელი კვერცხებით სავსე პატარა ბადია აიღო, ხელჯაგები გაიკეთა და კარგი გააღო.

– ნახვამდის, ყაჩაღებო! – ჩაიბურტყუნა და კარი გაიჯახუნა.

V

მეორე დილით სმოკი სლავოვიჩთან ასეთ სურათს შეესწრო:

სმოკი შმაგმა თავის სუფრასთან მიიწვია, ლუსილ ეროლის მაგიდის მეზობლად. ყველაფერი თითქმის ზედმიწევნით ისე მოხდა, როგორც ლუსილი წინასწარმეტყველებდა.

– კვერცხი კიდევ ვერსად იშოვეთ? – საწყლად ჰკითხა ქალმა ოფიციანტს.

– ვერა, მემ, – იყო პასუხი, – ამბობენ, დოუსონში მთელი კვერცხი ვიდაცას შეუსყიდია. მისტერ სლავოვიჩს უნდა საგანგებოდ თქვენთვის შეიძინოს ცოტაოდენი; მაგრამ თურმე ვინც შეისყიდა, ის ხელიდან არ უშვებს პარტიას.

აი სწორედ ამ დროს შმაგმა თავისთან უხმო სლავოვიჩს, ცალი ხელი მხარში ჩააგლო, მიიზიდა და ხრინწიანი ხმით ჩასჩურჩულა:

– ყური დამიგდე, სლავოვიჩ, გუშინ საღამოს ორი დუჟინი კვერცხი მოგიტანე, სადა გაქვს?

– საკუჭნაოში. მხოლოდ ექვსი ცალი გავალხვე და გამზადებული მაქვს თქვენთვის, რომ როგორც კი მომთხოვთ, მოგართვათ.

– ჩემთვის არ მინდა, – უფრო ხმადაბლა ჩასჩურჩულა შმაგმა, – თოხლოდ მიართვი მის ეროლს.

– ახლავე, თვითონ მივხედავ! – დაჰპირდა სლავოვიჩი.

– არ დაგავიწყდეს, ჩემი საღამოც გადაეცი, – დაძინა შმაგმა და როგორც იქნა ხელი უშვა სლავოვიჩს.

მშვენიერი ლუსილ ეროლი უზომოდ ნაღვლიანად და უხასიათოდ დასცქეროდა თეფგს, რომელზეც მისი საუზმე – ბეკონის ნაჭრები და დაკონსერვებული კარტოფილის პიურე იდო, რომ სლავოვიჩმა ორი თოხლო კვერცხი დაუდო წინ.

– მისტერ შმაგი საღამს ვითვლით მის, – მეზობელ სუფრაზე გაიგონეს მისი ნათქვამი.

სმოკი ლუსილ ეროლს უყურებდა და ფიქრობდა, როლი რა მშვენიერად გაითამაშაო, ქალს ერთბაშად სიხარულით გაუბრწყინდა სახე, თითქოს უნებურად თავი მოაბრუნა და სახეზე ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით შეიკავა თავი, შემობრუნდა და რაღაც უთხრა რესტორნის პატრონს.

სმოკს მაგიდის ქვეშ შმაგმა გაჰკრა ფეხი.

– შეჭამს თუ არა? მთავარია შეჭამს თუ არა?! – შემფოთებით ჩურჩულებდა იგი და თვალს მეზობელ მაგიდისკენ აპარებდა. ლუსილი ყოყმანობდა, კინაღამ გასწია კიდევ თეფში, მაგრამ ცთუნებამ სძლია.

– მთლიანად ვყიდულობ კვერცხს, – უთხრა შმაგმა სმოკს, – ხელწეკრულება ძალაში რჩება. დაინახე? არა, თუ დაინახე? კინაღამ გაიღიმა. მე ხომ ვიცნობ. ახლა ყველაფერი რიგზეა. კიდევ ორიოდ კვერცხი ხვალ და მაპატიებს, შემირიდება. ახლა აქ რომ არ იყოს, ხელს ჩამოგართმევდი, ისეთი მადლობელი ვარ შენი, სმოკ. შენ ყაჩაღი კი არა, ჩემი კეთილისმყოფელი ხარ!

VI

სმოკი მხიარულად აუყვა აღმართს, მაგრამ შინ დაბრუნებულს შორტი დაუხვდა დანადგლიანებული. იგი იჯდა და ქაღალდს შლიდა: სმოკმა კი

მშენივრად იცოდა, თუ შორტი ქაღალდს მიუჯდა, ეს იმას ნიშნავს, რომ წუთისოფელი უკუდმა დატრიალდა:

– თავი დამანებე, ხმა არ გამცე, “ მკვახედ შეაგება შორტიმ სმოკს.

მაგრამ მალე მოლბა და ალაპარაკდა.

– ჩვენი საქმე წასულია, – დაიწყო გამწარებით, – ყველაფერი ჩაიფუშა.

ხვალიდან ყველა ბარში თითო დოლარად იქნება კვერცხიანი კოკტეილი, არც ერთი მშიერ-ტიტველი ობოლ-ოხერი ბავშვი არ დარჩება დოუსონში, რომ ვერ შეძლოს კვერცხით მუცლის ამოყორვა. რომ იცოდე, ვის წავაწყდი! ვიდაც ოხერს სამი ათასი კვერცხი ჩამოუტანია მორმოცე მილიდან. სამი ათასი, გესმის?

– მოჩმახულია, – დაეჭვდა სმოკი.

– ჯანდაბა და დოზანაა მოჩმახულ. ი. მე თვითონ ვნახე. გოტორო ჰბვია, ერთი ზორბა ცისფერთვალეა ბიჭია, კანადელი ფრანგი. ჯერ შენ გიკითხა, მერე ზორბა ცისფერთვალეა ბიჭია, კანადელი ფრანგი. ჯერ შენ გიკითხა, მერე განზე გამიხმო და პირდაპირ გულში მკრა ტყვია. ყური მოუკრავს, რომ კვერცხი შევისყიდეთ და ამან ჩააგლო გულისხმაში. სცოდნია, მეორმოცე მილზე სამი ათასი კვერცხი, წასულა და ჩამოუტანია.

– მაჩვენე-მეთქი, – ვუთხარი და იმანაც მაჩვენა.

იქვე ნაპირზე მეორმოცე მილიდან ახლად ჩამოსული მისი ძაღლები და ძაღლების მარეკი ორი ინდიელი ისვენებდნენ, მარხილზე საპნის ჩასაწყობი პატარა ხის ყუთები ელაგა. ერთი ყუთი იქვე მდინარეზე, ყინულის ხორგებშუა გადმოვიდეთ და გავხსენით. გავხსენით და რა ვნახე! პირამდე სავსე იყო ნახერხში ჩაწყობილი კვერცხებით. წასულია მე და შენი საქმე, სმოკ. ჩავფლავდით თან რა უტიფრად გამომიცხადა, მთელ კვერცხს დაგითმობთ, თუ თითოში ათ დოლარს მომცემთ. როცა მოვდიოდი, იცი, რას აკეთებდა? აბრას ამზადებდა გამოსაკრავად, რომ კვერცხი აქვს გასაყიდი. მითხრა, არჩევანის უფლებას თქვენ გაძლევთ; თუ არა და ბაზრობაზე, გამოყრის და ყველაფერს წყალში ჩაგვიყრის. მე ბიზნესს არასოდეს მივდიოდი, მაგრამ რაკი ასეთი შემთხვევა მომეცა, ხელიდან არ გავუშვებო, ამ ბედნიერ შემთხვევად მე და შენ გვთვლის, გაიგე?

– ეგ არაფერი, – გული გაუკეთა სმოკმა, – თავგზა არ დაგვებნეს ოღონდ.

პატარა ხანს მაცალე, რაღაც უნდა მოვიფიქროთ. მთავარია, სწრაფად და აწყობილად ვიმოქმედოთ. მე შმაგს შევეუთანხმდები, რომ ორი საათისათვის მოვიდეს და რაც იყიდა, წაიღო. შენ კი გოტეროსთან წადი და ის სამი ათასი კვერცხი იყიდე, ოღონდ რაც შეიძლება ეძაჭრე. ათ-ათ დოლარადაც რომ წამოიღო, შმაგს მაინც ამავე ფასად მივყიდით, და თუ ჯფრო იაფად გაურიგდი, ხომ სულ კარგი, მოგებაც გვექნება. აბა, ახლა წადი და კვერცხი აქ მოიტანე, მაგრამ ორ საათს არამც და არამც არ გადააცილო. პოლკოვნიკ ბოდის ძაღლები სთხოვე და ჩვენი შებმაც თან წაიყვანე, რომ ზუსტად ორზე აქ გაჩნდე.

და სმოკი ბორცვიდან დაეშვა.

– სმოკ! – მიაძახა შორტიმ, – ქოლგა წაგელო თან! არ გაგიკვირდეს, რომ შენს დაბრუნებამდე კვერცხის წვიმამ წამოუშინოს!

სმოკმა „მ. და მ.“ ბარში მიავნო შმაგს. გაიმართა ნახევარსაათიანი ცხარე ლაპარაკი.

– მხედველობაში იქონიე, რომ კიდევ ვიყიდოთ კვერცხი, – უთხრა სმოკმა, როცა შმაგი დათანხმდა ორ საათზე მოსულიყო მათთან და კვერცხის საფასური გადაეხადა.

– კვერცხზე ბედი გწყალობთ, ვაი ჩემი ბრალი, თორემ... კიდევ რამდენი ცალი იყიდეთ და რამდენი ქვიშა უნდა მოვიტანო? – დაინტერესდა შმაგი.

სმოკმა უბის წიგნაკში ჩაიხედა.

– შორტიმ გამოიანგარიშა, რომ ახლა სამი ათას ცხრაას სამოცდაორი კვერცხი გვაქვს. ათზე რომ გადავამრავლოთ...

– ორმოცი ათასი დოლარი! – აღრიალდა შმაგი, – თითქოს ცხრაასზე ცოტა მეტი გვაქვსო?! ამას გამოძალვა ჰქვია! არ ავიღებ.

სმოკმა ხელშეკრულება ამოიღო ჯიბიდან და უჩვენა შმაგს პუნქტი მთელი პარტია კვერცხის შესყიდვის შესახებ.

– აქ ნათქვამი არ არის, სახელდობრ რამდენი კვერცხი უნდა მოგცეთ. შენ ვალდებულია იკისრე ათ-ათი დოლარი გადაიხადო ჩვენგან მიღებულ ყოველ კვერცხში. ახლა მეტი კვერცხი ვიშოვეთ, მართალია, მაგრამ ხელშეკრულება – ხელშეკრულებაა; ხელმოწერილი რომ არ იყოს, კიდევ ჰო! სიმართლე გითხრა, ამ ახალი პარტიის შესახებ მანამდე არაფერი ვიცოდით, მერე შევიტყვეთ და იძულებული გაგხდით შეგვესყიდა, რომ საქმე არ ჩაგვეშლოდა.

ხუთი მძიმე, სულიშემსუთავი წუთის მანძილზე მდუმარედ ებრძოდა თავს შმაგი, მერე უხალსოდ ამოღერდა:

– ცუდ დღეში ჩავვარდი. მე მგონია კვერცხებმა ფესვი გაიდგეს და მოედვნენ ქვეყანას. რაც შეიძლება ჩქარა უნდა დავაბოლოო ეს საქმე, თორემ შეიძლება კვერცხის ზვავი დამატყდეს თავს. ორ საათზე თქვენთან ვიქნები.

წარმოვიდგენიათ! ორმოცი ათასი დოლარი!

– სულ ოცდაცხრამეტი ათას ექსასი იყო, – შეუსწორა სმოკმა.

– ორასი გირძანქა ოქროს ქვიშა! – მიკინვარებდა შმაგი, – მარხილით გამიხდება მოსატანი.

– ჩვენს ძაღლებს მოგცემ გადასახიდად, – შესთავაზა სმოკმა.

– კი მაგრამ მერე სადღა წავიღო? თუმცა არაფერია. მვალ, ოღონდ ჩემს სიცოცხლეში პირში აღარ ჩავიდებ კვერცხს. ფიქრიც კი გულის მირევს.

ორის ნახევარზე ძაღლების ორმა შებმამ ციცაბო აღმართზე მარხილები ამოათრია – შორტიმ გოტეროსაგან ნაყიდი კვერცხი მოიტანა.

– თითქმის ორმაგად მოვიგდებთ, – ეუბნებოდა იგი სმოკს, ვიდრე ისინი საპნის ყუთებს ქოხში ეზიდებოდნენ. – რვა-რვა დოლარი შევაძლიე, ერთი მაგრად შეიკურთხა ფრანგულად და დამითმო. გამოდის, რომ თითო კვერცხზე ორ-ორი დოლარი სუფთა მოგება გვრძება და ხომ არ გავიწყდება, სამი ათასი კვერცხია! გადახდით სულ გადაუხადე, აი ხელწერილი.

ვიდრე სმოკი სასწორს დგამდა და თავისი ბიზნესის დაგვირგვინებისათვის ემზადებოდა, შორტი გაანგარიშებაში გაერთო. ბოლოს დიდი ამბით გამოაცხადა:

– ესეც ასე! თორმეტი ათას ცხრაას სამოცდაათი დოლარი მოგება გვრჩება. არც შმაგს ვტოვებთ ზარალში. მის ეროლსაც იგებს და, გარდა ამისა, მთელი კვერცხი იმისი იქნება. სწორედ რომ ყველასათვის ხელსაყრელი საქმე გამოდგა. არავის უზარალია.

– გოტერომაც კი ოცდაოთხი ათასი მიიღო, – სიცილით თქვა სმოკმა, – თუმცა კვერცხის საფასური და გადმოზიდვის ხარჯები უნდა გამოვაკლოთ. ახლა შმაგმაც თუ ცოტა ხანში თავიდან დაატრიალა ეს საქმე, კიდევ შეიძლება მოგება ნახოს.

სრულ ორ საათზე შორტიმ გარეთ გაიხედა, შმაგი აღმართზე ამოდიოდა. მხნე და საქმიანი იერით შემოვიდა ქოხში, დათვის ტყავის ქურჭი გაიძრო, ლურსმანზე ჩამოკიდა და მაგიდას მიუჯდა.

– აბა, ყჩაღებო, მოიტათ თქვენი საქონელი, – დაიწყო მან, – მაგრამ იცოდეთ, დღეის იქით კვერცხი აღარ მისხენოთ, თორემ შავი დღე დაგადგებათ.

სამივე შეუდგა სხვადასხვა ადგილას შესყიდული პირველი პარტია კვერცხების თვლას. ცალი რომ გადათვალეს, შმაგმა უცბად ერთი კვერცხი მაგიდის კიდევ დაარტყა და ცერებით გადახსნა.

– ეგ, დაიცა! – გაჯავრდა შორტი.

– ვისია ეს კვერცხი? – შეუღრინა შმაგმა, – ცალში ათ დოლარს გაძღვეთ და რატომ უნდა ვიყიდო ბრმად. უნდა ვიცოდეთ, რა საქონელს ვყიდულობ.

– თუ არ მოგწონს, მე შევჭამ, – გაღიზიანდა შორტი.

შმაგმა კიდევ სამი კვერცხი გატეხა, შეამოწმა, და რაკი სამივე ახალი გამოდგა, იქვე მდგარ ბაღიაში ჩაახალა.

– აქ შენ რომ ამბობდი, იმაზე ორი კვერცხით მეტია, – უთხრა შორტის, თვლა რომ დაამთავრა, – ცხრაას სამოცდაოთხი, ცხრაას სამოცდაორი კი არა.

– შემშლია, – სიამოვნებით აღიარა შორტი. – ამ ორ ცალს ისე დაგიმატებთ და დავამრგვალოთ ანგარიში.

– რა გენადვლებათ, შეგიძლიათ თავს მაგის ნება მისცეთ, – პირქუშად დაეთანხმა შმაგი, – ეს ერთი პარტია გადათვლილია. ცხრა ათას ექვსას ოც დოლარს ახლავე გადავიხდი. ხელწერილი დაწერე, სმოკ.

– რატომ, ბარემ დანარჩენიც დავითვალთ და ერთბაშად გადაიხადე, – უთხრა სმოკმა.

შმაგმა თავი გააქნია.

– ანგარიში მაინცდამაინც არ მეხერხება. ეს ერთი პარტიისა მოვითავოთ, რომ არ დავიბნეთ, – და თავისი ქურქისაკენ წავიდა, შიდა ჯიბეებიდან ორი ვეხვივით გძელი, ოქროთი გატენილი ქისა ამოიღო და პირველი პარტიის საფასური გადაიხადა. ქისებში ბევრი-ბევრი ასიოდუ დოლარის ოქროს ქვიშა დარჩა.

მერე კი საპნის ყუთი მოათრიეს მაგიდასთან და სამი ათასის გადათვლას შეუდგნენ. პირველი ასეულის თვლა რომ ჩაამთავრეს, შმაგმა ერთი კვერცხი მაგიდის კიდეს დაჰკრა. გაისმა ჭახანი, არა ჭახანი კი არა, ისეთი ხმა, თითქოს მარმარილოს ბურთულა დაერტყათ მაგიდისთვის.

– მთლად გაყინულა, – თქვა შმაგმა და უფრო მაგრად დაჰკრა კვერცხი მაგიდას; მერე ასწია, და სამივემ დაინახა, რომ დარტყმის ადგილას ნაჭუჭი მტვერივით ჩაიშალა.

– გაიყინებოდა, რა თქმა უნდა, მეორემც მილიდან ჩამოიტანეს, – თქვა შორტი, – ნაჯახით უნდა გაიჩეხოს.

– მოიტა ნაჯახი!

სმოკმა ნაჯახი მოიტანა, და, შმაგმა, რომელსაც ხისმჭრელის გამჭრიახი თვალი და მარჯვე ხელი ჰქონდა, ზუსტად შუაზე გაჩეხა კვერცხი. კვერცხს ძალიან საეჭვო შესახედაობა ჰქონდა და ცუდი წინათგრძნობისგან სმოკს გააურჟოლა. შორტი უფრო გულადი გამოდგა. ნახევარი კვერცხი აიღო და ცხვირთან მიიტანა.

– სუნი კარგი აქვს.

– შესახედაობა კი ძალიან ცუდი, – შეეპასუხა შმაგი, – ან რა სუნი უნდა ჰქონდეს, როცა სულ მთლად გაყინულია. ერთ წუთს მაცადე.

შმაგმა გახურებული ღუმელის წინა სადგარზე ტაფა დადგა და ზედ გაჩეხილი კვერცხი დადო. სამივემ ნესტოები დაბერა და მიოლოდინიში გაირინდა. შეუცდომლად მიხვდებოდა ადამიანი, რა სუნი გავრცელდა ოთახში. შმაგი თავს იკავებდა და ხმას არ იღებდა, შორტიც დამუნჯებული იუდა, თუმცა უკვე ყველაფერი ცხადი იყო.

– გადააგდე! – სული ვედარ მიოთქვა სმოკმა.

– რა აზრი აქვს? – უთხრა შმაგმა, – სულ ერთია, დანარჩენიც უნდა შევამოწმოთ.

– ლღლნდ ქოსში არა, – ხველება აუვარდა სმოკს და კინაღამ გული არ აერია, – გავჩეხოთ და ხავხედოთ, მაშინვე მივხვდებით. გადააგდე შორტი! გადააგდე, თუ ღმერთი გწამს! და კარი არ დახურო.

ზედიზედ ხსნიდნენ ყუთებს, თითო-თითოდ იღებდნენ კვერცხს, სრომელიც ხელში მოხვდებოდათ, შუაზე ჩეხდნენ და რწმუნდებოდნენ, რომ უკლებლივ ყველა გალაცხებული იყო.

– შორტი, არ დაგაძალებ, შეჭამე-მეთქი, – დასცინოდა შმაგი, – მაგრამ თუ ნებას მომცემთ, ბარემ წავალ. ხელშეკრულებაში მხოლოდ ახალ კვერცხზეა ლაპარაკი. და თუ ძაღლებსა და მარხილს მათხოვებთ, საჩქაროდ წავიღებ ახალ კვერცხს, ვიდრე გალაცხდებოდეს.

სმოკი მარხილის დატვირთვაში მოეხმარა შმაგს. შორტი კი მაგიდას მიუჯდა და სათამაშო ქაღალდი მოიმარჯვა გასაშლელად.

– მაინც რამდენ ხანს ინახავდით მაგ სიმდიდრეს? – გამოთხოვებისას კიდევ ერთხელ დაგესლა შმაგმა მასპინძლები.

სმოკს პასუხი არ გაუცია, პასიანსით გართულ მეგობარს გადახედა და გარეთ, თოვლში დაიწყო კუთების გადაყრა.

– რას ამბობდი, შორტი, რა დაგიჯდა ეს სამი ათასი კვერცხი? – ფრთხილად ჰკითხა შემდეგ.

– რვა-რვა დოლარი. მომშორდი. რას გადამეკიდე. შენზე ნაკლები თვლა ვიცი? ჩიდმეტი ათასი დავკარგეთ ამ საქმეზე; ვისაც კს ოდესმე მარხილში ძაღლები შეუბამს, ის მიხვდება, რა ფასი აქვს ამ ზარალს. ჯერ კიდევ მაშინ გამოვიანგარიშე, პირველი კვერცხის გასინჯვა რომ დავაპირე.

სმოკი რამდენიმე წუთს ფიქრობდა, მერე ისევ დაარღვია სინუმი:

– ყური მიგდე, შორტი, ორმოცი ათასი დოლარი ოქრო ორას გირძანქას იწონის. შმაგმა ჩვენ გამოგვართვა მარხილი და ძაღლების კვერცხის წასადებად. აქ უმარხილოდ მოვიდა. ოქროს ქვიშით სავსე ის ორი ქისაც, ქურქის ჯიბეში რომ ედო, თითო ოც-ოც გირძანქას თუ იწონიდა. მორიგებული ვიყავით, რომ მთელი კვერცხის საფასური ნაღდად უნდა მოეცა. შმაგმა კი მარტო ახალი კვერცხების სამყოფი ოქრო მოიტანა იმ სამი ათასის ფასის გადახდას არც აპირებდა. ეტყობა, იცოდა, რომ კვერცხი ღაყე იყო და იმიტომ. მაგრამ საიდან იცოდა? როგორ ფიქრობ, საიდან იცოდა?

შორტიმ ქაღალდი მოკრიფა, აჭრა და თავიდან აპირებდა გაშლას, მაგრამ შეჩერდა.

– უბრალო ამბავია! ბავშვიც კი მიხვდება. ჩვიდმეტი ათასი ვიზარალეთ. შმაგმა კი ჩვიდმეტი ათასი მოიგო. ის კვერცხი, გოტეროსაგან რომ ვიყიდეთ, სულაც შმაგისა იყო. კიდევ გინდა რამე გაიგო?

– მინდა, მინდა ვიცოდე, რატომ ვერ მოისაზრე, ჯერ შეგემოწმებინა კვერცხი და მერე გადაგეხადა ფული.

– მაგაზეც ადვილია პასუხის გაცემა. შმაგს ამ თამაშში წამები ჰქონდა გაანგარიშებული. კვერცხის გასინჯვის დრო აღარ მრჩებოდა. სასწრაფოდ აქ უნდა მომეხიდა, რომ გაგვესაღებინა. ახლა, სმოკ, ნება მიბოძე, მე მოგცე ერთი თავაზიანი შეკითხვა. მითხარი, ის ვინ იყო, კვერცხის შესყიდვის იდეა რომ ჩაგიდო თავში?

შორტი უკვე მეთექვსმეტეჯერ შლიდა ქაღალდს და არ გამოსდიოდა. სმოკი უკვე ვახშმის მომზადებას ფიქრობდა, რომ კარზე პოლკოვნიკმა ბოვიმ დააკაკუნა. სმოკს ბარათი დაგასცა და თავისი ქოხისკენ გაემართა.

– დაინახე, რა სახე ჰქონდა? – აღრიალდა შორტი, – თავს ძლივს იმაგრებდა, რომ სიცილი არ წასკდომოდა. სასაცილოდ აგვიგდებენ, სმოკ!

– მეთლ დოუსონში თავი აღარსად გამოგვეყოფა.

სმოკმა ხმამაღლა წაიკითხა ბარათი. იგი შმაგისაგან იყო.

„ძვინფასო სმოკ და შორტი! უმდაბლესად გესალმებით და გთხოვთ ამაღამ ვახშმად გვეწვიოთ სლავოვიჩთან. ჩვენთან იქნებიან მის ეროლი და გოტერიც. ხუთი წლის წინათ, სერკლში მე და გოტერი კომპანიონები ვიყავით. შესანიშნავი

ბიჭია და ჩემი მეჯვარე უნდა იქნეს. ახლა კვერცხზე მოგახსენებთ. ეს პარტია ოთხი წლის წინათ ჩამოიტანეს კლონდაიკში და როცა ჩამოიტანეს, მაშინაც ლაყე იყო მუდამ. ერთი ზამთარი ამ კვერცხმა კარლუკში გაატარა, მეორე ნუტლიკში, შარშან კი მეორმოცე მილზე ეწყო, ვიდრე არ გაყიდეს, რაღაც შენახვის ქირა არ იყო გადახდილი. ამ ზამთარს ისინი, საფიქრებელია, დოუსონში შერჩებიან, მაგრამ თბილ ოთახში ნუ გააჩერებთ. ლუსილი გითვლით, მე მგონია, მე, თქვენ და შმაგმა ასე თუ ისე გამოვაფხიზლეთ დოუსონიო.

ასე, რომ მე ვფიქრობ, მაღარიჩი თქვენზეა.

პატივისცემით თქვენი მეგობარი ჩ. შ.

– რას იტყვი, შორტი, რა თქმა უნდა, ვეწვიოთ, არა? – ჰკითხა სმოკმა.

– რა მინდა გითხრა, იცი? – მივო შორტიმ, – შმაგი რომ გაკოტრდეს კიდევ, ზარალში არ დარჩება. რა მსახიობია, მაგას დასწყევლის ღმერთი, რა მსახიობი! კიდევ ერთს გეტყვი, მე ცუდად ვიანგარიშე. შმაგმა ჩვიდმეტი ათასი ხომ ნაღდი მოიგო; გარდა მაგისა, სხვა მოგებაც დარჩა. მე და შენ საჩუქრად მივართვიოთ, რაც კლონდაიკზე ახალი კვერცხი იყო – სულ ცხრაას ამოცდაოთხი ცალი, იმ ორის ჩათვლით, ანგარიში რომ დავუმრგვალებო. იმ არამზადამ უტიფრად დაავლო ხელი ბადიას და ის სამი კვერცხიც წაიღო, სასინჯად რომ გავტეხეთ. ბოლოს ამასაც გეტყვი. მე და შენ პირწავარდნილი, თავგამოდებული ოქროსმადიებლები ვართ, მაგრამ როცა ფინანსურ ოპერაციებსა და სწრაფად გამდიდრებაზე მიდგება საქმე, ტყუილია ჩვენისთანა დოყლაპიები. მოდი და ამას იქით ისევ ჩვენებურად მაღალ მთებსა და აყრილ ნაძვებში ვიხეციალოთ, და კვერცხი აღარასოდეს მისხსენო, თორემ, მორჩა, ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყრება, გაიგე?

დაბა დარი-დარა-რა

I

სმოკი და შორტი ერთმანეთს ზედ „ირმის რქის“ სამიკიტნოსთან შეხვდნენ. სმოკს სიამოვნებისაგან სახე გაბადროდა და ცოცხლად მიაბიჯებდა. შორტი კი, პირიქით, რაღაც გაბრუებული ჩანდა და ცხირჩამოშვებული მოლასლასებდა.

– საით გაგიწევია? – მხიარულად ჰკითხა სმოკმა.

– ეჰ, თვითონაც არ ვიცი, – უპასუხა სასოწარკვეთილმა შორტიმ, – ნეტავი მართლა სადმე მივდიოდე, ორი საათი იმ საშინელ თამაშს გადავაყოლე, იქაც არაფერი გამომივიდა, არც ერთი ხლი არ მომცა – ვერც მოვიგე და ვერც წავაგე. სკოფ მატჩელს ვეთამაშებოდი ბანქოს, დაღვევის ანგარიში იყო. ახლა კი ქუნა-ქუნა დავხეციალობ, სადმე ჩხუბს თუ არა, ძაღლების კინკლაობას ვნახავ და გულს გადავაყოლებ-მეთქი.

– მე კი უფრო საინტერესო საქმე მაქვს, – მიუგო სმოკმა, – ჯერ ერთი შენი ნახვა მინდოდა... წამომყვი.

– ალავე?

– რა თქმა უნდა.

– საით?

– იქით, გაღმა; მოხუცი დუაიტ სენდერსონი უნდა ვნახო.

– პირველად მესმის, – უხეშად მიუგო შორტიმ, – არ ვიცოდი, თუ გაღმა ვინმე ცხოვრობდა. რა უნდა იქ რომ ცხოვრობს? სრულ ჭკუაზე თუა?

– ერთ რამეს ჰყიდის, – გაეცინა სმოკს.

– ძაღლებს თუ ოქროს სარეწს? ალბათ თამბოქოს ან რეზინის ჩექმებს? სმოკი ყველაფერზე თავს უქნევდა.

– წამოდი და ნახავ. რისკზე ვყიდულობ, თუ გინდა წილში შემოდი.

– კვერცხიო, არ მითხრა! – წამოიყვინრა უცბად შორტიმ და შემფოთებულს სახე დაეღმიჭა.

– წამოდი, წამოდი! – არ დაუცადა სმოკმა, – სანამ იმ ყინულზე გადავალთ, ათში ერთს მაინც გამოიცნობ.

ქუჩის ბოლოში მაღალ ნაპირს თავქვე დაუყვნენ და მოსარკულ იუკონზე გავიდნენ. სამი მეთხედი მილის შემდეგ მდინარის მეორე ნაპირი ასიოდე ფუტის სიმაღლის ციცაბო კლდეებით აღიმართა. კლდეებს შუა, ყინულის დარღვეულ და დახერგილ ზოდებში ნახევრად გაკვალული ბილიკი უამრავი ხვეულით მიიკლაკნებოდა. შორტი ფეხათრევით მიჰყვებოდა სმოკს კვალდაკვალ და თან მთელი გზა თავს იმტვრევდა, რა უნდა გაეყიდა ისეთი მოხუც დუაიტ სანტერსონს.

– ირმები? სპილენძის მაღარო ან ქურახანა? ეს ერთი გამოცანა იყოს. დათვის ტყავი ან საერთოდ ბეწვეული? ლატარიის ბილეთები? კარტოფილის რანჩო?

– ახლოს ხარ, – შეაგულიანა სმოკმა, – ოღონდ უფრო უკეთესი.

– კარტოფილის ორი რანჩო? ყველის ფაბრიკა? ტორფის ფერმა?

– ყოჩაღ, შორტი, თითქმის გამოიცანი. ცოტაც კიდევ და...

– ქვის სამტეხლო?

– ეგ იგივეა, რაც ტორფის ფერმა და კარტოფილის რანჩო.

– მაშ, კარგი. დამაცადე მოვიფიქრო. კიდევ ერთი დამჩნა, არა? ათი წუთი ჩუმად მიდიოდნენ.

– არა, უკანასკნელ გამოცანას ვერ მათქმევინებ. თუკი რასაც ყიდულობ, ტორფის ფერმასაც ჰყავს, კარტოფილის რანჩოსაც და ქვის სამტეხლოსაც ერთად, მაშინ თავსაც ვიკავებ და არც წილში შემოვალ, სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ ან ხელს არ შევახებ. თქვი, რა არის?

მაღლე შენი თვალით ნახავ. აბა, კეილი ინებე და მაღლა აიხედავ. ხედავ იმ ბოლს, ქოხიდან რომ ამოდის? დუაიტ სანდერსონი იქ ცხოვრობს. მთელი ეს დაბა-ადგილიც მისია.

– სულ ეს არის მისი ქონება?

– მეტი რაღა გინდა? – გაიცინა სმოკმა, – ჰო, რევემატიზმი ჰქონია კიდევ, როგორც გავიგე, შეკლული ჰყავს თურმე კაცი.

– მოიცა! – შორტიმ ელვის სისწრაფით მოიქნია ხელი და თავის მეგობარს მხარში სტაცა, – არ მითხრა, ამ მივარდნილ ადგილს ვყიდულობო.

– ეს შენი მეთე გამოცანაა და მოიგე კიდევ, წავედით!

– ერთი წუთით მოითმინე! – შეევედრა შორტი, – ერთი შეხედვე, ცარიელი კლდეები და ფერდობებია, სულ ოდრონოდრო ადგილია, სად რა უნდა ააშენო?

– ეგ კი აღარ ვიცი.

– მაშინ სამოსახლოდ არ გდომებია!

– დუაიტ სანდერსონი სამოსახლოდ ყიდის, – შეყოყმანდა სმოკი, – წავიდეთ, წავიდეთ, ეს ფერდოც უნდა გადავიაროთ.

ციცაბო ფერდობზე ვიწრო ბილიკი იაკობის საშინელ კიბესავით დააკეცილიყო. დაკიდებულ მოსახვევებსა და გადასასვლელელებზე შორტი ოხრავდა და კუნესოდა.

– კარგი სამოსახლო ადგილი კი შეგიჩრევია. რომ გინდოდეს, მარკასაც ვერსად ჩააკრავ. არც ნაპირი ვარგანავებს მეორე ნაპირზე ტვირთავენ. დოუსონი კიდევ მესმის. იქ ორმოც ათას ადამიანსაც ადვილად დაასახლებ. იცი, რა გითხრა, სმოკ, თვითონაც ვიცი, რომ ხორცისმჭამელი კაცი ხარ და ამ მიწას

სამოსახლოდ არ იყიდი. ერთი მითხარი, ღეთის გულისათვის, მაშ, რა ჯანდაბად გინდა?

– რა თქმა უნდა, მერე გავეყიდი.

– ძალიან ცდები, თუ სხვებიც შენსავით სულელი გგონია.

– შეიძლება შენ მართალი იყო, შორტი, მაგრამ მე მაინც ვიყიდი ამ მიწას, საკარმიდამოებად დავეყოფ და დოუსონის ყველაზე ჯანსაღ ადამიანებს მივეყიდი.

– ჰა, ჰა, მთელი დოუსონი იმ ჩვენს კვერცხებზე დღესაც იცინის, ახლა მათი ახარხარებაც მოგინდომებია.

– უეჭველია, ასეც ვიზამ.

– იცოდე, სმოკ, ასეთი გართობა ძვირად დაგვიჯდება, კვერცხში მეც გეხმარებოდი და ის სიცილი ცხრა ათას დოლარამდე დამიჯდა.

– კეთილი, ამჯერად წილში ნუ შემოხვალ. მოგებაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემი იქნება, მაგრამ სულ ერთია, შენი დახმარება მაინც დამჭირდება.

– ოჰ, სიამოვნებით. დაე, კიდევ ერთხელ დამცინონ. მაგრამ ამჯერად ერთ უნციასაც არ შემოვალ წილში. საინტერესოა, მაინც რამდენ აფასებს ის ბებერი? ორას დოლარს, ალბათ?

– ათი ათასი უნდა. მაგრამ ვეცდები ხუთზე დავიყოლიო.

– ოჰ, რატომ მღვდელი არა ვარ, – ამოიოხრა გულამოსკვნილმა შორტიმ.

– რათაო, ვითომ?

– სულელისა და მისი ფულების იგავს გეტყვოდი...

– შემოდით! – გაისმა დუაიტ სენდერსონის ბრაზიანი ხმა, როცა კარზე დააკაკუნეს. ორივენი ოთახში შევიდნენ. მოხუცი ბუხრის პირას ჩაცვუქულიყო და ტომრის ნაგლეჯში გამოკრულ ყავას ნაყავდა.

– რა გინდათ? – უკმეხად ჰკითხა მოხუცმა და დანაყული ყავა იქვე ნაღვერდლებზე შემომდგარ ყავადანში ჩაყარა.

– საქმეზე მოვსულვართ, – მიუგო სმოკმა, – გავიგეთ, ჩამოსახლო მიწას ჰყიდი. რამდენს თხოულობთ?

– ათი ათასს, – გაისმა პასუხი, – მე ჩემი გითხარით. თქვენ კი შეგიძლიათ დამცინოთ და გაიქცეთ კიდევ. აი კარიც. მიბრძანდით.

– სამასხროდ არ მოვსულვარ. სიცილი რომ მდომებოდა, მაშინ ამ მთებზე კი არ ვიწოწიალებდი. მიწა მინდა ვიყიდო.

– რატომაც არა. ჭკვიანური სიტყვა მეც მიყვარს, – სენდერსონი წამოდგა, მაგიდასთან დაჯდა, ხელები მაგიდაზე დააწყო და ცალი თვალი ყავადანზე დაიჭირა, – მე უკვე გითხარით ჩემი ფასი და გამეორებისაც არა მრცხვენია – ათი ათასი. ჩემთვის სულ ერთია ახლა, იყიდით თუ დამცინებთ.

გულგრილობის გამოსახატავად მოხუცმა დაკოჟრილი თითები მაგიდაზე აათამაშა და ნაღვერდლებზე შემომდგარ ყავადანს მიაშტერდა. მერე მონოტონურად წაიზუზუნა: დარი-დარა-რა-რა-რა. დირი-დირა-და-რა-რა.

– მომისმინეთ, მისტერ სანდერსონ, – მიმართა სმოკმა, – ათი ათასი არ ღირს ეს ადგილი. მართლა რომ ათი ათასი ღირდეს, მაშინ ასი ათასსაც ადვილად მოგვეცემდნენ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამდენი არ ღირს, ათი ცენტიც კი არ ღირს.

სანდერსონს თითების კაკუნი არ შეუწყვეტია და აქამდე იზუზუნა: დარი-დარი-რა-რა-რა, დირი-და-რა-რა, სანამ ყავა არ გადმოვიდა. მოხუცმა ერთი ჭიქა ცივი წყალი დაუმატა, ყავადანი ნაღვერდლებს მიუდგა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

– თქვენ რამდენს იძლევით? – შეეკითხა იგი სმოკს.

– ხუთი ათასს.

შორტიმ ამოიგმინა.

მაგიდაზე ისევ კაკუნი გაისმა, კაკუნს იგივე დარი-დარა-დარა-რა მოჰყვა.

– სულელი არ უნდა იყო, – უთხრა მან ბოლოს სმოკს, – ჯერ ამბობდი, თუ ასი ათასი არ ღირს. ათი ცენტრიც ზედმეტიაო. ახლა კი ხუთი ათასს მოგცემო – მეუბნები. გამოდის, რომ მართლაც ასი ათასი ღირსებულეა.

– ოც ცენტსაც არავინ მოგცემთ, – ფიცხლად შეუბრუნა სიტყვა სმოკმა, – სულის ამოძრობამდეც რომ ელოდოთ.

– თვითონ თქვენ მომცემთ.

– ვერა, ვერ მიიღებთ.

– მაშინ სულის ამოძრობამდე აქ ვიქნები, – მოუჭრა სიტყვა სანდერსონმა.

მერე სტუმრებისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ისე შეუდგა ვახშმის სამზადისს, თითქოსდა ოთახში მარტო ყოფილიყოს. ჯერ ქოთანს ღობილ გააცხელა და პურის ნატეხი გააფიცხა, მერე მაგიდას მიუჯდა და საჭმელს შეექცა.

– არა, გმადლობთ, – წაიღუდღუდა შორტიმ, – სრულებით არა გვშია. სწორედ წამოსვლის წინ გვეახელით.

– აბა, ერთი თქვენი საბუთები გვაჩვენეთ, – თქვა ბოლოს სმოკმა.

სანდერსონმა საწოლის სასთუმალთან ხელი მოაფათურა და ქაღალდების შეკვრა გამოაძრო.

– ყველაფერი რიგზე მაქვს, – თქვა მან, – ეს გრძელი ბეჭდიანი ქაღალდი ოტავაში მაქვს აღებული. აქაური მონაწილეს არ გეგონოთ. მიწის საკუთრების უფლება თვითონ კანადის ეროვნულმა მთავრობამ მომანიჭა.

– ეს ხომ ორი წლის წინანდელი ქაღალდია? მას შემდეგ რამდენი მიწა გაყიდეთ? – გამომწვევად იკითხა სმოკმა.

– ეგ თქვენ რაში გეკითხებათ, – უკმეხად მიუგო სანდერსონმა, – ჩემს მიწაზე მარტო ვიცხოვრებ თუ არა, ამაზე არავითარი კანონი არ არსებობს.

– ხუთს გაძღვეთ, – ვთხრა სმოკმა.

სანდერსონმა თავი გააქნია.

– თქვენ, მგონი, ერთმანეთს ეცილებით სიგიჟეში, – შეწუხდა შორტი. – თუ შეიძლება, ერთი წუთით გავიდეთ, სმოკ, რაღაც მინდა გითხრა.

სმოკი უხალისოდ დაჰყვა მეგობრის სურვილს.

– კი, მაგრამ, რატომ ვერ შეიზნე, – დაიწყო შორტიმ, როცა ისინი გარეთ თოვლზე გავიდნენ, – რომ ეს შენი აკვირებული მიწა სულ კლდე და ღრეა და არავის არ ეკუთვნის. თუ ასე ძალიან გინდა, შენც აიღე და დასახლდი ზედ.

– არც ამაღ ღირს.

– აბა, რაში უნდა მოიხმარო?

– გიკვირს, რომ მაინცდამაინც ამ მიწას ვყიდულობ, არა.

– მოდი და ნუ გაგიკვირდება.

– მეც ეგ მინდა, – დიდის ამბით განაგრძო სმოკმა, თუკი შენ გიკვირს, სხვებსაც ასევე გაუკვირდებათ. და მაშინ აქაურობას მთელი დოუსონი მოაწყდება. გამოდის, ყველაფერი ზუსტად გამითვალისწინებია. იცი, რას გეტყვი, შორტი, დოუსონს ისეთ ოინს ვუზამ, რომ სულ დავაგიწყებ კვერცხებს. ახლა მოდი, შევიდეთ.

– საღამო, – მიეგება მთ სანდერსონი, როცა ისინი შინ შევიდნენ, – ველარასოდეს განახადით, მეგონა.

– უკანასკნელი ფასი გვითხარი, – უთხრა სმოკმა.

– ოცი ათასი.

– ათს ვიძღვევი.

– კეთილი. ათად იყოს. მეც ეგ მინდოდა თავიდანვე. ხელის ჭუჭყს როდის მომცემთ?

– ხვალვე მოგართმევთ, ნორთვესტის ბანკთან მოხვალთ და მოგართმევთ, მაგრამ ძულში ორი ნამეც უნდა გთხოვოთ. ერთი ის, რომ, როგორც კი ფულს მიიღებთ, „მეორმოცე მილზე“ წახვალთ და მთელ ზამთარს იქ დარჩებით.

– ეგ ადვილი საქმეა. მეორე რაღაა?

– მე თქვენ ოცდახუთი ათასს მოგცემთ, მაგრამ თხუთმეტს ჩუმიად უკან დამიბრუნებთ.

– თანახმა ვარ, – სანდერსონი შორტს მიუბრუნდა, – როცა აქ დავესახლე, ყველას სულელი ვეგონე, – ჩაიქირქილა მან, – ახლა კი ათი ათასიანი სულელი ვარ, არა?

– კლონდაიკი სავსეა სულელებით, – მკვახედ მოუჭრა შორტიმ, – და ამდენ სულელში ერთს მაინც გაუღიმებს ხოლმე ბედი.

II

მეორე დღეს, დილით დუაიტ სანდერსონის კუთვნილი მიწის გაყიდვა ოფიციალურად გაფორმდა. („ამიერიდან დაბა დარი-დარა-რად“ წოდებული. ასეთი შენიშვნა შეიტანა სმოკმა ნასყიდობის ქაღალდში) და ნორთვესტის ბანკის მოლარემ დუაიტ სანდერსონს სმოკის კუთვნილი ოცდახუთი ათასი დოლარი ოქროთი აუწონა. რამდენიმე შემთხვევითმა მოწმემ საკუთარი თვალით იხილა, ფულის ახალი მფლობელიც და ისიც, როგორ აწონეს ოქრო.

ოქროს სარეწში ყველა ადამიანი საეჭვო კაცია. ყოველგვარი უჩვეულო საქციელი, ირემზე ნადირობა იქნება ეს თუ მწუხრის შემდეგ ჩრდილოეთის ციალის სანახავად გასეირნება, იმის ჭეშმარიტი მაუწყებელია, რომ ვიღაცამ ოქროს ახალ საბადოს მიაგნო. ხოლო, როცა შეიტყვეს, რომ ისეთმა ცნობილმა ადამიანმა, როგორც სმოკ ბელიუ იყო, ოცდახუთი ათასი დოლარი გადაუხადა მოხუც დუაიტ სანდერსონს თავის მიგარდნილ მიწაზე, რაც ოცდახუთი ათასი დოლარი ღირდა? მთელი დოუსონი მოუთმენელი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს სმოკის თვითყულ ნაბიჯს.

შუადღისას ხმა დაირხა, რამდენიმე ათეულმა კაცმა. მსუბუქ ზურგჩანთებს დაავლო ხელი და მოხერხებულად გადაძალა მთავარი ქუჩის დუქნებში. სმოკის თვითყულ მოძრაობას უამრავი თვალი შეჰყურებდა. და ნიშნად იმისა, რომ სმოკს ყველა სერიოზულ ადამიანად თვლიდა, არავინ ისე არ გათავხედებულა, რომ ეკითხა სმოკისათვის, რა საქმე ჰქონდა დუაიტ სანდერსონთან. მეორე მხრივ, კვერცხზე ერთ სიტყვასაც არავინ სძრავდა სმოკის თანდასწრებით. ასეთ სავსე ყურადღებასა და მეგობრულ გულისხმიერებას ხვდებოდა ყველგან შორტიც.

– ისე მიყურებენ, თითქოს კაცი მომეკლას ან ყვაილი მჭირდეს და ჩემთან გამოლაპარაკებისა ეშინოდეთ, – უთხრა შორტიმ სმოკს, როცა ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს „ირმის რქის“ სამიკიტნოს წინ, – აგერ, ბილ სოლტმენი მოდის, კვდება კაცი, ოღონდ სადმე თვალი შეგვასწროს, ახლა სულ ქუჩის ბოლოსკენ იხედება. ერთი შეხედე, სმოკ, თითქოს ჩვენი არსებობაც არ იცოდეს. მოდი, კუთხეში შევუხვიოთ, ვითომ სადმე მიგვეჩქარება და მაშინვე გამოვბრუნდეთ. აი, ნახავ, თუ წინ არ შემოგვეფეთოს.

ასეც მოიტყნენ. უკან შემობრუნდნენ თუ არა, სოლტმენს გადაეყარნენ; ადლიანი ნაბიჯებით დადევნებოდა უკან.

– გამარჯობა, ბილ, – მიესალმე სმოკი, – საით გაგიწევია?

– გაგიმარჯოს, ცოტას გავისეირნებ, – უპასუხა სოლტმენმა, – გულს გადავაყოლებ-მეთქი, ვიფიქრე, რა კარგი ამინდია დღეს, არა?

– ჰე, – ჩაიხითხითა შორტიმ, – ამას თუ სეირნობას ეძახი. მე მეგონა, ალბათ, სადმე მიეჩქარება, ასეთი კისრიტეხით რომ მიდის-მეთქი.

როცა შორტი სადამოხე ძაღლებს აჭმევდა, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ღამის წყვილიდან ათობით თვალი მიშტერებოდა. ხოლო, როდესაც ძაღლები მოძზე მიაბა იმის მაგიერ, რომ ღამე აშვებული ჰყოლოდა, კარგად იცოდა, რომ ამით აწრიალებულ დოუსონს ახალი საფიქრალი კიდევ მიუმატა.

წინასწარ მოფიქრებული გეგმის თანახმად, სმოკმა იმ ღამეს ქალაქში ივანშმა და ახალი გასართობის ძებნას შეუდგა. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, ყველგან დიდი ცნობისმოყვარეობით ხვდებოდნენ, და ისიც ხან სად ამოყოფდა თავს და ხან სად. დუქნები მის გამოჩენაზე ხალხით გაიჭედებოდა და მაშინვე დაცარიელდებოდა, როგორც კი კარს გასცდებოდა. ხოლო, როცა სველასაგან მივიწყებულ რულეტის მაგიდას მიუჯდა და ერთი პარტია სათვალავები იყიდა, ხუთ წუთში უამრავმა მოთამაშემ მოიყარა თავი, თითქოს შურისძიების მაგვარი რაღაცაც კი ჩაიდინა, როდესაც თეატრიდან სწორედ იმ დროს გამოვიდა, როცა ლუსილ ეროლს ის-ის იყო თავისი საყოველთაოდ აღიარებული სიმღერა უნდა შეესრულებინა. სამ წუთში ორმა მესამედმა მაყურებელმა დატოვა დარბაზი.

ღამის პირველ საათზე სმოკმა უჩვეულოდ აფუსფუსებული მთავარი ქუჩა გადმოსჭრა და თავის ქოხისაკენ მიმავალ გზას დაადგა. როცა აღმართში შეისვენა, უკნიდან თოვლში მოკასინების ჭრაჭუნნი მოესმა.

ქოხი მთელი ერთი საათი იყო სიბნელეში ჩანთქმული. მერე სანთელი აანთეს და ცოტა ხნის შემდეგ, რაც ალბათ ტანზე ჩაცმას დასჭირდებოდა, სმოკი და შორტი გამოვიდნენ და ძაღლები შეკაზმეს. როგორც კი ღია კარიდან გამოჭრილმა სანთლის შუქმა მარხილი გაანათა, შორიახლოს სუსტი სტვენა გაისმა, რასაც მთის ძირიდან სტვენითვე გამოეპასუხნენ.

– ერთი ყური უგდე, – გაეცინა სმოკს, – თურმე გვითვალთვალევენ და ყველაფერს ქალაქს ატყობინებენ. კისერს მოვიჭრი, თუ ახლა ერთი ორმოცი კაცი მაინც ქვეშაგებიდან არ ძვრებოდეს და შარვლის ტოტებში არ იხლართებოდეს.

– რა სულელი ხალხია, – ჩაიხითხითა შორტიმ, – მართლაც რა ადვილია მათი გაცურება. ახლა ისეთი დროა, რომ ყველა დოყლაპიაც ხელს მოითბობს. მთელი ქვეყანა სულელებით არის გატენილი. დგანან და ელოდებიან, როდის დასცინცლავ რაღაცას და გაატყავებ. სანამ დაბლა დაეშვებოდეთ, ერთ რამეს გეტყვი: თუ ისევ თანახმა ხარ, წილში მეც შემოვიდგები.

მარხილი მსუბუქად დატვირთეს: მხოლოდ საპნები და ტომსიკაში გამოკრული საჭმელი დაუდეს. ფოლადის მავთულის პატარა ხვეული ტომსიკის ქვევიდან ოდნავ შესამჩნევად ამოჩრილიყო, ხოლო მარხილის ფსკერზე თოკებით ჩადებული ძალაყინი თითქმის ნახევრად მოჩანდა.

ხელჯაგაიანი ხელით შორტიმ მავთულს მიუაღერსა და ერთხელ კიდევ მოესიყვარულა ძალაყინს.

– ეჰ, – წაიჩურჩულა მან, – მეც კი დაფიქრდებოდი, ღამით მარხილზე ძალაყინი რომ დამენახა.

მერე დიდი სიფრთხილით დაეშენენ ბორცვზე და როცა სწორზრ გამოვიდნენ, მარხილი ჩრდილოეთით მთავარ ქუჩაზე, სახერხი ქარხნის პირდაპირ, გამოიყვანეს და კიდევ უფრო ფრთხილად აუარეს გვერდი ქალაქის მჭიდრო დასახლებას. გზად არავინ შეხვედრიათ, მაგრამ როცა მიმართულება შეიცვალეს, უკნიდან ვარსკვლავების ციმციმით გაცრეცილ ბინდში სტვენა გაიგონეს.

სახერხი ქარხანა და საავადმყოფო უკან მოიტოვეს და ერთი მეოთხედი მილი სწრაპად გაიარეს. მერე უკან შემობრუნდნენ, და ისევ იმ გამოყვნენ. ასიოდე იარღიც არ ექნებოდათ გავლილი, რომ ცოტას გაწყდა ზედ არ შეასკდნენ ხუთ კაცს, რომლებიც მათ კვალს მგლური ნაბიჯით დადევნებოდნენ. ზურგჩანთების სიმძიმისაგან ყველანი წელში წახრილიყვნენ. ერთ-ერთმა მარხილის მეწინავე ძაღლი შეაჩერა, ხოლო დანარჩენები გარს შემოეხვივნენ.

– იქით მიმავალი მარხილი ხომ არ გინახავთ? – ასეთი იყო პირველი შეკითხვა.

– არა, – უპასუხა სმოკმა, – შენა ხარ ბილ.

– თავს მოვიჭრი, – წამოიყვირა გაოცებულმა ბილ სოლტმენმა, – თუ ეს სმოკი არ იყოს!

– ამ ღამეში აქ რას აკეთებ? – შეეკითხა სმოკი, – სეირნობ?

სანამ ბილი სოლტმენი რამეს უპასუხებდა, ორმა კაცმა მოირბინა და მათ შეუერთდა. მერე კიდევ რამოდენიმე კაცმა მოირბინა და მათ შეუერთდა. მერე კიდევ რამოდენიმე კაცი გამოჩნდა. ხოლო ფაშარ თოვლზე ატეხილი ჭრაჭუნის იმის ნიშანი იყო, რომ კიდევ ბევრი უნდა შემომატებოდათ.

– ვინ არიან შენი მეგობრები? – ჰკითხა სმოკმა, – ოქროს საძებრად ხომ არ მიდიხართ?

სოლტმენმა ჩიბუხს მოუკიდა, რაც, ალბათ, ვერაფერ სიამოვნებას მიანიჭებდა მისი ფილტვების პატრონს ასეთი სირბილის შემდეგ, და პასუხი არ გაუცია. ცხადი იყო ისიც, რა განსაზღვრით გაჰკრა ასანთს (მახილის შეთვალიერება უფრო აინტერესებდა) და სმოკმა შენიშნამ როგორ მიაშტერდა მრავალი წყვილი თვალი მავთულის ხეუფლსა და ძალაყინს. ასანთი ჩაქრა.

– ჭორს მოგკარი ყური. ეს არის და ეს. სულ მითქმა-მოთქმის ბრალია, – მრავალსმეტყველი იდუმალებით წაიღუღლულა სოლტმენმა.

– არ შეიძლება მე და შორტისაც გვითხრათ ეგ ჭორი?

უკან ვიღაცამ გესლიანად ჩაიციხა.

– თვითონ საით გაგიწევიათ? – იკითხა სოლტმენმა.

– თქვენ რა, – შეეტოქა სმოკი, – უშიშროების კომიტეტიდან ხომ არა ხართ?

– არა, უბრალოდ გვაინტერესებს, – უთხრა სოლტმენმა.

– ვერ წარმოიდგენ, ისე გვაინტერესებს! – წამოიძახა ვიღაცამ სიბნელიდან.

– ერთი ეს მითხარით, – ჩაურთო შორტიმ, – ვინ არის თქვენ შორის ყველაზე სულელი?

ყულას ნერვული სიცილი აუტყდა.

– წავიდეთ, შორტი, დროა, – თქვა სმოკმა და ძაღლები გარეკა. მარხილს ზღვა ხალხი დაედევნა.

– გზა ხომ არ გეშლებათ? – გაეცინა შორტის, – ჯერ იქით მიდიოდით, ახლა უკან ბრუნდებით? გეტყობათ, მხარი მოგექცათ.

– ჯანდაბაშიც წასულხართ, – თავაზიანად მიუგო სოლტმენმა, – სადაც მოგვეხასიათება, იქით წავალთ. გზის მანვენებელი არ გვჭირდება.

მარხილი მთავარ ქუჩას დაჰყვა. თავში სმოკი იჯდა, ჭოკი შორტის ეჭირა ხელში. უკან სამოცამდე კაცის ესკორტი მოდიოდა. თვითეულს ზურგჩანთა წამოეკიდა. რაკი დილის სამი საათი იყო, მხოლოდ მოქეიფე ღამისმთევლებმა იხილეს ეს პროცესია და მეორე დღეს მთელს ქალაქს მოჰფინეს ამბავი.

ნახევარი საათის შემდეგ მთა უკვე ავლილი ჰქონდათ. ქოხის კართან ძაღლები გამოუშვეს და სმოცი გამცილებელი გარეთ დარჩა.

– ღამე მშვიდობისა! – გადმოძახა მათ სმოკმა და კარი მიიხურა.

ხუთი წუთის შემდეგ სმოკმა და შორტიმ ინათლე ჩააქრეს, ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ უხმაუროდ ისევ გარეთ გამოვიდნენ და ძაღლები შეაბეს.

– ჰეი, სმოკ! – დაიძახა სოლტმენმა და მათკენ წამოვიდა სიბნელეში თანდათან გამოიკვეთა მისი სილუეტი.

– როგორც ჩანს, ადვილად თავს ვერ დაგაღწევს კაცი, – მხიარულად გაეპასუხა სმოკი, – შენი მეგობრები სადღა არიან?

– დასაღვეად წავიდნენ. თვალის სადევნებლად მე დამტოვეს და რაღა უნდა მექნა. რაღაცას კი გვიმალავ, სმოკ, მაგრამ ხომ იცი, რომ თავიდან ვერ მოგვიშორებ, გვითხარი ბარემ. განა ყველანი შენი მეგობრები არა ვართ?

– არის წუთი, როცა მეგობარს გულის გადაუშლი, – სიტყვა აუგდო სმოკმა, – მაგრამ არის ისეთი წუთიც, რომ სიტყვის თქმაც არ შეგიძლია. და სწორედ მეც ამ მდგომარეობაში ვარ ამჯერად, ბილ, უკეთესია წახვიდე და დაიძინო. ღამე მშვიდობისა.

– არავითარი ღამე მშვიდობისა, სმოკ, გეტყობა, კარგად ვერ გიცვნივართ, ტკიპასავით ვერ მოგვიცილებ.

სმოკმა ამოიხრა.

– რა გაეწყობა, თუ ასე აგიკვირებიათ. თქვენი საქმე თქვენ იცით, წავიდეთ, შორტი, ჩვენც ხომ სულელები არა ვართ, რომ მასავით უსაქმოდ მოვცდეთ.

მარხილის დაძვრა და სოლტმენის დასტვენა ერთი იყო. იგი ძუნძულით გაჰყვა მარხილს. მთის ძირიდან და ვაკედან ზედიზედ რამდენიმე საპასუხო სტვენა გაისმა. მარხილი შორტის მიჰყავდა, ხოლო სმოკი და სოლტმენი ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ.

– ყური მიგდე, ბილ, – უთხრა სმოკმა, – ერთი რამე უნდა გითხრა. თუ გინდა, მარტო შენ შემოდი წილში.

სოლტმენი არ შეყოყმანებულა.

– და ბიჭები მიგატოვო, ხომ? არა, გენაცვალე. ყველა უკლებლივ შემოვალთ.

– მაშინ პირველი შენ იყავი! – წამოიძახა სოკმა და მკლავები წელზე შემოაჭლო, გადახნიქა და გზის იქით ღრმა თოვლში გადააყარო.

შორტიმ ძაღლებს დასტყვივლა და სამხრეთის გზით გარეკა, რომელიც დაქანებულ ფერდობებზე მიმოფანტულ ქოხმახებს შორის დაკეცილიყო დოუსონის მისადმიმებზე.

ერთმანეთს ჩაკრული სოლტმენი და სმოკი თოვლში გორაობდნენ. სმოკს თავისი სიმარდისა და სიმკვირცხლის იმედი ჰქონდა, მაგრამ სოლტმენი მას ორმოცდაათიოდე გირვანქა მაგარი გამოაწვინილი კუნთებით აღემატებოდა და ამით ჯაბნდა – ყოველი გაბრძოლების შემდეგ ზევიდან ექცეოდა სმოკს. სმოკს ისღა რჩებოდა, რომ წინააღმდეგობა აღარ გაეწია და ასე დაესვენა. სოლტმენი სულ იმის ცდაში იყო, როგორმე დაძვრომოდა მოწინააღმდეგეს და გაქცეულიყო, მაგრამ სმოკი ყოველთვის ახერხებდა ხელი წაეტანებინა და დაეთრია, მერე ისევ თავიდან იწყებოდა გაუთავებელი ბღლარძუნი.

– არა, ღონე შენც გაქვს, – აღიარა სოლტმენმა, ათწუთიანი ბრძოლის შემდეგ, როცა, როგორც იქნა, ისევ მკერდზე გადააწვა სმოკს, – მაგრამ მე მაინც ყოველთვის მოგერევი.

– მე მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ აქედან არ გაიშვა, – მიუგო აქოშინებულმა სმოკმა, – როგორმე შეგაყოვნო. ეს არის ჩემი მიზანი. როგორ ფიქრობ, ამ დროს რას უნდა აკეთებდეს შორტი?

ახლა კი მართლა გაიბრძოლა სოლტმენმა, რომ გათავისუფლებულიყო, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. სმოკმა კოჭში სტაცა ხელი მეტოქეს და პირდაპირ თავით ჩააყუდა თოვლში. მთის ძირას რამდენჯერმე გაისმა მოუთმენელი სტვენა, სოლტმენი სწრაფად წამოჯდა და გამაყრუებელი სტვენით გაეპასუხა მეგობრებს. ამ დროს სმოკი ისევ სწვდა, გადმოაბრუნა და მკერდზე დააჯდა. მუხლები მკლავებზე დაჭირა და დახელებით მხრებზე დააწვა. სწორედ ამ დროს მოუსწრეს მათ ოქროსმადიებლებმა. სმოკს სიცილი წასკდა და წამოდგა.

– ღამე მშვიდობისა, მეგობრებო, – შეაგება მან ახალმოსულებს და თავივე დაეშვა. უკან ფეხდაფეხ სამოცი გამძვინვარებული კაცი აედევნა.

სმოკმა ჩრდილოეთისაკენ გაუხვია, სახერხ ქარხანასა და საავადმყოფოს გასცდა, ნაპირ-ნაპირ პატარა ბილიკს ციცილო ბორცვებით „ირმის მთისაკენ“ აჰყვა.

მერე ინდიელთა სოფელს მოუარა და „ირმის წყაროსაკენ“ გაემართა. უცებ უკან მოიხედა და პირისპირ შეეჩეხა თავის მღვერებს.

– თქვენ მე ქანცი გამომაცალეთ, – უთხრა მან ოქროსმადიებლებს და განგებ მოუმატა ქოშინს.

– კი, მაგრამ, ჩვენი ბრალი ხომ არ არის, – თავაზიანად წაიბურტყუნა სოლტმენმა.

– არა, არა, სრულებითაც არა, – განგებ გაახრჭიალა სმოკმა კბილები, გარშემორტყმული ბრბო გაარღვია და დოუსონისაკენ შემობრუნდა. ორჯერ სცადა, ბილიკიდან გადაეხვია და მდინარის დახერგილ ყინულებში გადასულიყო. ოქროსმადიებლებს არც აქ მიუტოვებიათ იგი. მაგრამ სმოკი ბოლოს ისევ დოუსონის ნაპირს გაჰყვა და მთავარ ქუჩაზე გამოლასლასდა. მერე ყინულ-ყინულ გადასჭრა მდინარე კლონდაიკი, კლონდაიკ-სიტიმდე მივიდა და ბოლოს ისევ დოუსონისაკენ შემობრუნდა. რვა საათზე, როცა ნაცრისფრად ინაა, ქანცგაწყვეტილ ბრბოს სლაგოვიჩის რესტორანში შეუძღვა. აქ, დილით საუზმის საათებში, მხოლოდ ბრძოლით თუ დაიჭერდა მაგიდას.

– ღამე მშვიდობისა, მეგობრებო, – გამოემშვიდობა იგი ოქროსმადიებლებს და ფული გადაიხადა.

მაგრამ ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. სმოკი ერთხელ კიდევ დაემშვიდობა მათ მთის ძირში, სანამ თავის ქოხისაკენ აუხვევდა. დღის სინათლეში უკან აღარავინ გაჰყოლია, მხოლოდ თვალით გადააქარეს მთა და ქოხამდე მიაცილეს.

III

ორი დღე სმოკი უმიზნოდ დაბორიალობდა ქალაქში, მაგრამ მკაცრი ზედამხედველობა ერთი წუთითაც არ მოჰკლებია. შორტი არსად ჩანდა თავის მარხილიანა-ძაღვებიანად. ერთ მგზავრსაც არ მოუკრავს მისთვის თვალი იუკონზე, არც ბონანზასა და ელდორადოში ან თუნდაც კლონდაიკში. მხოლოდ სმოკი შერჩათ ხელში, და ისიც, ადრე თუ გვიან, ალბათ, თავის დაკარგულ მეგობარს შეხვდებოდა; და, აი, მთელი ყურადღება ახლა სმოკზე იყო გამახვილებული. მეორე ღამით იგი ქოხიდან აღარ გამოსულა. ცხრა საათზე ღამმა ჩააქრო, ხოლო ღამის ორ საათზე მაღვიძარა მომართა. მეთვალყურეებმა ზარის ხმაც კი გაიგონეს, ხოლო, როცა სმოკი ნახევარი საათის შემდეგ გარეთ გამოვიდა, ქოხიდან უკვე სამოცი კი არა, სამასამდე კაცი მაინც იდგა. იქაურობას ჩრდილოეთის ციალი ანათებდა. სმოკი უზარმაზარი ამალით დაეშვა ქალაქში და „ირმის რქის“ სამიკიტნოში შევიდა. სამიკიტნო წამში გაიტენა. ადგზნებული და გაბრაზებული ბრბო სასმელებს მიეტანა და ოთხი საათი ელოდებოდა მოკს, როდის გაათავებდა კრიბეჯის თამაშს თავის ძველ მეგობარ ბრეკთან. ექვსი საათის შემდეგ, გათენებისას, სახეზე ზიზილითა და თავმობეზრებული კაცის იერით, არასითვის ზედაც არ შეუხედავს, თითქოსდა არც არავის იცნობს, ისე გამოვიდა სმოკი „ირმის რქიდან“ და მთავარ ქუჩას დაადგა. უკან სამასკაციანი არეული ბრბო გაჰყვა გუგუნით:

– მარცხენა, მარჯვენა, ერთი, ორი, სამი!

– ღამე მშვიდობისა, მეგობრებო! – თქვა სმოკმა, როცა იუკონის ნაპირთან მივიდა, მოლიპული ბილიკი აქ ერთბაშად დაბლა ეშვებოდა. – ვისაუზმებ და მერე ალბათ დავიძინებ.

ერთად იგრიალა სამასმა კაცმა.

– ჩვენც შენთან მოვდივართ!

გაყინულ მდინარეს მოეფინენ და დარი-დარა-რასაკენ აიღეს გეზი. დილის შვიდი საათი იქნებოდა, როცა ოქროს მადიებლებს მოკი იმ მიხვეულ-მოხვეულ

ბილიკზე წაუძღვა, რომელიც დიდი ციცაბო ფერდოს გასწვრივ დუაბტ სანდერსონის ქოხთან მიდიოდა. ფანჯარაზე აკრული გასანთლული ქაღალდიდან ლამპის შუქი გამოდიოდა და ბუხრის საკვამურის თავზე კვამლი იხვეოდა. შორტიმ კარი გამოაღო.

– შემოდი, სმოკ, – მიეგება იგი მეგობარს, – საუზმე მზადაა, რა ამბავია ამდენი ხალხი?

სმოკი ქოხის ზღურბლთან ისეუ მოუტრიალდა ხალხს:

– აბა, ღამე მშვიდობისა, ყმაწვილებო. ეჭვი არ არის, კარგი დრო გაატარეთ.

– ერთი წუთით, სმოკ! – დაუყვირა ბილი სოლტმენმა. ხმაზე ეტყობოდა, რომ გაცრუებული იყო, – რაღაც მინდოდა მეკითხა.

– თავიდან მომწყდი! – გადმოსძახა სმოკმა.

– რაში გადაუხადეთ იმ ბებერ სანდერსონს ოცდახუთი ათასი დოლარი. ეს მაინც გვითხარი?

– ძალიან მწყინს, ამას რომ მეკითხები, ბილი, – უპასუხა სმოკმა, – მე აქ მხოლოდ სააგარაკოდ გადმოვედი და შენ და შენმა მეგობრებმა თქვენი უტვინო ცნობისმოყვარეობით სული კინაღამ ამომართვით, მაშინ როცა მე სიმშვიდე, მოსვენება და კარგი ჭამა-სმა მინდა. რაღა აზრი აქვს აგარაკს, თუკი შენს გემოზე ვერ დაისვენებ.

– ჩემს კითხვაზე მაინც არ მიპასუხე, – სიტყვა შეუბრუნა სოლტმენმა.

– და არც ვაპირებ, ჩემო ბილი, ეს ჩემი და სანდერსონის პირადი საქმეა. კიდევ განტერესებს რამე?

– მაშინ ძალაყინსა და მავთულზე რაღას იტყვი, იმ ღამით მარხილზე რომ გეწყო?

– ეგ რა შენი საქმეა, აი, შორტიც აქვია. თუ გინდა თვითონ გითხრას.

– კი, გენაცვალე! – წამოიყვირა შორტიმ და სიამოვნებით ჩაება ლაპარაკში. ის იყო პირი დააღო, რომ უცბად ჩაახველა და მეგობარს გადახედა, – სმოკ, ჩვენში რომ ვთქვათ, რა მაგათი საქმეა ეს ამბავი, შემოდი და სამასი კაცი ბუზღუნ-ბუზღუნით უკმაყოფილო ჯგუფებად დაიშალა.

– კჰ, სოლტმენ, – თქვა ერთმა, – შენ არ იყავი, ზედ თავზე წაგაყენებთო, რომ გვეუბნებოდნი.

– ეგ საიდანღა მოჩმახე, – უსაყვედურა სოლტმენმა, – მე გითხარით, თვითონ სმოკი მიგვიყვანს-მეთქი თავის ფეხით.

– მერე სულ ეს არის?

– რაც შენ იცი, მეც იმდენივე ვიცი. მაგრამ თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ იმ კაცმა მართლა რაღაცა ნახა, აბა, ბიჭო, ისე გადაუხდიდა სანდერსონს ოცდახუთ ათასს. ამ ჭირიან ადგილში ტყუილად ვინ გადაყრის ამდენ ფულს? მთელი ბრბო ერთხმად დაეთანხმა სოლტმენს.

– ჰო, მაგრამ ახლა რა უნდა გააკეთოთ? – ნაღვლიანად იკითხა ვიღაცამ.

– მე კი ერთს ვისაუზმებ და, – მხიარულად თქვა შმაგმა ჩარლიმ, – კარგი რქები კი დაგვაღება, ბილი!

– მე რა შუაში ვარ, – იუკადრისა სოლტმენმა, – ეგ, ძმაო, სმოკს უთხარით. ასეა თუ ისე, ოცდახუთი ათასი ხომ გადაიხადა იმ კაცმა?

IV

დილის ცხრის ნახევარზე, როცა კარგად ინათა, შორტიმ კარი გამოაღო და გამოიჭყიტა.

– ერიჰაა! – წამოიყვირა მან, – ყველა დოუსონში დაბრუნებულა. მე კი მეგონა, ღამეც აქ დარჩებოდნენ.

– შენ მაგის ჯავრი ნუ ქაქვს. მალე აქ გაჩნდებიან, – დაამწვიდდა სმოკმა, – თუ გუმანი არ მატყუებს, ნახევარი დოუსონი მაინც აქ იქნება, სანამ ჩვენ რამეს მოვასწრებდეთ. აბა, ჩქარა, დატრიალდი და მომეხმარე, უნდა მოვასწროთ.

– ოჰ, ღვთის გულისათვის, გამაგებინე, რას ვაკეთებთ, – ჩივილით დაიწყო შორტიმ, როცა ერთი საათის მუშაობის შემდეგ თავიანთ ნახელავს გადახედა: კუთხეში უკვე ჯალამბარი იდგა; დიდი გრძელი ღვედი მას ორმაგ ლილვთან აკავშირებდა.

სმოკმა ჯალამბარი გადაატრიალა და ღვედმაც ჭრიალით შემოურბინა ხის ლილვს.

– შორტი, გარეთ გადი და მოუსმინე ერთი, რას გაგონებს მძიმე ტვირთის ამოსატანად გამზადებული ჯალამბრის ჭრიალი მოისოდა. უცებ შორტიმ თავი დაიჭირა; მისდაუნებურად წარმოდგენელმა ცნობისმოყვარეობამ აიტანა, უნდოდა როგორმე გაეგო, რა სიღრმის უნდა ყოფილიყო მადარო, საიდანაც ჯალამბარს ამგვარი ჭრიალით ამოჰქონდა ტვირთი. წამით ხმაური შეწყდა და შორტიმ ცხადად წარმოიდგინა ამოიზიდულისავსე კასრი. მერე ისევ აოუშავდა ღვედი. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ კასრი ისევ გაუნათდა და კარი შეუღო.

– ყველაფერს მივხვდი, – წამოიძახა მან, – ცოტას გაწყდა, მეც ეჭვი არ შემეპარა. ახლა რა უნდა გავაკეთოთ?

ამის შემდეგ ერთი ათიოდე მარხილი ღორღი შემოათრია ქოხში. კიდევ ბევრი იმუშავებს და იხლაფორთეს იმ დღეს.

– ამ საღამოზე ძაღლებს დოუსონისაკენ გარეკავ, – უთხრა სმოკმა შორტის, როცა ვახშამს მორჩნენ, – ძაღლებს ბრეკთან დატოვებ, ის მოუვლის. შენ თვალს წუთითაც არ მოგაშორებენ, ამიტომ ბრეკი გაგზავნე ალიასკის სავაჭრო კომპანიის საწყობში და რაც დინამიტი აქვთ, აყიდინე. სულ რაღაც სამასიოდე გირვანქა ბურღი გამოართვას. იმის იმედი მაქვს, როგორმე მიახვედრებს მჭედელს, როგორი ბურღები უნდა გააკეთოს. ბრეკს ნურაფერს დაუმაღავ. ყველაფერი დაწვრილებით უამბე, ისე რომ, ხვალ წავიდეს და ოქროს სარეწების ინსპექტორს მოახსენოს. ყველაფერს რომ მორჩები, ათ საათზე მთავარ ქუჩაზე გამოსვალ და მითქმა-მოთქმას სურს დაუგდე. ერთი რამ გახსოვდეს, დიდი აურზაური არ არის საჭირო. დოუსონმა მხოლოდ ყური უნდა მოჰკრას ამ ამბებს და მეტი არაფერი. მე სამ სხვადასხვა ზომის დინამიტს ავაფეთქებ, შენ კი დააკვირდი, რომელი იქნება მათ შორის საუკეთესო.

იმ ღამით ზუსტად ათ საათზე მთავარ ქუჩაზე სასეირნოდ გასულ გაფაციცებულ შორტის უამრავი ცნობისმოყვარე თვალი შესცქეროდა. უეცრად შორტიმ მორეული სუსტი აფეთქება გაიგონა. ნახევარი საათის შემდეგ მეორე უფრო დიდი აფეთქებაც გაისმა, ამან სხვების ყურადღებაც მიიპყრო ქუჩაში. ხოლო მესამე აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ფანჯრებმა ზრიალი დაიწყო და ხალხი გარეთ გამოცვივდა.

– კარგად კი დააფრთხე ის ხალხი, – განაცხადა გულამომჯდარმა შორტიმ, როცა ერთი საათის შემდეგ დარი-დარა-რაზე სმოკთან ქოხში ამოვიდა. შორტიმ მეგობარს მკლავში ხელი ჩასჭიდა, ერთი უნდა გენახა, რა დღეში იყვნენ. ბავშვობაში ჭიანჭველების ბუდე არ დაგინგრევია? აი, სწორედ იმას ჰგავდა დღეს დოუსონი. როცა წამოვედი, მთავარ ქუჩაზე ხალხი ჭიანჭველასავით ირეოდა. იცოდე, ხვალ ამ ქოხს ზღვა ხალხი მოაწყდება. თუ ახლაც, ამ წუთში აქვთ არ მოძვრებოდნენ ისინი, მაშინ პირდაპირ მითხარი, ოქროს მადიებლებისა არაფერი გაგეგება-თქო.

სმოკმა გაიცინა, ყალბ ჯალამბართან მივიდა და დაატრიალა, შორტიმ ქოხს ამოგმანული ღრიტოებიდან ხავსი გამოაძრო, ხალხს რომ შემოეჭვრიტა და სანთელი გააქრო.

– აბა, ჰე, – წაიჩურჩულა მან ნახევარი საათის შემდეგ.

სმოკმა დინჯად გადაატრიალა ჯალაბრის სახელური და ცოტა ხანს შეიცადა. მერე მიწით გავსებულ თუთიის კასრს დასწვდა, ხელში შეაქანა, რომ ღრჭიალი და ჭრიალი აეტეხა და დილით შემოზიდულ დახვავებულ ღორღზე დააგდო. მერე სიგარეტს მოუკიდა.

– სამნი არიან, – წაიჩურჩულა შორტიმ, – ნეტავ დაგენახა, კასრის გაღჭრიალებზე სამივეს კანკალი დააწყებინა. უჟურე, უჟურე, ფანჯრიდან იჭერიტებიან.

სმოკმა სიგარეტი მოქანა და საათს დაანათა.

– წესიერად ვიმუშაოთ, ყოველ თხუთმეტ წუთში უნდა ამოვქანოთ კასრი, – ამოილაპარაკა სმოკმა და საღ კლდეს ჯვალოს სამფენიან ნაჭერში გახვეული სატეხი დაჰკრა.

– დიდებულია, დიდებული! – ამოიკენესა აღძროვანებულმა შორტიმ და ფეხაკრეფით გამღცუხცუხდა, – სამივეს თავი ერთმანეთზე მიუდევს, ლაპარაკსაც მოეკარი ყური.

დილის ოთხ საათამდე თხუთმეტ-თხუთმეტი წუთის გამოშვებით ფრიალებდა ჯალამბარი, გამოჰქონდა კასრი და ისევე ტრიალებდა და ჭრიალებდა. მერე დაუპატიუებელი სტუმრები დოუსონისაკენ გაბრუნდნენ და შორტიმ და სმოკმაც საწოლებს მიაშურეს.

დილის სინათლეზე შორტიმ მოკასინების ნაფეხურები შემოწმა.

– ერთი მათგანი ახმახი ბილ სოლტმენი იყო, – დაასკვნა მან. – ამ უშველებ ნატერფალებს შეხედე ერთი?

სმოკმა მდინარეს გახედა.

– აბა, სტუმრებს შეხვდი. ყინლზე უკვე ორნი გადმოდიან.

– ჰმ, ცხრა საათზე ბრეკი რეგისტრაციაში გაატარებს ჩვენს განაცხადს, შენ მერე ნახე ხალხი!

– ყველა ყვირილს დაიწყებს, „მთავარი ძარღვი“ აღმოაჩინესო, – სიცილი აუტყდა სმოკს, – ბოლოს, როგორც იქნა, ვიპოვეთ კლონდაიკის მთელი სიმდიდრის წყარო.

შორტი ციცაბო კლდის კიდეზე აბობღეულიყო და იქიდან გამოცდილი თვალთ ათვალთებდა საკარმიდამოებად დაყოფილ მიწას.

– მართლაც, ძარღვის ფლატეს ჰგავს აქაურობა, – თქვა მან, – ვისაც რამე გაეგება, ამას თოვლშიც კი შენიშნავს. რა თქმა უნდა ყველას რქები დაედმება, აი, ქანები დაშლილა და მადანიც მოჩანს. რა ყველაფერი ნამდვილსა ჰგავს.

ორმა კაცმა მდინარე გადმოჭრა და ფერდოზე დაკეცილ ბილიკს მადლა ამოჰყვა. ქოხის კარი დაკეტილი მივიდა კართან, მიაყურა და შმაგი ჩარლი მოიხმო. ქოხიდან მძიმედ დატვირთული ჯალამბრის ჭრიალი და კენესა მოისმა. რამდენიმე ხნით ხმაური შეწყდა, მერე ორივემ გაიგონა, როგორ ჩაეშვა კასრი დაბლა და ყრუდ მოხვდა კლდიან ფსკერს. ასე განმეორდა ოთხჯერ. შმაგმა ჩარლიმ ვედარ მოითმინა და კარზე დააკაკუნა. ქოხიდან შემდეგ აქოშინებულმა სმოკმა ღრიჭოდ გამოაღო კარი და გამოიჭყიტა. სტუმრებმა ხალათსა და სახეზე ფხვიერი მიწა შენიშნეს. სმოკი რაღაც საეჭვო გულითადობით მიესალმა მათ.

– ერთი წუთი მომიცადეთ, – დაუმატა მან, – და ახლავე გამოვალ.

მკლავები აიკაპიწა, კარიდან უცბად გამოსხლტა და სტუმრებს თოვლში შეეგება. მოსულებს არ გამოპარვიათ არც მასპინძლის მხრებთან მიწით მოსვრილი და რუხად შეფერილი ხალათი და არც მისი შარძლის გათხუპნული მუხლისთაგები, რომელიც ნაჩქარევად გაებერტყა პატრონს, მაგრამ მთლიანად ჭუჭყი მაინც ვერ მოეშორებინა.

– ძალიან ადრე კი მესტუმრეთ, – შენიშნა სმოკმა, – აქეთ რამ წამოგიყვანათ? ალბათ სანადიროდ წამოხვედით.

– ჩვენ ყველაფერი ვიცით, სმოკ, – დამარწმუნებლად მიუგო შმაგმა, – და მოდი, პირდაპირ ვილაპარაკოთ. აქ შენ რაღაცას წააწყდი, არა?

– თუ ისევ კვერცხს ეძებთ... – დაიწყო სმოკმა.

– მაგას თავი დავანებოთ, ჩვენ საქმეზე მოვსულვართ.

– აბა, საკარმიდამოს საყიდლად მოსულხართ? – მიახალა სმოკმა. –

მშვენიერი ადგილებია, მაგრამ მართალი გითხრათ, ჯერ ვერ გავყიდით. უბნებად არ დაგვიყვია. გამოიარე შემდეგ კვირას, ერთ კარგ ადგილს შენც მოგინახავ. იმ კვირას, მე მგონი, ყველაფერს მივზომ-მოვზომავთ. აბა, ნახვამდის. მაპატიეთ, რომ შინ ვერ შეგიყვანეთ, მაგრამ შორტის ხომ იცნობთ, უცნაური კაცია, მე აქ იმიტომ, ამოვედი, რომ სიმშვიდეს ვეძებდიო, და ახლაც სძინავს. ქვეყანა რომ დაინგრეს, მაინც ვერ გავადვიდებ.

როგორც კი ლაპარაკს მორჩა, სოკმა მაგრად ჩამოართვა ხელი ორივეს და დაემშვიდობა. სტუმრებმა ხელის ჩამორთმევაზე ვერ მოასწრეს რომ მასპინძელი გაბრუნდა და კარი მოიხურა.

ორივემ ერთმანეთს გადახედა და თავი მრავალმნიშვნელოვნად დაიქნია.

– მუხლისთავებზე შეხედე? – გაგუდული ხმით ჩაიჩურჩულა სოლტმენმა.

– რა თქმა უნდა, მხრებზე აღარ იტყვი? მაღაროში ხოხვის დროს

დაითხუპნებოდა. – თქვა შმაგმა ჩარლიმ და თოვლით დაფარული ხევი აათვალიერა. მერე რაღაცას დააცქერდა, გაშტერდა და დაუსტვინა გაოცებისაგან.

– აბა, იქით გაიხედე, ბილ, ჩემს თითს გააყოლე თვალი. ხედავ თხრილს?

ახლა თვალი გამოაყოლე, თუ თხრილს ორივე მხარეს საბადო არ იყოს, თავი მომჭერი. აი, ძარღვიც ამას ჰქვია!

– უჰ, რამსიგრძეა! – წამოიყვირა სოლტმენმა, – ნამდვილად ოქროს მიაგნეს.

– ახლა იმ ფერდს გააყოლე თვალი. ქანები ზევით არის ამოხნეკილი და ქვევითაც ღრმად ეშვება. ფერდი სწორედ ძარღვშია შესული.

– ერთი იქით გაიხედე, ქვევით ბილიკზე, – ხელი გაიშვირა სოლტმენმა, – მგონი, მთელი დოუსონი დაძრულა.

შმაგმაც გაიხედა და დოუსონის შორეული ნაპირის გასწრივ ხალხით შავად დახუნძლული ბილიკი დაინახა. მის ქვევითაც განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა ხალხი.

– სანამ ისინი აქ მოვიდნენ, ერთი ჩავალ და იმ ხერელს დავხედავ, – თქვა მან.

ამდროს ქოხის კარი გაიღო და მისი ორივე ბინადარი გარეთ გამოვიდა.

– ეჰე! – დაიყვირა სმოკმა, – საით მიდიხართ?

– საკარმიდამო გვინდა შევარჩიოთ, – გადმოსძახა შმაგმა, – შენ მდინარეს გახედე, მთელი დოუსონი მოდის მიწის საყიდლად, გვინდა სხვებს დავასწროთ, არა, ბილ?

– ამას რა ლაპარაკი უნდა, – კვერი დაუკრა სოლტმენმა, – ზღვა ხალხი მოაწყდება აქაურობას მოკლე ხანში. მშვენიერი დაბა-ადგილია.

– კი, მაგრამ, ჩვენ იმ მიწის გაყიდვას არ ვაპირებთ, თქვენ რომ თვალში მოგსვლიათ, – უპასუხა სმოკმა, – იმის იქით, ხელმარჯვნივ, ციცაბო ფერდობს იქით იწყება საკარმიდამო მიწები. ეს ნაწილი კი – მდინარის დაყოლებამდე და ფერდობის თავამდე – არ იყიდება; დაბრუნდი!

– ჩვენ კი სწორედ ეს მიწა შევარჩიეთ, – შეეკამათა სოლტმენი.

– მანდ არაფერი გესაქმებათ-მეთქი, გითხარით! – მიკვახედ მოუჭრა სმოკმა.

– კი, მაგრამ, გავლასაც გვიშლი? – არ მოეშვა სოლტმენი.

– ვთქვი და გათავდა. თქვენმა გავლა-გამოვლამ მე თავი მომაბეზრა. უკან დაბრუნდით.

– გეუბნები, ისე გავივლი-მეთქი, – გაჯიუტდა სოლტმენი. – მომყევი, შმაგო.

– გაფრთხილდით, სხვის მიწაზე ძალით ნუ შედიხართ, – უკანასკნელად უთხრა სმოკმა.

– არა უშავს რა, გავისეირნებთ, – მხიარულად შეუბრუნა სიტყვა სოლტმენმა, შემოტრიალდა და გზა განაგრძო.

– ჰეი, შესდექი, ბილ, თორემ თავს გაგიხვრეტ! – დაიქუხა შორტიმ, ორმოცდათხმომეტრისანი რეგოლვერი იძრო და დაუმიზნა. – ერთი ნაბიჯი კიდევ და თერთმეტ ადგილზე გაგიხვრეტ მაგ წაბილწულ ტყავს. გაიგე? სოლტმენი შეჩერდა. აშკარად დაიბნა.

– მგონი, შევაშინე. – წაიბურტყუნა შორტიმ, – მაგრამ მართლა რომ წადგას ფეხი, მაშინ რაღა ვქნა. ხომ ვერ ვესვრი. როგორ მოვიქცე?

– ყური მიგდე, შორტი, ჭკუაზე მოდი, – ვედრებით ამოსძახა სოლტმენმა.

– ამოდი ჩემთან და ჭკუაზე მაშინ მოვალ, – სიტყვა შეუბრუნა შორტიმ. ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა ოქროს მაძიებლეთა პირველი წყება უკვე ამოვიდა დაკეცილი ბილიკით და თავს წაადგა მათ.

– რა კანონის დამრღვევები ჩვენა ვართ, საკარმიდამო ადგილს ვეძებთ მხოლოდ, – უმტკიცებდა შმაგი შორტის. ამ უკანასკნელს კი არაფრის გაგონება არ უნდოდა.

– ამ დაბაში მიწას უკვე ჰყავს პატრონი და სწორედ ეგ ნაკვეთი კერძო საკუთრებაა. გიმეორებ, ეგ არ იყიდება-მეთქი.

V

– აბა, რაც შეიძლება ჩქარა მოვრჩეთ, – წასწურწულა სმოკმა შორტის. – თორემ მერე ვეღარ დავაკავებთ...

– მაგარი გული კი გქონია, თუ მართლა აპირებ მაგათ შეკავებას. – წაილულულა შორტიმ, – ორი ათასმა კაცმა მოიყარა თავი და კიდევ რამდენი მოვა!

საზღვარი ხევის კიდეს მისდევდა და შორტიმაც იქ შეაჩერა პირველი მომხვედურები, ასე თავხედურად რომ ლამობდნენ მის გადალახვას. ხალხთან ერთად დარი-დარა-რაზე ექვსი ნორთვესტელი პოლიციელი და ერთი ლეიტენანტიც ამოვიდა. ამ უკანასკნელს სმოკი ხმადაბლა მოელაპარაკა.

– დოუსონიდან ხალხი კიდევ მოდის, – უთხრა მან. – და მალე აღბათ ხუთი ათასი კაცი მაინც მოგროვდება. საშიში ის არის, რომ ყველა ერთად დავეგვრება მიწის ნაკვეთებს. წარმოიდგინეთ, სულ ხუთი ათასიდან ოთხი ათასი უახლოეს ადგილს წაეპოტინება, ეს არ უნდა მოხდეს, თორემ იმდენი მსხვერპლი იქნება აქ რაც ალიასკის მთელ ისტორიას არ ახსოვს. ამას გარდა, ამ ხუთ ნაკვეთზე უკვე არის განაცხადი და იმათ ველარავინ დაეპატრონება. ერთი სიტყვით, ნაკვეთებისათვის ჩხუბი არ უნდა გაიმართოს.

– აქ რაღაც გაუგებრობაა, მეგობარო! – დაიწყო ხმამაღლა მოკმა, – ჩვენ ჯერაც არა ვართ მზად და მიწას ვერ გავყიდით. არც ქუჩებია დაგეგმილი. იმ კვირას კი დიდ საჯარო ვაჭრობას მოვაწყობთ.

აღშფოთებულმა ხალხმა მოუთმენლად დაიგრიალა და სმოკს სიტყვა გააწყვეტინა:

– ჩვენ არ გვჭირდება დაგეგმილი ადგილები, – წამოიყვირა ვიღაც ახალგაზრდა კაცმა, – რაც მიწის ზევით არის, იმას არ დაგეძებთ, ის უფრო გვაინტერესებს, რაც მიწის ქვეშ არის.

– რა ვიცით, მიწის ქვეშ რა არის, – უპასუხა სმოკმა, – მაგრამ მიწის ზევით რომ კარგი საკარმიდამო ადგილებია, ეს კი ვიცით.

– სწორია, – დაუმატა შორტიმ, – მეუდრო ადგილია და ხედიც მშვენიერი აქვს. ვისაც განმარტობა უყვარს, ის კისრისტეხით გამოიქცევა აქეთ. ამაზე მეუდრო ადგილს მთელ იუკონზე ვერ ნახავთ.

ისევ მოუთმენლად აყაყანდა ხალხი. სოლტმენმა, რომელიც აქამდე გვიან მოსულებს ელაპარაკებოდა, რამდენიმე ნაბიჯი წასდგა წინ.

– ჩვენც აქ ნაკვეთების დასამიჯნავად მოვსულვართ, – წამოიწყო მან, – და ისიც კარგად ვიცით, რაც გააკეთეთ. მიწა ხუთ ნაკვეთად დაჰყავით, აი, იმ ფერდობისა და ხევის გაყოფებით. მაგრამ აქაც ითადლითეთ. თქვენი განაცხადიდან ორი ყალბია. ვინ არის სეთ ბიარსი? ასეთი ვინმე არავის გაგვიგონია. თქვენ კი ერთი ნაკვეთი ამ დილით მის სახელზე გააფორმეთ. მეორე ადგილზე ჰარი მაქსველი ჩასწერეთ. ჰარი მაქსველი კი აქ აღარ ცხოვრობს. სიეტლშია. ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე გადასახლდა აქედან. აი, სწორედ ის ორი ნაკვეთია დასანაწილებელი.

– რა იცი, იქნებ მინდობილობა მაქვს? – დაეკითხა სმოკი.

– არა გაქვს, – მიუგო სოლტმენმა, – თუ გაქვს, ახლავე გვიჩვენე. ბევრი ლაპარაკი არ უნდა, ან ნაკვეთებს ჩვენ გავინაწილებთ. მომყევით, ბიჭებო!

სოლტმენმა სხვების გასამხნეველად პირველმა გადადგა ნაბიჯი საზღვარზე, მაგრამ ამ დროს ლეიტენანტმა ისე დაიქუხა, რომ აზღვავებული ხლების წინა რიგები ადგილზევე გააჩერა.

– შესდევით, განა არ იცით, რომ მაგის უფლება არა გაქვთ!

– რათაო, ვითომ? – იკითხა ბილ სოლტმენმა, – უკანონო აქ რა არის, თუ ყალბად დამიჯნულ ნაკვეთებს ხელახლა გადავანაწილებთ?

– სწორი ხარ, ბილ, მაგრამ დადექი, – გაამხნევა იგი საზღვრის აქეთ მდგარმა ხალხმა.

– ესე იგი კანონიერად ვიქცევით! – შეუტია სოლტმენმა ლეიტენანტს.

– შეიძლება კანონიერიც არის თქვენი საქციელი, – დინჯად უპასუხა ლეიტენანტმა, – მაგრამ მე არ შემიძლია და არც მოგცემთ ამის უფლებას, რომ ხუთი ათას კაცი ორ ნაკვეთს მიაწყდეს, საშინელი ჯგლეთა გაიმართება, ჩვენ მისთვის ვართ აქ, რომ ეს არ მოხდეს. აქ ნორთვესტის პოლიციის სიტყვა კანონია. ვინც ამის შემდეგ ფეხს გადადგამს, ვესვრი. თქვენ კი, ბილ სოლტმენ, უკან დაიხიეთ.

სოლტმენი უხალისოდ გამობრუნდა, მაგრამ აშკარა იყო, აქა-იქ კლდის ძვირებებსა და ლოდებზე შეხორხლილ ხალხში ავისმომასწავებელი მღელვარება მატულობდა.

– ღმერთო ჩემო! – წასწურჩულა ლეიტენანტმა სმოკს, – იმ კლდეს ხალხი ბუზივით დახვევია. პატარა შეხლა-შემოხლა და ასობით კაცი კლდეზე გადაიჩეხება.

სმოკს ტანში გააჟრჟოლა და ზინ გამოვიდა.

– მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ, მეგობრებო, თუ ასე გინდათ საკარმიდამოები, ას-ას დოლარად მოგყიდით, მაგრამ ნაკვეთებზე კენჭი მაშინ სარეთ, როცა ადილს დავგეგმავთ, – ადელვებული ხალხის დასაშოშმინებლად სმოკმა ხელი ასწია, – ადგილიდან არავინ დაიძრას, თორემ ასობით ადამიანი კლდეზე გადაიჩეხება. ბევრი თქვენგანის სიცოცხლე საფოთხეშია.

– სულ ერთია, მიწას ვერსად გადამაღავ, – გაისმა ვილაციის ხმა, – რა თავში ვიხლით შენს საკარმიდამოებს, ჩვენ მიწის დამიჯვნა გვინდა.

– ნუ გავიწყდებათ, რომ მხოლოდ ორი თავისუფალი ნაკვეთია, – განუმარტა სმოკმა, – როცა ის ორიც განაწილდება, დანარჩენებმა რაღა უნდა ჰქნან?

სმოკმა შუბლი სახელთი მოიწმინდა.

– ყველანი წილში შევალთ და თანაბრად გავიყოფთ, – წამოიყვირა ახლა სხვამ.

დანარჩენებმა მისი სიტყვები გრიალით დაადასტურეს, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, რომ სმოკი იმ კაცს წინასწარ შეუთანხმდა, შუბლს რომ მოვიწმენდ, მაშინ დაიყვირო.

– კაცმა ეჩოსავით კი არ უნდა მითალო შენსკენ ყველაფერი – განაგრძო იმავე ხმამ, – ნაკვეთები ყველას გაგვიყავი, მიწაც მოგვეცი და ის სიმდიდრეც, რაც ამ მიწაშია.

– არავითარი სიმდიდრე აქ არ არის-მეთქი, მე თქვენ გვეუბნებით, – ცივი უარი განაცხადა სმოკმა.

– შენ ყველას მოგვეცი ნაკვეთი და ჩვენ ბედსა ვცდით.

– მეგობრებო, ძალას მატანთ და ეგ არის, – მიუგო სმოკმა, – ნეტავ არც ერთ თქვენგანს ფეხი არ მოედგა აქ.

მაგრამ ამას ისე გაუბედავად ამბობდა, რომ ხალხმა ერთი ძლიერი გრიალით აიძულა დათმობაზე წასულიყო. სოლტმენი და წინ მდგომი რამდენიმე კაცი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა.

– ბილ სოლტმენსა და შმაგს ყველასთან ერთად წილში შემოსვლა აარა სურთ, – განუცხაბა სმოკმა ხალხს, – ახლა მითხარით, ვინ თვლის თავისკენ ეჩოსავით?

ამ სიტყვებმა ხალხის თვადში ფასი დაუკარგა ბილ სოლტმენსა და შმაგ ჩარლის.

– კი, მაგრამ მაინც როგორ აპირებთ განაწილებას? — დაეკითხა სმოკი ხალხს, – ყველაფერს მე და შორტიმ უნდა ვადევნოთ თძალი. ეს ადგილი ხომ ჩვენ აღმოვაჩინეთ.

– მართალია! – ერთხმად შესძახა ათასობით კაცმა. – სრული ჭეშმარიტებაა! სწორი აზრია!

– სამი მეხუთედი ჩვენი იქნება, – პირობა წაუყენა სმოკმა ხალხს. – დანარჩენი ორი მეხუთედი კი გაიყავით; თქვენი წილის საფასურიც უნდა გადაიხადოთ.

– დოლარზე ათი ცენტი! – წამოიყვირა ვიღაცამ, – და არავითარი ბეგარა.

– კომპანიის პრეზიდენტი პირადად ჩამოვივლით და ვერცხლის სინით მოგართმევთ დივიდენდებს, – დამცინავად დაუმატა სმოკმა, – ასე არ შეიძლება, მეგობრებო, უფრო საღი თვალთ შევხედოთ საქმეს. ათი ცენტი დოლარზე, – აი, აქედან დავიწყით. მთელი აქციებიდან თქვენ ყიდულობთ ორ მეხუთედს, ესე იგი, ას დოლარიან აქციაზე ათ დოლარს გადაიხდით... აი, ასე კიდევ შეიძლება. თუ არ მოგწონთ, მაშინ მიდით და დასცხეთ ერთმანეთს. ორ მეხუთედზე მეტს ვერაფრით ვერ მოგცემთ.

– მაშინ აქციების შემდგომი გადიდებაარ იყოს! – წამოიყვირა ვიღაცამ, სწორედ ამ ხმამ ბრბოს კოლექტიური სული ერთი აზრით შეჰკრა.

– თქვენ სულ ხუთი ათასი ხართ და წილიც ხუთი ათასი იქნება, – ხმამაღლა განაცხადა სმოკმა, – ხუთი ათასი კი თორმეტი ათას ხუთასის ორი მეხუთედი. ამიტომ დაბა დარი-დარა-რას კაპტალი მილიონ ორს ორმოცდაათი ათას დოლარს შეადგენს. ესე იგი სულ თორმეტი ათას ხუთასი აქცია უნდა იყოს. თითოზე ასი დოლარით. თქვენ კი, მეგობრებო, აქედან ხუთი ათასი აქცია მიგაქვთ და თითოში ათ დოლარს იხდით. თუ არ გინდათ, ჯანდაბამდის გზა ნქონიათ. თვითონა ხართ მოწმე, რომ ვქვენ მაიძულებთ, თორემ ამ პირობებს არ გადიგებდით.

რაკი სმოკს ორი ყალბი განაცხადი და ყალთაბანდობაში დაიჭირეს, ხალხმა აირჩია კომიტეტი და სახელდახელოდ დაბა-დარი-დარა-რას აქციონერთა კომპანიაც შექმნა. კომიტეტმა დოუსონში აქციების გავრცელებაზე უარი განაცხადა, ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი, ვინც ამ აბვს იქ არ ესწრებოდნენ, მეორე დღეს დოუსონში ქვეყანას დააქცევდნენ აქციების

განაწილების დროს. აქვე, მთის ძირში ყინულზე დანთებული ცეცხლის პირას კომიტეტმა ხელწერილები დაურიგა თითოეულ ოქროსმადიებელს იმაზე, რომ მიიღო მათგან ათი დოლარი ოქროს ქვაშა, რამდენიმე სასწორი საგანგებოდ მოიტანეს დოუსონიდან.

დაბინდებისას ყველაფერი მოთავდა და მალე სმოკისა და შორტის გარდა დარი-დარა-რაზე აღარავინ დარჩა; ისინი ვახშმად ისდდნენ თავიანთ ქოხში და სიცილს ვერ იკავებდნენ, როცა აქციონერთა სიებს ათვალეერებდნენ. სიებში ოთხი ათას რვაას სამოცდაათოთხმეტი გვარი ეწერა. აქვე იყო ოქროს ქვიშით გატენილი პარკებიც. მათი ვარაუდით, პარკებში სულ ორმოცდარვა ათას შვიდას ორმოცი დოლარი უნდა ყოფილიყო.

– ბოლომდე მაინც ვერ მიიყვანე საქმე, – შენიშნა შორტიმ.

– ისიც მალე მოვა, – დარწმუნებით მიუგო სმოკმა, – ის ხომ მუქთა ფულის გიჟია და როცა ბრეკი ყურში რაღაცას ჩააწვეთებს, რომ კვდებოდეს, მაინც მოვა აქ.

ერთი საათის შემდეგ კარზე კაკუნი გაისმა და შმაგი ჩარლი შემოვარდა. მას ბილი სოლტმენიც ახლდა. მათ სწრაფად მოავლეს თვალი იქაურობას და ზეწრებით საკულდაგულოდ შეფუთვინილ ჯალამბარზე შეაჩერეს მხერა.

– ვთქვით და მე ათას ორასი აქცია მოვითხოვე, – განმარტავდა შმაგი ნახევარი საათის შემდეგ, – იმ ხუთი ათას აქციასთან ერთად დღეს რომ გაჰყიდეთ, სულ ექვსი ათას ორასი იქნება. თქვენ მაინც დაგრჩებათ ექვსი ათას სამასი, კონტროლიც თქვენც ხელში იქნება.

– კი, მაგრამ, ასე რატომ გაგავიჟა ჩვენმა დაბამ? – იკითხა შორტიმ.

– ეგ შენ ჩვენზე უკეთესად იცი, და ჩვენში რომ დარჩეს, – მიუგო შმაგმა, და თვალეები შეფუთვინილი ჯალამბარისკენ გაექცა, – მართლაც რომ მშვენიერი დაბაა.

– ბილიც რაღაცას მოითხოვს, – ჩაიდუღუნა სმოკმა, – ჩვენ კი ხუთასზე მეტს ვერაფრით ვერ მოგცემთ.

– შენ რამდენი შემოგაქვს? – ჰკითხა შმაგმა სოლტმენს.

– დაახლოებით ხუთი ათასი დოლარი, მეტს ვედარ მოვუყარე თავი.

– შმაგო, – განაგრძო სმოკმა დუდღუნითა და ნაწყენი კილოთი, – მე რომ კარგად არ გიცნობდე, ამ სულელურ აქციებს არც კი გაჩვენებდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერც მე და ვერც შორტი ხუთასზე მეტს ვერაფრით ვერ გავცემთ, თითოში ორმოცდაათი დოლარს გადაიხდი. ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა. და თუ არ მოგწონთ, კარგად იყავი. ბილი აიღებს ასს, ოთხსასი შენი იყოს.

მეორე დღეს დოუსონმა სიცილი დაიწყო. პირველად სიცილი დილით, გათენებისას წასკდათ, როცა სმოკმა ალიასკის სავაჭრო კომპანიის საწყობის განცხადების დაფაზე ქაღალდის ფურცელი გამოაკრა. უკანასკნელი ჰიკარტის მიმაგრებაც ვერ მოასწრო, რომ ირგვლივ შემოხვეულ ხალხს ხარხარი აუტყდა. მალე განცხადებების დაფას უამრავი ხალხი მიადგა და იმის საშუალებაც აღარ ჰქონდათ, რომ რამე გაერჩიათ. ხალხმა ყვირილი ატეხა და მკითხველიც გამოჰყვეს. მთელი დღის განმავლობაში ბევრსა ხვდა წილად ხმამაღლა წაეკითხა სმოკ ბელიუს განცხადება. მათ შორის ბლომად იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც რამდენჯერმე მოისმინეს იმ თოვლსა და სუსსში მისი შინაარსი, რათა კარგად დაემახსოვრებინათ ყველაფერი, რაც იქ ეწერა:

„დაბა დარი-დარა-რას კომპანია აჯამებს თავის შედეგებს. ეს არის მისი პირველი და უკანასკნელი ბალანსი.

თითოეულ აქციონერს, ვინც იტყვის შესწიროს ათი დოლარი დოუსონის მთავარ საავადმყოფოს, შეუძლია მიიღოს მისი კუთვნილი ფული პირადად შმაგი

ჩარლისაგან, ხოლო თუი მას უარით გამოისტმურებენ, იგი დაუყოვნებლივ მიიღებს ფულს სმოკ ბელიუს ხელით.

შემოსავალი და გასავალი

4874 აქციიდან 10 დოლარზე48.740 დ.ც.
დუაიტ სანდენსონს დაბა დარი-დარა-რას მიწისთვის10.000 ,,
შემთხვევითი ხარჯები: სახელდობრ, დინამიტი, ბურღები, ჯალამბარი, ოქროს
სარეწების სამმართველოს გადასახადი და სხვა 1.000 ,,
დოუსონის მთავარ საავადმყოფოს.....37.740 ,,

სულ: 48.740 ,,

ბილი სოლტმენისაგან მიღებულია საგანგებოდ ნაყიდი 100 აქციიდან თითო 50
დოლარ-ცენტად.....5.000 ,,

შმაგი ჩარლისაგან მიღებულია საგანგებოდ ნაყიდი 400 აქციიდან თითო 50
დოლარი-ცენტად.....20.000 ,,

ბილ სოლტმენს მიეცა დაბა დარი-დარა-რაზე მოწყობილი ალიაქოთში
დამსახურებისათვის.....3.000 ,,

სმოკ ბელიუსა და ჯეკ შორტის კვერცხის საქმეში დაკარგული ფულის
ანაზღაურებისათვის და მორალური ზარალისათვის17.000 ,,

სულ:25.000 დ.ც.

დარჩენილია 7126 აქცია. ეს აქციები, რომლებიც ეკუთვნით სმოკ ბელიუსა და
ჯეკ შორტის, დოუსონის ყველა მოქალაქეს შეუძლია შეიძინოს უფასოდ,
პირველივე მოთხოვნით, ვისაც გამოცვლა უნდა და სურს დატკბეს დაბა დარი-
დარა-რაში განმარტოებითა და მყუდროებით.

შენიშვნა: განმარტოება და მყუდროება გარანტირებულია ყოველთვის და
სამარადისოდ დაბა დარი-დარა-რას ტერიტორიაზე.

(ხელის მოწერა) სმოკ ბელიუ, თავმჯდომე
(ხელის მოწერა) ჯეკ შორტი, მდივანი“.

ქალის საიდუმლო

I

– შენ რაღაც ცოლის თხოვას აღარ ჩქარობ, – შენიშნა შორტიმ, როდესაც
რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ საუბარი განაახლა.

სმოკს პასუხი არ გაუცია. მატყლის საბნის კიდეზე იჯდა და თოვლში
ზურგზე გადაწვენილ აწკავწკავებულ ძაღლს თათებს უსინჯავდა. შორტიმ
ჯოხის წვერზე ჩამოცმული ოხშივამოკიდებული მოკასინი ცეცხლს მოუნაცვლა
და მეგობარს სახეში ჩააშტერდა.

– ერთი ჩრდილოეთის ციალს შეხედე, – განაგრძო მან, – რა ცვალებადია, გაუტანელი ქალივით, თავში რომ ცხრა ქარი უტრიალებს. თუ ქალი სულელი არ არის, ქარაფწუტა მაინც უნდა იყოს. მერედა როგორ ჰგვანან ველანი კატებს, პატარებიცა და დიდებიც, ლამაზებიცა და მახინჯებიც. მაგრამ თუ კაცებს შეუჩნდნენ და შეიყვარეს, მაშინ გაავებუღ აფთრებსა და დამშეულ ლომებს დაემგვანებიან ხოლმე.

ისევ შეწყდა შორტის მონოლოგი. სმოკმა თავში ჩაჰკრა ხელი ძაღლს, როცა მან კბენა დაუპირა, და ისევ მის დაქუქილ და გასისხლინებულ თათებს დაუწყო კირკიტი.

– ფუჰ! – ხელახლა გააბა შორტი, – რომ მოვინდომო, განა მართლა ვერ ვითხოვ ცოლს? იქნებ ძალითაც შემოეჩეჩებინათ ბალი, დროზე რომ არ მეშველა თავისთათვის. სმოკ, აღარ მკითხავ, რამ გადაგარჩინა-თქო? რამ და ქარივით სირბილმა. მაინტერესებდა, რომელი კაბიანი დამეწეოდა.

სმოკმა ძაღლი გაუშვა და ცეცხლთან მიფიცხებულ ჯოხებზე წამოგებულ თავის მოკასინებს მიუბრუნდა.

– ხვალ მთელი დღე მოკასინები უნდა ეკეროთ ძაღლებისთვის, – გადაჭრით თქვა მან, – თორემ მთლად დაექუვათ ფეხები.

– გზა მაინც უნდა განვაგრძოთ, – შეუბრუნა სიტყვა შორტი, – უკან დასაბრუნებლად არც საჭმელი გვეყოფა. თუ ამ დღეებში ირმებს ან თეთრ ინდიელებს არ გადავეყარეთ, მაშინ ძაღლებს დაგუწყებთ ჭამას და მათ დაექუქილ ფეხებსაც ჩავახრამუნებთ. ნეტავ თეთრი ინდიელები ვინმეს თუ უნახავს? ან რანაირი თეთრი უნდა იყოს ინდიელი? მაშინ მოდი და შავკანიანებსაც თეთრი დაუძახე. სმოკ, ხვალ აუცილებლად უნდა დავიძრათ, შენც კარგად იცი, ამ კვირაში კურდღლის კვალი რა არის, ისც არ გვინახავს, არა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, თავი უნდა დავადწიოთ ამ დაწყველილ მხარეს. ისეთ ადგილზე მაინც გავიდეთ, ხორცი იშოვებოდეს.

– ერთი დღე რომ დავასვენოთ, ძაღლები უკეთესად ივლიან, – უთხრა სმოკმა, – რომ მოიცალო, ერთი სადმე გორაკზე გადი და მოათვალიერე აქაურობა. საცაა ალბათ იმ სწორ ვაეზე გავალთ, ლა პერლმა რომ მიგვასწავლა; ხომ გახსოვს.

– უჰ, ლა პერლი, თვითონ არ მოგვიყვა, რომ ამ ადგილებში ათი წლის წინ ყოფილა და შიმშილს ისე გაუოგნებია, თვითონაც არ იცოდა, რას უყურებდა თურმე. არ გახსოვს, მთის წვერზე უხარმაზარი დროშები ფრიალებდო, რომ ჰყვებოდა? ახლა ხომ მიხვდი, რა ჭკუაზეც იყო. თვითონვე არა თქვა, არც ერთი თეთრი ინდიელი არ მინახავსო. ეგ ამბები ენტონმა მოჩმახაო. თანაც ნუ დაგავიწყდება, რომ ენტონი ორი წლის წინ გაუდგა საიქიოს გზას, სანამ ჩვენ ალიასკაში მოვიდოდით. მე მაინც წავალ და მოვათვალიერებ აქაურობას. რა იცი, იქნება ცხენ-ირემიც მოვათრიოთ საიდანმე, რას იტყვი, არ დავიძინოთ ახლა?

II

მთელი ის დილა სმოკი ქოხში ძაღლის მოკასინების კერვასა და მოსართავეების შეკეთებას მოუნდა. შუადღისას ხორცი შეწვა, თავისი ულუფა შეჭამა და შორტის დაბრუნებას დაელოდა. ერთი საათის შემდეგ თხილამურები დაიმაგრა და მეგობრის კვალს გაჰყვა. გზა მდინარის კალაპოტს აღმა ვიწროებს მიუყვებოდა და ცხენ-ირემების საძოვარ ტრიალ მინდორზე გადიოდა. მაგრამ შემოდგომას აქეთ, პირველი თოვლის მერე, ერთი არ უნახავთ ამ ადგილებში. შორტის თხილამურების კვალი მინდორს სჭრიდა და პატარა გორაკს მიჰყვებოდა. სმოკი ქედზე შეჩერდა.

„ნეტავ რამდენ მგზავრს მოუქციეს მხარი ჩემამდე ამ მრისხანე მთებმა, – ფიქრობდჟა სმოკი, – მართალია, ღა პერლს უკან არ დაუხევიან, მაგრამ მან აღმოსავლეთიდან გადმოჰკვეთა „სალი კლდეების“ კალთები

სმოკს შუალამემდე ენთო უზარმაზარი ცეცხლი, რომ შორტის გზა გამოეგნო. დილით, როგორც კი ინათა, ბანაკი აშალა, ძაღლები შეაბა და კვალს გაუყვა. ვიწროებში მეწინავე ძაღლმა ყურები ცქციტა და აწკმუტუნდა. ცოტა ხნის შემდეგ სმოკი მისკენ მომავალ ექვს ინდიელს გადააწყდა. ისინი უმარხილოდ, მსუბუქად მოდიოდნენ. ზურგზე სალაშქრო ჩანთები ეკიდათ. ისე სწრაფად შემოერთვნენ გარს, სმოკი სახტად დარჩა. აშკარა იყო, მას დაექებდნენ. ისიც მალე გამოირკვა, რომ ისინი არც ერთ იმ ენაზე არ ლაპარაკობდნენ, რომლის თითო სიტყვა მაინც გაეგებოდა სმოკს და არც თეთრი ინდიელები იყვნენ, თუმცა იუკონის აუზის ინდიელებზე უფრო მალეები და ღონივრები ჩანდნენ. ხუთი მათგანი ჰუფონის ყურის კომპანიის ძველებური გრძელტარიანი მუშეკებით ისო შეიარაღებული. მექვსეს კი მისთვის კარგად ნაცნობი ვინჩესტერი ეჭირა ხელში.

ინდიელებს ბევრი არ ულაპარაკიათ, ისე დააპატიმრეს სმოკი. უიარაღო სმოკს ისღა დარჩენოდა, რომ დამორჩილებოდა. მარხილზე დადებული ტვირთი ინდიელებმა ჩანთებში დაინაწილეს, სმოკს კი ფუთა აჰკიდეს, რომელშიც მისი და შორტის ბეწვის საბნები იყო გამოკრული. მერე ძაღლები გამოხსნეს, ხოლო როცა სმოკმა პროტესტი განაცხადა, ერთ-ერთმა ინდიელმა მინიშნებით მიახვედრა, რომ წინ სამარხილო გზა არ იყო. სმოკს აღარაფერი უთქვამს, მარხილი მდინარის პირას თოვლში ჩაფლა და ინდიელებს მძიმე ნაბიჯით გაჰყვა.

პირველი ღამე იმ ადგილას გაათიეს, სადაც რამდენიმე დღით ადრე, ეტყობოდა, სხვებიც მდგარიყვნენ. ინდიელებმა აქ ორაგულის შაშხი და ხორცის ნაჭრები ნახეს და თავიანთ ჩანთებში გადაუძახეს. ამ ადგილიდან თხილამურების მრავალი კვალი მიდიოდა. სმოკი მიხვდა, რომ ისინი შორტის დამტყვევებელს ეკუთვნოდა. სანამ შებინდებოდა, სმოკმა შორტის თხილამურების კვალიც გაარჩია. იგი ინდიელთა თხილამურებზე უფრო წერილი იყო. ხოლო, როცა ინდიელებს მიუთითა კვალზე, მათ თავი დაუქნიეს და ჩრდილოეთისაკენ გაიშვირეს ხელი.

შუადღისას მთის გაყინული ნაკადის ფართო კალაპოტს დაჰყვნენ, ჩაუარეს თოვლში ჩამარხულ წნორებსა და გაშიშვლებულ ვერხვებს, გადმოსჭრეს ხშირი ჭალები და ერთ დიდ ბანაკს მიადგნენ, ხუთასამდე ნაცეცხლარი შეამჩნია, და მიხვდა, რომ ამ ბანაკში ათასობით კაცი უნდა მდგარიყო. ბანაკიდან უამრავი ახალთახალი ნაკვალევი გადიოდა, თოვლი ისე დატკეპნილიყო, რომ სმოკმა და მისმა მეგზურებმა თხილამურები მოიხსნეს მოკასინების ამარა უფრო სწრაფად განაგრძეს გზა. მგლის ადა ჯიქის ნაფხურებიც ბევრი ხვდებოდათ, რაც იმას მიანიშნებდა კაცს, რომ ეს კარგი სანადირო ადგილი იყო. უცებ ერთმა ინდიელმა აღტაცებისაგან წამოიყვირა და თოვლში გაშლილ ტრიალ მინდორზე მიუთითა, რომელიც ირმების გაპრიალებული თავის ქალებით იყო მოფენილი. გათელილი და აჩიქნილი თოვლი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს აქ დიდი ბრძოლა მომხდარიყოს. სმოკი მიხვდა, რომ უკანასკნელი თოვლის შემდეგ მონადირეებს აურაცხელი ნადირი დაეხოცათ.

უკვე ბინდი იდგა, მაგრამ არავინ მომზადებულა ღამის გასათევად. წყვილიადი ძალას იკრებდა, ინდიელები კი მტკიცედ მიიწვედნენ წინ.

უწესრიგოდ მიმობნეულ კარძებს რომ მიუახლოვდნენ, ყურთასმენისწამლები ღრიანცელი ზღვის ტალღასავით შემოეგება მათ. მერე ეს ყვირილისა და მისალმებების, შეკითხვებისა და პასუხების, დაცინვისა და შეხუმრების ტალღა მოსულთ თან აედევნა. აღმუვლებული ქოფაკები რისხვით ებგერნენ სმოკის უცხო ძაღლებს, მათ დავდავს ინდიელთა ქალების დამტუქსავი შეძახილი, ბავშვების სიცილი და ხითხითი, ჩვილების კნავილი და ავადმყოფთა კვნესა შეუერთდა. ეს

იყო იმ ველური და პირველყოფილი ხალხის ჯოჯოხეთური გუგუნი, რომელმაც არ იცოდა, რა იყო ნერვები.

მეგზურებმა კეტებითა და თოფის კონდახებით მოიგერიეს ქოფაკები, ხოლო სმოკის ძაღლებს, რომლებიც ასე შეაშინა აურაცხელი მტრის გამოჩენამ, მრისხანედ აეშალათ ბეწვი, იღრინებოდნენ და თავინთ მფარველ ინდიელებს ფეხებზე ეკვროდნენ.

ახალმოსულები დატკეპნილ თოვლზე დანთებულ ცეცლთან შეჩერდნენ. იქ შორტი და ორი ახალგაზრდა ინდიელი ჩაცვუცქულიყვნენ და ირმის ხორცის გრძლად აქნილ ნაჭრებს წვაავდნენ. ნაძვის ტოტებზე ტყავებში გახვეული სამი დაინახეს, ინდიელები წამოჯდნენ. შორტიმ მეგობარს გადმოსხედა, მაგრამ ახალგაზრდა ინდიელის მსგავსად, წარბიც არ შეუხრია. თითქოსდა არაფერი, ისევე ხორცს მიუბრუნდა.

– რა დაგემართა? – გაბრაზდა სმოკი, – ენა ხომ არ ჩაგივარდა?

შორტის ჩვეული ღიმილით დაედრიჯა სახე.

– არა, – მიუგო მან, – მეც ინდიელი ვარ. ვცდილობ ინდიელებივით გულგრილი გავხდე. როდის დაგიჭირეს?

– შენი წამოსვლიდან მეორე დღეს.

– ჰმ, – ჩაიცინა შორტიმ და თვალები ძველებურად აუკიაფდა. – ჩემი საქმე კარგად მიდის, უარესს ვერც ინატრებ. აქ ყველა უცოლშვილო ვართ, – მან ხელი გაშალა, რომ სმოკისათვის ეჩვენებთან კოცონებსა და თოვლზე გაფენილი ნაძვის ტოტების საწოლების, ირმის ტყავის ვიგვამებისა, ნაძვის დაწნული ტოტებისა და ტირიფის წკნელების ქარსაფარების დიდებულება. – აი, თვითონ უცოლოებიც, – მან ახალგაზრდა ინდიელებზე მიუთითა, მერე რამდენიმე ხორხისმიერი სიტყვა წარმოთქვა და ამით ინდიელებს თვალებსა და ბაგეებზე ღიმილი მოჰგვარა. – შენი მოსვლა აქ ძალიან გაუხარდათ, სმოკ, დაჯექი, მოკასინები გაიშრე, მე კი ამასობაში საჭმელსაც მოგიმზადებ. ხომ კარგად ვლაპარაკობ ამათ ენაზე. სმოკ, არც შენ გაწყენს მისი სწავლა, როგორც ჩანს, კარგა ხანს, მოგიწევს აქ ყოფნა. აქ ერთი თეთრკანიანიც არის, ირლანდიელია. ექვსი წლის წინათ მოიყვანეს თურმე, „მონების დიდ ტბასთან“ დაუჭერიათ. დენი მაკ-კენს ეძახიან. ოჯახს მოჰკიდებია და უკვე ორი შვილიცა ჰყავს. მაგრამ თუ შემთხვევა მიეცა, სიამოვნებით აითესება. ცეცლს ხომ ხედავ იქ ცხოვრობს.

– ყური მიგდევ, სმოკ, მგონი მაგრად გაგებით და ასე ადვილად თავს ვერ დავიძვრეთ. ესენი, რომ იტყვიან, მართლა წმინდა წყლის ველური ინდიელები არიან. თვითონ არ არიან თეთრკანიანები, მაგრამ ბელადი თეთრი ჰკავთ. ისე ლაპარაკობს, თითქოს პირში ცხელი ფაფა ჰქონდეს. პირწავარდნილი შოტლანდიელია. თუ ვცდები, მაშინ შოტლანდიელებიც შოტლანდიელები არ ჰყოფილან. ამ ბრბოს მთავარი ბელადიცა და ღმერთიც თვითონ არის. მისი სიტყვა კანონია. დენი მაკ-კენი ექვსი წელია გაქცევას აპირებს. დენი კარგი ბიჭია, რომ იცოდევ, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხებია. აქედან გასასვლელი გზაც კარგად იცის, ერთხელ, ნადირობისა დროს დაუმახსოვრებია. ჩვენ რომ მოგვიყვანეს, იმის დასავლეთით არის თურმე. იმედნი გამბედაობა არ ყოფნის, რომ მარტო გაიქცეს. მაგრამ სამივე ერთად რაღაცას მოვახერხებთ. წვერიანი მაგარი ვაჟკაცია, მაგრამ სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს.

– წვერიანი ვინდაა? – დაეკითხა სმოკი და მოლოდინში ცხელი ხორცის ჭამა წამით შეწყვიტა.

– ვინ არის და ამათი ბელადია, – შოტლანდიელი-მეთქი, რომ გეუბნები, დაჩანჩანაკებულა უკვე. ახლა ალბათ სძინავს, ხვალ გნახავს და უბრალოდ დაგიმტკიცებს, რომ მის სამფლობელოში შენ მხოლოდ საცოდავი ლიფსიტა ხარ. ყველაფერი მას ეკუთვნის. ეს აზრი მაგ გოგრაში უნდა შეუშვა. ეს ადგილები არც არავის გამოუკვლევი და არც არავინ იცის, მისი ბატონ-პატრონი თვითონ

არის. იმედი გქონდეს, რომ ამას არაფრით დაგაგიწყებს. აქ ალბათ ოცი ათასი კვადრატული მილის სანადირო ადგილია, და სულ მისია. აი, სწორედ ეგ არის თეთრი ინდიელი და კიდევ მისი ქალიშვილი... ჰმ! რას მიყურებ? მოიცადე, შენი თვალთ ნახავ, კარგი გოგო კი არის, მამსავით, ესე იგი წვერიანივით, თეთრია. ირმებს აღარ იტყვი? ჩემი თვალთ ვნახე. ჯოჯში ერთი ათასი მსუქანი ირემი მაინც იქნებ. მარტო ათასი ათასამდე მგელი და ლელიანის კატა დასდევს უკან. დაუძღვრებულებს იტაცებენ და ნამუსრევსაც კარგად შეექცევიან. ნამუსრევი ბევრი გვრჩება. ჯოჯი აღმოსავლეთისაკენ მიდის და ჩვენც დღე-დღეზე დავიძვრებით. ხარ-ირემებს ვჭამთ და რასაც ვერ ვერევი, ვშაშხავთ, გაზაფხულისთვის ვიმარაგებთ, სანამ თევზის ჭერის დრო დადგებოდეს. დამიჯერე, სმოკ, რამდენიც წვერიანს ორაგულებისა და ირმების გაეგება, იმის ნახევარიც არავის ეცოდინება მთელ ქვეყანაზე.

III

– აი, წვერიანიც. ისე მოდის, თითქოს რაღაცა აწუხებდეს, – წასწორეულა შორტომ, მარხილის ბანჯგვლიან ძაღლს გადასწვდა და მის ბეწვზე ქონიანი ხელები შეიწმინდა.

დილა იყო. ცეცხლის პირას ჩაცუცქული უცოლოები მადიანად შეექცეოდნენ შემწვარი ირმის ხორცს. სმოკმა თავი ასწია და პატარა გამხდარ კაცს მოჰკრა თვალი. ტანზე ტყავი ეცვა ველურივით, მაგრამ ნამდვილი თეთრკანიანი იყო. იგი უოცონისაკენ წამოვიდა, უკან თორმეტიოდე ინდიელი გამოჰყვა. სმოკმა ძვალი გადაკვნიტა, ცხელი ტვინი გამოწუწუნა და მისკენ მომავალი მასპინძელი ყურადღებით ააათვალთქვა. კვამლისაგან შეყვითლებული ხშირი წვერი და ნაცრისფერი თმა სახეს თითქმის მთლიანად უფარავდა, თუმცა ჩაცვნილი და დამჭნარი ღოყები მაინც მოუჩანდა. „გამხდარია, მაგრამ ჯანმრთელი უნდა იყოს“, – გაიფიქრა სმოკმა, როცა თვალი მოჰკრა მის გაბერილ ნესტოებსა და ფართო მკერდს, რაც მის დიდ სასიცოცხლო ძაღლსა და სიჯანსაღეზე მეტყველებდა.

– გამარჯობათ, – თქვა მან, – ხელთათმანი წაიძრო და ხელი გამოუწოდა, – სნასი, – დასძინა მან, როცა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

– ბელიუ, – მიუგო სმოკმა და რაღაც განსაკუთრებული უხერხულობა იგრძნო, როცა მასპინძელს გამჭოლ შავ თვალეში ჩახედა.

– როგორც ვხედავ, საჭმელი არ გაკლიათ.

სმოკმა თავი დაუქნია და ძვლის ტვინი ამოწუწუნა. სნასის შოტლანდიური ჟღერტული ესიამოვნა მის ყურს.

– უხეში საჭმელია, მაგრამ, სამაგიეროდ, იშვიათად ვშიმშილობთ, ქალაქურ დელიკატესებს მაინც სჯობია.

– გეტყობათ, ქალაქს ვერ იტანთ, – სიცილით მიუგო სმოკმა, მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ეთქვა, მაგრამ ძაღზე გაოცდა, როცა მისმა სიტყვებმა მასპინძელს სულ შეუცვალა სახე.

უმწეო მცენარესავით შეირხა და აცახცახდა. მერე თვალეში საშინელი, ენით გამოუთქმელი ტკივილით გამოწვეული ველური ზიზღი და სიძულვილი ჩაუდგა. უცბად შეტრიალდა, თავს ძალა დაატანა და თითქოს არაფერიო, ისე გადმოსძახა:

– ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, მისტერ ბელიუ, ირმები აღმოსავლეთისაკენ მიდიან. მე დავწინაურდები და ბანაკისათვის ადგილს შევარჩევ. თქვენ კი ყველანი ხვალ წამოხვალთ.

– აი, ესეც წვერიანი, – წაიბურტყუნა შორტიმ, როცა სნასი და მისი თანმხლებნი იქაურობას გაშორდნენ და ხელები ერთხელ კიდევ შეიწმინდა ქოფაკზე, რომელმაც დიდი სიამოვნებით აილოკა ბეწვი.

IV

ცოტა ხნის შემდეგ სმოკი ბანაკში სახეციალოდ წავიდა, ბანაკი ჩვეულებრივად ფუსფუსებდა. ის იყო მონადირეების დიდი ჯგუფი დაბრუნდა და კოცონებთან გაიფანტა. ქალები და ბავშვები მსუბუქ მარხილებში ძაღლებს აბამდნენ და ნანადირევის მოსატანად მიდიოდნენ. უკან კი ახალი, მაგრამ მაინც შეყინული ხორცი დატვირთულები ბრუნდებოდნენ. ადრეული გაზაფხულის სუსხი იდგა, ველურები ოცდაათგრადუსიან ყინვაში საქმიანობდნენ. ქალებს ცეცხლის პირას ხორცი გამოჰყავდათ. დედების ზურგზე მიკრული ბაღლები იქაურობას მრგვალი თვალებით ათვალიერებდნენ და ქონის ნაჭრებს ღოღნიდნენ. მგლის მსგავსი ძაღლები სმოკის დანახვაზე საშინლად იბურძღვებოდნენ და ყურადღებით ყნოსავდნენ უცნობს, მაგრამ სმოკს ხელში პატარა კეტი ეჭირა და ძაღლები ძალაუნებურად შინაურივით ექცეოდნენ ახალმოსულს.

ბანაკის შუაგულში სმოკი პირადპირ სნასის კოცონს მიადგა. სადგომი დროებითი იყო, მაგრამ მტკიცედ ნაგები. სხვებზე გაცილებით უკეთესი ჩანდა. ახერგლილ შემახე ისე ეყარა დაკეცილი და დაგრაგნილი ტყავები და მოსართავეები, რომ ძაღლები ვერ მისწვდნოდნენ. დიდი ბრეხენტი კარავით იყო გადაჭიმული ისე, რომ მის ქვეშ დაძინებაც შეიძლებოდა და ცხოვრებაც. იქვე ახლოს, აბრეშუმის კარავი იდგა, რაც ასე ძალიან უყვართ მკვლევარებსა და ნადირობის ტრფიალთ. სმოკს ასეთი რამ თავის დღეში არ ენახა. მაშინვე მისკენ გასწია. უცბად კარავის კალთა გადაიხსნა და იქიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. ისეთი სწრაფი იყო მისი მოძრაობა, და ისე მოულოდნელი მისი გამოჩენა, რომ სმოკი თვალებს არ უჯერებდა. ეტყობოდა, გოგონაც გაოცებული იყო. რამდენიმე წამს, ისინი უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

ქალმ ბეწვეული ემოსა, მაგრამ ასეთ მოხდენილსა და ძვირფას ტყავის სამოსს სმოკი ვერასოდეს წარმოიდგენდა. ქალის პარკა უკან გადაგდებული თავსაბურავით რაღაც უცნაური ღია ვერცხლისფერი ბეწვისა იყო. მუკლუკს სელაპის ტყავი ჰქონდა გამოკრული და ჯიქის მოვერცხლისფერო თათებისაგან იყო შეკრული. ჩამოშავებულ სახელოებსაც და წვივსაკრავებსაც ღია ვერცხლისფერი დაჰკრავდა და გამჭირვალე სუსხიან ჰაერში ციმციმებდა. ამ მოციმციმე ვერცხლში მაღალ კისერზე ლამაზი თავი შემართულიყო – ცისფერი თვალები, მოვარდისფრო ღაწვები და ყურები, რომლებიც ნიჟარებს უფრო ჰგავდნენ. მის ღია წაბლისფერ თმას ყინულის უცხო ბზინვარება და ჭირხლი მოჰკიდებოდა.

სმოკს თავი სიზმარში ეგონა. ბოლოს გამოერკვა და ხელი ქუდისაკენ გაექცა. უცბად ქალის თვალეში აღბეჭდილი გაოცება ღიმილად იქცა. ქალმა სწრაფად და ცოცხლად გაიძრო ხელთათმანი და სმოკს ხელი გაუწოდა.

– გამარჯობათ, – წაიბურტყუნა მან ხამდაბლა რაღაც უცნაური და სასიამოვნო აქცენტით. მის ხმასაც ვერცხლი ერეოდა თითქოს. ინდიელ ქალთა ხრინწიან ყვირილს შეჩეული სმოკი ამ ხმამ გააოცა.

სმოკმა რაღაც წაილულულა, ფრაზები, რომელიც მაღალ საზოგადოებაში მიღებული მანერების დაუბედავი მოგონებაა იყო.

– სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, – აუღელვებლად განაგრძობდა ქალი, სიტყვებს ეძებდა და ღიმილს ვერ იკავებდა, – მაპატიეთ, გეთაყვა, ინგლისურად

კარგად ვერ ვლაპარაკობ. მაგრამ მეც თვენსავით ინგლისელი ვარ, – მეტისმეტად დამარწმუნებელი კილოთი განაცხადა მან, – მამაჩემი შოტლანდიელია. დედა გარდამეცვალა. ის ფრანგიც იყო და ინგლისელიც, ნაწილობრივ – ინდიელიც. მამამისი დიდ კაცად ითვლებოდა ჰუდონის ყურის კომპანიაში. უჰ, ძალიან ცივა, – ქალმა ხელთათმანი სასწრაფოდ წამოიცივა და გათეთრებული ყურები მოისრისა, – მოდით, ცეცხლთან მივიდეთ და იქ ვილაპარაკოთ. მე ლაბისკვი მქვია. თქვენ რა გქვიათ?

ასე გაიცნო სმოკმა ლაბისკვი, სნასის ქალიშვილი, რომელსაც სნასი მარგარეტს ეძახდა.

– სნასი მამაჩემი ნამდვილი სახელი არ არის, – უთხრა მან სმოკს, – სნასი ინდური სახელია.

ბევრი რამ შეიტყო სმოკმა იმ დღეს, და შემდეგშიც, როცა ბანაკი აიყარა და ირმების კვალს გაჰყვა. ისინი მართლაც ის ველური ინდიელები იყვნენ, რომლებსაც რამდენიმე წლის წინათ ენტონი გადაეყარა და გაქცევით დაადწია თავი. აქვე მახლობლად მათი სანადირო ადგილების დასავლეთი საზღვარი გადიოდა. ზაფხულობით ისინი ჩრდილოეთით, ყინულოვანი ოკეანის ნაპირების გაყოლებით, ტუნდრებისაკენ მიიწვედნენ და აღმოსავლეთით მდინარე ლუსკვამდე მიდიოდნენ. რაც შეეხებოდა ლუსკვას, სმოკმა ვერაფერით გაიგო, რომელი მდინარე უნდა ყოფილიყო იგი. ამის ახსნა ვერც ლაბისკვიმ შეძლო და ვერც მაკკენმა. ხანგამოშვებით სნასი ყველაზე მაგარ მონადირეებს შეარჩევდა და აღმოსავლეთისაკენ გასწევდა ხოლმე, საღ კლდეებს გადაივლიდა, ტბებსა და მაკენზის მდინარეს ჩაუვლიდა და მწირ მიწებში ჩავიდოდა. სწორედ ამ მიდამოებში უკანასკნელი მგზავრობის დროს იპოვეს ის აბრეშუმის კარავი, რომელიც ახლა ლაბისკვის სადგომი იყო.

– იგი მილისენტისა და ედბერის ექსპედიციას ეკუთვნოდა, – უთხრა სნასმა სმოკს.

– ოჰ, კარგად მახსოვს. ორივენი დომბებს გამოუდგნენ თურმე, მაგრამ შემდეგ მაშველმა ექსპედიციამ ვერც ერთი კვალს ვერ მიაგნო.

– ისინი მე ვიპოვე, – უთხრა სნასმა. – ორივე მკვდარი იყო.

– ახლაც არაფერი არ იციან. ვერაფერი გაიგეს.

– ვერც გაიგებდნენ, – ღიმილით დაამშვიდა სნასმა.

– ესე იგი, ცოცხლებისათვის რომ მიგესწროთ...

სნასმა თავი დაუქნია.

– ჩვენთან დარჩებოდნენ.

– ენტონი ხომ გაგექცათ, – გამომწვევად მიუგო სმოკმა.

– ენტონი? ასეთი სახელი არ მახსოვს. როდის მოხდა ეს?

– თოთხმეტი თუ თექვსმეტი წლის წინათ, – უპასუხა სმოკმა.

– მაშ, მაინც დაგვიძვრა, არა? მე კი ძალიან მაინტერესებდა მისი ამბავი. ჩვენ მას „გრძელ კბილს“ ვეძახდით. მაგარი კაცი იყო, ძალიან მაგარი.

– ათი წლის წინათ ამ მხარეში ღა პერლმაც გაიარა.

სნასმა თავი გაიქნია.

– თქვენ ბანაკის კვალს წააწყდა. ზაფხული ყოფილა.

– მაშინ გასაგებია, – უპასუხა სნასმა, – ჩვენ ზაფხულობით ჩრდილოეთში ვართ. ასეული მილის მოშორებით.

როგორ არ ეცადა სმოკი, მაგრამ მაინც ვერ შეიტყო სნასის წარსული.

განათლებული კაცი ჩანდა, თუმცა ვინ იცის, რამდენი წელიწადი იყო არც წიგნი წაეკითხა. არც გაზეთი. არ იცოდა, რა ხდებოდა ქვეყანაზე და არც სურვილი ჰქონდა სცოდნოდა. გაგონილი ჰქონდა კლონდაიკის ციებ-ცხელებისა და ოქროსმაძიებელთა ამბავი იუკონზე, მაგრამ ოქროსმაძიებლების საზღვრები და

ეს ძალიან ახარებდა. გარე სამყარო მაინც არ არსებობდა მისთვის. მას ხსენებასაც კი ერიდებოდა.

ვერც ლაბისკვიმ უთხრა სმოკს რაიმე სნასის წარსულზე. ლაბისკვი აქ, მონადირეთა სადგომში, დაიბადა. დედა მაშინ გარდაეცვალა, როცა ექვსი წლისა იყო. დედამისი ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. – ერთადერთი თეთრკანიანი ქალი იყო, როდემელიც ოდესმე მინახავს, – გულისტკივილითა და მწუხარებით იმეორებდა ლაბისკვი ერთსა და იმავეს. მან იმ დიდი სამყაროს არსებობაც იცოდა, რომელსაც მამამისი სამუდამოდ განერიდა. მაგრამ ეს მისი საიდუმლოება იყო, კარგად ესმოდა, რომ ამის უბრალო ხსენებაც კი აშმაგებდა მამამისს.

ენტონ თურმე ერთ ინდიელ ქალს უამბო ლაბისკვის დედის ამბავი. ექვა, მამამისს დიდი თანამდებოდა ჰქონდა ჰუძონის ყურის კომპანიაშიო. ყოველივე ეს ლაბისკვის მერე იმ ინდიელი ქალისაგან გაეგო. მაგრამ დედის სახელი მაინც ვერავენ უთხრა.

დენი მაკ-კენისაგან აგერ ცხრა წელიწადი იყო ამ ველურებთან ერთად დაეხეტებოდა. ადრე სან-ფრანცისკოში ცხოვრობდა. ერთხელ დაათვრეს და ვეშამამჭერ გემზე შეიტყუეს. ბაროს კონცხზე სამ ამხანაგთან ერთად გემიდან გაიქცა. ორი გზაში გარდაიცვალა, მესამემ კი მიატოვა, როცა სამხრეთისაკენ დიდის გაჭირვებით მიიკვლევდნენ გზას. ორი წელიწადი ესკიმოსებთან ცხოვრობდა. ძალას იკრებდა, რომ სამხრეთისაკენ დიდის გაჭირვებით მიიკვლევდნენ გზას. ორი წელიწადი ესკიმოსებთან ცხოვრობდა. ძალას იკრებდა, რომ სამხრეთისაკენ საშინელი მგზავრობა გაეებდა. და ის იყო, ჰუძონის ყურის კომპანიის უახლოეს პუნქტამდე რამდენიმე დღის სავალია დარჩა, რომ სნასი ახალგაზრდა მონადირეებმა შეიპყრეს. მაკ-კენი პატარა, გონებაჩლუნგი კაცი იყო, თვალების ტკივილს უწიოდა. სულ იმაზე ოცნებობდა და ლაპარაკობდა, როგორ დაბრუნებულიყო თავის საყვარელ სან-ფრანცისკოში და ისევ თავის საქმისათვის, კალოტოზობისათვის მოეკიდა ხელი.

V

– თქვენ ერთადერთი განათლებული კაცი ხართ, რომელიც კი ჩვენთან ოდესმე ყოფილა, – უთხრა სმოკს სნასმა ერთ სადამოს ცეცხლის პირად, – მოხუც ოთხთვალას თუ არ ჩავთვლით. ეს სახელი მას ინდიელებმა შეარქვეს. ახლომხედველი იყო და სათვალეს იკეთებდა. ზოლოლოგიის პროფესორი იყო. (სმოკმა შენიშნა, რომ სნასმა ეს სიტყვა ზუსტად გამოთქვა). ერთი წელია, რაც გარდაიცვალა. ჩემმა ბიჭებმა პორკუპაინის ზედაწელთან დაატყვევეს. ექსპედიციას ასცდენოდა. მართლა განათლებული კაცი იყო, მაგრამ ცოტა შტერიც. ყოველთვის მხარი ექცეოდა ხოლმე. გეოლოგია კარგად ესმოდა და ლითონებშიც ერკვეოდა. მდინარე ლუსკვაზე ქვანახშირი მოიპოვებოდა, იქ რამდენამდე მშვენიერი სამჭედლოც გაგვიმართა. თოფების შეკეთებაც შეეძლო და ახალგაზრდებსაც ბევრი რამ ასწავლა. შარშან გარდაიცვალა, ძალიან მოგვაკლდა მისი ხელი. ბანაკიდან რაღაც ერთი მილის მოშორებით მხარი ეცვალა და თოვლში გაიყინა. ასე დაიდუბა საწყალი.

იმავე სადამოს სნასმა სმოკს უთხრა:

– გირჩევნიათ საცოლვე მონახოთ და საკუთარი კერა გაიჩინოთ. ეს უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ახალგაზრდა მონადირეებთან ხეტიალი. ჩვენთან ასეთი წესია: შუა ზაფხულში, როცა ორაგული დაიძვრება. ქალიშვილები ცეცხლს ანთებენ – ამას ქალწულების დღესასწაულს ეძახიან – და საქმროებს ირჩევენ. თუ თქვენ გინდათ, შემიძლია ეს დღესასწაული დავაჩქარო.

სმოკმა გაიცინა და თავი გაიქნია.

– ნუ დაგაგიწყდებოდა, – აუღელვებლად დაასკვნა სნასმა, – რომ ენტონი ერთადერთი იყო, რომელმაც აქაურობას თავი დააღწია. ეტყობა იღბლიანი იყო, მართლაც ბედმა გაუღიმა.

არა ერთხელ ეთქვა ლაბისკვის სმოკისათვის, რომ მამამისს რკინის ნებისყოფა ჰქონდა.

– ოთხთვალა მას გაყინულ მეკობრეს უწოდება. არ ვიცი, ეს რა ნიშნავს. ყინულის ტირანსაც ეძახდა, პირველყოფილ მხეცსა და გამოქვაბულის დათვისაც, ირმების მეფესა და წვერიან ავაზასაც. და კიდევ ბევრ სხვა სახელს. ოთხთვალას ძალიან მოსწონდა ასეთი სიტყვები. ინგლისურიც მან მასწავლა. ყოველთვის ხუმრობდა. ძვერაფერს გაუგებდით. როცა გავბრაზდებოდი, თავის მეგობარ ჯიქს ეძახდა, რას ნიშნავს ეს? ყოველთვის ასე მაბრაზებდა ხოლმე.

სმოკს ვერაფრით ვერ გაეგო, როგორ შეეძლო ამ მოწიფულ ქალს ასეთი გულუბრყვილო, ბავშვური ტიტინი.

ღიახ, მამამისი შეუდრეკელი კაცი იყო. ყველას ეშინოდა მისი. ყველას თავზარს სცემდა, მაჩუ-ზღარბებისა და ლუსკვას ტომების მეშვეობით სნასი ფაქტორიებში ტყავებს ასადებდა და იმ ფულით ტყვია-წამალსა და თამბაქოს იმარაგებდა. გულწრფელად ენდობოდა მეზობლებს, მაგრამ მაჩუ-ზღარბების ბელადმა მოტყუება დაუწყო. ორჯერ გააფრთხილა იგი სნასმა, ბოლოს სოფელი გადაუწვა და ოციოდე კაცი ბრძოლაში დაუხოცა. მერე კი ველარ ბელადენ სნასის გაცურებას. ერთხელ, როცა ლაბისკვი ჯერ კიდევ პატარა იყო, ერთმა თეთრკანიანმა გაქცევა სცადა და მოჰკლეს. არა, თვითონ მამამისმა კი არ მოჰკლა თავისი ხელით, ახალგაზრდა მონადირეებს მოაკვლევინა. ჯერ არც ერთ ინდიელს არ შეუბრუნებია მისთვის სიტყვა.

და რაც უფრო მეტს უყვებოდა სმოკს ლაბისკვი, სულ უფრო და უფრო მიუწვდომელი ხდებოდა მისთვის სნასის საიდუმლოება.

– ერთი მითხარით, მართალია, – ეკითხებოდა ლაბისკვი, – რომ ქვეყანაზე იყო ერთი ქალი და კაცი, რომელთაც პაოლო და ფრანჩესკა ერქვათ და მათ ერთმანეთი ძალიან ჯყვარდათ?

სმოკმა თავი დაუქნია.

– ეს ოთხთვალამ მიამამბო, – ქალმა აღარ იცოდა, რა ექნა სიხარულით. – ესე იგი, თვითონ არ შეუთხზავს. მე კი მართალი ვითხრათ, არ მჯეროდა. მამასაც ვკითხე, მაგრამ, უჰ, ძალიან გამიბრაზდა. როგორც მერე ინდიელებმა მითხრეს, მამას თურმე ძალიან გაუღანძღავს ოთხთვალა. ტრისტანი და იზოლდაც, არა... მგონი ორი იზოლდაც კი იყო. ძალიან ნაღვლიანი ამბავია. მაგრამ ასეთი სიყვარული მეც მინდა. ასე უყვართ თქვენს ქვეყანაში ერთმანეთი ქალებსა და კაცებს? ჩვენთან კი – არა. აქ მხოლოდ თხოულობენ და თხოვდებიან. აქ თითქოს სიყვარულისათვის არცა სცალიათ. მე ინგლისელი ვარ და ინდიელს არასოდეს არ გაყვები: თქვენ რას მეტყვით? ჩემი საქალწულო ცეცხლი აქამდე იმიტომ არ ამინთია. ბევრმა ახალგაზრდამ მოაბეზრა თავი მამას, რომ ცეცხლი დამენთო. ღიბაშმაც კი სთხოვა. ღიბაში დიდი მონადირეა. მაჰკუკი არასოდეს უაიმღეროდ არ ჩამივლის. სასაცილოა. ამაღამ შებინდებულზე რომ ჩემს კარავთან მოხვიდეთ, მის სიმღერასაც გაიგონებთ ამ სიცივეში. მამა კი მეუბნება, როგორც შენ ვინდოდეს, ისე მოიქეციო. მე ცეცხლს არ ვანთებ. იცით, როცა ქალი გათხოვბევას გადასწყვეტს, ცეცხლის დანთებით ატყობინებს ამას ახალგაზრდებს. ეს წესი ძალიან მოსწონდა ოთხთვალას. მაგრამ თვითონ მაინც არ უთხოვია ცოლი. ეს შეიძლება სიბერის ბრალიც იყო. ბევრი თმა არა ჰქონდა, მაგრამ არა მგონია, ღრმა მოხუცებული ყოფილიყო. როგორ უნდა მიხვდეთ, როცა შეყვარებული ხართ? ისე ხართ შეყვარებული, როგორც პაოლო და ფრანჩესკა?

სმოკი დააბნია ქალის ცისფერი თვალების სიწმინდემ.

– იცით, როგორც ამბობენ, – წაიღუდლუდა მან ბოლოს, – ვისაც უყვარს, იგი სიყვარულს სიცოცხლეს ამჯობინებს. როცა ქალი ან კაცი მიხვდება, რომ შეყვარებული ყველას ურჩევნია... საერთოდ ასე ხდება, მაგრამ ამის ახსნა მაინც ძნელია. ამას მხოლოდ გრძნობენ, ეს არის და ეს.

ლაბისკვიმ ცეცხლის ბოლქვებად დამდგარ კვამლს გახედა. ამოიოხრა, და ისევ მიჰყო ხელი ბეწვის ხელთათმანის ამოკემსვას.

– ეჰ, – განაცხადა მან, – ყოველ შემთხვევაში, მე არასოდეს არ გავთხოვდები.

VI

– თუკი ერთხელაც იქნა და აქედან როგორმე გავიქეციოთ, თავქუდმოგლეჯილი სირბილი მოგვიწევს, – თქვა შორტიმ წუხილით.

– მართლაც რომ დიდ ხაფანგში ვართ გამომწვედელი. – დაეთანხმა სმოკი.

მოტიტვლებული მთის წვერიდან მათ სნასის თოვლში ჩაფლულ სამფლობელოს გადახედეს. აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან იქაურობას კლდის წვერები და უსასრულო მთაგრეხილი ერტყა. ჩრდილოეთისკენ კი ბოვრცვიანი ზეგანი ცის დასალიერში იკარგებოდა. მაგრამ მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ მხარესაც კი გზაზე ექვსიოდე მთაგრეხილის გადალახვა მაინც მოუწევდათ

– წლის ამ დროს მე შემიძლია სამი დღითაც გაგიშვაო წინ, – უთხრა სნასმა სმოკს იმ საღამოს. – ხომ იცით, რომ კვალს ვერეფრით დამალავთ. ენტონი მაშინ გაიქცა, როცა თოვლი აღარ იღო. ჩემი ახალგაზრდა მონადირეები არაფერში ჩამორჩებიან თქვენებურ საუკეთესო მეთხილამურებს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ჩვენები თქვენს გაკვალულ თოვლში ივლიან. როცა თოვლი გალხვება, რაღაც გზას გამოვნახავ, რომ თქვენც ენტონივით გაქცევა არ დააპიროთ. აქ მშვენივრად ვცხოვრობთ. ქვეყანას მალე დაივიწყებთ, მე დღემდე მიკვირს, რა ადვილად შეუძლია კაცს უიმისოდ ცხოვრება.

– ხელში შემიკლა დენი მაკ-კენმა, – ეუბნებოდა სმოკს შორტი. – გზაში კაპიკი იქნება მისი ფასი, მაგრამ იფიცება, დასავლეთის გზა კარგად ვიცეო. მე მგონი, უნდა შეუთანხმდე, სმოკ, თუ ხიფათს არ გინდა გადაეყარო.

– მარტო მე? განა ყველა ერთ ტაფაში არ ვიწვიო? – უპასუხა სმოკმა

– არა, ჩემო კარგო, შენ განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყო.

– ვითომ რატომაო?

– არ გაგიგია არაფერი?

სმოკმა თავი გააქნია.

– უცოლშვილოებმა გადმომცეს. იმათაც ეს-ეს არის ვიდაცასგან გაიგეს. წესიტ რამდენიმე თვის შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაგრამ თურმე ამაღამ აწყობენ.

სმოკმა მხრები აიხეჩა.

– არ გაინტერესებს, რა ხდება? – განგებ აღიზიანებდა შორტი.

– მითხარი ბარემ.

– რა და დენის ცოლმა უთხრა უცოლშვილოებს, – შორტი მრავალმნიშვნელოვნად შეჩერდა წამით, – და, რა თქმა უნდა, უცოლშვილოებმა მე გადმომცეს, რომ საქალწულო კოცონებს ამაღამ ანთებენ. აი, რა ხდება. შენ მაინც როგორ მოგწონს, ეს ამბავი?

– მაინც არ მესმის, შორტი, რისი თქმა გინდა?

– არ გესმის, ხომ? კი მაგრამ, რა არის აქ გაუგებარი და ბუნდოვანი? ერთ ქალს თვალი უჭირავს შენზე და სწორედ მას უნდა შენთვის კოცონის დანთება.

ამ ქალს ლიბისკვის ეძახიან. ეჰ, ოამდენჯერ მომიკრავს მისთვის თვალი, შენ რომ გიყურებდა. კოცონი აქამდე არ დაუნთია, ამბობდა, ინდიელს არასოდეს არ გავყვებიო. რაკი ახლა კოცონის დანთება გადასწყვიტა, რა თქმა უნდა, რომ ჩემი საწყალი მეგობრისათვის დაანთო.

– შენ მართალს უნდა ამბობდე, – უპასუხა სმოკმა და გულზე დარდი შემოაწვა. მოაგონდა, როგორ იქცეოდა ლიბისკვი ამ ბოლო დროს.

– ამას ლაპარაკი არ უნდა, – გაუმეორა შორტიმ. – ასე არ არის ყოველთვის? ჩვენ გაქცევაზე ვფიქრობდით და აჰა, აქაც ქალი შემოგვეჩხირა, მოვა და ყველაფერს აურევს. ეჰ, იცოდე, საქმე მართლა გაფუჭდება, სმოკ.

სამი მოხუცი ქალი მაკ-კენის კართან შეჩერდა, უცოლშვილოების ბანაკის შორიხლო, და მათ შორის უხუცესი ჩახრინწული მწივანა ხმით რაღაცის ლაპარაკს მოჰყვა.

სმოკმა სახელები კი გაარჩია, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგო. შორტიმ შემდეგი გადმოუთარგმნა მწარე ღიმილით:

– ლიბისკვი, დიდი ბელადის, წვიმის მომყვანის, სნასის ქაიშვილი, ამ ღამით თავის პირველ საქალწულო კოცონს ანთებს. მაკა, მგლის მდეურის, იუიტის ქალიშვილი...

ასე გადათვალეს მაცნეებმა თორმეტიოდე ქალწულის სახელი. მერე სამივენი ბანაკში შევიდნენ, რათა ყველასათვის ეუწყებინათ ეს ამბავი.

უცოლშვილოები, რომლებმაც ახალგაზრდული ფიცით შეკრეს პირი ქალს თავის დღეში არ დალაპარაკებოდნენ, გულგრილად მოეკიდნენ ამ ამბავს, და უფრო აშკარად რომ გამოეხატათ თავიანთი ზიზღი, იქვე შეუდგნენ იმ შორეული მგზავრობისათვის მზადებას, რაც მათ თვითონ სნასმა დაავალა, თუმცა გამგზავრება მეორე დღისთვის ჰქონდათ განზრახული. მოხუცი მონადირეების აზრით, იმ მიდამოებში მაინცდამაინც ბევრი ირემი არ უნდა ყოფილიყო. სნასი კი არ ერწმუნა მათ ვარაუდს. მისი ფიქრით თუ ირემი მართლა ასე იშვიათი იყო ამ მხარეში, მაშ, ჯველგა ორად გაყოფილა? ჰოდა, ჩრდილოეთსა და დასავლეთში გაფანტული ორმების კვალს უცოლშვილოების ჯგუფი გაუყენა.

ლიბისკვის გადაწვეტილებით აწრიალებულმა სმოკმა გამოაცხადა, მეც უცოლშვილოებს გავყვებიო, მაგრამ ჯერ შორტის და მაკ-კენს მოელაპარაკა.

– შენ იქ მესამე დღეს უნდა იყო, სმოკ, – უთხრა შორტიმ, – ჩვენ კი საჭმელს წამოვიღებთ და ძალებსაც წამოვასხამთ.

– არ დაგაგიწყდეს, თუ ერთმანეთს ავცდით. გზა განაგრძეთ და იუკონზე გადადით. ამას ლაპარაკი არ უნდა. თუ თავი დაადწევთ, ჩემს წასაყვანად ზაფხულში ამოდით, ხოლო მე თუ გამიმართლა, მაშინ მე ამოვალ.

მაკ-კენი ცეცხლის პირას დადგა და თვალით ერთ ციცაბო მთაზე ანიშნა დასავლეთისაკენ, სადაც მაღალი მიუძალი მთაგრეხილები სწორზე გამოდიოდა.

– აი, ის არის, – თქვა მან, – სამხრეთის მხრიდან მდინარე ჩამოუდის. დინებას აღმა უნდა აყვავთ. მესამე დღეს თქვენც შემოგვიერთდებით. სადაც არ უნდა გამოსვიდეთ, იმ წყალზე ჩვენ თუ არა, ჩვენ კვალს მაინც წააწყდებით.

VII

მაგრამ სმოკს არ გაუმართლდა, მესამე დღეს უცოლშვილოებმა მიმართულება შეიცვალეს. იმ დროს, როცა შორტი და მაკ-კენი თავიანთი ძალებით მდინარის აღმა მიიკვლევდნენ, სმოკი და უცოლშვილოები დათქმული ადგილიდან სამოდიოდე მილის მოშორებით ჩრდილოეთით ირმების მეორე ჯოგის კვალს წააწყდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ თოვლის ფანტელებით შუბურდ მწუხრში ისინი ბანაკში დაბრუნდნენ. ცეცხლს რომ ჩაუარეს, ერთმა ინდიელმა ქალმა

გოდება შეწყვიტა და სმოკისაკენ გამოექანა. გაბორბლებულ ქალს თვალები უელავდა, მწარედ იწყევლებოდა და ხელებს ტყავში გახვეული უმოძრაო საგნებისაკენ იშვერდა, რომელიც ჯერ კიდევ მარხილზე იდო.

სმოკი გუჟანით მიხვდა, რაც მოხდა და როცა მაკ-კენის ცეცხლს უახლოვდებოდა, ის იყო ახალი წყველა-კრულვისათვის მოემზადა, რომ თითონ მაკ-კენი დაინახა, მაკ-კენი იჯდა და დიდის გულმოდგინებით შეექცეოდა ირმის ხორცს.

– მე მეომარი არა ვარ, – აწუწუნდა იგი. – შორტი კი გაიქცა, თუმცა მის დევნას ისევ განაგრძობდნენ. ჯოჯოხეთური ბრძოლა გაუმართა ინდიელებს. თუმცა რად გინდა, მაინც დაიჭერენ. ორი დასჭრა, მაგრამ ისინიც მალე მომჯობინდებიან. ხოლო ერთს შიგ გულში ჩააჭდა ტყვია.

– ვიცი, – უთხრა სმოკმა, – მოკლულის ქერივი შემხვდა.

– სნასს თქვენთან ლაპარაკი სურს, – დასძინა მაკ-კენმა, – ბრძანა, როგორც კი დაბრუნდება, ჩემს კოცონთან მოვიდესო. არ გაგიმხელთ. კარგად დაიმახსოვრეთ, რომ თქვენ ამ ამბისა არაფერი იცით. ჩვენ ჩვენი სურვილით გავიქეციით.

სნასის კოცონთან სმოკი ლაბისკევის შეეყარა. მის თვალებში მან იმდენი სითბო და ალერსი დაინახა, რომ ცოტა არ იყოს შეეშინდა კიდევ.

– როგორ მიხარია, რომ თქვენც არ გაიქეციით, – თქვა მან, – ხედავთ მე... – იგი შეყოყმანდა, მაგრამ თვალები არ დაუხრია. შიგ ჩამდგარი შუქი ოდნავადაც არ შერხეულა, – კოცონი დავანთე, რა თქმა უნდა, თქვენთვის დავანთე. ჩემი დროც დადგა. მე თქვენ ყველას მირჩევენხართ ქვეყანაზე. მამაზე უფრო მეტადაც მიყვარხართ. ათას ლიბაშსა და მაჰკუკშიც არ გაგცვლით. მე შეყვარებული ვარ. რა უცნაურია, მეც ისეთივე შეყვარებული ვარ, როგორც ფრანჩესკა და იხოლდა. ოთხთვალა მართალს ამბობდა, ინდიელებმა არ იციან ასეთი სიყვარული, მაგრამ მე ცისფერი თვალები მაქვს და თეთრკანიანი ვარ. ჩვენ ხომ ორივენი თეთრები ვართ.

ქალისაგან ასეთი რამ თავის სიცოცხლეში არ გაუგია სმოკს და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. უფრო მეტიც, ეს ქალის თხოვნასაც არ ჰგავდა, რადგან სმოკს თანხმობასაც არ ეკითხებოდნენ.

ლაბისკევის ისე ცხადად და მარტივად ჰქონდა ეს წარმოდგენილი და იმდენი სითბო იღვრებოდა მისი თვალებიდან, რომ სმოკს გაუკვირდა კიდევ, რატომ აქამდე არ შემოაჭდო ქალმა მკლავები კისერზე და მის მკერდზე არ მიესვენა. მერე მიხვდა, რომ მიუხედავად ასეთი უბიწოებისა და გულუბრყვილო სიყვარულისა, ქალმა არ იცოდა სიყვარულის იღუმალი გზები და უტკბილესი ალერსი. არავის არ სჭირდებოდა ასეთი რამ პირველყოფილთა შორის და იგი მისთვისაც უცხო იყო.

ქალი ღუღუნებდა და თავისი სიყვარულის უნეტარეს ტვირთზე გალობდა. ვაჟი კი თავს ძალას ატანდა, ღონეს იკოებდა, რომ უღმობელი სიმართლით განეგმირა მისი გული. „ამისი დროც დადგაო“, – ფიქრობდა სმოკი.

– ყური მიგდეთ, ლაბისკევი, – წამოიწყო მან, – დარწმუნებული ხართ, რომ ოთხთვალამ ყველაფერი გიამბოთ პაოლოსა და ფრანჩესკას სიყვარულზე?

ქალმა ხელი ხელს შემოჰკრა და უსაზღვრო სიხარულისაგან სიცილი აუვარდა.

– ოჰ, რა თქმა უნდა, სიყვარულში კიდევ მეტი რაღაცა არის. მე ასეც ვიციოდი. სანამ კოცონს დავანთებდი, ამაზეც ვიფიქრე! მე...

მაგრამ ამ დროს თოვლის ფანტელებში სნასი გამოჩნდა, ცეცხლისაკენ გადმოაღაჯა და სმოკმა ვერაფრის თქმა ვეღარ მოასწრო.

– სადამო მშვიდობისა, – წაიბუზღუნა მან, – თქვენმა ამხანაგმა აურია. მიხარია, რომ თქვენ უფრო ჭკვიანი გამოდექით.

– მითხარით, რა დაემართა ჩემს მეგობარს? – მოუთმენლად იკითხა სმოკმა. თეთრმა კბილებმა არასასიამოვნოდ გაიელვა სნასის კვამლით შეყვითლებულ წვერში.

– რა თქმა უნდა, გეტყვით. თქვენმა ამხანაგმა ერთი კაცი მოჰკლა. ცინგლიანი ლიფსიტა მაკ-კენი პირველსავე გასროლაზე უკან გამობრუნდა. ის თავის დღეში ვეღარ გაიქცევა. ჩემმა მონადირეებმა თქვენი ამხანაგი მთებში მოიმწყვდიეს და მელ დაიჭერენ კიდევ. ასე რომ, იუკონს ვეღარ ეღირსება. თქვენ კი ამიერიდან ჩემს კარავთან დაიბინებთ. მონადირეებს აღარსად გაჰყვებით. მე თვითონ გადევნებთ თვალს.

VIII

სნასთან გადაბარგებამ საგონებელში ჩააგდო სმოკი. ახლა გაცილებით ხშირად ხვდებოდა ლაბისკვის. სმოკისათვის საშინელი იყო ქალის უბიწო და უნაზესი სიყვარულის გულახდილობა. მისი თითოეული შემოხედვა მხოლოდ სიყვარული იყო, მისი თითოეული სიტყვა კი – უსაზღვრო აღერსი. ათასჯერ დაატანა თავს ძალა ყველაფერი ეთქვა მისთვის ჯოი გასტელზე, მაგრამ გაბედულება არ ეყო. ამის გადაულახავი მიზეზი ლაბისკვის მომხიბვლევლობაც იყო. მისი ყურება სიამოვნებას ჰგვრიდა. ყოველი შეხვედრისას სმოკს თავი სძულდა, მაგრამ ეს წუთები მაინც ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის. თავის სიცოცხლეში იგი პირველად ეცნობოდა ქალს ჭეშმარიტად და ისეთი უბიწო იყო ლაბისკვის სული, ისეთი საოცარი მისი უცოდველობა და გულუბრყვილობა, რომ სმოკს არ შეეძლო ბოლომდე არ ჩაეკითხა ამ სიყვარულის ყველა სტრიქონი. ლაბისკვის სქესის მთელი პირველყოფილი სიკეთე ახლდა თან ამ სიყვარულს, ცოდნის პირობითობით დაუსახიჩრებელი და ეგოიზმის სიყალბით შეუბღალავი. მოაგონდა ოდესღაც წაკითხული შოპენჰაუერი და მისთვის ცხადი გახდა, როგორ სცდებოდა ეს გულჩათხრობილი ფილოსოფოსი. ქალის გაცნობა, ისე როგორც სმოკმა გაიცნო ლაბისკვი, იმას ნიშნავდა, რომ ყველა ქალმოძულე მამაკაცი ავადმყოფი უნდა ყოფილიყო უცოლოდ.

საოცარი იყო ლაბისკვი და მაინც მისი ხორციელი სახის გვერდით ჩნდებოდა ჯოი გასტელის სახება. ჯოი მუდამ თავშეკავებული და მოკრძალებული იყო, ცივილიზებული ქალის ყველა კლდება და რიდი ახლდა, მაგრამ წარმოსახვის ძალით სმოკი ჯოი გასტელს იმვე სიკეთით აჯილდოებდა, რაც ლაბისკვის გააჩნდა. ერთი მეორეს ავსებდა, და მთელი ქვეყნის ქალები ამადლდნენ სმოკის თვალში იმის წყალობით, რაც მან ლაბისკვის სულში დაინახა სნასის კოცონის პირას, თოვლის ქვეყანაში.

თავისი თავიც შეიცნო სმოკმა. ჯოი გასტელი გაიხსენა და მიხვდა, რომ უყვარდა იგი. და მაინც უსაზღვრო შევებას განიცდიდა სმოკი ლაბისკვის გვერდით. რა უნდა ყოფილიყო ეს შევება თუ არა სიყვარული? და განა შეეძლო სხვა რამე ეწოდებინა მისთვის და არ დაემცირებინა? ეს მხოლოდ სიყვარული უნდა ყოფილიყო. სმოკს თავზარი დასცა იმის გაფიქრებამაც კი, რომ მისი ბუნება თავის ფესვებში მრავალცოლიანობას გულისხმობდა. მოაგონდა, როგორ კამათობდნენ სან-ფრანცისკოში ერთხელ: კაცს შეუძლია ერთდროულად უყვარდეს ორი და სამი ქალიც კიო. მაშინ ეს არა სჯეროდა. ან როგორ უნდა ერწმუნა, როცა არ გამოეცადა იგი? ახლა კი სხვა ამბავია. მას მართლაც ორი ქალი უყვარდა და თუმცა უმეტესად იმ აზრისა იყო, რომ ჯოი გასტელი უფრო უყვარდა, მაგრამ იყო წუთები, როცა ასეთივე სიძლიერით სწამდა, რომ ლაბისკვი უყვარდა უფრო მეტად.

– ქვეყანაზე ბევრი ქალი უნდა იყოს, – უთხრა ლაბისკვიმ ერთ დღეს. – ქალები კი კაცებს ჰყვარობენ. თქვენ ბევრ ქალს უნდა მოსწონებოდით... მითხარით ყველაფერი.

სმოკმა არაფერი უპასუხა.

– მითხარით, – არ ეშვებოდა იგი.

– მე არასოდეს მყოლია ცოლი, – თავი აარიდა პირდაპირ პასუხს სმოკმა.

– და თქვენ არაინა გყავთ? იმ მთების იქით მეორე იზოლდა არ არის?

ახლა კი მიხვდა სმოკი, რომ ლაჩარი იყო. არაო, უნებურად წამოცდა, მაგრამ მაინც ხომ იცრუა. თავი გააბნია და გაიღიმა. ვერც წარმოიდგენდა თუ ამდენ სიყვარულს იგრძნობდა, როცა ლაბისკვი ამის გაგონებაზე სიხარულისაგან ცას ეწვია.

სმოკმა საკუთარი თავის წინაშე გამართლება სცადა, – თავს ყალბი დებულებით იტყუებდა, – დიახ, აბა რა უნდა ვქნა, ის ხომ ისეთი სპარტანელი არ იყო, რომ ასე უღმობლად დაემსხვრია ამ ბავშვი გოგონას გული.

სნასისაც რცხვენოდა სმოკს. კაცი ვერაფერს გამოაპარებდა მის შავ თვალებს და თითოეულ მის სიტყვას ღრმა აზრის ბეჭედი სვა.

– არც ერთი კაცი არ ესწრაფვის თავის ქალიშვილის გათხოვებას, – უთხრა მან სმოკს. – მით უმეტეს, თუ ცოტა წარმოსახვის უნარიც აქვს. ასეთი რამ მომაკვდინებლად იმოქმედებს მასზე. გამოგიტყდებით, ამაზე ფიქრიც კი მიჭირს, მაგრამ რა გაეწყობა, ცხოვრების კანონს ვერწაუხვავ. მარგარეტა ოდესმე მაინც ხომ უნდა გათხოვდეს.

ღუმიღი ჩამოვარდა. სმოკი ამ დროს იმაზე ფიქრობდა, რა იმალებოდა ამ კაცის წარსულში.

– მე ერთი უხეში და სასტიკი კაცი ვარ, – განაგრძო სნასმა, – მაგრამ კანონი – კანონია. და მეც მართალი ვარ. აქ, ამ პირველყოფილ ადამიანებში მე კანონიც ვარ და სიმაართლეც. სიტყვას ვერვინ შემომიბრუნებს. ნუ დაგაგიწყდებათ, რომ მე მამაც ვარ და მთელი ჩემი დღე და მოსწრება ოცნებაში გამიტარებია.

სმოკი მაინც ვერ მიხვდა, რისი თქმა უნდოდა სნასს, რადგან სწორედ ამ დროს ლაბისკვის კარვიდან ღრენა და ვერცხლივით წკრიალა სიცილი გაისმა. ლაბისკვი ახლად მოყვანილ მგლის ლეკვს ეთამაშებოდა. სნასს გამოთქმელი ტკივილისაგან სახე დაედმიჭა.

– არა უშავს, როგორმე ავიტან. – წაიდუდუნა კვრიჭაშეკრულმა სნასმა. – მარგარეტა უნდა გათხოვდეს და ჩვენდა იღბლად თქვენც აქა ხართ. ოთხთვალას იმედი მე არა მქონია. მაკ-კენი ისეთი უსუსური აღმოჩნდა, რომ ისეთი ქალი შევაჩეჩე ხელში, რომელიც ოცი წელი ანთებდა თავის საქალწულო კოცონს. თქვენ რომ არა, ჩემი სიძე ინდიელი უნდა გამხდარიყო. ალბათ ლიბაში გახდებოდა ჩემი შვილიშვილების მამა.

კარვიდან ამ დროს ლაბისკვი გამოვიდა და ცეცხლისაკენ გამოემართა. ხელში მგლის ლეკვი ეჭირა. იგი პირდაპირ იმ ადამიანს უყურებდა, რომელიც მაგნიტივით იზიდავდა. თვალებში ის სიყვარული ენთო, რომლის დაფარვაც მისთვის არავის ესწავლებინა.

IX

– ყური მიგდე, – უთხრა სმოკს მაკ-კენმა, – გაზაფხულიც დადგა, ახლა თოვლს ლიპი მოეკიდება. მგზავრობისთვის საუცხოო დროა, მხოლოდ ეს არის, რომ მთებში ქარბუქი იცის. მე ეს კარგად ვიცი. სხვასთან ერთად მე არ გავიქცეოდი, მაგრამ თქვენთან ყველაფერზე თანახმა ვარ.

– თქვენ გაქცევი თავი ვინ მოგცათ? – შეუბრუნა სიტყვა სმოკმა. – ზედმეტი ცვირთი აეკიდებით კაცს, მუხლები დონდლოსავით გეკეცებათ. თუ გაქცევაა, მარტო გავიქცევი. მაგრამ მე უკვე დამავიწყდა ქვეყანა და იქნებ აღარასოდეს მოვშორდე აქაურობას. ირმის ხორცი ძალიან მეგემრიელა... მალე ზაფხულიც მოვა და ორაგულიც მოგვემატება.

– თქვენი მეგობარი ცოცხლებში აღარ არის. – თქვა ერთხელ სნასმა, – ჩემს მონადირეებს არ მოუკლავთ იგი. ისინი მის გვამს წააწყდნენ, გაზაფხულის ქარბუქებს გაეყინა მთებში. აქედან კაცი ვერ გავა. როდის გადავიხადოტ თქვენი ქორწილი?

ლაბისკვიმ კი ასე უთხრა:

– მე თვალს გადავეწვინებთ. თვლებში და სახეზე დიდი მწუხარება გემჩნევათ. კარგად ვიცნობ თქვენს სახეს. კისერზე პატარა ნაჭრილობევი გაქვთ, სწორედ ყურის ძირში. როცა გიხარიათ, ბაგის კუთხეები მალლა გეჭიდებათ. ხოლო როცა მწარე ფიქრები გაწვალებთ, დაბლა ჩამოგივარდებათ ხოლმე. როცა იდიმებით, თვალებთან სამი ან ოთხი ნაოჭი გიჩნდებათ. მაგრამ როცა იცინით – ექვსი. ზოგჯერ შვიდი ნაოჭიც კი შემიმჩნევიან. ახლა კი ერთი აღარა გაქვთ. წიგნი მე არასოდეს წამიკითხავს, კითხვაც არ ვიცი. მაგრამ ოთხთვალამ ბევრი მასწავლა. ჩემი ცოდნა უტყუარია. იგი ოთხთვალამ გადმომცა. მის თვალები ხშირად მინახავს მწუხარება, როცა მას დიდი ქვეყანა შიოდა. ხშირად შიოდა მას ქვეყანა, თუმცა აქ მრავლად იყო კარგი ხორცი, თევზი, კენკრაცა და ძირხვენაც ბლომად გვქონდა. ფქვილიც აქ არ გვაკლდა – მაჩვ-ზღარბები და ლუსკეები ბეწვეულში გვიცვლიდნენ ფქვილს. მაგრამ მას მაინც შიოდა ქვეყანა. განა ასეთი კარგია ის ქვეყანა, რომ თქვენც მოგშვიდათ იგი? ოთხთვალას აქ არაფერი ებადა. თქვენ კი მე გყავართ. – ქალმა ამოიოხრა და თავი ჩაქინდრა. – ოთხთვალას იმ შიმშილით ამოხდა სული. თქვენ რომ სამუდამოდ აქ დარჩეთ, ალბათ თქვენც ეს შიმშილი მოგიდებთ ბოლოს. მე კი სრულებითაც არ ვიცნობ იმ ქვეყანას. გინფდათ იმ ქვეყანაში გაქცევა?

სმოკმა ვერაფერი უპასუხა, მაგრამ ლაბისკვი ყველაფერს მიხვდა მისი ტუნების მოძრაობით.

ორივენი დუმდნენ, ლაბისკვი რაღაცას ებრძოდა. სმოკი საკუთარ თავს წყევლიდა სისუსტესათვის. როგორ უნდა გაემხილა მისთვის ეს წუხილი, როცა ერთი სიტყვაც ვერ უთხრა მას საყვარელ ქალზე.

ლაბისკვიმ ამოიოხრა.

– კეთილი, მე ისე მიყვარხართ თქვენ, რომ არ დავეძებ მამის განრისხებას. თუმცა იგი მთებში ატეხილ ქარიშხალზე უფრო საშიშია. თქვენ მასწავლეთ, რა არის სიყვარული. ეს კი სიყვარულის გამოცდაა. მე თქვენ გაქცევაში დაგეხმარებით.

X

სმოკს მშვიდად გამოედვიძა და არ განძრეულა. პატარა თბილი ხელი ლოყაზე გაეხახუნა და ტუნებს შეეხო. სახეზე გაყინულმა, ცივმა ბეწვმა მიუღიბინა, და ყურთან ჩურჩულით ნათქვამი სიტყვა გაიგონა: „წამოდით“. სმოკი ფრთხილად წამოჯდა და ყური მიუგდო. ბანაკის ქოფაკებს უკვე წამოეწყოთ თავიანთი ღამეული სიღერა, მაგრამ ამ გნიასში სმოკმა იქვე მის ახლოს სნასის მსუბუქი თანაბარი სუნთქვა გაარჩია.

ლაბისკვი ფრთხილად ეწეოდა სახელოში, და სმოკი მიხვდა, რომ უნდა გაჰყოლოდა. მან მოკასინები და გერმანული წინდები აკრიფა და ღამის

მოკასინებით ფეხაკრებით გავიდა თოვლში. მიფშუკულ ცეცხლში დარჩენილი ნადვერდლების შუქზე დაბისკიმ ანიშნა, ფეხზე ჩაიცვიო, თვითონ კი, თითქოს გაქრაო, ერთბაშად გაუჩინარდა და მამის კარავში შეივდა.

სმოკმა საათი თითებით მოსინჯა, ღამის პირველი საათი იყო. „კარგა თბილა, – გაიფიქრა მან, – მინუს ათზე მეტი არ იქნება“. მალე დაბისკვიც დაბრუნდა და ჩაძინებული ბანაკის ბნელ შუკებში შეუძღვა. რაც შეეძლოთ ცდილობდნენ უხმაუროდ ევლოთ, გაყინული თოვლი თითოეული ფეხის გადადგმაზე მაინც ჭრაჭუნებდა, მაგრამ ჩქამი იქვე ქოფაკების ღრიანცველში იკარგებოდა. ძაღლები ისე გულდაგულ ყმოდნენ, რომ გამვლელებისათვის აღარ ეცალათ.

– ლაპარაკი უკვე შეიძლება, – თქვა დაბისკვიმ, როცა უკანასკნელი კოცონი ნახევარი მილით ჩამოიტოვეს.

ქალმა სახეში შეხედა და ვარსკვლავების შუქზე სმოკმა პირველად შეამჩნია, რომ დაბისკვი დატვირთული მოდიოდა. სმოკმა ხელი შეახო მის ტვირთს; ეს იყო მისი თხილამურები, თოფი, ტყვიების ორი ასხმა და ბეწვის საბნები.

– ყველაფერი წინასწარ მოვიფიქრე, – თქვა ქალმა და გულიანად გაიცინა, – სურსათის ორმოს ამოთხრას ორი დღე მოვუნდი. შიგ ხორცი, ფქვილი, ასანთი და წვრილი თხილამურები გადავმალე. მოლიპულზე კარგია თხილამურებით სიარული. ყინული როცა გატყდება, მაშინ მოწნული თხილამურებით ვივლით. ო, მე კარგად ვიცი თოვლში სიარული და ჩვენ სწრაფად ვივლით, ჩემო სიყვარულო.

სმოკს სიტყვის თქმაც აღარ შეძლო. მას ის აოცებდა რომ დაბისკვიმ გაქცევაში ხელი შეუწყო, მაგრამ იმას კი აღარ ელოდა, თუ თვითონაც თან წაჰყვებოდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მერე ჩამოართვა დაბისკვის მთელი ტვირთი, დაბნეულმა ხელი მოჰხვია ქალს და გულზე მიიკრა.

– ღმერთი კეთილია, – წაიხურჩულა ლიბისკვიმ, – მან შეყვარებული გამომიგზავნა.

იმდენი მხნეობა ეყო სმოკს, რომ მარტო გამგზავრებაზე სიტყვა აღარ დაუძრავს. და სანამ ისევ რასმე იტყოდა, მის გონებაში ნათელი ქვეყნისა და მზით გაბრწყინებული მიწების მოგონებებმა ერთბაშად იფეთქა და ისევ გაქრა.

– უკან დავბრუნდეთ, დაბისკვი, – თქვა მან, – შენ ჩემი ცოლი გახდები და ჩვენ მუდამ ირმის ხალხთან ერთად ვიცხოვრებთ.

– არა, არა! – ლიბისკვიმ თავი გაიქნია და წინააღმდეგობის გამოსახატავად ვაჟის შემოჭდობილ მკლავებში გასწორდა. – მე ეს კარგად ვიცი. ბევრი ვიფიქრე ამაზე, დიდი ქვეყნის შიმშილი შენც შეგაწუხებს და ჩვენებურ გრძელ დამეებში გულს შეგიჭამს. ასე, მოკვდა ოთხთვალა. და შენც ეს დღე გელის. ვინც ჩვენთან მოსულა, ყველა ამ დარდმა გადაიყოლა. მე კი შენი სიკვდილი არ მინდა. ჩვენ ამ თოვლიან მთებს გადავივლით და სამრეთისაკენ გავუდგებით გზას.

– მომისმინე, ძვირფასო, – არ ეშვებოდა სმოკი. – უკან უნდა დავბრუნდეთ.

დაბისკვიმ ხელთათმანიანი ხელი ტუჩებზე მიადო და ხმა აღარ ამოაღებინა.

– გიყვარვარ? მითხარი, რომ გიყვარვარ.

– მიყვარხარ, დაბისკვი. შენ ჩემი სიყვარული ხარ.

ქალმა ისევ აღერსით მიადო ხელი ტუჩებზე.

– საჭმლის ორმოსთან მივიდეთ, – მტკიცედ უთხრა ქალმა. – აქედან სამიოდე მილის მოშორებითაა.

სმოკი ადგილიდან არ დაძრულა, ქალმა ხელში ხელი ჩაჰკიდა, მაგრამ ვერ დასძრა. ცოტაც და სმოკს აღბათ წამოსცდებოდა, რომ იქ, სამხრეთში მას სხვა ქალი ელოდებოდა.

– შენი უკან დაბრუნება დიდი შეცდომა იქნება, – უთხრა დაბისკვიმ, – მე... მე მხოლოდ ველური გოგო ვარ და დიდი ქვეყნის მეშინია. მაგრამ შენი შიში უფრო მაქვს. რაც მითხარი, სწორედ ის მემართება. მე შენ ყველაფერს მირჩევინხარ. თავზე უფრო მეტად მიყვარხარ. ინდიური ენა ვერ გეტყვის ამას,

ვერც ინგლისური გეტყვის, ჩემი გულის ფიქრები ცის მოკაშკაშე ვარსკვლავებია – მათ ვერც ერთი ენა ვერ მიუდგება. როგორ გადმოგცე მე ისინი? აი, ნახე.

მან ხელთათმანი წაავრო სმოკს, მისი ხელი ბეწვის მოსასხამის ქვეშ შეაცურა და ზედ გულზე მიიღო. დიდხანს, დიდხანს ესმოდა სმოკს მისი გულისცემა და იცოდა, რომ ამ გულის თითოეული ფეთქვა სიყვარული იყო. და მერე, ნელა, შეუმჩნევლად, ისე, რომ ხელი არ მოუშორებია მკერდიდან, დაბისკვი გაიწია და სურსათის ორმოსაკენ წავიდა. სმოკს წინააღმდეგობა აღარ შეეძლო. ეგონა, თვითონ გულს მიჰყავდა იგი, გულს, რომელიც ხელში ეჭირა.

XI

წინა დღით გაღხობილი თოვლი ისე მოილიპა ღამის სუსხში, რომ ისინი სწრაფად მისრიალებდნენ თხილამურებით.

– აი, იქ იმ ხეების ქვეშ არის საჭმლის ორმო, – უთხრა ლაბისკვიმ სმოკს.

ამით თქმაც ვერ მოასწრო, რომ გაოცებულმა უცბად ხელი სტაცა სმოკს. პატარა კოცონის ალი მხიარულად ფარფატებდა ხეების ძირში. ცეცხლის პირას მაკ-კენი ჩაცუცქულიყო. ლაბისკვიმ კბილებში რაღაც ინდიური სიტყვა გამოსცრა, სიტყვამ შოლტივით გაიშხუილა ჰაერში და სმოკს იმწამსვე გახსენდა, რომ ერთ დროს ოთხთვალა ჯიქს ეძახდა ლაბისკვის.

– ვიცოდი, რომ უჩემოდ წახვიდოდი, – დაიწყო მაკ-კენმა, როცა ისინი ცეცხლთან მივიდნენ, და წვრილი გაიძვერა თვალები აუთამაშდა. – ამ გოგოს თვალს ვადევნებდი და როცა თხილამურები და საჭმელი გადმოვიდა, მაშინ მეც წამოვიდი. თან ჩემი თხილამურები და საჭმელიც წამოვიდე. რა, ცეცხლი? არაფერი აქ საშიში არ არის. ახლა მთელი ბანაკი ხვრინავს. თქვენს მოლოდინში ცოტა შემცივდა და ცეცხლი იმიტომ დაგანთე. ახლა წავალთ?.

ლაბისკვიმ შეშინებული თვალები სმოკს მიაპყრო. მერე უცბად რაღაც გადაწყვეტილება მიიღო და სადღა იყო ახლა ის ბავშვი ქალი თავისი გულუბრყვილო სიყვარულით. იგი უფრო იმ ადამიანს ჰგავდა, რომელმაც იცის, როგორ უნდა მოიქცეს და არ სჭირდება რაიმე რჩევა ან მხარდაჭერა.

– შენ, მაკ-კენ, ძალი ხარ, – კბილების ღრჭენით თქვა მან და მრისხანებისგან თვალები აენთო. – თან რომ არ წაგიყვანოთ, ვიცი, წახვალ და მთელ ბანაკს ფეხზე დააყენებ. კეთილი, წამოდი, შენ ხომ მამაჩემს კარგად იცნობ, იცოდე, მეც იმნაირი ვარ. ჩვენოდენი საქმე შენც უნდა გააკეთო. და ყელაფერში უნდა დაგვემორჩილო, ხოლო თუ თვალთმაქცობა შეგამჩნიე, წამოსვლას განანებ.

მაკ-კენმა ახედა, ღორულ თვალებში შიში და ზიზღი გამოხატვოდა. ლაბისკვი სმოკს მიუბრუნდა დარისხვა უცბად გასხივოსნებული ალერსით შეეცვალა.

– განა სწორად არ მოვიქეცი? – ჰკითხა მან სმოკს.

ღღის სინათლემ მათ იმ მთაგრეხილთან მიუსწრო, რომელიც ბორცვებიან სწორს მთიანეთისგან ჰყოფდა.

– ვისაუბრით, – შესთავაზა მათ მაკ-კენმა, მაგრამ ისინი არ შეჩერებულან. გადაწყვიტეს, მაშინ დანაყრებულიყვნენ, როცა შუადღის მოლიპული თოვლი გალხვებოდა და მგზავრობა გაძნელებოდა.

მტები უფრო ციცაბო ხდებოდა და ის პატარა მდინარე, რომლის შეყინულ დინებას ისინი მიუყვებოდნენ, ახლა უფრო ღრმად და ჩავარდნილ ხეობებში შევიდა. აქ უკვე რარ იგრძნობოდა გაზაფხული, თუმცა ერთ ხეობაში მოვარდნილი ქაფმოკიდებული წყალი შენიშნეს და ორგან დაგვალულ ტირიფებზე დახეტქილ კოკრებსაც მოჰკრეს თვალი.

ლაბისკვიმ სმოკს განუმარტა, რა ადგილები უნდა გაეგვლოთ და როგორ უნდა აერიათ კვალი მდევრებისათვის. სულ ორი გზა არსებობდა – დასავლეთისკენ და სამხრეთისკენ მიმავალი. სნასი თავის ახალგაზრდა მონადირეებს აუცილებლად ამ გზებზე დაქსაქსავდა. მაგრამ სამხრეთისკენ სხვა გზაც მიდიოდა, თუმცა ეს გზა მაღალ მთებს გადაივლიდა, დასავლეთისკენ შემობრუნდებოდა, სამ დიდ ქედს გადალახავდა და მხოლოდ შემდეგ უერთდებოდა სამხრეთის მთავარ გზას. როცა მდევარი სამხრეთის მთავარ გზაზე კვალს ვერ შენიშნავს, მაშინ უკან დასავლეთისკენ გაბრუნდება აუცილებლად, და აზრად არავის მოუვა, რომ ლტოლვილები უგრძესსა და გაუვალ გზას ამოირჩევდნენ.

ლაბისკვიმ მაკ-კენს გადახედა, რომელიც უკან მოჩანჩალებდა, მერე სმოკს მიუბრუნდა და ხმადაბლა უთხრა:

– ილუკმება, ეს ძალიან ცუდია.

სმოკმაც მიიხედა. ირლანდიელს ირმის ქონის ნაჭრებით ჯიბეები გამოეცენა და გზადაგზა იღმურძლებოდა.

– მხოლოდ დასვენების დროს ჭამეთ, – უბრძანა სმოკმა, – ნადირი არსად არ შეგვხვდება და საჭმელიც აქედანვე თანაბრად უნდა გავინაწილოთ. პატიოსნად თუ არ მოიქცევით, ნუ ივლით ჩვენთან ერთად.

პირველი საათისთვის თოვლი ისე გაღრვა, რომ წვრილი თხილამურები შიგ ეფლობოდათ, ერთი საათის შემდეგ მოწნული თხილამურებით გაუჭირდათ სიარული. ლტოლვილებმა პირველად ჩაიფერხეს და ჭამას შეუდგნენ. სმოკმა საკვების მარაგი გაიანგარიშა. მაკ-კენს უმცირესი აღმოაჩნდა. ტოსიკა შავმურა მელის თყავებით ისე გამოეცენა, რომ საკვებისათვის, მცირე ადგილიც დარჩენოდა.

– მართალი ვითხრათ, ამდენი არ მეგონა, – დაიწყო მან თავის მართლებას. – სიბნელეში ვაწყობდი. სამაგიეროდ, კარგი ფული იცის. თოფი და ტყვია-წამალი თავსაყრელი გვაქვს, ვხოცოთ ნადირი და იოლად გავალთ.

– მგლები რომ შეგჭამენ, მაშინ მართლაც იოლად გახვალთ. – დაუმატა შწუხებულმა სმოკმა. ლაბისკვის კი ისევ თვალები აენთო.

ორივეს ვარაუდით საკვები ერთ თვეს ეყოფოდათ, თუკი მომჭირნეობას გამოიჩენდნენ და მუცელს არ აჰყვებოდნენ. სმოკმა მთელი ტვირთი აწონა, გადახომა და ორად გაანაწილა, მაგრამ ბოლოს ლაბისკვის დაუინებული მოთხოვნის შემდეგ, ერთი ტომსიკა მასაც მისცა.

მეორე დღეს მდინარემ ისინი ერთ ტრიალ მინდორზე გაიყვანა მთებში. გამლხვალ თოვლში ეფლობოდნენ. როგორც იქნა, ქედის კალთებს მიაღწიეს, თოვლი აქ ტანდათან უფრო გამყარდა.

– ათიოდე წუთიც რომ დაგვეგვიანა, ამ ველს ვეღარ გადმოგჭრიდით. – თქვა სმოკმა, როცა სულის მოსათქმელად ქედის მოშიშვლებულ თავზე შეისვენეს. – მგონი ათასი ფუტით ამოვედით.

მაგრამ ლაბისკვის არაფერი უთქვამს: მან დაბლა მინდურისაკენ გაიშვირა ხელი. ხეებს შუა ხუთი მუქი წერტილი მოძრაობდა.

– ახალგაზრდა მონადირეები, – თქვა ლაბისკვიმ.

– წელამდე თოვლში ეფლობიან, – უთხრა სმოკმა. – დღეს ამაზე სწრაფად ვეღარ ივლიან. ჩვენ კი ამასობაში რამდენიმე საათით გავუსწრებთ წინ. წავიდეთ, მაკ-კენი. ფეხი გამოადგით. მანამდე არ ვისადილებთ, სანამ არაქათი არ გამოგველევა.

მაკ-კენმა ამოიხსრა, მაგრამ ჯიბეშიაღარ ედო ქონის ნაჭრები და ფეხათრევით უკან გაჰყვა მათ.

მაღლა ისევ მინდორზე გავიდნენ, მოლიპული თოვლი შუადღის სამ საათამდე არ გამლხვალა. ამასობაში ველზე დაგებულ ჩრდილს მიაღწიეს, ჩრდილში თოვლი ისევ იყინებოდა. მხოლოდ ერთხელ შეჩერდნენ წამით, ირმის ქონის ის

ნატრები ამოიღეს, მაკ-კენს რომ წაართვეს და გზადაგზა შეექცნენ. ხორცი ყინვაში ქვასავით გამაგრებულიყო და ცეცხლზე გაუფიცხებლად ვერ შეჭამდნენ. ქონი კი პირში ადვილად იფშვნებოდა და კუჭის ტკივილსაც ასე თუ ისე აყუჩებდა.

ხანგრძლივი მწუხრის შემდეგ, ცხრა საათზე, როცა ცა შავი ღამით აივსო, მათ ჯუჯა ნაძვების ტვერში ჩაიფერხეს. მაკ-კენი უმწეოდ წუწუნებდა და ჩიოდა. მთელი დღის მგზავრობა მართლაც ქანცვამოცლილი იყო, მაგრამ არქტიკაში ცხრა წლის ცხოვრების გამოცდილებამ ვერაფერი შესძინა მაკ-კენს, და თავის დადლილობას ისიც მიუმატა, რომ გზაში თოვლს დაუწყო ჭამა და ახლა წყურვილი ჰკლავდა, პირში ცეცხლი ეკიდებოდა. კოცონს ბუზღუნით მიუჯდა. ლაბისკვი და სმოკი კარვის გამართვას შეუდგნენ.

ლაბისკვიმ არ იცოდა, რა იყო დაღლა. სმოკი აღტაცებაში მოჰყავდა მისი სხეულის სასიცოცხლო ძალას, მისი სულისა და კუნთების გამძლეობას. მასში არაფერი იყო არაბუნებრივი ან იძულებითი. სმოკისათვის მას მუდამ მზად ჰქონდა სიცილი და ღიმილი. როცა შემთხვევით მათი ხელები ერთმანეთს შეხვდებოდა, ლაბისკვი აღერსით დიდხანს არ იშორებდა მათ. მაგრამ საკმარისი იყო მაკ-კენისათვის შეეხედა, რომ შამსვე პირქუში და უმოწყალო ხდებოდა და თვალეში სუსხი ჩაუდგებოდა.

ღამით ქარი ამოვარდა და თოვლი წამოვიდა. მთელი დღე ძლივს მიიკვლევდნენ გზას ქარბუქში. თოვლის კორიანტელში ვერ შენიშნეს ნაკადულის კალაპოტი, რომელმაც დასავლეთისაკენ გაუხვია და ქედი გადასჭრა. ორ დღეზე მეტი რამდენიმე ქედის გადალახვას მოანდომეს და ხეტიალში უკან ჩამოიტოვებს გაზაფხული და ზამთრის საბრძანებელში ამოვიდნენ.

– მონადირეებმა ჩვენი კვალი დაჰკარგეს, რა მოხდება რომ ერთი დღით მაინც შევისვენოთ? – შეევედრა მაკ-კენი.

მაგრამ შესვენების დრო აღარ იყო. სმოკი და ლაბისკვი კარგად გრძნობდნენ საფრთხეს. მთებში გზა დაჰკარგეს და ვერც ნადირს რასმე გადაეყარნენ. ნადირის ნაკვალევიც კი არაფერს ემჩნეოდა. დიდი ბრძოლით გადიოდნენ ამ უკაცრიელ და მიუსაფარ ადგილებს, დროდადრო ხეობათა ლაბირინთებში ამოყოფდნენ ხოლმე თავს, მაგრამ არც ერთი ხეობა დასავლეთისაკენ არ მიდიოდა. ასეთ ხეობას ერთხელ უმისამართოდ ბოლომდე გაჰყვნენ. ორივე მხრიდან ყინვით მოჭიქული წარაფები და თვალშეუდგამი, შეუვალი და სულისშემხუთველი მთაგრეხილები იდგა. მთელი ძალა და ენერგია მიჰქონდა სიცივესა და გზასთან ბრძოლას, მაგრამ იძულებულნი იყვნენ კიდევ უფრო შეემცირებინათ დღიური უღუფა.

ერთხელ ღამით სმოკი რაღაც ხმაურმა გამოადვიდა. ამ ადგილას, სადაც მაკ-კენის ეძინა, რაღაც ხროტინებდა და ფართხალებდა. სმოკმა ნაღვერდლები გადმოქექა და ავარდნილ აღის შუქზე ლაბისკვი დაინახა, ქალს ირლანდიელისათვის ხელი ყელში ჩაეჭირა და პირიდან ნახევრად დაღეჭილ ხორცის ნატერს აცლიდა. სმოკმა თვალი მოჰკრა, როგორ წაიღო ლაბისკვიმ ხელი წყლისაკენ და მალე ცეცხლის შუქზე გაშიშვლებულმა დანამ იელვა.

– ლაბისკვი! – ბრძანებულად იყვირა სმოკმა.

ქალს ხელი ჰაერში გაუშეშდა.

– მაგას ნუ იზამ! – უთხრა სმოკმა, როცა მასთან მივიდა.

ქალი სიბრაზისაგან თრთოდა, მაგრამ დანა წამიერი ყოყმანის შემდეგ ბუდეში ჩააგო. თითქოსდა იმის შიშით, რომ თავს ვერ შეიკავებდა, ქალი ცეცხლთან მივიდა და შეშა ეუკეთა. მაკ-კენი წამოჯდა, შიშისაგან მთლად გაფითრებული თავის გასამართლებლად რაღაც გაურკვეველ ბურტყუნს მოჰყვა.

– საიდან გაქვთ ხორცი? – შეეკითხა სმოკი.

– გაჭხრიკე! – გადმოსძახა ლაბისკვიმ. დაუოკებელი სიბრაზისაგან ხმა უკანკალებდა.

მაკ-კენმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ სმოკმა ჩააფლო ხელი და გაჩხრიკა. უბიდან ირმის ხორცის ნაჭერი ამოუღო. რომელიც მაკ-კენს შესათბობად ილღის ქვეშ ამოედო. ლაბისკვის უეცარ წამოყვირებაზე სმოკმა უნებურად მისკენ მიიხედა. ქალი მაკ-კენის ჩანთას ეძებდა და გახსნა დაუწყო. ხორცის ნაცვლად იქიდან ხავსი, ნაძვის წიწვი და ტოტები გადმოცვივდა. აი, რით ამოეტენა იგი მაკ-კენს, რათა ხორცის მოპარვის შემდეგ შემსუბუქებულ ჩანთას თავისი ძველებური ფორმა და ზომა ისევ შერჩენოდა.

ისევ იტაცა ხელი დანაზე ლაბისკვიმ და ავაზაკს ეკვეთა. მაგრამ სმოკმა შეაკავი. სმოკის მკლავებში გაყუჩებულ ქალს თავისი უძღურების გამო ქვითინი აუფარდა.

– ჩემო საყვარელო, მე ხომ საჭმლისათვის არ ვაკეთებ ამას? – გული ყელში ებჯინებოდა ლაბისკვის, – შენთვის, შენი სიცოცხლისათვის. ო, ის ძაღლი! ის შენ გჩამს, შენ!

– ჩვენ მაინც ვიცოცხლებთ, ლაბისკვი, – ამწვიდებდა სმოკი, – ამის შემდეგ მას ფქვილს ავკიდებ. ფქვილს ხომ მაინც არ დაუწყებს ჭამას; მაგრამ თუ ესეც გაბედა, ჩემი ხელით მოვკლავ, – სმოკმა ქალი მკერდზე მიიკრა, – სიყვარულო, კაცის მოკვლა ისევ კაცის საქემა. ქალებს აქ რა ხელი აქვთ.

– მე რომ ეს ძაღლი მომეკლა, შეგძულდებოდი? – იკითხა გაოცებულმა ლაბისკვიმ.

– ასე აღარ მეყვარებოდი, – განგებ მიუგო სმოკმა. ლაბისკვიმ ამოიხსრა.

– მაშ, კარგი, მორჩილებით თქვა მან, – არ მოვკლავ!

XII

მონადირეები შეუსვენებლად მისდევდნენ ლტოლვილებს. რაკი ერთხელ გადააწყდნენ მათ კვალს, ნამქერშიც აღარ დაუკარგავთ იგი. თანაც ამ მიდამოებს ისინი თავიანთი ხელისგულივით იცნობდნენ. როცა წამოთოვა, სმოკმა და ლაბისკვიმ სრულიად საწინააღმდეგო გეზი აიღეს. აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ, როცა გაცილებით იოლი გზა სამხრეთისა და დასავლეთისაკენ მიდიოდა. თანაც გზადაგზა გადასალახავ ქედებს მიუვალ ციცაბოებს ამბობინებდნენ ხოლმე. მაგრამ ახლა რაკი დაკარგულად თვლიდნენ თავს, აზრი აღარაფერს ჰქონდა. ვერც მდევრებს აუბნიეს გზა-კვალი. ზოგჯერ რამდენიმე დღითაც დაწინაურდებოდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც გამოჩნდებოდა ხოლმე მონადირეების ჯგუფი. ქარბუქის შემდეგ, როცა ნამქერმა კვალის ნატამალიც კი წაშალა, მონადირეები მწვერებივით დაიქსასნენ, და ის, ვინც პირველი წააწყდებოდა კვალს, კოცონს ანთებდა და მისი კვამლით თავისკენ უხმობდა მეგობრებს.

სმოკს დროის ანგარიში აერია, აღარ იცოდა, რამდენმა დღედაღამემ გაიარა, რამდენჯერ შეისვენეს არ რამდენი ქარბუქი გადაიტანეს. ყველაფერი ერთ უშველებელ ტანჯვასა და ურვაში გაერთიანდა და მაინც წინ მიიწევდნენ. მაკ-კენი ყოველთვის სადღაც მათ უკან მიჩანჩალებდა და თავის მარადიულ ოცნებაზე, სან-ფრანცისკოზე მიჩანჩალებდა და თავის მარადიულ ოცნებაზე, სან-ფრანცისკოზე ლუღლუღებდა. ცივ ლაჟვარდში ავარდნილი უღმობელი და მკაცრი მწვერვალები განუშორებლად ადგათ თავს. თვითონ კი ხან ჩაღამებულ ხეობებში მიბობლავდნენ, რომლის ციცაბო კალთებზე თოვლიც ვერ იკიდებდა ფეხს და ხანაც ვერცხლისფრად მოჭიქულ ველებზე გადიოდნენ, სადაც უამრავი

ჩინუღად ქმნილი ტბა ეყარა. ერთხელ დამით ქარბუქის შემდეგ ცა შორეული ვულკანის ცეცხლმა გადაანათა. ამის შემდეგ ასეთი რამ აღარასოდეს განმეორებულა და ეჭვი შეეპარათ, ხომ არ მოგვეჩვენაო.

ყინული ახალი, რამდენიმე იარდის სისქის თოვლით დაიფარა, თოვლი მოილიპა და ზედ ისევ დაათოვა. ალაგ-ალაგ ხეობებსა და უფსკრულებში ასობით ფუტის სისქის თოვლზე მიდიოდნენ, ხოლო ზოგან ნაპრალებში, სადაც გამჭოლი ქარი უბერავდა და თოვლის ერთ ფანტელსაც აღარ ტოვებდა, პატარ-პატარა მყინვარებზე გადადიოდნენ. მდუმარე აჩრდიმლებივით ჩაუვლიდნენ კლდის ძვიდებზე შეჩერებულ თოვლის უზარმაზარ ზვინებს, რომლებიც ყოველ წამში სიკვდილით იმუქრებოდნენ. ხოლო დამ-დამობით ზვავების გრიალი აღვიძებდათ. წარაფებზე, სადაც დამ-დამობით ზვავების გრიალი სიკვდილით იმუქრებოდნენ. ხოლო დამ-დამობით ზვავების გრიალი აღვიძებდათ. წარაფებზე, სადაც პატარა ძვიდ ან ჯაგიც არ მოიძევებოდა, უცეცხლოდ ათევდნენ დამეებს. ხორცს თავიანთი სხეულით ათბობდნენ და ისე ჭამდნენ. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ლაბისკვი მაინც ლაბისკვი იყო. მაკ-კენი რომ არა, იგი მუდამ მხნე და მხიარული იქნებოდა. ვერც აუტანელმა სუსხმა და ვერც ოქანცულობამ ვერ შეანელეს მისი სიყვარული.

კატასავით უთვალთვალებდა ლაბისკვი საჭმლის განაწილებას, ბევრჯერ შეუნიშნავს სმოკს, როგორ უკლავდა მაკ-კენის თითოეული ლუკმა ლაბისკვის გულს. ერთხელ თვითონ გაანაწილა საჭმელი. მაკ-კენს, თავისთვისაც მცირე ულუფა დაიტოვა ქაღმა და ყველაზე მეტი შეახვედრა სმოკს. ამის შემდეგ ყოველთვის სმოკი ანაწილებდა საჭმელს. ერთხელ ზვავეში მოჰყვნენ და უცბად ასი იარდით დაბლა ჩაცურდნენ. თუმცა უვნებლად გადარჩნენ, მაგრამ გაითოშნენ, მაკ-კენი ხელცარიელი გამოძვრა თოვლიდან, ფქვილით სავსე ტომარა ხელიდან გავარდნოდა. მეორე დიდმა ზვავემა ტომრის პონის იმედიც დაუკარგა ლტოლვილებს. თუმცა ეს მაკ-კენის ბრალიც არ იყო, მაგრამ ამის შემდეგ ლაბისკვის ერთხელაც არ შეუხედავს მაკ-კენისათვის.

– ალბათ თავს ვერ შეიკავებს, – ფიქრობდა სმოკი.

XIII

არაჩვეულებრივად მშვიდი დილა გათენდა. მაღლა ღურჯი აუმღვრეველი ცა იდგა და თოვლი მზის შუქზე თვალისმომჭერაღად ბზინავდა. ისინი ერთ გრძელ მოლიპულ კალთას აღმა მიუყვებოდნენ. დაქანცულ ლანდებს უფრო ჰგავდნენ ამ გაქვავებულ სამყაროში. გაყინულ მდუმარებაში ჰაერიც არ იძვროდა. ასიოდე მილის იქით ჰორიზონტზე ისე გამოკვეთილიყვნენ სალი კლდეების დაკბილული ქონგურები, თითქოსდა სულ რაღაც ხუთი მილით იყვნენ დაშორებულნი.

– რაღაც უნდა მოხდეს. – წაიჩურჩულა ლაბისკვიმ. – ვერ გრძნობ?

ყველაფერი უცნაურია.

– სიცვივს ვგრძნობ, სინვისა არ უნდა იყოს, – უპასუხა სმოკმა. – და არც შიმილის ბრალია.

– ეგ სიცვიე ტვინსა და გულში ატანს, – დაეთანხმა აღელვებული ლაბისკვი. – მეც მცივა.

– არა, გულში კი არა, – გაუსწორა სმოკმა. – თითქოს რაღაცა მხსვლევტს და თითოეულ ნერვს მიწიწკნის.

თხუთმეტოდე წუთის შემდეგ შესასვენებლად ჩაიფერხეს.

– ვეღარ ვხედავ შორეულ მწვერვალებს. – თქვა სმოკმა.

– ჰაერი შესქედდა და დამძიმდა, – უთხრა ლაბისკვიმ, – სუნთქვაც მიჭირს.

– აგე სამი მზე, – ხრინწიანი ლაბისკვიმ. ისინი შედგნენ და ცას გახედეს, ცაზე ახალ-ახალი მზეები იბადებოდა.

– ღმერთო ჩემო, ცა უთვალავი მზით დაიფარა, – იყვირა შეშინებულმა მაკ-კენმა.

და მართლაც, საითაც კი გაიხედავდით, ცა ახალ მზეთა თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებით იყო საესე.

უცბად მაკ-კენმა გაოცებისაგან და ტკივილისაგან იღრიალა:

– ვიწვები! – იყვირა მან და ისევ აღრიალდა. მერე ლაბისკვიმაც იკივლა და სმოკსაც სახეში თითქოს გაყინული ნემსი შეესოო, დაწვა და ამოუთუქა. ამან წარსული გაახსენა, ბანაობის დროს მედუზამ დაშუშხა ერთხელ. და ახლა, უნებურად ლოყაზე მოისვა ხელი, თითქოს დაშუშხულ ადგილს იამებდა.

უცბად უცნაური ყრუ გრიალი გაისმა. კალთის ქვევით ახალგაზრდა მონადირეები თხილამურებზე იდგნენ და ზედიზედ ესროდნენ ლტოლვილებს.

– დაიფანტეთ, უბრძანა თავისიანებს სმოკმა, – ზევით წავიდეთ.

მწვერვალამდე თითქმის აღარაფერი გვაკლია. ისინი მეოთხედი მილით დაბლა არიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე მილით გავასწრებთ, თუკი ქელს გადავცდებით და თავქვე დავეშვებით.

სამივენი აღმართს ეკვეთნენ. სუსხი ყინულის ნემსებით ჩხვლეტდა სახეს. სროლის გაგუდული გრიალი უცნაურად ჩაესმოდათ ყურში.

– მაღლობა ღმრეთს, – მიუბრუნდა გულამომჯდარი სოკი ლაბისკვის. – ოთხნი მუშკეტებით არიან, მხოლოდ ერთს აქვს ვინჩესტერი. ამ მზეების გამო მიზანში ვერ ამოგვიდეს. მანძილს ვერ ანგარიშობენ. ერთი ასი ფუტით მაინც გეცდება ტყვია.

– ეტყობა მამაჩემი ძალიან განრისხდა, – გამოეპასუხა ლაბისკვი, – რომ სროლის უფლებაც კი მიუცია მათთვის.

– რა უცნაურად ლაპარაკობ, – უთხრა სმოკმა, – თითქოსდა სადღაც შორს იდგე.

– პირი მოკუმე, – შეჰკივლა უცებ ლაბისკვიმ. – ნუ ლაპარაკობ, მე ვიცი, ეს რაც არის. სახელთი დაიფარე პირი. აი ასე, და გაჩუმდი.

მაკ-კენი პირველი დაეცა და ძლივს აითრია წელი. მერე სამივენი რიგ-რიგობით ეცემოდნენ, სანამ მწვერვალს არ მიაღწიეს. კუნთებს მომეტებულად ძაბავდნენ და ვერ გაიგეს, როგორ წაერთვათ ხელ-ფეხი. უკან რომ მოიხედეს ინდიელებს მოჰკრეს თვალი. ისინიც ეცემოდნენ, ბარბაცებდნენ და მაინც მაღლა-მაღლა მოიწევდნენ.

– აქამდე ვერ ამოაღწევენ, – თქვა ლაბისკვიმ, – ეს თეთრი სიკვდილია. მე ეს გაგონილი მქონგდა, თუმცა არასოდეს მენახა. მოხუცებისაგან გამიგია. მაღე ნისლი ჩამოწვება, ის არც ბურუსსა ჰგავს და არც ჩვეულებრივ ნისლს სუსხიან ამინდში. მხოლოდ თითო-ოროლას უნახავს იგი და გადარჩენილა.

მაკ-კენს სუნთქვა შეეკრა და ჰაერის ჭამა დაიწყო.

– პირი მოკუმეთ! – უბრძანა სმოკმა.

გარემოში თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებით აივსო არემარე და სმოკმა ისევ უამრავ მზეს შეხედა. ისინი კრთოდნენ და თანდათან იბურებოდნენ. ჰაერი ცეცხლის აურაცხელი ნემსებით დაიქსასა. ყვნელაზე უახლოეს ჭიუხვებით ამ უცნაურმა და საშინელმა ნისლმა წაშალა და ახალგაზრდა ინდიელები, რომლებიც ისევ დიდი გულმოდგინებით ებრძოდნენ აღმარს, ამ ნისლში დაინთქნენ. მაკ-კენი თოვლში ჩაჯდა და სახეზე ხელები აიფარა.

– წავედით! – ბრძანება გასცა სმოკმა.

– აღარ შემოიძლია, – წამოკვნესა მაკ-კენმა.

იგი წელში ორად მოხრილისო და ტოტივით ირწეოდა. სმოკი ნელა, დიდი გაჭირვებით წამოვიდა მისკენ. იგი ძლივს ერეოდა იმ ლეარგიას, რომელმაც

ყველა კუნთი გაუქვავა. ის კი შენიშნა, გონება საღი ჰქონდა. მხოლოდ სხეული დაუძაბუნდა.

– თავი დაანებე, – უკმეხად უთხრა ლაბისკვიმ.

სმოკმა არ დაიშალა. ირლანდიელი ფეხზე წამოაყენა და პირით იმ კალთისკენ მიაბრუნა, რომელიც მათ უნდა ჩაეველოთ. მერე ხელი ჰკრა და მაკკენი თავქვე დაეშვა. ხელში მოუხერხებლად დაჭერილი ხან ეხმარებოდა და ხანაც ხელს უშლიდა სრიალში. მალე იგი ბრილიანტის მტვრის კორიანტელში ჩაიკარგა.

სმოკმა ლაბისკვის გადახედა. ქალმა გაუღიმა, თუმცა თავს ძლივს იმაგრებდა რომ არ წაქცეულიყო. სმოკმა თავი დაუქნია, დავეშვათო. ლაბისკვი ახლოს მივიდა მასთან, მალე მხარდამხარ სულ რამდენიმე ფუტით დაშორებული ერთად დაეშვნენ და ყინულის ცეცხლში შესრიალდნენ.

სმოკი რაც შეეძლო სვლას ანელებდა, რაკი ლაბისკვიზე გაცილებით მძიმე იყო, მალე კარგა მანძილით გაუძლო. საშინელი სისწრაფით გავარდა წინ და მოლიპულ ზეგანზე შეიკავა თავი და დაელოდა, სანამ ქალი არ გაუსწორდებოდა. მათ ისევ მხარდამხარ განაგძეს გზა. სინქარეს თანდათანობით უკლეს და ბოლოს ძლივსდა უნაცვლებდნენ ფეხს. ლეთარგია უფრო ძლიერად ჩასჭიდა ხელი, უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს, მაგრამ მაინც ლოკოკინასავით მიღოლავდნენ. მაკკენს ჩაუარეს. ისევ თოვლზე მოკუნტულიყო. სმოკი არ შეჩერებულა. ისევ გაუწოდა ირლანდიელს ჯოხი და ფეხზე წამოაყენა.

– შევისვენოთ, – ძლივს წაიხურჩულა ლაბისკვიმ, თორემ მოკვდებით. თავი სადღაც უნდა შევაფაროთ, მოხუცებისგან ასე გამიგონიაო.

ლაბისკვიმ შეხსნა კი არ დაუწყო ტომრის ნასკვს, თასმა შეაჭრა: სმოკიც ასე მოიქცა. მათ კიდევ ერთხელ ახედეს მომკვდინებელ ცეცხლოვან ნილს და უმარავ მხეს, თავზე ბეწვის საბნები შემოიფუთნეს და ერთმანეთს ჩაეკვრნენ. მერე რარაც დაეჯახა მათ. მალე მიკნავებული ტირილი და გინება გაიგონეს, რომელიც უცბად საშინელმა ხველებამ შთანთქა. ორივენი მიხვდნენ, ვინც იქნებოდა.

მერე სული შეეხუთათ. შეუკავებელმა მშრალმა ხველებამ კინალამ გული ამოუგდო ორივეს. სმოკმა აუტანელი სიცხე იგრძნო. ამ ჩანჯვაში იყო ლაბისკვიც. ხველება ისე გაუხშირდათ, რომ სულის მოთქმაც უჭირდათ. მხოლოდ საღამო ხანს ცოტაოდენი შვება იგრძნეს და თვალის მოტყუებაც სცადეს დაქანცულებმა.

მაკკენს ყველაზე მეტს ახველებდა. მისი განუწყვეტელი კვნესა და ოხვრა ჩაესმოდათ, მიხვდნენ, რომ ირლანდიელისათვის მიეხედა, მაგრამ ლიბისკვიმ ხელები მაგრად მოჭხვია და არ დაანება.

– ნუ იხამ მაგას, – შევედრა იგი, – ეს აუცილებელ სიკვდილს ნიშნავს. თავი მკერდზე დამადე, ნელა ისუნთქე და ნუ ილაპარკებ. აი, ისე, როგორც მე ვაკეთებ.

ისინი სიბნელეში თვლემდნენ. უფრო იშვიათად ახველებდნენ, თუმცა ერთის დახველება მეორეს იმ წამსვე აღვიძებდა. უკვე შუაღამე იქნებოდა გადაცილებული, სმოკის ვარაუდით, როცა მაკკენმა უკანასკნელად დაახველა. მერე კი განუწყვეტლივ კვნესოდა სნეული პირუტყვივით.

სმოკი ლაბისკვის ტუჩებმა გამოადვიძეს, იგი ქალის მკლავებში იწვა და თავი მის მკერდზე მიედო. ლაბისკვის მისთვის ჩვეული იგივე წკრიალა მხიარული ხმა ჰქონდა. აღარ ისმოდა ის ყრუ ბგერები.

– უკვე დღეა, – თქვა მან და გადაფარებული ბეწვი გადაყწია. – გაიხედე, ჩემო სიყვარულო, უკვე დღეა, გადავრჩით, და აღარც გვახველებს. მოდი ქვეყანას გადავხედოთ, თუმცა მე საუკუნეები შემეძლო ასე დავრჩენილიყავი შენთან. რა ტბილი იყო ეს უკანასკნელი საათი. არ მეძინა, შენ გისურებდი და მიყვარდი.

– მაკეკენის ხმა აღარ ისმის, – უთხრა სმოკმა. – რა დაემართათ ნეტავი მონადირეებს, რატომ თავზე არ წამოგვადგნენ.

სმოკმა საბანი გადაიძრო და ცაზე ერთადერთი ნამდვილი მზე დაინახა. სუსტი ნიავი უბერავდა, სუსხი ჯერ კიდევ ახლდა, მაგრამ მომავალი თბილი დღეების მახარობელი იყო ჩვეულებრივი იყო მთელი სამყაროც. მაკეკენი გულადმა იწვა. დაუბანელი, კოცონისაგან შებოლილი გაყინული სახე მარმარილოს მიუგავდა. მის დანახვაზე ლაბისკვი არ აღელვებულა.

– შეხედე! – წამოიძახა მან. – თოვლის ჩიტი! ეს კარგის ნიშანია.

ახალგაზრდა მონადირეები აღარსად ჩანდნენ. ისინი ან ქედის გადაღმა უნდა დაღუპულიყვნენ, ანდა უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ.

XIV

საჭმელი ისე მცირე ჰქონდათ, რომ იმის მეთადის ჭამასაც ვერა ბედავდნენ, რაც აუცილებელი იყო, ნდომით კი ასჯერ მეტი უნდოდათ. ყინულის მთებში ხანგრძლივ ხეტიალში დაჩლუნგდა და დაიბურა, თითქოს სიზმარს დაემსგავსა ყველაფერი. ჟამიდან ჟამს სმოკი თითქოს ბურანიდან გამორკვეოდა და მიხვდებოდა, რომ გაუთავებელ, თოვლიან მწვერვალებს შეჰყურებდა, თან რაღაცას უახროს ლულლულებდა. მისდა უნებურად ემართებოდა ასე. ბოლოს მოეჩვენებოდა, საუკუნეები გავიდაო, და ისევ საკუთარი ხმა გამოაფხიზლებდა. ლაბისკვიც ბურანში იყო თითქოს. შეუცნობლად მოძრაობდნენ და მაინც გამუდმებით დასავლეთისკენ მიიწევდნენ. წინ ახალ-ახალი მწვერვალები და ქედები ეღობებოდათ და ძალაუნებურად ხან სამხრეთისაკენ იბრუნებდნენ პირს, ხანაც ჩრდილოეთისაკენ.

– სამხრეთისაკენ გზა არ არის, – ამბობდა ლაბისკვი, – მოხუცებმა კარგად იციან ეს. დასავლეთისაკენ, მხოლოდ დასავლეთისაკენ შეიძლება წასვლა.

მღევრები აღარ აწუხებდნენ. სმაგიეროდ შიმშილისაგან ერთი წუთითაც არ იყო მოსვენება.

ერთ დღეს ისევ აცივდა, მოთოვა კიდევ. აღარც თოვლს ჰგავდა, რაღაც ყინულის წვრილი კრისტალები წამოვიდა, ქვიშის მსგავსი. მთელი დღე და ღამე თოვდა და სამი დღე არ გადაუღია. სიარულიც შეძლებელი გახდა, ვიდრე გაზაფხულის მზემ არ მოლიპა თოვლი. მანამდე ისინი ბეწვის საბნებში იწვნენ. რაკი ისვენებდნენ, ჭამითაც ცოტას ჭამდნენ. იმდენად მცირე იყო მათი დღიური ულუფა, რომ შიმშილსაც ვერ აყუჩებდა. კუჭი, უფრო კი თავი სტკიოდათ. ლაბისკვი ერთხელ ისე გახელდა, რომ წამსვე გადაყლაპა თავისი წილი, მერე პატარა ცხოველივით სიხარულისაგან წამოიყვრა, აქვითინდა, აღულლულდა, მეორე დღის ულუფასაც ეცა და პირში შეიტენა.

ახლა კი სმოკმა ახალი საოცრება იხილა: ლაბისკვის ლუკმა არ გადაეყლაპა, რომ გონს მოეგო, საჭმელი უკანვე გადმოაგდო და განრისხებულმა მთელი ძალით შემოიკრა მოკუმული ხელი ცოდვილ ტუნებზე.

კიდევ მრავალი საოცრება იხილა სმოკის თვალებმა შემდეგშიაც. ამ გაუთავებელი თოვის შემდეგ ქარი ამოვარდა, ქვიშასავით გადარეკა ყინულის მარცვლები. მთელი ღამე ღმუოდა ქარიშხალი; მეორე დღეს ნათელი, ქარიანი დილა გათენდა. სმოკმა მიიხედ-მოიხედა. თვალები ცრემლებით ევსებოდა, თავბრუ ეხვეოდა და თავი სიზმარში ეგონა. ყოველი მხრიდან წვეტიანი მწვერვალები მიჩანდა, – დიდები და პატარები. ზოგან გუშაგებივით განმარტოებლი. ალაგ-ალაგ კი მძლეთამძლე ტიტანებივით ბჭობად შეყრილიყვნენ და თითოეული მწვერვალიდან ლურჯი ცის კამარაზე მდოვრედ ირხეოდნენ და ფრიალებდნენ თოვლის უზარმაზარი დროშები – უკიდევანო, რძისფერი და

შენისლული დროშები, რომელთაც ტალღებად განფენილი შუქი და ჩრდილები ადგათ ვერცხლისფრად მთოვარე მზისაგან.

– ჩემმა თვალებმა უფალი იხილეს, დიდებით შემომავალი, – წაიღვინა სმოკმა და თვალი არ მოუშორებია აბრეშუმივით ლაპლაპა თოვლის მტვრის მოფრიალე ბაირალებისათვის.

იგი თვალმოუშორებლად შეჰყურებდა და თოვლიან მწვერვალები არა ქრებოდნენ. თავი მაინც სიზმარში ეგონა. ლაბისკვიც წამოჴდა.

– მე სიზმარში ვარ, ლაბისკვი. – უთხრა სმოკმა. – აბა, გაიხედე, იქნებ დაგესიზმროს.

– ეს სიზმარი არ არის, – უპასუხა ქალმა, – მოხუცებს ბევრჯერ მოუყოლიათ ჩემთვის. ამის შემდეგ თბილი ქარები გადმოივლიან. ჩვენ აღარ დავიდუპებით და დასავლეთსაც მივალწევთ.

XV

სმოკმა თოვლის ჩიტი მოკლა და შუაზე გაიყვეს. ველზე გამოვიდნენ, თოვლში მდგარ ტირიფებს კვირტები დახეთქოდათ. სმოკმა კურდღელი მოკლა. ბოლოს ერთი გამხდარი სინდიოფალაც მოიგდო ხელში. ამის მეტი არაფერი შეხვედრიათ, თუმცა ერთხელ ძალიან მაღლა დასავლეთით, იუკონისაკენ, აფრენილი, გარეული იხვების გუნდს მოჰკრეს თვალი.

– დაბლა ბარში უკვე ზაფხულია, – უთხრა ლაბისკვიმ, – მალე აქაც გაიზაფხულებს.

სახე მთლად დაელია ლაბისკვის. თვალები მაინც მომეტებულად უბრწყინავდა. ისედაც დიდრონი თვალები კიდევ უფრო გაუდიდდა და შუქიც მოემატა. მის გამოხედვაში რაღაც ველური, არამიწიერი სილამაზე გამოსჭვიოდა.

ღღეები გადიოდა. თოვლმა დაიწია. დღისით ღიპი ღხვებოდა. ღამით კი ისევ იყინებოდა. ისინი გარიჟრაჟზე დგებოდნენ და გვიან ღამემდე ადგნენ გზას, ხოლო დღისით, როცა ღიპი ღხვებოდა ისე, რომ შეუძლებელი ხდებოდა სიარული, იძულებული იყვნენ შეჩერებულიყვნენ და დაესვენათ. როცა თოვლის მკვეთრი ბრწყინვალება სმოკს თვალს მოსჭრიდა, ლაბისკვი თოკს გამოაბამდა, მეორე ბოლოს წელზე შეინასკვავდა და თითქმის მიათრევედა მეგობარს. ხოლო როცა ლაბისკვი დაბრმავდებოდა, მაშინ სმოკს მიყავდა იგი. შიმშილისაგან დაოსებულნი, სიზმარული ნაბიჯებით მიიწევდნენ წინ ამ უდაბურებაში, რომელიც ახლად იწყებდა გამოღვიძებას.

თუმცა დაქანცულობისაგან ფეხზე ძლივს იდგა სმოკი, მაგრამ რაღაც შიშს შეეპყრო, ყოველ დაძინებაზე ამაზრზენ სიზმრებს ხედავდა ამ უკაცრიელ მიწაზე, მუდამ საჭმელი ესიზმრებოდა, ის იყო პირი უნდა დაეკარებინა გემრიელი ლუკმისათვის, რომ სიზმართა მზაკვარი ბრძანებელი ყველაფერს უცბად სტაცებდა ხელიდან. ძველ სან-ფრანცისოელ მეგობრებს სადილებს უმართავდა, პირი ნერწსვით ევსებოდა და თვალებს ვერ აძებდა. თავისი ხელით აწყობდა და აპატიოსნებდა სუფრას, მწიფე, მზისფერი ფოთლებით დაფარულ ყურძნის მტევნებით რთავდა, სტუმრები თითქოს განგებ იგვიანებდნენ. მერე როგორც იყო კარებთან შემოხვდებოდა ახალმოსულთ და ერთ-ორ სიტყვას ეტყოდა მეგობრებს. მაგრამ სული ელეოდა. უნდოდა მალე მოსხდომოდნენ სუფრას. ბოლოს ჩუმიად მივიდოდა მაგიდასთან, ქურდულად მუჭა ზეთის ხილს აიღებდა, მობრუნდებოდა და ახალი სტუმარი შერჩენოდა ხელში. ისევ გაუთავებელი ხუმრობა და სიცილი იწყებოდა. მას კი მალულად ჩაბღუჯულ ზეთისხილზე გული ელეოდა.

უამრავ ამგვარ სადილებს მართავდა იგი და მუდამ მშიერი რჩებოდა. გარგანტუას საკადრის ღრეობებსაც მრავალჯერ დაესწრო. ამ ღრეობებზე

უამრავი ხალხი იყრიდა თავს, ისინი უზარმაზარი მაყალებიდან ითრევენ დაუფეხშობელ ხარებს და ბასრი დანებით ითლიდნენ ოსშივარმოდებული ხორცის დიდრონ, მსუქან ნაჭრებს. ზოგჯერ პირდაღებული შეკყურებდა, როგორ ჰყიდა თეთრ წინსაფარაფარებული ბაყალი აურაცხელ ინდაურს. მის გარდა ყველას შეეძლო მისი ყიდვა. თვითონ ქუჩის მეორე მხარეზე იდგა და რაღაც თილისმით ფეხი ვერ მოეცვალა. ხანაც ბავშვი იყო, ხელში კოჭი მოემარჯვებინა, მაგრამ ვერაფრით ვერ შესწვდომოდა მაღლა შემომდგარ რძივ სავსე ქილასა და პურს. ხან შეშინებლ ფურებს დასდევდა ჭალებში, იტანჯებოდა, რომ როგორმე მათი თბილი რძე გამოეწოვა, მაგრამ ამოდ შვრებოდა, ხანაც ჯურღმულებში საჭმლის ნარჩენისათვის ნაგავში ვირთხებს ებრძოდა. ყოველნაირი საჭმელი შოიდა ჭკუაზე. ხშირად უშველებელ საჯინბოებშიც გახლდათ, სადაც ნაპატიები ცხენები უსასრულო მწკრივებად იდგნენ. თვითონ კი ქატოსა და შვრისა ეძებდა და ვერსად პოულობდა.

ერთხელ როგორღაც სიზმარმა არ უმტყუნა. გემი დაიღუპა თუ მეზღვაურებმა გადმოსვეს, იგი ერთ უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდა. აი, იგი წყნარი ოკეანის მოქცევას ებრძვის, კლდიდან რამდენიმე ნიჟარა ჩამოხსნა და ნაპირისაკენ წამოვიდა, რათა გამორიყული ნაფოტებისაგან ცეცხლი დაენთო. მალე ნაკვერჩხლებში შეხვია თავისი ძვირფასი ნადავლი. აი, ორთქლიც ავარდა და გადახსნილი ნიჟარებიდან ხორცი გამოჩნდა. მზად არის, არც ხელს არავინ უშლის ამ მიტოვებულ კუნძულზე. როგორც იქნა, – ფიქრობს იგი, – სიზმარიბოლოს გაუმართლდა. ახლა მაინც შეექცევა გემრიელ საჭმელს. უცბად ეჭვი შეეპარა, მოჩვენების გაქრობასაც დაელოდა, როცა ცხელი მადისადმძვრელი ხორცი პირში ჩაიღო. კბილები მაინც დააჭირა და შეჭამა. საოცრება მოხდა. თავზარმა გამოაფხიზლა. ირგვლივ ბნელოდა, თვითონ გულადმა იწვა. მერე საკუთარი ფრუტუნებისა და სიხარულის ხმები ჩაესმა. ყბები მოძრაობდნენ და კბილები ხორცის ნაჭერს დეჭავდნენ. იგი არ განძრეულა, მალე ქუჩებზე პატარა თითები შეეხო და პირში ამის გამო, ვიდრე იმიტომ, რომ გაუჯავრდნენ, დაბისკვი მწარედ ატირდა და დიდხანს კი გულადმა იწვა სმოკი და აოცებდა ქალის სიყვარული და იდუმალება.

ის დროც მოვიდა, როცა საჭმელი მთლიანად გაუთავდათ. უკან დარჩნენ უღმობელი მწვერვალები, ქედებიც უფრო დადაბლდნენ და დასაველეთის გზაც უკვე წინ იყო. მაგრამ ძალა აღარ შერჩათ. მალე ის დამეც დადგა, როცა მეორე დილით უჭმელობისაგან ვეღარ წამოდგნენ. როგორც იქნა სმოკმა წამოიწია, მაგრამ მაშინვე დაეცა, მერე ოთხზე გაბობღდა და ცეცხლი მაინც დაანთო. დაბისკვის ყველა ცდა ამო იყო – უკიდურესი სისუსტისაგან წამოდგებოდა და ისევ ზურგზე ეცემოდა: სმოკიც მის გვერდით ჩაიკეცა. ტუჩებზე უღიმღამო ღიმილი მოეფინა იმის გამო, რომ ამოდ დაშვრა და ასეთი უსარგებლო ცეცხლი დაანთო. შესაწვავე არაფერი ჰქონდათ და თბილი დღეც იყო. ნაძვის ტოტებში ნიავე ოხრავდა; თოვლი გაქრალიყო და ყოველი მხრიდან უჩინარი ნაკადულების ჩუხჩუხი ისმოდა.

დაბისკვი უძრავად იწვა, თითქმის აღარც სუნთქავდა. ზოგჯერ მკვდარიც ეგონა სმოკს. ნაშუადღევზე ციყვის წიწინმა გამოღვიძა სმოკი, მძიმე თოფს ხელი დაავლო და ჭყაპში გაფორთხდა. რამდენიმეჯერ წამოდგომაც დააპირა, მაგრამ დაეცა. ციყვი კი თითქოს აჯავრებოს, მის წინ დახტოდა და თანდათანობით შორდებოდა. იმდენი ძალა არ შესწდა სმოკს, რომ უცბად გაესროლა, არც ციყვი ჩერდებოდა დიდხანს ერთ ადგილას. სისუსტისაგან რამდენჯერმე პირქვე დაეცა ჭყაპში და ატირდა კიდევ. ეჩვენებოდა, რომ სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი სტოვებდა მის სხეულს და მაშინ გარშემო წყვდიადი ჩამოდგებოდა ხოლმე. აღარ ახსოვდა, რამდენი ხანი ეგდო უძრავად გულშელონებული, მაგრამ

როცა გამორკვა, სადამო იყო. მთელი ტანი უკანკალებდა და გალუმპული ტანისამოსი ღამის სიცივისაგან მოლიპულ ყინულს შეწებებოდა. ციყვი აღარსად იყო. დიდი გაჭირვებით მიადწია ლაბისკვიმდე. ისე იყო მისუსტებული, მთელი ღამე მკვდარივით ეგდო, არც სიზმრებს შეუწუხებია.

მზე ამოსულიყო, ხეებში ისევ ის ციყვი წიწინებდა, როცა ლაბისკვის ხელი ლოყაზე შეეხო სმოკს და გამოადვიდა.

– გულზე დამადე ხელი, სიყვარულო, – უთხრა მან მკაფიო, მაგრამ სუსტი და შორეული ხმით, – ჩემს გულში სიყვარულია და ხელი მოჰკიდე.

თითქოს საუკუნეებმა გაიარეს, სანამ ლაბისკვი ისევ რასმეს იტყოდა.

– გახსოვდეს, რომ სამხრეთით გზა არ არის. ეს კარგად იცის ირმის ხალხმა. დასავლეთი – აი, სად არის გზა, და შენც აღარაფერი გიკლია – ბოლომდე მიხვალ.

სმოკი ისევ ძილში წავიდა, ეს ძილი სიკვდილს უფრო ჰგავდა. მაგრამ ლაბისკვიმ გამოადვიდა ისევ.

– ტუნები ტუნებზე დამადე, უთხრა მან, – ასე მოგკვდები.

– ჩვენ ერთად მოგვდებით, სიყვარულო, – მიუგო სმოკმა.

– არა, – უღონოდ გადააქნია ხელი ლაბისკვიმ და გააჩერა იგი.

ძლივსღა ისმოდა მისი მიმქრალი ხმა. მაგრამ ვაჟმა მაინც გაიგონა ქალის სიტყვები. ლაბისკვი გაჭირვებით მისწვდა თავის უბეს, იქიდან პატარა პარკი გამოიღო და სმოკს გადასცა.

– ახლა კი მაკოცე, ჩემო სიყვარულო. მაკოცე და გულზე ხელი დამადე.

სმოკი ლაბისკვის ტუნებს მისწვდა და თვალთ დაუბნელდა. როცა გამოერკვა, იგრძნო, რომ მარტო დარჩა, და მისი სიკვდილიც ახლო იყო. გაუხარდა კიდევ, რომ უნდა მომკვდარიყო.

მერე ხელში პატარა პარკი მოხვდა. გულში გაელიმა; იმდენი ცნობისმოყვარეობა შეერჩნოდა, რომ პარკის გახსნა მოინდომა. თასმა შეხსნა და იქიდან საჭმლის ნამცეცები გადმოცვივდა. სმოკმა თითოეული ნაჭერი და ნამცეცი იცნო – ისინი ლაბისკვიმ მოჰპარა. ზოგი ნამცეცი იმდროინდელი იყო, სანამ მაკ-კენი ფქვილს დაჰკარგავდა, ზოგიც – ხორცის ნარჩენები და ირმის ქონის ნაკვებები. მათ შორის კურდღლის ბარკალიც ერია, თეთრი სინდიოფალას ბარკალი და ფეხის ნაწილიც. თოვლის ჩიტის ფრთას ლაბისკვის კბილები აჩნდა, შეჭმა კი აღარ გაეხედა. აქვეიყო ფრინველის სიცოცხლის ნამცეცები, რომლებიც უღმობელ შიმშილს მისმა სიყვარულმა გამოსტაცა.

სმოკი გიჟივით ახარხარდა. პარკი ყინულზე მოსროლა და ისევ წყვილადში ჩაინთქა.

დაესიზმრა: იუკონი დამშრალიყო, თვითონ ატალახებულ გუბებებსა და ყინულმოქერცლილ ლოდებში დააბოტებდა და ოქროს მსხვილ ზოდებს კრებდა. ოქრომ დაამძიმა, მაგრამ უცბად ყველა ოქრო საჭმელად იქცა. სმოკი ხარბად დაეტანა. ბოლოს და ბოლოს რა ფასი აქვს ოქროს, ასე რომ აღმერთებენ, თუ ვერ გაგაძღობს?

მეორე დღით გამოეღვიდა. უცნაურად სად გონებაზე იყო. აღარც თვალთ უბნელდებოდა და არც შიმშილი აწუხებდა. თავს ისე მსუბუქად გრძნობდა, თითქოს სხეულში მთელი გაზაფხული ჩასახლებოდა. ნეტარება დაეუფლა. ლაბისკვის გასადვილებლად გარდზე გადმობრუნდა, დახედა და ყველაფერი გაახსენდა. თოვლზე დაყრილ საჭმლის ნამცეცებს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვედარაფერი იპოვა. სმოკი მიხვდა, რომ იუკონის ობროს ზოდები მისი სიზმრისა თუ ბურანის ნაყოფი იყო მხოლოდ. სიზმარსა და ბურანში მან სიცოცხლე მიიღო ლაბისკვის მიერ შემოწირული, მიიღო სიცოცხლე იმ ადამიანისა, რომელმაც საკუთარი გული ხელში ჩაუდო და ქალსა და მის საოცარ სულზე თვალი აუხილა.

სმოკი გაოცდა, ისე მსუბუქად მოძრაობდა. იმდენი ძალა ეყო, რომ ბეწვში გახვეული ლაბისკვი მოშიშვლებულ ქვიშაყარზე მიიტანა, ნაჯახით სამარე გაუთხარა და დამარხა.

სამი დღე უჭმელი მიიწვედა დასაუფლებელისკენ. შუადღისას ერთ განმარტოებით მდგარ ნაძვის ძირში მიეგდო ფართო მდინარის გვერდით, რომელიც მისი ვარაუდით კლონდაიკი უნდა ყოფილიყო. სანამ თავბრუ დაეხვეოდა, მანამდე მოასწრო და ფუთა გახსნა, ქვეყანას ძილი ნებისა უსურვა და საბანში გაეხვია.

დასაბუღებლად აულურტულელმა ფრინველებმა გამოადვიეს. მწუხრი ჩამომდგარიყო. მაღლა, ნაძვის ტოტებში თეთრი კაკები შეყუჟულიყვნენ. შიმშილმა აიძულა სწრაფად ემოქმედა, თუმცა ძლივს აიღებდა, მხარზე მოიმარჯვებდა, მეორე ხუთი წუთიც გავიდა, ვიდრე გულადმა მწოლი ჩახმახს გამოჰკრა და ხელს შემართულ თოფს. ააცდინა, ერთი ჩიტიც არ ჩამოვარდნილა, მაგრამ ერთიც არ აფრენილა, მხოლოდ შეფრთხილდნენ და უაზრო შარი-შური ატყეს. სმოკს მხარი ეტკინა. მეორე გასროლაც უმდეგო იყო, რადგან ჩახმახს მაშინ გამოკრა, როცა ტკივილისაგან უნებურად შეიშმუნა. ალბათ ამ სამ დღეში თუ დაეცა და დაშავდა, მაგრამ ის კი ვეღარ გაეხსენებინა, სად და როგორ.

კაკები არც ამჯერად აფრენილან. მაშინ საბანი ოთხად დაკეცა და მარჯვენა მკლავსა და მხარს შუა ამოიღო. მერე თოფის კონდახი საბანს მიაბჯინა, გაისროლა და ერთი ჩიტი ჩამოაგდო. ხარბად ეცა, მაგრამ ჩიტს ცოტა ხორცილა შერჩენოდა – უმეტესი ნაწილი მსხვილ ტყვიას გაეგლიჯა და მისთვის ფრთებიდა დაეტოვებინა. კაკები მაინც არ ფრთხობოდნენ და იგი მიხვდა, რომ თუ თავში არ მოახვედრებდა, ამაოდ დაშვრებოდა. თავში დაუწყო დამიხება. ააცდინა... მოარტყა... და სულელმა კაკებმა, რომელთაც აფრენა დაეხარათ, პანტაპუნტით იწყეს ცვენა. სმოკი სიცოცხლეს ართმევდა მათ, რათა თვითონ ცოცხალი დანჩენილიყო. ცხრა ჩიტი ჩამოაგდო. მეცხრესაც რომ მოუგრიხა კისერი, გულადმა გადაწვა და უმიხეზო სიცილი და ტირილი აუვარდა.

ერთი უმად გადაყლაპა. მერე წამოწვა და მიიძინა, ჩიტის სიცოცხლემ ახალი სასიცოცხლო ძალა შეჰმატა მის სხეულს. დამით გამოეღვიძა. შიოდა, ცეცხლის დასანთებად ძალა შესწევდა. გათენებადვე წვადა და ჭამდა, აქამდე გაუქმებული კბილებით ძვლებს ფქვავდა. მერე მთელი დღე იძინა და ისევ დამით გამოეღვიძა. კვლავ დაიძინა და დილამდე აღარ გამოეღვიძებია.

გაოცებულმა აგიზგიზებულ ცეცხლს მოჰკრა თვალი, ცეცხლს ზევიდან ახალი წყება ფიხი ეყარა.. ნაკვერჩხლებთან შავად შებოლილი ყავისფერ ქაღალდში გახვეულ სიგარეტს აბოლებდა და მეგობარს ყურადღებით მისჩერებოდა. სმოკს ტუჩები აუთრთოლდა. მაგრამ სიტყვა ყელში გაეჩხირა და სატირლად მომზადებულს გული დაეთუთქა. პაპიროსისათვის ხელი გაიწოდა და ხარბად შეისუნთქა მისი ბოლი.

– დიდი ხანია აღრ მომიწევია, – თქვა მან ბოლოს დაბალი, მშვიდი ხმით – ძალიან დიდი ხანი.

– და არც არაფერი გიჭამია, გეტყობა, – ბუზღუნით დაუმატა შორტიმ.

სმოკმა თავი დაუქნია და ხელით კაპის მიმოფანტულ ფრთებზე მიუთითა.

– მხოლოდ ახლახან ვჭამე, – მიუგო მან, – იცი, ჭიქა ყავას სიამოვნებით დავლევ; ყავის გემო სულ გადამავიწყდება. არც პურისა და ქონის ნაჭერზე ვიტყვოდი უარს.

– ლობიოზე როგორა ხარ? – მაცდურად ჩაკითხა შორტიმ.

– ლობიო ხომ ღმრეთების საკადრისია. როგორც ჩანს, მე კიდევ გვარიანად მშია.

სანამ ერთი ცეცხლთან ტრიალებდა, მეორე კი ჭამდა, მათ მოკლედ უამბეს ერთმანეთს, რაც განშორების შემდეგ გადახდათ.

– მერე კლონდაიკზე ყინული გატყდა, – ამთავრებდა შორტი თავის ამბავს. – ყინულის ჩავლას დაველოდეთ. ექვსი ბიჭი შევყარე, ექვსივე ერთმანეთზე უმამაცესი, შენ ყველას იცნობ, და ორინავე გავმართეთ. მთელი სისწრაფით წამოვედით. ზოგან ჭოკებს ვიმარჯვებდით, ზოგან ბაწარსაც ვხმარობდით და ზოგან კი ხელით ვატრევედით ნავეებს. მაგრამ ამ წყალვარდნილებმა მთელი ერთი კვირა მაინც დამაკარგინეს. ნავეები ბიჭებს ჩავაბარე კლდეებზე გადმოსათრევად. მე კი გული სულ იმას მეუბნებოდა, რომ უნდა ავჩქარებულიყავი. ბლომად წამოვიღე სურსათი და წამოვედი. ვიცოდი, რომ სადღაც სულზე მოვისწრებდი.

სმოკმა თავი დაუქნია და უხმოდ მოუჩირა ხელი ხელზე.

– მაშ, კარგი, წავიდეთ! – უთხრა მან.

– ვერ მოგართვი! – აფეთქდა შორტი, – ჩვენ სწორედ აქ დავრჩებით. ორი დღე მაინც უნდა დაისვენო და კარგად ჭამო.

სმოკმა თავი ჩაქინდრა.

– ერთი შენითავი დაგანახვა! – შეუტია შორტიმ.

სმოკი მართლაც უსიამოვნო შესახედავი იყო. სახე წვერით დაფარვოდა. უწვერო ადგილები შავ-წითლად მოუჩანდა. გამუდმებულ სუსხს კანი აექერცლა. ლოყები ისე ჩაცვენოდა, რომ მიუხედავად მოდუნებული ბაღნისა, კანქვეშ ადვილად დაუთვლიდით სათითაოდ ყველა კბილს. შავ-წითელი ჰქონდა შუბლიც, ყრიმალეობაცა და ღრმად ჩავარდნილი თვალების უპეებიც. წვერი ოქროსფერი კი აღარ იყო, ცეცხლთან გდებისაგან გაშავებოდა და ჭკვარტლითა და ჩუხყით გაზინთოდა.

– ბარგი ჩაალაგე, ჯობია წავიდეთ, – უთხრა სმოკმა.

– ჩვილივით უმწეო ხარ. სად შეგიძლია სიარული, ან სად მიგეჩქარება?!

– შორტი, მე კლონდაიკში ყველაზე ძვირფას რამეს ვეძებ და არ შემიძლია ლოდინი. მორჩა და გათავდა. ჩაალაგე. ამქვეყნად იგი ყველაფერზე მეტია. იგი ოქროს მთებსა და ოქროს ტბაზე უფრო ძვირფასია. და უფრო დიდებულია, ვიდრე თავგადასავლით სავსე ცხოვრება, ნამდვილი ვაჟკაცობა და დათვის ხორცის ჭამა.

შორტიმ გაცემებისაგან თვალები დაქაჩა.

– ღვთის გულისათვის, რა უნდა იყოს ასეთი? – იკითხა მან ხრინწიანი ხმით. – შენ, თუ ძმა ხარ, ხომ არ შეიშალე?

– არა, მე სურდ ჭკუაზე ვარ. ალბათ კაცმა ჩემსავით უნდა იშიმშილოს, რომ თვალები აეხილოს. ყოველ შემთხვევაში, მე ისეთი რამ ვნახე, რაც მანამდე არც დამსიზმრებია. ახლა უკვე ვიცი, რა არის ქალი.

შორტიმ პირიგააღო, ტუჩებზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა, თვალებში მხიარული შუქი აუკიაფდა, მაგრამ სმოკმა აღარ აცადა:

– ნუ, გეთაქვა, – რბილად უთხრა მან, – შენ არ გინახავს, მე კი ვიცი.

შორტიმ თავი შეიკავა.

– ჰა, მე თავის მტვრევაც არ მჭირდება, ისეც ვიცი, ვინ არის. ყველა „საოცარ ტბას“ ეცა და ამოშრობა დაუწყო. ჯოი გასტელს კი ფეხიც არ მოუცვლია. იგი დოუსონში ზის და მელოდება, სანამ შენ არ მიგიყვან. ხოლო თუკი ხელცარიელი დაგბრუნდი, იფიცება, ყველაფერს გაყვიდი, მონადირეების მთელ არმიას დავიქირავებ, ირმის ხალხთან წავაღ და იმ სნასსა და მის ტომს მიწასთან გავასწორებო. მოიცა, სად მიდიხარ? ცოტა დამაცადე, ყველაფერს ჩავალაგებ და მეც გამოგყვები!

